


ავთანდილ ნიკოლეიშვილი

გეოცე სეუკუნის  
ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ნარკვევები

VII



გამომცემლობა „ანიპრესალი“  
თბილისი 2007

ავთანდილ ნიკოლეიშვილის ლიგერატურული ნარკვევების წინამდებარე წიგნში (პირველი წიგნი გამოიცა 1994 წელს, მეორე - 1997 წელს, მესამე - 2000 წელს, მეოთხე - 2003 წელს, მეხუთე და მეექვსე წიგნები კი 2005 წელს) მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობითაა გაანალიზებული და ახლებური თვალთახედვით შეფასებული ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი მე-20 საუკუნის ქართული ლიგერატურის ისტორიიდან.

წიგნისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ ავტორისეული კვლევის საგნად ქცეული საკითხები საბჭოთა პერიოდის ლიგერატურათმოდენობაში ხშირად სრულიად განსხვავებულად, იმ პერიოდის ჩვენი აზროვნებისათვის მკაფიოდ დამახასიათებელი იდეოლოგიური გენდენციურობით, იყო განსჯილ-გაანალიზებული. ავტორი ცდილობს მე-20 საუკუნეში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებიდან მიზანმიმართულად შოშხელებული კონკრეტული მაგალითების მეშვეობით თვალნათლივ წარმოაჩინოს და ობიექტურად შეაფასოს ის უმთავრესი გენდენციები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავენ იმკამინდელი ჩვენი მწერლობის თვისებრივ ბუნებას.

რედაქტორი      პროფ. შოთა გოიბა  
რეცენზენტი    პროფ. ნაზი ხელაია

© ა. ნიკოლეიშვილი, 2007

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-99940-61-48-8



## მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის საფუძისი ქრონოლოგიური მიჯნა

ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფას, ჩვეულებრივ, მრავალი უხერხულობა ახლავს ხოლმე თან და ხშირ შემთხვევაში პირობითია. ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე საერთოდაც წინააღმდეგია ამგვარი დაყოფისა, მწერლობის განვითარებას ერთ მთლიან პროცესად წარმოსახავს და ლიტერატურის პერიოდიზაციას თვითმიზნურ ფაქტად მიიჩნევს. ამ თვალსაზრისს ქართულ ლიტერატურა შორისაც ყვანან მომხრენი. ისინი, უარყოფენ რა ქართული მწერლობის პერიოდიზაციის გრადიციულ სქემას, თვლიან მას ხელოვნურად და მრავალი გაუგებრობისა თუ ლოგიკური შეუსაბამობის სათავედ მიიჩნევენ. ასე დადგა, ზოგიერთი მკვლევრის მიერ, ეჭვქვეშ ჩვენი მწერლობის ისტორიული განვითარების გზის დაყოფა ძველ, ახალ და უახლეს პერიოდებად.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეხედულების დასამტკიცებლად მოშველიებული არგუმენტები მეტად მნიშვნელოვანია და ლიტერატურის პერიოდიზაციის დღევანდელი მოდელი მართლაც იწვევს ზოგიერთ უხერხულობას, ამ პრინციპის ხელაღებით უარყოფა და მწერლობის განვითარების ისტორიული გზის ეტაპებად დაყოფაზე უარის თქმა, ალბათ, გაუმართლებელი ფაქტია. მართალია, ამგვარ პერიოდიზაციას ბევრი პირობითი ფაქტორი უდევს საფუძვლად და იდეალურად სრულყოფილი იგი არ შეიძლება იყოს, მაგრამ ეს გარემოება, ჩემი აზრით, ვერ აქარწყლებს იმ დადებით მომენტებს, რითაც ლიტერატურის ისტორიის პერიოდებად დაყოფის გრადიციული პრინციპი ხასიათდება.

საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მკვლევართა დიდი ნაწილი XX საუ-

კუნის (იმავე უახლესი) ქართული ლიგერატურის ისტორიას ქრონოლოგიურად XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყებს. უმთავრესი საფუძველი, რომელსაც ამ თვალსაზრისის ავტორები ემყარებიან, ისაა, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოში კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების აღმავლობისა და „მესამე დასის“ დამკვიდრების დროიდან, რასაც, იმაედროულად, თან მოჰყვა მარქსისტული იდეების გავრცელებაც ჩვენში, ქართული მწერლობა არსებითი განახლების სტადიაში შედის.

როგორც აქედან ჩანს, უახლესი ქართული ლიგერატურის ისტორიის საწყისი ქრონოლოგიური მიჯნა პირდაპირ დაუკავშირეს არა ლიგერატურული პროცესის ანალიზს, არამედ იმ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენებს, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში. ამ შემთხვევაში კი, გვინდოდა თუ არა ეს, დავიწყებული აღმოჩნდა ლიგერატურისადმი მიდგომის უმთავრესი პრინციპი - მისი განვითარების გზებსა და ტენდენციებზე, უპირველეს ყოვლისა, მისივე წიაღში მიმდინარე ძვრებსა და სიახლეებზე დაყრდნობით გვემსჯელა და მწერლობა სოციალური და პოლიტიკური მოვლენების დანამატად არ მიგვეჩნია. მართალია, სულიერი კულტურის ყოველი სფერო, მათ შორის, რასაკვირველია, მწერლობაც, ამ მოვლენათაგან იზოლირებულად ვერასოდეს განვითარდება, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მას უწინარესად თავისი განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი მოეპოვება.

თუ ამ კუთხით შევხედავთ, გასული საუკუნის 90-იან წლების ჩვენს მწერლობაში ისეთი არსებითი ხასიათის სიახლენი, ფაქტობრივად, არ დამკვიდრებულა, რომელთაც თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიგერატურის ისტორიაში თვისებრივად სრულიად ახალი, მესამე, პერიოდის საწყის მიჯნად მივიჩნევდით.

ამის დასტურად, ორიოდ სიტყვით, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ მაშინდელი ჩვენი მწერლობის უმთავრესი მომენტები: აქტიურ ლიგერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევიან „თერგდა-

ლულები" და უშუალოდ მათი მომღეწნო თაობის უთვალსაჩინოესი ოსტატები, რომლებიც შემოქმედებითი ღწის ზენიგში იმყოფებიან (ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი, „ხალხოსნები"...). ამავე პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოდიან და წინამდებარე თაობათა ლიგერატურული ტრადიციების უშუალო გამგრძელებლად გვევლინებიან დ. კლდიაშვილი, შ. არაგვისპირელი და სხვა მწერლები. მაგრამ ამ უკანასკნელთა დამსახურებას, ვფიქრობ, არაფერი დააკლდება, თუ ვიტყვით, რომ ისინი თავიანთი შემოქმედების პრობლემატიკითაც და მხატვრული ოსტატობის თვისებრივი ბუნებითაც XIX საუკუნის ლიგერატურულ სამყაროსთან უფრო ახლოს დგანან, ვიდრე მეოცისა.

ცალკე გამოიყოფიან აგრეთვე ის მწერლები, რომელთა შემოქმედებით და პრაქტიკულ მოღვაწეობას XIX საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოში „მესამე დასის" დამკვიდრებისა და რევოლუციური ბრძოლის აღმავლობის პროცესი უკავშირდება. ამ თვალსაზრისით მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი განსაკუთრებით აღნიშნავს ე. ნინოშვილის როლს და სწორედ მას მიიჩნევს ქართული ლიგერატურის ისტორიაში უახლეს პერიოდად სახელდებული ეტაპის მესაძირკვლედ.

ე. ნინოშვილის ლიგერატურული ღვაწლის ამგვარი შეფასება, ჩემის აზრით, სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან მისი შემოქმედება XIX საუკუნის ქართული მწერლობის ღვიძლი ნაწილი უფროა, ვიდრე გარდამტეხი მიჯნის სათავედამდები სიახლე ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში.

რაც შეეხება 90-იანი წლების ქართული ე. წ. რევოლუციური პოემის ისეთ ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს, როგორც ირ. ევლოშვილია, ამდროინდელი თავისი შემოქმედებით იგი უშუალოდ ეხმიანება „თერგდალეულთა" სოციალურ პრობლემატიკას, პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით კი მათს აშკარა ზეგაფლენას განიცდის.

როგორც უხედავთ, XIX საუკუნის 90-იან წლებში სალიგერატურო

ასპარეზზე გამოსულ მწერალთა ახალ თაობას ჩვენს ლიტერატურაში თვისებრივი გარდატეხის მომხდენი სიახლენი არ მოუტანია. თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობით ამ თაობის მთავარი წარმომადგენლები თანმიმდევრულად აგრძელებენ XIX საუკუნის ქართული მწერლობის მაგისტრალურ გზას. ბუნებრივია, ასეთი განცხადება სულაც არ ნიშნავს მათი ლიტერატურული ღვაწლის დამცრობა-გაუფასურებას.

მწერლობისაგან განსხვავებით, იმეამინდელი ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებში ბევრი საეგაპო ცვლილება ხდება. მათგან, პირველ ყოვლისა, სოციალ-დემოკრატიული იდეების ფართოდ გავრცელება და მასთან დაკავშირებული საბედისწერო მოვლენები უნდა გავიხსენოთ. ამ მოძღვრების მიმდევრები, რომლებიც თავიანთი ბრძოლის უმთავრეს მიზანსწრაფვად სოციალური სამართლიანობის დამყარებას ისახავდნენ, იმთავითვე დაადგნენ ეროვნული ნიჰილიზმის გზას და მკვეთრი აგრესიულობით დაუპირისპირდნენ ილია ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მამულიშვილურ პრინციპებს. საბედნიეროდ, სოციალ-დემოკრატთა ამ უკუღმართ მოძღვრებას 90-იანი წლების ჩვენი მწერლობის განვითარებაზე საგულისხმო ზეგავლენა არ მოუხდენია.

ასე რომ, 90-იანი წლები XIX საუკუნის ქართული მწერლობის ღვიძლი ნაწილია, იმ ლიტერატურული პროცესებისა და ტენდენციების თანმიმდევრული გაგრძელება, რითაც მაშინდელი ჩვენი ლიტერატურა ხასიათდება და არა სრულიად ახალი ეტაპის დამამკვიდრებელი გარდამტეხი მიჯნა ქართული მწერლობის ისტორიაში.

ასეც თვლიდნენ მას თავის დროზე კიგა აბაშიძე, მიხეილ ზანდუკელი და სხვა მკვლევარები. ეს ნათლად ჩანს მათი ნაშრომებიდან. მაგალითად, კ. აბაშიძემ თავის „ეტიუდებში“, რომელშიც XIX საუკუნის ჩვენი ლიტერატურის განვითარება, როგორც თავადვე აღნიშნავს, ევოლუციის მეთოდის გამოყენებით განიხილა, მხოლოდ იმ მწერლებს მიაქცია ყურადღება, „ვისაც რაიმე ადგილი უჭირავს ევოლიუ-

ციის მიმდინარეობის სხვადასხვა საფეხურებზედ", დამატების სახით ცალკე ნარკვევები შეიგანა შიო არაგვისპირელსა და ღვეთ კლდიაშვილზე. დამატებაში მათი მოხვედრა იმით იყო განპირობებული, რომ ამ მწერლებს - სხეებთან შედარებით იმსანად ჯერ კიდევ ახალგაზრდებს, - კრიტიკოსის აზრით, ბოლომდე მთელი ძალით არ ჰქონდათ გამოკეთილი საკუთარი ლიტერატურული შესაძლებლობანი.

მაგრამ ის, რაც უკვე მოესწროთ, მას იმდენად გვერდაუვლელ წვლილად მიაჩნდა XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში, რომ საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია. და ეს მაშინ, როცა „ევოლიუციის მისეულმა მეთოდმა“ კ. აბაშიძეს გვერდი აავლებინა ისეთი „უეჭველად ნიჭიერი მწერლების ნაწარმოებების განხილვისთვის“, როგორებიც, მისი თქმით, ლ. არღაზიანი, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ე. გაბაშვილი და სხვები იყვნენ. ამ გარემოებას კრიტიკოსი იმით ხსნის, რომ „ლიტერატურის ევოლიუციაში მარტო იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, ვინც შეიგანა ახალი რამ ლიტერატურის მსვლელობაში ან ძველი გაამშვენებინა და მიიყვანა უმაღლეს წერტილამდე“ (კ. აბაშიძე, ეტიუდები, 1970 წ. გვ. 81).

დ. კლდიაშვილისა და შ. არაგვისპირელის შემოქმედებას კ. აბაშიძე რომ XIX საუკუნის ჩვენი მწერლობის შემადგენელ ნაწილად თვლიდა, ეს თავადვე აქვს ხაზგასმით იქვე აღნიშნული: „... ახალგაზრდა მწერლები - შიო არაგვისპირელის მეთაურობით, ამზადებენ იმ ნაწილებს, იმ სხვადასხვა ძაფს მიმართულებისას, რომლისგანაც უნდა აღმოცენდეს ჩვენი ახალი ლიტერატურა; ვიქონიოთ იმედი, რომ ეს ლიტერატურა შეიქმება XIX საუკუნის ჩვენის ლიტერატურის ღირსეული დამამშვენებელი“.

მსგავსი შეხედულებისა იყო მიხეილ მანდუკელიც, რომელმაც XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისტორია სამ უმთავრეს პერიოდად დაყო: პირველი, 1801-1845 წლების ლიტერატურა, როცა მთავარი მიმდინარეობაა რომანტიზმი; მეორე 1845-1890 წლები, როცა ჩვენი „ლიტერატურის მთავარი ხაზი“ ხდება კრიტიკული რეალიზმი, რასაც „თერ-

ვღალეულები" ამკვიდრებენ და მესამე, 1890-1905 წლები, პერიოდი, რომელიც „ამთავრებს XIX საუკუნის ლიტერატურის განვითარებას. 1905 წლის რევოლუცია ლოგიკური დამთავრებაა იმ ეკონომიკური და მასზე აღმოსენებული სოციალურ-პოლიტიკური განვითარებისა, რომელიც ჩვენი XIX საუკუნის ისტორიას და კულტურას საფუძვლად უდევს, და მასთან ერთად დასაწყისია უახლესი ქართული ლიტერატურისა" (მ. ზანდუკელი, თხზულებანი, 1972 წ. გვ. 38).

როგორც ვხედავთ, კ. აბაშიძე და მ. ზანდუკელი გასული საუკუნის 90-იან წლებს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისის გადაფასება 20-იანი წლებიდან იწყება და მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიური დოქტრინის გამკაცრების კვალობაზე, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ფართოდ მკვიდრდებოდა ის შეხედულება, რომლის ავტორების აღიარებით, მესამე დასის რევოლუციური ჯგუფის ჩამოყალიბებით ქართულ მწერლობაში ახალი - ე. წ. პროლეტარული ეტაპი იწყება.

აღნიშნული თვალსაზრისი, რომელსაც, ფაქტობრივად, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ლიტერატურათმცოდნეთა უდიდესი ნაწილი იზიარებდა, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კრიტიკული განსჯის საგნად იქცა. კერძოდ, 1971 წლის 19 თებერვლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში „გადასასინჯი საკითხი" ტ. კვანჭილაშვილმა ერთ-ერთმა პირველმა მოითხოვა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოდ დამკვიდრებული ზემოთქმული შეხედულების გადასინჯვა და მეოცე საუკუნის ჩვენი მწერლობის პირველ წარმომადგენლად „1905 წლის რევოლუციის ტრიბუნი და იმ ბრძოლებში პროლეტარიატის მესიგყვედ აღიარებული" ირ. ეედომ-ვილი გამოაცხადა.

ამ დროიდან მოყოლებული, ხსენებულ საკითხს ტ. კვანჭილაშვილმა სხვა პუბლიკაციებიც მიუძღვნა (იხ. გაზ. „სახალხო განათლების" 1974 წლის 24 მაისისა და 20 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნებული მისი წერილები; ასევე წიგნები: „ლიტერატურა და ცხოვრება"

(1976 წ.) და „პარტია და ლიგერატურა“ (1979 წ.).

გ. კვანჭილაშვილის მიერ გამოთქმული კრიტიკული თეაღსაზრისი გარკვეულწილად გაიზიარეს და XX საუკუნის ქართული მწერლობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები მოგვიანებით სხვა ლიგერატურათმცოდნეებმაც გამოთქვეს (ა. ჩაველიშვილი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1974 წ. 11 დეკ; ა. მირიანაშვილი, „სახ. განათლება“, 1975 წ. 10 იანვ; გ. მერკვილაძე, ჟურნ. „კრიტიკა“, 1991 წ. № 3; ა. ნიკოლეიშვილი, ჟურნ. „განთიადი“, 1991 წ. № 7; მისივე წიგნი: XX ს-ის ქართული ლიგერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1994 წ.; თ. ბუაჩიძე, ჟურნ. „ლიგერატურა და ხელოვნება“, 1992 წ. № 1...).

დასახელებულ ავტორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებანი პრინციპულად არ გაიზიარეს და თავიანთი საპასუხო წერილებით კვლავაც ტრადიციულად დამკვიდრებული ქრონოლოგიური მიჯნის მართებულობას დაუჭირეს მხარი რ. მიშველაძემ („სახ. განათლება“, 1974 წ. 18 ოქტ.), დ. თევზაძემ („სახ. განათლება“, 1974 წ. 27 ნოემბ.) და ს. ჭილაიამ (გაზ. „კომუნისტი“, 1975 წ. 18 ივნისი). მოგვიანებით, 1995 წელს, პოლემიკის საგნად ქცეულ საკითხთან დაკავშირებით დ. თევზაძემ სპეციალური ნაშრომით კი გამოსცა ცალკე წიგნად „სათავე უახლესი ქართული მწერლობისა“.

ხსენებულ წიგნში მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნასთან დაკავშირებით ჩვენს ლიგერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ ახალ მოსაზრებათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე კრიტიკოსი დაბეჯითებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართული მწერლობის პერიოდიზაციის ძველი მოდელი სავსებით მართებულია და მის გადასასინჯად არავითარი საფუძველი არ არსებობს.

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია გამოხატა ბ. ბარდაველიძემ. მისი აზრით, XIX და

XX საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს მწერლობაში მიმდინარე პროცესები იმდენად თავისებურია და სხვა პერიოდებისაგან გამორჩეული, რომ მის დასახასიათებლად სასურველი იქნებოდა, როგორც „მუშა ტერმინი“, აღგვედგინა გამოთქმა „გარდამავალი ხანის“ ქართული მწერლობა. ბ. ბარდაველიძის შეხედულებით, „ეს ხელს შეუწყობდა XIX ს. ქართული მწერლობის პერიოდიზაციის საქმეს და, საბოლოო ჯამში, ქართული რეალიზმის განვითარების გარდამტეხი ეტაპის შესწავლას“ (საქ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1984 წ. ტ. 116, №3, გვ. 655).

XX საუკუნის ქართული მწერლობის საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად ზოგიერთმა ლიტერატურათმცოდნემ ჩვენს მწერლობაში ე. წ. „სოციალისტური რეალიზმის“ დამკვიდრების ფაქტი მიიჩნია. აღნიშნული შეხედულების ავტორები, მართალია, რამდენადმე ცვლიდნენ ძველ თვალსაზრისს, მაგრამ მათი მსჯელობაც ფაქტობრივად საბჭოური იდეოლოგიის გამოვლინების ახალი ვარიანტი იყო და არა თავისუფალი მეცნიერული განსჯის შედეგი.

პირველ ყოვლისა სწორედ ეს დოგმატიზმი სძენდა მათს მსჯელობას არაობიექტურ ხასიათს. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის განვითარებისა და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის ჩასახვადამკვიდრების პროცესზე მსჯელობის დროს ბევრი მათგანი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ კეთილისმყოფელ როლს, რომელიც რუსულმა ლიტერატურამ, პირველ ყოვლისა კი მაქსიმ გორკიმ, მოახდინა იმდროინდელი ჩვენი მწერლების შემოქმედებაზე. კერძოდ, გორკის იდეების ზეგავლენის კვალს ისინი არა მხოლოდ ე. წ. მწერალ-რევოლუციონერთა ნაწარმოებებში ეძებდნენ, არამედ იმათს შემოქმედებაშიც (მაგალითად, მ. ჯავახიშვილთან), რომელნიც თავიანთი თვითმყოფადი ლიტერატურული ინდივიდუალობით მკვეთრად განირჩევიან გორკისაგან. ამ მომენტის აქცენტირება და წამოწევა წინა პლანზე იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ ამით ერთ უმნიშვნელოვა-



ნეს რამესაც „ამტკიცებდნენ“: რუსული მწერლობის „მძლავრ ზეგავლენას“ ჩვენი ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართული მწერლობის პერიოდიზაციაზე საუბრის დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ გალაკტიონის მოსაზრებაც. მის შემოქმედებაში ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმო შეხედულებაა გამოთქმული. მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ის წერდა:

წიწამურში რომ მოკლეს ილია,

მაშინ ეპოქა გათავდა დიდი.

წიწამურში გასროლილი ტყვიით ტრაგიკულად შეწყვეტილი ამ „დიდი ეპოქის“ გენეტიკურ გავრძელებასა და „ახალი მწერლობის“ დაბადებას გალაკტიონი პოეტურ ასპარეზზე თავისი გამოსვლის თარიღთან - 1908 წელთან აკავშირებს. მაგალითად, „ახალმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, - წერდა იგი 1919 წელს, - რომელიც 1908 წლიდან დაიწყო, შეეცადა წარსულისაგან შეუსრულებელი იდეების გატარებას, შემოიტანა რა თანამედროვე პოეზიაში ახალი სტილი: სტილი უფრო ღრმა, რთული, ხელოვნური ნიუანსებით და ძიებით საესე, განშორებული წინანდელ ჩვეულებრივ ენას“ (გ. ტაბიძე, გ. 12, 1975 წ. გვ. 70).

1928-32 წლებში დაწერილ წერილში კი მიუთითებს, რომ „თანამედროვე პოეზიას აქვს 20 წლის ისტორია“ (იქვე, გვ. 94), ხოლო მესამეგან აღნიშნავს: „ახალი მწერლობა... 1907 წლიდან დაიწყო. ილია ჭავჭავაძის მოწამებრივი სიკვდილი სიმბოლური დასრულება იყო წარსული საუკუნეების მწერლობისა.“

ზემოთქმული თვალსაზრისი გალაკტიონმა კიდევ ურო ნათლად და მკაფიოდ გამოხატა 1921 წელს გაკეთებულ შემდეგ ჩანაწერში: „ხანდახან ისტორიაში ასეთი მოვლენა ხდება: პიროვნებასთან ერთად კვდება [რომელიმე] მისი ხანაც; 1907 წელს წიწამურში.... მოკლეს ილია ჭავჭავაძე და ამ საბედისწერო აკტით დასრულდა ერთი ხანა ქართული პოეზიისა. და უეცრად იმავე წელს იფეთქა ახალმა მიმართულებამ ქართულ პოეზიაში. [1908 წელს] სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა მთელი რიგი ახალგაზრდა პოეტების და მათ

შორის გაისმოდა გალაკტიონ ტაბიძის მელანქოლიით სავსე ხმაყ. ამ ხანიდან (1908 წლიდან) იწყება სრულიად ახალი ხანა ქართულ პოეზიაში“ (გ. ტაბიძე, საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად, წიგნი XIII, 2006 წ. გვ. 47).

დამოწმებულ ფრაგმენტში, მიუხედავად მათი ერთგვარად სუბიექტური ხასიათისა, დიდი სიმართლეა გამოთქმული. განგებამ ეს ორი თარიღი - წიწამურის ტრაგედია და გალაკტიონის გამოსვლა პოეტურ ასპარეზზე გენეტიკურად თითქოს მართლაც დააკავშირა ერთმანეთთან და სიმბოლური მნიშვნელობის მქონე თარიღებად დაამკვიდრა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

ქართულ მწერლობაში მეოცე საუკუნის დასაწყისში განახლების ახალი ეტაპის დადგომაზე თავისებურად მიგვანიშნებს აგრეთვე გრიგოლ რობაქიძეც ჟურნალ „ოქროს ვერძში“ (1913 წ. №3) დასტამბულ წერილში „ბარათები“. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „საქართველოს რენესანსი უკვე დაიწყო“.

ათიანი წლებიდან მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის დაწყებას უკანასკნელ ხანს მ. ქურდიანმაუ აქტიურად დაუჭირა მხარი. მისი აზრით, „ლიტერატურული მე-20 საუკუნის დასაწყისის ათელის წერტილად“ ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლის თარიღი - 1916 წლის 28 თებერვალი უნდა მივიჩნიოთ.

როგორც საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, ერის სულიერი კულტურისა და სოციალურ-პოლიტიკური აღმავლობის ეტაპები ყოველთვის არ ემთხვევიან ხოლმე ერთმანეთს. საამისო მაგალითები საძებარი არაა ჩვენს წარსულში. გავიხსენოთ, თუნდაც, XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორია - ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, დრო, როცა ერი ფიზიკური გადაშენების პირამდე იყო მისული. მაგრამ, მიუხედავად ამ უმძიმესი სოციალური და პოლიტიკური ვითარებისა, მაშინდელი ქართული მწერლობა აღმავლობის სრულიად ახალ სტადიაში შევიდა.

სწორედ ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ეროვნული ლიგერატურის ისეთი პირველხარისხოვანი ოსტატები, რომელთა შემოქმედებითი ღვაწლი ფასდაუდებელი ეტაპია ჩვენი სიგყვიერებისა. ასე ღიაშეგრაღურად ემიჯნება ერთმანეთს ამ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ლიგერატურული ცხოვრება. ერთის მხრივ, კატასტროფის პირამდე მისული ეროვნული ყოფა, რასაც საეაღალო ლოგიკურ შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა, მეორეს მხრივ კი - სიგყვიერი ხელოვნების საოცარი აღმავლობა, ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში აღორძინების სახელით დამკვიდრებული.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას იმ პერიოდების შესახებაც, როცა მოღვაწეობდნენ რომანტიკოსები და „თერგდალეულები“.

საბჭოთა ეპოქის ბეერმა ლიგერატურათმცოდნემ დაივიწყა ეს გარემოება და ლიგერატურა ფაქტობრივად სამოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების დანამატად მიიჩნია. ამ პერიოდში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება მათ მიერ ხშირად იმის მიხედვით ფასდებოდა, როგორი ინფორმაციული სიმუსკითა და ნაგურაღისგური სიმართლით ასახავდნენ ისინი საბჭოურ სინამდვილეს, განადიდებდნენ და ხოტბას ასხამდნენ ახალი ღროის მიღწევებს, წარმოაჩენდნენ ძველი ეპოქის „საშინელებებსა“ და ხალხის უნუგემო მღგომარეობას.

ამგვარი პრინციპი ედებოდა, ხშირ შემთხვევაში, საფუძვლად არა მარტო ცალკეულ მწერალთა ლიგერატურული ღვაწლის შეფასებას, არამედ მწერლობის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისა და ტენდენციების გამოყოფასა და ანალიზს. ჩემი საუბრის საგანს არ წარმოადგენს ამ მანკიერებათა დახასიათება; ამჯერად მინდა მკითხველს მოკლედ გაუზიარო მოსაზრებანი იმასთან დაკავშირებით, რამდენად მისაღებია ქართული მწერლობის განახლების პროცესის დაკავშირება იმ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან, რომლებიც XIX საუკუნის 90-იანი წლების ჩვენს ცხოვრებაში მკვიდრდება. აქ, პირველ ყოვლისა, როგორც ითქვა, მესამე დასის ჩამოყალიბებასა და

მარქსისტული იდეების გავრცელებას ვგულისხმობ საქართველოში.

როგორც ცნობილია, მოვლენები თანდათანობით იმგვარად განვითარდა, რომ აღმკვეთულმა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელიც რუსული კოლონიალიზმის ნიღბად იქცა, 1921 წლის 25 თებერვალს მონობის ასალი უღელი დაადგა ქართველ ხალხს, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში, მათ შორის, ლიგერატურაშიც. საბედნიეროდ, რევოლუციამღელი ქართული მწერლობა არ მოწყვეტილა ძირითად მაგისტრალურ დინებას და იმ პერიოდის ავანტიურისტ-რევოლუციონერთა უეროვნო რევოლუციურ იდეოლოგიას რაიმე არსებითი ზეგავლენა არ მოუხდენია მის განვითარებაზე.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გარემოება ხელს როდი უშლიდა ჩვენი ლიგერატურათმცოდნეობის ზოგიერთ წარმომადგენელს, თავგამოდებით ემტკიცებინა ის „ჭეშმარიტება“, თითქოს XIX საუკუნის 90-იანი და 900-იანი წლების ქართული ლიგერატურის განვითარებაზე განმსამღერელი ზეგავლენა სწორედ მარქსისტულმა რევოლუციურმა იდეოლოგიამ და სოციალისტური რეალიზმის თანდათანობითმა დამკვიდრებამ მოახდინეს.

ის გარემოება, რომ ოციან წლებამღელ ჩვენს ლიგერატურაში, ფაქტობრივად, თითქმის ვერავითარი ასახვა ვერ პპოვა მარქსისტულმა რევოლუციურმა მსოფლმხედველობამ, იმით უნდა აიხსნას, რომ ეს მოძღერება ეროვნულ ნიადაგზე კი არ იყო აღმოცენებული, არამედ გარედან შემოიგანეს და დაამკვიდრეს ჩვენში. საქართველოში მისი მქადაგებელი ინტელიგენციის ის ნაწილი გახდა, რომელიც მოწყვეტილი იყო ეროვნულ ნიადაგს და დიამეტრალურად ეწინააღმღერებოდა სასელმწიფოებრივი თავისუფლების ილიასეულ პრიციპებს. ისინი მატერიალური კეთილღეობის მაცდუნებელი ლომუნგებით უბნევდნენ თავგზას ერის გაუთვითნობიერებელ ფენას და ამით ახერხებდნენ მის მიმხრობას. რაც შეეხება ქართველი ხალხის პროგრესულად მო-

აზროვნე შეილებს, ესენი, მათ შორის, რაღა თქმა უნდა, მწერლებიც, თავიდანვე მკვეთრად გაემიჯნენ ამ უეროვნო მოძღვრებას და გამოკვეთილად დაუპირისპირდნენ მას.

როგორც ითქვა, XIX საუკუნის 90-იანი წლების ჩვენს მწერლობაში გამოვლენილი ლიტერატურული სიახლენი თავიანთი მნიშვნელობით ვერ შეედრებიან წინამორბედი მწერლების შემოქმედებით დამსახურებას და არავითარი ობიექტური საფუძველი არ არსებობს იმის სამტკიცებლად, თითქოს იმდროინდელი ქართული ლიტერატურის ისტორიაში თვისებრივი განახლების პერიოდი ღებოდეს. ასეთი ეტაპი ჩვენს მწერლობას ცოგა მოგვიანებით, კერძოდ, 900-იან წლებში უდგება. ამის დამადასტურებელ არგუმენტებს უხეად გვაწვდის მაშინდელ ქართულ ლიტერატურაში გამოვლენილი ახალი შემოქმედებითი ტენდენციები.

ზემოთაც ვთქვი და კვლავ მინდა გაემეორო, რომ მწერლობის პერიოდიზაცია მრავალ უხერხულობასთანაა დაკავშირებული და, არსებითად, იგი პირობითობის ფარგლებშია მოქცეული. ცხადია, ამ პირობითობისაგან ვერც შემოთავაზებული ვარიანტი იქნება დაზღვეული. მაგრამ რადგან მკვლევართა უმრავლესობა ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზის შესწავლის დროს ეტაპების გამოყოფას დასაშვებად თელის, ვფიქრობ, პერიოდიზაციის განსახილველი მოდელი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული.

## ილია ჭავჭავაძე, აბაგი შერეთელი და პართიზელი სოციალ-დემოკრატები

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა ჯგუფი პოლიტიკური მოღვაწეებისა, რომლებმაც აქტიურად დაიწყეს ბრძოლა სოციალური უსამართლობისა და ეროვნულობის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას საფუძვლად კლასობრივი თანასწორობის იდეა დაუდეს. სოციალ-დემოკრატების სახელით ცნობილი ეს ჯგუფი სულ მალე მძლავრ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა და გადამწყვეტი როლი შეასრულა XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის ისტორიაში.

იმხანად ამ მოძრაობამ არა მარტო საქართველოში მოიპოვა მეტად ფართო ასპარეზი, არამედ ცხოვრების ავანსცენაზე გამოსული ქართველი სოციალ-დემოკრატები სულ მალე მთელი რუსეთის იმპერიაშიც ხდებიან ამ ბრძოლის ფაქტობრივი წარმართველები. ცხოვრებით დაჩაგრულმა ბევრმა მშრომელმა ეკონომიკური სიღუბიდან თავდახსნის იმედი თავდაპირველად სწორედ მათ ენერგიულ სიყვიერ დაპირებებს დაუკავშირა.

ჩვენი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი თავიდანვე დაქვევებული სიფრთხილით შეხვდა წარსულისა და ეროვნების მგმობელ ამ პოლიტიკოსებს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია და მრავლისმთქმელი ის დამოკიდებულება, რასაც აბაკი შერთელი იჩენდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისადმი. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, როცა უკვე აშკარად გამოიკვეთა სოციალ-დემოკრატების სამოქმედო პროგრამა, მწერალს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია ჩამოუყალიბდა მათ მიმართ, რამაც ნათელი გამოხატულება პოვა მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

მიუხედავად იმისა, რომ აბაკი ბევრ დასსა და პარტიას მოესწრო, იგი, ფაქტობრივად, არც ერთს არ მიკუთვნებია და სიციცხლის ბოლომდე მხოლოდ ერთი უზენაესი პარტიის ერთგული დარჩა - სამშობლო საქართველოსი. იგი გულწრფელად თანაუგრძნობდა ყველა ჯგუფსა თუ დასს, რომელიც მისი ეროვნული იდეალების განხორციელების გზაზე რაიმე სასიკეთოს ვააკეთებდა.

ასე მოხდა 1905 წლის რევოლუციის დღეებშიც. პოეტი გულწრფელი თანაგრძნობით შეხვდა ამ სახალხო მღელვარებას. მისი გულწრფელობის განმაპირობებელი ფაქტორი იმის რწმენა და იმედი იყო, რომ ამ რევოლუციას მონობის კირთებისაგან ჩვენი ქვეყნის გან-

თავისუფლება შეიძლებოდა მოჰყოლოდა შედეგად. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიების საპროგრამო მოთხოვნებს, რომელთა განსორციელებასაც უსახაეღნენ მიზნად ისინი აღნიშნულ რევოლუციას, აკაკისათვის ბევრი რამ მათგან მიუღებელი იყო და გაუგებარიც. მართალია. მთელი ცხოვრების მანძილზე პოეტი არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგაც იბრძოდა თავდალებით, მაგრამ ბრძოლის ის ფორმები და საშუალებანი, რასაც სოციალ-დემოკრატიები ქადაგებდნენ, აკაკისათვის პრინციპულად იყო მიუღებელი.

1906 წელს ა. წერეთელმა დაწერა პოემა „მამლის ყივილმე“, რომელშიც ერომანეთს დაუპირისპირა ორი მსოფლმხედველობა: მყარ ეროვნულ ფესვებზე უღალატოდ მდგარი პატრიოტი მოხუცისა და სამშობლოს მგმობელი ახალგაზრდა ავანტიურისგისა, რომელიც ამგვარი სახით გამოხატავს თავის „ინტერნაციონალურ“ თვალთახედვას:

რა სამშობლო, რის სამშობლო? რა ერი და რა ნაცია?

კაცი კაყად გაჩენილა: სადაც იყოს, სულ კაცია!..

არის მხოლოდ ერთი შრომა... ქვეყნად არის მხოლოდ მუშა;

დღეს აქ არის, ხვალ იქ არის, ეით ჭურჭელი.. როგორც შუშა!

ოღონდ კუჭი კი გაიძლოს, სულ ერთია სადაც იყოს,

საოცნებო ლათაიით რომ ვერაეინ გააბრიყვოს!

აქ ვიქსებით ჩვენ თუ სხვაგან, ნუთუ ერთი არ იქნება,

მაგრამ იმ ჩვენ წინაპრებს კი არ ჰქონიათ ეს შეგნება.

ასეთია არსი სოციალ-დემოკრატიების მიერ ნაქადაგარი „ღიადი რწმენისა და იდეისა“. ყველას, ვინც ამ საკაცობრიო იდეალს დაუპირისპირდებოდა, ახალი „თეორიის“ დამამკვიდრებელი გერორს უნიშნავენ, ხალხის მგრად აცხადებდნენ და გზიდან იმორიებდნენ. ეს თვალსაზრისი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იმდენად აღმეცა, რომ განახლებული რუსული იმპერიის მიწა მათი იდეური მოწინააღმდეგეების სისხლით მოირწყო. მოწინააღმდეგენი კი საძებარი როდი იყვნენ. ყველა პიროვნება, ვინც ერისა და სამშობლოსადმი სიყვარულს ამჟღავნებდა, სოციალ-დემოკრატიებმა ხალხის დაუძინებელ მგრად, ნაციონალისგად და რევოლუციის მგარეადად გამოაცხადეს და მათთვის მხოლოდ ერთადერთი სასჯელის გამოგანა მიაჩნდათ შესაძლებლად - სიკვდილისა.

რა გასაკვირია, რომ ასეთი მრწამსის ხალხს აკაკი თავიდანვე მკვეთრად გამიჯვნოდა და მათ მიმართ ნათლად გამოკვეთილი უარყოფითი პოზიცია ჰქონოდა ჩამოყალიბებული. ამის დამადასტურებელ მასალას უხვად ვხვდებით მწერლის შემოქმედებაში. იგი

გარკვევით აცხადებდა, „სოციალ-დემოკრატების მოძღვრებას მე სავსებით არ აღვიარებ, იმით ეროვნულ შესუდულებას არ ვეთანხმებიო“ (გაზ. „თემი“, 1913 წ. № 105).

ქართველი სოციალ-დემოკრატების მსოფლმსუდეულობის გასაამრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია აკაკის ლექსი „ვაშა დეკუტატს“ (1909 წ.), რომელიც სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს - ევგენი გეგუჭკორს ეძღვნება. პოეტის მეფასებით, ამ ახალმოდური მოძრაობის თავკაცი ესაა „ნამდვილი რუსის შოვინისტი, მტკიცე, ისე, ვით მარკოვი; არა - რუსთა მოძულარი, სხვა ხალხების სისხლის მწოვი! გრებახობს მით, ვითომც იყოს ის სოციალ-დემოკრატი და კუჭზე - კი გასაძლომად მას ჰკიღია რუსის ხატი!“ ე. გეგუჭკორის, საერთოდ, სოციალ-დემოკრატების, ეროვნული თვალსაზრისი კარგად ჩანს მათ სამოქმედო პროგრამად დასახულ შემდეგ სიტყვებში:

რას მიქვიან ეროვნება? სჯობს მოისპოს ნაციოაო

და დამყარდეს ქვეყნად მხოლოდ პროლეტარიზაციოაო.

იმის ნათელსაყოფად, რა დამოკიდებულება ჰქონდა მწერალს სოციალ-დემოკრატებთან (იმავე „კეალელებთან“ და „მესამე დასელებთან“), კიდევ უფრო საინტერესოა აკაკის პუბლიცისტიკა.

1908 წლის 21 დეკემბერს ბაქოში, ლიტერატურული მოღვაწეობის ნახეარსაუკუნოვან იუბილესთან დაკავშირებით გამართულ საღამომზე, აკაკი წერეთელმა კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა ნათლად და მკაფიოდ თავისი პატიოტული თვალსაზრისი. ეს იყო მიუკიბავ-მოუკიბავი პასუხი იმ საყვედურებზე, რასაც ბოლო ხანს ხშირად გამოთქვამდნენ ხოლმე ახალი მოძრაობის მიმდევარნი მწერლის ეროვნულ მოძღვრებასთან დაკავშირებით. აკაკი პრინციპულად არ ეთანხმება თავისი ოპონენტების ამ შენიშვნებს და ჩვეული კატეგორიულობით აცხადებს: „მე ჩემი აზრი მაქვს და ვერც შეეცვლი მას, ვერ დავანებებ თავს ნაციონალისტობას. თავისუფლება მსურს მეც, მაგრამ მე სხვა გზით მივდივარ მის მოსაპოვებლად და თქვენ სხვა გზით... აქ ერთმა დეკუტატმა, ბ. ხაგისოვმა, მითხრა, რომ „დადგება დიდებული ღრო, როცა აღარ იქნება არც ქართველი, არც სომეხი, არც შამშადიანი, არც რუსი და სხვა, არამედ იქნება ერთი დიადი კაცობრიობა, აგებული ძმობა-ერთობა-სიყვარულზე და თანასწორობაზე“ - ო, რა მშვენიერი სიტყვებია. ვინ დაიწუნებს ამას? მაგრამ ეს ადვილათ არ მოხერხდება. თვით ბუნება არაა ერთფეროვანი... ჩემი აზრით, ჯერ საჭიროა თვით ერი შეერთდეს ცალკე, ერთ მთელად და მერე შეიძლება სხვა ერებთან გაერთიანებაზე ფიქრი თავიანთი ეროვნების დაცვით“ (ა. წერეთელი, თსზ, სრ. კრებ. ტ. 14, 1961 წ. გვ. 344).



აკაკი ხელაუდა, რომ ამგვარი გამოხედვები უფრო და უფრო აუცილებელი იყო. რადგანაც საოცარი ამბები ხდებოდა ირგვლივ. იმ მცნებებსა და იდეალებს, რომელთა პრაქტიკული აღსრულებისათვის იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იბრძოდა აქტიურად, ახალი მოძრაობის ლიდერები პრინციპულად არ იზიარებდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ.

ამ ვითარებაში ერის წინაშე აღსარებით წარმდგარი მწერალი (იხ. წერილი „ჩემი აღსარება“) ერთხელ კიდევ განსამზღვრავდა თავის ეროვნულ პოზიციას და ბრძოლას უცხადებდა უსამშობლოობის მქადაგებელთ: „სიგყვა „პატრიოტი“, - წერდა იგი, - დღეს მოგიერთებისაგან საკიცხავ სიგყვად არის გადაქცეული. იმათ პატრიოტობა შოფინიზმი ჰგონიათ, როდესაც ამ ორ სიგყვას შუა დიდი ზღვარია და ერთმანეთში საერთო არა აქვთ რა!.. ვისაც სამშობლო არა სწამს, ვისაც მშობელი, ნაშობი, თანშობილი არ უყვარს და თავს მითი მართლულობს, რომ მე გაურჩეულად მთელი მსოფლიო მწამს და მსიყელი კაცობრიობა განურჩეულად მიყვარსო, ის შემცდარია!..“

აკაკის შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი უცნაური ამბრების მქადაგებელნი სოციალ-დემოკრატიები იყვნენ. პოეტი შემფოთებული წერდა იმაზე, როგორ უბნევენ ისინი თავგზას ხალხს. კაცობრიობის „ღიადი მომაელისთვის“ მებრძოლი ეს ავანტიურისტი პოლიტიკოსები თავიანთ მიზანს უყოყმანოდ სწირავდნენ გვარაკად ისედაც დაბეჩავებულ და საუკუნოვანი მონობის ხუნდებით სულშეხუთულ ერს.

ა. წერეთლის ეროვნული თვალსაზრისის სრულყოფილად შესაცნობად და მაშინდელ პოლიტიკურ პარტიებთან, პირველ ყოვლისა კი სოციალ-დემოკრატიებთან და ფედერალისტებთან დამოკიდებულების გასარკვევად ყურადღება უნდა მივაქციოთ პიესას „რეაქცია“, რომელიც 1910 წელს დაწერა მწერალმა პარიზში. მასში ავტორი შემფოთებული საუბრობს ახალი მოძრაობის თავკაცებზე, რომლებიც ათასგან არიან „ნათრევი, აღარც ღმერთი სწამთ და აღარც ხაგი“ და საზოგადოებას ისეთი მაცდუნებელი ლომუნგებით უბნევენ თავგზას, როგორებიცაა: „ძმობა“, „თანასწორობა“, „ერთობა და სიყვარული“...აკაკი ნიღაბხილი სახით წარმოაჩენდა ამ ლომუნგების ყალბ პათოსს და ნათლად გვიჩვენებდა იმ საშიშროებას, რომელიც ამ ლომუნგების ბრმა მიყოლით გზასაცდენილ ჩვენს ერს შეიძლებოდა დაგყდომოდა თავს.

მწერალი შიშობდა, რომ ძმობის, ერთობისა და სიყვარულის

სახელით შემოსული გადამთიელები მალე ქართველებს გადაა-  
ჭარებდნენ რაოდენობრივად და მერე იმას გვეგყოდნენ. „რადგანაც  
ყველა ვერ ვეტყვი, ჩვენ გადაგვიწყვიტია ხმის უმეტესობით, რომ  
შენ გაბრძანდე და ჩვენ დაგვიგოვო შენი სახლ-კარიო... გვეგყოდნენ  
იმიტომ, რომ ეს ხერხი წინდაწინვე ეღვათ გულში და თუ არ დავე-  
თანხმებოდით, „მოვინისგს“ დაგიძახებდნენ და ამით გვაშინებდნენ...“  
ქვემოთ კი განავრძობს: „ეხლა შენი სახლის ნაცვლად ავიღოთ ეს  
საბრალო საქართველო. ფედერალისტების სახელით შემოდიან სხვა-  
დასხვა ერები და შენც იძახი ძმობისა და ერთობის სახელით: მობრძან-  
დით, თქვენთვისაც არის ალგელი და სხვანი. იმათაც ისარგებლეს და  
შემოვიდნენ, დასახლდნენ და მერე გითხრეს: ჩვენ მეტი ვართ და  
ხმის უმეტესობას დაემორჩილეთ და ან წაბრძანდით აქედანაო“.

ასე შორსმჭვრეტელურად სჯის მოვლენებს ა. წერეთელი. სამ-  
წუხაროდ, დრომ დაადასტურა, რომ დიდი მწერლის შიში საფუძველს  
მოკლებული არ აღმოჩნდა და ძმობისა და ერთობის ნიღაბმორგებული  
ეს ცბიერი პოლიტიკა კიდევ უფრო აღზევა ჩვენში საქართველოს  
გასაბჭოების შემდეგ. ახალი მოძრაობის სახელით მოვლენილი  
პოლიტიკის არსში ღრმად გარკვეული აკაკი ყველანაირად ცდილობდა  
ფარდა აესადა ამ დამღუპეული და მზაკერული იდეოლოგიისათვის,  
გამოეფიხილებინა გზასამცდარი საზოგადოება და ძირშივე ამოეძირ-  
კვათ ეკალი. „ეკალი რომ ამოვა და ჩხელეგას დაიწყებს, - ათქმევი-  
ნებს იგი „რეაქციის“ ერთ-ერთ პერსონაჟს, - გვიანდა არის მასუკან  
„ეაი“, „ვაის“ ძახილი: როცა ითესება, მაშინ უნდა ხელის შეშლა და  
არა მისი ძახილი „ბრინჯია და ხორბალიო“. ფედერალისტობა მაშინ  
არის კარგი, როცა სუყველა თავთავის სახლში მის და იქედან გა-  
მოიძახის „ერთობა“ და „თანასწორობაო“... აბა, შეხედე: საქართვე-  
ლოს მიწაწყალი ვის ხელში გადადის? ან რა ხაფანგს უგებენ?!”

პოეტის გულისკვივილს კიდევ უფრო აძძაფრებდა ის გარემოება,  
რომ ცხოვრების ასპარეზზე საკმაოდ მრავლად აღზევებულიყვნენ  
ეროვნების უარყოფელი ქართველები, რომელთა მწუსარების საგ-  
ნად ის ფაქტი ქცეულიყო, ქართველებად რომ იყვნენ დაბადებულნი.

ამ მდგომარეობას მწერალი ისეთ სასოწარკვეთილებამდეც კი მიპ  
ყავდა, რომ თავის სანგრძლივ და თავდაუზოგავ შრომას წყალში  
ჩაყრილად თვლიდა. 1912 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში, მაგა-  
ლითად, იგი წერდა:

მშვიდობით, შრომავე და ღვაწლო ნახევარ საუკუნისა,

იუბილეს სანაცვლოდ მომნიჭებელი წყენისა.

მშვიდობით, ინტელიგენტო! თავი აღარ შექვს ბრძოლისა,

თქვენ რომ გაწერინილხართ. არა ვარ მიმყოლი მე იმ შეილისა  
ვერ გამოედგები მე, სადაც თურმე სუკეულა ფუჭია!..

ცხოვრების სახელმძღვანელოდ ყოველგან მარტო კუჭია!..

საესებით ბუნებრივია, რომ „ახალი მოლის“ ამ „ინტელიგენტებთან“  
აკაკის ვერაფერი ექნებოდა საერთო და იგი მათი თანამოაზრე ვე-  
რავეითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა.

მწერალი სშირად წუხდა იმის გამო, რომ საზოგადოებაში არ-  
ნახულად აღმევებულიყო ეგოისტური ზრახვები, „ჩენი ვითომ და  
მოწინავე წრე დას-დასებად იყო დაყოფილი და საზოგადო საქმეს  
ხელ-საწმენდად და პირ-საფარად ჰხმარობდნენ“ (გ. 14, გვ. 15).

თაობათა შორის გასული საუკუნის 60-70-იან წლებში გაპართული  
ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს შეხედულებათა განსხვავ-  
ებულობა და დაპირისპირება როგორ გააკვირვებდა. არც არასო-  
დეს ყოფილა კონსერვატორი და დასავსებული სიმშვილის მოტრფია-  
ლე. მით უფრო მაშინ, როცა საქმე ეროვნული ინტერესების დაცვაზე  
მიდგებოდა. სადაც კი საქვეყნო ინტერესებისთვის სასარგებლო მოძ-  
რაობას შეამჩნევდა, მისელასა და თანადგომას ვერაეინ დაასწრებდა.  
ასე იცხოვრა სტუდენტობიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე. ასე  
იყო 1905 წლის რევოლუციის პერიოდშიც, რადგანაც ამ რევოლუციას  
თავისი სანუკვარი ეროვნული იდეალის აღსრულების ოცნება დაუ-  
კავშირა.

მაგრამ როცა დაინახა, რომ რევოლუციის სათავეში მოქცეული  
ძალები სულ სხვა მიზანს ისახავდნენ, აღფრთოვანება მალე გაუ-  
ნელდა, „შვილებს“ მსოფლმხედველობრივი პაექრობა გაუმართა და  
შეეცადა უკუღმართ გზაზე დამდგარი მათი გონება საწალმარსოსკენ  
მოექცია. თავისებური ფორმით, თითქოს იგივე მეთორღებოდა, რაც  
სიჭაბუკეში.

მაშინაც ეროვნული ენისა და თვითმყოფადობის დასაცავად დაუ-  
პირისპირდა „მამებს“, რუსულ მუნდირსა და ჩინ-მედლებზე ნუ გაე-  
ცვლითო ბედკრულ სამშობლოს, ახლა კი თვითონ იყო „მამის“ როლ-  
ში. მაგრამ ამჯერად ეროვნულობის, ჩენი წარსულისა და მომავ-  
ლის გადასარჩენად უკვე გზადაბნეულ „შვილებს“ ებრძოდა, საკაც-  
ობრივ იდეალებზე მეოცნებე „ახალგუნდელებს“, რომლებიც თავი-  
ანთ მოღვაწეობას იმით იწყებდნენ, ძირ-ფესვიანად ამოეძირკვათ  
ყოველივე ეროვნული, „წესი აეგოთ ძველებისთვის“ და ამგვარად  
გაჯირითებულებიყვნენ დიდი ცხოვრების ასპარეზზე. „ჩემო ტიკინის  
რაინდებო, - მიმართავდა მწერალი ასეთი სულისკვეთების მიმდე-  
ვართ, - ხუმრობას თავი დავანებოთ!.. მე მართლა გუგყვით გამო-

გეხილად: თქვენი ბედი, რომ ჯერ პატარები ხართ და ამიგომაც ბევრი ვეპატივებათ, თორემ, მართლა დიდები რომ იყოთ, სწორედ საზიზღარი რამ იქნებოდით, რადგანაც, რასაც ჩადიხართ, ის უგუნურობით კი არ იქნებოდა ჩადენილი, არამედ ბოროტ-განმმრასხელობითა და ფარი-სეულობით" (გ. 14, გვ. 24).

ეს სტრიქონები 1901 წელს დაიწერა. გადიოდა დრო და უგუნურობა, რომელსაც მწერალი ახალთაობელთა გამოუცდელობითა და ახალბედობით ხსნიდა, სამწუხაროდ, უფრო და უფრო იზრდებოდა. აკაკი შეშფოთებული აღევენება თვალს ამ მოძრაობის მოძქავერებას და ჩვეული პირდაპირობით ამხელდა ერის „ახალ ჭირისუფალთა" დამღუპველ პოლიტიკას.

მას ერთიანად გამოეცალა ხელიდან ის იმედიანი მოლოდინი, რომელიც „მესამე დასელთა" სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლამ გაუჩინა. „დასელებმა" მალე გამოამქლავნეს თავიანთი ნამდვილი სახე. მწერლის თქმით, ისინი „სრულიად უარს ჰყოფენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით აგორებენ უფსკრულისაკენ". და რას ჰყრიდნენ ისინი უფსკრულში? ჩვენს დიდ ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას, ჩვენს დიდ წარსულს, ხალხის ცნობიერებაში დამკვიდრებულ ეროვნულ საგანძურს. ყველას, ვინც კი წინ გადაეღობებოდათ, არა მარტო სიგყვიერად ებრძოდნენ, ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ, თავიდან იმორებდნენ. ჯერ კიდევ 1903 წელს, წიწამურის გრაველიამდე საკმაო დროით ადრე, აკაკი წერდა: „უნდათ, რომ ყველგან თავისი გაიყვანონ და, ვინც წინ ეღობება მათ მოძღვრებას, უნდათ მისი ხალხის თვალში დამციროება, სცდილობენ, როგორმე თავიდან მოიშორონ" (გ. მე-14, გვ. 177).

პოეტის შეფასებით, ქართველ მარქსისტთა უბედურება ისიც იყო, რომ მათ დაამახინჯეს, თავდაყირა დააყენეს მარქსის მოძღვრება და ასე „ლაჯუნით" მიდიოდნენ დასახული მიზნისაკენ. „რალა უნდა ვთქვათ ჩვენებურ მარქსელებზე, - წერდა მწერალი, - როგორც ანარეკლის ანარეკლზე, რომელნიც დედანს სიახლოვეს არ მიჰკარებიან და რუსული ამრის ლარი გადაუღიათ და ისე გაცნობიან მარქსის თეორიას? - მე როცა ჩვენებურ მარქსელებზე, ანუ მესამე დასელებზე ვამბობ, აქ სახეში ის უმრავლესობა კი არა მყავს, რომელსაც მარქსისა და შექსპირის ერთმანეთში გარჩევაც არ შეუძლიათ და მხოლოდ ფეხის ხმის აყოლით იძახიან, „დასელი ვარო", მე მხოლოდ ისინი მყვანან მხედველობაში, რომელთაც გაეგებათ რამ. ამათი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას:

სარწმუნოებას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ, მარტო მხოლოდ მაგერიალისგურ სარჩულს უდებენ და ავიწყლებათ ღიდი მოძღვრის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“ (იქვე, გვ. 177).

ეს წერილი, რომელსაც სახელად „საანბანო ჭეშმარიტება“ ჰქვია, 1903 წელს დაიწერა და რა საანბანო ჭეშმარიტებაზე იქნება საუბარი მასში, ამას მკითხველი ციტირებული ფრაგმენტითაც კარგად მიხვდება. სტაგიაშ, რომელიც ვაშეთ „ივერიაში“ დაისტამბა, ძალზე გააბრაშა „კვალელები“. ამის შესახებ თავად აკაკი გვესაუბრება „საანბანო ჭეშმარიტების“ პომიციათა განსამტკიცებლად იმავე წელს დაწერილ წერილში „უცნაური პუბლიცისტები“. მასში მწერალმა კიდევ უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოკვეთა სოციალ-დემოკრატთა მოძღვრებისთვის დამახასიათებელი მიუღებელი ნიშან-თვისებები. „კვალელებს“ ჰგონიათო, - წერდა ა. წერეთელი, - საქართველო და ქართველობა მათიდან იწყება... წინანდელი ყოლიფერი ტყუილიაო და მიტომაც იმათ ჩენი წარსული „გველივით ეზიბლებათ“ და აწმყო „ჭირივით ეჯაერებათ“...

ისინი „ცდილობენ მრავალ-საუკუნეთა ისტორიის სახსენებელიც კი აღგაონ პირისაგან ქეყნისა“. განსაკუთრებული ძალისა და მიზნით შეუტყის მათ „სამოციანელებს“. ქართველი „მესამე დასელებისთვის“ სრულიად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული ხსნის ის პროგრამა, რომელიც „თერგდალეულებმა“, უპირველეს ყოვლისა კი ილიამ და აკაკიმ, დაუსახეს ჩვენს ხალხს. ამიტომაც ებრძოდნენ ისინი მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე ქართველ „სამოციანელებს“ ყოველგვარი ხერხითა და საშუალებით, ებრძოდნენ არა მარტო მსოფლმსედველობრივად, არამედ ფიზიკურადაც.

აკაკი იძულებული იყო, დაეცვა თავისი თაობა ათასგვარი ცილისწამებისა და დამცირებისაგან, დაეცვა იმ დაუმსახურებელი რისხვისაგან, რომელიც „კვალელებმა“ - „ახალი მოდის ამ ფეოდალ-ბატონებმა“ - დაატყვეს თავს „თერგდალეულებს“. ისინი, - გულისტკივილით წერს აკაკი, - „სიტყვას რომ აღარ დასჯერდნენ, კალმით შეუტყის მესამოცე წლების მოღვაწეებს და, არა თუ გააცამტკერეს მათი ღვაწლი თავის გუნებაში, მათი პირადობაც კი ვერ მოიხსენიეს კეთილად“.

აკაკი წუხს იმის გამო, რომ „მესამე დასელები“ კეთილსინდისიერ პაექრობას აზრის დიქტატურას უპირისპირებენ და დაუნდობლად უსწორდებიან ყველას, ვინც განსხვავებულ თვალსაზრისს გამოთქვამს. „ღმერთმა შეარცხვინოს ამაზე უფრო ღიდი „ბატონ-კაციობა“!..

მერე ვისგან? იმ ჯგუფისაგან, რომელიც... მამა-პაპის საფლავსაც კი ნაკავსა და მგვერს აყრის... ვინც მათი სურვილის და აზრის ყურ-მოჭრილი მონა არ არის, „კეტი თავშიო და შეურაცყოფაო“, გაი-ძახიან“ (გ. XIV, გვ. 202).

აკაკი „მამა-პაპათა საფლავების მგმობელ“ ამ „ვაი-ქართველებს“ ცრუ მარქსელებს უწოდებს და ამბობს: „ჩვენ გვინდა იმისთანა თაობა, რომელიც გამარგლულ და გამტკიცულ წარსულსა და აწმყოზე და-ამყარებს მომავალს... როცა უკეთესის მოსურნე ძველს ანგრევს, იმავე დროს მასალასაც უნდა ამზადებდეს ახლისათვის... და მაშინ დაიმკვიდ-რებს „ადამიანების სახელს, თორემ ვინც მხოლოდ ანგრევს, იმას სხვა სახელი ჰქვია“.

„ახალი მოდის ეს ფეოდალ-ბაგონები“ კი გააფთრებული გაბორო-ტებით ანგრევენენ ყოველივე ეროვნულს. დემოკრატიის ნილაბმორ-გებულებმა, მათ ყველაფერი კუჭზე დაიყვანეს და ეროვნულობა სა-ლანძღავ მცნებად აქციეს. „ჩვენ ისე დაწინაურებული ვართ, რომ არა გერწამს ეროვნება... ჩვენთვის ყველა გომი ერთია, მხოლოდ მუშა, პროლეტარი კი იყოსო... ჩვენ დღეს ახალი პროგრამა შემოგ-ვაქვს ცხოვრებაში და ახლა ჩვენ უნდა გვიყუროთო.“

ჩვენ ვუყურებთ და რას ვხედავთ? - ცარიელ სიჭყვას და ფარისეე-ლის ცრემლებს!.. იმ ზოგიერთ, ვითომ და მარქსელებს, დემოკრა-ტობით რომ თავი მოაქეთ, მხოლოდ იმდენად აგონდებათ ხალხი და უმცროსი მოძმე, რამდენადაც ეს მათ კუჭს არგებს... მორჩა და გა-თავდა!.. (გ. XIV, გვ. 308).

ასე აფასებს ა. წერეთელი ქართველი სოციალ-დემოკრატების მოღვა-წეობას. ესენი ის პიროვნებანი იყვნენ, რომლებიც თავდაყირა აყენებდნენ „თერგდალეულთა“ ეროვნულ მოძღვრებას და მაგერია-ლური კეთილდღეობის ილუზიებით თავგმას უბნევდნენ ხალხს.

ასეთი იყო მოძღვრება „ნაციის უარმყოფელი“ და „საზოგადო პროლეტარიატის“ გამფეტიშებელი ამ „ცრუ-მარქსელებისა“, რომ-ლებმაც, სხვებთან ერთად, აკაკისაც მწარედ შეუტყის, ისინი ყოველნაი-რად ცდილობდნენ, „ხალხის თვალში დაემცირებინათ და გაეთასნი-რებინათ“ ყველა, ვისაც რაიმე გაეკეთებინა ერის სასიკეთოდ. მათ შორის იყო ა. წერეთელიც, ერთი უმთავრესი ბურჟუაზიანი „მესამო-ყე“ წლების თაობისა.

ილია და აკაკი მათთვის, უპირველეს ყოვლისა, ხალხის მყელეფე-ლი გულქვა მებატონეები იყვნენ, რომლებიც თითქოს მხოლოდ საკუ-თარ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ. ამ თვალსაზრისით, როგორც

ცნობილია, მათ განსაკუთრებული რისხვა დააგეხეს თავს ი. ჭავჭავაძეს. თუმცა არც აკაკი დაუზოგავთ. ამის დამადასტურებელი მაგალითები საკმაოდ გვხვდება მოგვიანებითაც, საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, როცა ახალი ეპოქის საჭეთმპყრობელები დაეინებით ცდილობდნენ ჩვენი ერის სათაყვანებელ ადამიანთა სახელები ხალხისთვის შეეძულებინათ და ლაფით მოესყარათ.

ეროვნებისა და წინაპართა მგმობელი გადაგვარებული ქართველები, რომლებიც მონური ერთგულებით იდგნენ იმპერიის სამსახურში და პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას უყოყმანოდ სწირავდნენ სამშობლოს ინტერესებს, აკაკის ერის მოღალატეებად მიაჩნდა, მამულუკებისა და იანიჩარების - ამ „გადარჯულებული ქართველების“ - ლეიძლ შთამომავლებად. ისინი „ძირეულ თათრებზე უფრო ემტერებოდნენ საქართველოს, სღეენიდნენ სჯულსა და ეროვნებას“ (გ. XIV, გვ. 320).

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ეს სიგყვები ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით დაწერილი წერილიდანაა ციტირებული („ნუ მიწამლათ მოხუცს გრძნობას!“). ილიას მკვლელობა მას იმ ვითარების ლოგიკურ შედეგად მიაჩნია, რომელიც საქართველოში საკუთარი ნებით გამამულუკებული და გაიანაჩარებული ქართველების ახალმა მემკვიდრეებმა დაამკვიდრეს.

ეროვნების მგმობელი ასეთი ქართველების გონსმოსაყვანად და თვალისასახელად მწერალი ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ „ფერადოვანი კაცობრიობა სხვადასხვა ნაციის, ეროვნებისაგან არის შემდგარი და თვითეულმა მათგანმა თავისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიგანოს, რომ აივსოს საკაცობრიო მღვა!.. თვითეულ კაცს, თავის ნაციასთან თანშემზრდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს, ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს?“ (გ. XIV, გვ. 346-347).

ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების მტკიცება დრომ და ვითარებამ გახადა აუცილებელი, რადგანაც ცხოვრების ასპარეზზე აღმევებული კოსმოპოლიტები მხოლოდ კლასობრივი ინტერესებით იფარგლებოდნენ და გააფთრებით იბრძოდნენ ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, განსხვავებით ქართველი ერის პატრიოტი შეილებისაგან, როძელნიც ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ეროვნული პრობლემების მოგვარებას ისახავდნენ, ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთი პარტიული საქმიანობის უპირველეს პერსპექტივად კლასობრივი უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლას მიიჩნევდნენ. კლასობრივ-პარტიულმა თვალთახედვამ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში იმდენად დიდი ადგილი დაიმკვიდრა, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გააქტიურების პირველი წლებიდანვე მოყოლებული ისინი უკომპრომისოდ უპირისპირდებოდნენ ყველას, ვინც ეროვნული ინტერესების დასაცავად რაიმეს აკეთებდა.

ამ თვალსაზრისით მათთვის ყველაზე მეტად მიუღებელ პიროვნებას უპირველეს ყოვლისა ი. ჭავჭავაძე წარმოადგენდა. ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის პრიციპულად უარსაყოფი იყო ის დიდი ეროვნული პროგრამა, რომელსაც ილია და მისი თანამოაზრეები ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტიულ გზად სახავდნენ. უწინარესად სწორედ ეს გარემოება გახდა საფუძველი ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ გაჩაღებული იმ გააფთრებული ბრძოლისა, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა XIX საუკუნის 90-იან წლებში წამოიწყეს და წინამურის გრაფედიით დააგვირგვინეს. თუმცა ეს სამარცხვინო ბრძოლა ჩვენი ერის სულიერი მამის ავაზაკური მკვლელობით არ დასრულებულა და შემდგომ წლებშიც გაგრძელდა აქტიურად.

ქვეყანაში რეალურად არსებული მდგომარეობის გაცნობიერებამ ქართველი სოციალ-დემოკრატები ნათლად დაარწმუნა იმაში, რომ ილიას ფიზიკური მკვლელობით მათი მიზანი მიღწეული მაინც არ იყო და ჩვენი ერის საუკეთესო ნაწილი კვლავაც ილიას ეროვნული იდეების ერთგული რჩებოდა. ამ ამბით შეშფოთებულმა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა დიდი მამულიშვილის ფიზიკური განადგურების შემდეგ თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ამჯერად უკვე მისი იდეების წინააღმდეგ ბრძოლა გაიხადეს, ილიასა და მისი თანამოაზრეების სახელისთვის ჩირქის მოცხება და მათი ღვაწლისა და მსოფლმხედველობრივი მრწამსის გაყალბება.

ამ თვალსაზრისით იმ პერიოდის „მარქსისტ კრიტიკოსთაგან“ აგრესიულობით ყველაზე მეტად ფ. მახარაძე და ნ. ჟორდანიას გამოირჩეოდნენ. მათი კრიტიკულ-პუბლიცისტური საქმიანობის უმთავრეს მიზანსწრაფევად სწორედ ილიასა და მისი ეროვნული იდეების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა იყო ქცეული.



ეს ბრძოლა XIX საუკუნის ბოლო წლებში ნ. ყორდანიას მიერ „კვალის“ ფურცლებზე ილიას წინააღმდეგ მიმართული წერილების გამოქვეყნებით დაიწყო. მაშინ ამ ბრძოლაში ილიამაც მიიღო მონაწილეობა. ახალმოსულის ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში“ დასტამბული საპასუხო წერილებით დიდმა მწერალმა ჩვეული პირდაპირობით განუმარტა მკითხველს თავისი ოპონენტის შეხედულებათა აბსურდულობა.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას ამით არა თუ წერტილი არ დასმია, არამედ, პირიქით, სულ მალე ახალი მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. მათგან ყველაზე მეტი აგრესიულობით ფ. მახარაძე გამოირჩეოდა.

მისმა ბრძოლამ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ კულმინაციურ წერტილს 900-იან წლებში მიაღწია, განსაკუთრებით იმ დროიდან, როცა ფ. მახარაძე სათავეში უდგება ეურნალ „მოგზაურს“ და სცემს წიგნს „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“. ამ პერიოდიდან (1904-1905 წლები) ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ ფ. მახარაძისა და მისი თანაპარტიელების ბრძოლა მათი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანსწრაფვად იქცა.

სამწუხაროდ, ეს ბრძოლა ილიას ფიზიკური მკვლელობით არ დამთავრებულა და წინამურის გრაგედის შემდგომაც გაგრძელდა განახლებული ძალით.

ერთ-ერთი პირველი წერილი, რომლითაც ფ. მახარაძემ ილიასა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ გაილაშქრა, ეურნალ „კვალში“ (1898 წ., №31) გამოქვეყნებული სტაგია „საიუბილეო ბროშურა“ იყო, კრიტიკული რეცენზია ი. ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოცემული მეგახლავარის (მიხეილ ნასიძის) წიგნისა, სადაც რეცენზენტი მწვავედ ეკამათებოდა ბროშურის ავტორსაც და ილიას ღვაწლის სხვა დამფასებლებსაც, რომელნიც ი. ჭავჭავაძესა და სამოციანი წლების სხვა „მოღვაწეებს“ (ბრჭყალები ფ. მახარაძისა) თითქოსდა მეცდომით მიიჩნევდნენ ბაკონყმური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ პირველ მწერლებად, სინამდვილეში პირველ ასეთ ქართველ მწერლად, ფ. მახარაძის ამრით, დანიელ ჭონქაძე უნდა ჩაგვეთვალა, სოფლის უბრალო მღვდლის შვილი, ჩამომავლობით დუშეთელი გლეხი.

ეს თვალსაზრისი, სხენებულ წერილში ასეთი მოკლე თეზისის სახით ჩამოყალიბებული, შემდგომში საფუძვლად დაედო ფ. მახარაძის ერცელ ნაშრომს „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, რომელიც ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1904 წელს.

დ. ჭონქაძის მოთხრობის აპოლოგიით ფ. მახარაძე ცდილობს კი-

დეე უფრო დაამდაბლოს ი. ჭავჭავაძისა და მისი თაობის როლი ბატონყმური წყობილების კრიტიკის საქმეში. ილია წიგნის ავტორმა იმ სასტიკ და გულქეა მებატონედ წარმოგვიდგინა, რომლის ცხოვრების მთავარი მიზანსწრაფვა თურმე მხოლოდლა მისი თავადური ინტერესების დაკმაყოფილება იყო.

იმ გარემოებას, რომ XIX საუკუნის ჩვენი მწერლობა, გარდა დ. ჭონქაძისა, სათანადოდ ვერ ამსულდა ბატონყმური წყობილების სისაძაგლეებს, ფ. მახარაძე ორი ძირითადი მიზეზით ხსნის: მაშინდელი ჩვენი მწერლების გონებრივი განუვითარებლობითა და მათი წარმომავლობით. ფ. მახარაძის ამრით, ჩვენი მწერლობის „ასეთი სილაჩრის, გონებრივი სიბეჩაეისა და გაუბედაობის განმაპირობებელი უმთავრესი მიზეზი პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი „წარჩინებულ წოდებას, გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდნენ. მისი თქმით, „ამ სიბნელესა და მონურ მორჩილებაში ვარსკვლავით ბრწყინავს 1859 წლის ბოლო თვე, როცა „სურამის ციხე“ დაიბეჭდა“. ეს თარიღი, ფ. მახარაძის შეფასებით, „შეიძლება ჩაითვალოს ახალი დროის სათავეთ“. რაც შეეხება ი. ჭავჭავაძეს, მისი ნაწერების უმთავრესი მიზანი თურმე მხოლოდ ის ყოფილა, როგორ უნდა გაშოესწორებინათ ბატონყმური წყობილების ნაკლოვანი მხარეები.

ფ. მახარაძე ცდილობს „თვალის აუხილოს“ სამოგადოებას და გაფანტოს ფართოდ დამკვიდრებული ამრი იმის შესახებ, თითქოს ილია და მისი თაობა „ასპარეზმე გამოსვლისთანავე ჰქუხდენ და ჰჭეჭედენ ბატონყმობის წინააღმდეგ... საიდან ან როგორ გავრცელდა მესამოცე წლების მოღვაწეებზე ასეთი ამრი? როდის იყო, რომ თავად-ამნაურებს და განთქმული ოჯახის შვილებს ოდესმე ჩვენში ბრძოლა აუტეხოს ბატონყმობის წინააღმდეგ? ჩვენ განვიხილეთ ამ მხრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერი ამის მსგავსი იქ ჩვენ არ დაგვინახავს“ (ფ. მახარაძე, გ. 5, 1926 წ., გვ. 165).

ფ. მახარაძის წიგნში უამრავი ასეთი „გონებამახვილური“ დასკვნა და შეფასებაა გამოთქმული. ავტორი, მაგალითად, მთელი სერიოზულობით ამტკიცებს იმას, რომ „მწერლობა ჩვენში უფრო ძალათ გადმონერგილი მცენარე იყო, ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. ამიტომ იგი დაბადებიდანვე მკვდარი იყო, ხალხის ცხოვრების გარეშე იღვა და მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა“.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, იგი, მართალია, „ერთ დროს მართლაც დიდად გავრცელებული იყო ჩვენში..., მაგრამ ღლეანდელი

მშრომელი ხალხი მას, რაც დრო მიდის. ნაკლებათ ეგანება და მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხისტყაოსანს“ უფრო ეგანება და ვასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში. რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსაელეთის რაინდული ცხოვრება“.

ამგვარი იყო ის ძირითადი პრინციპები, რომელთა დამკვიდრებასაც კატეგორიული გონითა და თვითდაჯერებულობით ცდილობდა ახალი იდეოლოგიის ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი.

როგორც ითქვა, ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ეურნალი „მოგზაური“, სოციალ-დემოკრატების ლეგალური ორგანო, რომელიც 1905 წელს გამოდიოდა ფ. მახარაძის რედაქტორობით. ეურნალის ხელმძღვანელმა თავისი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად სწორედ ილიას, როგორც ხალხის მტრის, რეაქციონერი თავადისა და ნაციონალისტის, მხილება დაისახა და ფართო ასპარეზი შეუქმნა დიდი მწერლის მოწინააღმდეგეებს.

შედეგმაც არ დააყოვნა და ერთმანეთის მიყოლებით დაისტამბა წერილები, რომელთა ავტორებიც ი. ჭავჭავაძეს ნათლავდნენ „მთელი თავადაზნაურობის ვეჟილ აპეკუნად“, „მაბებღარად“, „ცილისმწამებლად“, ვინც „თავისი მათლაფების ნარეცხს აჰქმევდა მექათამე დედაბერს, ცემა-გყეპას და თმით თრეუვას არ აკლებდა მოურავის ცოლს“. ასე ცხადდებოდა ილია გლეხობის მყელეფულ და ამწიოკებულ იმ მებაგონედ, რომლისთვისაც „გყული ივიე იყო, რაც წყალი თევზისათვის და ჰაერი კაცისათვის“ („მოგზაური“, 1905 წ., 15 მაისი).

ეურნალის 1905 წლის მე-13 ნომერში ვ. ნ.-ს სტატიაც დაიბეჭდა - „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, რომელშიც ილია გულქვა მებაგონედ და უზნეო თავადად იყო გამოცხადებული. გაზეთმა „ივერიამ“, რომელსაც ამ დროს ფ. გოგინაიშვილი რედაქტორობდა, 54-ე ნომერში დაუყოვნებლივ გადმობეჭდა ეს წერილი და თან ასეთი მინაწერიც გაუკეთა: „ნუ-თუ ეს აღმაშოთებელი ამბავი მართალია? ნუ-თუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავეჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენტის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს“.

ილიას გულისტკივილი კიდევ უფრო გაუმძაფრებია მშობლიური გაზეთის ასეთ ორპოფულ და იჭვნულ პოზიციას. თავის საპასუხო წერილში „ნუ-თუ“, რომელიც „ივერიის“ 68-ე ნომრის ცალკე დამა-

ტებად დაიბეჭდა, მსცოვანი მწერალი თავეშეკავებული საყვედურით შენიშნავდა, რომ ხსენებული კორესპონდენციის ვადმობეჭდვით გაზეთმა, ჟაქტობრივად, სტაგისის პოპულარობას შეუწყო ხელი და უფრო მეტად გააერყელა იგი სამოვადოებაში.

სამწუხარო ისიც იყო, რომ ი. ჭავჭავაძის მიერ დაარსებულ გაზეთში, რომელსაც იგი მეოთხელი საუკუნის მანძილზე რედაქტორობდა და იქიდან მხოლოდ სამიოდე წლის წამოსული იყო, სოციალ-დემოკრატიებს უკვე მოესწროთ ილიას საწინააღმდეგო განწყობილების ვადვიება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთის მაშინდელი რედაქტორის ფილიპე გოვინაიშვილის მოგონება, რომელიც მას ალექსანდრე სიგუასიის უამბნია: „რედაქციაში იყვნენ თანამშრომლები, რომლებიც მიითხოვენ, რომ თუ ილიას პასუხი დაიბეჭდებოდა გაზეთში, მაშინვე გაფიცვას მოეაწყობთო. ერთი-ერთი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო დიმიტრი ჯაში, რომელიც კატეგორიულად მიითხოვდა არ დამბეჭდოდა ილიას პასუხი. თუ მისი სურვილის წინააღმდეგ წერილი დაიბეჭდებოდა, მაშინ მე იგი მემუქრებოდა ყველა მუშის საერთო გაფიცვით...“

მივმართე სხვა საშუალებებს, რათა დამბეჭდოდა ილიას პასუხი. წერილი ავაწყვე ცალკე გვერდად და დამატების სასიო ჩავდე „ივერიაში“ და თანაც შენიშვნა გაუკეთე, რომ ავტორის მოსამბრებას რედაქცია არ იზიარებს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამით ილია გულმოსული დარჩა)“ („მნათობი“, 1989 წ., №6, გვ. 158).

დაუმსახურებელი ბრალდებებით უზომოდ შეწუხებული ილია თავის საპასუხო წერილში გულისტკივილით წერდა: „ნუთუ ეს არის იგი მაღლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შეხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეგანებით.“

... ნუთუ ეს ამისთანა შესაძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა რედაქციაში იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაპკენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეუღახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნინაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და ვინც არ ესიაშოვნება, ლაფი და გაღახი შეასხას ან თავისის, ან სხვისა ხელით“.

ასე დადგა ერის მამად შერაცხული მწერალი მწარე აუცილებლობის წინაშე, თავისი ხალხისათვის საქვეყნოდ ემტკიცებინა თავისი მნებობრივი უცოდველობა და პატიოსნება. მაგრამ უკუღმა დატრიალებული ბორბლის შეჩერება, სამწუხაროდ, შეუძლებელი აღმოჩნდა.

კლასობრივ-პარტიული იდეებით გონებადობრმავებული ადამიანების ილიას საწინააღმდეგო გულისწყრომამ ყოველგვარი თავშეკავების საზღვრები გაღმობთქა. მათგან ყველაზე მეტად მაინც ფ. მახარაძე აქტიურობდა, რომელმაც ი. ჭავჭავაძის „ნუ-თუს“ განისაქიქებლად ქურნალ „მოგზაურში“ (№ 18, 19) დაუყოვნებლივ დასტამბა წერილი „თავის გამართლებაჲ ასეთი უნდა! (პასუხად თ-დ ილია ჭავჭავაძეს)“.

სტაგია ილიას პასუხის შეფასებით იწყებოდა. ფ. მახარაძის აზრით, ეს პასუხი ისეთი საძაგლობა იყო, რომლის მსგავსი მას მის „გამომზრდაში... არც უნახავს და არც სხვებისაგან ვაუგონია“. „წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი თავისი ძალ-ღონით, მთელი თავისი არსებით მოწადინებულია მეორე პირი ლაჟში ამოსვაროს, სახელი ვაუტეხოს, დაამცროს, მიწასთან გაასწოროს, რომ თავისი თავი ყოვლად ჰაგოსნად, უმანკო არსებად დასახოს და ნამდვილად კი მსოლოდ თავისივე თავს ამცირებდეს, მიწასთან ასწორებდეს, თავისივე თავს სამარეს უთხრიდეს. აი ასეთ საქმეს ჩადის საქართველოს სასიქადულო მწერალ-პოეტი თ-დი ილია ჭავჭავაძე! მგერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის თავს უქნა. მისი უშეელებელი წერილი... თავის გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალდებო ოქმიბ თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისივე ხელით თავის მოკელა. თ-დი ი. ჭავჭავაძის წერილში არც ერთი სიგყა არაა, რომელიც მას არათუ ბრალდებიდან ათავისუფლებდეს, არამედ ამ ბრალდებას რამდენიმეთ მაინც ამსუბუქებდეს... ქათამბა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დანა გამომჩხრიკაო, - სწორედ ამბე ითქმის“.

ფ. მახარაძის დამოწმებული წერილი ნათლად აელენს იმ შემზარავ და ამამრზენ დამოკიდებულებას, რასაც ქართველი სოციალ-დემოკრაგები იჩენდნენ იმხანად ი. ჭავჭავაძისადმი.

იმისათვის, რომ ნათქვამბა მეტი კონკრეტულობა შეიძინოს, კვლავ მივმართოთ ციგირებას. „თ-დ ილია ჭავჭავაძეს, - წერს კრიგიკოსი, - ჩვენ იქამდისაც ვიციბობლით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „ივერიის“ № 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუსირების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმამბე მზად არის იარალით ხელში დაიცვას თავისი ინტერესები... ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება ქართველ მე-

მამულესთან. რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლინა და ეცყავებია. ჩვენ არ გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე უღმერთოდ გაყავედეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა".

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ცხელ გულზე ნათქვამი სიტყვები როდია. როგორც ფ. მახარაძის მთელი ცხოვრება და საქმიანობა ადასტურებს, ილიასთან მის ამდაგვარ დამოკიდებულებას, რაც დრო გადიოდა, მეტი სიმძაფრე და აგრესიულობა ემატებოდა. რასაც თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ხსენებული პუბლიკაცია მან დამატების სახით 1928 წელს გამოცემულ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მე-9 ტომსაც დაურთო.

მიუვბრუნდეთ ისევ დასახელებულ სტატიას. ი. ჭავჭავაძესთან მსოფლმსედველობრივი პაექრობა ფ. მახარაძემ თავიდანვე პიროვნულ ლანძღვა-გინებაში გადაზარდა და ყოველგვარი სამუალებით ცადა საზოგადოების თვალში იგი მზედაცემულ პიროვნებად გამოეყვანა. მისი ამრით, ილია, როგორც სასტიკი მემამულე, მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორ გაეყვლინა გლეხობა და ხელთ ევდო მისი ნაოფლარი.

იდეოლოგიური დოკუმებით ვონებადამრმავებული ოპონენტი გაუქიაქებელს არ გოვეს ილიას მოღვაწეობის არც ერთ მხარეს. მას გაულანძღავი არ დარჩენია დიდი მწერლის ეურნალისტური ღვაწლიც და ი. ჭავჭავაძეს, როგორც რედაქტორს, ამდაგვარი შეფასება მისცა: იგი „პრესის დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ სიმართლისათვის გზა აექცია, ჭეშმარიტება დაეფარა".

ილიას „ნუ-თუ“, ფ. მახარაძის ამრით, ისეთი დოკუმენტია, რომელიც უმტკიცეს არგუმენტებს შეიცავს აეგორის რეაქციონერობისა და გულქეაობის დასადასტურებლად და მან, „მოგზაურის" მიერ წაყენებული ბრალდებები თავისი „ნუ-თუთი" ოღნავაც კი ვერ შეარყია. მეტიც, კრიტიკოსის შეხედულებით, ილიას მიერ მოხმობილი მაგალითები კიდევ უფრო სარწმუნოს ხდიდნენ „ვ. ნ-ის წერილში გაკერით აღნუსხულ ფაქტებს და „ნუ-თუ“-ს აეგორის წინააღმდეგ უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, ვინემ მის სასარგებლოთ".

ილიასთან პაექრობაში გამარჯვების ილუზიას ფ. მახარაძეს ისიც განუმტკიცებდა, რომ მწერალი თავის ოპონენტებს პრესაში, ოფიციალურად, მეტად აღარ გამოჰასუხებია, რამაც აუფიქრებინათ, რომ მას აღარაფერი ჰქონდა სათქმელი და იძულებული იყო გაჩუმებულიყო. „ილიამ, - წერდა ფ. მახარაძე 1913 წელს, - თავის სათქმელი უკვე

სტიქა თავის „ნუ-თუ“-ში, მეგის თქმა მას აღარ შეეძლო" (ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. III, 1926 წ., გვ. 136).

როგორც ცნობილია, ხსენებული პოლემიკიდან ორი წლის შემდეგ სოციალ-დემოკრატიებმა ი. ჭავჭავაძე ფიზიკურადაც გამოასალმეს სიცოცხლეს. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ რასხან მათი მთავარი იდეური მოწინააღმდეგე ფიზიკურად ჩამოიშორეს ვზიდან, მათ იდეებს წინ უკვე ვერაფერი აღუდგებოდა და კიდევ უფრო ფართოდ გაეხსნებოდათ გზა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისაკენ.

მაგრამ მწარედ მოგყუევდნენ და წიწამურის გრაველიამ ილიას იდეების ახალი ძალით აღბეჭება გამოიწვია. „ნუსუ ვინმე უანაგიკოსებს ჰკონიათ, - წერდა იმ დღეებში ვაჟა, - რომ ილიების ხოცვით მოკლავენ თვით იდეას, რომელიც უკედავია და რომელსაც მხოლოდ ილიასთანა ადამიანებს შეუძლიათ ემსახურონ და არა უძღვროთ, უნიჭოთ, უეიცოთ და საზოგადოების ნაძირალებს".

მაგრამ ასე იოლად არც „სხვა საქართველო" თმობდა პომიციებს და ასპარეზზე გამოსული „დიდი ქართველები" განახლებული ძალით შეეცადნენ ერის სულიერი მოძღვრის ნაამრევის ამოშანთვას ხალხის გონებიდან. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არანაირ სიყალბესა და ფაქტების დამახინჯებას არ ერიდებოდნენ. ფიზიკურმა გერორომა როცა შედეგი არ გამოიღო, ახლა იდეების გეროროზე გადავიდნენ და ამ საქმის უპირველეს თავკაცად კვლავ ფ. მახარაძე მოგვევლინა.

ი. ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზების საქმეში ფ. მახარაძის აქტიურ მონაწილეობას ამ ბოლო დროს მიკვლეული და გამოქვეყნებული ბერი ახალი დოკუმენტიც ადასტურებს. ერთ-ერთი მათგანია 1913 წელს ნ. კიკნაძის მიერ ვ. ლენინისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ავტორი შემოფოთებით საუბრობს იმის შესახებ, რომ ფ. მახარაძის „სახელის წინააღმდეგ ნაციონალური დევნა საზარელ აგმოსფეროს ქმნიდა". ერთ-ერთი მთავარი ბრალდება. რომელსაც ხალხი, წერილის ავტორის თქმით, ფ. მახარაძეს უყენებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ ილიას მკვლელობა „იდეურად ინსპირირებული იყო ამ ამხანაგის მიერ". აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე ძალზე მნიშვნელოვანია 1913 წელს „სახალხო გაზეთში" (№ 892) დასტამბული ფილიპე გოგიჩაიშვილის წერილიც, რომელშიც ავტორი ფ. მახარაძეს „საქართველოს მიწის დამამძიმებელ აყაბაკსა და ქართველ პეროსგრაგეს" უწოდებს.

კიკა აბაშიძე კი 1913 წელს წერდა: „თუ აქამდე ვინმეს რაიმე ეჭვი ქონდა, თუ კიდევ ვისმე რაიმე ურწმუნოების აჩრდილი მოეკლინებოდა

იმ საზიზღარი როლის შესახებ, რომელიც ფ. მახარაძემ წიწამურის გრაგვლიაში ითამაშა, თუ კიდევ ვისმე ეგონა, რომ ფ. მახარაძეს და მის კამპანიას იუდას როლი არ უკისრებია - დღეს ეს აღარ არსებობს. კაცმა რომ თქვას, იუდას ვერ შევადარებთ ფ. მახარაძეს. იუდამ შეიგნო რა, რომ „მისცნა სისხლი მართალი... დააბნია ვერცხლი იგი გაძარსა შინა, ვანეშორა, წაეიდა" და თავი ჩამოიდრჩო".

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ასევე უაღრესად საინტერესოა ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის - ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონება, რომელშიც ციგლა ბერბიჭაშვილის - ილიას ერთ-ერთი ფიზიკური მკვლელის - ნაამბობია მოთხრობილი. 1923 წლის ზაფხულში ა. სულხანიშვილსა და ქ. ჩოლოყაშვილს ბერბიჭაშვილი ჩაეარდნიათ ხელში. დაკითხვის დროს ბერბიჭაშვილს მათთვის კონკრეტულად „დაუსახელებია იმ ჯგუფის წევრები, რომელთა ხელმძღვანელობითაც მომზადებულა ი. ჭავჭავაძის მკვლელობა. ესენი ყოფილან: თავმჯდომარე ფილიპე მახარაძე, ი. ჯიბლაძე, ი. რამიშვილი, ნ. ხომერიკი და პ. გელეიშვილი. ნ. ჟორდანიაც იყო მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო, რის შესახებ იყო ის კრება, სთქვა, მე ხელები დამიბანია ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდანიაც წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდიერობა. ვერც ვასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, მასაც მოკლავდნენ" (იხ. ლ. სანიკიძის „მესამე დასის" საქართველო, „განთიადი", 1989 წ., № 1, გვ. 159).

როგორც დამოწმებული მაგალითებითაც ჩანს, ილიასთან დამოკიდებულების საკითხში სოციალ-დემოკრატები საოცრად ერთსულოვანნი იყვნენ და ამ თვალსაზრისით ფ. მახარაძე სულაც არ ყოფილა გამონაკლისი. ეს იმითაც დასტურდება, რომ სწორედ მათი პარტია იყო ერთადერთი, რომელმაც დემონსტრაციულად თქვა უარი დიდი მწერლის დასაფლავებაში ყოველგვარი მონაწილეობის მიღებაზე.

მაგალითად, აი, რას წერდა ამის თაობაზე გაბზეთ „იმერეთის" 1913 წლის 114-ე ნომერში ვინმე „ქართველი": „ვინ არ მიიღო მონაწილეობა ილიას დასაფლავებაზე? ვისი კომიტეტი ვადგა ვანზე? ვინ აუკრძალა გლეხებს და მუშებს ილიას დაკრძალვაზე დასწრება? ვინ არ სცა პატივი ფეხზე წამოდგომით ილიას ხსოვნას და არ მოისურვა სამძიმრის ღებულის გამოგზავნა პეტერბურგიდან?.. ვინ გამოექმთაგა ილიას მკვლელობას? რაგომ? რისთვის?" - ყოველი აქ დასმული კითხვის უკან სოციალ-დემოკრატები რომ დგანან, ამის დანახვას დიდი დაფიქრება და განსჯა არ ჭირდება.



სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამდგვარი პოზიციის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შემქმნელებელი ფ. მახარაძეც იყო. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ილიას დაკრძალვის დღეებში: „ნუ-თუ ჩვენმა „ჭეშმარიტმა მამულიშვილებმა“ ვერ გაიგეს, რომ ჩვენ რევოლუციონურ აქტის მსხვერპლს (ე. ი. ილიას) გვირგვინს არ მიეუგანთ საფლავზე, სამძიმარს არ გამოუეცხადებთ?“ (გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წ., 5 სექტ.)

არც მიუგანიათ და არც გამოუცხადებიათ! იმდენი გაქტიცა და დიპლომატიაც კი არ ეყოთ, დროებით, საყოველთაო გლოვის დღეებში მაინც, რომ არ დაეჭირათ თავი ასე გამომწვევად და ბოლომდე არ გადმონთხიათ გულში ჩავუბებული ბოლშა.

როგორც ითქვა, ი. ჭავჭავაძესთან ფ. მახარაძის დაპირისპირების უმთავრესი საფუძველი მსოფლმხედველობათა დიამეტრალური განსხვავებულობა იყო, მოვლენათა შეფასება მკვეთრად გამოხატული კლასობრივი თვალთახედვით. ფ. მახარაძის პარტიულ-სოციალური შესედულებანი, ფაქტობრივად, უეროვნო კაცის პოზიციას. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით 1920 წელს გაზეთ „საქართველოს კომუნისტის“ მე-7 ნომერში: „ჩვენ ეროვნული იდეალების ნაცვლად კლასობრივ იდეალებს ვაყენებთ წინ... ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა არა ეროვნული თვით გამორკვევა, არამედ კლასობრივი თვით გამორკვევა“.

ცხადია, ასეთი პიროვნებისაგან, ვინც თავადვე აღიარებდა, რომ ეროვნული იდეალები მისთვის მეორეხარისხოვან და უმნიშვნელო პრობლემას წარმოადგენდა, სრულებით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოულოდნელი ილიას გამოცხადება რეაქციონერად. თუმცა ილია გამონაკლისი სულაც არ ყოფილა და იგი ასეთ შეფასებებს აძლევდა ყველას, ვინც მისეულ „ინტერნაციონალურ კლასობრივ მოძღვრებას“ არ იზიარებდა. სწორედ ამგვარი ბრძოლა გაუმართა მან ფედერალისტ-აუტონომისტებს, საერთოდ, ეროვნულ პოზიციებზე მღვარ იმდროინდელ ბევრ ჭეშმარიტ მამულიშვილს.

1904 წელს გამოცემულ წიგნში „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“ ფ. მახარაძე დაბეჯითებით ამტკიცებდა: „...არიან ისეთი ხალხნი, თითქო ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომელთაც არ ყოლიათ გენიოსი მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენელნი და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ხალხი ამოძრავებულიყოს რომელიმე მაღალი იდეის სახელით და მისი მოგონება ღირს-სახსოვარი გამხდა-

რიყოს შთამომავლობისათვის.

თქმა არ უნდა, რომ ასეთი ხალხის ცხოვრება მეგად საბრალლოა; მის წარსულ ცხოვრებას არ აცისკროვნებს და არ აბრწყინებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამალღებდეს გრძნობაგონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი. ეინც ჩვენ ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში. აქ თქვენ ხედავთ ხალხის უბოროტ ჭაპან-წყვეტას, შეუწყვეტელ ომებს და სისხლის ღვრას, მაგრამ ვერც ერთ ისტორიულ ფაქტს. რომელშიაც იხატებოდეს ხალხის სულისკვეთება და მისი მისწრაფებანი...

...ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების სიგყვით გადიდებული ვაებაგონი, რომელსაც ამ ისტორიის არაფერი არ გაეგება, უჭკველათ დაგვიძრახავს ასეთი აზრის გამოთქმისათვის ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ. როგორ თუ ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცის ბრწყინვალე ხანა, როგორ თუ ჩვენ არ გვეყოლია დიდებული პირებიო? - დაგვეკითხებიან ჩვენ ვაოცებით, - განა დიდებული პირები არ არიან ვასგანგ გორგასლანი, ბაგრაგ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ერეკლე მეორე და სხვა? განა ბრწყინვალე ხანათ არ ჩაითვლება ჩვენს ისტორიაში თამარ მეფის დრო? თქვენ ამაოთ დაეკითხებით ასეთი ბრმა თაყვანისცემით და უპეტრებით გატაცებულ ვაებაგონთ: რით ისახელეს თავი ამ პირებმა!..

მართალია, ჩვენს მწერლობაში არის ერთათ-ერთი გამოჩენილი პირი - შოთა რუსთაველი თავისი „ვეფხისტყაოსნით“, მაგრამ რუსთაველი არ ვადმოგვეცემს თავის ნაწარმოებში ხალხის სულისკვეთებას და მის მისწრაფებათ. „ვეფხისტყაოსანში“ თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას; ის მლაპრული პოემაა აღმოსავლეთის კილოზე, სადაც ვადმერთებულა ქალ-ვაჟის სიყვარული, მონური წესწყობილება და მონური ცხოვრება. ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი მკითხველი, რომელიც უსაქმოთ და უდარდელათ აგარებს დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, მაგრამ იგი არასოდეს არ შეიძლება ვახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ. დარწმუნებული ვართ, ასეთი აზრი ზოგიერთ ვაებაგონს არ მოეწონება და მის გამოთქმელს სასტიკათ ვაკიცხავენ, მაგრამ სულ ერთია, ამით სინამდვილე როდი შეიცვლება (იხ. ფ. მახარაძე, თხზ., ტ. 5, 1926 წ. გვ. 102-103).

1917 წელს კი წერდა: „ნაციონალური საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წარმოადგენს ერთნაირ შემაფერხებელ ზღუდეს, რომელიც დგას ინტერნაციონალიზმის და სოციალიზმის გზაზე. ამიტომ საჭი-  
36

როა როგორმე მისი თავიდან მოშორება. რომ ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს ვბა გაუქუაყოთ" (ფ. მახარაძე, თხზ., ტ. 4, 1924 წ., გვ. 125). ხოლო ქვემოთ აგრძელებდა: „ჩვენი მიზანია სოციალიზმი და არა ნაციონალიზმი. სოციალ-პარტიოტები კი ყოველგან ნაციონალურს ხელავენ; იმათთვის ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ენას, ნაციონალურ მწე-ჩვეულებათ თავისი დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმატალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ მწე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია" (იქვე, გვ. 128-129).

ამ ვრცელი ამონაწერების მოგანა, ვფიქრობ, აუცილებელი იყო ავტორის თვალსაზრისის ნათელსაყოფად; და ამ შემთხვევაში მთავარი და არსებითი ისაა, რომ ფ. მახარაძე გამონაკლისი არ ყოფილა და ამგვარად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბევრი წარმომადგენელი ამროენებდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

ეკამათებოდა რა ქართულ „ნაციონალისტებს" (როგორც წესი, „ნაციონალისტებში" იგი გულისხმობდა ყველას, ვინც საქართველოს მომავალს ეროვნული სუვალთახედვით სჯიდა), ფ. მახარაძეს არა თუ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა შიაჩნდა საბედისწერო შეცდომად, არამედ ავტონომიის მოთხოვნაც კი. „ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით, - წერდა იგი 1905 წელს, - იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენის ამრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ხელს შეუწყობს რეაქციონურ ძალებს კონგრ-რევოლუცია გააძლიერონ და მით რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წეს-წყობილების დაფუძნების საქმე" (თხზ. ტ. 4, გვ. 62-63).

ფ. მახარაძის ამრით, საკითხის ამგვარად დასმაც კი არავინიერული იყო, რადგანაც თვლიდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრების დაწესება, მშრომელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოთა შორის „ზღუდეების ამართვას" გამოიწვევდა. ამიტომაც მიიჩნევდა იგი თავის უმთავრეს პარტიულ მიზანსწრაფვად ამ ზღუდეების დანგრევას და აღნიშნავდა: „მთელი ქვეყნის მუშა ხალხის მიზანს შეადგენს ამ ზღუდეების დანგრევა და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის შეერთება" (თხზ. ტ. 4, 1924 წ. გვ. 22).

ანგრევდნენ და აერთიანებდნენ კიდეც! სამწუხაროდ, ყველაზე თანმიმდევარნი და პრინციპულნი ამ საქმეში ქართველი სოციალ-დემოკრატები გამოდგნენ.

ფ. მახარაძე სოციალიზმისათვის დალატად თვლიდა ეროვნული

გრძნობების განსამტკიცებლად მიმართულ ყოველგვარ ბრძოლას. იგი ირონიითა და დაცინებით საუბრობდა „ჩვენ დიდებულ წარსულსა“ და გარდასულ საუკუნეთა „ყოველად უმნიშვნელო არქეოლოგიურ წარწერებზე“, რომელთა გამო ერებს შორის შუღლის ჩამოგდება და ამის გამო „ერთი ერის მუშების მეორე ერის მუშებისთვის მისევა ბურჟუაზიული პარტიებისათვის ძლიერ ხელსაყრელ“ საშუალებად მიაჩნდა. მისი აზრით, კაცობრიობის „დიდი სოციალური კითხვის“ გადაწყვეტა მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა - ეროვნული ბარიერების ვადალახვითა და „სხვადასხვა ერთა შორის განსხვავებულობის“ მოსპობით.

ამიგომაც თვლიდა იგი „სხვადასხვა ერის „პატიოების“ მიერ წარსულის „დიდებაზე“ და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე ოცნებას ამ „დიდი სოციალური მიზნისადმი“ ლაღატად (ტ. 4, გვ. 59, 62), „გამოკვეთილი კლასობრივი შეგნებიდან“ უკანდახევად და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა ყველა „საქართველოსს“.

ფ. მახარაძის აზრით, ეროვნული დამოუკიდებლობის ან ავტონომიის მოტრფიალე ეს ადამიანები „სხვადასხვა ჯურის ქართველი ნაციონალისტები იყვნენ, რომელთა ფრთებქვეშ თავს იყრიდნენ წარშობადგენლები ყველა რეაქციონურ ელემენტებისა და სამოგადობრივ ჯგუფებისა, როგორებიცაა, მაგალითად, ქართველი თაყადაზნაურობა, ქართველი სამღვდლოება და ქართველი ბურჟუაზია“, რომელთაც აქტიურად უპირისპირდებოდა „პროლეტარიატისა და გლეხობის ყველაზე შეგნებული ნაწილი“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშა პარტიის მეთაურობით, „მეგის-მეგად გადაჭრით“ მებრძოლი ძალა „საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ მოთხოვნებში ხედავდა საქართველოს მქონებელ კლასების მხოლოდ რეაქციონურ და შოვინისტურ მისწრაფებებს“ (თხზ., ტ. 4, გვ. 118).

ავანტიურისტულმა რწმენამ იმისა, რომ მხოლოდ ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთების გზით იქნებოდა შესაძლებელი მშრომელთა ბედნიერების მიღწევა, ფ. მახარაძესა და მის თანამოაზრეებს ყველაფერი გააკეთებინა საქართველოს ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დასამზობად. ისინი სიამაყით აცხადებდნენ, რომ ამ დამოუკიდებლობის დაშობა და საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოყვანა მათი დამსახურება იყო.

1921 წლის 13 მარტს ნაძალადევის სახალხო თეატრში წარმოქმულ სიტყვაში ფ. მახარაძემ სიამაყით განაცხადა: „აქ მე გავიგე, რომ დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, თით-

ქო მე მოღალატე ვიყო, თითქო მე ბოროტი მიზნებით მოვეუძლოდი რუსის ჯარებს და სხვ. ასეთ პროვოკაციულ ხმებს მე დიდი ხანია მივეჩვიე. მე არასოდეს შეუშინებიათ არაერთარ მუქარას, ცილის წამებას, ვინაიდან ღრმად მწამდა და მწამს, რომ ის საქმე, რომელსაც მე ექმსასურები, არის უაღრესად მუშური და პროლეტარული...

ღიას, ჩვენ არ ვმაღავეთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი, ის ჯარი, რომელიც საუკეთესო დამცველია მშრომელებისა და მუშების ინტერესების. ღიას, ჩვენი ნებასურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელ-არმიელები, ჩვენ მოვეუძლოდით მათ. ნურვის კეთნია, რომ ისინი თავის ძალა-უფლებით მოქმედობენ. ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დაგოვებენ (ხაზი ავგორისაა - ა. ნ.). საქართველოს, მაგრამ მერწმუნეთ, რომ წითელ-არმიელები ჯერ კიდევ საჭირონი არიან ჩვენში" (თხზ, გ. 4, გვ. 211-213).

ხოლო მეორე ქართველი რევოლუციონერი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც დიდი ცდისა და მონდომების შედეგად მაინც გადალახა ლენინის წინააღმდეგობა და იგი საქართველოში წითელი არმიის ნაწილების შემოყვანაზე დაიყოლია, სიხარულით აღნიშნავდა: „...წითელი ნიაღვარი უახლოვდება თბილისს, ბურჟუაზიული ორგანიზაციების საძულველ კერას. თბილისის საათები დათვლილია“.

ეოგა უფრო ადრე კი, 1921 წლის 28 იანვარს, სტალინი იმხანად ბაქოში მყოფ ორჯონიკიძეს უღეკემებდა: „ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება გაწიოს მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლოა საჭირო შეიქმნას სამხედრო ჩარევა და საქართველოს ოკუპაცია“.

ასეთი იყო მსოფლმხედველობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ახალი საქართველოს ბედს ჭედდნენ. მათთვის საქართველო და თბილისი „ბურჟუაზიული ორგანიზაციების საძულველი კერა" (ს. ორჯონიკიძე) და „მთელი კავკასიის კონგრ-რევოლუციონერი ბუდე" (ფ. მახარაძე) გახლდათ. ამიგომაც თვლიდნენ ისინი საჭიროდ ამ „ბუდის" მოსპობას, რაც „წითელ რუსეთს" „მეჯგუფებული მსოფლიოს ყველა კონგრ-რევოლუციონერების" საფრთხეს ააცილებდა. სამწუხაროდ, მათმა ამდაგვარმა აქტიურმა ძალისხმევამ ნაყოფი მართლაც გამოიღო და 1921 წლის თებერვალში ეს „ბუდეც" დაემხო. ახალმა ხელისუფლებამ ქართველ პატრიოტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ან ფიზიკურად გაანადგურა, ან დაიჭირა, ნაწილი კი სამუდამო ემიგრაციაში წავიდა.

ნაძალადევის სახალხო თეატრში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასთან დაკავშირებით გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ფ. მახარაძე სიამაყით აცხადებდა: „ვიმეორებ, ღიას ჩვენ მოვეუძლოდით

წითელ არმიელებს, მაგრამ არა დასაპყრობად, არამედ ქართველი ხალხის და აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლად (ტაში). (ხაზი აკტორისაა - ა.ნ.). ჩვენ მოვედით აქ იმისთვის, რომ სამუდამოდ მოე-სპოთ და დაეშალოთ კონგრ-რევოლუციონური ბუდე, რათა რუსეთ-მაც დამშვიდებულათ უცქიროს ამ მხარეს" (იქვე, გვ. 214).

ასე აღსრულდა საქართველოს „გადარჩენის“ ფ. მახარაძისეული ოცნება, რასაც შედეგად სახელისუფლებო ასპარეზზე მისი აღბეებაც მოჰყვა: იგი ჯერ საქართველოს რეიკომის თავმჯდომარედ ინიშ-ნება. შემდეგ კი საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარედ, ამიერ-კავკასიის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, ამიერკავკასიის სფსრ ცაკის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ...

\* \* \*

1907 წლის 30 აგვისტო (ძვ. სტილით) ერთ-ერთი ყველაზე შემზარა-ვი და ტკივილიანი თარიღია ჩვენი ერის ისტორიაში. ამ დღეს ქარ-თველი სოციალ-დემოკრატიების მიერ ორგანიზებული გერაქტის შე-დეგად ავაზაკთა ჯგუფმა მცხეთასთან ახლოს. წიწამურის გყეში, სი-ცოცხლეს გამოასალმა ქართველი ხალხის სულიერი მამა და ყველა-ზე დიდი ჭირისუფალი ილია ჭავჭავაძე. მიუხედავად იმისა, რომ ამ საზარელი მკვლელობის საქმეს, ფარდა ბოლომდე დღესაც არა აქვს ახლილი, მკვლევართა უდიდესი ნაწილი თელის, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარი ამ ყველაზე დიდი დანაშაულის ორგანიზატო-რები ქართველი სოციალ-დემოკრატები იყვნენ, უშუალოდ შემსრუ-ლებლები კი ამავე პარტიის მიერ მოსყიდული ნაძირალები: გიგლა ბერბიჭაშვილი, ივანე ინაშვილი, გიორგი (ლომა) ხიზანაშვილი, პავ-ლე ფშაველიშვილი (აფციაური) და ეინზე იმერელი, რომლის სახელი და გვარი ბოლომდე დღესაც არაა დადგენილი. ყველა მათგანი სოცი-ალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. დასახელებულ პირებს აქ-ტიურ დახმარებას უწევდა ილიას მეტლე თედო ლაბაურიც.

დოკუმენტური წყაროებითა და თანამედროვეთა მოგონებებით სო-ციალ-დემოკრატიული პარტიის იმ აქტივისტთა შემადგენლობის გან-საზღვრავ ხდება შესაძლებელი, რომელნიც ი. ჭავჭავაძის მკვლე-ლობის საქმის უშუალო ორგანიზატორები ყოფილან. მაგალითად, აი, რას მოგვითხრობს ამასთან დაკავშირებით 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ალექსანდრე სულხანიშვილი: „1923 წელს, მაფხულში, ხელში ჩაგვითარდა ილიას ფიზიკური მკვლელი

ბერბიჭაშვილი. შეფიციულები მიზლით უყურებდნენ და გაგლეჯა უნ-  
ლოდათ მისი, მაგრამ ქაქუცამ აპაგია და დაქითხა... ბუერი გაეიგუო  
მისგან, პატარა ჯგუფის გვარები, რომლებმაც სიკვდილის განაჩენი  
გამოუგანეს ილიას. აი, ვინ იყვნენ ამ ევრაგული ჯგუფის წევრები:  
თავმჯდომარე ფილიპე მასარაძე, ისიდორე ჯიბლაძე, ისიდორე რა-  
მიშვილი, ნოე ხომერიკი და პეტრე გელეიშვილი. ნოე ჟორდანიაცი იყო  
მიწვეული ამ უდიერ კრებაზე, მაგრამ როდესაც გაიგო რის შესახებ იყო  
ის კრება, სთქვა, მე ხელები დამიბანაო ამ საქმეშიო და წავიდა. ჟორდა-  
ნია წავიდა, მაგრამ არაფერი გააკეთა, რომ შეეჩერებინა ეს უდიერება.  
ვერც გასცა პარტიული ამხანაგები, ალბათ იცოდა, რომ გაეცა, მასაც  
მოკლავდნენ" (ლ. სანიკიძე, „მესამე დასის" საქართველო, 1989 წ.  
გვ. 101).

როგორც ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტური მასალებითა და თა-  
ნამედროვეთა მიერ მოწვდილი წერილობითი ინფორმაციებით დას-  
ტურდება, აღნიშნული მკვლელობა სოციალ-დემოკრატიული პარტი-  
ის ხელმძღვანელობის მიერ იყო დაგეგმილიცა და რეალურად განხორ-  
ციელებულაც. ნათქვამის დასტურად მოვიშველიოთ რამდენიმე არ-  
გუმენტი იმდროინდელ მოღვაწეთა მოგონებებიდან.

ცნობილი ისტორიკოსი და მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე თბილის-  
ში, საბამეილის დუქანში, სადილობის დროს სრულიად შემთხვევით  
ქართველი სოციალ-დემოკრატების ქეიფს შესწრებია. მეინახენი ზა-  
ქარიას ნაცნობები ყოფილან და იგი სუფრასთან მიუპატიებიათ. რამ-  
დენიმე სადღევრძელოს შემდეგ ზაქარიას ილია ჭავჭავაძის სადღევ-  
რძელოს თქმა მოუნდომებია, რასაც მოქეიფეთა სასტიკი აღშუო-  
თება გამოუწვევია, ჩვენ „შაერამმელი ილია ჭავჭავაძის გოსტს არ  
შეესვამთო, - ამრებილან მესუფრენი. - ამ დღეებში მის მოკვლას  
ვაპირებთ და თუ გინდა შესანდობარი დავლიოთო. მოსმენილით თავ-  
ზარდაცემულმა ზაქარიამ თურმე მღვომარეობიდან გამორკვევაც ვერ  
მოასწრო, რომ სუფრის თამადას, ვინმე ისაკა აღხანაშვილს, ასეთ  
სიტყვებით დაუწვია ჩენი ეროვნული სიწმინდეებისა და ილიას ლან-  
ძღვა-გინება: „აი, თქვენი ხატები, აი, თქვენი საყდარი, აი, თქვენი  
მეფეები, ძაღლმა ჩ.....ჯ.....ს თქვენს მეფეებს, იმათ გახტს და გვირ-  
გვინს. აი, თქვენი ჭავჭავაძის ნაწერები, დაე.....ჯ.....ი იმის ნაწერებს,  
მ..... გყ.....ი იმის ნაწერები, ძაღლმა და.....ჯ.....ს იმის კალამს".

დანარჩენი თანამესუფრენი თურმე თამადას მიერ ნათქვამ ამ ბილწ  
სიტყვებს აღგაცებით უკრავდნენ გაშს და სიცილით იხოცებოდნენ.  
მოსმენილით თავზარდაცემულ და აღშოთებულ ზაქარიას მათთვის

ძალის თესლისგან გამოჩეილები უწოდებია, მაგრამ შეინახეებს მისთვის მეგის თქმის საშუალება აღარ მიუციათ, უმოწყალოდ უცემიათ და ცოცხალ-მკედარი ქუჩაში დაუვლიათ (ა. ბაქრაძე, ილია ჭავჭავაძე, 1984 წ. გვ. 155-156).

გადაწყვეტილება ილიას მოკვლასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახეში გამართულ სპეციალურ სხდომაზე მიუღია. გამოძიებისათვის მიცემულ ჩვენებაში ამ ფაქტთან დაკავშირებით სოფელ ნაგომარის მკვიდრი სანდრო გრეკოვი ასეთ რაიმეს აღნიშნავს: „მარშან ზაფხულში მე უცხოვრობდი ჩემ სოფელ ნაგომარში, რომელიც სოფელ ბახვიდან სამი კილომეტრითაა დაშორებული. რადგანაც ჩემი პატარა ძმა ავად გახდა, მე წავედი ბახეში ფერშალ პროკოფი ბერეჟიანთან ქინაქინის მოსაგანად. უკანასკნელის სახლში მე ვნახე მთელი კრება, რომელზეც ესწრებოდნენ ერძალომ და კალენიკე დოლიძეები, დიომიდე ბასილაშვილი და სხვები. კრებას ხელმძღვანელობდა ერთ-ერთი ჩამოსული ბათუმიდან. ილაპარაკეს გურიაში საქმის მდგომარეობის ირგვლივ და შემდეგ კი საკითხი წამოიჭრა თავადი ილია ჭავჭავაძის შესახებ. კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე უნდა იქნას მოკლული, რადგან მან ჩვენ გვიღალაგა და მისი მოკვლა დაადგინა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. გამოყოფილი იქნა გერორისგთა ჯგუფი ერძალომ და კალენიკე დოლიძეების და ბასილაშვილის შემადგენლობით. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მე მართლაც გავიგე, რომ თავადი ილია ჭავჭავაძე მოკლული იქნა" (პ. გუგუშვილი, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, 1938 წ. გვ. 19).

ბახვის კომიტეტის მიერ მიღებული ზემოთქმული დადგენილების აღსასრულებლად გერორისგთა ხსენებული ჯგუფი თბილისში ჩასულა, მაგრამ ფ. მახარაძეს გერორისგებისათვის საამისო უფლება არ მიუცია და უთქვამს: ამ საქმეში გურულები არ უნდა გაერიონ, საამისოდ მე უკვე მყავს აქაურები დაქირავებულიო. მას მხედველობაში ავაბაკების ის გუნდი ჰყავდა, რომელთა სახელები ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. ყველა მათგანი აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრი იყო.

ლ. სანიკიძის მახვილგონივრული შეფასებით, 1907 წლის 30 აგვისტოს დაგრიალეებულმა ამ გრაგიკულმა მოელენამ „უცნაური მთლიანობით გამოკვეთა „ერთობლიობა" საქართველოსი: ილია ჭავჭავაძე ორივე საქართველომ მოჰკლა - დასავლეთმა დაადგინა და აღმოსავლეთმა აღასრულა.



უცნაურობა უყვარს საქართველოს"... (ლ. სანიკიძე, „მესამე და-სის" საქართველო, 1989 წ. გვ. 102).

მიუხედავად იმისა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზების საქმე-ში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთ ლიდერს - ნ. ჟორდანი-ას უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა არ მიუღია, მან ეს მკვლე-ლობა მათი პარტიის რევოლუციური პრიციპებით გაზარტლებულ აქ-ტად მიიჩნია და ასეთი მკრეხელური რამ განაცხადა: „სადაც ხე იჭ-რება, იქ ნაჟოგებიც ცვივაო".

კაკასიის სამხედრო სასამართლომ ილიას მკვლელობაში ბრალ-დებულებს 1908 წლის 29 დეკემბერს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუგანა. მწერლის ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა თბილისის გე-ნერალ-გუბერნატორს წერილობით მიმართა, გაეთვალისწინებინაა-ის ფაქტი, რომ ილია კატეგორიული წინააღმდეგი იყო ნებისმიერი დამნაშავეისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოგანისა, რად-განაც იგი ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული სარწმუნოების კაც-თმოყვარულ პრიციპებს და მისი მეუღლის მკვლელებისათვის, რო-გორც „უბედურ და გზადანხეულ მოყვასთათვის", შეენდოთ დანაშაუ-ლი.

მიუხედავად მწერლის ქვრივისათვის მიცემული თანხმობისა, გა-ნაჩენის გამოგანიდან მერვე თვეს, 1909 წლის 21 აგვისტოს, ილიას მკვლელთაგან სამი - თედო ლაბაური, ვიორგი (იგივე ლომა) სიმა-ნიშვილი და ივანე ინაშვილი ჩამოადრჩვეს. პაველე შუშაულიშვილი (იგივე აფციური) უფრო ადრე, 1908 წლის 17 დეკემბერს, მოკლა პოლიციამ სოფელ მამკოდასთან. გივლა ბერბიჭაშვილი კი 1941 წელს გაასამართლეს, თავდაპირველად სიკვდილით დასჯის განაჩენი გა-მოუგანეს, შემდეგ კი ათი წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ციხეში გარდაიცვალა. ერთადერთი მკვლელი, რომელიც დღემდე დარჩა და-უსჯელი, „ვინმე იმერელის" მეტსახელით ცნობილი პიროვნებაა, რომ-ლის ნამდვილი ვინაობა კვლავაც დაუდგენელია და ბურუსით მოცუ-ლი.

# მოდერნისტულ-ავანგარდისტული ტენდენციები XX საუკუნის ქართულ მწერალთა შემოქმედებაში

XX საუკუნის ქართული მწერლობის განახლებისა და განვითარების პროცესი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული ევროპულ ლიტერატურაში იმხანად მიმდინარე მოვლენებთან. ეს პერიოდი იმდროინდელი ჩვენი მწერლობისათვის ფაქტობრივად ევროპეიზაციის, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების სრულიად ახალ ეტაპად იქცა. აღინდელ საუკუნეებში დაწყებულ ამ მოვლენას, რომელიც ი. ჭავჭავაძემ ევროპეიზმის სახელით მონათლა, მეოცე საუკუნის დასაწყისში სამოლეაწეო ასპარეზზე გამოსულმა მწერლებმა კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინეს. კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმდინარეობანი ბევრი მათგანისთვის იქცა შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და მწერლური ინდივიდუალობის გამოვლინების უმთავრეს ფორმად.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ევროპული ლიტერატურული სიახლეებით ამგვარი დაინტერესებისა და გატაცების შედეგად ჩვენი მწერლობა ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებს მოწყდა და შინაგანი გაუცხოების გზას დაადგა. რასაკვირველია, არა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მწერლის ამგვარ შემოქმედებით ძიებებში მშობლიური ლიტერატურული წიაღისგან მოწყვეტის საფრთხე ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულწილად მართლაც შეინიშნება, ამ ტენდენციას ფართო მასშტაბები არც ერთი მათგანის შემოქმედებაში არ შეუძენია და აღნიშნულ მოვლენას რეალურად ანგარიშგასაწევი ნეგატიური შედეგი ჩვენი მწერლობისათვის არ მოუტანია.

პირიქით, ევროპული ლიტერატურული სიახლეებით მეოცე საუკუნის ქართველ მწერალთა დაინტერესება მათთვის შემოქმედებითი იმპულსის გამღვივებელ იმ მძლავრ ძალად იქცა, რომელმაც არსებითად პოზიტიური როლი შეასრულა ჩვენს მწერლობაში სრულიად ახალი პროცესების დასამკვიდრებლად და განსავითარებლად.

ქართული ლიტერატურის „ევროპული რადიუსით გამართვის“ (ტ. გაბიძის სიტყვებით) საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი იმანაც შეასრულა, რომ ბევრ იმდროინდელ მწერალს განათლება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ჰქონდა მიღებული და არა მარტო წიგნებით

იყნობდა თავისი დროის ევროპული ლიბერატურის სიახლეებს, არამედ პიროვნული ურთიერთობებითაც იყო დაკავშირებული ამ სიახლეთა უშუალოდ შემქმნელ ავტორებთან (ნ. ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია, გ. რობაქიძე, ლ. ქიაჩელი, მ. ჯაფახიშვილი, პ. იაშვილი...). გემოთქმული თვალსაზრისით 900-910-იან წლებში მოღვაწე ბევრ ჩვენს მწერალს, XIX საუკუნეში მცხოვრები კოლეგებისაგან განსხვავებით, გაცილებით უკეთეს პირობებში მოუსდათ მოღვაწეობა. კერძოდ, თუ XIX საუკუნის ქართველ მწერალთათვის, გარდა რამდენიმე გამოჩენილისა (მაგალითად, ნ. ნიკოლაძე), ევროპული სულიერი კულტურის სიახლენი ძირითადად მხოლოდ რუსეთის გზით იყო ხელმისაწვდომი, 900-910-იან წლებში მოღვაწე მწერალთა ერთი ნაწილი ევროპაში სწავლისა და ცხოვრების პერიოდში არა მარტო უშუალოდ გაეცნო ამ სიახლეებს, არამედ გარკვეულწილად პიროვნულ მონაწილეობასაც კი იღებდა ევროპულ მწერლობაში იმხანად მიმდინარე პროცესებში.

ყოველივე გემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავივოთ, თითქოს ამით XIX საუკუნის ჩვენი მწერლების შემოქმედების მნიშვნელობას ვამცირებდეთ, მათ მსოფლიო ლიბერატურული მოვლენებისგან მოწყვეტილ ავტორებად მივიჩნევდეთ და XX საუკუნეში მოღვაწე ქართველ მწერლებს მათზე წინ ვაყენებდეთ. რასაკვირველია, არა.

სამწუხაროდ, ევროპულ სამყაროსთან პირდაპირი და სისხლხორციული კავშირ-ურთიერთობის ის მძლავრი გენდენცია, რითაც XX საუკუნის პირველი ორი ათწლეულის ჩვენი მწერლობა (და არა მარტო მწერლობა) ხასიათდება, საქართველოს გასაბჭოების დროიდან რამდენადმე სუსტდება და ევროპული სულიერი კულტურის სიახლენი ჩვენში ხშირ შემთხვევაში კვლავაც რუსეთის გავლით იწყებენ შემოსვლას.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ჩვენი მწერლობის განვითარებაზე. თუმცა საბჭოთა პერიოდის ქართული სულიერი კულტურისა და ლიბერატურის თავისუფლად და შეუზღუდველად განვითარებას მასზე მეტად ხელი იმ იდეოლოგიურმა დიქტატურამ შეუშალა, რომელიც იმეამად იყო დამკვიდრებული ჩვენს ქვეყანაში. ეს იდეოლოგიური დიქტატურა და მის შედეგად გაბატონებული შემბოჭველი ნორმატივები კატეგორიულად კრძალავდნენ ჩვენს მწერლობაში იმ სიახლეთა შემოტანას, რომელნიც საბჭოთა იდეოლოგიის პარტიული პრინციპებისათვის მიუღებელი და შეუსაბამო იქნებოდა.

უპირველეს ყოვლისა სწორედ ამგვარი პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერლობაში არავითარი ლიტერატურული დაჯგუფება თუ გაერთიანება აღარ შექმნილა.

გემოთქმული თვალსაზრისით არსებული ამგვარი ვითარების შეცვლის პროცესი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობას აღდგენის დროიდან, იწყება. აქედან მოყოლებული, ერთიანად იმსხვრევა ის შემზღვეველი ბარიერები, რომლებიც ჩვენი მწერლობის თავისუფლად განვითარებას უშლიდნენ ხელს. გაუქმდა ცენზურა, მთლიანად მოიშალა გარესამყაროსთან კავშირურობის გზაზე არსებული წინააღმდეგობანი, გაჩნდა განსხვავებული ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი მიმართულებების მქონე შემოქმედებითი ჯგუფები და გაერთიანებანი, გამოიცა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მიზანდასახულობის მქონე პერიოდული ორგანოები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესებს ჩვენს მწერლობაში არსებითი გარდატეხა ჯერჯერობით არ მოუხდენია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამგვარი შემოქმედებითი თავისუფლება მოძავეალში მასზე უსათუოდ მოახდენს დიდად კეთილისმყოფელ ზეგავლენას.

როგორც ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, გარესამყაროსთან დამაკავშირებელ გზაზე საბჭოთა პერიოდში არსებული ბარიერების დამსხვრევამ, რამაც ჩვენს სულიერ კულტურაში ბევრი რამ გადააფასა და წარმოაჩინა ახლებური კუთხით, ქართული მწერლობა მშობლიურ წიაღსა და ეროვნულ ფესვებს კი არ დააშორა და გააუცხოვა, არამედ კიდევ უფრო მეტად დაახლოვა და შეასისხლხორცა. ამ თვალსაზრისით ევროპული და ამერიკული ლიტერატურიდან შემოჭრილი მძლავრი ნაკადი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის გამომვლენ იმ ძალად შეიძლება მოგვევლინოს, რომელიც სამწერლო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლების ლიტერატურულ მოღვაწეობას მეტ შემოქმედებით ენერჯიას შესძენს.

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნის ჩვენს მწერლობაში მოდერნისტული ტენდენციების შემოგანისა და დამკვიდრების პროცესს საფუძველი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გამოსულმა მწერლებმა ჩაუყარეს (ვ. ბარნოვი, შ. არაგვისპირელი, შ. დადიანი, ჯ. ლომთათიძე...), ეს მოვლენა მათი ლიტერატურული მოღვაწეობის მაგისტრალურ მიმართულებად არ ქცეულა და გემოთქმული თვალსაზრისით არსებითი გარდატეხის მოხდენა მაინც იმ მწერალთა სახელებთანაა

დაკავშირებული. რომლებიც სალიგერატურო ასპარეზზე 900-910-იან წლებში გამოდიან (ნ. ლორთქიფანიძე, გ. რობაქიძე, ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გ. ტაბიძე, პ. კაკაბაძე, ე. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი...).

ევროპულ ლიგერატურულ სიახლეთა არსში ღრმად და საფუძვლიანად გარკვეულმა ამ მწერლებმა თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოსაყენებლად გზათა ძიების პროცესი აქტიურად დაუკავშირეს იმ მოღვაწისგულ-აუზანდისგულ ლიგერატურულ დაჯგუფებათა ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პრინციპების ქართულ რეალობაში გადმოტანასა და დამკვიდრებას, რომლებიც იმეამინდელი ევროპული მწერლობის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ. ამ მიმდინარეობათაგან ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი როლი სიმბოლიზმმა, იმპრესიონიზმმა და ექსპრესიონიზმმა შეასრულეს.

ს. სიგუას მართებული მოსაზრებით, „ქართული მოღერნიზმის აკვანია ქუთაისი. მთიარი იდეოლოგები: გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ტ. ტაბიძე, ე. გაფრინდაშვილი. თეორიული წყაროები - რუსული და ფრანგული სიმბოლიზმი, ძველი ბერძნული, გერმანული და რუსული ფილოსოფია და მისტიკა, გერმანული ექსპრესიონიზმი. პრაქტიკოსები პოეზიაში: გ. ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ე. გაფრინდაშვილი, ტ. ვრანელი, ი. ვრიშაშვილი, კ. ჭიჭინაძე... პროზაში - კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, გრ. რობაქიძე, შ. მელიქიშვილი, ნაწილობრივ ნ. ლორთქიფანიძე, ჭ. ლომთათიძე, ე. ბარნოვი. დრამატურგიაში - გრ. რობაქიძე. ეროვნული საწყისები თეორიის თვალსაზრისით - ა. ჯორჯაძე, კ. აბაშიძე და გ. ქიქოძე. მხატვრული ამროვნების მიხედვით - ვაჟა-ფშაველა, შორეული წინაპრები - რუსთაველი, გურამიშვილი და ბესიკი. 1919 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყუაილები“ - ქართული მოღერნიზმის სახარება“ (ს. სიგუა, მარტვილი და ალამდარი, ტ. 3., 2003 წ. 139-140).

მოღერნიზმსა და ავანდაგრნიზმზე მსჯელობის დროს აქვე იმ გარემოებასაც უსათუოდ უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ცნებათა არსი სამეცნიერო ლიგერატურაში (ჩვენშიცა და უცხოეთშიც) არაერთგვაროვნადაა განმარტებული. კერძოდ, მკვლევართა ერთი ნაწილი ამ მიმდინარეობებს შორის არსებით განსხვავებას ვერ ხედავს და ცალკეულ შემთხვევაში ხსენებულ ტერმინებს სინონიმური მნიშვნელობითაც კი სმარობს. სხვათა ამრით კი მოღერნიზმი და ავანდარნიზმი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ლიგერატუ-

რული მიმდინარეობანი არიან და მათი ერთმანეთთან გაიგივება პრინციპული სასიათის შეცდომაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან დაკავშირებით პირადად ჩემთვის ის თვალსაზრისია მისაღები, რომელსაც მ. ჯალიაშვილი გამოთქვამს მონოგრაფიაში „ქართული მოღერნისტული რომანი“. კერძოდ, მისი აზრით, „მოღერნიზმი ქართულ ლიგერატურათმცოდნეობაში გულისხმობს XX საუკუნის 10-იან, 20-იან წლებში ლიგერატურაში მიმდინარე პროცესს, რაც სიახლეთა ძიებაში (იმპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, ექსპრესიონიზმი...) გამოიხატა. მოღერნიზმი იქცა ყოველგვარი იმზის ერთგვარ გამაერთიანებელ ცნებად (თუმცა ამ იმზების „შიგნით“ არის ერთმანეთის გამომრიცხავი, სრულიად განსხვავებული გენდენციები. საზოგადოდ, ახალი (თუნდაც ხანდახან დაიწყებული ძველი) იქცა განმსაზღვრელად. ძირითადად, სწორედ XIX საუკუნის ლიგერატურასთან მიმართებაში) (მ. ჯალიაშვილი, ქართული მოღერნისტული რომანი, 2006 წ. გვ. 17).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს აღნიშნულ ლიგერატურულ მიმდინარეობათა გაერცელების მასშტაბებზე XX საუკუნის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, მოკლედ გადავავლოთ თვალი ზემოთქმული თვალსაზრისით არსებულ რეალურ ვითარებას.

\* \* \*

XX საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ ქართველ მწერალთაგან ნიკო ლორთქიფანიძე ერთ-ერთი პირველი შემოქმედია, რომელმაც აქტიური როლი შეასრულა იმდროინდელ ჩვენს მწერლობაში ევროპული ლიგერატურული სიახლეების შემოგანისა და დამკვიდრების საქმეში. იმპრესიონიზმის სახელით მონათლულ ამ სიახლეთა არსებითი ზეგავლენის კვალი მწერლის ნაწარმოებებში განსაკუთრებული ძალით შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველ წლებში იგრძნობა.

ამ გარემოებას ლიგერატურულმა საზოგადოებამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება. მაგალითად, ეურნალ „მეოცნებე ნიაპორების“ 1919 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სანდრო ცირეკიძემ ნ. ლორთქიფანიძე ქართული მინიატურის „ყველაზე უფრო პოპულარულ“ ოსტატად გამოაცხადა და აღნიშნა: „ლორთქიფანიძე იმპრესიონისტი... ის აიღებს რომელიმე ნაჭერს მთელისას და ამოხატავს. მის მინიატურებში ყოველთვის გრძნობთ, რომ ეპიზოდია მთელის“.

თუმცა, ნ. ლორთქიფანიძე გამონაკლისი არ არის და გარდა იმპრესიონიზმის მიმდევარი მწერლებისა, იმპრესიონისტულმა გენდენციებმა ქართველ „სიბოლისტთა და ექსპრესიონისტთა შემოქმედებაშიც (ვალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია) კპოვეს გამოვლინება“ (ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, 2002 წ. გვ. 50). ცნობილია, რომ იმპრესიონიზმის, როგორც შემოქმედებითი მხაგერული მიმდინარეობის, არსი ძირითადად ფაქტისაგან, მოვლენისაგან მიღებული შთაბეჭდილების ემოციურ გამოვლინებაზეა დაფუძნებული. ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელ პროზაში ეს თვისება არსებით მწერლურ პრინციპადაა ქცეული. ავტორი გრძნობიერი სიმძაფრით გამოხატავს ლირიკული გმირის სულიერ განწყობილებასა და მის პიროვნულ დამოკიდებულებას სამყაროსთან. მრავალფეროვანია ამ იმპრესიონისტული ჩანახატების თემატიკა. ახალგაზრდა მწერალი ცდილობს თავისებური ახსნა მოუძებნოს იმ საკითხებს, რომელნიც ოდითგანვე აწუხებდა კაცთა მოღვმას. ასე შემოდის მის პროზაში ემოციური გააზრება ისეთი პრობლემებისა, როგორებიცაა: სიცოცხლის აზრი და მიზანსწრაფვა, ადამიანის როლი და დანიშნულება სამყაროში, ფიქრი სიკვდილსა და წუთისოფლის წარმატელობაზე...

სწორედ ეს პრობლემური კითხვები განსაზღვრავენ, პირველ რიგში, ნ. ლორთქიფანიძის ადრინდელი პროზის ძირითად შინაარსს.

მოვლენათა აღქმა-წარმოსახვის იმპრესიონისტულმა მანერამ არსებითად განსაზღვრა ცხოვრებისეული სინამდვილის ფრაგმენტული წარმოჩენის ის გენდენცია, რითაც მწერლის შემოქმედებითი თეატათახედვა ხასიათდება მკაფიოდ და გამორჩეულად. ნ. ლორთქიფანიძის სტილური ინდივიდუალობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ქცეული ამ გენდენციის არსი თავად მან ამ სიტყვებით განუმარტა მკითხველს:

„მწერლები, გმირის ცხოვრებას თუ მიჰყევენ სელი, დაიწყებენ იმ წამიდან, როცა პირველად აახილა თვალი მოქმედმა პირმა, და ჩაყვებიან უკანასკნელ სადგომში - საფლავში... ვაჭიანურებულ სიტყვათა ფრქვევა ეამივით შეგაძულებს გმირსაც და მის ბიოგრაფიასაც.

მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებული, თავთავის ადგილზე კპოვოს.

მწერალმა მარმარილო, გილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი

ხაზი დაამზადოს, დაძთავრება, დაბოლოვება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს...”

სამყაროს ამგვარი ფორმით აღქმა-წარმოსახვის გემოთ ხაზგასმული პრინციპი, არსებითად განპირობებული იმპრესიონისტული წერის მანერით, ის თვისებრივი სიახლე იყო, რომელიც ჩვენს მწერლობაში შემოიტანა და დაამკვიდრა ნ. ლორთქიფანიძემ. მართალია, მწერლის სტილური ინდივიდუალობის შემდგომი დახვეწა-განვითარების გზა ძირითადად ეროვნულ ლიტერატურულ გრადიციებთან მკვეთრი დაასლოების მიმართულებით წარიმართა, მაგრამ მოვლენათა იმპრესიონისტული აღქმის მანერა, როგორც სტილური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ფორმა, ბოლომდე შემორჩა მწერლის მთელ შემოქმედებას.

ნ. ლორთქიფანიძის სტილური ინდივიდუალობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, რომლის დამამკვიდრებელ უმთავრეს ფაქტორად იმპრესიონიზმი იქცა, მისი პროზისთვის მკაფიოდ დამახასიათებელი რიტმულობაა. აღნიშნული გენდენცია მწერლის ნაწარმოებებში (განსაკუთრებით მინიატურებსა და ეგიუდებში) მოგვჯერ იმდენად მძლავრ გამოხატულებას პოულობს, რომ ისინი ამა თუ იმ ვერსიფიკაციული სალექსო საზომის (უპირატესწილად ათიანისა და თოთხმეტმარცვლიანის) კანონიკურ ჩარჩოებშიც კი ექცევიან და მხოლოდ ვიზუალურად თუ განსხვავდებიან პოეტურ ქმნილებათაგან.

რ. ხვედელიძის სიტყვებით თუ ვიგყვით, „ნიკო ლორთქიფანიძის რიტმული პროზა მუსიკალური ფრაგმენტებია. აქ სხეული თითქოს წონას კარგავს, ითქვიფება მუსიკალურ ხმებში და მის ნაწილად იქცევა. ეს ბუნების უშუალო მდინარებაში ხელოვანის ემოციური ჩართვაა. რიტმული პროზა სწორედ ამ მდგომარეობას გამოხატავს. ეს არის მყისიერი განწყობა სულისა, რასაც წარმოქმნის ბუნების პირველქმნილ მშვენიერებასთან შეხება. ეს საყოველთაო რიტმების სუბიექტური ანარეკლია, რასაც იწვევს მშვენიერი ლანდშაფტები. ეს უმაღლესი ემოციაა ხელოვანისა“ (რ. ხვედელიძე, მოდერნისტული ნოველა ქართულსა და უკრაინულ ლიტერატურაში, 2006 წ. გვ. 247).

XX საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში მოდერნისტულ-ავანგარდისტული გენდენციების დამკვიდრების საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ვრიგოლ რობაქიძემაც შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი ლიტერატურული ინდივიდუალობის გამსაზღვრელი ბევრი ნიშან-თვისება პირველ ყოვლისა სიმბოლიზმთანაა დაკავშირებული, იგი მხოლოდ ამ მიმართულების ესთეტიკუ-



რი პრინციპებით შემოსაზღვრული მწერალი არ არის და მის შემოქმედებაში სხვა მიმდინარეობათათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ტენდენციებიც ვლინდება თავისებური ფორმით (რომანტიზმი, ექსპრესიონიზმი, იმპრესიონიზმი). ამ გარემოებას თავად მწერალიც არაერთთვის უსვამს ხოლმე ხაზს. მისი თქმით, „ხელოვნება არ იფარგლება მარტო სიმბოლიზმით“.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში შემოქმედებითადაც და პიროვნულადაც ვრ. რობაქიძე პიროვნულად ყველაზე მეტად „ცისფერყანწელებთან“ იყო დაახლოებული. „ყანწელთათვის“ იგი უდიდესი ლიტერატურული ავტორიტეტის მქონე ის პიროვნება იყო, ვისაც ისინი თავიანთ მასწავლებლად და თეორეტიკოსად აღიარებდნენ. ამგვარ კრძალუასა და მოწიწებას, პირველ ყოვლისა, ის გარემოება განაპირობებდა, რომ „ცისფერყანწელების“ აზრით, გრიგოლი ქართულ მწერლობაში სიმბოლიზმის ერთ-ერთი პირველშემომგანი და აღიარებული წარმომადგენელი იყო. მაგალითად, გ. გაბიძის შეფასებით, „სიმბოლიზმი ჩვენში ვრ. რობაქიძემ შემოიტანა“ („ცისფერი ყანწები“. 1916 წ. №1 გვ.29). მისი შეფასებით, „იგი დაჯერებული სიმბოლისტია“ (ეურნ. „შეილდოსანი“, 1920 წ. №1, გვ. 14).

მაგრამ ზემოთქმული სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქოს ვრ. რობაქიძე „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის წევრი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლის ლიტერატურულ შეხედულებებსა და ქართველი სიმბოლისტების ესთეტიკურ ნააზრევს შორის ბევრი რამაა საერთო, ვრ. რობაქიძე „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის წარმომადგენელი არ ყოფილა და, როგორც უკვე ითქვა, მისი ლიტერატურული პრინციპების ჩამოყალიბებაზე იმპრესიონიზმმაც და ექსპრესიონიზმმაც მოახდინეს გარკვეული ზეგავლენა. ასე რომ, ვრ. რობაქიძის შემოქმედება, მათ შორის მისი ფართოდ გახმაურებული „გველის პერანგიც“, როგორც შეგუფან ცვაიგი ამბობს, „არაჩვეულებრივი, ვერა რომელ კატეგორიაში მოსაქცევი წიგნია“ („ბედი ქართლისა“, 1964 წ. №47. გვ. 20).

ვრ. რობაქიძისადმი „ყანწელთა“ დიდი სიყვარული იმითაც გამოვლინდა, რომ მას თავისმა უმცროსმა მეგობრებმა მრავალი ლექსი მიუძღვნეს, რომლებშიც პოეტური ფორმით მეორდება მათსავე ლიტერატურულ წერილებში გრიგოლისადმი გამოვლენილი პატივისცემა. ფაქტობრივად, არ დარჩენილა არც ერთი „ცისფერყანწელი“ პოეტი, რომელსაც რამდენიმე ლექსი არ მიუძღვნას რობაქიძისადმი. იმი-

სათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ამ ლექსების სულისკვეთებასა და ხასიათზე, გავისვენებ მოვიერთ მათვანს. მაგალითად, 1920 წელს გაზეთ „პოეზიის დღეში“ დასტამბულ გ. გაბიძის ლექსში გრ. რობაქიძე მიჩნეულია მელექსეთ ბაშად, დიდების ცეცხლით ნათელფენილი სამეფო კარვის მეუფედ და დანტეს გოლ პოეტად:

... გიგველ სირენას და მოთენთილ მადონას დაღალს  
ყველაფერს იგვეს შენი ლექსი მონადამატე.  
ბრინჯაოს ცხენით შემოგვხედება გოლივით დანტე,  
შუაღლის სიესეში გაალებულს მოვისმენს დამოკრალს.  
შენი ლექსია გაციეებულ ჰლანეკათ მარში.  
დიდების ცეცხლი მარად ვინთებს სამეფო კარავს,  
გამარჯვების მგეს მგებულობა ვეღარ დაფარავს.  
ძმას და მეგობარს მაამაყებ მელექსელებაში.

პაოლო იაშვილმა კი გაზეთ „ბარრიკადის“ 1920 წლის 7 იანვრის ნომერში დასტამბულ ლექსში გრიგოლს „ცისფერყანწელთა“ კარდინალი უწოდა. ამ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის საფუძველი უწინარეს ყოვლისა ის იყო, რომ გრ. რობაქიძე სიმბოლისტებს ჩვენში სიმბოლიზმის პირველ შემომგანად მიაჩნდათ. გ. გაბიძე წერდა: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიგანა გრიგოლ რობაქიძემ. მისი აქაყებულები სიტყვა, აღმამურენი ფანგაზია, თვალისმომკრული სახეები ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგამრდობისა. პირველად იმან შეგვახედა იოჰანანის მოჭრილ თავს, პირველად იმან მოგვასმენინა ნიცმეს მწვალებელი სიტყვა... გრ. რობაქიძის ლექსები პირველი სიმბოლისტური ლექსებია“ (გ. გაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, ჟურნ. „ცისფერი ყანწები“, 1916 წ. № 1).

ყანწელთა ეს აღფრთოვანებული დამოკიდებულება გრ. რობაქიძის შემოქმედებისადმი წერილიდან წერილში გადადის. ახალგამრდა ქართული სიმბოლისტები აღტაცებით საუბრობენ მათი უფროსი მეგობრის დიდ პოეტურ ხელოვნებაზე. მაგალითად, იგივე ტიციანი 1920 წელს ჟურნალ „შვილდოსნის“ პირველ ნომერში წერდა: „გრიგოლ რობაქიძემ ლექსს მისცა ბრინჯაოს ჭედა, ჩამოსხმული სონეტები კლასიკური სიმტკიცით თანდათან აღიდებენ დიდი ოსტატის სახელს... იგი დაჯერებული სიმბოლისტია.“ ვალერიან გაფრინდამვილის აზრით კი გრ. რობაქიძის ლექსებში „არის ამაყი და უქალწულესი რითმები“ (იქვე).

ლეო ქიაჩელის მოთხრობები ქართული პრესის ფურცლებზე 1909 წლიდან იბეჭდება. ამ ქმნილებებით, საერთოდ, ოციანი წლების შუა ხანებამდე გამოქვეყნებული ნაწარმოებებით, ლეო ქიაჩელის შემოქ-

მეღებაში მკაფიოდ იკვეთება ორი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული, გენდენცია: ერთი მწერლის პროზაში საფუძველს უყრის მისი ბელეგრისტიკის მაგისტრალურ მიმართულებას - მოვლენათა რეალისტური თვალთახედვით აღქმას. ამ კუთხით ლეო ქიაჩელის აღრინდელი შემოქმედების ყველაზე გამოკვეთილ ნიმუშს ფართოდ გახმაურებული რომანი - „ტარიელ გოლუა“ წარმოადგენს.

მეორე ნაკადს კი ის მოთხრობები ქმნიან, რომელნიც მწერლის პროზაში თავისებური ფორმით აელენენ იმკამინდელი მოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობებით ავტორის განსაკუთრებულ გატაცებასა და დაინტერესებას. თუ ბელეგრისტიკის რეალისტური ნაწარმოებები თავიანთი გიპაყითაც, პრობლემატიკითაც და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებითაც ორგანულად ერწყმოდნენ და ეფუძნებოდნენ ეროვნული მწერლობის გრადიციებს, მათ პარალელურად შექმნილი მოდერნისტული მოთხრობებით ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში თავისებური კუთხით პოულობს გამოვლენას ევროპული მოდერნისტული ხელოვნებისათვის ფართოდ დამახასიათებელი მხატვრული ფორმები და პრინციპები.

ამ ორი ნაკადის თანაარსებობა მწერლის ბელეგრისტიკაში, მეტნაკლები თანაფარდობით, თითქმის ოციანი წლების შუა ხანებამდე გრძელდება და ლიტერატურული სტილისა და ამროვნების ე. წ. მოდერნიზაციის პროცესის გამოვლინებას საბოლოოდ, პირველ ყოვლისა, მხოლოდ ამ დროისათვის შექმნილი და ფართოდ გახმაურებული ისეთი ნაწარმოებებით დაესვა წერტილი, როგორებიცაა: „სისხლი“ (1927 წ.), „თავადის ქალი მაია“ (1927 წ.), „ალმასვირ კიბულან“ (1928 წ.) და „პაკი აბზა“ (1933 წ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლეო ქიაჩელის ე. წ. არარეალისტური მოთხრობების დახასიათების დროს აზრთა გარკვეული სხვადასხვაობა თუ გაორება შეინიშნა. ერთნი მათში სიმბოლისტური ტენდენციების გამომხატველ ნიშან-თვისებებს ხედავენ და, ამდენად, მწერალს თავისი შემოქმედებითი ძიებებით, ესთეტიკითა და მსოფლგანცდით სიმბოლიზმთან დაკავშირებულ ბელეგრისტიკად მიიჩნევენ, მეორენი კი თვლიან, რომ ლეო ქიაჩელის ლიტერატურულ ძიებათა ეს ნაკადი, უპირველეს ყოვლისა, იმპრესიონიზმითაა ნასაზრდოები. ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც მკვლევარები ცდილობენ სათანადო არგუმენტები მოიშველიონ ბელეგრისტიკის შემოქმედებიდან და მათზე დაყრდნობით დაასაბუთონ თავიანთი თვალსაზრისი.

მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლიზმი და იმპრესიონიზმი ერთმა-

ნეთისაგან განსხვავებული ლიგერატურული მიმდინარეობებია, ჩემის აზრით, ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში ისინი მკვეთრად არ არიან ურთიერთისაგან გამიჯნულნი და მწერლის მოთხრობებში მათთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები თავისებური ფორმით ერწყმიან და ესამებიან ერთმანეთს.

ასე რომ, ლეო ქიაჩელის არარეალისტურ მოთხრობებში, ერთსა და იმავე დროს, კაცმა სიმბოლიზმის ელემენტებიც შეიძლება იპოვოს და იმპრესიონიზმისაც. მწერლის შემოქმედებით მოღვაწეობაში არც ერთი და არც მეორე ლიგერატურული მიმდინარეობა, ფაქტობრივად, იმ მასშტაბებითა და თავისთავადობით არ გამოვლენილა, რაც მკვიდრ საფუძველს მოგვეცემა საიმისოდ, ლეო ქიაჩელი ან გიორგი სიმბოლისტად მიგვეჩინა, ან იმპრესიონისტად.

ვეროპული ლიგერატურული სიახლეების კარგად მყოფნე მწერალი თავის შემოქმედებაში, გარკვეულწილად, კარს უღებს და ორიგინალური ფორმით აიკვიდრებს ამ მიმდინარეობებისათვის ნიშანდობლივ ტენდენციებს და ამით ცდილობს ნაამრევის გამოხატვის მიხედვით გზის მოძებნას.

ვინაიდან სიმბოლიზმიცა და იმპრესიონიზმიც - მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ვეროპულ ხელოვნებაში ესოდენ ფართოდ დაშვებულნი მიმდინარეობანი - სპეციალურ ლიგერატურაში ხშირად ერთი საერთო სახელითაც - მოდერნიზმითაც მოიხსენიება ხოლმე, ალბათ, ყველაზე სწორი იქნება, ლეო ქიაჩელის ე. წ. არარეალისტურ ნაწარმოებებს მოდერნისტული მოთხრობები დაეარქვათ პირობით სახელად, რითაც უფრო ზუსტად გამოვსახავთ მათს მხატვრულ სპეციფიკას.

მიუხედავად იმისა, რომელ ლიგერატურულ მიმართულებასაც არ უნდა მიაკუთვნოს ისინი მკვლევარმა, მათი ანალიზის დროს, ვფიქრობ, ერთი რამ ყველასთვის საერთო და უკამათო იქნება: როგორი დაეინებით ცდილობს ახალგაზრდა მწერალი თავისი მოდერნისტული ნაწარმოებებით გაბედულად ეძებოს ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი და ორიგინალური გიჟაეითა და პრობლემებით გაამდიდროს ჩვენი ლიგერატურა.

ახალი ესთეტიკური პრინციპებისა და მხატვრული ინდივიდუალობის აქტიურად მაძიებელი ავტორი ცდილობს ლიგერატურული ასახვის საგნად აქციოს ირეალური სამყარო, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს რეალური სინამდვილის მიღმა არსებულ იდუმალებას, შეიყვაროს და გამოხატოს ჩვეულებრივი თვალისთვის მიუწვდომელი და შეუმჩნეველი მოვლენები.

სწორედ ასეთი მისწრაფებითაა განპირობებული ის გარემოება, რომ ლეო ქიაჩელის ე. წ. მოღერნისტული ნოველების გმირებად ხშირად ის ადამიანები გვევლინებიან, რომლებიც ყოფითი ყოველდღიურობის ფონზე უჩვეულოდ გამოიყურებიან. ესენი არიან სულით დაავადებულები, ბნელით შეპყრობილები, ფიზიკურად არასრულფასოვანი პიროვნებანი. მწერალი ცდილობს უკითხველს დაანახოს მათი თვალთ ალქმული სამყარო, შეგვაგრძნობინოს დამთრგუნეელი ძალა ბედისწერისა, რომელიც ბოჭავს და თავის არტახებში აქცევს ადამიანის ცხოვრებას.

მაგრამ, როგორც ითქვა, ლეო ქიაჩელის მიერ მოვლენათა მოღერნისტული თვალთახედვით ალქმასა და წარმოსახვას იმავდროულად მეორე მხარეც ახლავს ხოლმე თან განუყოფელად - სამყაროს რეალისტური ხედვაც. სწორედ ასეთი ორიგინალური ფორმით ერწყმის მწერლის ადრინდელი მოთხრობების ერთ ნაწილში ერთმანეთს რეალიზმისა და მოღერნისტის ნიშან-თვისებები და ელემენტები.

ერთ-ერთი პირველი მოთხრობა, რომელშიც ნააზრევის გამოხატვის ამგვარმა სპეციფიკამ იჩინა თავი, ეს არის 1910 წელს დაწერილი ნაწარმოები „ცოდვის შეილები“. განსხვავებით თავისი სადებიუტო ნოველისაგან („წარსული აწმყოში“), ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟები, ცოდვის შეილებად შერაცხული ჯვებე და ბეკო, თავიანთი განვლილი ცხოვრებით, ყოველდღიური ყოფით. ფიზიკური და გონებრივი მდგომარეობით, საზოგადოებასთან დამოკიდებულებით. პიროვნული მიზანსწრაფით პირველ ყოვლისა სწორედ ე. წ. მოღერნისტული ხელოვნების პრინციპებით შექმნილი ლიტერატურული პერსონაჟები არიან. ბედისწერის გარდაუვალი, იღუმალი და შეუცნობი ძალა თრგუნავს და სასოწარკვეთილებით ავსებს მათ ცხოვრებას. ჯვებესა და ბეკოს გრატიკული აღსასრულის ჩვენებით მწერალმა შემადრწუნებელი ფორმით დაგვანახა ფაგალიზმის მონად ქცეული ადამიანის მნობრივი დაცემისა და ფიზიკური დაღუპვის გარდაუვალობა და ამით ნათლად გამოკვეთა ნაწარმოების უმთავრესი სათქმელი: ჩვენი და ჩვენი წინაპრების მიერ ჩადენილი ცოდვების საზღვევად ბედისწერა ისეთ სასჯელს მოუვლენს ხოლმე ადამიანს, რომლისგანაც თავის დახსნა არავის შეუძლია.

ლეო ქიაჩელის მოღერნისტული მოთხრობების პერსონაჟები, როგორც ითქვა, თავიანთი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობით ხშირად ჩვეულებრივი ადამიანებისაგან მკვეთრად გამორჩეული პიროვნებანი არიან, რომელთა ცხოვრებას ბრმად წარმართავს ბედისწე-

რის იღუმალი და შეუცნობი ძალა. ამ ადამიანთა არსებაში თითქოს რაღაც უხილავი და ეშმაკთან წილნაყარი გრძნეული ძალაა ჩასახლებული, რომელიც არა მარტო მათ იძინებს და იმორჩილებს, არამედ შემადრწუნებლად გემოქმედებს გარშემო მყოფებზეც.

რა სძენს ადამიანს ამ ძალას, სადაა ამ გრძნეულების სათავე, რა განსამღვრავს მის იღუმალ ბუნებას?... აი, კითხვები, რომლებიც ლეო ქიაჩელის მოდერნისტული მოთხრობების კითხვის დროს ალგვეძერებიან ხოლმე და ორიგინალური ფორმით წარმოაჩენენ ბედისწერის მსხვერპლად ქცეული ადამიანების სულიერ და ფიზიკურ უძლეულებას.

იმ ნაწარმოებთაგან, რომლებიც ყველაზე მეტად ავლენენ ლეო ქიაჩელის ადრინდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელ მოდერნისტულ ტენდენციებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს 1916 წელს დაწერილი ნოველა „Escalade“ (ნოველის სათაური ფრანგული სიტყვაა და ქართულად რაიმეზე აცოცებას, ასვლას ნიშნავს). ნაწარმოების უმთავრესი სათქმელი იმის აღიარებაა, რომ ამქვეყნად მარადიული და ჭეშმარიტი იდეალი არ არსებობს, რომ ყოველგვარი მიზანსწრაფვა მხოლოდ ნიღაბი, წარმოდგენა, ცრუ ილუზია, მოჩვენება და თავის მოგყუებაა. ის, რასაც ადამიანი შეიძლება მიელტკოდეს და უთანაგრძნობდეს, მწერლის ამრით, მარტოდღენ წარმოსახვის ნაყოფია და არა ჭეშმარიტად არსებული რეალობა.

ასე რომ, ლეო ქიაჩელის სიტყვებით თუ ვიგყვიოთ, „ყოველი სინამდვილე წარმოდგენაა და ყოველი წარმოდგენა სინამდვილე“. ყველაზე მაღალი იდეალებიც კი, რომელთა დასამკვიდრებლად და მისაღწევად შეიძლება იბრძოდნენ ადამიანები, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდღა მირაჟია, არარსებულისაქენ სწრაფვაა, არარეალური და მოჩვენებითი წარმოსახვის ცრუ ნაყოფი.

სწორედ ფანტასტიკურ-ალეგორიული სიუჟეტით ნათელყოფილი ეს ამრი წარმოდგენს ნაწარმოების მთავარ სათქმელს, ახალგაზრდა მწერლის იმეამინდელი სკეპტიკური თვალსაზრისის მძაფრ გამოვლინებას, რითაც მარტო აღნიშნული ნოველა როდი ხასიათდება.

\* \* \*

მე-20 საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს ჩვენს ლიტერატურაში ევროპული სიახლეების დამკვიდრების საქმეში, კონსტანტინე გამსახურდიან ერთ-ერთი პირველთაგანია. იგი, როგორც „ევროპუ-

ლი კულტურის აპოლოგეგი“ მწერალი (მისი სიტყვებითა), ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი მწერლობის, საერთოდ, ჩვენი სულიერი კულტურის, სამომავლო განვითარება უპირველეს ყოვლისა ევროპულ ფასეულობებთან სისხლხორცეული კავშირურთიერთობის გზით უნდა წარმართულიყო.

ევროპულ კულტურაზე ორიენტაციის აღებისკენ ამგვარი მოწოდება და ჩვენი მწერლობის განვითარების სამომავლო გზათა სისხლხორცეული დაკავშირება იმ პროცესებთან, რომლებიც ევროპული ხელოვნებისა და ცხოვრების წესისათვის იყო დამახასიათებელი, იმის ღრმა და შეუკალი რწმენით კეთდებოდა, რომ „ერთადერთი სწორი გზი“ იმ პერიოდისათვის მხოლოდ ევროპის კულტურას ჰქონდა. „მის გარეშე, - წერდა მწერალი 1922 წელს, - ყველაფერი წარსულს, ეთნოგრაფიას და მსოფლიო პროვინციას ეკუთვნის“ (გ. 7, 1983 წ. გვ. 438). თუმცა ევროპული კულტურის ამგვარი აპოლოგია სულაც არ ნიშნავდა ეროვნული გრადიციებისადმი უპატივცემულობასა და მათზე უარის თქმას. პირიქით, კ. გამსახურდიას წერილების კითხვისას მკითხველი ყოველთვის ამკარად გრძნობს ეროვნული ფესვებისადმი უდიდეს პატივისცემასა და მოწიწებას. ჩვენს მწერლობაში დასამკვიდრებელი ყველა ფასეული ლიტერატურული სიახლე, მწერლის რწმენით, სწორედ ამ გრადიციებს უნდა დაფუძნებოდა და ჩვენი ეროვნული წიადიდან ყოფილიყო აღმოცენებული.

მსოფლიო, უპირველეს ყოვლისა კი ევროპული კულტურის ისტორიულ და თანადროულ მიღწევათა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა და ენციკლოპედიური განსწავლულობა არსებითად ზრდიდა კ. გამსახურდიას შემოქმედებით თვალთახედვას. უწინარესად სწორედ ამ ფაქტორითაა განპირობებული ის გარემოება, რომ იგი არასოდეს ყოფილა მხოლოდღა ერთი რომელიმე ლიტერატურული მიმართულებით მებოჭილი მწერალი. მიუხედავად იმისა, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე - ათიანი წლების მეორე ნახევარსა და ოციან წლებში მის პროზაში ამკარად საცნაურია ექსპრესიონისტული პრინციპებისა და ტენდენციების მომძლავრება, კ. გამსახურდიას ამდროინდელი ლიტერატურული მიზანსწრაფვა მაინც გაცილებით უფრო ფართო მასშტაბებს მოიცავს და საკუთარი მწერლური ინდივიდუალობის აქტიურად მაძიებელი ახალგაზრდა ავტორი სხვათა მიერ გაკეალული გზით არ მიდის.

ასე რომ, კ. გამსახურდიას შემოქმედების მიკუთვნება ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობისათვის გარკვეულწილად პი-

რობისობის ფარგლებში რჩება და ამ საკითხის მათემატიკური სიმუსხით განსაზღვრა-გადაწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას ისიც ნათლად ადასტურებს, რომ კ. გამსახურდიას ერთსა და იმავე ნაწარმოებებს სპეციალისტები, არც თუ იშვიათად, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებს მიაკუთვნებენ ხოლმე (ექსპრესიონიზმი, სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი). ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ შემოქმედებით მიმდინარეობათა კლასიფიკაცია მეტწილად სუბიექტურიცაა და პირობითიც და ღიადი მწერლის შემოქმედება არასოდეს იკეტება რომელიმე ერთი ლიტერატურული მიმართულების მკაცრად პირობადებულ ჩარჩოებში.

როგორც კ. გამსახურდიას ესეისტიკის გაცნობით ნათლად ვრწმუნდებით, ევროპულ მწერლობაში დამკვიდრებული მოდერნისტულ-აჟანგარდისტული ლიტერატურული მიმდინარეობებისადმი იგი ყოველთვის დიდ დაინტერესებას იჩენდა ხოლმე. 20-იანი წლების დასასრულიდან ეს დამოკიდებულება უფრო და უფრო კრიტიკული ხდება. გარდა საკუთარი შემოქმედებითი თავალთახედვისა, ეს გარემოება რამდენადმე საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკითაც იყო განპირობებული.

ვინ ვინ და კ. გამსახურდიამ სხვაზე უკეთესად იცოდა, რომ პროვინციული კარჩაკეგილობიდან თავის დასაღწევად და „უნივერსალობის რანგამდის“ ჩვენი მწერლობის ასაყვანად სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო იმ „ეთნოგრაფიული იერისთვის“ თავის დაღწევა, რომელიც მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურასა და მხატვრობას გადაჰკრავდა (გ. 6, 1963 წ., გვ. 502). ამის მიღწევა მე-20 საუკუნის ჩვენმა მწერლობამ კი მნიშვნელოვანწილად იმითაც შეძლო, რომ იმეამინდელ ევროპულ ლიტერატურაში აღმევებულ მოდერნისტულ-აჟანგარდისტულ მიმდინარეობებსაც ფართოდ გაულო კარი. როგორც ცნობილია, კ. გამსახურდია ამ სიახლეთა ერთ-ერთი პირველშემომტანი და დაამკვიდრებელია ჩვენში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 10-იანი წლების ბოლოსა და 20-იან წლებში დაწერილი ის ნოველები, რომლებშიც ფილოსოფიური თვალთახედვითა და გრძნობიერი სიმძაფრითაა მოთხრობილი ამ ნაწარმოებთა საერთო პერსონაჟად ქცეული „ჯერ საესეებით“ ახალგაზრდა კაცის „სიკვდილის შხამით მოწამლული საწუთროების“ ამბავი. მისი სულიერი განცდები და ადამიანური მისწრაფებანი მწერალმა სისხლხორცეულად დაუკავშირა იმდრონდელ დიდმნიშვნელოვან სოციალურ, პოლიტიკურ და მნეობრივ პრობლემებს.



ქ. გამსახურდია გრაგიკული სიმწევით აღწერს, როგორ აუხეშებს, ბოჭავს და თრგუნავს ურბანისგული ყოფა პიროვნების შინაგან თავისუფლებას. ამ გარემომ, ურბანისგულმა ცხოვრებისეულმა სინამდვილემ, არა თუ გარესამყაროს მოწყვიტა პიროვნება და საცნებისა და მოვლენების გყეობაში მოაქცია იგი, არამედ საკუთარ თავთანაც კი გააუცხოვა. ასე რომ, ურბანისგულ კეთილდღეობასა და გქქნიკურ პროგრესს, რომელიც მეოცე საუკუნემ მოუგანა კაცობრიობას, ქ. გამსახურდიას პერსონაჟები ხშირად საკმაოდ სექტიკურად აფასებენ და პიროვნული უბედურების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად მიიჩნევენ.

მწერლის აღრინდელ ნოელებში გამოვლენილი ეს მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა კიდევ უფრო ღრმავდება მის რომანებში და არსებითად განსაზღვრავს ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები მისი პერსონაჟების გრაგიკულ ცხოვრებისეულ ხედვრს. მკვეთრად გამოხატული შინაგანი პესიმიზმით, ცხოვრების ამაოების მძაფრი თვითგანცდით, ადამიანური ნიპილიზმით, ურბანისგული ყოყისადში ამკარად გამოვლენილი უარყოფითი დამოკიდებულებით, სულიერი დაქანცულობით, საკუთარი ადგილის ვერმიგნებითა და ნაოლად გააზრებული ცხოვრებისეული საზრისის უქონლობით ქ. გამსახურდიას პერსონაჟები ხშირ შემთხვევაში იმდენადაც კი გვანან ერთმანეთს, რომ პირობითად ისინი შეიძლება ერთი დიდი პიროვნული სახის ლიტერატურულ ვარიაციებადაც იქნან მიჩნეულნი.

ქ. გამსახურდიას მოდერნისგული ნოელებისათვის მკაფიოდ დამახასიათებელ ნიშანთაგან ცალკე, საგანგებოდ, უნდა გამოვეყთ აგრეთვე მოვლენათა ფილოსოფიური გააზრების ამკარად გამოხატული ტენდენცია. მწერალი ცდილობს, უპირველეს ყოვლისა, მოვლენის არსს ჩაწედეს და თვალთ ხილული რეალობის მიდმა არსებული იდუმალი სინამდვილე დაანახოს მკითხველს. მისი ნოელების მთავარი პერსონაჟი, რომელიც ხშირად თავად გვევლინება ხოლმე ამბის მთხრობელისა და შემფასებლის როლში, ფართოდ განსწავლული ინტელექტუალია, უპირველეს ყოვლისა, თვით მწერლის ლიტერატურული ორეული, ევროპული ფილოსოფიისა და ხელოვნების საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება, რომელიც სამყაროს, ადამიანურ ურთიერთობათა მხატვრული წარმოსახვის არაგრადიციულ გზებს ეძებს.

ქ. გამსახურდია იმდენად ღრმად და მალაპროფესიულად ერკვეოდა თავისი ღროის ევროპული ლიტერატურულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური სიახლეების არსში, რომ ეს ყველაფერი არა მარტო

მწერლის ადრინდელი შემოქმედებისათვის იქცა შინაგანი ენერჯის მიმცემ მძლავრ სასიოცხლო იმპულსად, არამედ მისი შემდგომდროინდელი ლიგერაგურული მოღვაწეობის თვისებრივი ბუნების არსებითად განმსაზღვრელ ფაქტორადაც მოგვევლინა. ასე რომ, კ. გამსახურდიას ათიანი წლების დასასრულისა და ოციანი წლების შემოქმედებით სიახლეთა და ინდივიდუალობათა გენეტიკური დაკავშირება XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე დასაველეთის ინტელექტუალურ სამყაროში ფართოდ პოპულარულ ისეთ ავტორთა მხატვრულ-მეცნიერულ ნააზრეთან, როგორებიც არიან ექსპრესიონისტები, ნიცშე, შოპენჰაუერი, შტაინერი, ფროიდი, ბერგსონი და სხვები. მართებულ წამოდგენას გვიქმნის მწერლის შემოქმედების მასაზრდოებელ უმთავრეს მსოფლმხედველობრივ წყაროებზე.

მაგრამ ევროპულ ინტელექტუალურ სამყაროსთან ესოდენი სიახლოვის აღიარება ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ. თითქოს კ. გამსახურდია, თვით მის ყველაზე ავანგარდისტულ ნაწარმოებებშიც კი, ბრმა მიმბაძველის რილში გვევლინებოდეს და საკუთარი გზის პონებას ვერ ახერხებდეს. რასაკვირველია, არა. მთელი მისი ამდროინდელი შემოქმედება, ოციანი და მომდევნო პერიოდის ნაწარმოებებზე რომ არაფერი ვთქვათ, სამყაროსა და ადამიანურ ურთიერთობათა ორიგინალური ლიგერაგურული წარმოსახვის წარმატებული მცდელობაა, თვისებრივად ახალ მხატვრულ ტენდენციათა გამოვლინება ჩვენს მაშინდელ მწერლობაში.

კ. გამსახურდიას შემოქმედებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელმა მოდერნისტულ-ავანგარდისტულმა ტენდენციებმა კიდევ უფრო ფართო გამოვლინება ჰპოვეს მის პირველ რომანში „დიონისოს ღიმილი“ (1924-25 წწ.). მხატვრული სტრუქტურითაც და თემატურ-შინაარსობრივადაც ეს ნაწარმოები თვისებრივად სრულიად ახალი მოვლენა იყო ქართულ ლიგერაგურაში. იგი ერთ-ერთი პირველი მოდერნისტული რომანია ჩვენში, თავისი პოეტური ბუნებით მკვეთრად გამორჩეული ნაწარმოები, რომელსაც უშუალოდ ჩვენს მწერლობაში მანამდე ანალოგი არ გააჩნდა.

ოციანი წლები, დრო, როცა „დიონისოს ღიმილის“ საბოლოო ვარიანტი დაიწერა, ქართული რომანისტიკის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი სიახლეებით გამორჩეული პერიოდი. ამ დროისათვის ქართული რომანისტიკა განვითარების სრულიად ახალ სტადიაში შევიდა. კლასიკური გიჟის რეალისტური რომანების გვერდით ამ პერიოდში ე. წ. მოდერნისტული ხასიათის რომანებიც საკმაოდ შეიქმნა, რაშიც კ. გამსახურდიას შემოქმედებითი წვლილი განუმომლად ღიდა.

ევროპაში გაგარებულმა განსწავლის წლებმა და მსოფლიო ლიგერატურის ღრმა და საფუძვლიანმა ცოდნამ კ. გამსახურდიას შემოქმედებით ენერგიას ახალი სასიციოცხლო იმპულსები შესძინეს. მის პროზაში მანამდელი ქართული მწერლობისათვის უჩვეულო ფორმით შეერწყა ერთმანეთს ეროვნული ლიტერატურული ტრადიციები და ევროპული მოდერნისტული ხელოვნების შემოქმედებითი თავისებურებანი. სწორედ ამ ბუნებრივი შერწყმა-შესისხლსორცების შედეგად დაიწერა „დიონისოს ღიმილი“, მხატვრული სრულფასოვნებით აშკარად გამორჩეული ერთ-ერთი პირველი მოდერნისტული რომანი მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ, ავტორის განმარტებით, „დიონისოს ღიმილი“ მან მოძებნა „სინთეტიური გემი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის“, ნაწარმოები „„გენეტიურად““. უპირველეს ყოვლისა, მაინც „დასაველეთურ რომანიდან გამოდის“. „დიონისოს ღიმილის“ სტრუქტურული ბუნების „დასაველეთურობა“, როგორც უკვე ითქვა, ევროპული მოდერნიზმის, უწინარესად კი ექსპრესიონიზმის თავისებური ბეგავლენითაა განპირობებული და ავტორის „მრავალი წლის ფორმალურ ძიებათა და მიღწევათა ნაყოფია“. მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გაეცვოდ. თითქოს კ. გამსახურდიას რომანი მოწყვეტილი იყოს ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებს. თავისი ნაწარმოების უმთავრეს ღირსებად მწერალი იმას მიიჩნევს, რომ მან სისხლსორცეულად აღადგინა მე-19 საუკუნეში შეწყვეტილი გენეტიკური კავშირი როგორც მე-18 საუკუნის ეროვნული ბელეტრისტიკის ტრადიციებთან, ისე ქართულ პავიოგრაფიასთან და ჩვენი პროზის სხვა პირველხარისხოვან ნიმუშებთან („ვისრამიანი“, „ქილილა და დამანა“ ...).

„დიონისოს ღიმილი“ ერთ-ერთი პირველი ქართული რომანია, რომელშიც მხატვრული წარმოსახვის უმთავრეს საგნად არაქართული სინამდვილეა ქცეული. კერძოდ, ნაწარმოებში გლობალურადაა ასახული ათიანი წლების მეორე ნახევრის ევროპის დიდ სახელმწიფოებში - საფრანგეთში, გერმანიასა და იტალიაში არსებული ვითარება და ის უმძიმესი სულიერი კრიზისი, რამაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცვა აღნიშნული დროისათვის.

\* \* \*

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ათიანი წლების შუა ხანებიდან გალაკტიონ

ტაბიძის პოეზიაში დაწყებული შემოქმედებითი გარდატეხის პროცესი ბევრწილად ევროპულ მოდერნისტულ ლიტერატურულ მიმდინარეობათა თავისებური ზეგავლენითაცაა განპირობებული. მაგრამ ევროპულ მოდერნისტულ ხელოვნებასთან ვალაკტიონის ასეთი სიახლეა ისე არ უნდა ვაევიცოთ, თითქოს იგი ამ ლიტერატურულ სიახლეთა უბრალო მიმბაძველი და ქართულ სინამდვილეში მექანიკური გადმომგანი იყოს. რა თქმა უნდა, არა. ევროპული მოდერნიზმი პოეტისათვის, პირველ ყოვლისა. მინაგანი შემოქმედებითი ენერჯის მასტიმულირებელ წყაროს წარმოადგენს.

სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ გ. ტაბიძის ე. წ. მოდერნისტული ლექსები თავიანთი პოეტური სტრუქტურითაც და მოელენათა აღქმა-გააზრების ბუნებითაც არსებითად განსხვავდება როგორც ევროპელი მოდერნისტი პოეტების შემოქმედებისაგან, ისე იმ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებისაგანაც, რომელთა ლიტერატურული მრწამსის ჩამოყალიბებაზე განმსაზღვრელი ზეგავლენა მოახდინა მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ევროპულ მწერლობაში ფართოდ პოპულარულმა ახალმა ესთეტიკურმა თვალთახედვამ.

ქართველი სიმბოლისტი მწერლების ე. წ. მოდერნისტული პერიოდის შემოქმედებისაგან განსხვავებით (გრ. რობაქიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, კ. ნადირაძე...), გ. ტაბიძის თვით ყველაზე მოდერნისტულ ლექსებშიც კი არსად იგრძნობა უცხოურ ლიტერატურულ სიახლეთა მექანიკური ზეგავლენისა და მიმბაძველობის კვალი. მისი შემოქმედების ყველა სასიცოცხლო ნერვი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ენერჯით საზრდოობს.

ვალაკტიონის პოეზია ამ თვალსაზრისით მკვეთრად განირჩევა თავისი დროის სხვა ქართველი მოდერნისტების შემოქმედებისაგან. თუ ბევრი მათგანის ნაწარმოებებში მოდერნისტული ნაკადი დღევანდელი მკითხველისათვის არსებითად უფრო ისტორიული თვალთახედვითაა საინტერესო და მათივე შემოქმედებითი შესაძლებლობების გოლფას ესთეტიკურ ფასეულობას ნაკლებად წარმოადგენს, გ. ტაბიძისთან, ამ მხრივ, რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა ვვაქვს.

თ. ჩხენკელის მართებული შეფასებით, ვალაკტიონი ამ თვალსაზრისით „არსებითად სინთეზურია. იგი იმთავითვე მეტ-ნაკლები პარმონიულობით ახდენს ევროპული მოდერნიზმის ასიმილირებას და მისი მოტივებით მსოფლმხედველობრივი ელემენტის სრულ აკლიმატიზაციას. ვალაკტიონის შემოქმედებაში უმეტეს შემთხვევაში პარ-

მონიულად არის წარმოდგენილი როგორც ბუნებრივ-გრადაციული, ისე დეკადენტური მსოფლმეგრძნებით აღბეჭდილი პიროვნული განცდა. ამის გამოა, რომ აღნიშნულ დროულ მონაკვეთში დაწერილი „კანწელთა“ ლექსები თანამედროვე მკითხველზე ევროპულ-რუსული მოდერნიზმის გადმონაშთის შთაბეჭდილებას სტოკებენ მაშინ, როცა ამავე პერიოდის გალაკტიონის ლექსები დღესაც ცოცხალ პოეზიად განიცდება“ (თ. ჩხენკელი, მშენიერი მძლეუარი, 1989 წ. გვ. 381).

მიუხედავად იმისა, რომ გ. გაბიძის ათიანი და ოციანი წლების პოეზიაში გამოვლენილი მოდერნისტული ლიტერატურული გენდენციები იმდენად მრავალფეროვანია, მათი ერთი რომელიმე მიმდინარეობის მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოთავსება შეუძლებელია, ბევრი ლიტერატურათმცოდნის აზრით, იმეამინდელი მისი პოეტური სამყარო ბევრი ნიშან-თვისების მიხედვით. პირველ ყოვლისა, მაინც სიმბოლიზმს ენათესავება. მათი შეფასებით, ამ ლიტერატურულმა მიმდინარეობამ, ათიანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული ოცოანი წლების გასულამდე, უდიდესი გეგავლენა მოახდინა გ. გაბიძის შემოქმედებაზე და არსებითად განსაზღვრა მოვლენათა ავტორისეული აღქმა-გააზრების სპეციფიკაცა და პოეტური სტილის პრინციპებიც.

მართალია, სიმბოლიზმით გ. გაბიძის გაგაცეხაზე ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ ეს პრობლემა სამომავლოდ კვლავაც რჩება სპეციალური მონოგრაფიული კვლევის საგნად, ვინაიდან მასთან დაკავშირებული არაერთი არსებითი საკითხი ჯერ კიდევ არაა საჭირო მეცნიერული სიღრმითა და დასაბუთებულობით გაანალიზებული.

თუმცა არსებობს რადიკალურად განსხვავებული შეხედულებანიც. მაგალითად, ცნობილი გალაკტიონოლოგი რ. თვარაძე საერთოდ უარყოფს გ. გაბიძის სიმბოლისტობას და კატეგორიულად დაასკვნის, რომ იგი „არასგზით არ იზიარებს გალაკტიონ გაბიძის სიმბოლისტობის (ან თუნდაც გავლენის) თეალსაზრისს“ (რ. თვარაძე, დასახ. წიგნი, გვ. 200).

გ. გაბიძის შემოქმედება იმდენად მრავალწახნაგოვანი და არაორდინალური მოვლენაა, რომ მისი შესწავლის დროს ალბათ ასე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების წარმოქმნისთვისაც ყოველთვის იარსებებს რეალური საფუძველი. სავსებით სწორი არიან ის ლიტერატურათმცოდნენი, რომლებიც თვლიან, რომ სამყაროს აღქმა-წარმოსახვის გალკტიონისეული პრინციპები, თავიანთი სირთულისა და მრავალსახოვნების გამო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეიბოჭებიან რომელიმე ერთი შემოქმედებითი მიმდინარეობის ჩარ-

ჩივებით და ისინი ყოველგვარ გრადიციულ ლიტერატურულ მიმდინარეობაზე მაღლა დგანან.

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვალაკტიონის პოეზიაში ლიტერატურაიმპოდნობითი კანონიკურობით არც ერთი მიმდინარეობა არ პოულობს გამოვლინებას. სამყაროს პოეტური აღქმა-გააზრების დროს მის შემოქმედებაში ორიგინალური ფორმით ერწყმინან ერთმანეთს ერთი-მეორისაგან არსებითად განსხვავებულ მიმდინარეობათა ცალკეული სპეცსფიკური ნიშან-თვისებები, რომლებიც სრულიად ახალ მხატვრულ-ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ თვალთახედვად გარდაიქმნებიან და მოვლენათა პოეტური წარმოსახვის სრულიად ახალ მოდულს წარმოქმნიან. რ. თვარაძის შეფასებით, „თუ მაინცდამაინც აუცილებელია უეჭველად სპეციალური გერმინით გამოისატის“ სამყაროს ვალაკტიონისეული აღქმა-გააზრების სპეცსფიკური არსი, „თამამად შეგვიძლია ვთქვათ: ეს არის უჩაღლესი რეალიზმი, შემოქმედების ისეთი საფუხური, რომლისთვისაც ძალზე ცოცხა ვინმეს თუ მიუღწევია თვით საკაცობრიო მასშტაბითაც“ (რ. თვარაძე, იქვე, გვ. 205).

იმ გრადიციულ ლიტერატურულ მიმდინარეობათაგან, რომელთაც არსებითად განსაზღვრეს გ. ტაბიძის პოეტურ-მსოფლმხედველობრივი ინდივიდუალობა, უპირველეს ყოვლისა, სამი მიმართულება უნდა დასახელდეს: რეალიზმი, რომანტიზმი და სიმბოლიზმი. შემოქმედებითი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე ეს მიმდინარეობანი და მათთვის დამახასიათებელი სპეცსფიკური ნიშან-თვისებანი ხელშესახებად თანაარსებობენ პოეტის ღირიკაში.

სიმბოლისტური ტენდენციები გ. ტაბიძის პოეზიაში ათიანი წლების შუა ხანებიდან მკვიდრდება. პოეტის მეორე წიგნის (1919 წ.) ლიტერატურული სიახლენიც, პირველ ყოვლისა, ბევრწილად სწორედ მის წიაღში იღებენ სათავეს.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ვალაკტიონი ამ დროისათვის განსაკუთრებულ დაინტერესებას სიმბოლისტების შემოქმედებისადმი იჩენს. ეს ნათლად ჩანს მისი ლექსებიდანაც და ლიტერატურული ჩანაწერებიდანაც. მათში ხშირად ისხენიებიან ხოლმე ისეთი ცნობილი სიმბოლისტი მწერლების სახელები, როგორებიც არიან: ვერლენი, რემბო, ბოლლერი. მალარმე, ბელი, ბრიუსოვი, ბლოკი, ბალმონტი... ვალაკტიონი შესანიშნავად იცნობდა მათს შემოქმედებას, რომელიც თავისებურ მასტიმულირებელ წყაროდ იქცეოდა მისი პოეტური შთავგონებისათვის. ამ ფაქტს თავად პოეტიც აღნიშნავდა თავ-

ვის ლექსებსა და წერილებში თავისებური ფორმით. მაგალითად:  
„ხშირად ვიგონებ ვერლენს,  
როგორც დაღუპულ მამას“. („ჭიანურები“, 1916 წ.).

ანდა:

„იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი,  
თრობის საათია, ლეინის საათია?“ („რომელი საათია?).

მაგრამ მოდერნისტული ტენდენციების გამოვლინებანი გ. გაბიძის პოეზიაში მხოლოდ სიმბოლიზმით არ შემოიფარგლება და ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს იმპრესიონისტული მიმდინარეობისთვის ნიშნული სპეციფიკური ელემენტებიც ასრულებენ. ვალაკტიონი არა მარტო დეტალები მადლით გაბრწყინებული გენიოსი იყო. არამედ უაღრესად განსწავლული შემოქმედიც, რომელიც საფუძვლიანად იცნობდა როგორც კლასიკურ, ისე თავისი დროის ქართულ და მსოფლიო ლიტერატურას და ამ უმდიდრეს სულიერ საგანძურშიც პოულობდა მძლავრ იმპულსებს პოეტური შთაგონებისთვის.

გ. გაბიძის შემოქმედების მეორე პერიოდი (პირობითად - 1915-1928 წწ.) თავისი არსითა და სპეციფიკური ბუნებით ერთგვაროვანი არაა. ამ დროს ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობენ განსხვავებული სტილური ნაკადები და ლიტერატურული ტენდენციები. სრულიად ახალ, უმაღლეს საფეხურზე აღის პოეტური ოსტატობის ხარისხი და მკვიდრი საფუძველი ეყრება მეოცე საუკუნის დიდ ქართულ პოეზიას, როგორც თვისებრივად მკვეთრად გამორჩეულ ეტაპს წინა საუკუნეთა ქართული ლექსისაგან. ამ თვალსაზრისით ათიანი წლების მეორე ნახევარი რევოლუციური, გარდამტეხი მიჯნაა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. ამ გარდატეხის უპირველესი შემოქმედი მართალია ვალაკტიონია, მაგრამ იგი მარტო არ ყოფილა და მას იმხანად მოღვაწე სხვა ქართველი პოეტებიც ეღვნენ გვერდით აქტიურად. თუ შევეცდებით გ. გაბიძის პოეზიაში ათიანი წლების მეორე ნახევრიდან გამოვლენილი პოეტური ტენდენციები პირობითად მაინც განვსაზღვროთ, იგი, ალბათ, ასეთ სახეს მიიღებს:

1. პოეტური სრულყოფის ახალ ფაზაში შედის სამყაროს ნეორომანტიკული თვალთახედვით აღქმა და გააზრება; 2. ორიგინალური ფორმით ვლინდება მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეთა მიჯნაზე ევროპულ ლიტერატურაში ფართოდ აღზევებულ ე. წ. მოდერნისტულ შემოქმედებით მიმდინარეობათა სპეციფიკური ნიშან-თვისებანი. მათგან, უწინარეს ყოვლისა, სიმბოლისტური ტენდენციები უნდა დავასახელოთ. და, ბოლოს, 3. ვალაკტიონის პოეზიაში მნიშვნელოვან ადგილს იჭერენ ისეთი ლექსებიც, რომლებიც მოვლენათა რეალისტური თვალთახედვით გააზრების საფუძველზე არიან შექმნილი. 65

ასეთია, ჩემის აზრით, ის საში უმთავრესი ნაკადი, რომლებიც გ. ტაბიძის ათიანი წლების მეორე ნახევრისა და ოციანი წლების პოეზიაში შეიძლება გამოეყოთ. ვთქვი და კვლავ გავიმეორებ: ამგვარი კლასიფიკაცია მეგად პირობითია და მან აზრთა დიდი სხვადასხვაობაც შეიძლება გამოიწვიოს, რადგანაც ერთნიშნა პასუხი, ვთქვათ, იმაზე, რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება გალაკტიონის ესა თუ ის ლექსი, ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არც არსებობდეს.

როგორც ითქვა, სიმბოლისტური ტენდენციები გ. ტაბიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით ათიანი წლების მეორე ნახევარში ვლინდება (გავესხენოთ ლექსები: „ლურჯა ცხენები“, „ალეები თოვლში“, „დომინო“, „საუბარი ედგარზე“, „შემოდგომა „უმანკო ჩასახების მამათა საყანეში“, „სილაქეარდე ანუ ვარდი სილაში“, „ჭარხალი“, „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“...).

თუმცა აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ სიმბოლისტური ესთეტიკის გამოძახილი საკმაოდ მძლავრად ისმის ოციანი წლების პირველ ნახევარში შექმნილ ლექსებშიც. მათგან. პირველ ყოვლისა, მინდა გამოვეყო ეფემერების ციკლის ნაწარმოებები, რომლებიც გალაკტიონის პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიგს განეკუთვნებიან.

შემოქმედების მეორე პერიოდში, სხვა სტილური ნაკადებისაგან განსხვავებით, სიმბოლიზმით გ. ტაბიძის გაგაცებას ასეთი გამორჩეული ყურადღება იმიტომაც მიეძღვნა, რომ პოეტის ლიტერატურული ინდივიდუალობის ფორმირების პროცესი იმხანად, ჩემის აზრით, ბევრწილად სწორედ ამ მიმდინარეობითაა განსაზღვრული. თუმცა გალაკტიონი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნა, ორთოდოქსი სიმბოლისტი არასოდეს ყოფილა და მისი ყველაზე სიმბოლისტური ლექსებიც კი იმაედროულად სხვა ლიტერატურული მიმდინარეობებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებითაც არიან მკაფიოდ აღბეჭდილნი.

\* \* \*

იყო დრო, როდესაც სიმბოლიზმის, ისევე როგორც სხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა, როლის მეცნიერული შეფასებისას ჩვენში აშკარად მძლავრობდა მექანიკურ-ტენდენციური მიდგომა. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში (აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება 20-30-40-50-იანი წლები) თითქმის უღალატოდ ერთგულებდა იმ სტერეოტიპულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ქართული სიმბოლიზმი ეროვნული მწერლობის მაგისტრალური გზიდან გადახვევად ცხადდებოდა. ეძებდნენ რა მხოლოდ



უარყოფითსა და ფორმალისტგურს ამ დაჯგუფების ისტორიულ მონა-  
პოვარში, „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება მიჩნეული იყო ღვთაებ-  
გურ-რეაქციულ ლიგერატურულ მოვლენად. რომელსაც არაერთი  
დადებითი როლი არ ჰქონდა შესრულებული ეროვნული მწერლობის  
ისტორიაში.

ლიგერატურული პროცესების ამგვარი შეფასებანი, რომლის და-  
მადასტურებელი მაგალითები საძებარი არაა საბჭოთა პერიოდის  
ჩვენს კრიტიკაში. არსებითად იყო განპირობებული მწერლის შე-  
მოქმედებისადმი. საზოგადოდ, ლიგერატურული მოვლენებისადმი, მე-  
ქანიკური მიდგომითა და თავისუფალი აზროვნების შემბოჭველი სტე-  
რეოტიპული იდეოლოგიური დოგმებით.

დღეს უკვე საკამათო აღარაა ის აზრი, რომ XX საუკუნის პირვე-  
ლი ოცწლეულის მწერლობის სახეს, შემოქმედებით პრინციპებსა და  
ესთეტიკურ საფუძვლებს, ეროვნულ სამწერლო გრადიციებთან ორგანი-  
ზაციულად შერწყმული და გათავისებული ევროპული ლიგერატურული სიახლე-  
ნიც განსაზღვრავდნენ. ჩვენში ამ სიახლეთა ერთ-ერთი პირველმე-  
მომგანნი და დამამკვიდრებელი „ცისფერყანწელთა“ იყვნენ.

მიუხედავად იმ შეცდომებისა და წინააღმდეგობებისა, რითაც მა-  
თი ლიგერატურული მოღვაწეობა ხასიათდება, ამ დაჯგუფებამ უმ-  
ნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ეროვნული პოეტური აზროვნების  
განვითარებაში. ამ თვალსაზრისით მთლიანად და უყოყმანოდაა მი-  
საღები ამ ლიგერატურული დაჯგუფების ისტორიული დამსახურების  
**ტიციან ტაბიძისეული** შეფასება: „მიუხედავად იმისა, რომ მოწყე-  
ტილი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარონი აღმოვჩნდით,  
სწორად გავრკვეულიყავით სოციალურ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინ-  
დელი გაღარიბებული ქართული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა  
სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიგანეთ  
ქართულ ლექსში სიგყვები, რომლებიც განდევნილი იყო ან სულ არ  
იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, გერციენები,  
ტრიოლეტები, რითმას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით  
ალიგერაციებს და ასონანსებს. ბოლეროს, ვერლენის, რემბოს, ლა-  
ფორგისა და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფარ-  
თოვეს პოეტური თემებისა და სხვა სახეების არე, ქართულმა ლექ-  
სმა ახლებური ელერადობა შეიძინა“.

ამ მოკლე ჩამონათვალში სწორადაა განსაზღვრული და შეფა-  
სებული ის მხატვრული სიახლენი, რომელნიც ჩვენი საუკუნის სხვა  
პოეტებთან ერთად ეროვნულ ლიგერატურაში დაამკვიდრეს და უმაღ-  
ლეს საფეხურზე აიყვანეს „ცისფერყანწელთა“. ეს თვითშეფასება

მოკლებულია საკუთარი ნამოღვაწარის უსაფუძვლო განდიდებას. მას-  
ში, როგორც ვხედავთ, ერთმანეთის გვერდიგვერდაა წარმოჩენილი  
ნაკლიცა და ღირსებაც, რითაც „ყანწელთა“ პოეტური მოღვაწეობა  
ხასიათდებოდა.

ქართულ მწერლობაში სიმბოლისტური ლიტერატურული მიმდინა-  
რეობის ჩამოყალიბებას გიციანმა რენესანსის დაწყება უწოდა. ამ  
ახალი „პოეტური რენესანსის“ არსი და განვითარების პროცესი მას  
საკმაოდ წინააღმდეგობრივად აქვს წარმოდგენილი. თუ ერთგან იგი  
წარსულის ლიტერატურულ მონაპოვარს განურჩევლად უგულ-  
ვებელყოფდა, მეორეგან ეროვნული მწერლობის განვითარების სა-  
მომავლო პერსპექტივებს მოდერნისტული ხელოვნების ტენდენცია-  
თა და კლასიკურ პოეტურ ტრადიციათა განუყოფელ მთლიანობაში  
ხედავდა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ თანდათანობით, სიმბოლიზმით გატა-  
ციების წლებშივე, გ. გაბიძის ლიტერატურული თვალსაზრისი ამ მეო-  
რე თეორიას დაეფუძნა. ასე რომ, დროთა განმავლობაში პოეტის  
ესთეტიკურ მრწამსს ორი მთავარი მასაზრდოებელი წყარო გაუჩ-  
ნდა: ეროვნული ლიტერატურული ტრადიცია და ევროპული პოეტური  
სიხალეები. ამ ორი მხარის ერთიერთგანუყოფელობისა და მთლიან-  
ობის აუცილებლობას იგი ერთგან ამგვარად აყალიბებს: „მომავალ  
დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე.  
რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთე-  
ული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრებენტიზმისა და ფუტუ-  
რიზმის. ეს ვბა აუცილებელია“.

ამ ორი მხარის თანაფარლობაში გიციანი უპირატესობას ეროვნულ  
გენს ანიჭებს. „ამჟამად, - განაგრძობს იგი, - წინა აზიაში ევროპა  
შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხედეთ შეჭურვილი  
ეროვნული შემეცნებით...“ ეროვნული კულტურის ისტორიული მონა-  
პოვრისადმი სწორედ ასეთმა ერთგულებამ განაპირობა ის გარე-  
მოება, რომ გიციანმა და მისმა მეგობრებმა სულ მალე მოთოქეს  
წარსულის განურჩეველი უარყოფის კანდიერი ვნებათა ღელვა და  
შეეცადნენ ეროვნულ პოეზიაში შემოსული ყოველი ახალი მხატვრული  
ტენდენცია ქართული მაღლით გაეცოცხლებინათ.

მიუხედავად იმ ამკარა შინაგანი წინააღმდეგობებისა, რითაც „ცის-  
ფერყანწელთა“ თეორიული ნააზრევი და მხატვრული შემოქმედება  
იმიჯნება ხოლმე ხშირად ერთმანეთისაგან შემოთქმული თვალსაზ-  
რისით, სწორედ ამ ფაქტორმა შეასრულა ერთ-ერთი მეტად მნიშვნე-

ლოვანი როლი იმაში, რომ ჩვენი სიმბოლისტების ლიგერატურული მემკვიდრეობა ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის უბრალო ეპიგონობის ნაყოფს არ წარმოადგენს და მრავალი საგულისხმო მხატვრული სიახლის დამამკვიდრებელია ეროვნული ლიგერატურის ისტორიაში.

კლასიკისა და სიმბოლიზმის, დასაეღეთისა და აღმოსაეღეთის, ურთიერთშეკავშირების აუცილებლობას გიციანი არა მარტო თეორიულად ქადაგებდა, არამედ პოეტურადაც.

რუსთაველი და მაღარმე, ბესიკი და ბოლღერი, აღმოსაეღეთი და დასაეღეთი - აი, გიციანის ამრით, ის ორი სამყარო, რომელთაც უნდა ეშვათ საშობაელო ქართული ლექსი.

სიმბოლიზმით ვაგაცების წლებში გ. ტაბიძემ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა „ბატონ შაბლონს“, რომელიც, მისი თქმით, იმხანად „მაღაყიას გადადიოდა ჩვენს ლიგერატურაში“ და „კომპარიეთ აწევა ქართულ სინამდვილეს“. ამ ვითარებიდან თავის დასაღწევი გზების ძიება გიციანმა ეუროპულ მწერლობაში გამოეღენიღ მხატვრულ სიახლეებს, პირეულ ყოვლისა კი სიმბოლისტურ ლიგერატურულ ტენდენციებს დაუკაემირა.

უცხოური მწერლობის მიღწეეებთან ამგეარი კონტაქტების დამყარება პოეტს ეროვნული ლიგერატურის განსაეითარებულ აუცილებულ პირობად მიაჩნდა. „სიმბოლიზმი“ რომ ჩვენში უცხოეთიდან მოღის, ამაში არაფერი საფრთხე არ არისო“, - წერდა იგი ერთგან და დამაჯერებელი არგუმენტებით ცდილობდა ამ თეაღსამრისის დამტკიცებას.

სიმბოლისტური ტენდენციები გ. ტაბიძის პოეზიაში ყველაზე მეტად 10-იანი წლების მეორე ნახეეარსა და 20-იანი წლების დასაწყისში გამოეღინდა. პოეტი ცდილობს თავის ლიგერატურულ მასწაელებლებს არა მარტო პოეტური პრინციპებით დაენათესაოს, არამედ გარეგნულადაც დაემსგაეოს. გაეისენოთ, მაგალითად, ფრაგმენტი „ავტოპორტრეტიდან“, რომელშიც საკუთარი პორტრეტის რამდენიმე მნიშვნელოვანი შტრიხი ასეა მოხაზული:

„უაიღღის პროფილი... ცისფერი თეალები, სარკეში იმაღება თმათეური ისფანგა, ტუჩების დაკოცნით მაღე ვიღალები, მწეანე ტაღლები, თმეზმა რომ დაღანგა.“

პოეტი დაბეჯითებით უსკამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ პოეზიაში ის სულ „სხეანაირ მუსიკას“ ამკვიდრებდა, რომღის რთულ პოლიფონიას, მრავალი ნიშან-თეისების მიხეღეით განსაზღვრავდა რუსული და ფრანგული სიმბოლიზმის ესთეტიკური სამყარო. შიგადაშიგ სიმბოლისტური ლიგერატურული მისწრაფებანი იმდენადაც კი

ბლიერდებოდნენ, რომ პოეტის შემოქმედებაში თითქმის მთლიანად უსმობდნენ კარს ეროვნული წიაღიდან დაძრულ ნაკადებს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, გ. გაბიძის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედებითი მონაპოვრის თვისებრივი ბუნება ყველაზე მეტად ამ ორი მხარის - ეროვნულისა და სიმბოლისტურის ერთმანეთთან შემაერთებელი გზების ძიებაში ვლინდება.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტური დამსახურება პირველ ყოვლისა, იმით უნდა შეფასდეს, რომ იგი თავისი ღრობის გამოჩენილ მწერლებთან ერთად მყარად დგას მეოცე საუკუნის დასაწყისის ეროვნული პოემიის განახლების სათავეში. ათიან წლებში სიმბოლიზმით გატაცებულმა პოეტმა დიდი ძალა და ენერჯია შეაღია ლიტერატურულ გრაფარეტთან და შაბლონურ პოეტურ ფორმებთან ბრძოლას.

ვ. გაფრინდაშვილი იმ დიდი ლიტერატურული თაობის ღირსეული წარმომადგენელია, რომლის შემოქმედებით საქმიანობას განსაზღვრავდა რწმენა იმისა, რომ პოეტური თავისთავადობის მისაღწევად საჭირო იყო დიამეტრალური გამიჯვნა ძველი ფორმებისა და ტრადიციებისგან. ძიების ამ გზამ იგი სიმბოლიზმთან მიიყვანა და ეროვნულ პოეზიაში სრულიად ახალი გენდენსიციების დამამკვიდრებელ ერთ-ერთ აქტიურ შემოქმედად აქცია. მართალია, ამ გზაზე შემდგომში ბევრი რამ აღმოჩნდა თვითმიზნური და უარსაყოფი, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ, თანამოაზრეებთან ერთად, ვ. გაფრინდაშვილი გაბედულად დაუპირისპირდა ლიტერატურული განვითარების ბორკილად ქცეულ შტამსა და შაბლონს და ახალი სასიცოცხლო ენერჯია შესძინა ეროვნულ მწერლობას.

ამ თვალსაზრისით, მან უაღრესად დიდი როლი შეასრულა არა მარტო თავისი მხატვრული შემოქმედებით, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობითაც. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, მაგალითად, მისი, როგორც ეურნალ „მეოცეუბ ნიამორების“ (1919-24 წწ.) რედაქტორის, დამსახურება ქართულ ლიტერატურაში. ვ. გაფრინდაშვილმა ეურნალის ირგვლივ შემოიკრიბა ახალგაზრდა მწერალთა სწორედ ის ნიჭიერი წარმომადგენლები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ახალი ლიტერატურული ფორმებისა და პრინციპების დასამკვიდრებლად.

თანამედროვე მკითხველის ინტერესი ვ. გაფრინდაშვილისადმი, როგორც პოეტისადმი, უპირველეს ყოვლისა, მისი მოღვაწეობის სიმბოლისტურ პერიოდთანაა დაკავშირებული. ამ ინტერესს, გარდა მხატვრული შემოქმედებისა, დიდად განსაზღვრავს „ცისფერყანწე-

ლებთან“ მისი პიროვნული ურთიერთობების შთამბეჭდავი ეპიზოდებიც. ლიგერატურულ წრეებში იგი ერთსულოვნადაა აღიარებული იმ „წმინდა სამების“ ერთ-ერთ საპატიო წევრად. რომლის შემადგენლობაში, მასთან ერთად, პაოლო იაშვილი და გიციან გაბიძე შედიოდნენ.

ქართულ ლიგერატურულ კრიტიკაში არაერთგზის გამოთქმულა აზრი იმის შესახებ, რომ ვ. გაფრინდაშვილის სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედება ეს იყო „ფრანგი და რუსი ლეკაღნებების მიერ გაყვანილი უსაგნო პოეზიის გზაზე“ უქმი სელა, რომ პოეტი მას შემდეგ ეძიარა ჭეშმარიტი ხელოვნების საიდუმლოს, რაც ღაღამო და მკვეთრად გაემიჯნა „იდეალიზმის, ფორმალიზმის, ინდივიდუალიზმის, ბოკე-მის წყევლიად.“

ბოლო ხანს, სავსებით მართებულად, ასეთი მექანიკური შიღვომა ვ. გაფრინდაშვილის ადრინდელი ლირიკისადმი, საერთოდ, ქართული სიმბოლისტების შემოქმედებისადმი, რადიკალურად იცვლება. ამაში მოულოდნელი არაფერია, რადგანაც ვალერიანის გამორჩეული და განსაკუთრებული დამსახურება ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სიმბოლისტური პერიოდის შემოქმედებითაა განპირობებული.

რომ არა ამ კუთხით მოპოვებული წარმატებები, მარტო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე ეტაპზე შექმნილი ნაწარმოებებით იგი გაცილებით უმნიშვნელო აღვილს დაიმკვიდრებდა მეოცე საუკუნის პოეტური სიტყვის ოსტატთა გვერდით. ვ. გაფრინდაშვილის ლიგერატურული ღვაწლი თანამედროვე მკითხველის წარმოსახვაში, უწინარესად, სწორედ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფში მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

პოეტის შემოქმედებაში გამოყვანილი სიახლენი უპირატესწილად ფრანგული და რუსული ლიგერატურული სინამდვილით იყენენ ნასამრდოები და ეროვნულ ფესვებთან შესისლხოცებული. „ცისფერყანწელები“ თავიანთი პოეტური ორიგინალობის მასტიმულირებელ ამ უცხოურ საფუძვლებს არა თუ ასაიდუმლოებდნენ, არამედ სახელდებულად აფეტიშებდნენ კიდევ. ეს ნათლად იგრძნობა მათ პატივისმცემლურ დამოკიდებულებაში რუსი და ფრანგი სიმბოლისტების ნააზრევისადმი, რაც ფართოდ ვლინდება როგორც მხატვრული შემოქმედებით, ისე ლიგერატურული წერილებითაც.

ამ თვალსაზრისით ვ. გაფრინდაშვილი ქართული სიმბოლიზმის გვერდაუკვლელი ფიგურაა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენში სიმბოლისტური ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების საქმეში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებიც სისტემატურად იბეჭდებოდა „ცისფერყანწელთა“ პრესაში.

შეიძლება ითქვას. გემოთქმული თვალსაზრისით იგი „ცისფერყან-წელთა“ ყველაზე გამოკვეთილი თეორიტიკოსია, ახალი ესთეტიკური პრინციპების ყველაზე თვალსაჩინო განმმარტებელი. ამიგომაცა-ა, რომ პოეტის ესეისტურ მემკვიდრეობას ფასდაუღებელი მნიშვნე-ლობა აქვს ჩვენი საუკუნის პირველი მეთხედის ქართული ლიტე-რატურული ცხოვრების შესასწავლად.

ვ. გაფრინდაშვილის სიმბოლისტურ ლექსებზე, თუ გვინდა ბოლომ-დე ჩაუწვდეთ და გავიაზროთ მათი შინაგანი სულისკვეთება, უპირ-ველეს ყოვლისა, სწორედ ამ წერილებსა და მათში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ვისაუბროთ, ვინაიდან მათში ნათ-ლადაა ახსნილ-განმარტებული არსი იმ ძირითადი ტენდენციებისა, რითაც პოეტის აღრინდელი ლექსები ხასიათდებიან.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფის თავკაცისა და პირ-ველი ეურნალის რედაქტორ-გამომცემლის - **ბალოთ იაშვილის** გა-ტაცება სიმბოლიზმის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით, შეიძლება ითქვას, მის წერილებში უფრო მეტად გამოვლინდა, ვიდრე პოეტურ შემოქმედებაში. ყოველ შემთხვევაში, პაოლოს მიერ დეკლარირებულ სიმბოლისტურ ლიტერატურულ პრინციპებსა და ლექსებს შორის ყოველთვის როდი არსებობს სრული შესაბამისობა. თავისი პოეტურ-ი ბუნებით, სტილითა და მოვლენათა აღქმის თვითმყოფადობით პაო-ლოს პოეზია სიმბოლიზმით ყველაზე მეტად გატაცების წლებშიც კი უფრო კლასიკურ პოეტურ ტრადიციებთან და რეალიზმის პრინციპებთანაა დაკავშირებული, ვიდრე სიმბოლიზმის ესთეტიკურ მოთხოვნებთან.

მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლიზმით, საერთოდ, ევროპული მო-ღერნიზმით გატაცებამ პაოლოსა და მისი მეგობრების შემოქმედებაში ნამდვილად გამოაყვინა ზოგიერთი თვითმიზნური და აშკარად ფორ-მალისტური ტენდენცია, ამ ლიტერატურულმა მიმდინარეობამ მაინც შეასრულა არსებითად მნიშვნელოვანი როლი ათიანი წლების ჩვე-ნი მწერლობის განახლების საქმეში. ეს როლი, პირველ ყოვლისა, იმით განისაზღვრა, რომ მან ახალი სასიცოცხლო იმპულსები შესძი-ნა „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებას, ხელი შეუწყო ლიტერატურ-ულ შგამქთან დაპირისპირებას და პოეტურ ძიებათა შემდგომ გან-ვითარებას, ეროვნული მწერლობა უფრო სისხლსორცეულად დაა-კავშირა ევროპულ შემოქმედებით სიახლეებთან...

უფიქრობ, ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის როლის შეფა-სების დროს, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ მომენტებს უნდა მივაქ-ციოთ ყურადღება და არა იმ სიგყვიერ ესთეტიკურ დეკლარაციებს,

რომლებსაც ხშირად თვით მათი მქადაგებელნიც კი არ იცავენ და. იშვიათი გამონაკლისების გარდა, თავადაც არ მიდიოდნენ მათ მიერ განდიდებულ შემოქმედებით ექსტრემიზმამდე.

დღეს უკვე ფართოდაა დამკვიდრებული ის აზრი, რომ პაოლომ და მისმა მეგობრებმა უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ლექსის ვერსიფიკაციული მხარის გამრავალფეროვნების საქმეში. ისინი აქტიურ მონაწილეობას ლებულობდნენ XX საუკუნის პირველი მესამედის ჩვენს პოეზიაში ამ მიმართულებით ინტენსიურად მიმდინარე პროცესში და ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ეროვნულ ლიტერატურას.

აღსანიშნავია, მაგალითად, პაოლოს მრუნვა ისეთი სალექსო ფორმების დასამკვიდრებლად, როგორებიცაა ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი, სონეტი და ტრიოლეტი. მართალია, ამ ვერსიფიკაციულ ფორმებს მამინ სხვა პოეტებიც ხშირად მიმართავენ, მაგრამ პაოლოს ღვაწლი იმითაა ხაზგასასმელი, რომ მისებრი პოეტური ოსტატობისთვის ამ საზომით შექმნილ ნაწარმოებებში იზნანად ცოტას თუ მიუღწევია.

900-910-იან წლებში მოღვაწე იმ ქართველ პოეტთა შორის, რომლებიც ლიტერატურული ინდივიდუალობის ძიებაში სიმბოლისტური პრინციპების აღიარებამდე მიიყვანა, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ გიორგი ლეონიძეც. ასალ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა მაძიებელი ჭაბუკი პოეტი, ამ დროიდან მოყოლებული, უკვე გაბედულად ცდილობს რადიკალურად გაემიჯნოს ლიტერატურულ ტრადიციას, გადაუხვიოს ტრადიციულ გზას და, ევროპული მოღერნიზმის გამოჩენილ ოსტატთა ესთეტიკურ შეხედულებებს დამოწაფებულმა, ხელოვნების არსისა და დანიშნულების ახლებური გაგება დაამკვიდროს.

მაგრამ სიმბოლისტურ ლიტერატურულ ტენდენციებს გ. ლეონიძის პოეზიაში დიდად საგულისხმო შემოქმედებითი წარმატებანი არ მოეყოლია. მართალია, სიმბოლიზმმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა და გადააფასა ბევრი რამ პოეტის მანამდელ ლირიკაში, მაგრამ ამ ლიტერატურული მიმდინარეობის შედეგად დამკვიდრებული სტილური სიახლენი ჯერ კიდევ მოკლებულნი იყვნენ ლეონიძისეულ მხატვრულ ძალმოსილებას და სრულყოფილად ვერ ავლენდნენ ავტორის შემოქმედებით შესაძლებლობებს.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ჯგუფს გ. ლეონიძე 1918 წლიდან უკავშირდება. ამ დროისათვის მას, როგორც ევროპული სიმბოლიზმით გატაცებულ პოეტს, მკაფიოდ ჰქონდა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული თავისი ესთეტიკური შეხედულებანი. იგი აქტიური წევრი ხდება „ყანწელთა“ შემოქმედებითი ჯგუფისა, სისტემა-

ტურად თანამშრომლობს მათ პერიოდულ გამოცემებში, მონაწილეობს „ცისფერყანწელთა“ მიერ მოწყობილ ღონისძიებებში, თავადაც ენერგიულად ეწევა საგამომცემლო-სარედაქციო საქმიანობას და ა. შ.

და მაინც, მიუსვლად ყოველივე ამისა, გ. ლეონიძე „ცისფერყანწელბთან“ პიროვნულად, ბიოგრაფიულად უფრო აღმოჩნდა დაკავშირებული, ვიდრე შემოქმედებითად.

იმის ასახსნელად და გასარკვევად, რამ მიიყვანა გ. ლეონიძე სიმბოლისტური ესთეტიკური პრინციპების აღიარებამდე, მეტად მნიშვნელოვანია პოეტის „აგტობიოგრაფია“. მასში მუსკადაა ახსნილი და შეფასებული ის არსებითი ფაქტორები, რომელთაც გ. ლეონიძე და მისი თაობის სხვა ნიჭიერი მწერლები ევროპული მოდერნისტული ხელოვნების მადლს ამიარეს. პოეტის განმარტებით, ეს იყო ცდა მათი დროის ქართულ პოეზიაში გაბატონებულ შტამპიან და გრაფარეტთან დაპირისპირებისა, ბრძოლა „უფერულ, გაცვეთილ სიტყვასთან და ძველ პოეტურ ტექნიკასთან“, დაუოკებელი სწრაფვა ლიტერატურული „თავისუფლებისა და ახალ სახვით საშუალებათა“ მიგნებისაკენ.

გ. ლეონიძისა და მისი თანამოაზრეებისათვის, პირველ ყოვლისა, სწორედ სიმბოლიზმი აღმოჩნდა ის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც გმას უსხნიდა მათ „ტექნიკური სიმღიდრის, ფორმალური სირთულის, ძიების, რითმისა და ლექსის მუსიკალობისაკენ“. 1918-1920 წლებში ბოდლერით, ვერლენით, ერედიათი, რემბოთი, ბლოკითა და ანენსკით გაგაცნობამ გ. ლეონიძე, მისი თქმით, „ისეთ პოეტურ ნიპი-ლიზმამდე მიიყვანა“, რომ მას „საერთოდ ზედმეტად მიაჩნდა რემბოს შემდეგ რაიმეს დაწერა“. მის წარმოსახვაში „მთვრალი ხომალდის“ დაწერა „ილიადას“ შექმნაზე ბევრად რთული და ძნელი საქმე იყო“. მაგრამ გავიდა არცთუ ისე დიდი დრო და პოეტმა „გული აიყრუა ესთეგობაზე და განყენებულ არგისტიზმზე... თანდათან ძლია სულიერი კრიზისი, სიმბოლისტური გავლენა, ესთეგთა კამერულობა და ცოცხალ ხალხურ სიტყვას დაუბრუნდა“. ამაში მას „ეროვნულ ნიადაგთან მტკიცე კავშირმა გაუწია“ უპირველესი დახმარება.

სიმბოლისტური ტედენდენციები გ. ლეონიძის ლირიკაში მალე ჩაცხრა და ოციანი წლების შუა ხანებში პოეტმა, სულ სხვა პოეტური სამყარო აღმოაჩინა, სრულიად ახალი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი და ლიტერატურული ინდივიდუალობანი. ცხადია, ამ ახალი პოეტური სამყაროს მიგნებისა და დამკვიდრების გზაზე მნიშვნელოვანი როლი იმ მოდერნისტულმა ძიებებმაც შეასრულეს, რომელთაც შინაგანად ბევრ რაიმეს მოუმზადეს მკვიდრი საფუძველი გ. ლეონიძის პოეზიაში.



**დემნა შენგელაიას** პირველი თვალსაჩინო ნაწარმოები, რომლითაც ფართოდ გახმაურდა მისი, როგორც ნიჭიერი მწერლის, სახელი. „სანაეარდო“ იყო (დაიწერა 1923 წელს. პირველად გამოქვეყნდა ახლად დაარსებულ ჟურნალ „მნათობში“ 1924 წელს). პრობლემატიკითაც და მხატვრული თვალსაზრისითაც ეს ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, თვისებრივად ახალი მოვლენაა ოციანი წლების ჩვენს მწერლობაში, იმ ხანად ფართოდ გამოივლენილ მოღერნისტულ-აჟანგარდისტულ შემოქმედებით ძიებათა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულება და ახალი გიჟის ქართული რომანის თვალსაჩინო ნიმუში. ამ ნაწარმოებით, იმეამინდელი ჩეხნი ბელეტრისტიკის აწ უკვე საქვეყნოდ აღიარებულ ოსტაგებთან ერთად, დ. შენგელაიამ მკვიდრი საფუძველი მოუმზადა ქართული პროზის სტრუქტურულ განახლებას.

განსხვავებით სიმბოლიზმისაგან, იმპრესიონიზმისა და ექსპრესიონიზმისაგან, არსებითად ნაკლებად მნიშვნელოვანია ის როლი, რომელიც **ფუტურისტულმა მიმდინარეობამ** შეასრულა XX საუკუნის 20-იანი წლების ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ 1922-28 წლებში არსებულ ამ შემოქმედებით დაჯგუფებაში გაერთიანებულ მწერალთა სია არც თუ ისე მცირერიცხოვანი იყო, თავისი ლიტერატურული შესაძლებლობით მათგან, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი - **სიმონ ჩიქოვანი** გამოირჩეოდა.

თავიანთი აჟანგარდისტული ლიტერატურული შეხედულებებითა და მხატვრული ნაწარმოებებით ს. ჩიქოვანი და მისი თანამოაზრენი მკვეთრად გამოვლენილი აგრესიულობით დაუპირისპირდნენ როგორც წინამორბედ, ისე თანამედროვე მწერლებს. მართალია, ამგვარი დაპირისპირების პრეცედენტი იმ ხანად ჩვენს მწერლობაში უკვე არსებობდა („ცისფერყანწელები“, პროლეტარული ლიტერატურული ასოციაციის წარმომადგენლები...), მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ფუტურისტების რადიკალიზმი ამ შემთხვევაში მაინც ამკარად გამორჩეული მოვლენა იყო.

ქართველი ფუტურისტების ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი, 1922 წელს გამოცემული მათი პირველი ლიტერატურული მანიფესტის შემდეგ, მთელი თავისი რადიკალიზმით აისახა 1924 წელს გამოშვებულ ჟურნალში „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“. ამ უცნაური სახელწოდების მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული წერილებითა და მხატვრული ნაწარმოებებით მკითხველისათვის ნათელი ხდება ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული ახალი ლიტერატურული ჯგუფის როგორც შემოქმედებითი, ისე იდეოლოგიურ-მოქალაქეობრივი მიზანსწრაფვა.

ჟურნალში გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქცია ოდნაეადაც

კი არ შეესაბამება იმ პრეგენზიულ გონს, ფუტურისტების საპროგრამო ღირებულებებში რომაა არაორაზროვნად გამოხატული. მათი თეორიული მოთხოვნები და ლიტერატურული ცდები ხშირად, შეიძლება ითქვას, სრულ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან.

„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ისათვის დამახასიათებელი რადიკალიზმში, თუმცა რამდენადმე შერბილებულად, მაგრამ მაინც, გაგრძელდა ფუტურისტების მომდევნო ეურნალშიც – „ლიტერატურა და სხვა“. აქაც, საკმაოდ პრეგენზიული განცხადებების ფონზე, დიდი ადგილი ეთმობა შემოქმედებით ძიებებსა და სიგყვებით ეონგლიორობას.

ფუტურიზმით გატაცების პერიოდი ს. ჩიქოყანის შემოქმედებაში ხანმოკლე დროს მოიცავს და ოციანი წლების ბოლომდე გრძელდება. ამ პერიოდში შექმნილი პოეტური ნაწარმოებებით იგი შეეცადა პრაქტიკულად შეესხა სორცი იმ პრინციპებისათვის, რომელნიც ახალი შემოქმედებითი მიმდინარეობის დამკვიდრებას ისახავდნენ მიზნად ჩვენს მწერლობაში. მიუხედავად გარკვეული ლიტერატურული წარმატებებისა, ამ დროს გამოქვეყნებულ ნაწარმოებებში ბევრი რამ იყო თვითმიზნურად ფორმალისტური. თავად პოეტმა მისი შემოქმედების ამ ეტაპს „სიჭაბუკის ბორძიკის“ ხანა დაარქვა.

\* \* \*

როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც თვალნათლივ ჩანს, მეოცე საუკუნის პირველი მესამედის ქართული მწერლობის განვითარების პროცესზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს იმ პერიოდის ევროპულ ლიტერატურაში დამკვიდრებულმა მიმდინარეობებმა: სიმბოლიზმმა, იმპრესიონიზმმა, ექსპრესიონიზმმა და ფუტურიზმმა.

ამ მიმდინარეობებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ლიტერატურული პრინციპებისა და ეროვნული გრადიციების ბუნებრივი და სისხლხორცეული შერწყმა-სინთეზირებით ერთმანეთთან, რითაც იქამინდელი ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლობის შემოქმედება ხასიათდება, ქართული ლიტერატურის ევროპეიზაციის პროცესი კიდევ უფრო მასშტაბურ მოვლენად იქცა.

# ლიტერატურული დაჯგუფებანი XX საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ქართულ მწერლობაში

ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების იმ შპლაყრმა გენდენციამ, რომელმაც გასული საუკუნის დასაწყისში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ მწერალთა შემოქმედებაში იჩინა თავი, არსებითად შეუწყო ხელი ქართული მწერლობის წიაღში ახალ მიმდინარეობათა და დაჯგუფებათა შექმნისა და დამკვიდრების პროცესს. ევროპულ ლიტერატურაში ფართოდ ფესმოდგმულმა მოდერნისტულ-აეანგარდისტულმა ტენდენციებმა იმხანად მოღვაწე თითქმის ყველა ქართველი მწერლის შემოქმედებაზე მოახდინეს კეთილდამკვიდრებელი ზეგავლენა. თუმცა ევროპული შემოქმედებითი სიახლეებით მათი ამგვარი დაინტერესება ეროვნულ ტრადიციათა უგულვებელყოფამდე არასოდეს მისულა და ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწილი თავისი ლიტერატურული ფესვებით უპირველეს ყოვლისა მაინც მშობლიურ წიაღს იყო შემზრდილ-შესისხლხორცებული.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში ზემოთქმული თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე, მოკლედ გავაანალიზოთ იმხანად ჩვენში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა უმთავრესი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები და შემოქმედებითი თავისებურებანი. იმის გამო, რომ იმეამინდელ ევროპულ მწერლობაში დამკვიდრებული ისეთი მიმდინარეობანი, როგორებიცაა: იმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი და სხვები, ქართულ ლიტერატურაში ცალკე დაჯგუფებათა სახით არ ჩამოყალიბებულა და მხოლოდ ცალკეული მწერლების შემოქმედებაში გამოვლინდა, მათზე საგანგებო საუბარი ამჯერად მიზანშეწონილად არ ჩაეთვალება.

დავიწყოთ „ცისფერყანწელთა“ მიმდინარეობით.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფება 1916 წელს შეიქმნა ქუთაისში. მისი არსებობა დასაბამს იღებს ამ წელს პ. იაშვილის რედაქტორობით აქ გამოცემული ჟურნალით - „ცისფერი ყანწები“ (გამოიყა სულ ორი ნომერი). როგორც მართებულად შენიშნავს ვ. გაფრინდაშვილი, ამ ჯგუფის შექმნამდე „ლიტერატურული სკოლა ამ სიგყვის სწორი მნიშვნელობით საქართველოში არ არსებობდა“.

ეურნალმა „ცისფერმა ყანწებმა“. რომელშიც მაშინდელი ჩვენი მწერლობის მრავალი საინტერესო ოსტაგის (მათ შორის „არაქსისფერყანწელებისაც“) ახალი ნაწარმოებები იყო დასტამბული, ლიტერატურული სამოგადოებრიობის ცხოველი დაინტერესება გამოიწვია. განსაკუთრებული ყურადღებისა და ვახსჯის სავნად იქცა პაოლო იაშვილის საპროგრამო წერილი „პირველთქმა“ და გიციან გაბიძის სტაგია „ცისფერი ყანწებით“, რომლებშიც ახალი დაჯგუფების ძირითადი პრინციპები იყო ჩამოყალიბებული.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის ფორმირებას მათი პირველი პერიოდული ორგანოს გამოცემაძღე წინ უძღოდა მანამდელ ქართულ პრესაში ამ ჯგუფში გაერთიანებულ მწერალთა აქტიური თანამშრომლობა. 900-იანი წლების მიწურულიდან ეურნალ-ვაგმეთებში გამოქვეყნებული მათი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოებებით თანდათანობით მზადდება მყარი ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჩვენს ლიტერატურაში ახალი შემოქმედებითი გაერთიანების დასაფუძნებლად.

1916 წლიდან მოყოლებული, „ცისფერყანწელებმა“ რამდენიმე დასახელების ეურნალი და ვაგმეთი გამოსცეს. კერძოდ: „მეოცნებე ნიამორები“ (1919-24 წწ.), „შვილდოსანი“ (1920 წ.), „ბარრიკადი“ (1920-24 წწ.), „რუბიკონი“ (1923 წ.), „ბახგრიონი“ (1922-23 წწ.). 1919 წელს ქუთაისში მათეე დაარსეს გამომცემლობები „კირჩხიბი“ და „მეოცნებე ნიამორები“, რომელთა მეშვეობითაც გამოსცეს როგორც თავიანთი, ისე ნათარგმნი წიგნები (ვ. ვაფრინდაშვილის „დაისები“, კ. ნადირაძის „ბალდახინი“, სტ. მალარმეს „ლექსები და პროზა“, „ახალი პოეზიის ანგოლოგია“ და სხვ.).

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფი მტკიცეე შეკავშირებული მეგობრული წრე იყო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: პიაშვილი, გ. გაბიძე, ვ. ვაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე და კიდეე რამდენიმე მწერალი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფის უშუალო წევრი არ ყოფილა, მათთან ასლო მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა ვრ. რობაქიძესაც, რომელსაც „ყანწელები“ თავიანთ უფროს მასწავლებლად თვლიდნენ.

ეურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომერი იხსნება პაოლოს მიერ დაწერილი „პირველთქმით“, რომელაც ქართული მწერლობის ისტორიაში ახალი ლიტერატურული დაჯგუფების დამკვიდრების მაცნე პირველი საპროგრამო ღოკუემენტია. მასში თავისებური ფორმით

განისაზღვრა ჯგუფის ძირითადი პრინციპები და მიზანდასახულობა, თუმცა განისაზღვრაო. რომ ვამბობთ, ეს მთლად ზუსტი გამოთქმა არაა. რადგანაც ხსენებული „მანიფესტი“ მხოლოდ პირობითად თუ ასრულებს ამ ფუნქციას.

„მანიფესტის“ ავტორი თავიდანვე ხაზგასმული პრეტენზიულობით ამცნობს საზოგადოებას ახალი ლიგურაგურული სკოლის დაფუძნებას „ბინძურ მზით გამოთბარ ქვეყანაში“. მისი შეფასებით, „საქართველოს ლანდურ არსებას ამ დაჯგუფების წარმოქმადგენლები „ახალი სხივთმოსილებით“ მოეკლინენ, რათა „ოცნებადაკარგული ხალხისათვის“ ესწავლებინათ გზა „მომავალი ცისფერი ტაძრისაკენ“. ასეთი თამამი, არგისტული, ბეაწეული ტონით იწყება „პირველთქმა“, როგორც მიმართვა საქართველოს ყველა მგონისაღმე და მეოცნებისაღმე, საერთოდ, მთელი ქართველი ხალხისაღმე. ეს პათეტიზმი და სიგყვიერი არგისტიკა ბოლომდე გასდევს „მანიფესტს“, რომელსაც ავტორი ქადაგებასაც უწოდებს.

„ცისფერყანწელთა“ მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური თვალსაზრისის გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია „მანიფესტის“ შემდეგი ადგილი: „ჩვენ ვადიდებთ სიგყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გავიყებულ დირიჟორისა. შიშის სამყარო სიბნელეა - ჩვენ ნათელში ვცხოვრობთ. ვცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში. გეწამს ყოველგვარი ორგია. ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაყეთ ძვირფასი მარგალიტები და გადავისროლეთ დაეიწყების ზღვაში“.

ამ ფრაგმენტში, როგორც ვხედავთ, ნათლად განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ახალი ხელოვნების ძირითადი ნიშან-თვისებები. ესენია: წარსულის კულტურული მემკვიდრეობის ხელაღებით უარყოფა; სიმთვრალისა და ყოველგვარი ორგის განდიდება, რაც შემდგომ ბოჰემური ცხოვრების კულტში გადაიზარდა; დამსხვრევის მშვენიერება და განდიდება...

წარსულის კულტურული მემკვიდრეობისაღმე ნიჰილისტური დამოკიდებულების ტენდენციამ პაოლოს პოეზიაშიც ჰპოვა გამოსატყულება. გაეიხსენოთ, მაგალითად, მისი ლექსი - „პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე“, რომელიც „პირველთქმასთან“ ერთად დაისტამბა 1916 წელს „ცისფერი ყანწების“ პირველ ნოერში.

პაოლო იაშვილს მომეწყინა ყვითელი დანტე,  
ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა, შექსპირს უარი,

რა ექნა, რომ ჩემთვის პეისოოენი მხოლოდ ყრუ არი  
და რომ წარსულმა ვერ გადმოხედა მე ანდამაგი.

მაგრამ „ყანწელები“ მალე ღარწმუნდნენ იმაში, რომ წარსულის  
კულტურული მემკვიდრეობის ხელალებით უარყოფა შეცდომა იყო  
და რადიკალურად შეცვალეს პოზიცია. შიგადაშიგ, ასეთი რეციდი-  
ვები მათს ნააზრევში მართალია მოგვიანებითაც იჩენს თავს, მაგ-  
რამ მთავარი მაინც ის იყო, რომ ისინი შეეცადნენ, პირველ ყოვლი-  
სა, სწორედ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში მოეძებნათ ახალი  
შემოქმედებითი პრინციპების საფუძვლები. ამ შემთხვევაში, ეწინა-  
რესად, მათ რუსთველს მიაპყრეს მზერა და იგი თავიანთ შორეულ  
წინამორბედად გამოაცხადეს. გარდა რუსთველისა, თავიანთ უშუა-  
ლო ლიტერატურულ წინაპრებად „ცისფერყანწელებმა“ ასევე მიიჩ-  
ნიეს გურამიშვილი, ბესიკი და ვაჟა-ფშაველა. ასეთი იყო, პაოლოსა  
და მისი თანამოაზრეების შეუახებით. ის გრადიციული მაგისტრალუ-  
რი ხაზი, რომლის გენეტიკურ გავრძელებასა და განვითარებას  
წარმოადგენდა ჩვენს მწერლობაში „ცისფერყანწელთა“ შემოქმედება.

„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ასოციაციის დაარსების იდეა  
ერთბამად არ გაჩენილა. ეს აზრი თანდათანობით ყალიბდებოდა და  
ისხამდა ხორცს პაოლოს ირგვლივ შემოკრებილ თანამოაზრეთა წრე-  
ში. თავისი ავგორიგეტის გამო იგი ერთხმად იქნა აღიარებული ახალი  
ლიტერატურული ჯგუფის თავკაცად და წინამძღოლად. მიუხედავად  
იმისა, რომ, როგორც თეორეტიკოსებმა და ლიტერატურული პრინცი-  
პების მქადაგებლებმა, გიციან გაბიძემ და ვალერიან გაფრინდაშ-  
ვილმა უფრო მეტი ამაგი დასდეს „ცისფერყანწელთა“ სკოლის ჩა-  
მოყალიბებას, თავკაცისა და წინამძღოლის როლი მაინც პაოლოს  
ქონდა ერთსულოვნად მიკუთვნებული.

პ. იაშვილის, რიგორც ქართულ ლიტერატურაში სიმბოლიზმის ერთ-  
ერთი დამამკვიდრებელი მწერლის, ესთეტიკური პრინციპების გა-  
სარკვევად და დასახასიათებლად, „პირველთქმასთან“ ერთად, ასე-  
ვე, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ 1924 წლის  
6 იანვარს დაწერილ წერილს „შვიდი წელიწადი“. ეს სტაგია ეურ-  
ნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლისა და, ამდენად, ამავე სახელწო-  
ლების ლიტერატურული ჯგუფის დაარსების შვიდ წლისთავთან და-  
კავშირებით დაწერა. ასე რომ, ხსენებულ წერილს, რომელშიც ჯგუ-  
ფის თავკაცის მიერ ერთხელ კიდევ შეუახებულია და განსამზღვრული  
„ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული სკოლის ძირითადი შემოქმე-  
დებითი პრინციპები, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობას  
უფრო მეტად ზრდის ის გარემოება, რომ „შვიდი წელიწადი“, „პირ-  
80

ველთქმის" მსგავსად, საპროგრამო მიზანდასახულობის წერილია.

თუმცა აქვე, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ძველი, მოღერნისგული შეხედულების დეკლარაციული დაცვის მიუხედავად, პაოლის ამ წერილში მინაგანად იმისი სევედაც იგრძნობა, რაც ახლავს „არქივთან მიახლოებას“, „ისტორიის დაწერას, რომანტიკულ ფიქრს წარსულის ალტაიებულ დღეებზე და ოხერას იმაზე, თუ რანი ვიყავით“. პოეტი ვრძნობდა, რომ თავისი ჯგუფის ყველაზე ბედნიერი დღეები უკვე გარდასული იყო და მათ დაბრუნებაზე ფიქრი უნიადაგო რომანტიკული ოცნება გახლდათ. „შეიღიწელი წელიწადი“ თავისებური შეჯამებაა, რაც „ცისფერყანწილებმა“ გააკეთეს ამ ხნის მანძილზე, მკითხველისადმი მიცემული ერთგვარი ანგარიში და ახსნა-განმარტება იმისა, რით იყვნენ მთავონებულნი ამ ახალი ლიტერატურული ჯგუფის შემოქმედნი, როცა ასპარეზზე გამოდიოდნენ.

როგორც ითქვა, „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებული მასალებიდან ხსენებული ჯგუფის ესთეტიკური პრინციპების განსაზღვრის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია გ. ტაბიძის ვრცელი წერილი „ცისფერი ყანწებით“ (№ 1, 2). ხსენებული სტატიისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში იმეამინდელი ქართული პოეზიის მრავალი სასიცოცხლო საკითხია დასმული და ორიგინალური კუთხით გააზრებული. მიუხედავად იმისა, რომ ავტორის მსჯელობაში ზოგიერთი რამ დროთა განმავლობაში გადაფასდა და მოძველდა, მის მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან ბევრი რამ დღესაც უაღრესად მნიშვნელოვანია 900-იანი და ათიანი წლების ჩვენი პოეზიის დასახასიათებლად.

გ. ტაბიძემ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა „ბატონ შაბლონს“, რომელიც, პოეტის აზრით, „მაღაყიას გადადიოდა ჩვენს ლიტერატურაში და კომპარივით აწვა ქართულ სინამდვილეს“.

შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევი გზების ძიება ტყიანმა ევროპულ და რუსულ მწერლობაში გამოვლენილ მხატვრულ სიახლეებს, პირველ ყოვლისა კი სიმბოლისტური ლიტერატურული მიმდინარეობისთვის დამახასიათებელ მხატვრულ ტენდენციებს დაუკავშირა.

უცხოური მწერლობის მიღწევებთან ამგვარი კონტაქტების დამყარება ახალგაზრდა პოეტს ეროვნული ლიტერატურის განსავითარებელ აუცილებელ პირობად მიაჩნდა. „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არისო“, – წერდა იგი და დამაჯერებელი არგუმენტებით ესწრაფოდა ამ თვალსაზრი-

სის დამტკიცებას. აქ, პირველ ყოვლისა, ყურადღების ცენტრში ექცეოდა მსოფლიოს პროგრესულ კულტურებთან ჩვენი მწერლობისთვის გრადიციულად დამახასიათებელი კონტაქტები. „ჩვენ ვიცი, - წერდა იგი, - რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრ სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოვლია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათთვისაც გაუგანებია. ამას არაფერი დაუმღია რუსთაველისთვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიც უალრესად არი გამოჩენილი ქართული სული“.

„ეისფერყანწელთა“ დამსახურებაზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქცეს იმ ფაქტს, რომ მათ გაბედულად გაილამქრეს ლიტერატურული გრაფარეგის წინააღმდეგ და წამოაყენეს ლომუნგი ქართული ლექსის „ევროპული რადიუსით“ გამართვის შესახებ. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო ჩვენი მწერლობის განვითარების ვმათა ორგანული დაკაეშირება ევროპულ შემოქმედებით სიახლეებთან. „ყანწელთა“ აზრით. ქართული ლიტერატურა მხოლოდ ამ შემთხვევაში დააღწევა თავე პროვინციულ კარჩაკეტილობასა და შეზღუდულობას. ეს თვალსაზრისი გ. გაბიძემ თავის ერთ-ერთ აღრინდეღ ლექსში შემღვენაირად გამოხატა:

გაფიზის ყარდი მე პრუღონის ჩაღღე ვაშაში,  
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოღღერის ბოროტ ყეაიღებს...

გ. ლეონიძე კი იმავე თვალსაზრისს ასე გამოხატავს:

არტურ რემბოსთან ბოროტ გყუჟად ჩახუტებული,  
მაღგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭაეჭაეაძე.

როგორც ვხედავთ, ევროპულ ლიტერატურასთან ჩვენი მწერლობის დაახლოებისკენ სწრაფვა კარგად გაცნობიერებული მოვლენა იყო. თუმცა ეს ფაქტი სულაც არ ნიშნავს ეროვნული ფესვებისაგან მოწყვეტას. „როცა ხალხი სხვისგან რაიმეს იღებს, - წერდა ამასთან დაკავშირებით გ. გაბიძე, - იმას თავის ბრძმეღში ატარებს... ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებებს ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს“.

ქართულ მწერლობაში სიმბოლისტური ლიტერატურული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას გ. გაბიძემ რენესანსის დაწყება უწოღა. ამ ახალი „პოეტური რენესანსის“ არსი და განვითარების პროცესი მას საკმაოდ წინააღმდეგობრივად აქვს წარმოღგენილი. თუ ერთგან იგი წარსულის ლიტერატურულ მონაპოვარს განურჩევეღად უგულვებელყოფღა, მეორეგან ეროვნული მწერლობის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს მოღერნისტული ხელოვნების გენღენცია-



თა და კლასიკურ პოეტურ ტრადიციათა განუყოფელ მთლიანობაში ხედავდა. ამ თვალსაზრისით პოეტის ესთეტიკურ მრწამსს ორი მთავარი მასაზრდოებელი წყარო გააჩნია: ეროვნული ლიტერატურული ტრადიცია და ევროპული პოეტური სიახლეები. ამ ორი მხარის ერთიერთგანუყოფელობისა და მთლიანობის აუცილებლობას იგი თავის საპროგრამო წერილში ამგვარად აყალიბებს: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხედეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შექმნები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრემენტიზმისა და ფუტურისმის. ეს გზა აუცილებელია“.

ამ ორი მხარის თანაფარდობაში გიციანი უპირატესობას ეროვნულ გენს ანიჭებს. „ამჟამად, - განაგრძობს იგი, - წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დაეხედეთ შეჭურვილი ეროვნული შექმენებით...“ ეროვნული კულტურის ისტორიული მონაპოვრისადმი სწორედ ასეთმა ერთგულებამ განაპირობა ის გარემოება, რომ გიციანმა და მისმა მეგობრებმა სულ მალე მოთოკეს წარსულის განურჩეველი უარყოფის კადნიერი ენებათა ღელვა და შეეცადნენ ეროვნულ პოეზიაში შემოსული ყოველი ახალი მხატვრული ტენდენცია ქართული მადლით გაეყოცლებინათ.

მიუხედავად გარკვეული შეცდომებისა და გადაჭარბებისა, რაც ამ მიმართულებით დროთა განმავლობაში გამოჩნდა „ცისფერყანწელთა“ თეორიულ ნააზრევსა და მხატვრულ შემოქმედებაში, სწორედ ამ ფაქტორმა შეასრულა ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ ჩვენი სიმბოლისტების ლიტერატურული მემკვიდრეობა ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის უბრალო ეპიგონობის ნაყოფს არ წარმოადგენს და მრავალი საგულისხმო მხატვრული სიახლის დამამკვიდრებელია ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში.

სპეციალისტებს არაერთგზის აღუნიშნავთ მართებულად, რომ „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ჯგუფი მხოლოდ წმინდა სიმბოლისტური ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პრიციპებით განსაზღვრული სკოლა არ არის. ეს ნათლად დასტურდება გიციანისა და მისი მეგობრების შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაცნობით. ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურულ ნააზრევში შიგადაშიგ ძალუმაღ შეინიშნება აგრეთვე სხვა მიმდინარეობათათვის ნიშანდობლივი ტენდენციების გამოვლინება.

მაგალითად, „ცისფერყანწელების“ წერილებში ხშირად ისენიებიან ფუტურისტები. ქართველ სიმბოლისტთა შემოქმედების ზოგიერთი ტენდენცია დაკავშირებულია აგრეთვე რომანტიზმთან, დაღაიზმთან და

გასული საუკუნის დასაწყისის სხვა ლიგერატურულ დაჯგუფებებთან.

გ. გაბიძის ზემოთ მოსხენიებული წერილის მეორე ნაწილში. რომელიც „ციციური ყანწების“ მე-2 ნომერში დაიბეჭდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიგერატურულ გრადიციებთან დამოკიდებულების პრობლემას. ამ შემთხვევაში ავტორის პოზიცია გაორებულია. ერთის მხრივ, როგორც ითქვამს, იგი ცდილობს წინამორბედთაგან გამოკდეს იმ მწერალთა სახელები, რომელთაც თავისებური საფუძვლები მოუპოვებდა სიმბოლიზმის გავრცელებას საქართველოში. მეორეს მხრივ, გამოხატავს თავის აგრესიულ დამოკიდებულებას ჩვენს მწერლობის ბევრი გამოჩენილი ოსტაგისადმი, განსაკუთრებით კი „თერგდალეულებისადმი“.

მაგრამ არც გიციანისა და არც მისი თანამომარეების ნიჰილიზმი წარსულისადმი ბოლომდე თანმიმდევრული მოვლენა არ ყოფილა და მათი აგრესია ყველაზე მეტად, არსებითად, მხოლოდ ქართველ „სამოციანელებთან“ დამოკიდებულებაში გამოვლინდა.

გ. გაბიძის აზრით, „თერგდალეულთა“ შემოქმედებითი მოღვაწეობის უმთავრესი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ მათ „ქართული პოეზიის ყვეილს დაწყეს შეცვლა რუსულ ხორბლათ“. „თერგდალეულებმა“ - ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაისადეს „სამიკიგნო ზალად და პოეზია გამეთად. ილია ჭავჭავაძემ საბოლოოდ დაწყველა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“. აკაკი წერეთელი ათას ხერულს იგოვებდა პოეგის დანიშნულებაზე. პოეტი მისთვის ხან „უზრუნველი პეპელა“ იყო, ხან „გარემოების საყვირი“. აკაკი წერეთელმა „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანკის ოპერაციამე და ადვოკატობამე დარჩება, როგორც პოლიტიკური საგირის არა ნიჭიერი ნიმუშები“.

ალბათ, ძნელია უფრო მკაცრი და გამანადგურებელი განაჩენის გამოგანა. გიციანი კატეგორიულად უარყოფს „მესამოციანელთა“ „ესტეტიურ დამსახურებას“ და თვლის, რომ მათ, ფაქტობრივად, „დამარხეს ქართული ლექსი“. მისი აზრით, ერთადერთი მწერალი მე-19 საუკუნის სიგყვის ოსტაგთაგან, რომლის შემოქმედებამაც „ერის სული ფეთქავს კულტურულ აგავიზმით“, ვაჟა-ფშაველაა. მართალია, ვაჟამ „გაიარა მთელი რიგი რუსულ შკოლათა გაღვენისა, მაგრამ მისმა გენიალურმა ბუნებამ სძლია ეს მსამი“. ეს მაშინ, როცა ი. ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ თავი ვედარ დააღწიეს „რუსული მწერლობის მონურ ზეგაუღენას“. „მესამოციანელთა“ მწერლების იოლი ხელით შემოგანილი რუსული ხორბალი ამოდის რუსულ ქერად“.

გ. ტაბიძის აზრით, მდგომარეობა არც ილიასა და აკაკის შემდგომ პერიოდში შეცვლილა სასიკეთოდ. მათი მომღეწო ხანის ქართულ-მა მწერლობამ „კარიკატურული სახე“ მიიღო „და დღეს უიმედოთ გააკვივის მოქალაქეობრივი არღანი კაკაფონიას. ყველა უნიჭო, უსახო, ენაბლუ, ვისაც ხელი არ ეღლება, სტანჯავს დღეს ქართულ პოემიას“.

მოვლენათა არსში ღრმად ჩაუხედავი მკითხველი შეიძლება გააღიზიანოს გიციანის წერილისათვის დამახასიათებელმა ამგვარმა პრეტენზიულმა ტონმა, წინამორბედ ლიტერატურულ თაობებთან დაპირისპირებამ, წარსულის მემკვიდრეობაზე უარის თქმამ და თავისი თაობის როლის ხაზგასმულმა განდიდება. მაგრამ ამაში უჩვეულო არაფერია. ანალოგიური მაგალითებით საესეა გასული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის ევროპული ლიტერატურა, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩნდებოდნენ სხვადასხვაგვარი „იშპები“, რომელნიც ქვას ქვაზე არ გოვებდნენ წინამორბედთაგან, რათა თავიანთი მიზანდასახულობისათვის მეტი მნიშვნელობა და ელვარება მიენიჭებინათ.

რითაა გამოწვეული „ცისფერყანწელთა“ ასეთი აგრესიული მიდგომა „თერგდალეულთა“ შემოქმედებითი ღვაწლისადმი? ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საფუძვლის მომზადება იმ ახალი ლიტერატურული მიმდინარეობისათვის, რომელსაც ისინი ამკვიდრებდნენ ჩვენს მწერლობაში. ხელოვნების არსისა და დანიშნულების მათეული გაგება ხომ პრიციპულად ეწინააღმდეგება „სამოციანელთა“ მოძღვრებას.

ამიგომაც, იმისათვის, რომ ეს ახალი ესთეტიკური თვალსაზრისი დამკვიდრებულყო, აუცილებელი იყო ძველი შეხუდებულების სრული უარყოფა და გაბათილება. სხვაგვარად ფართო საზოგადოებაში ხელსაყრელი ნიადაგი „ცისფერყანწელთა“ შემოქმედებით პრიციპებს ვერ შეექმნებოდა. ახალი ლიტერატურული კერპების გაჩენამდე საჭირო იყო ძველი კერპების დამსხვრევა.

ასეთი იყო ქვეგეჟსტი იმ ნიჰილიზმისა, რომელსაც „ცისფერყანწელები“ იჩენდნენ მათ უშუალო ლიტერატურულ მოწინააღმდეგეებად მიჩნეული „თერგდალეულებისადმი“.

„ცისფერყანწელთა“ ესთეტიკური თვალთახედვის გამოშხატველ პრინციპებზე საუბრის დროს იმ დამოკიდებულების შესახებაც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რასაც ისინი ბოჰემური ცხოვრების მიმართ იჩენდნენ. ამ თვალსაზრით განსაკუთრებით საინტერესო მაინც ვალერიან გაფრინდაშვილის პოეტური ნაწარმოებები და ლიტე-

რაგურული წერილებია, რომლებშიც შემოქმედის სულიერი თავისუფლებისა და არისტოკრატიზმის გამოვლინების იდეალიზებულ ფორმად მიხსნული ცხოვრების ეს წესი სშირადაა ხოლმე ქცეული ვანდილების საგნად. როგორც მართებულად შენიშნავე მირიან აბულაძე, ფაქტობრივად, ეს იყო „ერთგვარი ლიტერატურული პოპა, ბოჰემური არგისტიზმის უკიდურესად თავისებური გამოვლენა და დასავლეთის დეკადენტი მწერლებისთვის ხელოვნური მიზაძევა" (მ. აბულაძე, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, 1977 წ. გვ.35). ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ ფრაგმენტი ვ. გაფრინდაშვილის ერთ-ერთი აღრინდელი ლექსიდან:

სამარცხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა,

გარდა თვითმკვლელობის.

არა მსურს ვიყო ვიქტორ ჰიუგო, ან აკაკი,

მე მირჩენია დავიღუპო, როგორც ბოჰემა,

სამარცხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა სიგიჟის.

არა მსურს ვიყო ბედნიერი, როგორც გოგეჯე.

მე მირჩენია დავიღუპო, როგორც როლინა.

სამარცხენოა პოეტისთვის სხვა კარიერა, გარდა ჭლექისა!

დაღვრძელ მაღარმეს მირჩენია ისევ ლაფორგი.

პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა.

სიგიჟე, ჭლექი და თვითმკვლელობა...

დაკვირვებული მკითხველი ამ სტრიქონებში უსათუოდ დაინახავს თეატრალურ პოპას, ნიღაბს, რომელსაც ვალერიანი და მისი მეგობრები ხელოვნების აუცილებელ აგრიბუგად მიიჩნევდნენ. ცხოვრება მათთვის თითქოს სცენა იყო, ისინი კი წუთისოფლის მარადიული სპექტაკლის მონაწილე მსახიობები.

მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელთა" რომანტიკული ცხოვრება სავსეა ბიოგრაფიული ექცესებითა და არაორდინალური თავგადასავლებით, ასეთ უკიდურეს ბოჰემიზმამდე ისინი არასოდეს მისულან. ამ არისტოკრატი დენდებისათვის სრულიად უცხო და მიუღებელი იყო მათ მიერვე გაიდეალებული „ოპიუმით, ჰაშიშით, სიღარიბით და შიმშილით" გამოწვეული მისტიციზმი. ეს ყველაფერი მათთვის უფრო თეატრალური პოპა და არგისტული ექსტი იყო.

„ცისფერყანწელებისადმი" იმდროინდელ კრიტიკას საკმაოდ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მწერალთა და კრიტიკოსთა შორის მათ მხარდამჭერებიც ჰყავდნენ, საზოგადოების დიდი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ის მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები, რომელთა დამკვიდრებასაც ისინი ცდილობდნენ. „ცისფერყანწელთა" წინააღმდეგ ათიან წლებში გან-

საკუთრებული სიმკაცრით მებრძოლ კრიტიკოსთაგან უსათუოდ უნდა დაეასახელოთ ფ. მახარაძე, თ. ჭუმბურიძე, ია ეკალაძე, ლ. შენგულაია და სხვ.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ამ ლიტერატურული პაექრობის ხასიათზე, გაეხსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი დასახელებულ კრიტიკოსთა წერილებიდან.

1916 წლის 10 მარტს, ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსულიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გაზეთ „თანამედროვე აზრში“ გამოქვეყნებულ წერილში - „საბრალონი“ ფ. მახარაძემ ახალი ლიტერატურული ჯგუფი ჩვენი მწერლობის რეაქციულ შენაკადად გამოაცხადა და მას სახელად „უდიდესი ლიტერატურული დანაშაული“ დაარქვა.

ათიან წლებში „ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ განსაკუთრებულ კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენდა ქუთაისში გამოშავალი გაზეთი „სამშობლო“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ია ეკალაძე (ცინცაძე). მასში სისტემატურად იბეჭდებოდა ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედების განმაქიქებელი წერილები.

მაგალითად, 1916 წლის 9 მარტს გაზეთში დაისტამბა ვინჩე „სტუდენტის“ სტატია, რომელსაც ქვემოთ რედაქციის შენიშვნაც ახლდა თან. ახალგაზრდა მწერალთა მისწრაფება ლიტერატურული განახლებისაკენ რედაქციის კოლექტივს პეროსტრაგეს დიდებასთან აქვს გაიგივებული: „როდესაც გადარეულმა პეროსტრაგმა დასწვა დიდებული ტაძარი ეთესისა, იმედი პქონდა, რომ ისტორიაში „უკედავი“ იქნებოდა. როდესაც ყანწების შემთხვეულნი საქვეყნოდ გამოდიოდნენ, ალბათ, სურდათ ჩვენ მწერლობაში „უკედავება“ მოეპოვებინათ. შეიძლება მიზანს მიაღწიეს კიდეც! ეს აღშფოთება „უკედავი“ ჰყოფს მათ:

სარედაქციო შენიშვნის ამ განწყობილებას მთლიანად შეესაბამება „სტუდენტის“ წერილის პოზიცია. სტატიის ავტორი „ცისფერყანწელებს“ ჭკვათამყოფელ პიროვნებებად არც კი მიიჩნევს და წერს: „ვაი, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის და მათ პირველ მოციქულებს, თუ მათმა დაუბოგავემა და დაუღალავემა შრომამ ისე უნაყოფოდ ჩაუარა, რომ მათ თესლზე ასეთი ნაყოფი აღმოეცნა“.

კრიტიკოსის აღშფოთება იქამდეც კი მიდის, რომ იგი ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ დასტამბულ მასალას „ლიტერატურულ ნაგავს“ უწოდებს და მოწოდებით მიმართავს მკითხველს, „ეცეხლს მისცენ“ ეს ყველაფერი, „არამც და არამც ოჯახში არ შეიტანონ“ და საზოგადოებიდან „განდევნონ იაშვილები“.

სსენებულ პუბლიკაციას შედეგად „ცისფერყანწელთა“ ისეთი აღმუოთება მოჰყვა, რომ პ. იაშვილმა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი დუელშიც კი გამოიწვია (გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1916 წ. 18 მარტი).

„ცისფერყანწელების“ წინააღმდეგ „სამშობლოში“ დაბეჭდილი წერილების კრიტიკულ პოზიციას თავად გაზეთის რედაქტორიც რომ იზიარებდა, ეს მისი სტატიებიდანაც ნათლად ჩანს. მაგალითად, „სამშობლოს“ 1916 წლის № 308-341 ნომრებში გამოქვეყნებულ წერილების სერიაში - „სამი ქურნალი“ მათ შემოქმედებას ია ეკალაძე „სქესობრივ ნიადაგზე დაავადებულთა პოეზიად“ მიიჩნევდა და დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ეს ლიგერატურული ჯგუფი სულ მალე ისე უკვალოდ აღიგავება ჩვენი მწერლობიდან, როგორც „მარშანდელი თოვლი“.

მსგავსი ხასიათის წერილები მრავლად დაიბეჭდა ათიანი წლების ქართულ პრესაში. „ცისფერყანწელებისადმი“ ასეთი კრიტიკული დამოკიდებულება განახლებული ძალით გაგრძელდა 20-30-40-იან წლებშიც (ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით დაწერილებით იხ.: ა. ნიკოლეიშვილი, მე-20 საუკუნის ქართული ლიგერატურის ისტორიის ნარკვევები, წიგნი I (1994 წ.), წიგნი II (1997 წ.); ასევე მისივე: პაოლო იაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. 1995 წ.). ათიანი წლებისაგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში ამ კრიტიკამ უკვე აშკარად გამოკვეთილი იდეოლოგიზებული შინაარსი შეიძინა.

მაგრამ, ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულების გამომხატველი წერილების გვერდით, ათიანი წლების პრესაში „ცისფერყანწელთა“ მხარდამჭერი სტატიებიც გამოქვეყნდა.

იმ კრიტიკოსთაგან, რომლებმაც თავიდანვე აქტიურად დაუჭირეს მხარი „ცისფერყანწელთა“ გაბედულ შემოქმედებით ძიებებს, პირველ ყოვლისა, კ. აბაშიძე უნდა დაეასახელოთ. როგორც პრესაში გამოქვეყნებული მასალები ცხადყოფენ, ამ მხარდაჭერისათვის კრიტიკოსს ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრია.

კ. აბაშიძის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ახალი ლიგერატურული ჯგუფის დამამკვიდრებლებისადმი უპირიუელეს ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ ცნობილმა კრიტიკოსმა მათში დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების მქონე ნიჭიერი მწერლები დაინახა.

კ. აბაშიძის შეფასებით, „ცისფერყანწელთა“ მიერ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული ახალი „მიმართულება... ჩვენი მომავალი ლიგერატურის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საძირკველი იყო“.

„ცისფერყანწელთა“ ლიგერატურულ სკოლაზე საუბრის დროს ერ-

თი გარემოებაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ეს მოდერნისტული დაჯგუფება, რომელიც თავისი ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პრინციპებით, უპირველეს ყოვლისა, სიმბოლისტურ შემოქმედებით ზომიერარეობას წარმოადგენდა, არამც და არამც არ უნდა გავაიგივოთ ქართული სიმბოლიზმის ცნებასთან, ვინაიდან სიმბოლისტურმა გუნდენციებმა იმ მწერალთა შემოქმედებაშიც პოვეს აშკარა გამოვლენა, რომლებიც ამ დაჯგუფების წევრები არ ყოფილან (გ. გაბიძე, ვრ. რობაქიძე, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია...)

მიუხედავად იმისა, რომ ოციანი წლების მეორე ნახევრიდან (1927-28 წლებიდან) „ცისფერყანწელთა“ სიმბოლისტური ძიებანი არსებითად წარსულის კუთვნილებად იქცა და ამ ღრისათვის მათ შემოქმედებით ბიოგრაფიაში აშკარა გარდატეხა ხდება, ნომინალურად ამ ჯგუფმა არსებობა 1932 წლამდე მაინც გააგრძელა. 1932 წელს კი „ცისფერყანწელებმა“ თავადვე მიიღეს გადაწყვეტილება მათი სკოლის დამლის შესახებ. ეს იყო სამწუხარო შედეგი იმ პოლიტიკისა, რომელსაც იმეამინდელი ხელისუფლება აგარებდა თავისუფალი შემოქმედებითი ამროვნების ასალაგმად და ქვეყანაში იდეოლოგიური დიქტატურის დასამყარებლად. ასეთ პირობებში ლიგერატურაში ყოველგვარი დაჯგუფების არსებობა, ბუნებრივია, ამრსაც კარგავდა და 1932 წლის პარტიული დადგენილებით უკვე აღარც ოფიციალურად იყო ნებადართული.

**„აპადემიურ მწერალთა ასოციაცია“.** „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“ გასული საუკუნის ოციანი წლების ჩვენს მწერლობაში ყველაზე მძლავრ შემოქმედებით გაერთიანებას წარმოადგენდა. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის ბაზაზე შექმნილი ლიგერატურული ასოციაცია იყო, რომელიც იმხანად მოღვაწე თითქმის ყველა მწერალს აერთიანებდა, გარდა „ცისფერყანწელებისა“, პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებისა და ფუტურისტებისა.

როგორც ცნობილია, საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც თავდაპირველად ერთიან ლიგერატურულ გაერთიანებას წარმოადგენდა და მასში იმეამად მოღვაწე თითქმის ყველა მწერალი შედიოდა, 1917 წელს ჩამოყალიბდა. მის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს იმდროინდელი ჩვენი ლიგერატურის ისეთმა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ: კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, შალვა დადიანი, ტიციან გაბიძე, პაოლო იაშვილი, ლეო ქიაჩელი, პავლე ინგოროყვა, აკაკი პაპაია... მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა

კ. მაყაშვილი (იგი 1926 წლამდე ხელმძღვანელობდა ამ დაწესებულებას).

ასეთი ორგანიზაციული ერთიანობა მწერალთა კავშირმა 1921 წლამდე შეინარჩუნა. 1921 წლის ოქტომბერში, საქართველოს მწერალთა კავშირის მესამე ყრილობაზე, კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში სასურველი ოდენობით ვერმოხვედრის გამო, „ცისფერყანწელები“ გამოვიდნენ მისი შემადგენლობიდან და სხვა რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად შექმნეს ახალი მწერალთა კავშირი. იმავე თვეში ხელოვანთა სასახლეში გამართულმა დამფუძნებელმა კრებამ ამ კავშირის თავმჯდომარედ აირჩია ვრიგოლ რობაქიძე. ახალი მწერალთა კავშირი ცალკე ორგანიზაციად 1923 წლამდე დარჩა. 1923 წლის ოქტომბერში კი იგი კვლავ შეუერთდა მწერალთა ძველ კავშირს. თუმცა ეს „გაერთიანება ფორმალური აღმოჩნდა; ეს მისია ვერც ეურნალმა „კავკასიონმა“ (შემდეგ „ახალმა კავკასიონმა“) შეასრულა: სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა („აკადემიური ასოციაცია“) და „ახალმა კავშირმა“ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ ყრილობაზე ცალ-ცალკე საკუთარი დელეგატები წარგზავნეს“ (დ. თევზაძე, ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი, 1994 წ. გვ. 14).

„აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“ ამ სახელწოდებით 1921 წლიდან არსებობს. ს. ჭილაიას აზრით, აღნიშნული სახელწოდებით ამ გაერთიანების ფორმირება მოხდა სწორედ ამ წელს მწერალთა ე. წ. „ძველი კავშირის“, ეურნალ „ხომალდის“ ჯგუფისა და კ. გამსახურდიას „ილიონის“ ჯგუფის გაერთიანების საფუძველზე (ს. ჭილაია, ოცწლეული (1921-1940). წლები და პრობლემები, 1987, გვ. 58).

განსხვავებით „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფებისაგან, „აკადემიურ მწერალთა ასოციაცია“ შემოქმედებითი პრინციპების ერთიანობის საფუძველზე შექმნილ მწერალთა დაჯგუფებას არ წარმოადგენდა.

უმთავრესი პრინციპი, რითაც ამ ასოციაციის წევრები იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მათი მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური სულისკვეთება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ დაუოკებელი სწრაფვა იყო. ეს მიზანდასახულობა მაგისტრალურ მიმართულებად გასდევს მათ ამდროინდელ შემოქმედებასაც და პერიოდულ გამოცემებსაც („ხომალდი“ (1921 წ.), „საქართველოს სამრეკლო“ (1922 წ.), „ილიონი“ (1922 წ.), „ლომისი“ (1922 წ.), „ქართული სიგევა“ (1923 წ.), „კავკასიონი“ (1924 წ.), „ახალი კავკასიონი“ (1925 წ.),...).



აკადემიურ მწერალთა ასოციაციის შემადგენლობაში იმეამინდელი ქართული მწერლობის თითქმის ყველა დიდი წარმომადგენელი იყო გაერთიანებული, გარდა „ცისფერყანწელებისა“ და კიდევ ორი-ოდე სხვა მწერლისა (კ. გამსახურდია, შ. დადიანი, კ. მაყაშვილი, გ. ტაბიძე, ვ. ბარნოვი, ი. ვრიშაშვილი, ალ. აბაშელი, პ. ინგოროყვა, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი. პ. კაკაბაძე, ა. პაპაეა, გ. გრანელი...). თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავებით სხვა იმეამინდელ ლიტერატურულ დაჯგუფებათაგან, აკადემიურ მწერალთა ასოციაციის პერსონალური შემადგენლობა სტაბილური არ იყო და ხშირად იცვლებოდა ხოლმე.

დ. თეებაძის აზრით, „გაერთიანებას თავკაცობდნენ და მთელ სიმბიძეს თავისთავზე იღებდნენ კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა, კ. მაყაშვილი, ა. აბაშელი, ვ. კოტეგიშვილი, რომელთა პოლიტიკურ-ლიტერატურული წერილები გამოხატავენ აკადემიური ასოციაციის გამოკვეთილ პოზიციას“ (დ. თეებაძე, ქართველ მწერალთა ლიტერატურული გაერთიანებანი, 1994 წ. გვ. 10).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ აკადემიურ მწერალთა ასოციაცია ერთგვაროვანი ლიტერატურული გაერთიანება არ არის და მასში განსხვავებული ესთეტიკურ-შემოქმედებითი მრწამსის მწერლები არიან თავმოყრილნი. კერძოდ, ამ ასოციაციის წევრთა შორის რეალისტური ლიტერატურული ტრადიციების ერთგული მწერლებიც გვხვდებიან და ექსპრესიონისტებიც, იმპრესიონისტებიცა და სიმბოლისტებიც. უმთავრესი მისწრაფება, რომელიც, ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი განსხვავებულობის მიუხედავად, ამ შემთხვევაში ყველა მათგანს აერთიანებს, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისკენ სწრაფვა და მკვეთრად გამოხატული ანტიბოლშევიკური სულისკვეთებაა. ამ თვალსაზრისით, ისინი იმ მამულიშვილურ ტრადიციათა პირდაპირი მემკვიდრენი არიან, რომლებიც ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა და სხვა დიდმა ქართველმა პატრიოტებმა დაამკვიდრეს ჩვენში. მათ, ი. ჭავჭავაძის „სულიერმა შვილებმა“, პირველ ყოვლისა, სწორედ მათგან ისწავლეს „მამაცი მამულიშვილობა და კეთილშობილ საქმეთათვის ბრძოლა“ (კ. გამსახურდია).

საბჭოთა ხელისუფლებისადმი აკადემიური ასოციაციის წევრთა ოპოზიციური დამოკიდებულების უმთავრესი საფუძველი, როგორც ითქვა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების აღდგენისკენ სწრაფვა იყო. ისინი გრატიკულად განიცდიდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას და შემოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ

ბოლშევიკური მმართველობის შედეგად „ეროვნული პოლიტიკის ხაზი თანდათან გაისხნებოდა საქართველოს საზიანოდ, რუსული ენა სტიქიურად დასჩაგრავდა ქართულს და რუსული წიგნი თანდათან დასჩრდილავდა ქართულ წიგნს“ („ახალი კავკასიონი“, 1925 წ. № 2).

აკადემისგ-მწერალთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის შესაცნობად ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის ღია წერილიც, რომელიც ამ ასოციაციის ერთ-ერთმა თავკაცმა კ. გამსახურდიამ 1922 წელს გაუგზავნა ლენინს. ქართველი მწერალი პროლეტარიატის სისხლიან ბედადს აღშოთებით დებდა ბრალს წითელი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიაში და დაბეჯითებით უმტიციებდა მას, რომ „ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერაყინ წაართმევს“..

თუ თავდაპირველად ხელისუფლება მოჩვენებითი ლოიალობის გზას ადგა და მკაცრად არ ღუენიდა „სხუაგვარად“ მოაზროვნეებს, 1924 წლის გრაგუდიის შემდგომ ვითარება უკუე ერთბაშად და მკვეთრად იცვლება. მდგომარეობის ასეთმა ცვალებალობამ აკადემიურ მწერალთა ასოციაციაც დააყენა დიდი სირთულეების წინაშე. 1924 წლის 5 ოქტომბერს, მაგალითად, ს. ორჯონიკიძე გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან ასეთ მუქარას უთელიდა ეროვნულ ნიადაგზე ასაღ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ინტელიგენციას: „ქართული ინტელიგენციის ნაწილი განზე დგას, გაბუგულია. ჩუენი ინტელიგენცია თავის ბუგიაობას ეროვნულ ქურქში ასვეეს, მაგრამ ეს გარეგნული სამოსელია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია: ან მგრობა, ან მოყურობა... რა თქმა უნდა, მტერს მტრულად მოყუპურობით, მოყუვარეს მოყუერულად“.

აკადემიურ მწერალთა ასოციაციის ესთეგიკურ-მსოფლმხედველობრივი მიზანსწრაფვის მაგისტრალურ მიმართულებად ეროვნული კულტურის განუითარების გზათა ევროპულ კულტურასთან სისხლბორცეული დაკავშირების აქტიური მცდელობა იყო ქცეული. ამ თვალსაზრისით აკადემისგ-მწერალთაგან ყველაზე მეგად კ. გამსახურდია გამოირჩევა. მან, როგორც „დასაუღეთის კულტურის აპოლოგეტმა“ (მისივე სიგყუებია), ასე განსაზღვრა ქართული კულტურის სამომავლო განუითარების დასაუღური პერსპექტივა: „ქართულმა კულტურამ სწორედ ის ხაზი უნდა აიღოს, რომელსაც მისდევდა საბერძნეთის, რომისა და იგალიის რენესანსის სანიშნოებით აღორძინებული დასაუღეთის კულტურა. დღესდღეობით კი ქვეყანაზე თუმცა მრავალი კულტურანი არსებობენ, მაგრამ ერთად-ერთი

სწორი გემი დასაჯელეთის კულტურას აქვს ალებული. მის გარეშე ყველაფერი წარსულს. ეთნოგრაფიას და მსოფლიო პროვინციას ეკუთვნის" (ეურნ. „ილიონი“. 1922 წ. №4).

როგორც ითქვა, „აკადემიურ მწერალთა ასოციაციას“ რამდენიმე პერიოდული ორგანო ჰქონდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი როლი იმდროინდელი ქართული მწერლობის განვითარებაში ეურნალეებმა „კავკასიონმა“ და „ახალმა კავკასიონმა“ შეასრულეს. მიუხედავად იმისა, რომ პაულე ინგოროყვას რედაქტორობით გამოქვეყნდა ამ სქელგანიანმა პერიოდულმა გამოცემებმა მეტად ხანმოკლე დროის განმავლობაში იარსებეს (კერძოდ, ეურნალ „კავკასიონის“ მხოლოდ ორი ნომერი გამოიცა 1924 წელს, „ახალი კავკასიონისა“ კი ერთი ნომერი 1925 წელს), მათ მაინც შეძლეს გვერდაუკლებელი ადგილის დამკვიდრება ოციანი წლების (და არა მარტო იმ პერიოდის) ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამაზე უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი მეტყველებს, რომ მის ფურცლებზე ქართველი მწერლების არაერთი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოები გამოქვეყნდა პირველად (დ. კლდიაშვილის „კომოთე მეშველიძე“ და „შუა ცეცხლის პირას“; კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“; მ. ჯაფარიშვილის „ტყის კაცი“; შ. დადიანის „უბედურის რუსი“; ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“; ნ. ლორთქიფანიძის „რაინდები“; გ. რობაქიძის „ლონდა“ და სხვ.).

„კავკასიონისა“ და „ახალი კავკასიონის“ უდიდესი ლიტერატურული ავტორიტიეტი და მაღალაკადემიური დონე უპირველეს ყოვლისა მისი რედაქტორის - პაულე ინგოროყვას დამსახურება იყო. ეურნალეებისთვის წამძღვარებულ სარედაქციო წერილებში მან ნათლად განმარტა ის უმთავრესი დანიშნულება, რაც ამ პერიოდულ გამოცემათა არსებობის საფუძველი უნდა გამხდარიყო. კერძოდ, პ. ინგოროყვას თქმით, „კავკასიონს“ რეალურად უნდა გამოესწორებინა ჩვენი მწერლობის „შეუვსებელი ნაკლი“, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ „ქართულს ენაზე არ არსებობდა ისეთი პერიოდული ორგანო, რომელიც იქნებოდა მთლიანი გამომსახველი ქართველი შემოქმედების და აზროვნების“.

ამ დიდი ამოცანის გადასაწყვეტად „კავკასიონის“ რედაქტორი მკითხველს დაბეჯითებით არწმუნებდა იმაში, რომ ეურნალი, როგორც მწერალთა კავშირის ორგანო, „ვიწრო ლიტერატურული ჯგუფური ინტერესებით“ არ შემოიფარგლებოდა და თავის ფურცლებს სიამოვნებით დაუთმობდა „ყველა თანამედროვე ლიტერატურულ

დაჯგუფებებსა და სკოლებს", თუ ისინი „მართლაც წარმოადგენდნენ ლიგერატურულ მოვლენას". რედაქტორის თქმით, ერთადერთი საბოლოო, რომლითაც მათი გამოქვეყნების დროს ის იხელმძღვანელებდა, იქნებოდა „იდეები იმ მარადი ხელოვნებისა, რომელიც მალე დგას წარმატებულ ლიგერატურულ მოღაბზე, ყოველგვარ „მემარჯვენეობასა" და „მემარცხენეობაზე"...

მსგავსი შინაარსის სარედაქციო წერილი უძლოდა წინ „ახალ კავკასიონსაც". და რომ პ. ინგოროყვას მიერ დეკლარირებული ეს პრინციპები მხოლოდ სიჭკვიერ განცხადებებად არ დარჩნენ, ამას ზემოთ დასახელებულ იმ დიდმნიშვნელოვან პუბლიკაციათა არასრული ჩამონათვალიც თვალნათლივ ადასტურებს, რომლებიც ხსენებული ეურნალების ფურცლებზე დაიბეჭდა.

სამწუხაროდ, ხელისუფლებისათვის პრინციპულად მიუღებელ პოზიციითა გამო, „კავკასიონიცა" და „ახალი კავკასიონიც" მეტად ხანმოკლე პერიოდული გამოცემები გამოდგა და მათ სულ მალე შეწყვიტეს არსებობა.

თავიანთი აქტიური შემოქმედებითი და მამულიშვილურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით აკადემიურ მწერალთა ასოციაციის წარმომადგენლებმა უდიდესი როლი შეასრულეს ოციანი წლების ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში. მათ წარმატებით „გააგრძელეს ათასხუთასწლოვანი ქართული მწერლობის სახელოვანი გზა: თავიანთ თავზე აიღეს ეროვნული მწერლობის პაგრონობა და წინამძღოლობა; ოციანი წლების ქართულ მწერლობაში ყველაზე სრულიად გამოსატყის მშობელი ერის იდეალები და ამ პერიოდის ამღვრეული სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება" (დ. თევზაძე, ქართველ მწერალთა ლიგერატურული გაერთიანებანი. 1994 წ. გვ. 5).

ბუნებრივია, ამგვარი მრწამსისა და მიზანსწრაფვის მქონე ასოციაციის არსებობას ვერაფრით შეურიგდებოდა ხელისუფლება. ასეც მოხდა. 1924 წლიდან მოყოლებული ხელისუფლებაცა და პროლეტარული ლიგერატურული კრიტიკაც გააფთრებით იბრძოდა აკადემიურ მწერალთა ასოციაციის წევრთა ანტიბოლშევიკური და „ანტიხალხური" იდეების წინააღმდეგ. 1930 წელს მიღებულ ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში კი აკადემისგ-მწერალთა მოღვაწეობა ასე იყო შეფასებული და დაგმობილი: „ეს ასოციაცია ცენტრია ყოფილი მწერლობის, იმ მწერლობის, რომელსაც მამულიშვილთა მოწოდებაში ხმა გრავიკულად ჩაუხჩა, ძველი ლიდერის ალდგენის მოციქულობაში ნიჭი დაელია... ამ ყოფილი ხალხის აკადემიამ შემოიკრიბა თავის გარშე-

მო ყველა ის, ვისაც ყველაფერი წარსულში აქვს „აკადემიკების“ ასოციაციაში შემავალ მწერალთა 805 წარსულშია და თანამედროვე მწერლობისათვის არ არსებული ცარიელი ადგილებია. მათი მცირე აქტივი კი რეაქციონერების მედროშეებია“.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის საბჭოს 1930 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებით, „ჩაგარებულ იქნა წმენდა, რის შედეგადაც მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ისეთი „მემარჯვენე რეაქციონერი მწერლები“, როგორებიც იყვნენ: კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა და ვ. ქიქოძე (დ. თეგბაძე, დასახ. წიგნი, გვ. 22). პლენუმის გადაწყვეტილებით, აკადემიურ მწერალთა ასოციაცია დაშლილად გამოცხადდა. 1931 წლის მაისში მწერალთა ფედერაციის გაფართოებული პრეზიდიუმი კელაე მიუბრუნდა აკადემისტი მწერლების მწერალთა კავშირის შემადგენლობაში დატოვების მიზანშეწონილობის საკითხს და მიიღო დადგენილება დამატებით კიდევ 25 მწერლის კავშირიდან გარიცხვის თაობაზე (ი. იმედაშვილი, ა. ჯაჯანაშვილი, ს. ქვარიანი, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. კეცხოყელი, ს. ჯანაშია, დ. უზნაძე, მ. მრეელიშვილი და სხვ.).

**ბროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.** 1921 წლის ნოემბერში ახალი ხელისუფლების სამსახურში იდეოლოგიური ფანატიზმით ჩამდგარ მწერალთა ერთმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: ს. ეული-ქურიძე, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, ს. თოდრია, რ. კალაძე და სხვები, პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია ჩამოაყალიბა. როგორც ამ ჩამონათვალითაც აშკარად ჩანს, პროლეტარულ მწერალთა პირველი ნაკადი ძირითადად ლიგურატურას მიგმასნილი ავტორებისაგან შედგებოდა, რომელთაც მეტად უმნიშვნელო როლი შეასრულეს ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მომდევნო წლებში ვითარება რამდენადმე შეიცვალა და პროლეტარულ მწერალთა რიგებს ნიჭიერი ავტორებიც შეემაგნენ. მათგან, უწინარეს ყოვლისა, კ. ლორთქიფანიძე, ა. მირცხულავა და კ. კალაძე უნდა დავასახელოთ, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოხატეს ამ ლიგურატურული ჯგუფის შემოქმედებითი შესაძლებლობები.

ოციან წლებში პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ რამდენიმე დასახელების ეურნალი და გაზეთი გამოსცა („ქურა“, „პროლეტაფი“, „პროლეტარული მწერლობა“, „ყუმბარა“, „მერცხალი“, „ხელოვნების დროშა“, „დინამიტი“, „ლიანდაგი“). ამ პერიოდული ორგანოების უმთავრეს დანიშნულებას ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიური პოლიტიკის გაგარებისთვის ბრძოლა წარმოადგენდა.

პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები თავიანთ თავს გაბატონებული იდეოლოგიის მსახურებად და ლიტერატურაში პარტიული პრინციპების გამტარებლებად აცხადებდნენ და დაუნდობლად ებრძოდნენ იდეოლოგიურად „საეჭვო“, „რეაქციონერ“ მწერლებს.

პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი სადირექტივო დოკუმენტი, რომელიც საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ ქვეყანაში შემოქმედებითი თავისუფლების შესაბოჭად მიიღო, 1925 წლის 18 ივნისის დადგენილება იყო - „მხატვრული ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ“. ამ დადგენილებამ მწერლობის უმთავრეს ამოცანად ხელისუფლების სამსახურში დგომა და გაბატონებული იდეოლოგიისადმი მორჩილება გამოაცხადა. საქართველოში ამ დადგენილების მოქმედების სიმწვავეს მნიშვნელოვანწილად ბრდიდა ის გარემოებაც, რომ მის მიღებას წინ 1924 წლის აგვისტოს სისხლიანი გრაგელიც უძლოდა, რომელმაც პარტიული დიქტატურის დამყარებას კიდევ უფრო მყარი საფუძველი შეუქმნა.

პროლეტარულ მწერალთა აზრით, ახალი ეპოქის შესაგვეისი სულიერი კულტურა ძველი კულტურისაგან სრულიად იზოლირებულად, მხოლოდ ახალი იდეოლოგიის მიმდევარ ადამიანთა მიერ უნდა შექმნილიყო. ისინი თითქმის ყოველგვარ მემკვიდრეობით კავშირს უგულვებლყოფდნენ წარსულთან და პროლეტარული კულტურის წინამორბედებად მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსულ ე. წ. დემოკრატიულ მწერლებს აცხადებდნენ.

ასე დაუპირისპირდნენ პროლეტარული მწერლების წარმომადგენლები ილიას, აკაკის, ბარათაშვილს, ვაეას... და მათ სანაცვლოდ ლიტერატურის ისტორიაში წამოაგვიტყვეს დ. ჭონქაძის, ი. დავითაშვილის, ე. ნინოშვილის... სახელები.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ცნობილი წარმომადგენელი კალე ფეოდოსიშვილი ამ თვალსაზრისს ასე გამოხატავდა ე. ნინოშვილისადმი მიძღვნილ ლექსში:

თავს შემოგაველებ მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობას,  
დღე ილიასაც, ერის სახელით რომ უყვარდა ღმერთთან ბაასი  
და მე შენ გვერდით დაეაყენებ მხოლოდ დანიელს,  
ღიპიან ბატონს რომ ჩაარჭო მახვილი ბასრი.

ოციან წლებში ბევრ პარტიულ მუშაკსა და ე. წ. პროლეტარულ მწერალს გულწრფელად სჯეროდა, რომ სოციალისტური ეპოქის ლიტერატურის შესაქმნელად და გასამდიდრებლად საჭირო იყო უფრო მეტად გაფართოებულიყო მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსულ მწერალთა რიცხვი. ასე იქნა მიღებული მეტად უცნაური და

დღეს უკვე მწარე ღიმილისმომგვრელი გადაწყვეტილება მწერალთა რიგებში მოწინავე მუშებისა და გლეხების გაწვევის შესახებ. მაგალითად. აი, რას წერდა ახალი მწერლობის „უღვეი რეზერვის“ მიგნების ამ ახალ ფორმაზე შ. რაღიანი:

„პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ პროფკავშირის ორგანიზაციასთან ერთად გამოაცხადა მუშა-დამკერვლების გაწვევა ლიგერატურაში. ამ გაწვევის მიზანია, მოკლე დროის განმავლობაში მუშა-დამკერვლთა მასებიდან წამოსწიოს მუშა-მწერლების ახალი კადრები-

გაწვევა შეიყვანს პროლეტარული მწერლობის რიგებში საუკეთესო მოწინავე მუშებს, რომლებიც გამობრძმედილი არიან სოც-შეჯიბრების და დამკერვლების ცეცხლში, რომლებიც შეიგანენ მწერლობაში ორგანიზაციის ახალ ფორმებს და მეთოდებს, ახალ დამოკიდებულებას შრომისადმი და სხვა“ („მნათობი“, 1931, № 3, გვ. 211).

უფრო ადრე კი, 1922 წელს, ეურნალ „ქურის“ დეკლარაციაში (№ 2) ნათქვამი იყო: „ჩვენი ლომუნგია: ჩარევა და ჩაბმა ქართულ პროლეტარულ მწერლობასთან ერთად პოეტურ შემოქმედებით პროცესში ქართული მუშებისა, რომ კოლექტური ძალღონით შეიქმნას პროლეტარული ლიგერატურისათვის ახალი მეთოდები, ფორმები და სტილი“.

პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთ უმთავრეს რეზერვად კომკავშირულ მწერალთა წრეც იყო მიჩნეული. მაგალითად, ეურნალი „პროლეტარული მწერლობა“ (1929 წ. № 6-7, გვ. 119) წერდა: „წრეში ირიცხება სულ 29 წევრი. აქედან წრის წევრი 18 კაცია, კანდიდატი 11, მათ შორის მუშები და მუშუაკები - 5, გლეხის შვილები და მოსამსახურენი - 24 და ერთი ქალიშვილი. წრეში 27 კომკავშირელია და ორი უპარტიო გლეხის შვილები. გარდა ამისა, წრის მუშაობას ესწრება 17-18 კაცამდე პროლეტარული წრის წევრი. წრეს ხელმძღვანელობს წრის მიერ არჩეული ბიურო ვ. ლუარსამიძე, დ. ვოლსკი, ა. სულაგა, ფ. ნაროუშვილი და ს. წევრავა“.

მუშა-ენთუზიასტების მწერლობაში გაწვევისკენ ამგვარი მოწოდებანი ცარიელ ლომუნგებად არ დარჩენილა და ოციანი წლების ქართულ ლიგერატურაში მშრომელთა რიგებიდან გაწვეულ ფსევდო მწერალთა საკმაო რაოდენობამ მოიყარა თავი. მათი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდებოდა პრესაში და გამოდიოდა ცალკე წიგნებად. მთელი ეს გრაფარეგული და უსულგულო მაკულატურა, ბუნებრივია, მოკლებულია შემოქმედებითი ნიჭიერების ნასახსაც კი.

საწარმოო შრომითი ენთუზიამის მექანიკური გადატანა ხელოვნებაში მხოლოდ დასახელებული ფაქტებით არ შემოფარგლულა და

ზოგიერთი პროლეტარული მწერალი მწერლობაში სოციალისტური შეჯიბრების დამკვიდრებასაც ცდილობდა აქტიურად. მაგალითად, აი, როგორი მოწოდებით გამოვიდა კრიტიკოსი პლაგონ ქიქოძე: „როცა ქარხნებს შორის ან ერთი ქარხნის შიგნით შინაცხური შეჯიბრება სწარმოებს, არის განსაზღვრული პროგრამა შეჯიბრებისა, მე ვიწვევ შენაცხურ შეჯიბრებაზე შემდეგ პროლეტარულ მწერლებს და კრიტიკოსებს და ვაყენებ განსაზღვრულ პროგრამას.

ვიწვევ პოეტებს: ალ. მაშაშვილს, კ. კალაძეს, ფ. ნაროუშვილს, კრიტიკოსებს: ბ. ბუაჩიძეს, მ. რადიანს და ა. სულაყას („პროლეტარული მწერლობა“, 1929 წ. № 8, გვ. 53).

ასე გალარიბებულად და მექანიკურად ესმოდა ბევრ პროლეტარულ მწერალს იმხანად შემოქმედებითი პროცესის არსი.

მაგრამ, საბედნიეროდ, მწერლობის განვითარებას თავისი მძლავრი შინაგანი კანონები წარმართავდა, რითაც აიხსნება ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების თვისებრივი სიმიდრე და მრავალფეროვნება.

ბევრმა იმდროინდელმა პროლეტარულმა კრიტიკოსმა და პარტიულმა მუშაკმა გააფთრებული ბრძოლა წამოიწყო, „ეროვნულ-ნაციონალისტური შემბლუღლობის“ წინააღმდეგ. ინტერნაციონალიზმისაკენ სწრაფვა მათ ნააზრევში ზოგჯერ იმდენად დამახინჯებულ სახესაც კი იღებს, რომ ეროვნულ-პატრიოტულ გრძობათა ყოველგვარი გამოვლენა ნაციონალიზმად ცხადდება. ოციანი წლების ლიტერატურული სინამდვილიდან მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება იმისა, როგორ გაუკრიტიკებიათ უმკაცრესად ესა თუ ის მწერალი და გამოუცხადებიათ ნაციონალისტად მხოლოდ იმიტომ, რომ მას მის ნაწარმოებში ქართული მიწა და მისთანა სიტყვები მოუხსენიებია.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევს კონსტანტინე გამსახურდიას, საერთოდ, ბევრი ჩვენი იმდროინდელი მწერლის ეროვნულ მისწარუებებს გ. ყურულაშვილი: „გამსახურდია აუცილებლად უნდა განიგვირთოს ზოოლოგიური ნაციონალიზმის მძიმე გვირთისაგან, თორემ უამისოდ ვერასოდეს ვერ გახდება ეპოქისათვის საჭირო მწერალი. არამეტუ მან, არამედ სხვა მწერლებმაც უნდა მოიხსნან ნაციონალიზმის მძიმე გვირთი, რომელიც ხელს უშლით მათ და რაც აუცილებლად რეაქციონური მოვლენაა... ეს გვირთი თუ არ მოიცილეთ, ისე არაფერი გამოვა, დღევანდლობისთვის საჭირო მწერალი ვერ გახდება“ (გ. ყურულაშვილი, საკ. კ.პ. (ბ) ცეკას 20 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭოთა მწერლობის ამოცანები, სიტყვა



წარმოთქმული საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე 1932 წ. 27 ივნისს. „მნათობი“, 1932 წ. 5-6, გვ. 295).

ასევე დიდი კამათი გამოიწვია 1927 წელს გამოქვეყნებულმა კარლო კალაძის ლექსმა „ძახილი აღმოსავლეთს“. რომელშიც პოეტმა ფერეიდნელი ქართველების მწარე ისტორიული ხვედრით გამოწვეული პატრიოტული ტკივილი გამოსაგა. ვინ და როგორ არ აკრიტიკებს პროლეტარული პოეზიის პირველი თაობის ამ თვალსაჩინო წარმომადგენელს ნაწარმოებში გამოკლებილი „ნაციონალისტური და შოვინისტური“ განწყობილების გამო. პლ. ქიქოძის აზრით, „ძახილი აღმოსავლეთს“ უჭველად წარმოადგენს რეციდივს ქართველ იმპერიალისტურად განწყობილი იდეებისას, რომლებსაც ოდესღაც არ აკმაყოფილებდათ „ჩვენი პატარა და კოპწია საქართველოს“ საზღვრები. სავალალო ის იყო, რომ ასეთი განწყობილებებისათვის ავტორმა საბჭოთა საქართველოს ფონი ამოირჩია. იგი მოუწოდებდა ოდესღაც საქართველოდან გადასახლებულ ფერეიდნელებს შემოკრებას „მშობლიური ცის ქვეშ“. სამშობლო საქართველოს ახარებს გასაბჭოებით, მაგრამ თუ ავტორისათვის საინტერესო იყო ქვეყნის გასაბჭოება, მაშინ რატომ მხოლოდ ფერეიდანის და არა მთელი სპარსეთის, მთელი აღმოსავლეთის? („მნათობი“, 1928 წ. № 1, გვ. 177).

უფრო ადრე კი კომკავშირის ცკ პლენუმზე ამ ლექსთან დაკავშირებით მ. კახიანი აღნიშნავდა: „როცა წავეკითხეთ ამ ლექსის სათაური, ვიფიქრეთ, რომ აქ საუბარი იქნებოდა ჩინეთის ამბებზე, ჩინეთის რევოლუციის შესახებ, გვეგონა, რომ დავინახავდით, თუ როგორ ღვის ჩინელი მუშა და გლეხი. აღმოჩნდა, რომ პოეტი უმღერის არა ჩინეთის რევოლუციას, არა ინდოეთს, ან ეგვიპტეს და თან სპარსეთს - არა. ჩვენი კომკავშირელი პოეტის ყურადღება მიიქცია სპარსეთში მცხოვრებმა რამდენიმე ფერეიდნელმა ქართველმა. აი, სწორედ ამ ფერეიდნელ ქართველებს უმღერის პოეტი. ეს სომ უკულო ქართული იმპერიალიზმია, კომუნისტური სიგყევებით გამოხატული!“ (ეურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1927 წ.).

იგივე თვალსაზრისი გაიშვილა მ. კახიანამაც 1928 წელს: „...კარლო კალაძე სწერდა, რომ საბჭოთა საქართველოში ვადმოვასახლოთ ფერეიდნელი ქართველები... პროლეტარული მწერალი ვერ პოულობს სხვა თემას, გარდა იმისა, რომ მიმართოს მათ და მოიწვიოს ისინი საქართველოში. ამ ლექსს ასეთი მყვირალა სათაური აქვს „ძახილი აღმოსავლეთს“. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული მწერალი მიმართავს აღმოსავლეთის ჩაგრულ მასებს, მიმარ-

თავს ჩინეთის მუშათა და გლეხთა მასებს. და გვიხატავს ჩინეთის რევოლუციას. ეს იქნებოდა საესკებით შეხმატკბილებული ჩვენი რევოლუციის მოტივებთან, მაგრამ რაგომდაც კარლო კალაძემ ამოიჩინა სულ სხვა თემა... ეს, ამხანაგებო, უკვე ნაციონალისტური გადახრაა" („მნათობი", 1928 წ., №2, გვ. 164).

სოლო შ. რადიანის მტკიცებით, კ. კალაძე ამ ლექსით საბოლოოდ „ვადაეშვა ნაციონალიზმის ჭაობში" და მის საუბარს „მეგად ცალმხრივი და ანტიპროლეტარული შინაარსი აქვს. პოეტი ფერეიდნის ქართველებს ვასძახის არა როგორც რევოლუციონერი ბოლშევიკი, არამედ როგორც პატრიოტი და ნაციონალისტი" („მნათობი", 1931 წ. №3, გვ. 203).

როგორც ვხედავთ, 20-30-იანი წლების ე. წ. პროლეტარულ ლიტერატურულ კრიტიკაში ამკარად მძლავრობს მოვლენებისადმი კლასობრივ-იდეოლოგიზებული მიდგომის პრინციპი. ეს გენდენცია ძალუძად იგრძნობა როგორც კრიტიკოსთა ნაწერებში, ისე ხელისუფალთა მიერ გაკეთებულ შეფასებებში. მაგალითად, აკრიტიკებს რა კ. კალაძის შემოხსენებულ ლექსს, მ. კახიანი იქვე პ. იაშვილის „ნაციონალისტურ" მისწრაფებებსაც ეხება და მიუთითებს: „...ბურჟუაზიულმა ნაციონალისტურად განწყობილმა პაოლო იაშვილმა, როგორც სჩანს იმ მიზნით, რომ ესია მოვნჯებინა ჩვენი მთავრობისათვის, სთქვა, რომ საჭიროა ლაზისტანში შეიქმნას აღმასკომი და თავმჯდომარედ იქ იყოს ფილიპე მახარაძეო. რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ყველგან აღმასკომის თავმჯდომარედ ეხედავდეთ ფილიპე მახარაძეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ იაშვილმა ეს ფრაზა იმიტომ წამოისროლა, რომ სურს ცოგათი გააფართოოს საქართველოს საზღვრები, რამედაც ის და მისი მეგობრები უწინაც ოცნებობდნენ - ცარიზმისა და მენშევიზმის ხანაში" („მნათობი", 1928 წ., №2, გვ. 165).

კიდევ უფრო შორს მიდის მ. კახიანი იონა ვაკელის ერთ-ერთი ლექსის კრიტიკის დროს. ერთ თავის გამოსვლაში ი. ვაკელის შემდეგ სტრიქონებს - „ქართული სისხლი თვით მზის ფერია და ამ სისხლითვე დაგვიწერია დროშაზე: ქება მოოქროვილი" იგი ასეთ შეფასებას აძლევს: „ვაკელი სწერს, რომ ქართული სისხლი რაღაც განსაკუთრებული სისხლიაო. მე არ ვიცი ჯანსაჯკომის რომელ ლაბორატორიაში მოახდინეს ქართული სისხლის ანალიზი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ამას არაფერი აქვს საერთო პროლეტარულ პოემიასთან" (ეურნ. „პროლეტარული მწერლობა", 1929 წ. №8, გვ. 50).

სამწუხაროდ, 20-30-იანი წლებში ხშირად სწორედ ამგვარი პომიციებიდან ხდებოდა ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებზე მსჯელობა.

ასე ცდილობდნენ ახალი იდეოლოგიური პრინციპების ეს ფანატიკოსი მქადაგებლები ახალი მსოფლმხედველობრივი ნორმების დამკვიდრებას და ამ პრინციპთა მიმდევარმა ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა სამშობლოს ცნება წარსულის კუთვნილებად გამოაცხადა. მაგალითად, ფრ. ნაროუშვილი „პოლიტიკური პოეტის დეკლარაციაში“ წერდა:

ხდება ერების გარდაცვალება,  
კვდება რუსეთი, კვდება გრენადა.  
მინდა იხილო შენ მუზეუმი  
კაცობრიობის ურიცხვი ენის,  
სადაც კიღია კოსტუმი, ფარი  
ყოველ კუთხიდან ყოველი ერის,  
სადაც კიღია თვით ნიკო მარი,  
ვით პრეზიდენტი მკვდარი ენების.

ხოლო კ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთ ლექსში („წინაპრებს“) სამშობლოს ცნების ასეთ გაგებას გვთავაზობდა:

არ მეშინია უცხოეთში ბედის მოღუნვის,  
ტკივილს ვერ მომგერის მე სამშობლო მიწის სიმორე,  
სადამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,  
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოიენი.

რაგინდ კურიოზულადაც არ უნდა გვეჩვენოს, კ. ლორთქიფანიძის ლექსში გამოვლენილი ამგვარი პოზიცია პროლეტარული ინტელიგენციის ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის მსოფლმხედველობასაც რომ გამოხატავდა მუსგად, ეს იმ შეფასებიდანაც ნათლად ჩანს, რომელსაც შ. რადიანი აძლევს ამ ნაწარმოებს: „კლასიურად მამაღ-ხანი და ერეკლე ლორთქიფანიძისათვის ერთ სიბრტყეზე იმყოფებიან. ამიტომ ამბობს პოეტი: „ჩემთვის ერთია ერეკლე და მამაღ-ხანი“ („წინაპრებს“). კ. ლორთქიფანიძე ინტერნაციონალური შეხედულებით გამოდის სამშობლოს და წინაპრების შეფასების დროს... მის შემოქმედებას ახასიათებს ჯანსაღი პროლეტარულ-კლასიური ხედვა“ („მნათობი“, 1931 წ. №3, გვ. 200).

სინამდვილის ობიექტური ასახვა და იმ წინააღმდეგობათა წარმოჩენა, რითაც იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედება ხასიათდებოდა, პროლეტარულ კრიტიკოსთა მიერ თანამედროვეობისადმი ოპოზიციამი ჩადგომად ცხადდებოდა. სწორედ ასე აუფასებს გ. მუშიშვილი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებას. კრიტიკოსის აზრით, იგი როგორც „ყოფილი ადამიანების მწერალი, აშკარაა, ლოგიკურად ვარდება თანამედროვეებასთან მტრულ განწყობილების მორეეში“. ჯავახიშვილმა „ყოფილ ადამიანების დრო-

მა ააფრიალა... ორიოდ წლის წინათ თუ კიდევ სწარმოებდა დაკა ჯაჯახიშვილის „თანამგზავრობაზე“. დღეს ეს დავა ამოწურულად უნდა ჩაითვალოს., მის. ჯაჯახიშვილიც „ბარიკადის იქით“ ავროვნებს კენჭებს თანამედროვეობასთან საბრძოლველად“ („მნათობი“, 1929 წ. № 2-3, გვ. 197-198).

როგორც ცნობილია, ოციან წლებში ფართო გაერცელება მოიპოვა ფსევდონიმებით გატაცებამ. პროლეტარულ მწერლობას არც ეს მოუღონა დაუტოვებია უყურადღებოდ და იმხანად იდეოლოგიურად მიუღებელი ფსევდონიმების გამო არა ერთი მწერალი იქცა მძაფრი კრიტიკული განსჯის ობიექტად. ნათქვამის დასტურად თუნდაც ის შეფასება გავისხენოთ, რომელიც გ. მუშიშვილმა ამ ფაქტთან დაკავშირებით გააკეთა: „არ მომწონს ფსევდონიმი „კაკელი“. საერთოდ ბევრი პროლეტარული პოეტი ატარებს არამოსაწონ ფსევდონიმს. მაგალითად: მომლეთელი, ნავთლუღელი. შინაგებელი... მომლეთელი ნიშნავს, რომ ავგორი მომლეთიდან არის უსათუოდ, ნავთლუღელი - ნავთლუღიდან და ა. შ.

ეული! როგორ შეიძლება პროლეტარული პოეტი ეული, ე. ი. განმარტოებული, განცალკევებული, გარიყული იყოს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში! ნ. მომლეთელსაც და ეულსაც აქვს საუცხოო გვარი „პროლეტარული ბუნების“ - ქურიძე. ქურა ქარხნის ელემენტია და დიდი ფიქრია საჭირო, ნამდვილი გვარი კი არა, ანალოგიური ფსევდონიმი გამოიგონო მწერალმა.

ასევე: მამაშვილი, ფეოდოსიშვილი, ლისაშვილი, სამსონიძე... პირველი შვილია მამასი (უკეთ მამოსი), მეორე - ფეოდოსის, მესამე - ლიზასი, მეოთხე - სამსონის.

ნუთუ არ შეიძლება გეოგრაფიულ ლოკალიზაციას, ეულობას და დედის კალთას თავი დააღწიონ პროლეტარულმა პოეტებმა, გამონახონ შესაფერისი ფსევდონიმები, - თუ ფსევდონიმები მაინცაღამაინც აუცილებელია?“ („მნათობი“, 1928 წ. № 8-9, გვ. 172).

ლიტერატურული საკითხებისადმი ასეთი მიდგომის პრინციპები საკმაოდ მძლავრად ბატონობდა იმდროინდელ პროლეტარულ მწერლობაში. ამიტომაც არაა გასაკვირი, ამგვარი ცალმხრივი და ულტრამემარცხენე დოკუმენტისა და სქემების გყვეობაში მოქცეულ კრიტიკას სწორად ვერ შეეცნო ლიტერატურული აზროვნების თვისებრივი სიახლენი.

პროლეტარული კრიტიკა ასეთივე თავგამოდებით ებრძოდა მწერლობაში ფილოსოფიური, ე. წ. განყენებული, ზოგადი თემებით გატა-

ცებას და ამგვარი მისწრაფება „კლასიკურ ლაღაგად“ და სოციალისტურ იდეოლოგიისადმი ზურგის შექცევად იყო მიჩნეული. მაგალითად, აი, როგორ გულუბრყვილო ახსნას აძლევს ამ ტენდენციას ერთგან პ. ქიქოძე: „წარმოიქმნა ისეთი გარემოება, როცა პროლეტარული მწერლობის უმრავლესობა ე. წ. „უპარტიო“ საკაცობრიო თემებზე დაიწყებს წერას. დაუშვავთ დაიწყეს იმ ფილოსოფიური პრობლემების მხატვრული განხილვა, რომელსაც „რა არის ადამიანის“ პრობლემა ჰქვია? მაშინ ჩვენ მივიღებთ პროლეტარული მწერლობის იდეური დემერტირობის პრეცედენტს, რადგან ასეთ განყენებულ, ჩვენი ეპოქისთვის სრულიად გარკვეულ, „ფილოსოფიურ“ და „ფსიქოლოგიურ“ თემებზე წერით, პროლეტარული მწერალი ჩამოსცილდება კლასობრივ ბრძოლის ვზასა და ინტერესებს, ჩამოსწყდება სამოვადოებრივობას, გაპასიურდება პოლიტიკურად და არსებითად მოწინააღმდეგე კლასის მწერლობას დაუტოვებს საჯირითოდ თანამედროვე სამოვადოებრივად აქტუალურ თემებს“ („პროლეტარული მწერლობა“, 1926 წ. № 6-7, გვ. 79).

პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენელთა ასეთი თვალსაზრისი ხშირად ხელისუფლების ნებადაც ცხადდებოდა. ვინ მთოვლის, რამდენი შემოქმედი მოინათლა ამ მეთოდის მომარჯვებით რეაქციონერად და კლასობრივ მტრად, რამდენ ადამიანს გაუმრუდდა ცხოვრების გზა.

მაგრამ ქართული მწერლობის მოწინავე ნაწილი ასეთი მექანიკური დოკუმენტის წინაშე მონურად ქედწახრისლი არასოდეს ყოფილა. მ. ჯავახიშვილმა მართებულად გამოხატა პროტესტი ყოველივე ამის გამო და განაცხადა, რომ ჩვენს ლიტერატურაში „კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც გამოგვიცხადეს, რომ ქართველი მწერალი პროლეტარიაგის პროპაგანდისგად უნდა გადაიქცეს, ან კალამი უნდა გაავდოსო“.

პროლეტარულმა კრიტიკამ გააფთრებით დაგმო დიდი მწერლის ეს ვაბედული გამოსვლა და ამგვარი შეფასება მისცა მას: „ამას ლაპარაკობს ის კაცი, რომელსაც ჩვენი ეურნალისტების, ჩვენი გამომცემლობების საშუალებით ყოფილი ადამიანების, ნაკაცარების, თავაღმზნაურების, კულაკების, ნაძირალების პროპაგანდის მეტი არაფერი გაუკეთებია. ამის შემდეგ ლოიალური ლაპარაკი შემოქმედებით პლატფორმის საკითხებზე და ფიცი პოლიტიკურ ერთგულებაში არის თვალის ასვევის უბადრუკი ცდა“ (ბ. ბუაჩიძე, მხატვრული მწერლობის რეკონსტრუქციის საკითხები, ეურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1929, № 12, გვ. 7).

ასე ცხადდება სინამდვილის დამახინჯებულ წარმოსახვად ქართული პროზის ამ დიდებული ოსტატის ის ნაწარმოებები, რომლებშიც

განუმეორებელი ძალითაა ხორცმესხმული საბჭოთა ეპოქისათვის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობანი. ამგვარ შეფასებებს ემუქლოდ მოსდევს გულისწყვევით საუბარი ჩვენი ხელისუფლების მეტისმეტ ლოიალობასა და ლომობიერებაზე, მოწოდება იქითკენ, რომ საქმეში უფრო აქტიურად ჩართო „მუშის პოლიტიკა“, რათა ჯაჯახიშვილისნაირი „თეალის ამხვევებელი“ გონს მოვიყვანოთ და ჭკუა ვასწავლოთ.

მაგრამ იდეოლოგიური სიჯანსაღისათვის ბრძოლის გზაზე მარტო „მეზარჯენე“ მწერლებს როდი აკრიტიკებენ. კრიტიკის მკაცრი მახვილი ხშირად თვით პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებსაც კი ხედება, თუ მათ ნაწერებში დამკვიდრებული იდეოლოგიური თვალსაზრისისაგან ოდნავი ვადაცდომაც კი იქნებოდა შემჩნეული.

მაგალითად, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში მ. კახიანმა მკაცრად გააკრიტიკა კ. ლორთქიფანიძის შემდეგი ლექსი:

რა გაღრიალებო! განა არ მესმის  
ბრძოლებმა რატომ გადაიარა:  
ვიცი, რომ ძველი ვრძნობების ფესვი  
მოსასპობია ჩვენში მთლიანად.  
მაგრამ არა მწამს, რომ გულზე ყალბად -  
თუ სადმე განცდის შავი გილოა  
ჩვენს თავს თვითონვე გაუკურა დაფა!  
- ნუ შეეხები, სასიკედილოა!  
და როგორც სხვებმა ბიბლიის ენით  
გაულექსო ცაკის დაღვნილება,  
ან კომპარტიის ღირეჭტიეების  
დავიწყით უშნოდ ვადამღერება.

მ. კახიანმა კ. ლორთქიფანიძის ამ სტრიქონებს ასეთი შეფასება მისცა: „აი, ამსანაგებო, იმ მწერლის მსოფლმხედველობისათვის, რომელიც თავის თავს პროლეტარულ მწერალს უწოდებს, ფრიად დამახასიათებელია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრძოლებმა უკვე გადაიარა, რომ შენელდა ბრძოლის წყურვილი და, დახეთ, მას არ სურს უმღეროს თავის ლექსებში პარტიის ღირეჭტიეებს. რას გავს ეს სტილი? განა შეიძლება ასე ლაპარაკი ჩვენს ეპოქაში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრა, ხოლო დასაუღლეთში მუშათა კლასი სასტიკად ებრძვის ბურჟუაზიას? (ეურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1929 წ., № 8, გვ. 49).

ოციანი წლების პროლეტარული კრიტიკის ბევრ წარმომადგენელს პრინციპულად მიუღებლად მიაჩნდა ნაწარმოებში პიროვნულ ვრძნობათა გამოხატვა. მათი აზრით, მხატვრულ ნაწარმოებში ისეთი სიგყვების ხსენება, როგორებიცაა: სვედა, ტკივილი, ნაღველი...

ავტორის დეკლენგობისა და რეაქციონერობის მომასწავებელ ფაქტად უნდა მიგვეჩინა.

მაგალითად. პ. ქიქოძე ეურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ (1927 წ. № 1, გვ. 96) წერდა: „შეედიომა იქნებოდა გვეთქვა, თითქოს პროლეტარული მწერლისთვის არ არსებობს მწუხარება... ლენინის სიკვდილით დღეს ყოველი პროლეტარული მწერალი მწუხარებამ მოიყვია, მაგრამ ეს მწუხარება ნამდვილ პროლეტარულ მწერალს პესიმიზმამდე არ მიიყვანს“.

ლიტერატურულ მოვლენათა შეფასების დროს ხშირად გადამწყვეტ როლს ნაწარმოების თემატიკას აკისრებენ. როგორც წესი, მწერლის შემოქმედებით ღირსებად პირველ ყოელისა იღეური აქტეულობა იყო მიჩნეული. დიდი მოწონებით სარგებლობენ ლექსები მრომით პროცესზე, რეოლუციამზე, ეოქალურ მიღწეებზე... მხატვრული ოსტატობის საკითხებზე მსჯელობა კი უმეტესწილად უყურადღებოდ იყო დატოვებული. ქართული მწერლობის პირველხარისხოვან ოსტატთა ნაცვლად, არსთუ იმეიათად, ლიტერატურაში შემოსევეით მოხვედრილი ავტორები იყენენ ვანდიღებულნი.

ასეთია გოვიერთი არსებითი შგრიხი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ისგორიიდან. ახალი ეოქის სამსახურში იღეოლოგიური ფანაგიზმით ჩამდგარი ამ ჯგუფის წარმომადგენელთა შემოქმედების ამგვარი ფრაგმენტული დახასიათების მიუხედავად, დაინტერესებულ მკითხველს გემოთქმული მიმოსილის შეღეგად, ეფიქრობ, მაინც შეექმნება გარკვეული წარმოდგენა პროლეტარულ მწერალთა ლიტერატურული საქმიანობის არსსა და მიზანდასახულობაზე.

**„ფუტურისტების“ ლიტერატურული დაჯგუფება.** 1922 წელს თბილისში კიღევე ერთი ახალი შემოქმედებითი დაჯგუფება შეიქმნა - „ფუტურისტ-მემარცხენეთა“. სიმონ ჩიქოვანმა, ნიკოლოზ ჩაჩავამ, აკაკი ბელიაშვილმა, დავით გაჩეჩილაძემ, ბესარიონ ეღენგმა, გრიგოლ ორაგველიძემ, პოლ ნომაძემ, ალექსანდრე გაბესკირიამ და მზია ერისთავმა 1922 წლის 23 აპრილს თბილისის კონსერვატორიის შენობაში პირველი ფუტურისტული ლიტერატურული საღამო გამართეს, იმავე წლის 6-7 მაისს კი ამავე სახელწოდების შემოქმედებითი ჯგუფის პირველი მანიფესტი - „საქართველო-ფენიქსი“ გამოსცეს. აღნიშნული მანიფესტით საკმაოდ პრეგნზიულად ემცნო საზოგადოებას ახალი ლიტერატურული დაჯგუფების შექმნა საქართველოში.

ამ საპროგრამო მანიფესტს სულ მალე საკუთარი პერიოდული ორგანოების დაფუძნებაც მოყვა. კერძოდ, 1924 წელს ს. ჩიქოვანის აქ-

გიური თანამონაწილეობით გამოიყა ეურნალი „ (ერთი ნომერი), 1924-25 წლებში -ეურნალი „ლიტერატურა და სსეა“ (რელაქტორი ნიკოლოზ ჩაჩავა), 1925-26 წლებში - გაზეთი „დროული“ (გამოვიდა სამი ნომერი), 1927-28 წლებში კი ეურნალი „მემარცხენეობა“ (გამოვიდა ორი ნომერი, პირველ ნომერს ხელს აწერს სარელაქციო კოლეგია, მეორე ნომრის რელაქტორია სიმონ ჩიქოვანი).

თავიანთი ავანგარდისტული ლიტერატურული შეხედულებებითა და მხატვრული ნაწარმოებებით ქართველი ფუტურისტები მკვეთრად გამოვლენილი აგრესიულობით დაუპირისპირდნენ როგორც წინამორბედ, ისე თანამედროვე მწერლებს. მართალია, ამგვარი გამიჯნობა და დაპირისპირების პრეცედენტი იმ ხანად ჩვენს მწერლობაში უკვე არსებობდა („ცისფერყანწელები“, პროლეტარული ლიტერატურული ასოციაციის წარმომადგენლები...), მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ფუტურისტების რადიკალიზმში ამ შემთხვევაში მაინც აშკარად გამორჩეული მოვლენა იყო.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას ქართველი ფუტურისტების საპროგრამო მოთხოვნებზე, მოვიშველიებ ფრაგმენტს მათი პირველი მანიფესტიდან:

„ვაცხადებთ ყველასათვის:

უარყოფთ წარსულს, რადგან ავი არის სამლოცველო ბერების და მომაკედავების.

საუკუნეებით იცქირებოდნენ უკან და საუკუნეობითვე დარჩა საქართველო მომავლის გარეშე.

ქართული პოეზიის დამახასიათებელი თვისება იქნება გაქანება, სითამამე და ამბოხება.

ჩვენ ვიწამეთ სიტყვა ღინაძიური, ქეზაფიეთ რომ სწავას საოპერაციო სხეულს“.

ასე გრძელდება იმ ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი პრინციპების დახასიათება, რომლებიც სამომავლოდ ამ ავანგარდისტულ ლიტერატურულ გაერთიანებას უნდა დადებოდა საფუძვლად საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საპროგრამო მანიფესტის ცალკეული დებულებანი აშკარად განსხვავდება მათი ევროპელი კოლეგების ფუძემდებლურ პრინციპთაგან, მოვლენათა არსში გარკვეული მკითხველი მაინც აშკარად დაინახავს იმ შინაგან განუყოფლობასა და კავშირს, რომელიც ქართველ ფუტურისტებსა და იტალიელ ავანგარდისტებს შორის არსებობს (მარინეტის მანიფესტები ის. „კრიტიკა“, 1993 წ. № 1-2, გვ. 155-170, თარგმნა ლათო ბარბაქაძემ).



მაგრამ ქართული ფუტკურიზმი მხოლოდ იგალიური ან რუსული აენ-გარდიზმის გაელენის შედეგი არ არის და, როგორც დღეს ეკვე და-საბუთებულადაა აღიარებული. მას საკუთრივ ჩვენს მწერლობაშიც მოეპოვება ანგარიშგასაწევი ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი წა-ნამძღვრები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ მოღვაწეობას. მათ საკ-როგრამო წერილებსა და მანიფესტებში გამოთქმული არაერთი პრინ-ციპული ხასიათის მოთხოვნა თუ ღებულება, თავისი არსითა და მი-ზანდასახულობით, ამკარად მოგვაგონებს ფუტკურისგთა ფუქემღებლურ პრინციპებს.

მიუხედავად იმისა, რომ „ცისფერყანწელთა“ და ქართველ მე-მარცხენეთა ლიტერატურული დაჯგუფებანი არსებითად განსხეა-ღებიან ერთმანეთისაგან, მათი გენეტიკურ-მემკვიდრეობითი კავშ-რიც აშკარა ფაქტია, რასაც თავად „ცისფერყანწელებიც“ აღიარებდნენ. ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმ შეფასებიდან, რომელსაც ამგვარი ფორ-მით გამოსატავდნენ ისინი ერთგან: „ამ ოთხი წლის განმავლობაში ახალმა სკოლამ, „ცისფერყანწელების“ სკოლამ, უკვე შოასწრო გა-მოეჩინა თავისი შემოქმედებითი ვზა და ის გარკვეულად იხრება ფუტკ-ურიზმისაკენ. ამავე ღებულების დასტურად გამოღგება აგრეთეც ის ახლო მეგობრულ-შემოქმედებითი ურთიერთობაც, რომელიც „ცისფერყანწელებს“ ჰქონდათ რუს ფუტკურისტებთან; აგრეთეე გ. ტაბიძის გატაცება დაღიზმი-თა და სხე. („ცისფერყანწელთა“ როღზე ქართული ავანგარდიზმის წარ-მოქმნის საქმეში, საერთოდ, ქართველ ფუტკურისგთა მოღვაწეობის შესახებ ის: ს. სიგუა, ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში“, 1994 წ. მ. ქურდიანი - „ფუტკურიზმი და სხეა“ („ქართული ენა და ლიტერა-ტურა სკოლაში“, 1987 წ. № 1-4); მისიეე: „სადისერტაციო მაცნე“ (1995 წ.) - „მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურულ მიმღინარეობათა ფორმილების პროცესი საქართველოში“).

და მაინც, ამგვარი მემკვიდრეობითი კავშირურთიერთობის არ-სებობის მიუხედავად, ქართველი ფუტკურისტები ოციან წლებში აშკა-რად გამოსატავენ თავიანთ უარყოფით, აგრესიულ დამოკიდებულებას მათი წინამორბედი ლიტერატურული სკოლისაღმი - „ცისფერი ყან-წებისაღმი“. ს. ჩიქოვანისათვის, მაგალითად, იგი „მასხრული სკო-ლაა“, რომლის მთავარი წარმომადგენლები შემღევგნაირად არიან შეფასებულნი: გ. ტაბიძე „მოგონების არქივი“, გრ. რობაქიძე - „კარ-ღონის მუშია“, პ. იაშვილი - „მმაჩის ბიუროს დამაარსებელი პოეზია-ში“ და ა. შ. (იხ. მისი წერილი ქურნალში „). ანალოგიური ამრისანი იყენენ „ცისფერყანწელებზე“ სხეა ფუტკურისტებიც. მაგალითად. ბ.

ელენტი მათ შემოქმედებას „ლიტერატურულ შპორს“ უწოდებდა.

მაგრამ, ამგვარ შეფასებათა მიუხედავად, როგორც უკვე აღინიშნა, ქართველ ფუტურისტთა ნააზრვეი არაერთი ნიშან-თვისების მიხედვით პოულობს საერთოს „ცისფერყანწელთა“ საპროგრამო მოთხოვნებთან. მაგალითად, ფუტურისტების პირველ ლიტერატურულ მანიფესტში ხაზგასმით დეკლარირებული პრინციპი წარსულის უარყოფის შესახებ უფრო ადრე, 1916 წელს, ასე იყო ჩამოყალიბებული „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის თავკაცის - პ. იაშვილის მიერ დაწერილ „პირველთქმაში“: „უადილები დამსხერევის მშვენიერებას. უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს, ისე ღამეში შეწეხებულს. წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადაიხსროლეთ დაიწყების უძირო ზღვაში“. ქვემოთ კი გრძელდება: „შეითვისეთ: უარყოფის სილაპაშე, გმირული სიჩქარე, დამსხერევის იღუმალება. გიყვარდეთ მეხური მისგერიები, ცეცხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა განაღიდა. გაუღიმეთ სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სნეულნი და მახინჯნი, უარყაყით ღმობიერება..."

როცა „ცისფერყანწელებისა“ და ქართველი ფუტურისტების ლიტერატურული მანიფესტების მსგავსება-სიახლოვეზე ვსაუბრობთ, ასევე უნდა გავიხსენოთ მათი ენობრივი პრინციპების ნათესაობაც. აი, როგორაა, მაგალითად, გამოხატული პ. იაშვილის „პირველთქმაში“ „ცისფერყანწელთა“ სწრაფვა ახალი ლექსიკური ფორმების შექმნადამკვიდრებისაკენ: „ჩვენ გვსურს შეექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები“.

ანდა ამ ორი ჯგუფის ესთეტიკური მრწამსის გამომხატველი ეს ფრაგმენტები დავიმოწმით: პ. იაშვილის „პირველთქმა“: „ყოველი სიმშვიდე, სიჩუმე და მთვარის სინაზით გაშუქებული მშვენიერება დაივიწყეთ ჩვენ, - მღელვარების, ხმიერების და სიჩქარის მადიდებლებმა. ვისაც სურს, მან უმღეროს გამაფხულის ყვაილებს, მთვარეს და საღამოს მყუდროებას, დამშვიდებულს და ტკბილ სიყვარულს, ტყის იღუმალებას და ფრინველთა ვალობას. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვაილოვანი ველების მურმუხტობას"...

„საქართველო-ფენიქსი“: „დაივიწყეთ სიყვარული, რადგან იგი საუკუნეებით აფერხებდა კაცობრიობის მსვლელობას და რომელმაც დაასახიჩრა მამა-კაცის სული.“

უდიდესი ცოდვა, რომელიც შექმნა სიყვარულმა, არის მთვარეზე ლოცვა და სენტიმენტალიზმი.

იწამეთ:

ელექტრონის შუქმა ჩააქრო მთვარე და მეოცე საუკუნე აღარ იცრემლება სენტიმენტალობით...

ჩვენ შევიყვარეთ ქალაქი ხმაურით, - არსენალებით ღამით რომ თვალებს აბრიალებენ.

აღტაცებული შევცქერით ცამდე აღმართულ სახლებს და ლოკომოტივის კივილით ვაბნეეთ მუსიკას საქართველოს მიდამოებში.

აღარ არის ზღვა მსაგვრებისა და ოცნებებისათვის".

უფიქრობ, ციტირებული ფრაგმენტებითაც ნათლად დაინახავს მკითხველი იმ მსგავსება-სიახლოვეს, ამ ორ ლიტერატურულ ჯგუფს შორის რომ შეინიშნება აშკარად.

ქართულ ფუტურისტთა მანიფესტებიდან, საპროგრამო წერილებიდან და მსაგვრული შემოქმედებიდან მკაფიოდ ჩანს მათი კეთილგანწყობითი დამოკიდებულება რევოლუციისა და მის შედეგად ქვეყნად განვითარებული ეპოქალური მოვლენებისამძღ. მათი პოზიცია ამ შემთხვევაში დიამეტრალურად განსხვავდება იტალიელი ფუტურისტების პოლიტიკურ-მოქალაქეობრივი მრწამსისაგან. მაგალითად, მარინეტისაგან განსხვავებით, ისინი აღტაცებით მიესალმებოდნენ რევოლუციას და ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივას სისხლხორცეულად უკავშირებდნენ მას. „ჩვენ შევიყვარეთ მანქანის კვამლში გაჯანგული ბრბო, აღტაცებით გაშს რომ უკრავს რევოლუციასო“, - ხამვასმით წერდნენ ქართველი ფუტურისტები თავიანთ პირველ მანიფესტშივე და საქართველოს გადარჩენის სახვეალიო გზად რევოლუციასა და ტექნიკურ პროგრესს სახავენდენ.

ქართველი ფუტურისტების ესთეტიკურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი, მათი პირველი ლიტერატურული მანიფესტის შემდეგ, მთელი თავისი რადიკალიზმით აისახა 1924 წელს გამოცემულ ეურნალში „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“. ამ უცნაური და სიმბოლური ამრობრივი სახელწოდების მქონე ეურნალში გამოქვეყნებული წერილებითა და მსაგვრული ნაწარმოებებით მკითხველისათვის ნათელი სდება ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებული ახალი ლიტერატურული ჯგუფის როგორც შემოქმედებითი, ისე იდეოლოგიურ-მოქალაქეობრივი მიზნასწრაფვა.

ეურნალი იხსნება მანიფესტით, რომელშიც განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია ქართველი ფუტურისტების უმთავრესი საპროგრამო პრინციპები: 1) „ქართული ხელოვნება სრულიად დამორდა თანადროულობას, ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და შემოქმედება გაიმიჯნა“, 2) „ქართული ლიტერატურული ტრადიცია

უარყოფილი უნდა იქნეს, როგორც ძველი და როგორც ფეოდალური და ბერეკუაბიული ვემოვნებით შექმნილი ხელოვნება", 3) „პროლეტარული პოეტიკები, რომელთაც მხოლოდ პრეგენზია აქვთ რევოლუციონერობისა, არ არიან ხელოვნების, სოციალისტურ-რევოლუციური ხელოვნების გამომხატველნი, იმიტომ რომ ისინი ძველის გაყვანის ქვეშ იმყოფებიან, მათ ვერ ვაწყვიტეს კაქშირი ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან". 4) „ჩვენი დადა“ ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი იხსნება სრული რევოლუციური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისებით.

ეურნალ „ $H_2SO_4$ “-ს ხელს აწერდა სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ბენო გორდემიანი, ნიკოლოზ ჩაჩავა, ირაკლი გამრეკელი, პაეღე ნობაძე, ეანგო ლოლობერიძე, აკაკი ბელიაშვილი, ბიძინა აბულაძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ შენგელაია, შალვა ალხაზიშვილი. ეს ჯგუფი, რომელსაც შემდგომში კიდევ დაემატა რამდენიმე მწერალი, წარმოადგენდა ძირითად ბირთვის ქართული ფუტურისტებისას. რედკოლეგიის აზრით, „ $H_2SO_4$ “-ის გამოცემა იყო უდიდესი გარდატეხა, რომელმაც „დაარღვია ხელოვნების არსებული პიზიციები“.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი „მემარცხენეები“ მათი წინამორბედი იგალიელი ფუტურისტების ესთეტიკურ პრინციპებს საპროგრამო დებულებებად სახავენენ, ისინი, გარკვეულწილად, მათაც უპირისპირდებიან. ეს მკაფიოდ გამოჩნდა მათ პირველ ეურნალში გაკეთებული თუნდაც შემდეგი განცხადებითაც: „ჩვენ უარყოფთ იგალიურ ფუტურიზმს, რომელიც არისტოკრატიის კომფორტს წარმოადგენს...“ უარყოფს ფრანგულ დადასაც - რომელიც ძლიერ დეკადენტური ტონით ცდილობს რევოლუციის მოწყობას. რუსულ ფუტურიზმთან „ $H_2SO_4$ “ აერთებს მხოლოდ კომუნისტური სახელმწიფოებრივი გაყვებიდან გამოსვლა“.

ეს და მსგავსი განცხადებები, ვფიქრობ, საფუძველს გვაძლევენ, განვაცხადოთ, რომ ქართული ფუტურიზმი უცხოური ლიტერატურული სიახლეებისადმი ბრმა მიბაძვის შედეგი არ არის და ჩვენს „მემარცხენებს“ ავანგარდისტული მიმდინარეობისთვის ნიშნული პრინციპები მექანიკურად არ ვადმოუგანიათ ქართულ მწერლობაში. მართალია, მათ ამ მცდელობას საგულისხმო მიღწევები არ მოჰყოლია და ჩვენი ფუტურისტების შემოქმედებითი ძიებანი ფაქტობრივად თვითმიზნური ლიტერატურული ექსპერიმენტების ფარგლებს ძნელად თუ ცილდება, მაგრამ რასაც ისინი ქმნიდნენ და აკეთებდნენ, ბევრწი-

ლად ქართული სინამდელითაც იყო განპირობებული და უცხოური-სადმი ბრმა მიბაძვის ნაყოფი არ ყოფილა.

ეურნალში გამოქვეყნებული მხატვრული პროდუქცია ოდნავადაც კი არ შეესაბამება იმ პრეტენზიულ ტონს, ფუტურისტების საპროგრამო განცხადებებში რომაა არაორაზროვნად გამოხატული. მათი თეორიული მოთხოვნები და ლიტერატურული ცდები ხშირად, შეიძლება ითქვას, სრულ შეუსაბამობაშია ერთმანეთთან. ნათქვამის დასტურად გავისსენოთ თუნდაც რამდენიმე ნიმუში ეურნალში დასტამბული პოეტური შემოქმედებიდან:

მე პოეზია გალსტუკივით მკილია გულზე...

ტროტუარზე არ იმრდება კარგი ბალახი

ამერიკაში მიყვარს ტიპ-ტოპ

და ორი ზოძით მიყვებამერები ჩემი კბილის ამოსათხრელად.

(ქანგო ლოლობერიძე)

ხო-ხო-ლია-ხო

აესტრალიაში მიდის პროპაგანდა

ჩემი ფეხების საჯარო ვაჭრობის

მე მინდა ვიყო ბორდოს თავად

ან ინდოეთის ბოვდიხანი

ხხხა-ხა.

(ბიძინა აბულაძე)

ობობა ღრუმე ღრუბელი ორმო

ბირთვი და ბურთი ბეგობი ზურგი

როყო ხუნავი ხარიბა კუმი

ბუნავი ძაბრის კოვში საგუბე...

(სიმონ ჩიქოვანი)

ამ და მსგავს მაგალითებში აზრი იმდენად ბუნდოვანია, რომ ამგვარ პოეტურ ძიებებს არანაირი გამართლება არა აქვს.

„H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“-ისათვის დამახასიათებელი რადიკალში, თუმცა რამდენადმე შერბილებულად, მაგრამ მაინც, გაგრძელდა ფუტურისტების მომღვეწო ეურნალშიც - „ლიტერატურა და სხვა“. აქაც, საკმაოდ პრეტენზიული განცხადებების ფონზე, დიდი ადგილი ეთმობა შემოქმედებით ძიებებსა და სიტყვებით ჟონგლიორობას.

ქართველ ფუტურისტთა მისწრაფება, თვისებრივად განეახლებინათ ქართული მწერლობა, ფაქტობრივად, ფორმალისტურ ძიებათა ფარგლებს ვერ გასცდა. ისინი იმდენად გატაცებულნი აღმოჩნდნენ ზაუმური სიტყვათქმნალობით, ახალი პოეტური ფორმების შექმნითა და ორკესტრული ლექსალობით, რომ მთლიანად უგულვებელყვეს ნაწარმოების აზრობრივ-მინაარსობრივი მხარე.

გარდა ფუტურიზმისა, ავანგარდიზმი ოციანი წლების პირველი ნახევ-

რის ქართულ მწერლობაში დადაიგმის სახითაც გამოვლინდა (გ. გაბიძე, ვრ. ცეცხლაძე...), მაგრამ დადაისტურ ლიგურატურულ მცდელობებს ჩვენში საგულისხმო შედეგები არ მოჰყოლია.

**„არიფიონი“.** 1927 წელს მიხეილ ჯავახიშვილისა და გერონტი ქიქოძის თავკაცობით კიდევ ერთი ლიგურატურული ასოციაცია შეიქმნა „არიფიონის“ სახელწოდებით (სახელი წარმომდგარია ძველი ქართული სიტყვიდან არიფი, რაც მეგობარს ნიშნავს. გ. ქიქოძის განმარტებით, „არიფი“ თანამესუფრეს ნიშნავს, „არიფიონი“ კი შეზარხოშებულ ადამიანთა კავშირია. მაგრამ ამ ლიგურატურული ასოციაციის წევრები, მწერლის ოქმით, „თვრებოდნენ არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებითა და შემოქმედებით“).

„არიფიონელთა“ სალიგურატურო განცხადებას, რომელიც აღმანახს „არიფიონში“ გამოქვეყნდა 1928 წელს, დასახელებულ მწერალთა გარდა ხელს აწერენ: ვასილ გორგაძე, შალვა დადიანი, კონსტანტინე კაპანელი, ლევან მეტრეველი, ილო მისაშვილი, დაეით სულიაშვილი, ვალაკტიონ გაბიძე, იოსებ ტატიშვილი, პეტრე ქაეთარაძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი და კონსტანტინე ჭიჭინაძე - სულ 14 კაცი.

სხვა ლიგურატურულ ასოციაციათაგან განსხვავებით, „არიფიონი“ მეტად დღემოკლე შემოქმედებითი გაერთიანება აღმოჩნდა. მან 1928 წელს, აღმანახს „არიფიონის“ ერთადერთი ნომრის გამოსვლიდან რამდენიმე თვეში შეწყვიტა არსებობა. ამის უმთავრესი მიზეზი ის აგრესიული დამოკიდებულება იყო, რომელიც ხელისუფლებამ და პროლეტარულმა მწერლობამ გამოიჩინეს მის მიმართ. 1928 წელს გამართულ მწერალთა მეორე ყრილობაზეც, სხვა სახის შეკრებებზეც და პრესაშიც „არიფიონელები“ უმკაცრესი კრიტიკის ობიექტად იქცნენ. მათ ბრალად დებდნენ „წარსულის იდეალიზაციას, ძლიერ ნაციონალისტურ ბუნებასა და სრულ სიბეცეს თანამედროვეობის ათვისებაში“ (ბ. ბუაჩიძე, ეურნ. „პროლეტ. მწერლობა“, 1928 წ. № 10-12).

ხელისუფლებისა და პროლეტარული კრიტიკის აღმფოთება, უპირველეს ყოვლისა, აღმანახში დაბეჭდილი იმ ნაწარმოებებით იყო გამოწვეული, რომელთა სულისკვეთება და მიზანსწრაფვა იმეამინდელ იდეოლოგიურ ნორმატივებს არ შეესაბამებოდა (მ. ჯავახიშვილის „დამპატივქე“, გ. ქიქოძის „არიფიონი ჰერეთში“, ლ. ქიაჩელის „თავადის ქალი მაია“, შ. დადიანის „ა. თ. ე“ და სხვ.). მათგან განსაკუთრებული გულისწყრომის საგნად მაინც მ. ჯავახიშვილისა და გ. ქიქოძის ნაწარმოებები იქცა.

ქართული საბჭოთა ლიგურატურული კრიტიკის ასეთი ნევაგიური

დამოკიდებულება „არიფიონისადმი“ თითქმის 80-იანი წლების ბოლომდე გაგრძელდა. ამ დამოკიდებულების საფუძველად, უწინარეს ყოვლისა, „არიფიონელთა“ ეროვნული თვალთახედვა და რევოლუციური ეპოქისადმი კრიტიკულ-ოპოზიციური მიდგომა იყო ქცეული. თავიანთი სალიტერატურო განცხადებებით ამ შემოქმედებითი ასოციაციის წევრებმა არაორაბროვნად ამცნეს საზოგადოებას, რომ მათი რწმენით, „კულტურული წარსული“, აწყმო და მომავალი ორგანულ ერთეულს წარმოადგენდა. „არიფიონელთა“ მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ეროვნული „სულიერი შემოქმედების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ამროვნების განახლება“ ცხადდებოდა.

ამ ლიტერატურული ასოციაციის საქროგრამო მოთხოვნები კიდევ უფრო დაკონკრეტდა და შეგი სიცხადით გამოიკვეთა მათი აღმანახის რედაქტორის გ. ქიქოძის წერილში - „არიფიონი პერეთში“. გ. ქიქოძე პირდაპირ აცხადებდა, რომ მათ „არ სურდათ კარის მგოსნების როლი ეთამამათ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ექციათ“. ამ თვალსაზრისით ისინი, მათივე თქმით, „დიდად განსხვავდებოდნენ იმ გულმოდგინე პოეტებისაგან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შაბლონური ოდების წერაში“ და თანადროულობისადმი სამსასურს იმაში ხედავდნენ, „გაუხედნელი კვიცივით ესდიათ და ეჭისვინათ რევოლუციის ეგლისთვის“.

მათგან განსხვავებით, თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად „არიფიონელებმა“ „ეროვნული ენერჯიის შენარჩუნება და კულტურული გრადიციის ჯაჭვის შეუწყვეტელობა“ გამოაცხადეს.

სამწუხაროდ, „არიფიონი“ მეტად უიღბლო ლიტერატურული ასოციაცია გამოდგა და ხელისუფლებისა და პროლეტარული კრიტიკის აგრესიული მეწოლის გამო მან 1928 წელს, დაარსების მეორე წელსვე, შეწყვიტა არსებობა.

# ხელისუფლების ბრძოლა „მშენებლის მოსათმინებლად“

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქვეყანაში დაპყვიერებულმა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა დიქტატურამ ლიგერატურის თავისუფალი განვითარების პროცესი რკინის არგახებით შებოჭა და პარტიულ პრივილეგიებს დაუქვემდებარა. ქვეყნის ერთპიროვნულად მმართველი ძალის - კომუნისტური პარტიის მიერ მიღებული დირექტივებითა და დადგენილებებით ხელისუფლების მმართველობითი ორგანოები სისტემატურ და უმკაცრეს კონტროლს აწესებდნენ მწერლობაში მიმდინარე მოვლენებზე და არსებული რეჟიმისათვის პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მიუღებელ ყოველ ფაქტს სათანადო რეაგირების გარეშე არ გოვებდნენ.

განსხვავებით ოციანი წლებისაგან, როდესაც ჩვენს მწერლობაში ინერციით ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას განსხვავებული ესთეტიკური მრწამსის მქონე ლიგერატურული დაჯგუფებანი, 30-იანი წლების დასაწყისიდან ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად აკრძალა მათი ფუნქციონირება. ეს პროცესი საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე დაიწყო და ხელისუფლების გაძლიერების კვალობაზე, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მასშტაბურ სახეს იღებდა.

შემოთქმული თვალსაზრისით ჩვენი ლიგერატურის ისტორიაში გარდამტეხ მიჯნად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1932 წლის 23 აპრილს მიღებული დადგენილება - „სალიგერატურო-სამსატურო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“ უნდა მივიჩნიოთ, რომელმაც უკვე ოფიციალურად აკრძალა მთელს საბჭოთა იმპერიაში ყოველგვარი ლიგერატურული დაჯგუფების არსებობა გარდა თავად ხელისუფლების მიერ მართვადი მწერალთა კავშირისა.

ამგვარი კონტროლი მწერლობის განვითარებაზე ხელისუფლებას, მართალია, მანამდეც ჰქონდა დაწესებული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, როგორც შემოთ უკვე ითქვა, განსხვავებული შემოქმედებითი დაჯგუფებანი იმხანად ჯერ კიდევ არსებობდნენ და საკუთარი პერიოდული გამოცემების დაბეჭდვასაც ახერხებდნენ.

ე. წ. მოკავშირე რესპუბლიკებში არსებული მწერალთა კავშირები თავის მხრივ ერთიან საკავშირო მწერალთა კავშირში იყვნენ გაერთიანებულნი და მათზე მკაცრი პარტიულ-იდეოლოგიური კონტროლი იყო დაწესებული. სამწერლო ორგანიზაციებს ექვემ-



დებარებოდნენ ქვეყანაში არსებული გამოცემლობები და ლიტერატურული ეურნალ-გაზეთები. იმისათვის, რომ მწერლობას ხელისუფლების მიერ განსაზღვრული ვზიდან არ გადაეხვია, დროდადრო მწერალთა კავშირში, როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო დონეზე, სხედასხვა სახის შეხვედრებიც (პლენუმები, კონფერენციები, ყრილობები...) გარდებოდა, სადაც სამწერლო ორგანიზაციითა მმართველობითი ორგანიზების თავიკაცები ხელისუფლების შესვეურების დირექტივებითა და მათი უშუალო მონაწილეობით მკაცრ იდეოლოგიკებულ შეფასებას აძლევენ მწერლობაში მიმდინარე მოუღენებს.

ყოველივე შემოთქმულის შედეგად, ოციანი წლების მეორე ნახევრიდან აშკარად იკვეთება ახალი იდეოლოგიის შესვეურთა და მასის სამსახურში ჩამდგარ მწერალთა კეგემონურ-დიქტატორული როლი. ისინი ყოველგვარ ხერხსა და საშუალებას იყენებენ მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად და ლიტერატურული პროცესის იდეოლოგიკაციისათვის. ამ მიზნის მისაღწევად პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენლები ქედმაღლური ტონით საუბრობენ ახალი ეპოქის სახელით და იდეოლოგიურად „საეჭვი“ ყოველ მწერალს კლასობრივ მტრად და რეაქციონერად აცხადებენ.

ოციანი წლებში პროლეტარული ლიტერატურული კრიტიკა მწერალთა სამ ძირითად კატეგორიას გამოკყოფდა. პირველ ჯგუფს, როგორც წესი, მხოლოდ იმ მწერლებს მიაკუთვნებდნენ, რომლებიც ფანატიკური ერთგულებით იდგნენ რევოლუციის სამსახურში. ესენი, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრები იყვნენ. დღეს უკვე მტკიცებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ამ ასოციაციამი გაერთიანებულ მწერალთა დიდმა ნაწილმა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მეტად უმნიშვნელო როლი შეასრულა ჩვენი მწერლობის განვითარების საქმეში და ვერაფერი შექმნა საგულისხმო და ფასეული.

მხატვრული სიკყვის შემოქმედთა მეორე კატეგორიის წარმომადგენლები, რომელთაც პროლეტარული კრიტიკა გამოყოფდა, სოციალისტური ეპოქის მოწინააღმდეგე „რეაქციონერი“ მწერლები იყვნენ. მესამე ჯგუფს კი, მათი აზრით, ე. წ. „თანამგზავრი“ მწერლები მიეკუთვნებოდნენ. „თანამგზავრად“, როგორც წესი, ის შემოქმედი ითვლებოდა, ვინც „თანამედროვეობის ასახვას გაბატონებული კლასის თვალსაზრისით ცდილობდა“. მართალია, ასეთი მწერალი, ხელისუფალთა და მათ სამსახურში ჩამდგარ კრიტიკოსთა შეფასებით, „პროლეტარულ იდეოლოგიას ვერ გამოხატავდა, მაგრამ ის არც ბურჟუაზიული მწერალი იყო, რადგან ბურჟუაზიულ იდეოლოგიას არ იცავდა“ (გ. მუ-

მიშვილი, შენიშვნები ლიგერატურულ პრობლემებზე, „მნათობი“. 1929 წ. № 2-3, გვ. 192).

პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, მეორე და მესამე ჯგუფის მწერლები ერთმანეთისაგან შეკეთრად არ იყვნენ გამიჯნულნი და ერთი და იმავე შემოქმედისადმი დამოკიდებულება იმისდა მიხედვით იცვლებოდა ხოლმე, ვინ რა თვალთახედვითა და განზრახვით აფასებდა მის შემოქმედებას. ასე რომ, ერთი პროლეტარული კრიტიკოსის მიერ თანამგზავრად მიჩნეული ესა თუ ის მწერალი მეორეს სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა სოციალისტური ეპოქის მოწინააღმდეგე რეაქციონერ შემოქმედად ჩაეთვალა.

ასე აღმოჩნდნენ რევოლუციური ეპოქის წიაღში დაბადებული ლიგერატურისაგან გარიყულნი მეოცე საუკუნის ჩვენი მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: კ. გამსახურდია, მ. ჯავახიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ვრ. რობაქიძე, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, შ. დადიანი. ლ. ქიაჩელი, პ. იაშვილი, გ. გაბიძე და სხვები. პროლეტარული კრიტიკის ამრით, თავიანთი „პატარა, უბადრუკი, რეაქციონერი იდეებით, ობიექტული ბუმბუნით ეს მწერლები დასალუპავად იყვნენ განწირულნი, ვინაიდან „სააკაძეების გმირობის, მუჟე ერეკლეს და საერთოდ თავად-აზნაურობის ამ ყაყღასულ რომანტიკოსებს აღარაფერი დარჩენოდათ გარდა „წარსულის უსულო და დაშლილი ჩონჩხის იდეალიზაციისა“. „საქართველოს ძველ სახელმწიფოებრიობის იდეალზე“ გულდამწვართა ჩივილი და მისი სახელით რევოლუციისადმი მოთხოვნილებების წაყენება, მათი თქმით, გამოყრუებულ დედაკაცების ხაგზე გადაცემის მუქარასა ჰგავდა“ (ბ. ბუაჩიძე, „მნათობი“, 1930 წ. № 1, 150-152).

პროლეტარული კრიტიკის აგრესიული შეტევებისაგან თავდაცვის მიზნით ოციან წლებში კ. გამსახურდიამ და მ. ჯავახიშვილმა „დისგანციის თეორია“ წამოაყენეს, რითაც შეეცადნენ თავისებურად გაემართლებინათ რევოლუციური თემატიკით მათი დაუინტერესებლობის ფაქტი. კ. გამსახურდიას მტკიცებით, მაგალითად, რევოლუციის ეპოპეა მანამდე ვერ დაიწერებოდა, სანამ რევოლუციის შედეგად წარმომოხილი გიპაქი ბოლომდე არ ჩამოყალიბდებოდა და კრისტიალიზდებოდა.

„მწერლობის მოსათვიინიერებლად“ (ა. ბაქრაძე) და შემოქმედებითი თავისუფლების დასათრგუნად ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1932 წლის 23 აპრილის ცნობილი პარტიული დადგენილება - „სალიგერატურო-სამხაგ-

ერო ორგანიზაციითა გარდაქმნის შესახებ" და 1934 წელს გამართული მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა.

ხსენებული დადგენილებით ხელისუფლებამ უკვე ოფიციალურად დააკანონა ის, რაც ოციანი წლების დასასრულისთვის რეალურ სინამდვილედ იყო ქცეული - საბოლოოდ გამოირიცხა განსხვავებული იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსის მქონე ლიტერატურულ დაჯგუფებათა შექმნისა და არსებობის ყოველგვარი შესაძლებლობა და მთელი იმპერიის მასშტაბით მწერლობის განვითარების საქმე ხელისუფლებამ ერთიან სამწერლო კავშირს დაუქვემდებარა. ამ თვალსაზრისით 1932 წლის დადგენილებასთან ერთად უდიდესი როლი მწერალთა პირველმა საკავშირო ყრილობამაც შეასრულა, რომელიც 1934 წელს გაიმართა მოსკოვში.

ამ ყრილობამ ოფიციალურად უკვე ისიც დაადგინა, რომ საბჭოთა მწერლობის შექმნის ერთადერთი საფუძველი მსოფლიოში ყველაზე პროგრესული მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი - სოციალისტური რეალიზმი იყო. ამით ყველა სხვა ლიტერატურული მიმდინარეობა პრინციპულად მიუღებელ შემოქმედებით მეთოდად გამოცხადდა და მწერლობის განვითარება საბოლოოდ მოექცა იდეოლოგიური დიქტატურის რკინის მარწუხებში.

ამ დროიდან მოყოლებული ე. წ. საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პროცესის წარმმართველის როლში უკვე ერთპიროვნულად მოგვევლინა ხელისუფლება. გარდა იმისა, რომ მწერალთა კავშირის ყრილობები, პლენუმები თუ სხვა სახის შეკრებები მკაცრი პარტიულ-იდეოლოგიური ზედამხედველობით მიმდინარეობდა, ხელისუფლება დროდადრო „მამობილიზებელ“ ღირექტივებსაც და დადგენილებებსაც ლებულობდა, რომლებითაც მბრძანებლური ფორმით განსაზღვრავდა მწერლობის განვითარების პერსპექტივებსა და მიმართულებებს, მკაცრად აკრიტიკებდა არასასურველ ავტორებსა და მათ ნაწარმოებებს.

ხელისუფალთა და კრიტიკოსთა ამგვარი ბრძოლა მწერლობის იდეოლოგიზაციისათვის ხშირად იდეურად „საქვე“ მწერალთათვის მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელის დადებითაც მთავრდებოდა ხოლმე.

საბჭოთა მწერლობის მსოფლმხედველობრივ საფუძველად გამოცხადებული სოციალისტური რეალიზმი მწერალს ავალდებულებდა ეპოქალური სინამდვილე იდეოლოგიური გენდენციურობით წარმოესახა. უმთავრესი კრიტერიუმი, რითაც იმჟამინდელი ლიტერატურული კრიტიკა ხელმძღვანელებდა მხატვრული ნაწარმოების შეფასების დროს, სწორედ ეს მხარე იყო - იდეურად რამდენად „სწორად“ და ხელისუფლებისათვის მისაღებად აღწერდა მწერალი ამ სინამდვილეს.

აღნიშნულმა გარემოებამ არსებითად განაპირობა სოციალისტური ყოფის შეღამაზებული ფორმით წარმოსახვა. ლიტერატურულ კრიტიკაში ფართოდ მკვიდრდება ე. წ. „უკონფლიქტობის“ თეორია, რომლის მქადაგებელნი თვლიდნენ, რომ სოციალისტურ ეპოქაში მძაფრი კლასობრივ-სოციალური კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების არარსებობამ თითქოს არსებითად შეცვალა საბჭოთა ლიტერატურის შინაარსიცა და მიზანსწრაფეაც. მაგრამ ხელისუფლება მალე დარწმუნდა იმაში, რომ ამგვარი რამის მტკიცება ყოველად გაუმართლებელი უაზრობა იყო და 50-იანი წლებიდან თავადავე დაიწყო ამ გულუბრყვილო „თეორიის“ კრიტიკა.

ბევრი კრიტიკოსი პრინციპულად მიუღებლად თვლიდა ისტორიული წარსულით მწერლობის დაინტერესებას. ამის გამო არაერთგზის ქცეულან მკაცრი კრიტიკული თავდასხმების ობიექტებად ჩვენი მწერლობის ის წარმომადგენლები, რომლებიც ისტორიული თემატიკით იყვნენ გატაცებულნი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მკაცრად მაინც კ. გამსახურდიას წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

ისტორიული თემატიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულების განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ ამგვარი ნაწარმოებები მკისხველში „ნაციონალისტური“ გრძნობების გაღვივებას უწყობდნენ ხელს. ეს ბრალდებები არაერთგზის წაუყენებიათ კ. გამსახურდიასათვის, მ. ჯავახიშვილისთვის, მ. დადიანისთვის, გ. ლეონიძისა და სხვა მწერლებისათვის. იმეამინდელი კრიტიკის შეფასებით, მაგალითად, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ „ნაციონალისტური ხასიათის რომანი“ იყო. ანალოგიური შეფასება ეძლეოდა კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებსაც.

ამ და მსგავს პრობლემებთან დაკავშირებით არა მარტო პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში მახვილდებოდა ყურადღება, არამედ მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიებზეც. 30-იანი წლებიდან მოყოლებული მწერალთა კავშირში სისტემატურად გარდებოდა სხვადასხვა სახის თავყრილობები (პლენუმები, განსილვები, დისკუსიები...), სადაც მძაფრი კამათი მიმდინარეობდა როგორც შემოქმედებითი პროცესის ცალკეულ საკითხებზე, ისე ახალ მხატვრულ ნაწარმოებებზეც. მართალია, ასეთ შეხვედრებს ხშირ შემთხვევაში მკვეთრად გამოვლენილი იდეოლოგიური სასიათი ჰქონდა, მაგრამ ამ ღონისძიებებმა მაინც მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი ქართული მწერლობის განვითარებას.

ეს მით უფრო უნდა ითქვას, რომ 30-50-იან წლებში, ოციანი წლებისაგან განსხვავებით, მინიმუმამდე შემცირდა პერიოდულ ლიტერატურ-

რულ გამოცემათა რაოდენობა. კერძოდ, ამ ხნის მანძილზე საქართველოში უწყვეტი პერიოდულობით მხოლოდ ერთადერთი ლიტერატურული ეურნალი („მნათობი“) და „ლიტერატურული გაზეთი“ იცემოდა. 1934-1941 წლებში კი მეორე ლიტერატურული ეურნალიც გამოდიოდა „ჩენი თაობის“ სახელწოდებით.

ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად გატარებულმა ამგვარმა პოლიტიკამ, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად შეზღუდა შემოქმედებითი პროცესის თავისუფალი განვითარება. აკაკი ბაქრაძის ხატოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ფაქტობრივად ეს იყო მტკიცება მწერლობის „მოთვინიერებისა“ და ქვეყანაში დამკვიდრებული პარტიულ-იდეოლოგიური პრინციპების გყვეობაში მოქცევისა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები ღიდი რისკისა და მოქალაქეობრივი გაბედულების ფასად მაინც აქტიურად ცდილობდნენ, ჭეშმარიტების გზიდან არ გადაეხვიათ და სიმართლისათვის არ ეღალატათ, ბევრი მწერალი იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და ხელისუფლების მოთხოვნებისათვის ანგარიში გაეწია. საკმაოდ მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პიროვნული კეთილდღეობის მისაღწევად ჩადგნენ არსებული რეჟიმის სამსახურში და ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მეხოტბეებად იქცნენ.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში გატარებულმა ამ პოლიტიკამ იმდენად ღიდი მასშტაბები მოიცვა, რომ აღნიშნულ მოვლენას თავი იმსახნად მოღვაწე თითქმის ვერც ერთმა მწერალმა ვერ დააღწია. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ იდეოლოგიური კონინექტურის გამოვლინებანი საბჭოთა პერიოდში მცხოვრებ მწერალთა უდიდესი ნაწილის შემოქმედებაში გვხვდება მეტ-ნაკლები მასშტაბებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო 30-50-იან წლებში. 60-იანი წლებიდან კი ვითარება თუმცა არსებითად არა, მაგრამ რამდენამდე მაინც იცვლება სასიკეთოდ, რამაც ჩვენს მწერლობაში მანამდე შედარებით სუსტად არსებული კრიტიკულ-ოპოზიციური ნაკადის ერთგვარ მომძლავრებას შეუწყო ხელი.

მწერლობის „მოთვინიერების“ ეპოქაში სიმართლის გამოხატვის ყველაზე ეფექტურ ფორმას სათქმელის ქვეტექსტური მინიშნებებითა და სიმბოლურ-ალეგორიული სახით გადმოცემა წარმოადგენდა. მწერალთა ღიდი ნაწილი ცდილობდა თავისი ნამდვილი გულისთქმა სწორედ ამ ფორმით, შენიღბულად და გადატანითი მნიშვნელობით, გამოეხატა.

საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მწერალთა არქივების შესწავლამ ისეთი ნაწარმოებებიცა და სხვადასხვა სახის ჩანაწერებიც გამოამბეურა, რომელთა გამოქვეყნება იქამინდელი ცენზურულ-იდეოლოგიური შეზღუდვების გამო მაშინ ვერაფრით მოხერხდებოდა. ამ ტიპის ნაწარმოებებს მოგვიანებით პოეტმა მიხეილ ქვლივიძემ ხატოვნად „უჯრის პატიმრები“ უწოდა. ისინი კიდევ ერთხელ ცხადყოფენ ნათლად და დაუეჭვებლად, რომ ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწილს არც იმ უმძიმეს ეპოქაში დაუხევია უკან.

თუმცა, მიუხედავად ზემოთქმულისა, ობიექტურობა მოითხოვს თვალი მათ მიერ დაწერილ იმ კონსენქტურულ ნაწარმოებებზეც არ დაეხუჭოთ, რომელთა შექმნის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაგარებული უმკაცრესი იდეოლოგიური პოლიტიკა იქცა.

საბჭოთა პერიოდის ჩვენი მწერლობის ბევრი წარმომადგენელი მსოფლმხედველობრივი კომპრომისის მომაკედინებელ გზას ფიზიკური განადგურებისაგან თავის გადარჩენის შიშით დაადგა. ახალი ხელისუფლების მიერ გაგარებული დიქტატორული მმართველობითი პოლიტიკის შედეგად ამგვარი „შიშის სინდრომი ქართულ ინტელიჯენციას საბჭოთა დიქტატურის დამყარებისთანავე გაუჩნდა, თანდათან ღრმად გაიდგა ფესვები და ღირწი საცეცები უკლებლივ ყველა მწერალს შეეხო. „ბატონი“ შიში ნაირნაირი ფორმითა და სახით მოგვევლინა, რამაც, თავის მხრივ, პიროვნული და შემოქმედებითი კონფორმიზმი გამოიწვია: ჩვენმა სასიქადლო მწერლებმა დაწერეს, ან მოიმოქმედეს ის, რასაც სხვა დროსა და ვითარებაში არამცაა-არამც არ დაუშვებდნენ. დიახ, იყო გაუმართლებელი კომპრომისები, ხშირად სავალალოც, მაგრამ თითქმის ყოველთვის, მწარე გამოუვალობაზე დაფუძნებული. ეს ვითარება უთუოდ უნდა გვახსოვდეს ჩვენ, სვე გამწარებული მწერლების შთამომავლებს და ღრმა თანადგომით გვავესებდეს. მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა მათგანმა საკუთარი ადამიანური სისუსტენი გრაფიკულად ზღო: მოგს ბოლშევიკებმა მოუღეს ბოლო, მოგმა თვითონ მოიკლა თავი, ზოგი ჭკუაზე გადავიდა, ზოგი სამშობლოდან გადაიხეწა და ნოსტალგიის სამსალა ბოლომდე შესვა, ზოგი განდგა და შემოქმედებაზე საერთოდ აიღო ხელი, მოგმა საკუთარი შემოქმედებითი სიკვდილი სიცოცხლეშივე იწვინია, ზოგი ფიზიკურად კი გადარჩა, მაგრამ მიცეალებამდე ატარა კონფორმისტის საბედისწერო დამლა" (თ. მაღლაფერიძე, მარადი აწმყო, 2005 წ. გვ. 232).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგინა შეგვექმნეს ამ პოლიტიკის მასშტაბებსა და დამორგუნველ როლზე საბჭოთა პერიოდის ჩვენი ლიბერატორის ისტორიაში, ქვემოთ შევეცდები კონკრეტული მაგალითების მოშეუღებით რაძღვანაღმე მაინც წარმოვანინო ამ გრაფიკული მოვლენის არსი და ბუნება.

დავიწყოთ **გალაკტიონ ტაბიძით**. ოციანი წლებიდან მოყოლებული თითქმის მთელი მისი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში, საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკის მძლავრი ზეწოლის შედეგად, გ. ტაბიძე იძულებული იყო თავისი შინაგანი პოეტური ბუნების გამომვლენი ლექსების გვერდით ისეთი ნაწარმოებებიც მრავლად დაწერა, რომლებიც კონიუნქტურული ფორმით განაღიღებენ იმეამინდელ ეპოქალურ სინამდვილეს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დასანანია 1928-1931 წლები. მიუსეღავად იმისა, რომ ამ პერიოდში გალაკტიონი რაოდენობრივად ძალზე ნაყოფიერია და უხვმოსავლიანი, ეს წლები მის შემოქმედებაში ალბათ პოეტური კრიზისის ხანად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ამ დროს შექმნილ ნაწარმოებთა შორის ძალზე ცოგაა გალაკტიონისეული ნიჭით მაღლფენილი ქმნილებანი. შემოქმედებითი კრიზისის ამგვარი გამოვლინება შემდგომ წლებშიც გრძელდება მეტ-ნაკლებად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საგრძნობლად კლებულობს პოეტური ნაყოფიერება.

იდეოლოგიზებულ ნაწარმოებთა ხვედრითი წილი რაოდენობრიობის თვალსაზრისით გალაკტიონის პოეზიაში განსაკუთრებით დიდია 1928 წლიდან ორმოციანი წლების შუა ხანებამდე, რაც ბევრწილადაა განპირობებული იმ პოლიტიკით, რომელიც სწორედ ამ პერიოდში მძლავრობდა საბჭოთა კავშირში. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ოცდაათიანი წლების სისხლიანი რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი პოლიტიკური ვითარება, კომპარტიის დირექტიული როლი იმეამინდელი ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში, მათ შორის, რასაკვირველია, ლიბერატორაშიც- ყოველივე ამან საგრძნობლად შემლუდა გ. ტაბიძის შემოქმედებითი თავისუფლება და მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მის ლიბერატორულ მოღვაწეობას.

ლიბერატორის იდეოლოგიზაციისთვის აქტიური ბრძოლა, რამაც გ. ტაბიძის პოეზიაზეც მოახდინა საკმაოდ მძლავრი ზეგავლენა, პარტიამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული მონდომებით 1924 წლიდან დაიწყო და თანმიმდევრულად, განუსრულად განაგრძო შემდგომ წლებში. ამ ბრძოლამ სულ მალე იმდენად ფართო მასშტაბები შეიძინა, რომ მაქსიმალურად დაითრგუნა თავისუფალი შემოქმედებითი აზრი.

ლიგერატურული პროცესის მართვის სადავეების ხელში ჩასაგდებად პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი კომპარტიამ 1924 წელს გადადგა მე-13 ყრილობაზე. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში მკაფიოდ განისაზღვრა ე. წ. საბჭოთა მწერლობის განვითარების მაგისტრალური მიმართულება და ლიგერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის არსი. პარტიამ მიზნად დაისახა ყველა საშუალება ესმარა „ურჩი“ მწერლების მოსაოვინიერებლად და საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე მათ გადასაბირებლად. ამ საქმეში მან განსაკუთრებული უფლებამოსილება მიანიჭა პარტიულ კრიტიკოსს და დაავალა იმ შეცდომების მხილება, „რომლებიც გამოძინარეობს იქიდან, რომ მწერლებს საკმაოდ არ ესმით საბჭოთა წყობილების ხასიათი“. ყრილობამ მოუწოდა პარტიულ კრიტიკოსებს, „დახმარებოდნენ“ მხატვრული სიტყვის ოსტატებს „ბურჟუაზიული ცრურწმენების დაძლევაში“.

ამის მისაღწევად კი, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო „ბოლშევიკური პირდაპირობით“ ემხილებინათ მწერალთა „იდეოლოგიური შეცდომები“. საუფუძველშივე ჩაეკლათ ყოველგვარი ოპოზიციური აზრი და მწერლობა საბჭოთა ხელისუფლების მედაფედ ექციათ.

მწერლობის შესაფასებელ მთავარ კრიტერიუმად ხელისუფლებისადმი ერთგულების პრინციპი გამოცხადდა. საბჭოთა ლიგერატურის მთავარ დასაყრდენ ძალად „იმ მუშებისა და გლეხების შემოქმედება“ მიიჩნიეს, რომლებიც „საბჭოთა კავშირის ხალხის ფართო მასების კულტურული აღმავლობის პროცესში მუშათა და გლეხთა მწერლებად“ იქნენ. პირველ ყოვლისა, სწორედ მათ უნდა წარეპართათ „პარტიის ძირითადი მუშაობა მხატვრული ლიგერატურის დარგში“. წერაკითხვის უცოდინარ ქვეყანაში ამგვარი ძალების მოკრება იოლი საქმე არ იყო, მაგრამ პარტიამ, თავისი „ბრძნული წინასწარგანჭვრეტილობით“, მოძებნა „გონიერული გამოსავალი“ ამ მდგომარეობიდან და დაადგინა, რომ საბჭოთა ლიგერატურის ეს ახალი „ოსტატები“ „მუშა კორესპონდენტებსა და სოფლის კორესპონდენტებს“ შორის უნდა მოექცნათ. პარტიამ სწორედ ისინი გამოაცხადა იმ „რეზერვად“, რომელნიც უნდა გამოსულიყვნენ „ახალი მუშა და გლეხი მწერლები“.

აი, როგორი კურიოზული სახე მიიღო ხელისუფლების ბრძოლამ მწერლობის იდეოლოგიზაციისათვის. იმისათვის, რომ უფრო მეტად მოეზიდათ „პროლეტარული და გლეხური მწერლები“, ყრილობამ დაადგინა, მაქსიმალურად გაეზარდათ მათთვის მატერიალური დახმარების გაწევა, დაეწინაურებინათ ისინი თანამდებობობრივად. ასეთივე მზრუნველობა უნდა გამოეჩინათ იმ მწერალთა მიმართაც, რომლებიც



„ოქტომბრის დღეებში და სამხედრო კომუნიზმის ეპოქაში შევიდნენ რუსეთის კომპარტიისა და კომკავშირის რიგებში“.

ასე მომზადდა საფუძველი ე. წ. პროლეტარული მწერლობის პრივილეგირებული ფენის შესაქმნელად. როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, ესენი სულ მალე იმ მწერლებად მოგვევლინენ, რომლებმაც ხელთ იგდეს ძალაუფლება, მწერლობის მართვის სადავეებს დაესაკუთრნენ, ახალ დიქტატორებად იქცნენ და დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს სიკევის ნიჭიერ ოსტატთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლის უმთავრესი მიზანი ლიტერატურის იდეოლოგიზაცია და თავისუფალი შემოქმედებითი აზრის დათრგუნვა იყო.

მე-13 ყრილობის ხაზი კიდევ უფრო გააღრმავა რკ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1925 წელს მიღებულ დადგენილებაში „სამხატვრო ლიტერატურის დარგში პარტიის პოლიტიკის შესახებ“ („დროშა“, 1925 წ., № 28). ათეული წლების მანძილზე ეს დადგენილება საეგაპო მნიშვნელობის პარტიულ დოკუმენტად ცხადდებოდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ ეს მართალიც იყო, ოღონდ საწინააღმდეგო გაგებით: ამ დადგენილების მიღებამ, ფაქტობრივად, წელში გატეხა ჩვენი ლიტერატურა და მხატვრული სიკევის არაერთ ოსტატს გადაახვევინა ჭეშმარიტი ხელოვნების მართალი გზიდან.

დადგენილებით ერთხელ კიდევ ემცნო საზოგადოებას, რომ პარტიის უმთავრესი მიზანი ლიტერატურის დარგში „კომიციების დაპყრობა“ იყო, რომ ამ სფეროში „ხელმძღვანელობა მთლიანად ეკუთვნის მუშათა კლასს“. დადგენილება თანმიმდევრულად აგრძელებდა პროლეტარულ მწერალთა „ვეგემონიის“ შექმნის იმ კურსს, რომელსაც მე-13 ყრილობამ დაულო სათავე და მოითხოვდა ყველა პირობის შექმნას საამისოდ.

მაგრამ უკვე იმასაც მიხვდნენ, რომ მარტო ამ ღონისძიებებით ფონს ვასვლა ვაჭირდებოდა. ამიტომაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ყოველგვარი საშუალებით ეცადათ „ურჩი“ მწერლების მოსყიდვა და გადაბირება. კერძოდ, პარტიის გადაწყვეტილებით, დაუყოვნებლივ უნდა შეექმნათ ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ე. წ. „თანამგზავრი“ მწერლების „კომუნისტური იდეოლოგიის მხარეზე ჩქარ გადასვლას“. ამასთან, პარტიამ დასახა გზა მწერლობის „ანტირევოლუციური ელემენტებისგან გასაცხრილად“.

დადგენილების გამოქვეყნების შემდგომ განახლებული ძალით გაჩაღდა ბრძოლა ოპოზიციონერ მწერალთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სიმძაფრეს სძენდა ის გარემოება, რომ პარტიისა და ხელისუფ-

ლების მიერ „ოპოზიციონერთა“ მხილებისა და გამოაშკარავების სულისკვეთება არნახულ აღზევებას იწყებდა მთელს ქვეყანაში.

ასე თანმიმდევრულად და აქტიურად მიმდინარეობდა ბრძოლა მთელს ქვეყანაში განსხვავებულ აზრთან და საბჭოური იდეოლოგიის-თვის „საშიშ“ პიროვნებებთან. ამ ბრძოლის მასშტაბები დღითი დღე ფართოვდებოდა და ცხოვრების ყოველ სფეროს მოიცავდა. პარტიისა და მთავრობის მიერ ვადადგმული ამ ნაბიჯებით ქვეყანა სისხლიანი რეპრესიების გრაფიკულ ხანაში შედიოდა, რეპრესიებისა, რასაც მილიონობით უღანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა გვარაკად.

საქართველოში ამ ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ბემოთ აღნიშნულ ამბებს აქ 1924 წლის „მენშევიკურ-ნაციონალისტური“ ამბოხებაც დაემატა. ხელისუფლებამ უღმობლად ჩაახშო ეს აჯანყება და ათასობით პატიოტი ქართველის სისხლით მორწყო ქვეყანა.

ყოველივე ბემოთქმულზე ასე ვრცლად აქ იმიტომ შევამჩნევ ყურადღება, რომ მინდოდა მკითხველისთვის ერთხელ კიდევ შემეხსენებინა ქვეყნად დამკვიდრებული ვითარების არსი. ასეთ პირობებში, როცა უკვე გოგალური ბრძოლა იყო დაწყებული ყოველი „ურჩი“ და „სხვაგვარად მოაზროვნე“ პიროვნების დასათრგუნად, განზე განდგომა თავის გაწირვას ნიშნავდა. ამგვარ პიროვნებებს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ, რეპრესიებს უწყობდნენ, ხალხისა და სოციალიზმის მტრებად მიიჩნევდნენ, უცხოეთის აგენტებად ნათლავდნენ და სიკვდილითაც ემუქრებოდნენ. საზოგადოებაში შიშის, მორჩილების დამთრგუნველი სინდრომი მეფდებოდა. უფრო და უფრო მცირდებოდა იმათი რიცხვი, ვინც ცდილობდა უკან არ დაეხია და რწმენისთვის არ ეღალატა. ასეთი პრინციპულობა დღითი დღე საბედისწერო ხდებოდა.

ასე იქმნება მყარი საფუძველი მსოფლმხედველობრივი გაორებისთვისა და არაგულწრფელობისთვის. მართალ, რწმენისეულ თვალსაზრისს ბევრი ადამიანი გულში იხშობდა და ხმამაღლა თავისუფალი აზრის გამოთქმას უფრთხოდა. ამ დამთრგუნველ საშიშროებას ვერც მწერლობამ დააღწია თავი.

ყოველივე ბემოთქმული, ბუნებრივია, გ. ტაბიძესაც შეეხო. ოციანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, იგი იძულებული ხდება ხელისუფლების მოთხოვნებს უფრო და უფრო გაუწიოს ანგარიში და თავისი ერთგულების დასამტკიცებლად ერთგვარი პოეტური ხარკი გაიღოს. როგორც ითქვა, ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს 1928 წლიდან. ამ წელს ვალაკტიონი მონაწილეობას იღებდა მოსკოვში ჩატარებულ კომინტერნის მეექვსე კონგრესის მუშაობაში. ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით, 1928-31 წლებში, იწე-

რება პოეტური ციკლები: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციონურ საქართველოს“... მაგრამ, მიუხედავად პოეტური ნაყოფიერებისა, ეს წლები მაინც შემოქმედებითი კრიზისის ხანად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც პოეტის ამდროინდელ ნაწარმოებებში ნაკლებად ვლინდება ჩვეული პოეტური ტემპერამენტი და ესერვია. როგორც მართებულად შენიშნავეს გურამ ასათიანი, ვალაკტიონის ამ ე. წ. აქტუალურ ლექსებში „დრო დანახულია მხოლოდ მის გარეგნულ ნიშნებში... მათში თითქმის აღარ გვხვდება პოეტური წარმოსახვის ფართო პლანი. აქ ყველაფერი ზოგადად, საყოველთაო, ეპოქალურ ჭრილშია დანახული“.

ქვეყნად დამკვიდრებულმა იდეოლოგიურმა დიქტატურამ პოეტს წარსულში „დაშვებული შეცდომების გამოსწორებისკენაც“ უბიძგა. კერძოდ, იგი შეეცადა ერთგვარად შეერბილებინა ლიტერატურულ კრიტიკაში დამკვიდრებული თვალსაზრისი იმის თაობაზე, თითქოს ოქტომბრის რევოლუციამდე დაწერილ მის ლექსებში რევოლუციური სულისკვეთება ნაკლებად იგრძნობოდა და უფრო მეტად სევეა იყო გაბატონებული. ამ მიზნით მან 30-50-იან წლებში დაწერილი ზოგიერთი ე. წ. საბრძოლო რევოლუციური განწყობილების გამოძახებული ლექსი აღრიხილი წლებით დაათარიდა.

გ. ტაბიძის შემოქმედების ამ მხარეზე საუბრის დროს აქ საბჭოთა პერიოდის ჩვენს მწერლობაში დამკვიდრებულ ერთ სამწუსხარო ტენდენციასაც მინდა მივაპყრო ყურადღება – გრადიციულ ადამიანურ ფასეულობათა მაგივრად სოციალისტური იდეოლოგიური პოლიტიკით ნაკარნახევი პრინციპების გაბატონების მცდელობას. ამ თვალსაზრისით აქ ეროვნულ-პატრიოტული გრძნობის ის ვაგება მინდა გაეხსენო, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების შესვეურები ამკვიდრებდნენ იმხანად. ახალი იდეოლოგიის თავკაცები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, ადამიანთა ცნობიერებიდან ფესვებიანად ამოეძირკვათ სამშობლოს ცნების გრადიციული ვაგება და მის ნაცვლად მშობლიური ქვეყნის ახალი ხატი დაემკვიდრებინათ.

ასე მიზანმიმართულად ითრგუნებოდა საბჭოთა ხალხის შეგნებაში „ნაციონალისტური“ გრძნობების გამოვლინებანი და იდეოლოგიური ხოტბის საგნად იქცეოდა ინტერნაციონალური ძმობა და მეგობრობა. სამშობლოს ცნებაშიც, ჩვეულებრივ, საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა და არა კონკრეტულად შენი ქვეყანა. საბჭოთა პატრიოტიზმის გაფეტიშების მიზანმიმართული პოლიტიკა 30-იანი წლებიდან ჩვენი ცხოვრების მაგისტრალურ მიმართულებად მკვიდრდება. სამამულო ომის წლებში კი ინტერნაციონალურ-პატრიოტული იდეების ამგვარი ქადაგება გამოვლინების განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იძენს.

ყოველივე ამაზე აქ იმიტომაც ვაძახვილებ ყურადღებას, რომ ეროვნული გრძობის ასეთი გაყალბების შემთხვევები ჩებსით თუ უნებლიეთ, სამწუხაროდ. გ. ტაბიძის პოეზიაშიც გვხვდება.

გაეისხნოთ, მაგალითად, ლექსი „ნეგორელი“ (1935 წ.), რომელშიც პარიზიდან მომავალი პოეტის პატრიოტული თვალთახედვა ასეა გამოხატული: „ღუმელი ფარავს ტყეს და მდელოებს; გაცდით ვარშავას, მღუმარებს არე... ეუახლოვდებით ნეგორელოეს, სადაც იწყება სამშობლო მხარე...“

სამშობლოს ცნების ამგვარი გააზრება სხვაგანაც არაერთგზის გვხვდება. პოეტი კმაყოფილებით აცხადებს, რომ „ბარენცის ბლვიდან შავ მღვამდე“ გადაჭიმული ჩენი სამშობლო ძმობის ქვეყანაა, რომელსაც „ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ურთიერთ რწმენის ურყევ საძირკველს“ ეყრდნობა („გაშლიდა გაზის“- 1942 წ.). საქართველო იმ დიადი ქვეყნის ღვიძლ ნაწილად ცხადდება, „სადაც ნანატრი თავისუფლებით სუნთქავს ყოველი“ („ჩანგთა ვით წინად, ეხლაც მოველი“, 1942 წ.) და აქაც „თავისუფალი სღვას ამირანი და აწ ვერავენ ვერ დაიმონოს“ („ამირანი მიჯაჭველი“. 1937-1939 წწ.). პოეტის აღიარებით, ხალხთა ძმობა-მეგობრობას შედეგად ის მოჰყვება, რომ „ყველა, ყველა ეროვნება ერთი ოჯახად ვადიქცევა“ („კეკელს, შექმნილს რაიმეთი“. 1940 წ.).

ცხადია, მკითხველი ადვილად მიხედება, რომ ციტირებულ მაგალითებს მძლავრად ამის ეპოქალური აზროვნების დაღი. ამ თვალსაზრისით გ. ტაბიძის შემოქმედება სულაც არ არის გამონაკლისი და ასეთი ფაქტების არც მიჩქმალვა-მიფუჭჩებაა საჭირო და არც გაზვიადება. გალაკტიონი, მიუხედავად მისი გენიალობისა, მაინც თავისი დროის შვილი იყო, მიწიერი ადამიანი, და, ამდენად, გარემომცველი სინამდვილე, ბუნებრივია, მის ცნობიერებაზეც მოახდენდა გარკვეულ შეგავლენას.

მაგრამ ამგვარი იდეოლოგიური ცლომილებანი არსებითად ვერ ცვლიან გ. ტაბიძის ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვის არსს და პოეტის შემოქმედებაში გააზრების თვისებრივად სრულიად ახალ მასშტაბებს იძენს ქართველი კაცის მამულიშვილური მისწრაფებანი და ინგერესები. ამ თვალსაზრისის დასტურად გალაკტიონის პოეზიიდან უამრავი ისეთი მაგალითის მოგანა შეიძლება, რომლებიც პრინციპულად ეწინააღმდეგებიან სოციალისტური ეპოქის იდეოლოგიას.

ხელისუფლების წინაშე გარკვეულ კომპრომისზე წასვლას თავი ვერც ისეთმა ოპოზიციონერმა მწერალმა დააღწია, როგორც კონსტანტინე გამსახურდია იყო. იმ გამუდმებულმა დენა-შევიწროებამ, რასაც იგი საბჭოთა რეჟიმის მესვეურებისაგან განიცდიდა,

მწერალი იძულებული გახდა ლიტერატურული ხარკი მასაც გაეღო და ეპოქალური სინამდვილის განმადიდებელი ნაწარმოებებიც დაეწერა.

მიუხედავად იმისა, რომ მათში, შიგადაშიგ, გამსახურდიასეული სიკვყვის ძალაც იგრძნობა და მხატვრული წარმოსახვის დილოსტაგური ნიჭიც, მწერლის ეს „კომპრომისული ნაწარმოებები“ იძულებითი უკანდახევა იყო ავტორის შემოქმედებითი პრინციპებიდან, ამკარა გადახევა მაგისგრალური ლიტერატურული გზიდან. მაგრამ სხვა გამოსავალი იმ ეპოქალური რეალობიდან, რომელშიც კ. გამსახურდიას უხდებოდა ცხოვრება, არ არსებობდა. იმისათვის, რომ სიცოცხლე შეენარჩუნებინა და რეპრესიის მსხვერპლი არ გამხდარიყო, ამგვარი კომპრომისი გვერდაუვლელი აუცილებლობა იყო.

კ. გამსახურდიას მიერ დაწერილ შემოთ აღნიშნულ ნაწარმოებთან აქ უპირველეს ყოვლისა მინდა „ბელადი“ (1939 წ.) გავიხსენო, ერთ-ერთი ყველაზე კონიუნქტურული ქმნილება მის შემოქმედებაში. საბედნიეროდ, ავტორმა გრილოვიად ჩაფიქრებული ამ რომანის მხოლოდ პირველი წიგნი დაწერა, შემდგომში კი მასზე მუშაობა აღარ გაუგრძელებია, რაც იმითაც ყოფილა განპირობებული, რომ სტალინის ნაწარმოები არ მოსწონებია. მკითხველი ადვილად მიხვდება, 30-იანი წლების მიწურულს, ქვეყანაში სისხლიანი ქარიშხლის ნაწილობრივი გადაჯლის ეამს, სტალინზე დაწერილი ეს წიგნი რა სულისკვეთებისა და მიზანსწრაფვის გამოშხატეული ქმნილებაც იქნებოდა. მასში მოთხრობილია სტალინის ბავშვობისა და გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლის ამბავი.

ეს კომპრომისული წიგნი, რომლის დაწერა საკუთარი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი პრინციპებიდან იძულებული უკანდახევით იყო ნაკარნახევი, მხატვრული ოსტატობის თვალსაზრითაც ამკარად შუქმიცხრალია და ნაკლები ძალმოსილებით ავლენს ავტორის დიდ ლიტერატურულ შესაძლებლობებს.

იგივე უნდა ითქვას „ეპაზის ყვავილობაზეც“. ამ რომანზე კ. გამსახურდია 1951-55 წლებში მუშაობდა. მოვლენათა არსში გარკვეულ მკითხველს კარგად მოეხსენება, პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალსაზრისით ეს წლები რაოდენ რთული ხანა იყო ჩვენი ქვეყნისათვის. ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული მმართველობითი რეჟიმის სუსხი ამ პერიოდში კიდევ ერთხელ იწვინა კ. გამსახურდიამ. 1946 წელს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებით დაგმო ეურნალების „გვემდასა“ და „ლენინგრადის“ მუშაობა და იგი საბჭოთა იდოლოგიისათვის მიუღებელად მიიჩნია. აღნიშნულმა დადგენილებამ იდეოლოგიური ბრძოლის ახალი ეტა-

პის წამოწყებას დაუდო სათავე მთელს ქვეყანაში. კვლავ განახლდა კრიტიკული თავდასხმები კ. გამსახურდიაზე. აიკრძალა მისი ნოველები. „დაშვებული იდეოლოგიური შეცდომების“ გამო 1948 წელს მწერალი გამოყვანილ იქნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან, შეუწყვიტეს ტომეულების გამოცემა ქართულადაც და რუსულადაც, მკაცრად აკრიტიკებდნენ საკავშირო პრესის ფურცლებიდანაც.

ეს ის დრო იყო, როდესაც კ. გამსახურდია ინტენსიურად მუშაობდა ტეტრალოგიად ჩაუიქრებულ რომან „დავით აღმაშენებელზე“. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველ ნაწარმოებზე მუშაობის გავრძელების უფლებას მას არაეინ მისცემდა. შექმნილი მდგომარეობიდან თავდასაღწევად კომპრომისი და უკანდახევა იყო საჭირო. კ. გამსახურდიამაც გაითვალისწინა ეს ყველაფერი და 1951 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ფრაგმენტებით საზოგადოებას ამცნო, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის თემაზე წერდა რომანს. ნაწარმოებზე მწერალი საკმაოდ დიდხანს - 1955 წლამდე მუშაობდა. 1956 წელს კი რომანი ცალკე წიგნად გამოიცა.

მიუხედავად ცალკეული მხატვრული ღირსებებისა, მთლიანობაში „ვაზის ყვავილობა“ ნაკლებად შეესაბამება კ. გამსახურდიას შემოქმედებით შესაძლებლობებს და მასში აშკარად „საგრძნობია არა მხოლოდ კომპრომისი, არამედ - შემოქმედებითი მოღალაც“ (ს. სიგუა).

„მთვარის მოგაყვებისაგან“ განსხვავებით, „ვაზის ყვავილობაში“ ეპოქალური სინამდვილე აშკარად იდეალიზებულია და განდიდებული. რომანში მკვეთრად იგრძნობა ორ ბანაკად გაყოფილი მსოფლიოს - სოციალისტურისა და კაპიტალისტურის კონტრასტული შედარება-შეპირისპირების ის იდეოლოგიური ტენდენციურობა, რომელსაც პარტია და ხელისუფლება ამკვიდრებდნენ ჩვენში 40-50-იან წლებში.

ამ თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, ევროპული ცივილიზაციისა და ცხოვრების წესის ვახტანგ კორინთელისეული შეფასებანი უნდა გამოიყოს. რომანის მთავარი პერსონაჟის აზრით, დასავლური სამყარო ის ქვეყანაა, სადაც ადამიანი „ფულისა და ქონების მონაა“, ამასთან, „მორალურად გახრწნილიცა და ღირსებააყრილიც“ და „ოქროთი ყიდულობს როგორც სიყვარულს, ისე რწმენას“.

ამერიკის შესახებ კი ამბობს: „ამერიკული იმპერიალიზმი საფრთხეს უქადის არა მარტო ევროპას, მთელი მსოფლიოს ხალხებს. ეს უსტილო, უწარსულო ქვეყანა, ენააღრეული ბაბილონი, თავის მრავალ-

სართულიან ქორედებზე წამოყუნცული. ამაყად გადმოსცქერის ყველას, ვისაც უოლ სგრიტი და ბრუკლინის ხიდი არ უნახავს". ასეთი ბოლშევიკური პათეტიზმით გმობს კორინთელი ევროპისა და ამერიკისაოვის დამახასიათებელ „კატიჭაპიაობასა და რასსიულ თეორიას".

ცხადია, ეპოქალური სინამდვილის ამგვარი წარმოსახვა იძულებითი მსოფლმხედველობრივი უკანდახევის შედეგი იყო და სრულებით არ შეესაბამებოდა კ. გამსახურდიას ნამდვილ თვალთახედვას. უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „ვაზის ყვავილობაში" ავგორისეული ძალმოსილებით ვერ გამოიხატა მწერლის დიდი შემოქმედებითი ენერჯია და რომანში წარმოსახული მხატვრული სამყარო მწერლის სულისა და გულის სისხლხორცულ ნაწილად ვერ იქცა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა დიდი ნაწილი იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი კომპრომისის გზას იძულებით, ხელისუფლების მიერ გატარებული დიქტატორული პოლიტიკის შედეგად, დაადგა. სახელმწიფოს მესვეურები ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე აფრთხილებდნენ მათი იდეოლოგიის მოწინააღმდეგე მწერლებს, თუ ისინი ჭკუას არ ისწავლიდნენ და საბჭოთა ეპოქის სამსახურში არ ჩადგებოდნენ, ყველანაირად შეეცდებოდნენ მათს ჩამოშორებას ვზიდან. მაგალითად, ერთ-ერთ სწორედ ასეთ მკაცრ გაფრთხილებას წარმოადგენს 1924 წლის 1 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებიდან სერგო ორჯონიკიძის მიერ გაკეთებული ამგვარი განცხადება: „ქართული ინტელიგენციის ნაწილი განზე დგას, გაბუტულია. ჩვენი ინტელიგენცია თავის ბუგიაობას ეროვნულ ქურქში ახევეს, მაგრამ ეს გარეგნული სამოსელია. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია. ან მტრობა, ან მოყვრობა. რა თქმა უნდა, მტერს მტრულად მოვეპყრობით, მოყვარეს მოყვრულად".

არ უნდა დაგვაიწყდეს, რა დროს კეთდებოდა ამგვარი მკაცრი განცხადება. ეს ის დროა, როცა 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა სისხლით უკვე მორწყულია მთელი საქართველო. ციხეები სავსეა „ნაციონალისტის" ქართველებითა და „ხელისუფლების მტრებით". მათი დიდი ნაწილი სწორედ ინტელიგენციის წარმომადგენლები იყვნენ, „ეროვნულ ქურქში" გახვეულნი და ახალ დროზე „გაბუტულნი". მთავრობა ძალისხმევას არ იშურებდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად.

ასე დგება ჩვენი ინტელიგენცია მკაცრი ალტერნატივის წინაშე: ან იქით, ან აქეთ! ამ არჩევანის გაკეთების დროს ხელისუფლების მო-

წინააღმდეგეთა ბანაკში დარჩენა რისი მომგანიც იქნებოდა, ამის დანახვა სულაც არ იყო ძნელი საქმე.

ქვეყანაში შექმნილმა ასეთმა უმძიმესმა მდგომარეობამ, სავსებით ბუნებრივად, ბევრი პიროვნება დააფიქრა, შეაკრთო და უკანაც დაახეინა. მრავალი მამულიშვილი გახდა იძულებული, გაეთივალისწინებინა შექმნილი ვითარების კაჟასტროფულობა და რადგანაც იმხანად სხვა გზა, სხვა გამოსავალი, არ არსებობდა, ეპოქის სამსახურში ჩამდგარიყო.

საბჭოური იდეოლოგია და პოლიტიკა რკინის მარწუხებად შემოესალგა ლიგერატურულ აზროვნებას. მაქსიმალურად შეიზღუდა შემოქმედებითი თავისუფლება. პარტიამ და ხელისუფლებამ მწერლობას, ჟაქტობრივად, ავიტაგორისა და პროპაგანდისტის ფუნქცია დააკისრა. მსაგვრული ნაწარმოების უმთავრეს თემად ოფიციალში საბჭოთა ეპოქის „გრანდიოზულ მიღწევათა“ მესობტეობასა და კაპიტალისტური სამყაროს განწირულობის ჩვენებას სახავდა. მწერლობის ყურადღების ძირითად ობიექტად უნდა ქცულიყო „ბედნიერი ქვეყნის“ მშენებელი „ბედნიერი საბჭოთა აღამიანი“ თავისი გმირული შრომითი მიღწევებით, ნათელი კლასობრივი ცნობიერებითა და საბჭოურ ყაიდაზე გარდაქმნილი ზნეობით.

ამ ყალბი პრინციპებისადმი ერთგულებითა და ე. წ. სოციალისტური რეალიზმის მსაგვრულ-შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით პროლეტარულ მწერალთა მრავალრიცხოვანმა არმიამ უამრავი უბადრუკი ნაწარმოებით დაანაგვიანა ჩვენი ლიგერატურა. კიდევ ერთხელ ეს ყველაფერი აქ იმ სამწუხარო გარემოებისთვის ხაზგასასმელად გაეიხსენე, ზემოთ აღნიშნულმა ვითარებამ ამით უმძიმესი დადი იმხანად მოღვაწე ქართული მწერლობის აღიარებულ ოსტატთა შემოქმედებასაც რომ დაასვა.

მათ შორისაა ბოლო იაშვილიც, რომლის ბოლოდროინდელ ლექსებში მკითხველი ადვილად შენიშნავს ორ, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ პოეტურ ნაკადს: ერთს ჩვეული შემოქმედებითი გულწრფელობითა და ლიგერატურული ოსტატობით აღბეჭდილს, რომელიც აგრძელებს და აღრმავებს მისი პოეზიის საუკეთესო ტენდენციებს, მეორეს - მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობით განპირობებულს, რომელშიც ბედაპირულად ვლინდება საბჭოთა სინამდვილის კონუნქტურული ხოგბა.

იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი ოპონენტებისა და ხელისუფლებისათვის უფრო დამაჯერებლად დაემტკიცებინა ერთგულება, მარ-



გო ამგვარი ხარკის მოსახლელი ლექსების დაწერა არ კმაროდა. ძველი ლიგერაგურული „ყოფებისა“ და „იდეოლოგიური შეცდომების“ გამოსასყიდად პიროვნული აქტიურობაც იყო საჭირო. და პაოლოც ყველანაირად ცდილობდა მის ირგვლივ აშვირობებული აუბელითი ჭორებისა და ბრალდებების გაქარწყლებას.

30-იან წლებში მწერალთა კავშირში გამართულ სხდომებზე, სადაც სხვა „საშიშ“ მწერლებთან ერთად მასაც მკაცრად აკრიტიკებდნენ. პაოლო სისტემატურად გამოდის და „მყარი იდეოლოგიური არგუმენტებით“ იცავს თავს. ნათქვამის დასტურად მოვიგან რამდენიმე ამონაწერს იმ პერიოდის მწერალთა კავშირის საოქმო ჩანაწერებიდან.

1934 წლის 19 იანვარს ჩატარებულ მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოსვლისას პაოლოს განუცხადებია: „თანამედროვე რუსული პოეზია გორგმანობს ორ კარგ სახელს შორის - პასტერნაკს და დემიან ბედნის შორის. ფორმალურად ეს არის ორი მოწინააღმდეგე ხაზი. ვინც ლაპარაკობს, რომ დემიან ბედნი პოეტი არ არის, იმას არაფერი გაეგება (სლესსა, ფ. 8. აღ. 1. საქ. 386. გვ. 78). პაოლოს აზრით, ბედნიმ „მილიონები მიაჩვია ლექსებით ლაპარაკს“, თუმცა იქვე არც ის დაუფარავს, რომ მისი პოეტური ოსტატობის ხარისხი პრიმიტიულია და მეტისმეტად მსუბუქი, რომ „ბედნი ემორჩილება უმრავლესობის დაბალ დონეს“.

არა მგონია, საქმეში ჩახედულ მკითხველს იმის მტკიცება ჭირდებოდეს, რითაა გამოწვეული დემიან ბედნის ქება მაშინ, როდესაც ბედნისა და პაოლოს ლიგერაგურული შეხედულებანი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პარტიული იდეოლოგიის მიერ აღმუშავებული რუსი პროლეტარული მწერლის შექება რომ გარკვეული ვითარებით იყო ნაკარნახევი, ამის დანახვა პაოლოს გამოსვლიდან არაა ძნელი.

მწერლობის „მოთვინიერების“, თავისუფალი შემოქმედებითი აზრის დათრგუნვისა და ხელისუფლების იდეოლოგიურ დანამატად ლიგერატურის გადაქცევის ერთ-ერთი პოპულარული ფორმა, რომელიც ფართოდ დამკვიდრდა 30-იანი წლების ჩვენს ლიგერატურაში, ეს იყო ლექსად დაწერილი კოლექტიური მიმართვები და დეკლარაციები, რითაც ავტორები (და მათი მეშვეობით მშრომელები) ერთგულების ფიცს აძლევდნენ ხოლმე სტალინსა და ხელისუფლებას. ამ ვალექსილი მიმართვების შემოქმედნი, ჩვეულებრივ, მაშინდელი ჩვენი მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან.

სტალინისადმი გაგზავნილი ეს პოეტური პატაკები, როგორც წესი, რუსულ-ქართულად იწერებოდა. მათი მხატვრული დონე, მიუხედა-

ვად აეგორების მაღალპროფესიულობისა, გრაფარეკული ხოტბის ფარვლებს არ ცილდება. შემოხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ ამგვარი მიმართვების დაწერა მწერალთა ჯგუფს ევალებოდა და არა ცალკეულ პიროვნებებს. ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ამით ეს პოეტური მიმართვები უფრო მეტ რემონანსსა და ღირებულებას შეიძენდნენ ხალხის თვალში. თანაც, მათი ამგვარ მრავალაეგორიანობა, მოგიერთი სელმძღვანელის აზრით, იმ პერიოდის ჩვენს ცხოვრებაში ფართოდ დამკვიდრებული კოლექტივიზმის პრიციპის დამკვიდრებისა და პიროვნული ინდივიდუალიზმის დათრგუნვის თავისებურ გამოვლინებადაც იქნებოდა მიხნეული.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით მეგად საინტერესოა ერთი ასეთი ფაქტი: „მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე კ. ლორთქიფანიძეს უთქვამს: პ. იაშვილმა და ა. მამაშვილმა ერთად დაწერეს ლექსი ამხ. სგალინისადმი მიძღვნილი და ეს ლექსი ისე ორგანულად არის დაწერილი, რომ ვერ გავარჩევ სად თავდება ერთი აეგორი და სად იწყება მეორეო“ („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. 20 მარტი). მრავლისმთქმელია ის კომენტარი, რომელსაც ა. ბაქრაძე აკეთებს ამ ფაქტთან დაკავშირებით: „როგორ უნდა გათქვეფილიყო ერთმანეთში ორი ძირეულად განსხვავებული პოეტი - ცისფერყანწული პაოლო იაშვილი და პროლეტ-მწერალი ალიო მამაშვილი? ეს გათქვეფა ხომ მათი პოეტური ინდივიდუალობის, თავისთავადობის სიკედილს მოასწავებდა!“ (ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 1990 წ., გვ. 45).

30-იან წლებში სგალინის, ლენინისა და საბჭოთა ხელისუფლების ხოტბამ არნახული მასშტაბები შეიძინა. ფაქტობრივად, არ დარჩენილა იმ პერიოდში მოღვაწე თითქმის არც ერთი მწერალი, რომელიც პანეგირიკული მსაგერული სიგყვის ამ დოღში, ნებსით თუ იძულებით, არ ყოფილიყოს ჩართული.

საილუსტრაციოდ მოვიშველიებ სგალინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ ასეთ პოეტურ ბარათს, რომელიც 1936 წელს ჟურნალ „მნათობის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა: „საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ლექსად“. ქართულად გაღეჟსილი წერილის აეგორები არიან: პაოლო იაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მიწინიშვილი და ალიო მამაშვილი. ქართული გეჟსტი რუსულად თარგმნეს ვალერიან გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე ყანჩელმა და გიორგი ცაგარელმა. მიმართვა კრემლში გაიგზავნა საქართველოს გასაბჭოების მე-15 წლისთავთან დაკავშირებით.

ლექსად გამოთქმულ საქართველოს მშრომელთა წერილში დახასიათებულია ქართველი ხალხის განვითარების ისტორიული გზა. ერთმანეთთანაა შედარებული ძველი და ახალი დრო. რევოლუციამდელი პერიოდი ავტორთა მიერ შეფასებულია როგორც უბედურებისა და განჯვავაწამების ხანა, ბოლო 15 წელი კი გამოცხადებულია არნახული წარმატებისა და აღმშენებლობის დროდ. ერთმანეთს ცელიან კონტრასტული სურათები: ძველი ყოფისა, რომელსაც მხოლოდ ცრემლი და მწუხარება მოჰქონდა ხალხისთვის და ახალი დროებისა, როცა ბედნიერმა ცხოვრებამ გააცისკროვნა საბჭოთა ადამიანების გულები.

მიმართვის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ბედნიერი ხანის განდიდებისადმი მიძღვნილია. იმისათვის, რომ ეს ხოცბა უფრო შთამბეჭდავი და დასაბუთებული იყოს, ავტორები უხედავ აწვდიან ბელადს ინფორმაციებს კონკრეტული შრომითი მიღწევების შესახებ, აცნობენ, ვინ რამდენი ჩაი მოკრიფა, ვინ რამდენი გონა ყურძენი მოიწია, ვინ რამდენი მარგანეცი ამოიღო და ა. შ. მშრომელები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტად გამოიჩინეს შრომაში თავს. ყველა ყველას ეჯიბრება და ქვეყანა ადამიანურ ბედნიერებად ქცეული სოციალისტური შრომის უკიდევანო ასპარეზს წარმოადგენს.

იმის ნიმუშად, თუ როგორ გამოხატავენ საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობისა და განახლების სურათებს მიმართვის ავტორები, მოვიშველიოთ ფრაგმენტები სხენებული პოეტური წერილიდან:

ღვივის ფერო, იმერეთის არე-მარეს კეამლით ბოლავს,  
ღვივის ფერო, ღუმელები ცეხლის ალში წვრილიან ფოლადს,  
რომ ქალაქის მრეწველობას არ მოუხდეს უქმად ღვამა,  
რომ ქარხნებმა კოლექტივებს მანქანები მისცენ ბლომად,

ანდა:

ლაგოლესში ბაგიაშვილს სიხარულით უძგერს გული,  
რეაას ოცდაათი ერგო მას შრომა-ღლე ახლა, სრული,  
კოლმეურნემ ოჯახობით მესძლო საქმე არ ნახული -  
ათას თუმანს ფულად იღებს, ორას ფუთსაც ჭირნახულით.  
იქვე გამეზარდაშვილი ბაგიაშვილს უკვე სჯობნის:  
ათას სამას შრომადღემდე - ოცდაათი აღარ ყოფნის,  
მის ოჯახში მიიღებენ, - შეხხარიან წელს ერთმანეთს, -  
შვილსა ათას კილო ხორბალს და თორმეტი ათას მანეთს.

სხენებული ბარათის ძირითადი სულისკვეთება მათმა ავტორებმა თავიდანვე, მიმართვისთვის წამძღვარებულ ეპიგრაფშივე, გაამჟღავნეს. „ღვინ-სგალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, - წერენ ისინი, - ქართველმა ხალხმა და საქართველოს ყველა ხალხმა მიღწიეს განთავისუფლებას და ძლევაშობილად აშენებენ ახალ ბედ-

ნიერ. სოციალისტურ ცხოვრებას". მათი თქმით. ამ წარმატებათა უშუალო სულისჩამდგმელი სტალინია, „დიდი ბელადი. ბრძენი მასწავლებელი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარი“.

ეს ზღვარგაღამედარი პოეტური ხოგბა საბოლოოდ ასეთი სტრიქონებით მთავრდება:

ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე,  
ვაიმალა ის ნაყოფი, შეს რომ შენის ხელით დარგე,  
საბჭოეთის ერთა შორის სხეებთან ერთად ჩვენც ვიკარგეთ,  
რადგან შენი დარსევების ერთი სიგყვაც არ დაუკარგეთ.

საბჭოთა პერიოდში პოლკაწე თითქმის ყველა მწერლის მსგავსად, იმდროინდელმა იდეოლოგიურმა დიქტატურამ უმძიმესი დანი გიორგი ლეონიძის შემოქმედებასაც მძლავრად დაასვა. ამ თვალსაზრისით მისი პოეზია ყველაზე მეტად 40-50-იან წლებში დაზარალდა. ამ პერიოდში დაწერილი მისი ლექსებისა და პოემების მნიშვნელოვანი ნაწილი. სამწუხაროდ, ამკარად იდეოლოგიზებულია და კონიუნქტურული. ეს რომ მართლაც ასეა. ამავი დასარწმუნებლად თუნდაც 1954 წელს გამოცემული მისი ერთგომეულის უბრალო გადათქალიერებაც კმარა. კრებულში შეტანილი ლექსები ავტორს თორმეტ პოეტურ ციკლად აქვს დაყოფილი. მათგან ექვსი ციკლი ასეა დასათაურებული: „ლენინი, სტალინი“, „ბელადის კერა“, „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“, „კომუნიზმის ხარაჩოები“, „ტრიბუნა“, „ელიენ, სტალინი“!

როგორი სულისკვეთებისა და პათოსის გამომხატველი ნაწარმოებებიც იქნება ამ ციკლებში შეტანილი, ვფიქრობ, მარტო მათი სათაურებითაც ნათელი გასდება მკითხველისთვის. იდეოლოგიური პათოსი ასევე ძლიერია სხვა ციკლებში თავმოყრილ ლექსებშიც. მათ ყონზე წიგნში საკმაოდ მიჩქმალულად გამოიყურება ის ნაკადი, რომელიც გ. ლეონიძის ჭეშმარიტ პოეტურ გალანგს წარმოაჩენს. ასეთი იყო დროის, ეპოქის, შოთხოვნა, რომლის უგულვებელყოფა იმხანად თითქმის არავის შეეძლო.

საბჭოთა კავშირში მწერლობის იდეოლოგიზაციისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების დათრგუნვის პროცესი განსაკუთრებული ძალით აღმეყებას 30-იანი წლებიდან იწყებს.

ხელისუფლების მიერ ვაგარებულ დამთრგუნველ პოლიტიკას, სამწუხაროდ, ვერც გ. ლეონიძე გადაურჩა. მას სშირად აყვედრიდნენ ძველ „ცოდვებს“, ბრალად სდებდნენ „ნაციონალისტობასა“ და სიმბოლისტობას, იდეოლოგიურ ვადახრებსა და ხალხის ინტერესებისაგან ვანზე დგომას, მეგობრულ სიახლოვეს სოციალიზმის მტრებთან

და ა. შ. და ისიც, ოციანი წლების დასასრულიდან შედარებით თავ-  
შეკაეებულად, ოცდაათიანიდან კი ინტენსიურად, ღვება ეპოქის  
მეხოტბეთა რიგებში და ცდილობს ამ „შეცდომათა“ გამოსწორებას.

ასე იწყება მისი პოეტური შთაგონების გახლეჩა ორ, ერთმანე-  
თისაგან დიამეტრალურად განსხვავებულ ნაწილად. ერთის მხრივ,  
იქმნება ჭეშმარიტი პოეტური ნიჭითა და მოქალაქეობრივ-მამუ-  
ლიშვილური ინტერესებით შთაგონებული შედეგები, მეორეს მხრივ  
კი მკვეთრად იდეოლოგიზებული ნაწარმოებები, რომლებიც საბჭო-  
თა ეპოქასა და მის ბელადებს განაადიდებდნენ.

აქვე ხელისუფლებისადმი გაგზავნილ ვალექსილ კოლექტიურ მი-  
მართვებსაც და შრომით პაგაკებსაც ვაგიხსენებ. რომელთაც ან მარტო  
წერდა პოეტი, ანდა სხვებთან ერთად. მაგალითად, 1938 წლის 2 იან-  
ვრის გაზეთებში გამოქვეყნებულია „თბილისის საქალაქო საბჭოს  
რუსთაველის საიუბილეო საჩიემო პლენუმის მიმართვა ხალხთა  
ბელადისადმი - დიდი სტალინისადმი“, რომელიც „ლექსად გარდას-  
თქვა“ გიორგი ლეონიძემ. იმის ნათელსაყოფად, რაზეა საუბარი  
რუსთაველური შაირით დაწერილ ამ 37 სტროფიან პოეტურ მიმარ-  
თვაში, ალბათ, ეს პაგარა ფრაგმენტიც საკმარისი იქნება:

ამ დიდებულ ღღეს, როღესაც ხმაურობს გული ღელვითი,  
რუსეთის დიდ ხალხს საღამი, ვინც წარმოშობა ლენინი!

კაცობრიობის ვენია, მზე გულზე გაღმოფენილი,

ვინც ანუგემა ამქვეყნად სრემლდენილი და ღვენილი.

...ლენინ-სტალინის პარტიაა წინ გვიძღვის, დიდი სტალინი!

იყოს ღღეგრძელი ბელადი - შეუღრეკელი სტალინი!

მსოფლიოს მშრომელთ იმედი, - გმირთა სიმტკიცე სტალინი!

სამშობლოს დროშის გამხსნელი, ხალხთა დამხსნელი სტალინი!

ასეთი მაგალითები, რომელნიც მრავლად გვსვდება მაშინ მოღვა-  
წე თითქმის ყველა მწერლის შემოქმედებაში, პირდაპირი შედეგი  
იყო იმ გამუღმებული დატუქსვისა, ღვენისა და რეპრესიებისა, რასაც  
პარტია და ხელისუფლება მიმართაჲდა ტოტალურად. ამგვარ მოკი-  
რებულ მღგომარეობაში ცხოვრობდა და იღწვოდა იმხანად არა მარ-  
ტო მწერლობა, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოება.

მიუსუდავად იმისა, რომ გ. ლეონიძე მაშინ უკვე ინტენსიურად  
მუშაობდა სტალინისადმი მიძღვნილ პოეტურ ეპოპეაზეც და პრესაში არაერ-  
თი „იდეურად ჯანსაღი“ ნაწარმოებიც ჰქონდა გამოქვეყნებული, ხელისუფ-  
ლება ამას საკმარისად არ თვლიდა და მაინც მკაცრად აკრიტიკებდა პო-  
ეტს მისი „განყენებული და თვითმიზნური“ ნაწარმოებების გამო.

როგორც გ. ლეონიძის შემოქმედებისთვის უბრალო თეაღის გა-  
დავლებითაც კი აღვილად დარწმუნდება მკითხველი, მისი პოეტიის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სგალინის კანდიდატა იყო. ქართველ მწერალთაგან. ალბათ, ცოცხას თუ უწერია სგალინზე ასეთი გზნებითა და აღფრთოვანებით. უნაპირო ხოგბისა და ქება-დიდების გამოხატველი ეს ნაწარმოებები იმედროულად საბჭოთა ეპოქის ძღვევამოსილებისა და სიდიადის პროპაგანდისტული განდიდებაცაა. გ. ლეონიძე ალგაყებით უმღერის სგალინს, რომელიც, ფაქტობრივად, მიწაზე მოსიარულე ხორცშესხმულ ღვთაებად კყავს მიჩნეული.

ამ აღფრთოვანების საფუძველს, ვფიქრობ, პოეტს, უპირველეს ყოვლისა, ის აძლევდა, რომ სგალინი ქართველი კაცი იყო, ქართული ჯიშისა და გენის ნაშიერი. იმ საყოველთაო სიყვარულსა და თაყვანისცემას, რითაც მილიონობით ადამიანი იყო განმსჭვალული მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადისადმი, არ შეიძლებოდა ქართველი პოეტისათვის დიდი ეროვნული სიამაყეც არ მოეგვარა. ამიტომაცაა, რომ სგალინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებში, საბჭოთა იდეოლოგიის გენდენციურ პროპაგანდასთან ერთად, ქართველი კაცის ეროვნული სიამაყეც უნდა დავინახოთ.

როგორც კარგად შეინიშნავს ირაკლი აბაშიძე, „სგალინის თემა“ იმეამად ჩვენი მწერლობის მიერ უპირველეს „პატრიოტულ, მორალურ მოვალეობად იქნა აღქმული“ და „ქართულ საქმედ მიჩნეული. ისეთ ქმნილებებში, როგორიც „ბავშვობა და ყრმობაა“, ეს სწორედ ასეც იყო“ („მნათობი“, 1992 წ. №1, გვ. 131).

ჩემის აზრით, ეს ეროვნული სიამაყე დიდად განაპირობებდა რწმენასა და ერთგულებას სგალინური იდეებისადმი. სგალინური პოლიტიკის გრანდიოზული მასშტაბები და პერსპექტივები გ. ლეონიძეს, მილიონობით ადამიანის მსგავსად, სასიკეთო მოლოდინით განაწყობდა ჩვენი ქვეყნის მომავლისადმი. ამიტომაც არ უნდა აღვიქვათ ეს ნაწარმოებები მხოლოდ კონიუნქტურად და იდეოლოგიურ კომპრომისად. ის, რაც დღეს ჩვენთვის ნათელი და ცხადია, იმხანად ასე არ აღიქმებოდა, სხვაგვარად ჩანდა და ფასდებოდა. სწორედ ამიტომაცაა, რომ მაშინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებზე მხოლოდ დღევანდელი პოზიციებიდან არ უნდა ვისაუბროთ და, თუ ვითარების არსში ობიექტურად გარკვევა გვსურს, უსათუოდ უნდა გავითვალისწინოთ იმეამინდელი განწყობილება და საერთო-სახალხო სულისკვეთება.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ, იდეოლოგიური ყაველგასულობის მიუხედავად, გ. ლეონიძისა და მაშინდელ სხვა მწერალთა პროპაგანდისტული ნაწარმოებები რეალურად არსებული ნაწილია ჩვენი ლიტერატურისა და მათ სიფრთხილითა და დიდი ადამიანური სინანულის გრძნობითაც უნდა მოვეკიდოთ. ამ სინანულს კიდევ უფრო

ვეიძლიერებს ის გარემოება. რომ ამ თემაზე დაწერილ ლექსებსა და პოემებს გ. ლეონიძემ თავისი პოეტური ენერჯის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი შეაღია. რაზეც მეტყველებს მათი ძალაღი ლიტერატურული დონე და მხატვრული ოსტატობის უაღრესად დახვეწილი კულტურა.

იდეოლოგიზაციის ეს პროცესი გ. ლეონიძის შემოქმედებაში ოცია-ნი წლების ბოლოდან იწყება. თავდაპირველად თავშეკავებულად და სუსტად გამოვლენილი ეს ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერდება 30-იანი წლების შუახანებიდან და აღმეყების უმაღლეს საფეხურზე აღის 40-50-იან წლებში. მიუხედავად იმისა, რომ გ. ლეონიძის ამგვარი იდეოლოგიზებული ნაწარმოების პათოსი და განწყობილება დღეს უკვე ყავლაგასულია და ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე მკითხველის მისწრაფებებს. მათ მაინც უნდა მივაქციოთ ყურადღება, როგორც ეპოქის სულისკვეთების შესაცნობად უაღრესად მნიშვნელოვან ლიტერატურულ დოკუმენტებს.

ყოველივე ბემოთქმულის დასტურად მოვიყვან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს გ. ლეონიძის ლირიკიდან. როგორც ითქვა, პოეტს მრავალი ლექსი აქვს სტალინისადმი მიძღვნილი. სტალინი მისთვის. ისევე როგორც მილიონობით საბჭოთა ადამიანისთვის. ბედნიერებისა და ამქვეყნიური კეთილდღეობის სიმბოლოდაა დასახული. მისაღმი უნაპირო ხოგბა დაუცხრომლად გადადის ნაწარმოებიდან ნაწარმოებში და ახალ-ახალ მასშტაბებს იძენს. მაგალითად, ბელადისადმი მიძღართულ ერთ-ერთ ლექსში ეს ხოგბა ასეა გამოხატული:

არ არის ჩვენში მიწის მტკაუელი,  
შენი ღვაწლი რომ ზედ არ უფინოს,  
არ არის ქვეყნად ხალხის ტკივილი,  
შენ რომ გულით არ გეტარებინოს.  
... ვანა სად არის სიბრძნე, მხნეობა,  
ზედ შენი საქმის მაღლი არ ეცხოთ?  
შენი სახელი ისე სწერია,  
ვერც დრომ, ვერც წარღვნამ ვერ ვადარეცხოს,  
და მხოლოდ ფოლადს შეუსადარონ  
პრომეთეს ცეცხლის დიდო სარდალო!

ასეთი ქება-დიდების გამომხატველი ლექსები. შეიძლება ითქვას, ტიპური მოვლენაა იმდროინდელ ქართულ (და არა მხოლოდ ქართულ!) მწერლობაში. მხატვრული სიგყვის ოსტატები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო ეფექტურად და შთამბეჭდავად ვანადიდებდა სტალინის სახელს. არ არსებობდა საქებარი სიგყვა, რომელიც არ გაეცვივით და ათასგზის არ გამოეყენებინოთ ბელადის საქებრად. ამ „პოეტურ დოღში“ გ. ლეონიძე ხშირად გამოსულა ვა-

მარჯვებული. იგი ძალასა და ენერგიას არ იმურებდა სტალინისათვის ხოცების შესასხმელად, რისი ნათელი დადასტურებაა, თუნდაც, მისი ეპოქა „სტალინის ბაეშვობა და ყრმობა“.

პოეტი ხშირად გამოდიოდა სხვადასხვა სახის შეკრებებსა და თაყვრილობებზე და კითხულობდა თანამედროვეობისადმი მიძღვნილ ლექსებს. მათში საბჭოური ეპოქის განდიდება განუყოფელად იყო დაკავშირებული ამ ეპოქის უპირველეს შემოქმედთა - ლენინისა და სტალინის სახელებთან. განსაკუთრებით მაინც სტალინი იყო შექმნილი, რამიც, როგორც ითქვა, ეროვნული ფაქტორიც ასრულებდა განმსაზღვრელ როლს. გავისხენოთ, მაგალითად, „სიგყვა გიორგი ლეონიძისა“, ლექსი. რომელიც ავტორმა 1936 წლის 27 ნოემბერს წარმოთქვა საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე. სტალინის ხილვით აღტკინებული პოეტი „ქაფშეკყორცნილ ტალღასაჲთ“ ლელავს. მთელი ლექსი მღვარდაუდებელი ხოტბაა სტალინისა, რომელიც გამოცხადებულია ხალხის ოცნების აღმსრულებლად და ბედნიერების ოქროს კარების გამღებად, უებრო მამად და სარდლად, თავისუფლებისა და ძლევაშოსილების სიმბოლოდ.

ამ ტიპის ლექსები, როგორც წყისი, ამაღლებული, მაკორული განწყობილებით ხასიათდებიან. მათში თითქმის არსად ჩანს სევდა და მწუხარება, და თუ გამოჩნდება, მათაც პოლიტიკურ-პროპაგანდისტული შინაარსი აქვთ შეძენილი. ასეთია, თუნდაც, წუხილი იმის გამო, რომ ლენინი არასოდეს ყოფილა საქართველოს სტუმარი:

ეჲი, მართლაც რა საწყენია,

ჩვენში ლენინი არა ყოფილა!

არცა გეყავს სოფლად კაცი დროული,

მისი აქ ყოფნა აამბობინა.

არც ჩვენი პური გაუტეხია!

არც სიმღერები ჩვენი სმენია;

ის ჩვენს ხეებს ქვეშ არ ჩამომჯდარა,

ჩვენთან არასდროს დაუსენია!

მაგრამ ამ „ნალელიანი“ მდგომარეობიდანაც პოულობს ავტორი „გამოსავალს“. ესაა ვინმე მოსუცი კახას - სკოლის დარაჯის - მიერ ბემოთ გამოთქმული გულისტკივილის უარსაყოფად ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „მერე ვინ ვითხრა, ვინ დაგიჯერებს, არ ყოფილაო ჩვენში ლენინი! მე შევესწარი! მე ვარ დამხედური! მე მიხარია... ჩვენში ყოფილა! განა ის ყველას ქოხში არ იყო, როცა. ხალხს ბნელი დაამბობინა?“ ასეთ „გამოსავალს“ უძებნის ავტორი საქართველოში ლენინის ჩამოსვლულობის ფაქტს და დაასკენის, რომ „წითელი დროში-



დან ძმური ღიმილით" ყოველი ჩვენგანისთვის ხელგამოწედილი ლენინი ყველა მშრომელის ნაცნობი და ახლობელია.

როგორც ვხედავთ, გ. ლეონიძის შემოქმედების ერთი, მნიშვნელოვანი, ნაწილი ამკარად პროპაგანდისტული ხასიათისაა. 30-40-50-იან წლებში დაწერილ ამგვარ ლექსებში პოეტი ამკარა გენდენციურობით გამოხატავს პარტიისა და ხელისუფლების მიერ ნაქადაგევი იდეებს, გამოდის მათი აქტიური პროპაგანდისტის როლში. ამ ნაწარმოებებში თითქმის მთლიანადაა გამორიცხული ყოველგვარი კრიტიციზმი და ე. წ. „ღისიდენტური" აზრის გამოვლინება.

პარტიულ-სახელმწიფოებრივი იდეებისადმი ერთგულების გამოხატვა მარტო ლექსებით არ შემოიფარგლება. აეგორი ხშირად პირადადაც გამოდიოდა თავისებური ავიატორისა და პროპაგანდისტის როლში. ამის დადასტურება თუნდაც ცალკეულ ლექსთა სათაურის ქვემოთ დაფიქსირებული ცნობები იმის შესახებ, თუ სად, რომელ თავყრილობაზეა ესა თუ ის ნაწარმოები წაკითხული. მაგალითად, ლექსი „ბელადის ძეგლის ვახსნაზე" გვამცნობს, რომ აეგორს იგი 1952 წლის ოქტომბერში წაუკითხავს გორში სტალინის ძეგლის ვახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო შეკრებაზე, პოეტური ოდა „სტალინს" კი მსახიობ თამარ ჭავჭავაძეს წარმოუთქვამს 1936 წლის 19 მარტს კრემლში საქართველოს დელეგაციის მიღების დროს.

მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლება დაეცასახელოთ არა მარტო გ. ლეონიძის, არამედ იმ პერიოდში მოღვაწე სხვა მწერალთა შემოქმედებიდანაც. ამგვარი პოეტური გამოსვლები პარტიულ ყრილობებსა და სხვადასხვა სახის შეკრებებზე ფართოდ მიღებული და გავრცელებული ფორმა იყო იმხანად. ასეთი იყო ცხოვრების ის პროპაგანდისტული წესი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე ამკვიდრებდნენ „წითელი დროშის მოქალაქენი" (გ. ლეონიძის სიტყვებია) ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით.

გ. ლეონიძის შემოქმედების უმთავრეს თემად სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გამოხატვა რომაა ქცეული, ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა. მისებრი ძალითა და გზნებით მეოცე საუკუნის ქართველ პოეტთაგან იშვიათად თუ უმღერია ვინმეს მამულისადმი. გ. ლეონიძის პოეზიის ყოველი სასიცოცხლო ნერვი ამ დიდი, წმინდა და ნათელი სიყვარულით საზრდოობს.

მაგრამ აქვე, ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ ქვეყნად გამეფებულმა იდეოლოგიურმა რეჟიმმა მოგ შემთხვევაში, სამწუხაროდ, თვით გ. ლეონიძესაც კი დაამახინჯებინა და გააყალბებინა სამ-

შობლოს ცნების ჭეშმარიტი შინაარსი. თუ რა იგულისხმება ამ გაყალბებაში, ამის გასარკვევად მკითხველს ვთხოვ ერთხელ კიდევ გადაიკითხოს აკაკი ბაქრაძის წიგნის - „მწერლობის მოთვინიერების“ ის ქვეთავი, რომელსაც „სამშობლო“ ჰქვია (ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 1990 წ. გვ. 181-200). უამრავ მაგალითზე დაყრდნობით, მასში განზოგადებულადაა ნაჩვენები, საბჭოურმა იდეოლოგიამ როგორ დაამახინჯა სამშობლოს ცნების ნამდვილი შინაარსი და იგი მთელი საბჭოთა კავშირის მომცველ გერმინად აქცია.

ხელისუფლება ყველაფერს ღოსობდა იმისათვის, რომ ადამიანების ცნობიერებიდან ამოეძირკვა ეროვნულობის გრადიციული გაგება და მის მაგიერად სამშობლოს ცნების ახლებური „მასშტაბური“ შინაარსი დაეშკვიდრებინა. ამ პროცესში. ცხადია, განსაკუთრებული აქტიურობით ჩართეს მწერლობა. ამის ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია, თუნდაც, ა. ბაქრაძის მიერ დამოწმებული სიგეყეობც, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ასე განსაზღვრავს ქართველი მწერლის პაგრიოგულ მოვალეობას: „ჩვენი მწერლობა მოწოდებულია უმღეროდეს ჩვენს მრავალერიან საბჭოთა სამშობლოს. ჩვენს მწერლებს უნდა ახსოვდეთ, რომ სამშობლოს ცნებაში არა მარტო „ერთი მტკაველი“ საქართველო იგულისხმება, არამედ მთელი ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყანა. მოწინავე კაცობრიობის დიდი შუქურა - ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო“ (ვაზ. „ლიგერატურა და ხელოვნება“, 1952 წ. 11 ივლისი. იხ. ა. ბაქრაძის დასახელებული წიგნი, გვ. 193).

ეს ყველაფერი აქ იმიტომ გაეიხსენე, რომ ამგვარმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ, სამწუსაროდ, გ. ლეონიძის პოეზიაშიც კპოვა გამოვლინება. ჭეშმარიტად პაგრიოგული ნაწარმოებების გვერდით, შიგადაშიგ, მის შემოქმედებაშიც გეხვდება ისეთი ლექსები, რომლებშიც სწორედ ეს „დიდი სამშობლო“ განდიდებული. მათში პოეტი უმღერის ერთა ძმურ ოჯახად ქცეულ საბჭოთა კავშირს და გახარებული იმის გამო, რომ საქართველოც ამ ერთიან ოჯახშია მყარად დამკვიდრებული.

„დიდი სამშობლოს“ განდიდების თემა განსაკუთრებით მომძლავრდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. მაშინდელმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ „ეჭემიუგანლად დაარწმუნა“ საბჭოთა ადამიანები იმაში, რომ სსრ კავშირისთვის თავის განწირვა მათი „პატარა სამშობლოს“ დასაცავად თავდადებაც იყო. გავიხსენოთ, მაგალითად, გ. ლეონიძის პოპულარული ლექსი - „არ დაიდარდო, დედაო“, რომელიც ომში გმირულად დაღუპული ქართველი ვაჟკაცის პოეტურ მო-

ნოლოვს წარმოადგენს. ამ გვირს ღრმად სწამდა, რომ მან სამშობლოს, მშობლიური საქართველოს, ბედნიერებას შესწირა სიცოცხლე. აგი იქ იდგა მტრის წინააღმდეგ მახვილშემართული, „სადაც ნათობენ სგალინის მამა-პაპანი“. სწორედ აქ აღესრულა ის გვირულად და თავისი თავგანწირვით ცხრა ძმა ხერხეულიძის ძმობის ღირსი გახდა.

გ. ლეონიძის ლექსის გვირის ამ სიტყვებში არაფერია სიყალბე. მას გულწრფელად სწამდა ასე და უყოყმანოდ შეეწირა კიდეც ამ რწმენას. მაგრამ დრომ დაადასტურა, რომ თვით ეს რწმენა და მისი შემქმნელი იდეოლოგია იყო ყალბი, რადგანაც ამ ქართველი ვაჟკაცისა და ცხრა ძმა ხერხეულიძის მიზნები დიამეტრალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

30-40-50-იან წლებში იდეოლოგიური ბეწოლის პროცესი იმდენად გაძლიერდა, რომ მწერალი ზოგ შემთხვევაში „პროლეტარულ აგიტაგორადაც“ და პროპაგანდისტგადაც კი იქცა. სოციალისტური რეალიზმის ყალბმა თეორიამ, რომელიც არნახულად აღზევდა ამ დროისათვის, რკინის ლაგამი ამოსდო თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მწერალ-ოპოზიციონერსა და ერის ჭირვარამის მართალ მესიგყვეს უფრო მეტად მწერალი-მეზობე ცვლის.

ყოველივე ამას აქ იმიტომაც ეუსვამ ხაზს, რომ, სხვებთან ერთად, ამ საყოველთაო პროცესმა გ. ლეონიძის შემოქმედებაც საგრძნობლად დააზარალა. მისი პოემიის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მკვეთრად იდეოლოგიზებულია და საბჭოური სინამდვილის პათეტიკურ ხოტბას წარმოადგენს.

თუმცა, ყოველივე შემოთქმულთან ერთად, აქვე კიდე ერთხელ მინდა დაბეჯითებით ვთხოვო მკითხველს, გ. ლეონიძის ე. წ. „პროპაგანდისტულ“ ლექსებზე ყურადღების ამგვარი გამახვილება არამც და არამც არ ჩამითვალოს მკრეხელობად.

ჩემ მიერ ამ ნაწარმოებებით ესოდენი დაინტერესება ორი უმთავრესი გარემოებით იყო განპირობებული: ჯერ ერთი, ისინი ნათლად გვიჩვენებენ იმას, როგორ აზროვნებდა, სჯიდა და აფასებდა მოვლენებს ბევრი მაშინდელი ჩვენი თანამედროვე. ამ თვალსაზრისით, მსგავსი ნაწარმოებები ეპოქის უმნიშვნელოვანეს მხატვრულ დოკუმენტებს წარმოადგენენ და მომავალ თაობათა ცნობიერებაში ნათლად აღადგენენ უახლესი ისტორიული წარსულის მწარე სინამდვილეს, რომელზეც თვალი კი არ უნდა დაეხუჭოთ, არამედ გუსგად ისე უნდა დაეინახოთ, როგორიც იყო იგი. მეორეც, ასეთი „პროპანდისტული“ ლექსები გ. ლეონიძეს საკმაოდ ბლომად აქვს და პოეტის

ლიგერატურული მექანიკის დახასიათება სრულყოფილი ვერ იქნება მათთვის გვერდის ავლის შემთხვევაში.

დასასრულ, ამ „პროპაგანდისტული“ ლექსების ანალიზის საფუძველზე, კიდევ ერთხელ სინანულით უნდა გავსვას ხაზი იმას, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური ვითარების კარნახით დაშვებული შეცდომა იყო. დრომ უმოწყალოდ წააღწია და გააცამტვერა ეს ნაწარმოებები. დარჩა მხოლოდ სეკდითა და სინანულით საესე მოგონება და წუხილი იმაზე, რა ფუჭად დაიხარჯა ამოდენა პოეტური ენერგია.

გიორგი ლეონიძე კი...

ნამღვილი გიორგი ლეონიძე ამ ჩრდილიანი ლექსების იქით დგას, მხესავით გაბრწყინებული და ენგემოუდებული სიგყვის პოეტი, ნაღმივით აუფეთქებული პოეტური სახეებით ლექსადახუნძლული, მანამდე განუცდელი ერუანტელისა და მაღლის მომგვრელი, გაზაფხულის მდინარესაკვით გიჟმაგი და აბორგებული, მოუხელთებელი მშვენიერების მომხელთებელი და თავბრუდამსხმელი, სიცოცხლისა და გაზაფხულის მარადიული მეხოგბე, ველური შინდერის ყვავილებივით ბარაქიანად მიწიდან ამოხეთქილი ლექსების ავტორი.

ახლა რამდენიმე სიგყვა ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის - დემნა შენგელაიას შესახებ. სამწუსაროდ, მისი შემოქმედების არაერთი ნიმუშიც ამკარად იდეოლოგიზებულია და გენდენციურად წარმოსახავს იმ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც საბჭოთა სელისუფლების დამყარების შედეგად განვითარდა ქვეყანაში.

ამის დადასტურებაა. მაგალითად, „თებერვალი“ (1925 წ.), რომელშიც თბილისიდან მენშევიკების გაქცევის ამბავია მოთხრობილი. მწერალი ცალმხრივი გენდენციურობით გვიყვება, როგორ გარბიან ქალაქიდან დამარცხებული გვარდიელები და ქვეყანას ღვთის ანაბარა ტოკებენ. „ამ ყივინასა და ორომტრიალში კაცი ვერ გაიგებდა, ვის რა უნდოდა, ვის რა გკიოდაო“, - ამბობს ავტორი და მკითხველის იმედთან მშერას შორეულად მიაპყრობს „თებერვლის ღუმელში ჩარჩენილი გაწითლებული გფილისისაკენ“.

დამოუკიდებელი საქართველოს გვარდიელები, რომლებიც სისხლით იცაყდნენ ქვეყანას ბოლშევიკური რუსეთის ანექსიისაგან, მოთხრობაში მნეობრივად დამდაბლებული მებრძოლების ხროვადაა წარმოსახული. ისინი დაუნდობლად წვავენ და ანადგურებენ ყველაფერს. მწერალი თითქოსდა უმნიშვნელო დეტალების მეშვეობით მიგვანიშნებს მათ გულგრილობასა და დემორალიზაციაზე: იქვე, ახლოს, „თოვლში ვილაც მშობიარე ეგდო უპატრონოდ და განწირული ხმით“ ამა-

ოდ უხმობდა დამხმარეს. კონიაკით გალემილი ოფიცრები ლაზღანდარობაში კლავენ დროს, ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი სავაზნე ყუთებით გაჩაღებულ ცეცხლს მიფიცხებიდა და უწმაწური საუბრებით ერთობა...

ასე გენდენციურად და ამკარა არაკეთილგანწყობილებით იხატება მოთხრობაში ე. წ. მენშევიკური გვარდიის მნებორიე-მოქალაქეობრივი სახე და სიტყვა არაა ნათქვამი იმ დიდ გრაველიაზე, რომელიც სწორედ იმ წუთებში ატყდებოდა თავს ქვეყანას.

ამგვარად დახატული სინამდვილის ფონზე ავტორმა სამაგიეროდ რომანტიკული გზნებით ცადა გამოეკეთა თხუთმეტიოლე წლის ქართული გოგონას - თინას სახე, რომელიც, მშობლებს ჩამოსმორებული და ვზადაბნეული. პატარა „მიტინგს“ უტარებს გვარდიელებს იმაზე, რომ მამამისი „ლენინის ამხანაგია“, ხოლო „ლენინი - ღარიბების ამხანაგია“, რომ მას „სურათში უნახავს ლენინი... ის იყინის... თვალები წერილი აქვს და იყინის ბიძია ლენინი“. თავისი ამ საუბრით, გვეუბნება ავტორი, „გოგონა იმედის ცეცხლივით ენით“ მის ირგვლივ შემოკრებილ გვარდიელთა შორისო.

ცხადია, მთელი ეს რომანტიკა, ისევე როგორც ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების ავტორისეული შეფასება, ამკარად გენდენციურია და არაობიექტურად, არარეალურად წარმოსახავს სინამდვილეს.

გემოთ ხაზგასმული იდეოლოგიური გენდენციურობით აღბეჭდილი ნაწარმოებია აგრეთვე რომანი „წითელი ყაყაჩო“ (1948 წ.), რომელშიც სააგიტაციო-პროპაგანდისტული გენდენციურობითაა აღწერილი ომისდროინდელი მოვლენები. ე. წ. სოციალისტური რეალიზმის იდეოლოგიური ხუნდებით შებოჭილი ეს ნაწარმოები გეაწეული პათეტიკით ავლენს მრავალეროვანი საბჭოთა იმპერიის მკვიდრთა ერთობლივ ბრძოლას მათი „უკიდევანო სამშობლოს“ დასაცავად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკის შედეგად ეპოქალური სინამდვილის გენდენციურად განმადიდებლის როლში საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა უმრავლესობა მოგვევლინა მეტ-ნაკლები აქტიურობით, ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მაინც ე. წ. პროლეტარული მწერლები გამოირჩეოდნენ. მათი შემოქმედების ლამის ერთადერთი და უმთავრესი თემა საბჭოთა კავშირში იმხანად მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური მოვლენების იდეოლოგიური გენდენციურობით წარმოსახვა და განდიდება იყო. გემოთქმულის ნათელსაყოფად ქვემოთ კონკრეტულ მაგალითებს დავიმოწმებ ქართული პროლეტარული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის - კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებიდან.

კ. ლორთქიფანიძის მწერლური ბიოგრაფია ლექსებით იწყება. 20-იან წლებში იგი ინტენსიურ პოეტურ მოღვაწეობას ეწევა და ლექსებისა და პოემების რამდენიმე წიგნს აქვეყნებს.

მძლავრად გამოყენილი საავიგაციო-პროპაგანდისტული სული-სკვეთებით აღბეჭდილი ეს წიგნები. ლირიკული მგრძობილობისაგან ლამის მთლიანად დაკლინი და 20-იანი წლების იდეოლოგიური ხუნდებით შებოჭილი, პუბლიცისტური სიმშრალითა და კლასობრივ-პარტიული სწორ-ხაზოვნებით გამოხატავენ ავტორის გენდენსიურ დამოკიდებულებას იმ-კამინდელი სოციალურ-პოლიტიკური მიუღებებისადმი.

ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს 20-იანი წლების კ. ლორთქიფანიძის პოეტური შემოქმედებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ იდეოლოგიურ რადიკალიზმს. ესაა წინაპრებისადმი მიძღვნილი ლექსი (1921 წ.). ახალგაზრდა პოეტის ამ ნაწარმოებში უკიდურესი მაქსიმალიზმით გამოიხატა ახალი ეპოქალური სინამდვილის შედევად ფართოდ აღმეყებული ნიჰილი-ზმი ისტორიული წარსულისადმი და პატრიოტული ინტერესების სა-ნაცვლოდ კოსმოპოლიტიზმის განდიდება-გაფუგისების მძლავრი ტენდენცია. ავტორი თავიდანვე არაორაზროვნად ავლენს თავის მსო-ფლმხედველობრივ პოზიციას და კატეგორიული პირდაპირობით მი-მართავს წინაპართა აწრდილებს იმის შესახებ, რომ მათ შორის სამუდამოდ „ჩატყდა სამშვიდობო გზა“.

მომავონდება რის არაბთა მყინვარე ხროვა,  
დევის მუსლივით შევისგრიათ გულის ფიცარი:  
დროთა გრიალმა ჩვენ ერთმანეთს გამოგვათხოვა,  
ჩვენ, წინაპრებო, ერთმანეთი ვადავიცანით.

პროლეტარული იდეოლოგიის სამსახურში ჩამდგარი ახალგაზრდა პოეტი თავმომწონე პირდაპირობით აცხადებს, რომ მისთვის დღეს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს მათ თავგანწირულ ბრძო-ლებს ჩვენი ქვეყნის დაუძინებელ მტრებთან. „დარიალიდან დერბენ-გამდე... გულებდალეწილი ამ რაინდების“ დამიწებულ საფლავებს იგი ისე უქქერის, „როგორც უცხოელი ცნობის მოყვარე“ და თავმომწო-ნედ აცხადებს: „ჩემთვის ერთია დღეს ერეკლე და მაჰმად-ხანიო“. კ. ლორთქიფანიძის თქმით, მასა და წინაპრებს შორის იმდენად დიდი უფსკრული სუფევს, რომ მათი შეერთება ყოყლად შეუძლებელია:

არ არის მიწა, რომელმაც დღეს ჩვენ შეგვაერთოს,  
არ არის სიგყვა. ერთსაირათი რომ მოგვევლეს გულზე.

ლექსის ბოლო სტრიქონებში ლოზუნგური ფორმით დეკლარირდე-ბა ბოლშევიკური იდეოლოგიის მიერ ფართოდ გაფუგისებული კოს-

მოპოლიტიკში. ახალი პოეტური ვარიაციით ხშირად ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსისა და ენგელსის მიერ ახალი მოძღვრების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპად გამოცხადებული დებულება იმის შესახებ, რომ მუშას სამშობლო არა აქვს.

კ. ლორთქიფანიძის აღრინდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი კლასობრივი რადიკალიზმი ასეთივე სიმკვეთრითაა გამოხატული ლექსში „რამდენიმე სიგყვა ესენინს და სხვებს“ (1921 წ.). ცნობილი რუსი პოეტისადმი მიძღვნილ ამ ლექსში უმწვავესი იდეოლოგიური შეფასება ეძლევა ესენინის თვითმკვლევლობას. ეს გრაგიკული ფაქტი კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში არა თუ რაიმე ალამბიანურ თანავრძობას არ იწვევს, არამედ, პირიქით, მკაცრი იდეოლოგიური აღმფოთების საგანი ხდება და რუსი კოლეგის ეს „უკანასკნელი ხულიგნობა“ მავნებლობად ცხადდება.

აპა. ლექსი დაიწყო, ირგვლივ არ სჩანს არავინ:  
ღამე არის და გული შოგონებით აძგერდა.  
შორს ქუჩიდან მიმქრალი ფერმიხდილი ფარანი,  
ესენინის ჩამოხრჩველ თავით დაშაყქვრდა.  
მწუხარებამ შემოიპყრო, მსურს გავძახო - მავნეა  
შენი უკანასკნელი ხულიგნობა, ესენინ!  
განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნვი რამეა,  
სასიკვდილო თოკზე რომ გადმოკიდო კისერი?

კ. ლორთქიფანიძის ეს ლექსი პირდაპირი გამოძახილია იმ იდეოლოგიური შეფასებისა, ესენინის თვითმკვლევლობას რომ მისცეს იმხანად პარტიამ და ხელისუფლებამ. მოგვიანებით კი, 1978 წელს, ავტორმა ნაწარმოების სრულიად ახალი ვარიანტი გამოაქვეყნა, რომელშიც რადიკალურად განსხვავებული გააზრება ეძლევა რუსი პოეტის გრაგედისას. იმისათვის, რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი გახდეს ამ ორი ვარიანტის განსხვავება, გავიხსენოთ ნაწარმოების საბოლოო რედაქციაც:

გამაღვიდა სიჩუმემ ხმის გამყემი - არავინ,  
დაიღია სანთელი და ბუხარიც გაციედა...  
ჩემი ფანჯრის პირდაპირ ეს ჩამქრალი ფარანი  
ასე რამ დაამგვანა ჩამოხრჩობილ კაცის თავს.  
ასე მწარედ არასდროს მე გული არ მტკენია,  
ის მარყუე თითქოსდა მეუ კისერზე მიჭერდეს...  
ნუთუ ჩვენი ცხოვრება ისე მოსაწყენია,  
შენისთანა ბულბული ბაღში არ გაგვიჩერდეს.  
მამ რა მოხდა იმ ღამეს, გული რად მოგვიკალი!  
შენ არასდროს არ იყავ ლამარი და გამქცევი...  
თოკი არა - კისერზე მოვიხვიოთ გრივალი,  
რომ მგოსნებიც კედებოდნენ, როგორც ჯარისკაცები.

როგორც ითქვა, კ. ლორთქიფანიძე, პროლეტარულ მწერალთა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი იყო, ხელისუფლების იდეოლოგიური პოლიტიკის გატარებისთვის თავიდანვე თავდადებით მებრძოლი შემოქმედი. ამიგომაცაა, რომ მის შემოქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, ის იდეები და მისწრაფებანი ირეკლებიან კლასობრივ-პარტიული სწორხაზოვნებითა და პუბლიცისტური პირდაპირობით, რომლებიც ეპოქალური სინამდვილით იყო ნაკარნახევი.

სანიშნოდ გავიხსენიოთ ლექსი „საბარგო ავტომობილი“ (1927 წ.). „მე შენზე ტკბილი შესახედავი ჯერ არ მყოლია, არც მეყოლებათ“, - სიყვარულით მიმართავს ავტორი მისთვის „სიკვდილამდე დაუვიწყარ“ „რკინის მხედარს“ და ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა, რითაა განპირობებული ეს თავყვანისცემა? ლექსის შექმნის უმთავრესი მიზანი სწორედ ამ კითხვამე პასუხის გაცემის ცდაა. პოეტის შეფასებით, საბარგო ავტომობილისადმი მისი ამ სიყვარულის საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ მას განუზომლად დიდი წვლილი აქვს შეტანილი რევოლუციის გამარჯვებაში. აი, როგორ ახასიათებს ავტორი საბარგო ავტომობილის ამ დამსახურებას მისადმი მიმართული თუნდაც შემდეგი სტრიქონებით:

მართლა ვშირი ხარ. გყვით დატენილს არ შევიყვლია ნაბიჯი გმიდან.

რეკოლუციის მოლაღატენი შენ დასახერყვად გადავგმიდაცს.

უფიქრობ, დიდი მტკიცება არ ჭირდება იმას, რომ ციტირებული სტრიქონები თავისებური ხოტბაა იმ სისხლიანი რეპრესიებისა, რომელთაც ხელისუფლება მიმართავდა 20-იან წლებში „რევოლუციური წესრიგის“ დასამყარებლად.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კ. ლორთქიფანიძე და პროლეტარული მწერლობის სხვა წარმომადგენლები გამონაკლისნი სულაც არ არიან და საბჭოთა ხელისუფლების ბატონობის ხანაში, ფაქტობრივად, ბოლომდე თითქმის ვერც ერთმა მწერალმა ვერ შეინარჩუნა შემოქმედებითი თავისუფლება. ამ თვალსაზრისით, სამწუხაროდ არც **ლადო ასათიანი** ყოფილა გამონაკლისი და მასაც მოუხდა გარკვეული ხარკის გაღება ირგვლივ დამკვიდრებული იდეოლოგიური დიქტატურისადმი. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ მისი თავანკარა და საოცარი გულწრფელობით აღბეჭდილი ლექსების გვერდით, შიგადაშიგ, ისეთი ნაწარმოებებიც გვხვდება, რომლებიც მაშინდელი იდეოლოგიური ხუნდებით არიან შებოჭილნი.

სწორედ ამ მსოფლმხედველობრივმა კომპრომისმა და ირგვლივ გამეფებულმა მძიმე ფსიქოლოგიურმა ატმოსფერომ დააწერინა ლა-



დოს ის სახოგბო ლექსები. სადაც მაშინდელი ჩუენი „ბელნიერი“ ცხოვრება და მისი შემოქმედნი არიან განდიდებულნი. ერთ-ერთი მათგანია 1937 წელს (სწორედ იმ საბედისწერო წელს, როცა ათასობით დასჯილ უდანაშაულო ადამიანთა რიცხვს პოეტის დედის სახელიც შეემატა) ხალხური ლექსის სტილში დაწერილი სიმღერა ლავრენტი ბერიაზე (გაბ. „სტალინელი“, 17 მაისი). მასში ახალგაზრდა პოეტი აღფრთოვანებით მღერის საქართველოს კომუნისტთა საამაყო თავკაცის გმირულ საქმეთა ამბებს. აი, როგორ პოეტურ გამოცდენას პოულობს ამ „კაცური კაცია“ და „სიძარითლის შვილის“ ქებათა ქება ლექსში კაცისა, რომელსაც „პირდაპირობა სჩვევია ამოღებული ხმლისაო, ნათელი გადაფრქვევია დიდი სტალინის მშისაო“:

ნეტა რა ხელმა გაზარდა, რა ღეღამ ეთხრა ნანაო!  
მშრომელთა მოჭირნახულედ რა ძალამ მოიყვანაო!  
ათიათასი გვეყოლოდეს ვაჟკაცი მაგისტანაო!

დღეს ეს სიმღერა, რა თქმა უნდა, პარადოქსად გვეჩვენება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ პარადოქსებს იმხანად თვით ცხოვრება ქმნიდა.

აზროვნების იდეოლოგიზაცია-პოლიტიზაციის იმ ყოვლისმომცველმა პროცესმა, რომელიც საბჭოური ცხოვრების წესის განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლად იყო ქცეული, ირაკლი აბაშიძის პოეზიაზეც მოახდინა საკმაოდ მძლავრი ზეგავლენა. აღნიშნულმა ტენდენციამ პოეტის შემოქმედებაში თავი განსაკუთრებული ძალით პოეტური მღვანაწობის საწყის ეტაპზე იჩინა. მისი პირველი ლექსები საგრძნობლად და შებოჭილი იმეამინდელი კლასობრივ-პოლიტიკური თვალთახედვით და მათში ძალზე სუსტად ვლინდება ავტორის პოეტური მთავრებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი მაღლი და გემპერამენტი. მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური მოვლენებისადმი მიძღვნილი ეს ლექსები სააგიტაციო-პროპაგანდისტული ფორმით ეხმარებიან პარტიისა და ხელისუფლების მიერ გატარებულ იდეოლოგიურ პოლიტიკას. ამაზე ნათლად მეტყველებენ ირ. აბაშიძის პირველი პოეტური კრებულები, საერთოდ, 40-იან წლებამდე შექმნილი და გამოქვეყნებული მისი მხატვრული ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი.

რამდენიმე ლექსის გარდა, პოეტმა მოგვიანებით მთლიანად თქვა მათზე უარი და მეტად მკაცრი შეფასებაც მისცა საკუთარ ლიტერატურულ დებიუტს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის მოსაზრება, რომელიც თავისი პირველი პოეტური კრებულის შესახებ გამოთქვა მან 1979 წელს: „ჩემი პირველი წიგნი 1931 წელს გამოვიდა სათაურით „რამდენიმე ლექსი“. რა დასამალია, ეს ლექსები შორს

დგას პოეტური სრულყოფისაგან. მათში იგრძნობა სქემატურობა, პლაკატურობა და ზედმეტი პათეტიკა. ამას მხოლოდ ანგორისი ახალგაზრდობა არ განაპირობებდა. პოეტების უმრავლესობის მსგავსად. ამას მაშინ ნაკლად არ ვთვლიდი. პირიქით, ეს იყო ჩემი პრისციპი."

ამ თვითშეფასებით ირ. აბაშიძემ საკმაოდ მკაცრად და უკომპრომისოდ განმარტა თავისი აღრიხდელი შემოქმედების უმთავრესი სულისკვეთება, იმ გენდენციითა არსი და ხასიათი, რომელნიც 30-იანი წლების მისი პოეზიის სასიცოცხლო ინგერესებს განსაზღვრავენ.

როგორც ითქვა, ამ შემთხვევაში სრ. აბაშიძე გამონაკლისი არ ყოფილა და ამგვარი მიმანსწრაფვა მაშინდელი ქართული მწერლობის ბევრი წარმომადგენლის შემოქმედების მაგისტრალურ მიმართულებადაცაა დამკვიდრებული.

ავიღოთ, მაგალითად, 30-იანი წლების ჩვენი მწერლების დიდი ნაწილის განსაკუთრებული დაინტერესება ე. წ. კოლექტივიზაციის თემით. ირ. აბაშიძის სიტყვებით თუ ვიტყვით, იმეამინდელმა „ქართულმა მწერლობამ არსებითად დააჯერა, რომ კოლექტივიზაციის გზა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის იყო ერთადერთი და აუცილებელი გზა. მაგრამ კოლექტივიზაცია გამონაკლისი არ ყოფილა და მაშინდელ ჩვენს ყოფაში მიმდინარე მსგავსი სოციალური მოვლენები მწერლობის უმთავრეს თემებად მკვიდრდებოდნენ. ასე ეხსნებოდა ქართულ ლიტერატურაში ფართო გზა ე. წ. „უაქტის პოეზიას“, რომელიც ყოველგვარი „მეგაფიზიკისა“ და „პოეტური სამკაულების გარეშე“ ასხამდა ხოგბას პარტიისა და ხელისუფლების სოციალურ და იდეოლოგიურ პოლიტიკას. ირ. აბაშიძის შეფასებით, „ეს გადაჭარბებული ქება-დიდება უდიდეს შემთხვევაში გულწრფელი“ რწმენის ნაყოფი იყო („მნათობი“, 1992 წ. № 1, გვ. 128).

როგორც ვხედავთ, ირ. აბაშიძის აღრიხდელ შემოქმედებაზე საუბარი 30-იანი წლების ჩვენი ლიტერატურის საჭირობოროტო პრობლემასაც უკავშირდება სისხლხორცეულად და იმეამინდელი მისი პოეზიისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ბევრი გენდენცია, უპირველეს ყოვლისა, ეპოქალური ამროვნების პირდაპირი შედეგია, მაშინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის უშუალო გამოძახილი.

ამ თვალსაზრისით, ირ. აბაშიძის მიერ იმხანად განულილი პოეტური გზა, შეიძლება ითქვას, საბჭოთა მწერლის შემოქმედებითი ხვედრის ტიპური გამოვლინებაცაა. ეპოქის სამსახურში ჩამდგარი შემოქმედის ლიტერატურული ბედის ტიპური წარმოჩენა.

იმისათვის, რომ უფრო მუსტად გავერკვეთ მოვლენათა არსში,

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად პოეტის აღრინდელი შექმნილებიდან მოვიშველიოთ კონკრეტული მაგალითები.

ირ. აბაშიძის პირველ ლექსებში პოეტური განდილების საგნადაა ქცეული საქართველოს გასაბჭოების ისტორიული მოვლენა. ახალგაზრდა პოეტი რომანტიკული გმებით გამოხატავს მის დამოკიდებულებას თებერვლის იმ „გმირული ღღეებისადმი“, როცა ჩრდილოეთიდან მოსულმა „გამარჯყებული ბოლშევიკების“ „ძმურმა ჯარმა“ საქართველოში „მენშევიზმის ეპოქა“ დაამხო და სოციალისტურ ყოფას მისცა დასაბამი. ცხადია, ირ. აბაშიძის აღრინდელ პოეზიაში ეროვნული ისტორიის ეს გრაგიკული ფაქტი იმეამინდელი იდეოლოგიური ტენდენციურობითაა დანახული და გააზრებული.

ირ. აბაშიძის აღრინდელი შემოქმედების თემატიკა ძირითადად იმ მოვლენებითაა განსაზღვრული, 30-იანი წლების საბჭოური ყოფისთვის რომ იყო ფართოდ დამახასიათებელი. ამით აისხნება პოეტის განსაკუთრებული დაინტერესება ე. წ. საწარმოო თემატით. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია ამ დროისათვის იმდენად მძლავრობს მის პოეზიაში, რომ თითქმის მთლიანად უხშობს გზას შოგვიანებით ავტორის პოეტური ინდივიდუალობის გამოვლენის უმთავრეს და უძირითადეს ფორმად დამკვიდრებულ ლირიკულ-მედიტაციურ ნაკადს.

ირ. აბაშიძე, ბევრი იმდროინდელი მწერლის მსგავსად, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად თვლიდა ხოტბა შეესხა ახალი ეპოქის სამსახურში ფანატიკური ერთგულებით ჩამდგარი გმირებისათვის. ასე მკვიდრდება მის აღრინდელ პოეზიაში თანამედროეობის პოეტური განდილების მძლავრი ტენდენცია, რაც განუყოფელად უკავშირდება კომუნისტური პარტიისა და მისი სახელოვანი შეილების, უპირველეს ყოვლისა კი ბელადების ქებათა ქებას. ისტორიული ბედუკუდმართობის დამთრგუნავი ძალა, რომელმაც ქვეყანა განახლებისა და ძლიერების გზაზე დააყენა, ავტორის რწმენით, პარტია და მისი ბინადრები არიან. ამიტომაც ცდილობს იგი ამალღებული პათეტიზმით შეასხას ხოტბა მათ და ამით მილიონობით ადამიანის მადლიერება გამოხატოს (გავიხსენოთ ლექსები: „საქართველოს კომპარტია“, „მთის არწივი, “ოცდაერთი იანვარი“, „სერგეი კიროვი“, „შეიქმენ გმირი“, „ოდიშის პლანტაციები“ და სხვ.). ირ. აბაშიძის ეს ლექსები სოციალისტურ ეპოქას მხოლოდ ემოციურად კი არ განდიდებენ, არამედ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ტენდენციურობით აღწერენ იმ ძერებსა და გარდაქმნებს, რომლებიც ახალმა ყოფამ დაამკვიდრა ქვეყანაში.

ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული 50-იანი წლების შუა ხანებამდე, ვიდრე ხელისუფლება პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიას გააჩაღებდა, სგალინისადმი აღვლენილმა ხოტბამ მთელ საბჭოთა კავშირში არნახული მასშტაბები შეიძინა.

ამ თვალსაზრისით რომ არც ირ. აბაშიძე აღმოჩნდა გამონაკლისი, ამაზე ნათლად შეტყვევებს მისი ამდროინდელი შემოქმედება. 1933 წელს, - იგონებს ამასიან დაკავშირებით პოეტი. - „საბჭოთა მწერლობის პირველი ყრილობის სამშადისის დროს, საქართველოს მწერალთა კავშირში მოვიდა საქ. კ.პ. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი და ჩვენმა თავმჯდომარემ, შალაქია გოროშელიძემ, პოეტები და მწერლები თავის კაბინეტში მიგვიწვია.

გოროშელიძის კაბინეტში ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ვრცლად ილაპარაკა ამხანაგ იოსებ სგალინზე, მის ღვაწლსა და ბიოგრაფიაზე და გეაცნობა, რომ ამიერიდან საბჭოთა მწერლებს მთელს ჩვენს დიდ ქვეყანაში ნება გვეძლევა ვთქვათ ჩვენი მხატვრული სიტყვა დიდ ბელადზე, ვუმღეროთ მას. პოეტურ, მხატვრულ სიტყვაში აესახოთ მისი სახე და აქ ქართველმა მწერლებმა, ბუნებრივია, განსაკუთრებით უნდა გამოიყინოთ თავი" (ი. აბაშიძე, გუშინ, გუშინწინ 1989 წ. გვ. 107).

ასე დაიწყო იმეამინდელ ქართულ მწერლობაში სგალინის თემის ფართოდ დამკვიდრების პროცესი, რამაც სულ მალე საყოველთაო ხასიათი მიიღო. ირ. აბაშიძის სიტყვებით თუ ვიგყვით, ჩვენი მწერლობისათვის „სგალინის თემა“ „მარტო დაკვეთა“ როდი იყო. მათ ეს თემა, პირველ ყოვლისა იმიტომაც იზიდავდათ, რომ „სგალინი ქართველი იყო" (იქვე).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, 60-იან წლებიდან ნელ-ნელა და თანდათანობით იწყებს შესუსტებას წინა ათწლეულების ჩვენი ცხოვრებისათვის ფართოდ დამახასიათებელი იდეოლოგიზაციის პროცესი. ამ მოვლენამ სასიკეთო შედეგებზე, ბუნებრივია, ჩვენს მწერლობაზეც მოახდინა. თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გაეცოთ, თითქოს ამ დროიდან მოყოლებული ხელისუფლების მიერ დაწყებული ცენტრულ-იდეოლოგიური ბარიერები მთლიანად მოიხსნა და მწერლებს აზრის თავისუფლად და შეუზღუდელად გამოთქმის შესაძლებლობა მიეცათ. რასაკვირველია, არა.

გარდა იმისა, რომ ლიბერატურა კვლავინდებურად რჩებოდა ხელისუფლების შესვეურთა განსაკუთრებული ზედამხედველობისა და კონტროლის ობიექტად, ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული

ცხოვრების წესი საბჭოთა ეპოქაში მცხოვრებ მწერალს იძულებულს ხდიდა, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ხშირად ყოველგვარი ღირეუ-  
ტივების გარეშეც დამორჩილებოდა მის არსებაში მისდაუნებურად  
ჩამჯდარ შინაგან ცენზორს, რომელიც შემოქმედებითი თავისუფლების  
რეალურად შემზღვეველ ძალად იყო ქცეული.

სამწუხაროდ, ამ არასასურველი გეგავლენის კვალი იმ მწერალ-  
თა შემოქმედებაშიც საკმაოდ მძლავრად გვხვდება, რომლებიც  
საბჭოური ხანის პოლიტიკურ რეპრესიათა მძვინვარების რამდენად-  
მე დაცხრომის შემდგომ გამოდიან სამოღვაწეო ასპარეზზე. ნათქვა-  
მის ნათელსაყოფად მოვიშველიებ რამდენიმე მაგალითს **ნოდარ  
დუმბაძის** შემოქმედებიდან.

დავიწყოთ რომანით „ნუ გეშინია, დედა“ (1969 წ.). მწერლის მა-  
ნამდელი რომანებისაგან განსხვავებით, მწერლის ეს ნაწარმოები  
გაცილებით უფრო იდეოლოგიზებულია. რომანში ხაზგასმულად წა-  
მოიწია წინა პლანზე ე. წ. ხალხთა ინტერნაციონალური ძმობა-ერ-  
თობის იმეამად ესოდენ აფიშირებული იდეა.

როცა ნაწარმოებში იდეოლოგიური პროპაგანდიზმის გამოვლი-  
ნებაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ის ეპიზოდები  
მინდა გავიხსენო, რომლებშიც თურქეთისა და საბჭოთა კავშირის  
ცხოვრებისეული პირობებია ერთმანეთთან შედარებულ-შეპირისპი-  
რებული. სწორედ ასეთი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული კონტრასტუ-  
ლობით იმიჯებიან ერთმანეთისაგან, ერთის მხრივ, „გამომღმა სო-  
ფელი თავისი დიდებული, თუნუქით გადახურული, ორ და სამსარ-  
თულიანი გაჩირალდებული სახლებით“ და ვაღმა მხარე თავისი „ჩაბნე-  
ლებული ოდებით, მორყეული დედაბოძებით, უმინო სარკმელებით  
თუ შარველებდაკერებული ბავშვებით“.

მოვლენათა იდეოლოგიზებული სახით წარმოსახვის გენდენციამ  
„მარადისობის კანონშიც“ (1977 წ.) კპოვა საკმაოდ მძლავრი გამოვ-  
ლინება. მაგალითად, რომანის მთავარი პერსონაჟის – ბაჩანა რა-  
მიშვილის საუბრებში ხაზგასმულადაა წინა პლანზე წამოწეული  
პარტიისა და სოციალისტური იდეებისადმი ერთგულება და კლასობრი-  
ვი თვალთახედვა.

ბაჩანას აზროვნების იდეოლოგიზაცია განსაკუთრებული ძალით  
მამა იორამთან პაქრობაში ვლინდება. სააჟაღმყოფოს ერთ პალა-  
ტაში მყოფი ინფარქტგადატანილი ეს ორი პიროვნება ბევრს საუბრობს  
რწმენასა და რელიგიამზე. მიუსვლავად იმისა, რომ ბაჩანა თავისი მრწამ-  
სითაც და პიროვნული ცხოვრებითაც ქრისტიანული პრინციპების ერიუგუ-

ლი კაცია, მის ამ მსჯელობებში. ორთოდოქსული რელიგიის პოზიციებიდან, ბევრი რამაა ამკარად მიუღებელიცა და მკრეხელურიც.

„თქვენი რელიგია. - ეუბნება იგი მღვდელს, - ძალიან მისტიკურია, მიწას მოწყვეტილი. რეალობა აკლია, ხელშესახები არ არის...“ მისი აზრით, მამა იორამის რელიგიას „კაცის წვალება უყვარს და ზომამე მეტ მსხვერპლს მოითხოვს ადამიანებისაგან“. მღვდლის სიტყვებს - „ჩვენი რელიგიის ძირითადი კანონია, ვასცე და არა მიილო, ემსახურო და არა იბაგონო“, - ბაჩანა ასეთ პასუხს სცემს: „ეგ ყველაფერი ლამაზი სიტყვებია, მამაო“, სიბნელე, რელიგიური ფანატიზმი, დოგმატიზმი, ჯეაროსნული ომები, ინკვიზიცია... და ყველაფერი ეს მაცხოვრის სახელით“.

ბაჩანას. როგორც კომუნისტი მწერლისა, და იორამის, როგორც მოძღვრის, საუბარი თანდათან მძაფრ მსოფლმხედველობრივ პაექრობაში გადაიზრდება და გენდენცურ ხასიათსაც იძენს. ასე გამოდის ნ. ღუმბაძის რომანის მთავარი გმირი კომუნისტური იდეოლოგიის ქომაგის როლში და დაბეჯითებით არწმუნებს მღვდელს იმაში, რომ კომუნისტების რელიგია „ჯერ ასი წლისაც არ არის და იმდენი მორწმუნე ჰყავს, რომ მათ რელიგიას არც კი დასიმზრებია. დალოცვილო, - ეუბნება იგი მამა იორამს, - ორი ათასი წლისა ხარ და ასი წლის ჭაბუკს რომ მეკაიბრები, არ გრცხენია? ცოგა უკან მოიხედე, ჩვენც რომ ორი ათასი წლისანი გაეხდებით, მერე გადმოგვხედეთ იმ თქვენი ზენიტიდან და ენახოთ, ვინ უფრო მაღალი აღმოჩნდება“.

მიუხედავად იმისა, რომ ბაჩანასა და იორამის პაექრობა მსოლოდ ამ საკითხებით არ ამოიწურება და რწმენასთან და რელიგიასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემათა გარკვევასაც ისახავს მიზნად, დაინკერესებული მკითხველი, ვფიქრობ, ციტირებული ფრაგმენტებითაც ამკარად დაინახავს, რაოდენ იდეოლოგიზებულია რომანის მთავარი გმირის მსჯელობა. მისი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა ამ შემთხვევაში სოციალისტური პრინციპებითაა განსაზღვრული და რამდენადმე იმ პოლიტიკის ნაგვიანევე გამოძახილსაც წარმოადგენს, რომელიც ათეისტური საზოგადოების შექმნას ისახავს მიზნად.

ნათქვამის დასტურად კიდევ მოვიშველიებ ორიოდე მაგალიოს. ერთ-ერთი პაექრობის დროს ბაჩანა მოძღვარს პირდაპირ და მიუკიბაე-მოუკიბაეადა ურჩევს, გაიკრიჭოს წვერი და ეზიაროს კომუნისტურ მოძღვრებას, მისგან „მშვენიერი კომუნისტი დადგება“. „რომელი მოძღვრება, ღორმუცელობის და უქნარობის ამოთეობი - კომუნისტი?“ - შეიცხადა მღვდელმა, - მარტო მიწიერი სწრაფეები, კუჭის ამოვსება და სულის უარყოფა?!

- არ გცოდნია შენ. მამაო, რა არის კომუნიზმი, - დაეარღება ბაჩანა ქადაგად. - კომუნიზმი ... ის ბუნდური ეამს არის, როდესაც ადამიანს საშუალება მიეცემა, მსოლოდ ის აკეთოს, რისი გაკეთებაც მას შეუძლია... ჩვენ რომ ეკითხულობთ, მამაო, კომუნისგება, იმ თქვენ სახარებას, ხანდახან თქვენც წაიკითხეთ ჩვენი სახარება, იმ თქვენ ღმერთს გუფიცებით, არ გაწყენთ".

ანდა რომანის ის ეპიზოდი ვაეხსენოთ, სადაც ბაჩანა მამა იორამის სასულიერო წოდებასა და თანამდებობას, „ადმინსტრაციული იერარქიის მიხედვით, სოფლის კლების გამგეობას" უთანაბრებს და ამგვარი შედარებით შეურაცხყოფილ მღვდელს ასეთი სიგყვებით ამშვიდებს: „ჩვენი კლების გამგეების უმრავლესობას უმაღლესი სასწაელებელი თუ არა, სპეციალური განათლება მაინც აქვთ მიღებული. ახლა წოდებები ნახეთ: რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწეო, კულტურის დამსახურებული მუშაკიო, რა გინდა სულო და გულო. აბა რესპუბლიკის დამსახურებული მღვდელი მე არ გამიგია ჯერ". ქვემოთ კი უმატებს: „ნუ გეშინიათ, ბატონო იორამ, თქვენ ოლონდ გადმოდით ჩვენს მხარეს და პირობას გაძლეეთ, რაიკომის ინსტრუქტორად დაეწინაეთ".

ჩემი ღრმა რწმენით, რომანის ეს ეპიზოდი კომუნისტური მოძღვრების შედეგად დამკვიდრებული იდეოლოგიის გენდენციური გამოხატულებაა და მწერალი, დღევანდელ პირობებში, ასეთ რაიმეს ნამდვილად არ დაწერდა. ამის თქმის უფლებას ისიც მაძლევს, რომ ბაჩანა რამიშვილის მხატვრულ სახეში ბევრი რამ ავტობიოგრაფულია და, როგორც ნ. დუმბაძის პირადი ცხოვრებით დასტურდება. მას, ღეთისმშოსაესა და მორწმუნე კაცს, სარწმუნოებასთან სინამდვილეში სრულიად სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა, - არაპოლიტიკური და ამაღლებული.

სამწუხაროდ, საბჭოური ეპოქალური სინამდვილის იდეოლოგიური გენდენციურობით ასახვა მსოლოდ განხილული ნაწარმოებებით არ შემოიფარგლება. მე მსოლოდ მცირე მასალა მოვიშველიე იმის ნათელსაყოფად, რაოდენ დიდი მასშტაბები ჰქონდა ამ სამწუხარო მოვლენას შექმნილი საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე იმ მწერალთა შემოქმედებაში, რომლებიც მხატვრული სიგყვის პირველხარისხოვანი ოსტატები იყვნენ. რაც შეეხებათ სხვა მწერლებს, მათ შორის იმეამინდელი რეჟიმის სამსახურში კარიერისტული მისწრაფებებით ჩამდგარ ავტორებს, მათ ნაწერებზე შეგნებულად არ გამიმახვილებია ყურადღება იმ უბრალო მიმემის გამო, რომ ეთსარების არსში ვარკვეული მკითხველისათვის ყველაფერი ისედაც ცხადი და ნათელი იქნება.

# კლასიკოს გვერლებთან დამოკიდებულების ზოგიერთი საკითხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაგარებულმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ არსებითად განსაზღვრა ის მკვეთრად ნევატიური დამოკიდებულება, რომელსაც კლასიკოსი მწერლებისა და მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ იჩენდნენ ახალი ხელისუფლების მესვეურები და მათი მოთხოვნების დამცველ-გამგარებელი მწერლები და კრიტიკოსები გასული საუკუნის 20-30-იანი წლებში. ამ დამოკიდებულებას იმდენად დიდი მასშტაბები ჰქონდა შექმნილი, რომ მისი ამსახველი მასალები, სამწუხაროდ, იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებადაც კია დამკვიდრებული.

თუმცა, ყოველივე მემოტიქმულთან ერთად, მსხვევლობიდან აქვე არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ამ კამათის წამომწყებნი მხოლოდ ახალი, სოციალისტური იდეოლოგიის მსახურნი არ ყოფილან და აღნიშნული პრობლემა მათზე აღრე „ცისფერყანწელებმა“, ოციანი წლებში კი ფუტურისტებმაც წამოჭრეს. როგორც ცნობილია, ქართველმა სიმბოლისტებმა თავიანთი ლიტერატურული მოღვაწეობა გასული საუკუნის ათიანი წლებში „თერგდალეულთა“ ესთეტიკური შეხედულებების რადიკალური გადაფასებით დაიწყეს. მართალია, ეს ბრძოლა საკმაოდ ეკლექტიკური ხასიათისა იყო და „ცისფერყანწელები“ ქართველ „სამოციანელებთან“ პოლემიკის დროს ბოლომდე თანამიმდევარნი არასოდეს ყოფილან, მაგრამ ამ საკითხის გარკვევა აძჯერად შორს წაგვიყვანს და მასზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებ. ვიგყვი მხოლოდ იმას, რომ ეს დაპირისპირება მთლიანად იყო მოკლებული პოლიტიკურ საფუძველს და ძირითადად ესთეტიკური პოლემიკის ფარგლებში თავსდებოდა. „ცისფერყანწელები“ ამ უარყოფის შედეგად ესწრაფოდნენ უფრო მეტი ეფექტური ძალით წარმოეჩინათ თავიანთი ლიტერატურული პრინციპების როლი და მნიშვნელობა მწერლობის განახლება-განვითარების საქმეში.

პროლეტარულ მწერალთა კრიტიკულ დამოკიდებულებას კლასიკური კულტურული მემკვიდრეობისადმი კი სულ სხვა მიზანსწრაფვა ედო საფუძველად. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ბევრმა წარმომადგენელმა ეს მემკვიდრეობა ახალი ეპოქისათვის სრულიად მიუღებელ რეაქციულ მოვლენად გამოაცხადა. ისინი მმართველი კლა-



სის სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან დაუპირისპირდნენ ჩვენს კლასიკოსებს, რადგანაც, მათი აზრით, რევოლუციური იდეოლოგიისთვის შეეძლო და შეუთავსებელ ამ შემკვიდრეობას მხოლოდ ზიანის მოგანა შეეძლო.

პროლეტარულ კრიტიკოსთა მტკიცებით, საბჭოთა ეპოქის შესაგყვისი სულიერი კულტურა ძველი კულტურისგან სრულიად იზოლირებულად, მხოლოდ ახალი იდეოლოგიის შიშლევარ ადამიანთა მიერ, უნდა შექმნილიყო. ამიგომაც იყო, რომ ისინი წარსულთან ყოველგვარ შემკვიდრეობით კავშირს წყვეტდნენ და პროლეტარული კულტურის წინამორბედებად მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსულ ე. წ. დემოკრატიულ მწერლებს აცხადებდნენ.

სწორედ ამ ნიადაგზე აღმოჩნდა ბევრი პროლეტარული კრიტიკოსი მკვეთრად დაპირისპირებული ე. წ. ფეოდალური არისტოკრატის წარმომადგენელ ჩვენს კლასიკოსებთან. მათ სანაცვლოდ ისინი დაბალი სოციალური წრიდან გამოსული მწერლების (დ. ჭონქაძე, ი. დავითაშვილი, ე. ნინოშვილი...) შემოქმედებას განადიდებდნენ და პირველ ყოვლისა სწორედ მას მიიჩნევდნენ ჩაგრული ხალხის მისწრაფებათა ჭეშმარიტ გამოხატულებად.

კლასიკური ლიტერატურული შემკვიდრეობის წინააღმდეგ ბრძოლამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი ოციანი წლების მეორე ნახევარსა და ოცდაათიანი წლების დასაწყისში მიიღო. იმდროინდელი ბევრი ლიტერატორი (და არა მარტო ლიტერატორი) თავგამოდებით ებრძოდა კლასიკური მწერლობის მონაპოვარს და მას რევოლუციური იდეოლოგიისათვის სრულიად შეუთავსებელ რეაქციულ მოვლენად აცხადებდა. უაქტობრივად ეს იყო ბრძოლა არა მარტო მსოფლმხედველობრივი პეგემონობისათვის, არამედ ლიტერატურული დიქტატურის მოპოვებისათვისაც, ბრძოლა, რომელსაც ხშირად საკმაოდ ორგანიზებული და მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა და რომელსაც ახალი ეპოქის იდეოლოგიური პრინციპებით შეიარაღებული ბევრი შემთხვევითი პიროვნებაც ეწეოდა.

ყველაზე მძაფრად ამ ბრძოლამ გამოხატულება ილია ჭავჭავაძისადმი დამოკიდებულებაში პოვა. თუმცა ილიას წინააღმდეგ მიმართული შეტევა ერთბაშად არ დაწყებულა და საამისო საფუძველი სოციალ-დემოკრატიებმა ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში შეამზადეს, როდესაც ჩვენი ერის სულიერი მოძღვრის მსოფლმხედველობრივი იდეები მარქსიზმისათვის, საერთოდ, რევოლუციური მოძრაობისათვის, სრულიად შეუთავსებელ მოვლენად გამოაცხადეს. ამგვარი მხედულების გავრცელების საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფ. მახარაძე და ნ. ჯორდანიას.

როგორც ოციანი და ოცდაათიანი წლების ლიგურაგურული პრესის შურცლებზე დასკამბული ილიას საწინააღმდეგო მრავალრიცხოვანი მასალების გაცნობით ვრწმუნდებით, ფ. მახარაძე არა მარტო თავად იყო ამ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, არამედ იგი გარკვეულად წარმართაუდა და დირიჟორობდა კიდევ ამ შეტევას. მისი შეხედულებების ბრმა მიმდევრებად იმ დროისათვის მოგვევლინა პროლეტარული კრიტიკის მრავალი წარმომადგენელი, რომლებიც კლასობრივი ცალმხრივობით აძაგებდნენ და ლაფში სვრიდნენ ერის მოძღვრის წმინდა სახელს.

ქართული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი იმთავითვე აღუდგა წინ ამ ცილისმწამებლურ თეალსაზრისს. მათ ნაწერებში ძირითადად სწორად ფასდებოდა ილიას მამულიშვილური ღვაწლი. პაეღე ინგოროიყვამ და ალექსანდრე აბამელმა გამოსცეს მწერლის თხზულებათა ათგომეული. მაგრამ ყველაყერი ეს დიდ წინააღმდეგობათა დაძლევის ფასად კეთდებოდა, ილიას შემოქმედების ყოველი დამფასებელი ახალი ეპოქის იღეურ მოწინააღმდეგედ და რეაქციონერად ცხადდებოდა და რეპრესიების ობიექტი ხდებოდა.

ამის დასტურად აქ შეიძლება ის მძაფრი პოლემიკაც გავიხსენოთ, რომელიც ოციან წლებში ცნობილ ქართველ ლიგურაგურათმცოდნეებს - ვასტანგ კოტეგიშვილს, კიგა აბაშიძეს, სიმონ ხუნდაძესა და სხვებს გაუშართეს ილიაზე დაწერილი ნაშრომების გაძო.

როგორც ითქვა, ილიას წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას იმხანად საკმაოდ მიზანმიმართული და ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა შეძენილი. ამ საქმის წარმმართეელის როლში პირველ ყოვლისა ფ. მახარაძე რომ გვევლინება, ეს იმ აგრესიული რეაქციითაც კარგად ჩანს, რომელსაც იგი ი. ჭავჭავაძის მხარდასაჭერად ნათქვამი ყოველი სიტყვის საპასუხოდ იჩენდა იმხანად. გავიხსენოთ კონკრეტული მაგალითი.

ერთ თავის წერილში ცნობილმა პროლეტარულმა კრიტიკოსმა ბენიგო ბუაჩიძემ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „მესამოცე წლების ქართული ლიგურაგურის ძლიერი ნაკადი ხელს უწყობდა და იბრძოდა ბატონყმობის წინააღმდეგ" და ცადა ილიას შემკვიდრედ ენინოშვილის გამოცხადება.

1931 წლის 27 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში" დასტამბულ ფ. მახარაძის წერილში - „მგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში", სხვა საკიხთებთან ერთად, ყურადღება აღნიშნულ შეხედულებაზეც მახვილდება და იგი ავტორის მძაფრი კრიტიკული განსჯის საგანი ხდება. „ამხ. ბუაჩიძე, - წერს ავტორი, - არ იცნობს იმ საგანს,

რომელზეც სწერს, თორემ ასეთ ველურ რამეს არ დასწერდა. ეკსაგე ნინოშვილს რომ შეეძლოს ამ სიტყვების მოსმენა, იგი ხომ საფლამდიათა კი გადაბრუნდებოდა. არც წარმოშობით, არც მღვთმარეობით. არც იდეურად ნინოშვილსა და ჭავჭავაძეს შორის მემკვიდრეობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ასეთი მტკიცება არსებითად წარმოადგენს ამკარა რეაქციონურ შეხედულებას. ეს მტკიცება ძირითადად ეწინააღმდეგება მარქსიზმის და ლენინიზმის პრინციპებს".

ზოგადი დასკვნის სახით ჩამოყალიბებული ამ დებულების დასამტკიცებლად ფ. მახარაძეს ასეთი „შეუვალი არგუმენტები“ მოჰყავს: „რა არის საერთო ამ ორ პიროვნებას შორის? ან რა მემკვიდრეობის მიღება შეეძლო ნინოშვილს ი. ჭავჭავაძისაგან? არავითარი!.. მე არ ვიცი, გრძნობს თუ არა ამხ. ბუაჩიძე იმ უხერხულობას, რომელშიაც იგი ჩაეარდა, თუ როგორ ამცირებს იგი ეგ. ნინოშვილს, როცა ამბობს, რომ ეგ. ნინოშვილმა ღირსეულად შეძლო ილიას მემკვიდრეობაო... „ეს შეფარდება სრულებით შეუსაბამოა“; რადგანაც გლეხობის წიაღიდან გამოსული ე. ნინოშვილი, რომელიც ჩვენში მესამე დასის რევოლუციური ორგანიზაციის დამაარსებელია, შეუძლებელია გამოვაცხადოთ ისეთი კაცის მემკვიდრედ, რომელიც იყო „რეაქციონერი, მემამულეების ინტერესების უერთგულესი დამცველი, ფეოდალური საქართველოს მათაყვანებელი და მონარქისტი“.

ამიგომაცაა, რომ ბ. ბუაჩიძესა და მის თანამშრომლებს ფ. მახარაძე, ზემოთ გამოთქმული თვალსაზრისის გამო, ანტიმარქსისტებსა და სოციალიზმის მტრებს უწოდებს. მაგრამ, როგორც აღნიშნული წერილიდანაც ნათლად ჩანს, ავტორი მხოლოდ სიტყვიერი კრიტიკით არ კმაყოფილდება და ამ „ვაებაგონების“ ჭკუის სასწავლად თანამდებობრივ დიქტატსაც იყენებს. აი, საბოლოოდ როგორ გაურთხილებას აძლევს ფ. მახარაძე ბ. ბუაჩიძეს მის მიერ დაშვებული „მიუტყეველი შეცდომებისათვის“: „ამხ. ბუაჩიძე კომუნისტური პარტიის წევრია. პარტია ვერ მისცემს მას უფლებას პარტიის შიგნით ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ძველი და ახალი მოწინააღმდეგეების შეხედულებათა გავრცელებას“.

სამწუხაროდ, ფ. მახარაძე გამონაკლისი არ ყოფილა და ოცი-ოცდაათიანი წლების ბევრი სხვა ხელმძღვანელიც ილაშქრებდა აქტიურად ილიას წინააღმდეგ. ახალი იდეოლოგიური პრინციპების ჩამოყალიბების პერიოდში მათ შეუვალად სწამდათ თავიანთ შეხედულებათა შეუმცდარობა.

იმის ნიმუშად, თუ როგორი შეფასება ეძლეოდა ჩვენი იდეოლოგიური ხელმძღვანელების მიერ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ქვემოთ კიდევ მოვიგან ორიოდე კონკრეტულ

მაგალითს. 1923 წელს მ. ორახელაშვილი აღნიშნავდა:

„რამე მღეროდნენ ძველი თაობის პოეტების საუკეთესო წარმომადგენლები? საქართველოს წინანდელ „დიდებაზე“. რომელიც დაკარგულ იქნა მე-19 საუკუნის დასაწყისში. ე. ი. ფეოდალური საქართველოს დიდებაზე... პესიმომში იყო თავადიშვილური წარმოშობის პოეტების მიუღი თაობის (მაგ. ორბელიანი და სხვა) მთავარი მოტივი. ეს ნაციონალური პესიმომში იყო... პესიმომში მომაკედავი წოდებისა. არსებითად ასეთივე დარჩა პოემია პოეტების შემდეგი თაობისა. იმ პოეტებისა, რომლებიც აღიზარდნენ რუსეთის ცენტრებში და რომელთაც დაღუული ჰქონდათ „თერგის წყალი“. მეუფის გვირგვინი ელანდებოდათ ქართული პოემის ისეთი გიგანტებს, როგორცაა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი“ (საქ. კომპარტიის მორიგი ამოცანები, 1923 წ. გვ. 13-14).

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გამოთქმული ასეთი შეხედულებანი დიდხანს შემორჩა სოციალისტურ იდეოლოგიას, როგორც რევოლუციური პრინციპებით ნაკარნახევი „მართებული“ შეფასებანი კლასიკური ლიბერალური მემკვიდრეობისა. მაგალითად, 1932 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ყურულაშვილმა ილიას შესახებ თქვა: „ძნელია. ისე მიუვადვით ილია ჭავჭავაძეს, როგორც პუშკინს. ყველანი მოწმე ვართ იმ პერიოდისა, როცა ის გვებრძოდა და თავადაზნაურული რეაქციის სათავეში იდგა. ამას ვერაინ უარყოფს“ (გ. ყურულაშვილი, საქ.კ.პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილება და საქ. საბჭოთა მწერლობის ამოცანები. სიგყეა წარმოთქმული საქ. საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე 1931 წლის 27 ივნისს, „მნათობი“, 1931, № 5-6, გვ. 298).

ასე იქმნებოდა და ბატონდებოდა ოციანი წლების ლიბერალურულ ამროვნებაში წარსულისადმი დამოკიდებულების ამგეარი „ახლებური რევოლუციური კონცეპცია“: „საერთოდ, ჩვენში წესად არის შემოდებული ლექსების წერა ირაკლიზე და მეფე დედოფლებზე. ირაკლებისა და ვახუშტების მოუხსენებლად ვერ სძლებენ. რომ „თეთრი გიორგის“ ეს თაყყანისმცემელი ხალხი გიყია, ეს არავისთვის საეჭვოა (გამი), რომ ისინი დაკარგული ხალხია“ (მ. კახიანი, იდეოლოგიური ფრონტი. „პროლეტარული მწერლობა“, 1929 წ. № 8, გვ. 39).

კლასიკოსების წინააღმდეგ გამართულ „შეკევაში“ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა ზოგიერთი ლიბერალური. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პლატონ ქიქოძის წერილები და გამოსვლები. იგი დაუნდობელი სიმკაცრითა და გესლით ებრძვის ყვე-

ლაფურს, რაც შიშველი კლასობრიობის მისკულ მარტივ ვაგებას არ შეესაბამება. მისი აზრით, კლასიკოსები „მკედრეთით აღმდგარან ჩვენს წინააღმდეგ“ (კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. 1931, გვ. 16). პ. ქიქოძე უზომოდაა შეწუხებული ამის გამო და შემოთ-თებული ეძებს გზებს ამ ბრძოლაში გამარჯვების მოსაპოვებლად.

ასეთ გზათა ძიებამ იგი იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ „კლასიკური მწერლობის გაელენის საბოლოო დამარცხება მხოლოდ პროლეტარული მწერლობის პეგემონიის დამყარების შემდეგ მოხდება“ (პლ. ქიქოძე, ვის ხელშია კლასიკოსები, „მნათობი“ 1929 წ. № 5-6, გვ. 136). კლასიკურ მწერლობაზე პროლეტარული პეგემონობის დამყარების ერთ ასეთ აუცილებელ პირობად პ. ქიქოძეს კლასიკოსთა ნაწერების „მარქსისტული, კომუნისტური ინტერპრეტაცია“ მიაჩნია. „კლასიკური მწერლობა დღესაც იკითხება, დღესაც აქტუალურია და მკითხველის მასებზე უმეტეს შემთხვევაში ჩვენთვის არა სასარგებლო გაელენას ასდენს.

ასეთ შემთხვევაში საკითხი ისმება იმის შესახებ, თუ როგორ მიეცეთ კლასიკოსებს ჩვენი, მარქსისტული, კომუნისტური ინტერპრეტაცია, როგორ განვადარალოთ კლასიკოსები ჩვენის მავნე ტენდენციებისაგან. ამის ერთად ერთი საშუალება მარქსისტული კომუნისტური კრიტიკაა“ (იქვე, გვ. 136). მკითხველზე კლასიკოსების მავნე ზემოქმედებით შემოფოთებული კრიტიკოსი ხან ილიას ებრძვის მთელი გააფთრებით, ხან აკაკისა და ხან ვაჟას. „სახელგამი, - წერს, მაგალითად, იგი ერთგან, - პროლეტარულ მკითხველს და მწერალს მისაბაძადაც კი ურჩევს კლასიკოსების რიცხვიდან აირჩიოს ყველაზე უფრო უკულტურო, რეტროგრადული, მისტიური, ანგისამოგადობრივი და ჩვენ კლასიკურ ბრძოლის გაცხარებული პერიოდისათვის სრულიად მიუღებელი და დღევანდელი ინდუსტრიული ეპოქისათვის ყველაზე შეუფერებელი მწერალი (ვაჟა-ფშაველა - ა. ნ.), რომელიც არ ვიცით რა მოსაზრებით ატარებს კლასიკოსის სახელს“ (კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, 1931 წ. გვ. 24).

ამდროინდელმა ლიტერატურულმა კრიტიკამ აკაკის წინააღმდეგაც გაილაშქრა საკმაოდ მწვავედ და აგრესიულად. მაგალითად, აი, რა ეწერა მის შესახებ ჟურნალ „მნათობის“ 1927 წლის მე-8 ნომერში: „აკაკის პოეზიას დღეს მხოლოდ უკან ჩამორჩენილი თუ ეგანება... იგი ძველი კულტურის ნაშთს წარმოადგენს, დიახ, მხოლოდ ნაშთს, რადგან მისი ვერც იდეა და ვერც ფორმა თანამედროვე მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს“.

ა. წერეთლის წინააღმდეგ მებრძოლი იდეოლოგები პოეტს ძირითადად ორ უმთავრეს ბრალდებას უყენებდნენ: პირველი, თიბაქოს იგი ნაციონალისტური შეხედულებებით შეზღუდული ის მწერალი გახლდათ, რომელსაც არაფერი შეიძლებოდა პქონოდა საერთო საბჭოთა ეპოქის ინტერნაციონალიზმთან. და მეორეც, ახალი იდეოლოგიისათვის სრულიად მიუღებლად ცხადებოდა პოეტის სოციალური შეხედულებანი, მიიჩნევენ რა მათს ავტორს თავადაზნაურული წოდების კლასობრივი ინტერესების დამცველად. ილიასა და აკაკის შემოქმედების მთავარი მოტივი, - აცხადებდა, მაგალითად, 1923 წელს საქართველოს რევკომის თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი, - „ნაციონალური პესიმიზმი იყო, პესიმიზმი მომაკვდავ წოდების... მეუის გვირგვინი ელანდებოდათ ქართული პოეზიის ისეთ გიგანტებს, როგორცაა ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი“.

როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, „თერგდალეულთა“, საერთოდ, კლასიკოსთა, წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ აქტიურობას იჩენდნენ პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლებიც. ამ მიზანს ემსახურებოდა მათი არა მარტო კრიტიკული წერილები და მეცნიერული ნაშრომები, არამედ მხაგრული ნაწარმოებებიც. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ლეაწლის განსაკუთრებლად და წინამურის გრაგვილის ხოტბის შესასხმელად დაწერილი პოემის ავტორს - ფრიდონ ნაროშვილს არც აკაკი დაუტოვებია „უყურადღებოდ“. ნათქვამმა რომ მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს, მოვიშველიებ ფრაგმენტს ქურნალ „ქართული მწერლობაში“ (1928 წ. № 2-3, გვ. 96) დასტამბული მისი ნაწარმოებიდან - „პოემა სსკადასხვა საკითხებზე“, რომელიც ეძღვნება „ჭერქვეშელ ბოლშევიკს, მოქალაქეს და პროლეტარულ მწერალს, ამხანაგს კალე ფეოდოსიშვილს“ (ცნობისთვის: ეს ის კალე ფეოდოსიშვილია, რომელიც 1926 წელს ერთ-ერთ ლექსში წერდა: „არ გაგიკვირდეს ღღეს ეს ცელსილება, არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჯაღათს, მე მამას მოკლავე, დაეხზრჩობ ღედას, რევილუციამ თუ კი მიბრძანა!“):

მავრამ, ძვირფასო თანამებრძოლო, შენ გაჯანსაღდი, გზა კი ერთია;

თავი ანებე ვაჟას, აკაკის, ხაესიან ნისლით რომ იბურებთან.

შენი მჩქეფარე ჯანსაღი სისხლი, თანამებრძოლო, მტრულად საღდება.

მსიკომ დაისვა ღლიურ წესრიგში შენი უნარის გაჯანსაღება.

რა ჭერქვეშელი ბოლშევიკი ხარ, აკაკის ლექსით თუ იხილები;

პროლეტმწერალმა თვით უნდა ზარდოს პროლეტმწერალის

პროლეტმკითხველი.

ფეოდალური არისტოკრატის წრიდან გამოსულ ისეთ მწერლებს, როგორებიც ილია, აკაკი, ვრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და სხვები

იყვნენ. ოციანი წლების ლიტერატურული კრიტიკა, როგორც წესი, დაბალი სოციალური ფენიდან გამოსულ ავტორებს უპირისპირებდა და რევოლუციური ეპოქის წინაპორბედებად მხოლოდ მათ სახავდა. ასე ჩნდება ახალი იდეოლოგიური მსოფლმხედველობის გამოხატაველი ლომუნვა: „ჩვენი ეგნატე, მათი ილია“. ყოველგვარი ცლა, რაიმე შემკვიდრებითი კავშირი დაეძებნათ ამ „ორი ბანაკის“ მწერლებს შორის, მიუტყეებელ დანაშაულად ცხადდებოდა.

მაგალითად, აი. რას წერდა კ. მელაძე ვ. ხუროძის შესახებ: „რამდენად ნაციონალისტგი უნდა იყოს ადამიანი, რომ რეაქციონერ-მოკინსტი გრიგოლ ორბელიანი და პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენელი, მარქსიზმის მედრომე საქართველოში - ეგნატე ნინოშვილი ერთსა და იმავე მიზნისათვის მებრძოლად გამოიყვანო“ (კრებული: „ბრძოლა ლენინური ეტაპისათვის ლიტერატურის მეცნიერებაში“, 1931 წ. გვ. 192-193).

20-30-იანი წლების პროლეტარული კრიტიკა გააფთრებით ებრძოდა არა მარტო კლასიკოსებს, არამედ მათი შემკვიდრეობის მკვლევარებსაც. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ის პოლემიკა, რომელიც პ. ქიქოძემ, კ. მელაძემ, შ. რადიანმა და სხვებმა გააჩაღეს კ. კეკელიძის, კ. აბაშიძის, ვ. კოტეგიშვილის, კ. კაპანელის, ს. დანელიას, შ. ნუცუბიძისა და სხვათა წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ, სამწუხაროდ, იმ დროისათვის საკმაოდ ორგანიზებული ხასიათი მიიღო და კლასიკური მწერლობის მკვლევარები ხალხის მტრებად, ნაციონალისტებად, მავნებლებად და ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამქაშებად იქნენ შერაცხულნი.

მაგალითად, პლ. ქიქოძის აზრით, სწორედ ამ მკვლევართა დანაშაულებრივი მოღვაწეობის შედეგია ის ფაქტი, რომ „დღითი დღე იმაგრებს ფესვებს ყალბი, არა მეცნიერული, იდეალისტური, რეაქციონური, ნაციონალისტური და ბოლოს სავსებით უკულტურო იდეები“ („მნათობი“, 1929 წ. № 5-6, გვ. 133); როცა „კიგა აბაშიძის შეხედულებანი ჩვენი დროისათვის, რა თქმა უნდა, სავსებით ანტიკომუნისტური“, ხოლო კოტეგიშვილის შეხედულებები ხელოვნებაზე „განსაკუთრებით ჩამორჩენილი და პრიმიტიულია. ამ მხრივ ის გაყინულია ერთ საუკუნეზე ადრინდელ დონეზე“ (იქვე. გვ. 138-139).

ასეთი პოლემიკა ხშირად ლიტერატურული პაექრობის ფარგლებს ცილდებოდა და პოლიტიკურ ბრალდებათა სახესაც იძენდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1931 წლის 27 სექტემბერს გაზეთ „კომუნისტში“ ავტორთა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული წერილით - „ბოლშევიზმი თუ სოცი-

ალ-ფეოდალიზმი?" (ავტორები: დ. ბენაშვილი, შ. შავგულიძე, ფრ. ნაროკიშვილი. პ. ქიქოძე).

სტაგის ავტორები მკაცრად აკრიტიკებდნენ ს. ხუნდაძის შემდეგ დებულებას: „ჩვენში გავრცელებული არის ყალბი შეხედულება, თითქოს სამოციანი წლების ინტელიგენცია არაერთარ ბრძოლას არ აწარმოებდა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ... უნდა ესთქვა, რომ ასეთი შეხედულება გაუგებრობაზე არის აღმოცენებული. იგი საკითხების უკოდინარობის ნაყოფი უფრო არის, ვინემ ობიექტური მსჯელობის" („მნათობი", 1930 წ. № 3, გვ. 155).

აი, როგორ შეფასებას აძლევდნენ ოპონენტები ამ თვალსაზრისს: „რომელ „ყალბ" შეხედულებებზე ლაპარაკობს ხუნდაძე?" ვის აზრს უწოდებს ავტორი სიყალბეს, გაუგებარსა და უკოდინარობის ნაყოფს, ვისზე მიაქვს იერიშები? ჩვენთვის ნათელია, რომ ეს რიცხვი მიმართულია მარქსიზმის და ბოლშევიკების წინააღმდეგ" („კომუნისტი". 1931 წ. 27 სექტემბერი).

ეს დემაგოგიური კრიტიკა შემთხვევითი ხასიათისა რომ არ ყოფილა, ამას დასახელებულ ავტორთა სხვა წერილებიც ადასტურებენ: 1929 წელს ეურნალ „პროლეტარული მწერლობის" მე-12 ნომერში გ. ნატროშვილი, მაგალითად, კიგა აბაშიძის შესახებ წერდა: „ვის არ ახსოვს ქართველი არისტოკრატის ლიგერატურული აგენტის კიგა აბაშიძის სამარცხვინო საქციელი?... ის უტქეროდა ყოველ მწერალს ვიწრო წოდებრივ-კლასიკური თვალსაზრისით. ეს მელაუნდებოდა იმ ფაქტიდან, რომ ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს და სხვებს ის მიუღდა პირველ რიგში როგორც თავადებს და შემდეგ როგორც მწერლებს". (გვ. 54).

კლასიკური მემკვიდრეობის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა გაბეთი „ახალგაზრდა კომუნისტი", რომლის ფურცლებზე სისტემურად იბეჭდებოდა ამ მემკვიდრეობის განმაქიქებელი მასალები. სამაგალითოდ თუნდაც ფრიდონ ნაროშვილის ბოემის - „თავადი ილია ჭავჭავაძე" - ფრაგმენტი („ახ, კომუნისტი", 1932 წ. 3 თებერვალი) გავიხსენოთ. ეს არის სამარცხვინო ნიმუში იმ დამოკიდებულებისა, პროლეტარული ინტელიგენციის საკმაო ნაწილი რომ იჩენდა ილიასადმი. კლასობრივი პრინციპების ტყვეობაში მოქცეული პოეტი სარეცენზიო ნაწარმოებში ბრალდებათა მთელ წყებას უყენებს ერის მოძღვარს. ამგვარი კრიტიკული განსჯის ობიექტად ქცეულია ილიას როგორც მხატვრულ-პუბლიცისტიკური შემოქმედება, ისე პირადი ცხოვრება. ერთი სიტყვით, არ დარჩენილა მხარე ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა, რომელსაც ავტორის გესლიანი



სიტყვა არ შეხებოდა. აი, ამ დამოკიდებულების გამოიხატეული ერთი კონკრეტული ნიმუში:

სახელგანთქმული თავადი ილია, მამულთა და ყმებით მდიდარი. მთაწმინდის ლოქვექმ მარად მძინარი გლეხების სისხლით შეღებილია... ფეოდალ კლასის ქონდა მამული, მეტყველ პირუტყვეებს აძრობდა ტყავსა, ქონდა გლეხების მას სიყვარული, ვით ხარი უყვარს ჯანიერ ყასაბს...  
...მზამზარეული მამულის ხილი ტკბილი იყო და მწიფე, მზიანი, - გლეხების სისხლით გულგაპოხილი ლექსებში იყო „ადაშიანი“.  
აგრიალებდა მათრახს მგოსანი, ვით მემამულე მუხის ფესვებით, „ჯანდაბას მისი კალმის მოსმანი“, - ყმებს რათ უნდოდათ მისი ლექსები. საკურამომი რა სხიუოსანი ქონდა დარბაში სისხლით ნაიერი, რა დიდებული იყო მგოსანი, რა დიდებული იყო ბანკირი!  
მთაწმინდის ლოქვექმ იხრწნება ლომი, პოლემიკოსი და ენაჭყეური, - მთავარსარდალი შავრამშულ ომის, „მესამე დასის მოსისხლე მტერი.

ასე გრძელდება ლექსში ილიას მიმართ წაყენებული ბრალდებების ჩამოთლვა. ფეოდალი კლასიკი, მეტყველ პირუტყვეთათვის ტყავის გამძრობი, გლეხების სისხლით გულგაპოხილი ჯანიერი ყასაბი, მუხის ფესვების მქონე მემამულე, შავრამშული ომების მთავარსარდალი, ნინოშვილების გულსისხლის მდომი, ფეოდალთ ლომი... ასეთია ბრალდებათა ის არასრული ნუსხა, რომელსაც ფრ. ნაროუშვილი უყენებს ილია ჭავჭავაძეს. ამიგომაცაა, რომ იგი სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიიჩნევს შურისძიებით გულანთებული ბრბოს მიერ ილიას ვერაგულად მოკვლის ფაქტს.

ფრ. ნაროუშვილის სარეცენზიო ნაწარმოების ბოლო სტრიქონები სპეციალურად ეხება ილიას მკვლელობის საკითხს და ავტორი ამ ფაქტს ასეთ შეფასებას აძლევს:

„ვინ იყო ის „ბრბო“ დაუნდობელი, ვინ ჩაულეწა ფეოდალს ზურგი, მოკლა „ვერაგულ“ ქართლის მფლობელი, თვითონ ჩაიყუა წყევლიადის ქერქი? ვინ იყო ის „ბრბო“, რომელმაც ჩასცა მემამულის გულს

მახვილი ბასრი,

და მკვლელი ღვებზე ვერაინ გასცა, - იმ დროინდელი მშვიერი კლასი. იმ დროინდელი აგირდა პრესა: „მარქსიზმმა ჩასცა მახვილი მგოსანს“ და ეს ლეგენდა გრძელდება დღესაც, და სინაზღვილეს წყევლიადი მოსავს. დღესაც სიმწუხრის ეხევეა ნისლი თავადის „ქერიეებს“ დალალ გამილილებს, უთუოდ მართებთ ილიას სისხლი გყეში ვახიზნულ ბლაჭიაშვილებს.

ასე მიდის ფრ. ნაროუშვილი იმ დასკენამდე, ილიას მკვლელები იმდროინდელი მშვიერი კლასის შვილები - ბაგონყმური ცხოვრების უსამართლობით გყეში ვახიზნული ბლაჭიაშვილები რომ იყვნენ. იგი დაბეჯითებით უარყოფს მამინდელი პრესის მიერ შეთხზულ „ლეგენდას“, თითქოს მგოსანს მარქსიზმმა ჩასცა მახვილი.

ფრ. ნაროუშვილის პოეზიის კუბლიკაციას მაშინდელ პრესაში საკმაოდ მძაფრი პოლემიკა მოჰყვა. კერძოდ, 1932 წლის 6 მარტს გაზეთ „მუშაში“ გამოქვეყნდა წერილი, რომელსაც პროლეტარული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლები: ბენიგო ბუაჩიძე, ალიო მამაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და პ. მ. საყვარელიძე აწერენ ხელს. სამწუხაროდ, წერილის ავტორები კიდევ უფრო აღრმავებენ ფრ. ნაროუშვილის მკრეხელურ სკლისკვეთებას და ახალ-ახალ ბრალდებებს თხზავენ ილიას საწინააღმდეგოდ.

სტატიის დასაწყისში მოწონებულია პოეტის პოზიცია, მოგვცეს „გლახების მყვლეფული მემამულის და ბანკირის ნამდვილი სახე“ და თვალწინ გადმოგვიშალოს „მისი თავადური დაუნდობლობა და მრისხანება ყმა გლეხებთან ურთიერთობაში“. თუმცა ამ კომპლიმენტურ შექებას იქვე მოსდევს საყვედურიც იმის გამო, რომ ფრ. ნაროუშვილმა მსოლოდ გელაპირულად გაიაზრა ილია ჭავჭავაძის მემამულური ბუნება და „სათანადო სიღრმით“ ვერ ჩაწვდა მას. სტატიის ავტორები უფრო ფართო პლანით ხელავენ ილიას, როგორც მემამულეს, და მას თავისი კლასის მდგომარეობის ვასაუმჯობესებლად თავგამოდებით მებრძოდ „მოღვაწედ“ წარმოგვიდგენენ.

„ი. ჭავჭავაძე თავადაზნაურების ინგერესებისათვის მებრძოლი რეაქციონერი იყო. სასტიკად სცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძე მსოლოდ და უმთავრესად პრაქტიკულ საქმიანობაში იყო ასეთი. ილია ჭავჭავაძე მემამულე იყო არა მარტო საკუთარ ყმებთან ურთიერთობაში, არამედ მწერლობაშიდაც... ის, უპირველეს ყოვლისა, იბრძოდა იმისათვის, რომ თავალობას შეენარჩუნებინა გაბატონებული მდგომარეობა. ამ მიზნით ის კლასიურ თვითკრიტიკაზე დაყრდნობილი, ამჟღავნებდა, ამხელდა მეზატონეების ზოგიერთ ნაკლოვანებებს, მეზატონეთა მდგომარეობის ვაუმჯობესების, განმტკიცების და არა ბატონყმობის მოსპობის მიზნით. ილია ჭავჭავაძე მემამულე და ილია ჭავჭავაძე მწერალი ერთი და იგივე იყენენ... ილია ჭავჭავაძე რიგორც მწერალი, უპირველეს ყოვლისა, ემსახურებოდა თავის კლასს“.

როგორც ვხვდავო, ავტორები თავიდანვე მკაფიოდ აყალიბებენ თავიანთ პოზიციას ილია ჭავჭავაძისადმი და აქტიურად ცდილობენ „შეულაჩაზებლად“ დაანახონ მკითხველს ნამდვილი სახე ყმათათვის გყავის გამძრობი მეზატონისა. ეს თვალსაზრისი სტატიაში ყოველგვარი ორაზროვნებისა და მიკიბვ-მოკიბვის ვარეშეა გამოთქმული. ნათქვამის დასტურად მოვიშველებ კიდევ ერთ ფრაგმენტს:

ილია ყმებს „ტყუასაც აძრობდა, ჯიუტი. დაუნდობელი. მოქნილი. ყოველმხრივ ექსპლოატაციით. მაგრამ ეს არ ამოწურა ეს ჭაყმაყაძის კლასიკურ ბუნებას. კიდევ რომ მოუნდომებინა, ერთი მათრახით ის მრავალი ყმის ზურგს ვერ გასწვდებოდა. ეს მხოლოდ ნაროუშვილს ჰგონია. მემამულე ჭაყმაყაძის ხელი იყო ყველგან მთელი სისტემა - აპარატი, მეფის ჩინოვნიკები, სასამართლო, საკუთარი მოურაეები, ჩაფრები და სხვა. როგორც მემამულე, სანტიმენტალურ გულუბნობით არ ხასიათდებოდა. არ კმარა მას ხელში მათრახი მიუცეთ, სასადილო ჯამში გულსისხლი ჩაუდოთ, კისერზე გააფორებული ღრმის ფაფარი მოეფინოთ და ქუჩა-ქუჩა ვაგაროთ. ილია ჭაყმაყაძის ამგვარი შეფასება წერილი ბურკუას რადიკალიზმშია, საეტიკონო პოზია და სხვა არაფერი. ეს არის ილია ჭაყმაყაძის კლასიკური მოღვაწეობის, ბრძოლის, შემოქმედების ვერ გაცემა, მისი კლასიკური მნიშვნელობის დამცირება, მთავრის მიჩქმალვა და რაც არსებითია. ილია ჭაყმაყაძის მოხსნა, როგორც თავდადებულობის იდეოლოგისა. ამას ამტკიცებს ი. ჭაყმაყაძის მხოლოდ საგურამოს მათრახებამდე დაყვანა. სინამდვილეში ი. ჭაყმაყაძის მასშტაბები გაცილებით დიდი იყო“.

ასეთია ამ წერილის ძირითადი პათოსი, რომელიც, როგორც უხედავთ, იქითკენაა მიმართული, მკითხველს ილია დაანახოს არა როგორც მხოლოდ „კერძო მემამულე“, არამედ როგორც „ბატონყმური იდეოლოგიის აქტიურად და გლობალურად დამცველი პიროვნება“.

ერთი სიტყვით, წერილის ავტორები, ფაქტობრივად, იზიარებენ ფრ. ნაროუშვილის დამოკიდებულებას ილიასადმი, ოღონდ, მისგან განსხვავებით, თელიან, რომ ი. ჭაყმაყაძის, როგორც ფეოდალის, მასშტაბები მხოლოდ მისი მამულით არ შემოიფარგლებოდა და გაცილებით მრავალმხრივი იყო, ვიდრე ეს პოემის ავტორს ჰგონია.

აღნიშნული სტატიის საპასუხოდ 1932 წლის 9 მარტს „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაისტამბა ვრცელი წერილი „ძველი ბრძოლა ახალ ფორმებში (პასუხად ილია ჭაყმაყაძის თანამედროვე ჭირისუფლებს)“. წერილს ხელს აწერენ: ნოე ზომლეთელი, პენტელეიმონ ჩხიკვაძე, პლატონ ქიქოძე, ვრიგოლ ბუხნიკაშვილი, ფრიდონ ნაროუშვილი, გიორგი ნატროშვილი, ივანე ჯაფარიძე, გოგი ლომიძე, დიმიტრი ბენაშვილი, შალვა შავგულიძე, გიორგი მდივანი.

სტატიაში მკაცრად არიან გაკრიტიკებული გაზეთ „მუშაში“ დასტამბული პუბლიკაციის ავტორები. მიუხედავად იმისა, რომ წერილი საკმაოდ მკაცრი ტონითაა დაწერილი, ბოლომდე ნათლად და მკაფიოდ არაა გამოკვეთილი, რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან „მუშასა“ და „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიათა ავტორ-

რების მსოფლმხედველობრივი პოზიციები. არსებითად, მათ ერთი და იგივე თვალსაზრისი გააჩნიათ ილიასთან დამოკიდებულების დროს.

იმხანად ბეკრი თვლიდა, რომ ახალი ეპოქის ინტერესების გამომხატველი სულიერი კულტურა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და გლეხთა რიგებიდან გამოსულ ადამიანებს შეეძლოთ შეექმნათ. ეს იყო კლასობრიობის პრიციპის შექანიკური გავება, რომელმაც პარტიულ დოკუმენტებშიც კი გამოვლენა. რკ(ბ) მე-13 ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციაში, 1924 წელს, მაგალითად, საზგასპითაა აღნიშნული ასეთი რამ: „მუშა კორესპონდენტებს უნდა ეუყურებდეთ როგორც რეზერვს, საიდანაც გამოვლენ ახალი მუშა და გლეხი მწერლები“ (სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცკ პლენუმების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებებში. თბ., 1955 წ., გვ. 80).

ცხადია, ეს შეეღომა იყო და ამ გზით მწერლობისთვის შემომატებულ შემოქმედთა გამოსხადება ჩვენი ლიტერატურის მძლავრ რემვირეად ყოველგვარ საფუძველს მოკლებული და სრულიად გაუმართლებელი თვალსაზრისია.

პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელია ნიპილისტური დამოკიდებულება კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი ერთი მთავარი მიზანდასახულობით მიმდინარეობდა: მოეპოვებინათ სრული პეგემონობა: „პროლეტარული მწერლობის მიერ ისტორიულად მინიმალურ დროში პეგემონისის მოპოვება - ასეთია ლიტერატურის ფრონტზე ბოლშევიკური შეტევის მიზანი“, - წერდა ვ. ლუარსამიძე 1930 წელს ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში“ (№ 12, გვ. 80).

ბემოთქმული თვალსაზრისით ტიპურ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ალით მირცხულაფა-მაშაშვილის პოემა „მე და ბარათაშვილი“, რომელიც 1926 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ (№ 8-9). მძაფრი პოლემიკური სულისკვეთებით განმსჭვალული ეს პოემა მკაფიოდ გამოხატავს ავტორის რადიკალურ მემარცხენე შეხედულებებს კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დამოკიდებულების დროს. დაპირისპირების ობიექტად, უპირველეს ყოვლისა, აქ ქცეულია ბარათაშვილი, რომლის სახეშიც განსახიერებულია ფეოდალური პერიოდის საქართველოს „ყავლგასული“ წარსული; ახალგაზრდა პროლეტარი პოეტი კანნიერი პრეტენზიულობით უპირისპირებს ერთმანეთს ბარათაშვილის მერანსა და ახალი დროის რკინის მერანს. ამ დაპირისპირების შედეგად გამოგანილი დასკვნები ასეთია:

საქართველოში მოკვდა წარსული,

გფილისი მზიან დღეებს უცინის;

ქუჩის რიგებში ვართ დარაბმული  
ჩვენ. პოეტი რევოლუციის...

წარსულთან ამგვარი ნიპილისტური დამოკიდებულება. უპირველეს ყოვლისა, მერანის სიმბოლურ სახეშია გაცხადებული. ა. მირცხულავას აზრით, ახალ ვითარებაში ბარათაშვილის მერანის სახე-სიმბოლოს თავისი სიმბოლურ-ალეგორიული მნიშვნელობა მთლიანად დაუკარგავს და დღეს იგი მხოლოდ „ჩალანდრად“ თუ გამოდგება:

შენი მერანი? კო, არა უშავს,  
იქნებ ჩალანდრად კლდე გაღმოვიდეს.  
მაგრამ გფილისში დღეს რომ გაუშუა,  
სადმე პროსპექტზე კისერს მოიგებს.

ასე ჩნდება სიბრაღელის გრძნობა ბარათაშვილისადმი, სიბრაღელი მისი უმწეობის გამო, რასაც თან სდევს სინანული იმისა, რომ მან ცხოვრების დუდილში ბოქულაძის სახე ვერ დაინახა:

შენი ფიქრები სიშორეს მიაქვს,  
ცივ ღრუბელივით სდუმან თვალები,  
უსმენ მოწყენით მთაწმინდის ნიავეს  
და მებრალეები. და მებრალეები.  
... ერეკლეს რისთვის უმღერდი მაშინ.  
თუ გულში ქარილის მზე გადემარხა?  
რა იქნებოდა ცხოვრების თვალში  
შენც ბოქულაძე რომ დაგესახა?

მაგრამ „მერანი“ და მისი ავტორი გამონაკლისი არ არის და ა. მაშაშვილის ნიპილიზმის მსხვერპლნი სხვა პოეტებიც ხდებიან, კერძოდ, ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან: ვალაკტიონი, „ცისფერყანწელები“, ი. გრიშაშვილი, ალ. აბაშელი, გ. გრანელი... ა. მირცხულავას ყოველი მათგანის მიმართ მკაფიოდ ნიპილისტური პოზიცია აქვს გამოხატული. მაგალითად, „ლურჯა ცხენებიც ისე არ ვარგა, როგორც მერანი ბარათაშვილის“; ანდა: „გულ-ამოსკენილი სტირის გრანელიც, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე, უშნო, უღონო, დაუბანელი, მათხოვარივით საფლავებს მისდევს“. ასე ახასიათებს ავტორი ქართული პოეზიის ამ გამოჩენილ ოსტატებს და საბოლოოდ მათ მიმართ ასეთი დასკვნა გამოაქვს:

მათი ცხოვრება მოგავს პანთეონს,  
სადაც ლანდია მხოლოდ ჩონჩხების,  
სჩივიან ბუდე და საქართველო  
გამოიტირეს შავი ჩოხებით.

ამგვარად უარყოფილი სახელების ფონზე ალიო მაშაშვილი საკმაოდ პრეტენზიულად აყალიბებს საკუთარ მსოფლმხედველობრივ და ესთეტიკურ პოზიციას. ასეთია ამ ლირიკული პოემის პათოსი და

ვანწყობილება. მართალია, ამგვარ რადიკალიზმამდე ა. მირცხულავა თავის სხვა ნაწარმოებებში არ მისულა, მაგრამ თუ „მე და ბარათაშვილზე“ შედარებით ვრცლად მაინც შეეახერხე ეურადლება, იმიტომ, რომ იგი მარტო მისი ავტორის სულისკეთებას კი არ გამოხატავს, არამედ იმ მსოფლმხედველობრივი ჭიდილის გიჟურად გამოძახაგველ ნაწარმოებადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომლითაც ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების პირველი ათწლეული ხასიათდება.

თუმცა ზემოთქმული თეალსაზრისით პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები გამონაკლისნი არ არიან და კლასიკოსებისადმი კრიტიკულ-ნიპილისტური დამოკიდებულება მათზე ადრე „ცისფერყანწელებმაც“ და „ფუტურისტებმაც“ გამოავლინეს. მაგალითად, „ცისფერყანწელთა“ მანიფესტში, რომელიც 1916 წელს დაისტამბა მათ პირველსავე ჟურნალში, ხაზგასმით ეწერა: „უარყოფთ წარსულს, როგორც მშით განათებულს, ისე ღამეში შეწუხებულს, წარსულის ოქროს გვირგვინებს გამოვტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და ვადავისროლეთ დავიწყების ზღვაში“.

წარსულისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას ამელაენებდნენ ქართველი ფუტურისტებიც. მათ მანიფესტშიც, რომელიც 1922 წელს დაიბეჭდა თბილისში, აღნიშნული იყო: „ვაცხადებთ ყველასათვის: უარყოფთ წარსულს, რადგან იგი არის სამლოცველო ბებრების და მომაკედავების“.

ქართველი ფუტურისტების ერთ-ერთმა თავკაცმა სიმონ ჩიქოვანმა კი ლაიბნიცის ცნობილი სტრიქონები - „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“ - ლექსში „წინა თაობის პოეტებს“ ამგვარად ვადააკეთა: „აწმყო, წარსულის უარმყოფელი, არის მშობელი მომავალისა“.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ბრძოლას ქართველი მოდერნისტები ლიტერატურულ კერპებად მიჩნეულ პიროვნებათა ღვაწლის უარყოფის ნიშნით წარმართავდნენ. ტიციან ტაბიძე წერდა: „ილია იყო პისარევის მოწაფე, რომელიც ქართული პოეზიის ყვაილს რუსულ ხორბალს ანაცვალებდა“... ილიამ საბოლოოდ „დაწყველა“ „ფრინველის გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“. აკაკი წერეთელი ათას ხერელს იგოვებდა პოეტის დანიშნულებაზე. პოეტი მისთვის ხან „უზრუნველი პეპელა“ იყო, ხან „გარემოების საყვირი“. აკაკი წერეთელმა „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა. ყველა ეს ლექსები ბანკის ოპერაციებზე და ადვოკატობაზე დარჩება, როგორც პოლიტიკური სატირის არა ნიჭიერი ნიმუშები“.

სანდრო ცირეკიძემ კი აკაკის მოღვაწეობას ასეთი შეფასება მის-

ცა: „აკაკი თავის თავს უძახდა „გარემოების საყვირს“. ამ დიდმა კაცმა თავისი სიცოცხლე პოლიტიკურ მესამანდრედ იარა და იშვიათად მოიცალა ინტიმური განცდებისათვის. ბევრი პოეტი დალუპა მისმა მაგალითმა“ (გაზ. „ბარრიკადი“, 1920 წ. №3).

საბუნძიეროდ, ქართული მწერლობის კლასიკოსებისადმი საბჭოთა ხელისუფლების მესყუერთა და მათი იდეოლოგიის ბრმად მიმდევარ მწერალთა და კრიტიკოსთა ზემოთ ხაზგასმული ნიპილისტური და მძულვარე დამოკიდებულება ოცდაათიანი წლების შუა ხანებში შეწყდა. მართალია, ცალკეული იდეოლოგიური რეციდივები და უკულმართობანი. შიგადაშიგ, შემდეგაც იჩენდა თავს. მაგრამ არა ამ მასშტაბითა და ვნებათა ღელვით. ეს ყველაფერი დღეს სეველითა და ტკივილით გასახსენებელი ისტორიაა, საბჭოთა ეპოქის სისხლიანი წარსულის ერთი სამწუხარო ეპიზოდი.

# ემოქალღური სინამდვილის კრიტიკულ- ოპოზიციური ასახვა საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერალთა შემოქმედებაში

„მწერლობის მოთენიანების“ 1990 წლის გამოცემისთვის თანდართულ მინაწერში აკაკი ბაქრაძე წერდა: „მოგესხენებათ, მედალს ორი მხარე აქვს. ის, რაც ამ წიგნში წაიკითხეთ, მედლის ერთი მხარეა: რა დღეში იყო ქართული მწერლობა. მეორე მხარესაც უნდა გაეცნოს მკითხველი: როგორ ემსახურება XX ს. ქართული მწერლობა ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს. ამას გაამბობთ მომდევნო წიგნში - „გადარჩენა“.

სამწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან არ ჩანს, მოასწრო თუ არა ა. ბაქრაძემ ამ წიგნის დაწერა, წიგნისა, რომელიც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში გამოვლენილ კრატიკულ-ოპოზიციურ სულისკვეთებაზე. როგორც საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებითი მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა ადასტურებს, ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგიური დიქტატურისა და მკაცრი ცენზურული კონტროლის მიუხედავად, ბევრი მათგანი მაინც ასერხებდა თავისი ნამდვილი გულისთქმის გამოხატვას და ობიექტური მიუკერძოებლობითა და კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმოაჩენდა ემოქალღურ მოვლენებს.

იმის გამო, რომ მაშინ პირდაპირი ფორმით ამის გაკეთება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, საამისოდ ისინი ხშირად შენიღბვის, აზრის ალევორიულად გამოხატვის, მოქმედების გაუცხოების, წარსულში გადაგანისა და სხვა ხერხებს იყენებდნენ ხოლმე. იმეამინდელ იდეოლოგიურ პრინციპებთან შეუთავსებლობის გამო საკმაოდ ბევრი ნაწარმოები თავისი პირენდელი სახით იმხანად არ გამოქვეყნებულა. მათი ავტორები იძულებული ხდებოდნენ საეჭვო ადგილებში ან საერთოდ ამოეღოთ ნაწარმოებიდან, ანდა კონიუნქტურული მოთხოვნების გათვალისწინებით შეესწორებინათ.

არაერთი ნაწარმოების ცალკეული სიუჟეტური ეპიზოდები მათ ავტორებს პირველი პუბლიკაციების შემდგომაც შეასწორებინეს, რითაც აქტიურად ცდილობდნენ იდეოლოგიურად მიუღებელი შესვლულებების არსებით კორექტირებას (ვ. გაბიძის „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, მ. ჯავახიშვილის „დამპატივე“, კ. გამსახურდიას „მთავარის მოგაყება“, „დიონისოს ღიმილი“ და ა. შ.).



გემოთქმული მოვლენის შედეგად განხორციელებული ტექსტოლოგიური სწორებანი მრავლად გვხვდება საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერალთა არქივებში. თავის დროზე გამოქვეყნებული ამგვარი ეპიზოდები და იდეოლოგიური გეწოლის გამო შეცვლილ-გადაკეთებული ადგილები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენენ მწერლის ნამდვილი მსოფლმხედველობრივი მრწამსის შესასწავლად და გასაცნობიერებლად.

საბჭოთა პერიოდში გემოთქმული თვალსაზრისით არსებულმა ერთულესმა ვითარებამ არსებითად შეცვალა და დაამახინჯა ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების, ერთ-ერთი უმთავრესი პრიციპი: მწერლის ნაწარმოების აკადემიური ტექსტის დადგენის დროს მის მიერ ნაწარმოების უკანასკნელად ჩასწორებული ვარიანტის მიჩნევა ავტორისეული ნების გამოძახაგველ საბოლოო პირად. ამ პრინციპის ხელალებით მიღება და გაზიარება საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერლებთან მიმართებით ყოველთვის ვერ მოხერხდება იმხანად არსებული ვითარების გამო.

მაგალითად, კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილის“ მეორე გამოცემაში ის ადგილები შეასწორებინეს, ანდა საერთოდ ამოაღებინეს, რომლებიც სოციალისტური იდეოლოგიისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ასეთივე რამ მოხდა „მთვარის მოგაყებასთან“ დაკავშირებითაც. ნაწარმოების პირვანდელი ვარიანტის გამოქვეყნების შემდგომ მწერალი იძულებული გახდა რომანის ფინალური ეპიზოდი მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით პრინციპულად შეეცვალა და ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის - კაც გვამბაიას მკვლელობის ამბავი არსებითად განსხვავებული სახით მოეთხრო მკითხველისათვის.

ტექსტოლოგიური მეცნიერების კლასიკური პრინციპის ვათვალისწინებით, ამ და მსგავსი ხასიათის ნაწარმოებების აკადემიური გამოცემის დროს უპირატესობა, როგორც მათი ავტორების ნების უკანასკნელ გამოხატულებას, საბოლოოდ ჩასწორებულ ვარიანტებს უნდა მიეცეთ. მაგრამ საბჭოთა პერიოდში მოღვაწე მწერლებთან მიმართებით ამის გაკეთება ყოველად გაუმართლებელია, ვინაიდან გემოთ აღნიშნული სწორებანი იძულების შედეგი იყო და არა ნაწარმოების სრულსაყოფად გაწეული შრომის გამოხატულება.

იმის გამო, რომ საბჭოთა ეპოქაში არსებული მკაცრი ცენზურული იდეოლოგიური კონტროლის გამო ხელისუფლების მიერ დაკანონებული მოთხოვნებისათვის მიუღებელი ნაწარმოებების გამოქვეყნება ვერ ხერხდებოდა, მათი ღილი ნაწილი მწერლის პირად არ-

ქიევში იღო გამოუქვეყნებელი. ცალკეული მათგანი კი ან დაწერილან დიდი ხნის შემდეგ დაიბეჭდა, როცა საამისო პირობები შეიქმნა, ანდა ხელნაწერების სახით გაერცელდა.

ასე გაჩნდნენ ე.წ. „უჯრის პატიმარი“ ნაწარმოებები, რომელთაც მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის დამხობის შემდეგ იხილეს მზის სინათლე. ზემოთქმული თეალსაზრისის საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მწერლების პირადი არქივებისა და ხელნაწერების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათი მსოფლმხედველობის ბოლომდე შესაყნობად და გასააზრებლად. ეს რომ მართლაც ასეა, თუნდაც ვ. ტაბიძისა და მ. ჯავახიშვილის საარქივო დოკუმენტებისა და გექსტოლოგიურ სწორებათა ამსახველი მასალების გამოქვეყნებაც თეალნათლივ ადასტურებს.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულიან ერთად, აქ იმ გარემოებასაც მინდა გავუსვა ხაზი, რომ ამგვარი კრიტიკულ-ოპოზიციური ხასიათის გამოუქვეყნებელი ნაწარმოებები და ჩანაწერები იმხანად მოღვაწე ყველა მწერლის არქივში როდია აღმოჩენილი. ამასთან დაკავშირებით აქ ერთი ასეთი ფაქტი მინდა გავიხსენო: გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ცენზურული შეზღუდვების შერბილების საწყის ეტაპზე, საქართველოს გელევიშიაში ეურნალისტ თამაზ ტყეშელაძეს გადაცემათა ციკლი მიჰყავდა სახელწოდებით - „გულახდილი დიალოგები“. მასსოვს, ერთ-ერთ პირველ გადაცემაში ეურნალისტმა სტუმრად მიწვეულ ირაკლი აბაშიძეს ასეთი შეკითხვით მიმართა:

- ბატონო ირაკლი, ახლა, როცა დაღვა დრო მწერლებმა თქვენი არქივები გასხნათ და ისეთი ნაწარმოებებიც გააცნოთ მკითხველს, რომელთა გამოქვეყნება ადრე არსებული ცენზურული შეზღუდვების გამო ვერ ხერხდებოდა, ამ თეალსაზრისით რა სიახლეს უნდა ველოდოთ თქვენგანო?

ბატონმა ირაკლიმ მაშინ პაოლო იაშვილისადმი მიძღვნილი მისი ის ლექსი გაიხსენა, რომელიც პაოლოს რეაბილიტაციის შემდეგ, 50-იანი წლების შუა ხანებში, დაიწერა და დაიბეჭდა. ეურნალისტი რესპოდენტს მაშინ სავსებით სწორად დაეთანხმა იმაში, რომ ხსენებული ლექსი მართლაც ამხელდა მოქალაქეობრივი გაბედულებით 30-იანი წლების ჩენი ყოფისათვის შემადრწუნებელ მოვლენად ქცეულ სისხლიან რეპრესიებს, მაგრამ იქვე ისიც პირდაპირ უთხრა, რომ მისი პასუხი არ აკმაყოფილებდა, ვინაიდან აღნიშნული ნაწარმოები უკვე იყო გამოქვეყნებული.

სამწუხაროდ, ი. აბაშიძემ (და ამ თეალსაზრისით იგი სხვა ე. წ.

საბჭოთა მწერალთაგან გამონაკლისი სულაც არ არის) მაშინ ისეოს ნაწარმოები ვერ დაასახელა, რომელიც დაწერილი კი ქონდა. მაგრამ ცენზურულ-იდეოლოგიური შეზღუდვების გამო „უჯრის პატიმრად“ იყო ქცეული. ამ მდგომარეობის გამოსწორება მოგვიანებით ბოვიერთმა მწერალმა იმით ცადა, რომ შემდგომში დაწერილი ნაწარმოებები აღრინდელი წლებით დაათარიდა.

ეს ყველაფერი რეალობაა და, ცხადია, მასზე თვალი არ უნდა დაეხუჭოთ; თუმცა არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რომ იმ რთულ ვითარებაში მართალი სიტყვის თქმა და საკუთარი გულისთქმის თუნდაც შენიღბული ფორმით გამოხატვა ისეთ რისკსა და მოქალაქეობრივ ვასრობას წარმოადგენდა, რის გაკეთებასაც კაცი ყველას ვერ მოთხოვდა.

მაგრამ ჩვენი მწერლობა შემოთქმული თვალსაზრისითაც რომ მეტად მდიდარიცაა და ძალზე გაბედულიც, ამას ცენზურული შეზღუდვების მოხსნის შემდგომ ხანაში გამოქვეყნებული საარქივო მასალებიც თვალნათლივ ადასტურებენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ თვალსაზრისით არსებული წერილობითი შემოქმედების მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენენ, ყოველგვარი დატყუების გარეშე მაინც აშკარად ცხადყოფენ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ჩვენი მწერლების დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებას.

თუმცა ყოველივე შემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართული მწერლობის კრიტიკულ-ოპოზიციურ თვალთახედვას მხოლოდ ეს საარქივო მასალები აუღუნდნენ და გამოხატავენ. რასაკვირველია, არა. დიდი რისკისა და წვალების ფასად მსგავსი ხასიათის ნაწარმოებები ჩვენმა მწერლებმა საბჭოთა პერიოდშიც საკმაოდ მრავლად გამოაქვეყნეს, რითაც წარმატებით გააგრძელეს ამ თვალსაზრისით ქართულ ლიტერატურაში უკვე არსებული დიდი შემოქმედებითი ტრადიციები.

მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეექმნეს საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ჩვენი მწერლების მიერ აღნიშნული მიმართულებით მიღწეულ წარმატებებზე, ქვემოთ კონკრეტულად შევხებით მათი შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

დავიწყოთ ვასილ ბარნოვის შემოქმედებით. მის ნაწარმოებთაგან საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით აღქმა-წარმოსახვის ტენდენციამ ყველაზე მძაფრი გამოხატულება, ჩემის აზრით, „არმაზის მსხვერვაში“ (1925 წ.) პოეზ. ეს ტენდენცია რომანში იმდენად ცხადად და არაორაზროვნადაა გამოვლენილი, რომ ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები შეიძლება ზუსტი აღქვატუ-

რობითაც კი მიუხადავით იმ რთულ ვითარებას, რომელიც საქართველოში შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ.

ათწლეულობით გაბუღალებულ ამ საკითხს უკანასკნელ ხანს არაერთმა კრიტიკოსმა მიაქცია ყურადღება. მაგალითად, ა. გომართელის ამრით, „არმაზის მსხვერვეა“ 1921 წლის გრაგვიდისა და მისი შემდგომი ვითარების „დამიფრული და დაქარაგმებული“ გააზრების მცდელობას წარმოადგენს. „ყოველი დიდი იდეა, ქრისტიანობა იქნება იგი თუ სოციალიზმი. მრავალრიცხოვანი იმპერიებისათვის სსკვითა დაპყრობისა და დამონების საშუალებაა. კრიტიკოსის შეფასებით, სწორედ ესაა დედააზრი რომანისა.

1801 წელს რუსეთი მართლმადიდებლობის დაცვის მისიით შემოვიდა საქართველოში. 1921 წელს უკვე ათვისებული ქვეყანა სოციალიზმის იდეით გვიმონებს. ამ გრაგიკული ნაციონალური რეალობის მხატვრული ეკუფენაა „არმაზის მსხვერვეა“. რეალობა ვერაფერს სახეგემოს ეუბნება მწერალს და მასაც მომავალში გადააქვს იმედი ეროვნული აღორძინებისა“ (ა. გომართელი, ქართული სიმბოლისტური პროზა, 1997 წ. გვ. 110).

სამწუხაროდ, ამ მომავლის დადგომის დრო რომანში დაკონკრეტებული არ არის. მართალია, მწერალს ღრმად კი სწამს, რომ „დასძლევს ბოლოს ქართველთ ღმერთი საქართველოში“, „ქართველი ხალხი კვლავ დაუბრუნდება ძველ სალოცავთ და კვლავ გაბრწყინდება უკვდავ ხატთა სახელი ჩვენში“, მაგრამ როდის მოხდება ეს, ამ კითხვაზე ვ. ბარნოვს კონკრეტული და ზუსტი პასუხი არ მოეპოვება.

\* \* \*

საბჭოური ეპოქალური სინამდვილისადმი კრიტიკულ-ოპოზიციურმა დამოკიდებულებამ განსხაკუთრებით მძლავრი გამოხატულება პპოვა მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებაში. თავისი მხატვრული შემოქმედებითა და აქტიური პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით (როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მესვეური, საქართველოს სასაბჭოების პირველ წლებში დაუფარავად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, რისთვისაც 1923 წელს დააპატიმრეს და სიკვდილით დასჯას მხოლოდ შემთხვევით გადაურჩა) მწერალი აშკარად უპირისპირდებოდა არსებულ მმართველობით რეჟიმს და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატავდა მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას იმყამინდელი ეპოქალუ-

რი მოვლენებისადმი. მ. ჯაფახიშვილის ამგვარი ანტისოციალისტური თვალთახედვა. ბენერშია, ხელისუფლების მძაფრ გულისწყრომას იწყევდა, რის გამოც მწერალი არაერთგზის ქეუელა მკაცრი კრიტიკის ობიექტად. როგორც ცნობილია, მ. ჯაფახიშვილის წინააღმდეგ გაჩაღებული ეს ბრძოლა 1937 წელს მისი ტრაგიკული აღსასრულით დამთავრდა.

იმ ნაწარმოებთაგან, რომელნიც გამოქვეყნებისთანავე იქნენ ხელისუფლებისა და ლიბერალური კრიტიკის განსაკუთრებული აღმუშოთების საგნად, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ცნობილი მოთხრობა „დამპატიყქ“ (1928 წ.). აღმანახ „არიფონში“ დასტამბულმა ამ ნაწარმოებმა, რომელიც მძაფრი კრიტიკულ-ირონიული პათოსითა და ფართო განზოგადებულობით წარმოაჩენდა სოციალისტურ სოფელში აღმკვეთულ მანიკერებებს, დიდი უსიამოვნება შეახვედრა მწერალს. მ. ჯაფახიშვილს ბრალს დებდნენ სინამდვილის დამახინჯებულ, გამრუდებულ წარმოსახვაში. ხელისუფლებისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ავტორისეული პოზიცია და იდეოლოგიური თვალთახედვა. ამასთან დაკავშირებით, 1928 წლიდან მოყოლებული, მრავალი მასალის მოშველიება შეიძლება როგორც კრიტიკოსთა ნააზრევადან, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლებიდან.

ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი. რომელმაც მწვავედ გაილაშქრა მ. ჯაფახიშვილის ამ ნაწარმოებისა და, საერთოდ, აღმანახ „არიფონში“ დასტამბული სხვა მასალების წინააღმდეგ, საქართველოს იმეამინდელი პარტიული ლიდერი მ. კახიანი იყო. ურნალ „მნათობის“ 1928 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ მის წერილში - „იდეოლოგიის ფრონტზე“ მკაცრადაა „წარმოჩენილი“ ის „მიუტევებელი“ შეცდომები, რითაც, ავტორის აზრით, სოციალისტური ეპოქისათვის პრინციპულად მიუღებელი ეს აღმანახი ხასიათდება. მ. ჯაფახიშვილის „დამპატიყქ“, მ. კახიანის შეფასებით, ესაა „აბუჩად ავდება ჩვენი ხაზის, სოფლის კოლექტივიზაციის“, „სრული არცოდნა ნამდვილი, ახალი საბჭოთა სოფლის“. „რაგომ, იმის ნაცვლად, რომ ისეირნოს აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ამ ჯაფახიშვილმა არ მოიყალა გამგზავრებულყო სადმე სოფელში, შეეხედა თუ ვინდ სამთავისის კომუნაში, - გულისწყრომით აღნიშნავს იგი. - იქ ის დაინახავდა არა თავის დამპატიყქს, არამედ ახალი საბჭოთა ცსოვრების ნამდვილ შემოქმედთ“. ამ მკაცრი შეფასების ავტორი ვინმე შემთხვევითი პიროვნება კი არ გახლდათ. არამედ რესპუბლიკის პარტიული ლიდერი, რომელიც განუსაზღვრელი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. ეს ამკარად ეტყობა ხსენებული პუბლიკაციის საერთო ტონსაც და პა-

თოსსაც. „ასეთ კონტრ-რევოლუციონსურ ლიგურატურას, - მუქარავარეული აღშოთებით დაასკვნის ავტორი, - ჩვენ ყოველთვის აღმოვაჩინო და ვისაც საჭიროა მივსცხებთ“.

მ. კახიანის ეს მუქარა მხოლოდ უბრალო სიგყვიერი ქაღილი რომ არ აღმოჩნდა, ეს ნათლად დაამტკიცა მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ. ამ დროიდან მოყოლებული, პარტიულმა ხელისუფლებამაც და ლიგურატურულმა კრიტიკამაც მ. ჯაფახიშვილის „იდეოლოგიურად დასამუშავებელ“ ნაწარმოებთა სიაში „დამპატიყც“ დაამკვიდრა გვერდაუელელად. გავისხენოთ, მაგალითად, 1929 წელს გაზეთ „კომუნისტში“ დასტამბული ვალია ბახტაძის წერილი, რომელშიც 1928 წლის პროზაა მიმოხილული. ავტორის შეფასებით, მ. ჯაფახიშვილის ახალი მოთხრობა „მგრის კრიტიკა და ცილისწამება“ და მისი „მოწონება პარტიის ღალატს უდრის“. ავტორის დასკვნით, ჯაფახიშვილი „ხრამის წინ დგას“.

გ. მუშიშვილი კი აღნიშნავდა, რომ მ. ჯაფახიშვილი თავისი შემოქმედებით „ოპოზიციასი“ ჩაუდგა თანამედროვეობას. „ყოფილი ადამიანების მწერლად ქცეული“ ავტორი, მისი აზრით, „თანამედროვეობასთან მგრული დამოკიდებულების მორევეშია“ ჩაყარდნილი. ორიოდე წლის წინათ თუ კიდევ სწარმოებდა დავა ჯაფახიშვილის „თანამგზავრობაზე“. დღეს ეს დავა ამოწურულად უნდა ჩაითვალოს. მის ჯაფახიშვილი „ბარიკადის იქით“ აგროვებს კენჭებს თანამედროვეობასთან საბრძოლველად“ („მნათობი“, 1929 წ. №2-3, გვ. 197-198).

ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება მ. ჯაფახიშვილის „დამპატიყესადმი“, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედებისადმი, კიდევ უფრო მძაფრდება 30-იან წლებში. იმდროინდელ კრიტიკოსთა უმეტესობა მწერლის ამ მოთხრობას პროლეტარული იდეოლოგიისათვის სრულიად მიუღებელ ქმნილებად მიიჩნევდა. რაც დრო გადიოდა, მ. ჯაფახიშვილისადმი მიმართული კრიტიკული დამოკიდებულება საბედისწერო სახეს იღებდა და ბელეტრისტიც შეძლებისდაგვარად ცდილობდა ხიფათისაგან თავის დასაღწევად ზოგ შემთხვევაში გარკვეულ მსოფლმხედველობრივ კომპრომისზეც წასულიყო.

სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა მან არსებითად გადაეკეთებინა „დამპატიყე“ და პროლეტარული იდეოლოგიისათვის მისაღები მისი ახალი ვარიანტი შეექმნა. ასე დაიწერა „აზნაურის სიკედილი“, რომელსაც შემდგომში „რკინის საყერი“ ეწოდა. ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტურ მასალას გვაწვდის მ. ჯაფახიშვილის ქალიშვილი. 1934 წელს, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის

ერთ-ერთ სსლომაზე. ავტორს საჯაროდ წაუკითხა ეს ნაწარმოების ეს ახალი ვარიანტი, მაგრამ პრეზიდენტის წევრებს ერთსმალ დაუწუნებიათ იგი და ჯავახიშვილისათვის მისი დაბეჭდვის უფლება არ მიუციათ.

მ. ჯავახიშვილი, მის მიმართ საბედისწეროდ ამყარებული კრიტიკული ქარტეხილებით შეძრწუნებული, შეძლებისდაგვარად ცდილობდა მოწინააღმდეგეთა დამოშინებას. მაგალითად, მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ სსლომაზე მის წინააღმდეგ ამხედრებულ კოლეგებს ის დაბეჯითებით უმტკიცებდა, რომ „რკინის საყურე“ არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ჩათელილიყო იდეოლოგიურად „დამპატივეს“ გავრძელებად, პირიქით, ამ ნაწარმოების შექმნით მას მიზნად ჰქონდა დასახული „დამპატივეს“ წაშლა. მისი თქმით, „აქ მოთხრობილია ამბავი კოლექტივში გამრუდებული გემის გასწორებისა, გედმეგი ხორცის „დამპატივეს“ გაწილებისა და დაჩაგრული თევდორეს გატოცლებისა, რომელიც კოლექტივის ახალი ხელმძღვანელის წყალობით კოლექტივის ბურჯად გადაიქცა და ამჟამად სტახანოველად ითულება“ (ქ. ჯავახიშვილი, მისიელ ჯავახიშვილის ცხოვრება, 1991 წ. 304).

„დამპატივეში“ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის - თევდორეს თავგადასავლის მაგალითზე განზოგადებული ფორმითაა მხილებული საბჭოთა ყოფისთვის დამახასიათებელი მანკიერებანი. მწერალი შეულამაზებლად წარმოაჩენს ახალი ხელისუფლების შედეგად დამკვიდრებულ ძალადობასა და უსამართლობას და არაორაზროვნად ეუბნება მკითხველს, რომ პროლეტარული იდეოლოგიის მიერ გაფეციშებული კლასობრივი თანასწორობა და სამართლიანობა მხოლოდ ცრუ ილუზიაა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანის ჩაგერის ახალი სისტემა დაამკვიდრა.

საბჭოთა ეპოქის შედეგად აღზევებულ ასეთ პიროვნებად მოთხრობაში დამპატივეს მეგსახელით ცნობილი ოქროპირია გამოყვანილი. მაგრამ იგი მარტო რომ არ არის, ეს ხაზგასმით იგრძნობა ნაწარმოებში. გარდა იმისა, რომ დამპატივეობის სინდრომის ფრთავაშლილობისათვის ქვეყნად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი და საზოგადოების წურბელად ქცეული ოქროპირი ლაგამაწყვეტილი დათარეშობს ქვეყანაზე, მწერალი არაორაზროვნად იმაზეც მიგვანიშნებს, რომ „გემოთ“, ხელისუფლების მაღალ ინსტანციებში, მრავლად და მყარად არიან მოკალათებული მისი მხარდამჭერი „კაცები“, რომლებთანაც მისასვლელი გზა საიმედოდ აქვთ ჩახერგილი დამპა-

ტივეებისაგან დაჩაგრულ ადამიანებს.

ყოველივე ეს საგირაში გადაზრდილი მძაფრი შინაგანი ირონიითაა მოთხრობილი. ეს ირონია ნათლად იგრძნობა თუნდაც იმ შეფასებით, რომელსაც რეკოლუციასა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ფაქტს აძლევს ავტორი. „სადაც რაღაც მოხდაო“, - ამბობს იგი და ამ ირონიული, ამკარად ცინიკური ფრაზით იწყებს იმ ვითარების დახასიათებას, რომელმაც თავდაყირა დააყენა მოხუცი თევდორეს მშვიდი და უღრგვისეული, ჰაგიოსან შრომასა და გარჯაში გაგარებული ცხოვრება.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში თევდორე მოჯამაგირე იყო. მან და მისმა მეუღლემ თავდაუზოგავი შრომით ბატონის კარ-მიდამო ბაღნარად აქციეს. და აი, ერთ დღეს. მას შემდგომ, რაც „სადაც რაღაც მოხდა“, თევდორესთან ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები მოვიდნენ, მოხუცი მოჯამაგირე თავისი ნესტიანი ოთახიდან ბევით აიყვანეს და „უბრძანეს: იცხოვრე და იმუშავე, რადგან ყველაფერი შენის ოფლით არის შექმნილი, მოიხმარე, შეგერგება!“ აქ მკითხველის ყურადღება ერთ სიტყვას მიწვდის მიუაქციო - „უბრძანეს“. ამ ერთი სიტყვივითაც მწერალმა გარკვევით გამოხატა მბრძანებლობასა და ძალადობაზე დაფუძნებული ხელისუფლების ნამდვილი არსი.

ასე ერთბაშად და მოულოდნელად გახდა მოხუცი და არაფრის მქონე თევდორე უდიდესი სიმდიდრის მფლობელი. მაგრამ ამით მის ცხოვრებაში, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა. იგი კვლავინდებურად მუხლჩაუხრელ შრომაში აგარებდა დროს და თავაუღებლად ებრძოდა მიწას. „უკვე მოხრილი თევდორე მხოლოდ ღამღამობით ამჩნევდა ცვლილებას, როცა ფეხგახდილი შემოვიდოდა მოლოკილ ოთახებში, ცოტას დაისვენებდა ჩალის სკამზე და ვახშმის შემდეგ ხმელ ტახტზე დაწვებოდა“. მაგრამ თევდორე სულ მალე დარწმუნდა, რომ ამ მოჩვენებითი ბედნიერების სახით მის ცხოვრებაში, ფაქტობრივად, მანამდე არნახულმა უბედურებამ დაისადგურა და ჩაგვრის ახალი უღელი დაადგეს ქედზე.

ეს უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები ერთხელ კვლავ ეწვივნენ და კარ-მიდამოს მონახევრედ და „ამხანაგად“ ვინმე ოქროპირი, მეგსახელად დამპატივე, ჩაუსახლეს. ამ დღიდან მოყოლებული, დამპატივე თევდორესათვის იქცა ახალი ხელისუფლების სახელთან ორგანულად ასოცირებულ მჩაგვრელ-მგლეჯელად, რომელიც თავზედური მუქარით იტაცებს მოხუცი მეზაღის ნაშრომ-ნაამაგარს.

როგორ არ ეცადა თევდორე ამ ახალი უღლის კისრიდან გადაგ-



დებას, მაგრამ ამაოდ. ხელისუფლებისაკენ, სამართლიანობისაკენ მიმავალი ყველა გზა მისთვის სამუდამოდ აღმოჩნდა დახშული. ზემდგომ ორგანოში საიმედოდ მოკალათებული „ის კაცი“ - დამპატივეს ერთგული დამცველი და ქომაგი - არაპირდაპირი ფორმით ახალი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ცხოვრების წესის რეალურად გამგარებელი ძალაა. ამგვარი „კაცები“ კი საკმაოდ მრავლად რომ იპოვებიან და დამპატივეს ამ წრეში გაშინაურებული პიროვნება რომ არის. ეს ნათლად დასტურდება ნაწარმოებში თითქოსდა სასხვათაშორისოდ ხაზგასმული ამ ღეგალითაყ: ოქროპირის მუარველად მყოფი „ის კაცი“, მართალია, უკეთური საქმეების გამო სამსახურიდანაც მოხსნეს და პასუხისგებაშიც მისცეს, მაგრამ ამით, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა, რადგანაც მის ადგილზე ახლა სხვა „კაცი“ მოვიდა. ძველის ალიკეალი და გყუპისცალი. დამპატივეს „კარვად იცნობს“ ყოველ მათგანს, „ყოველი ხერელის გასაკალ-გამოსაკალიც იყის და ღილით საღამომდე იმ ხერელებში დაძერება, ეშმაკურად დაგებულ ქსელებს ჰხევს“.

ასე ჩააგდო ახალმა ცხოვრებამ მოხუცი თევდორე უფრო დიდი უსამართლობის უფსკრულში. სასოწარკვეთილებამდე მისული მებაღე უმწეოდ იბრძვის და ამაოდ ცდილობს მოძებნოს გამოსავალი, ვინაიდან ქვეყნად სამართალი არ იპოვება. და იმით შეძრწუნებული, რომ „ერაი ბაღლინჯოს“ მაგივრად კისერზე მუორე, უფრო სასტიკი და უღმობელი სისხლის მწოველი დაასვეს, ამაოდ ასკდება თავისივე გულს. მწერალი მძაფრი ირონიით გვიჩვენებს იმ ცინიკურ დამოკიდებულებას, რასაც ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენენ სიმართლის მაძიებელი მოხუცისადმი. მათი მუქარიანი მტკიცებით, ბრალი, თურმე, პირიქით, თევდორეს მიუძღვის დამპატივეს წინაშე - მან უსამართლოდ „დაჩაგრა“ იგი, „ამუშავა, წელი მოსწყვიტა, მოატყუა, გყავი გააძრო“.... შენ ეს მითხარი, სამართალი სად არის? დედაკაცო, სთქვი, თუ იცი, სად არის მეთქი სამართალი?!“ - სასოწარკვეთილი ეკითხება ცოლს მოხუცი თევდორე და მწერალი არაორაზროვნად აზოგადებს სათქმელს - ძალადობასა და უსამართლობაზე აგებულ საზოგადოებაში „სამართალი მუდამ სტყუის“ და არსად იპოვება. ასეთ უმწეო მდგომარეობაში გოყებს ავტორი თავისი მოთხრობის მთავარ პერსონაჟს. სწორედ ესაა მისი „ოცი წლის შრომის დასასრული“ და იგი თავის ტანჯულ ცხოვრებას „ისე იმით ამთავრებს, რითაც დაიწყო“ - სხვის კარზე მოჯამავირებით.

რა გასაკვირია, რომ ამგვარი სულისკვეთების ნაწარმოები არ-

სებითად მიუღებელი გამომდგარიყო ახალი ხელისუფლებისათვის და იგი მკაცრი კრიტიკის საგნად ექციათ. მის წინააღმდეგ მანამდეც დაწყებული ბრძოლა ამ მოთხოვნის გამოქვეყნების შემდგომ ახალ სტადიაში შევიდა. რასაც არცაუ ისე დიდი ხნის მერე საბელისწერო შედეგიც მოჰყვა.

საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით ამსახველ ნაწარმოებებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა „ჯაყოს ხიზნებზე“ (1924 წ.) უსათუოდ უნდა ითქვას. ამ ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი მიზანსწრაფვა რადიკალურად ემიჯნება და უპირისპირდება საბჭოურ იდეოლოგიას. მართალია, გარეგნულად, რომანი ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს მწერალი რევოლუციისადმი თანადგომას გამოხატავს და მის გარდამქმნელ როლს უჭერს მხარს, მაგრამ ნაწარმოებში საკმაოდ მძაფრად და არაორაზროვნად გამოვლენილი ოპოზიციური იდეები ეჭვმიუტანლად განგვიმტკიცებენ იმ თვალსაზრისს, რომ „ჯაყოს ხიზნები“ საბჭოთა იდეოლოგიასთან აშკარად დაპირისპირებული რომანია. ამ შემთხვევაში არც ის უნდა დაგვაიწყდეს, რა დროს იწერებოდა ნაწარმოები. ჯერ ერთი, 1923 წელს მ. ჯაფახიშვილი, როგორც ერთგულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რამდენიმე თვით რეპრესირებული იყო და ძლივს ვადაურჩა დახვრეტას; მეორეც, 1924 წლის აგვისტოს გრაგიკულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, როგორი დაუნდობლობით ებრძოდა ხელისუფლება განსხვავებული მრწამსის ადამიანებს.

და მაინც, მიუხედავად ამ დიდი სიფათისა, მ. ჯაფახიშვილი კონიუნქტურის მოლიპულ გზას არ დადგომია და თავისი რომანით მართალი და გაბედული სიტყვა თქვა იმ პროცესებზე, რომლებიც რევოლუციის შედეგად წარიმართა ჩვენს ქვეყანაში. იმხანად ეს ნამდვილი მოქალაქეობრივი გმირობა იყო, რაც ხელისუფლებისა და პროლეტარული კრიტიკის დაუცხრომელი გულისწყრომის საგნად იქცა. ასე რომ, მ. ჯაფახიშვილის გრაგიკული აღსასრულის განმაპირობებელ ერთ-ერთ ფაქტორად, როგორც დოკუმენტური მასალები არაორაზროვნად ნათელყოფენ, „ჯაყოს ხიზნებიც“ მოგვევლინა.

მ. ჯაფახიშვილის რომანში ცხოვრებისეული სინამდვილე ხაზგასმულად ნეგატიური, უარყოფითი კუთხითაა წარმოსახული და მწერალი მძაფრი სატირულ-გროტესკული ფორმით ამხელს რევოლუციური ქაოსის შედეგად აღბეჭებულ სოციალურ, ეროვნულ და მნეობრივ მანკიერებებს. „ჯაყოს ხიზნები“, პირველ ყოვლისა, საზოგადოების გამოსაფხიზლებლად, მანკიერებათა სამხილებლად და მნეობრივად

ვასაჯანსაღებლად დაწერილია რომანია, მოყვრისთვის პირში ნაოქვაში მწარე სიმართლე.

მ ჯაეახიშვილისთვის არაერთხელ უსაყვედურებიათ ჯაყო ჯივამვილის ლიტერატურული ტიპის შექმნის გამო. ერთნი აღშოთუბას ვერ მალავდნენ იმ მღვარდაუდებელი თავხედობისა და ბოროტების გამო, ჯაყოსთვის ესოდენ ფართოდ რომაა დამახასიათებელი; მეორენი ჯაყო ჯივამვილის მხატვრულ სახეს რევოლუციური პრინციპების შეურაცხყოფად მიიჩნევენ: მესამენი თეიშურაბისა და მარგოსადმი ჯაყოს დამოკიდებულებაში ეროვნული გრძნობების დამცირებასა და ხელყოფას ხელაქდნენ და აღშოთუბით საყვედურობდნენ აუგორს, რაღა ოსი დაგვასვი თავზეო... მაგრამ ყველა ეს შენიშვნა პრინციპულად მიუღებელი იყო მწერლისათვის, ვინაიდან. მისი თქმით, ჯაყო ჯივამვილის ლიტერატურული ტიპი მისი ფანგაბიის შედეგად კი არ შექმნილა, არამედ იგი რევოლუციური სინამდვილის ღვიძლ შეილს წარმოადგენდა.

ჯაყოს მხატვრული სახე, ჩემის აზრით, ესაა მკითხველის მკაცრი გაფრთხილება ლაგამაწყვეტილი ბოროტების დამლუკველი შედეგების გამო. ჯაყოობა სოციალურადაც, ეროვნულადაც და მნიებორივადაც მომაკედინებელი საზოგადოებრივი დააეალებათ. რომელიც შლის, ანგრევს, აწყლულებს და კლავს ერის ჯანსაღ ორგანიზმს. ჯაყოს ოსობა (განზოგადებულად - უცხო ტომის შვილობა) იმის გამოც აფრთხილებს მკითხველს, რა შეუძლია დამართოს მკვიდრ ერს სამაღლოდ და სამოწყალოდ შემოსიზნულმა გადამთიელმა, თუ მის ქვეგამხედვარობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარების კრიტიკული თვალთახედვით აღქმაწარმოსახეის ტენდენცია „გივი შადურშიც“ (1927-1928 წწ.) დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. კერძოდ, მწერალმა გამორჩეული ყურადღების საგნად აქცია „ღიღი რევოლუცია“, რომლის შედეგადაც თავდაყირა დადგა ბეური ადამიანის მთელი მანამდელი ცხოვრება. სწორედ ასეთ დღეში აღმოჩნდნენ ჩავარდნილნი რომანის მთავარი პერსონაჟები. ისინი პირდაპირადაც და არაპირდაპირადაც იმ ვითარების მსხვერპლნიც ხდებიან, რომელიც „ღიღი რევოლუციით“ „აშლილ-აფურთხულ“ ქვეყანაში მყარდება. ამ მდგომარეობამ, როცა „გემოურები დაქვეითდნენ და ქვემოურები ზევით ატივტივდნენ“, როცა „მონასტერი აირია“, და „ყველაფერი გადაგრილდა“, საბელისწერო უფსკრულში გადაჩეხა რომანის არაერთი პერსონაჟი.

„წითელმა თქმმა და აღმასკომმა“ იმდენად შეცვალა ადამიანთა ფსიქიკა, რომ „წითელი დროშის“ გამფეციტებული კაცი „ახალი თემის ღალატისთვის საკუთარ მამასაც კი გააკმირავს“. ასე იმსხვრევა ძველი ცხოვრებისეული პრინციპები და, მწერლის თქმით, საქვეყნო ასპარეზზე გამოდიან „უმეცარი სალდათი, გყაპუჭა გლეხი და შემურული მუშა“. შ. ჯავახიშვილის მიერ დახატული ნაკაყარები შეძლებისდაგვარად უპირისპირდებიან და ებრძვიან ახალი დიქტატურის დამმყარებელ „ამ მდაბიოებს, მონებსა და უმეცრებს“, თუმცა არც თაყვანს არიან წმინდანები და ხშირად თვითონაც მრავალ ბოროტებას თესავენ ქვეყანაზე.

\* \* \*

1928 წელს, დრამატურგიაში თითქმის ათწლიანი შესვენების შემდეგ, შალვა დადიანმა შექმნა გახმაურებული კომედია „კაკალ გულში“. ნაწარმოების უმთავრესი ღირსება ისაა, რომ მასში გაბედულადაა მხილებული საბჭოთა ხელისუფლების შედეგად ჩვენს ქვეყანაში იმხანად აღმეფებული ბიუროკრატიზმი, უსაქმურობა, მომხვეჭელობა, მექრთამეობა და სხვა მანკიერებანი. საბჭოთა სინამდვილისათვის განუშორებლად თანამდევ ამ მანკიერებებს შ. დადიანი ძალზე ბუნებრივად და განზოგადებულად ამხელს ერთი დაწესებულების ყოველდღიური ყოფის ჩვენების მაგალითზე. დაწესებულების საქმიანობა, მისი თანამშრომლების უაზრო და გამუდმებული ფუსფუსი, მათი ადამიანური სიმდაბლეების ჩვენება ნათლად და ეფექტურად წარმოაჩენს საბჭოური საზოგადოების სოციალური და ზნეობრივი დეგრადაციის ცოცხალ სურათს, გვიჩვენებს ნამდვილ სახეს იმ სინამდვილისას, რომელიც რევოლუციის შედეგად დამყარდა ჩვენში. შ. დადიანის პიესა გაბედულად ამსხვრევს საბჭოთა ყოფის იდეალურობის შესახებ იმხანად უკვე ფართოდ დამკვიდრებულ მითს და ერთი დაწესებულების საქმიანობის აღწერით ეფექტურად წარმოაჩენს სოციალისტური ეპოქისდროინდელი ჩვენი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ სოციალურ და ზნეობრივ მანკიერებებს. მართალია, მწერალმა პიესის დასკვნით ნაწილში თავისებური იდეოლოგიური კომპრომისით ცადა ამ საგირული სიმძაფრის განეიტრალება, მაგრამ ეს კომპრომისული უკანდახევა, რაც მაშინდელი პოლიტიკური ვითარების უშუალო გამოძახილს წარმოადგენს, ვერ აფერმკრთალებს ნაწარმოების მამხილებლური პათოსის სიმწვავეს.

შალვა დადიანის „კაკალ გულში“ იმავე სოციალური რღვევისა და განწირულობის მძაფრი საგირული გამოხატულებაა, რაც მოგვი-

ნებით განუმეორებელი მხაგვრული ძალმოსილებით გამოვლინდა ელ-  
დარ შენგელაიასა და რეზო ჭეიშვილის კანოფილში „ცისფერი მთები“  
. ჩემი აზრით, ამ ორ ქმნილებას შორის შინაგანად უთუოდ არის  
ბევრი რამ მსგავსი და საერთოც. ამ გენეტიკურ სიახლოვესა და  
მსგავსებას საბჭოთა სინამდვილის მანკიერებათა განზოგადებული,  
სიღრმისეული, მახვილგონიერული მხილება წარმოადგენს. ეს  
მხილება, ერთგანაყ და მეორეგანაყ, თითქოსდა უმნიშვნელო. მეორე-  
რეხარისხოვანი, წვრილმანი ღეგალების ჩვენებით ხდება, მაგრამ  
მოუღენათა აღქმისა და წარმოსახვის ამ ღეგალიზაიაში დიდი, გან-  
ზოგადებული მასშტაბები ძვეს.

მწვავე სატირული ხასიათისაა ავრეთვე შ. დადიანის მეორე პიე-  
საც - „ცოცხი და ლოკოკინა“ (1931 წ.). იმ მრისხანე წლებში, როცა  
საბჭოთა იდეოლოგია ყველაფერს აკეთებდა სოციალისტური სინამ-  
დვილის გაიდუალებისა და პეროიზაციისათვის, შ. დადიანის შემოქ-  
მედებაში გამოვლენილი აშგვარი კრიტიციზმი და ეპოქალურ მოუ-  
ღენათა სატირული ფორმით აღქმა უთუოდ დიდი გაბედულება იყო.  
„ცოცხი და ლოკოკინა“ კრიტიკულად აშხელს იმდრონდელ ჩვენს ცხოვ-  
რებაში ფართოდ დამკვიდრებულ და პარტიული იდეოლოგიის მიერ  
გაფეტიშებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. დრამატურგმა მახვილგო-  
ნიერული კომიკური პასაჟებით ნათლად დაანახა მკითხველს გა-  
შარეებული სახე საბჭოთა ეკონომიკის „არნახული აღმავლობის გან-  
მაპირობებელი“ ამ ახალი წამოწყებისა.

კომედიის პერსონაჟები ენამოსწრებულად აქილიკებენ „მძლავრ  
საკავშირო მოძრაობად ქცეულ“ სოცშეჯიბრს, რომელსაც მთელი  
ქვეყნიერება მოუცავს: „ფაბრიკა-ქარხნები ერთმანეთს ეჯიბრებიან,  
წარმოების შიგნით საამქროები, ცელები და ბრიგადები აწარმოებენ  
შეფასებას ურთიერთი შორის“. ამ გოგალური „მოძრაობისადმი“ დრამა-  
ტურგის კრიტიკული დამოკიდებულება იმითაც ნათლად ჩანს, რომ  
სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის მან ისეთი „სა-  
პაგიო და ღირსსახსოვარი“ გარდამავალი ჯილდო დააწესა, როგო-  
რიცაა ხმარებიდან გამოსული ერთი „მივდებული და გაცეითილი  
ცოცხი“. ამ ახალი წამოწყების ერთ-ერთი აქტიური ინიციატორის მტკი-  
ცებით, ამ შემთხვევაში ნივთს, ჯილდოს კი არა აქვს რაიმე მნიშვნე-  
ლობა, არამედ მთავარი „იმისი დანიშნულებაა“. კომედიაში ასეთი-  
ვე მწვავე სატირული ფორმითაა მხილებული საყოველთაო კოლექ-  
ტივიზაციის მანკიერებანი, ახალი ხელისუფლების მესვეურთა  
ავადმყოფური ვაგაცება თათბირებითა და კრებებით, იდეოლოგიუ-

რი სიყალბენი და თვალთმაქცობანი. ზოჩვენიებითი შრომითი ენთუზიაზმი და ა. შ. ასე რომ, აეგორი წარმატებით აღწევს მიზანს და შთამბეჭდავად წარმოაჩენს საბჭოთა პერიოდის ჩვენი ცხოვრებისათვის ფართოდ დამახასიათებელ სოციალურ მანკიერებებს, გამარკებული ფორმით გვიჩვენებს მამინდელი ჩვენი გაუკულმართებული ყოფის ცოცხალ სურათებს.

\* \* \*

საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ბევრი მწერლის პირადმა არქივმა მრავალი ისეთი ნაწარმოები და სხვადასხვა სახის წერილობითი დოკუმენტი შემოგვინახა, რომლებიც ნათლად და შეუნიღბავად გამოხატავენ მათი აეგორების ნამდვილ მოქალაქეობრივ თვალთახედვასა და კრიტიკულ-ოპოზიციურ დამოკიდებულებას იმეამინდელი ეპოქალური მოვლენებისადმი. ზემოთქმული თვალსაზრისით ფასდაუღებელი მნიშვნელობისაა **გალაკტიონ ტაბიძის** არქივში დაცული მასალები, რომელთაგანაც დღესდღეობით მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული. სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მქონე ეს ჩანაწერები ხშირად ნიღაბხდილი სახით გამოხატავენ ცენზურისაგან თავისუფალი და თავის თავთან განმარტოებული დიდი პოეტის ნამდვილ გულისთქმას. მაგალითად, ოციან წლებში გალაკტიონს ერთგან ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „აქა-იქ რაღაცას შურდულობენ პროლეტარულ პოეზიაზე. აქა-იქ თემად მიაჩნიათ რევოლუცია და კოსმიურ საქმედ მიაჩნიათ. ამ მხრით რაგომ არ იქნება კოსმიური მოვლენა თუნდაც კონკრეტული რევოლუცია და ან რა საქმე აქვს ყოველივე ამასთან პოეტს, გარდა კარიერიზმისა?!.. პოეზიის საკითხი უფრო სხვაა, ვინემ პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ. მე არასგზით არ მინდა დაეკავშირო ერთმანეთს ეს საკითხები“.

არ უნდოდა, მაგრამ ცხოვრება იძულებულს ხდიდა, რწმენის საწინააღმდეგო საქმე ეკეთებინა. მართალია, ხაზგასმით კი აცხადებდა, „არ გვინდა პოლიტიკა ხელოვნებაში“, მაგრამ ამ პრინციპს ბოლომდე ვერ უერთგულა. მისი შემოქმედების ერთი ნაწილი ამკარად პოლიტიკებულია. ვითარებამ, მდგომარეობამ მიიყვანა აქამდე. მართებულად შენიშნავს ვ. ჯავახაძე: დღემდე უცნობი ეს მიმოხილვა (იგულისხმება ის ჩანაწერი, საიდანაც ციტირებული სტრიქონებია მოტანილი - ა. ნ.) მრავალ მტკივნეულ პრობლემას ახლებურად სვამს და პასუხობს. ამის დასტურად ასევე მნიშვნელოვანია 1931 წელს დაწერილი მინიატურიდან ასეთი ფრაგმენტი: გრამეყაში შეხვედრი-

ლი უცნობი ქალი პოეტს ეუბნება: „გვახსოვს თქვენი წინანდელი ლექსები. ეს იყო გენიალური ლექსები. მაშინ კარგი იყო. ახლა კი - რა მოგახსენოთ. თქვენ თვითონ არ იცით, რას სჩადისართ. თქვენ ყოველგვარ ზომებს მიმართავთ, რომ თავისთავს სამუდამოდ გაუტეხოთ სახელი“. იმავე თეალსაზრისს სხვაგვანაჲ გამოხატავს, როცა ამბობს: ეჰ, გული სხვას ფიქრობს და კალამი სხვას წერსო.

გ ტაბიძის მსოფლმსედველობის დასახასიათებლად უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ (1921-24 წწ.), რ. თვარაძემ ამ პოემასთან დაკავშირებით მრავალმხრივ საინტერესო ფაქტები გაიხსენა და ნაწარმოების სრულიად ახალი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა (იხ. მისი წერილი „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, „კრიტიკა“, 1990 წ. №4). მისი მტკიცებით, პოემაში თავისებური ასახვა კპოეა 1924 წლის აკვისტოს ამბოხების ჩახშობით დაგროვილებულმა ტრაგედიამ. ამის დასამტკიცებლად მკვლევარს მრავალი უტყუარი არგუმენტი მოაქვს. იგივე თეალსაზრისი გამოთქვა ნ. ტაბიძემაც (იხ. მისი წერილი „ცხოვრება ჩემი უანკარეს დეინის ფერია“, „ლიტ. საქართველო“, 1991 წ. 8 მარტი).

ეს მოსაზრებანი კიდევ უფრო განმამტკიცდა ეურნალ „დროშის“ 1925 წლის 28-ე ნომერში დასგამბული სერგო ორჯანიკიძის წერილის გაცნობით. ეს პაგარა წერილი („ხელოვნებაზე“) ლიტერატურის შესახებ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის დადგენილებასთან ერთად დაიბეჭდა. ს. ორჯანიკიძის სტაგიაში, ამ „საეკაპო დადგენილების ეპოქალური მნიშვნელობის“ შეფასებასთან ერთად, საუბარია საქართველოში ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ზოგად პრინციპებზე. ერთადერთი ხელოვანი, რომელსაც იგი კონკრეტულად მოიხსენიებს წერილში, ვალაკიონია. „ეურნალ „მნათობში“, - წერს ს. ორჯანიკიძე, - ამას წინად დაბეჭდილი იყო ვალაკიონ ტაბიძის პოემა, სადაც ავტორი მხატვრული ფორმის სახით გვაწოდის მეტად ვულგარულ რეაქციონურ სახეებს. ეს ლექსი ამკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთი გზა არაფრად არ ვარგა. მწერლობა ამას უნდა ერიღოს“.

1924-25 წლებში ვალაკიონმა „მნათობში“ ორი პოემა დაბეჭდა: „მოგონებანი“... და „ჯონ რიდი“. რ. თვარაძის წერილის გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომელ პოემასაც უნდა აღეშფოთებინა ასე ს. ორჯანიკიძე. სწორედ „მოგონებანი“... გახლდათ ის პოემა, რომლის დაბეჭდვის გამო ეურნალის თითქმის მთელი გირაჲი გაუნადგურებიათ, სოლო ვალაკიონი რამდენიმე თვით დაუპატიმრებიათ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით „ლიგერატურული საქართველოს“ 1997 წლის 28 ნოემბერ-5 დეკემბრის ნომერში ახალი, მეტად საინტერესო დოკუმენტი გამოაქვეყნა ოთარ ჯანელიძემ (იხ. მისი წერილი „დახურეკალი თავისუფლება“) - დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის უნივერსიტეტის ფონდში მიკვლეული წერილი, რომელიც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაცელად შექმნილ არალეგალურ საორგანიზაციო კომიტეტს გაუგზავნია ნოე ეორდანიასთვის 1924 წლის შემოდგომაზე თბილისიდან პარიზში. „მთავრობა, - აღნიშნულია წერილში, - საშინელ პირობებში გვაყენებს ჩვენ. თავისიანებსაც არ ინდობს, თუკი ივინი სიმართლის გამჟღავნებას გაბედავენ. თავიანთი პრესა ხომ საშინელი ცენზურის ქვეშ ყავთ დაყენებული. ამას წინათ კონფისკაცია უყევს თავიანთ ეურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომერს. იქ ვალაკაციონ გაბიძის ლექსი „100 პროცენტი“ და სხვა იყო მოთავსებული. ლექსში უცხოელი ხალხის მღელვარება და მთავრობის რისხვაა აღწერილი. ბოლშევიკებმა ამაში საარაკო მაიმუნის მსგავსად თავიანთი სახე დაინახეს. გაბიძე დააპატიმრეს და რამდენიმე ხანი ჩეკაში ყავდათ. საშინელი რეაქცია სუფევს აქ. ცარიზმის დრო ამასთან შედარებით ხალხისათვის ბრწყინვალე იდეალია“.

დოკუმენტში მოხსენიებული ლექსი სინამდვილეში რომ პოეტის ზემოთ დასახელებული პოემაა, ამას ნაწარმოების პირველივე სტრიქონი ადასტურებს: „100% - აღნობს და დაგავს ღრუბლების გივი...“

როგორც ციტირებული მასალებითაც დასტურდება, ხელისუფლება არა მარტო მიმხედარა აკტორის ნამდვილ ჩანაფიქრს, არამედ მკაცრი ზომებისთვისაც მიუძარსთავს. ს. ორჯონიკიძის აღშფოთებას ამ შემთხვევაში ისიც ზრდიდა, რომ 1924 წლის სისხლიანი შურისძიების ერთ-ერთი აქტიური შემოქმედი თავად ისიც იყო. პოემაში ეს გრაფიკული ფაქტი ასეა აღწერილი:

მთელი სამი დღე ვაგრძელდა სროლა. სისხლიც ათავდა,  
ორი მრისხანე სტიქის ბრძოლა მწარედ გათავდა.  
დაჭრილი, მკედარი, მრავალი მსხვერპლი მსხვერპლს ეფარება,  
სახლების ნაყელად ნაცარი, ფერფლი, მგლოვიარება.  
გამარჯვებულნი სასტიკი ხელით აღრჩობენ გყვეებს.  
კაფავენ, ხერეგენ. ხალხის სახელით უსპობენ დღეებს...  
...რბის ორი ძალი: მათ ისგორია ვერ დააფეთებს,  
პირიდან გლეჯენ ერთიმეორეს ხორცის ნაფლეთებს.  
და მთელი კვირა სადგურის იქით მაგარებული  
იდგა, შიგ შეკვდრები უყარა რიგით უფარებელი.



აქ დაგრიალეული გრაგედია რომ საქართველოში 1924 წლის აგვისტოში მომხდარ ამბებს გულისხმობს, ეს პოემის ძირითად ტექსტთან ერთად, მისი ვარიანტებითაც დასტურდება. ნაწარმოებში მოქმედება, როგორც ცნობილია, უცხოეთში ხდება. პოეტი არ აკონკრეტებს ქვეყანას, მაგრამ მთავარი პერსონაჟები - ევა და ლუჩიო რომ უცხოელები არიან, ეს ნათლად ჩანს პოემიდან. და აი, თითქოსდა სრულიად ულოგიკოდ და მოულოდნელად, ნაწარმოებში აღწერილ გრაგიულ მოვლენათა გეოგრაფიული არეალი უცხოეთიდან საქართველოში გადმოიდის. ამაზე მეტყველებს ისეთი სახელწოდებების გაჩენა ტექსტში, როგორებიცაა: გვილისი, აელაბარი, მტკეპარი... ამით პოეტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოემაში მოთხრობილი გრაგედია საქართველოში მომხდარ ამბებს გულისხმობს:

ჩააქრო ყველგან სანსილები მგევრმა, დაკრა დარაბას. დალენა ბინა.

ქალაქის გარეთ გუგუნებს ფერმა, ვერ უპოვია ქაოსებს ბინა.

აელაბრის დაღმა უშმაკის ხარო საესეა შიშით, საესეა წყრომით,

იქროლე ქარო. იქროლე ქარო, მთერალო სიციეთ და შეპოდგომით.

გლედეს წივილი, თხოვნა ხეწილი და ქაჯურ ვალსში იყო ვართული,

ეს გვილისია. - თმაგაწეწილი და მწუხარება ჩვენი, - ქართული.

აქვე აღენიშნავ იმასაც, რომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ამ საშინელების პოეტურ ხილვათა ოქტიომბრის ციე და ბნელ ქართან დაკავშირება: „ოქტომბრის ქარი ცივი და ბნელი, სმაურობს მტკეპარი“.

პოეტის მიერ აქ ოქტომბრის ხსენება რომ გარკვეული სიმბოლური ქვეტექსტის მიმანიშნებელია, ამას პოემის სხვა სტრიქონებიც ადასტურებენ. კერძოდ, გავიხსენოთ ის ადგილი, სადაც საუბარია უცრად მოვარდნილ „ძლიერ სტიგმაზე“, რომელმაც ირგვლივ ყველაფერი არია და ქვეყანა შეარყია. „ყოველი მხრიდან ბერაედა ქარი, ყოველი მხრიდანო“, - ამბობს ავტორი და ნათლად მიგვანიშნებს, რომ ამ ქარში ის ბუნების სტიქიას არ გულისხმობს. ეს ქარი, მისი დახასიათებით, ჩრდილოეთიდან მოვარდნილი წითელი მრისხანე ძალაა („ჩრდილოის ქარი იყო წითელი“...), რომელიც წარმოუდგენელ საშინელებას ამკვიდრებს ირგვლივ.

პოემაში ერთგან სადგურს იქით გადაყენებულ მკვდრებით საესე მატარებელზეცაა საუბარი... ეს დეტალიც, ვფიქრობ, ზუსტად შეესატყვისება 1924 წლის გრაგიულ ამბებს. როგორც ცნობილია, მეამბოხეთა ერთი დიდი ნაწილი საბარგო ვაგონებში ჩაკეტეს, მატარებელი არგვეთის მასლობლად, უკაცრიელ ველზე, გადააყენეს, გყვიებით დაეხრილეს და ერთიანად გაელიტეს შივ ჩაკეტილი ადამიანები.

პოემაში მოთხრობილი ამბის ქართულ სინამდვილესთან კავში-

რი. ეფიქრობ, ამ ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს:

ემიგრანტები ნალარის ცემით მოვიდნენ შიროთ,  
ოივით რესპუბლიკა მოვიდა გემით, გყვიით. გეროორით.  
აქაც იწყება, იქაც იწყება. ყველგან ელიას!  
ქვეყანა სისხლით რომ მოირწყება - ეს ჩაიფლია.  
გარბიან ძველი წყობის ლანდები და ბანკორები,  
არისტოკრატები. ექსელბანდები ეაჭრი ვირები,  
რევოლუცია კეალდაკეალ მოსდეს ხალხს და ჯამათს,  
მაგრამ აქაც თუ ანკესი მოსდეს? წყველა ამ საათს.

აქ აღწერილი ამბის ბევრი დეტალი შეიძლება უშუალოდ დავეუკაუ-  
შიროთ 1921 წლის თებერვლის გრაგიკულ მოვლენებს, რომელთაც  
საქართველოს გასაბჭოება მოჰყვა თან. ნალარის ცემით მოსულ ემიგ-  
რანტებში, ალბათ, ჩვენი ერის ის „დიდი ინტერნაციონალისტი“ შეი-  
ლები იგულისხმებიან, გყვიითა და გეროორით რომ მოიგანეს საქარ-  
თველოში რევოლუცია, სისხლით მორწყული ქვეყანა, ძველი წყობის  
ლანდების სამშობლოდან გადახეწა, რევოლუციის სისხლიანი თა-  
რეში... ეს და მსგავსი დეტალები, პოემაში საკმაოდ მრავლად რომ  
გვხვდებიან, ამკარად განვიმტკიცებენ მეძოქმულ თვალსაზრისს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში პარტიის მიერ თანმიმდევრული  
სიმკაცრითა და სისასტიკით გატარებულმა იდეოლოგიურმა პოლი-  
ტიკამ ყველაფერი გააკეთა თავისუფალი შემოქმედებითი ამროვნების  
შესაბოჭად და დასაირგუნად, რამაც არსებითად განაპირობა ის ვა-  
რემოება, რომ ამ პერიოდის ქართულმა მწერლობამ, მიუხედავად  
მისი ფასდაუდებელი ეროვნული ღვაწლისა, სრულყოფილად ვერ გა-  
მოაქვინა თავისი უდიდესი შინაგანი პოტენცია.

ალბათ, არ შეეცდები, თუ ვიგყვი, რომ არასოდეს, არსებობის არც  
ერთ ეტაპზე, არ ყოფილა ჩვენი ლიტერატურა ისე კონიუნქტურული,  
როგორც საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ფაქტობრივად, ძნელად  
თუ მოიძებნება მწერალი, რომელიც იმჟამინდელი იდეოლოგიური  
პოლიტიკის არგახებით არ ყოფილიყოს მეგნაკლებად შებოჭილი და  
ხარკი არ გადაეხადოს ხელისუფლებისთვის.

და მაინც, ამისდა მიუხედავად, ჩვენი მწერლობის საუკეთესო ოს-  
ტატებმა, რომ იგყვიან, შეუძლებელი შეძლეს და კიდევ უფრო განა-  
ვითარეს და გაამრავალფეროვნეს ეროვნული ლიტერატურული გრა-  
დიციები. მიუხედავად იმისა, რომ მართალი სიტყვის თქმა და დამ-  
კვიდრებული იდეოლოგიისაგან განსხვავებული თვალსაზრისის  
გამჟავნება უდიდეს რისკთან იყო დაკავშირებული, ბევრი ჩვენი მწერ-  
ლის შემოქმედებაში ამ გაბედულების მაგალითები, საბედნიეროდ,  
საძებარი არ არის. ისინი ხან შეფარვით, ხან ალეგორიულ-სიმბოლუ-

რი ფორმით, ხანაც კი პირდაპირ ცდილობდნენ შეულამაზებლად და ობიექტურად ესაუბრათ სიმართლეს.

ამგვარი სულისკვეთების ნაწარმოებთა გამოქვეყნებას ხშირად აცყდებოდა ხოლმე თავეს ხელისუფლებისა და მისი ინტერესების მესობზე კრიტიკოსთა რისხვა და აღშორობა. არაერთი ასეთი ქმნილება ხელნაწერების სახით, გასაიდუმლოებულად და კონსპირაციულად გავრცელდა იმხანად და მხოლოდ შემდეგ იხილა მზის სინათლე. ეს ყველაფერი სინანულითა და ტკივილით გასახსენებელი ჩვენი უახლესი ისტორიაა, ის მწარე სინამდვილე, რომელმაც აუნაზღაურებელი ჯნება მიაყენა ჩვენს მწერლობას, საერთოდ, ჩვენს სულიერ კულტურას.

ქვემოთ შეიყვანული მკითხველის ყურადღება მივაპყრო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების სწორედ ამ ნიმუშებს, იმ ნაწარმოებებს, რომელნიც კრიტიკული, ოპოზიციური თვალსაზრისით ასახავენ საბჭოთა პერიოდის სინამდვილეს და ხილულად თუ შეუარაყით ამკარად უპირისპირდებიან იმეამინდელ იდეოლოგიას. ამ ნაწარმოებთა ერთი ნაწილი ან პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, ანდა მწერლის თხოვრებთა თორმეტგომეულის ეარიანტებისა და შენიშვნების განყოფილებაშია დაბეჭდილი, ნაწილის დასტამბვა კი ავტორის სიცოცხლეშიც მოხერხდა და ხელისუფლებისა და კრიტიკის მკაცრი თავდასხმების ობიექტად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ოპოზიციური ნაწარმოებების ხვედრითი წილი გ. ტაბიძის შემოქმედებაში საბჭოთა ეპოქის განსაზღვრულად დაწერილ ქმნილებებთან შედარებით რაოდენობრივად თვალსაზრისით მცირეა, მათ მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსის შესასწავლად.

გ. ტაბიძის ოპოზიციური სულისკვეთება ყველაზე მეტად ეროვნული პრობლემის გააზრების ღროს გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აწმყოსა და მომავალს პოეტი თავისი ლექსებისა და პოემების ერთ ნაწილში ჩვენი სამშობლოს ბედნიერ ხანად სახაყს და ამ ბედნიერების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებად საბჭოთა ხელისუფლებასა და რუსეთთან ერთობას მიიჩნევს, შიგადაშიგ, ამკარადაც და შენიღბულადაც იგი მწვავე გულისტკივილით იმაზეც წუხს, რომ „დაკარგული იყო გზა მოხეყვის“ და ეროვნული თავისუფლების ნანატრი ხანა ქვეყანას სახვალიოდ უნდა მოეპოვებინა.

გალაკტიონის ე. წ. ოპოზიციურ პატრიოტულ ნაწარმოებთაგან მეტად მნიშვნელოვანია ლექსი „გორიდან“ (1927 წ.), რომელიც, რო-

გორც მართებულად შენიშნავს რეკამ თვარაძე. „დიდებული პოლიტიკური პამფლეტი და მრავალგანსმენილი ბოლშევიკური „ბრძნული ეროვნული პოლიტიკის სრული გამასხრება. სგალინის. ორჯონიკიძის და ძმათა მათთა მიერ დაგლეჯილ-დანაკეწებული საქართველოს გამოცირებადა“ („კრიტიკა“, 1990 წ., №4, გვ. 26).

მე არ შეყალა, გორში დაერჩა სულ ერთი ღამე - როგორც კი ღიახვს შოედინა დილის ნიადი, გზა გირძნისისკეს . ერცული ველი გირიფონისა სამხრეთ ოსეთის საბღვართან ვარ... აპა, გყეიადი! მამასაღამე ბიჯი ერთი და - საბღვარვარეთ! საითკენაყ გსურს, რომ ვინდოდეს წადლენ სიონი, მავრამ რა კარგი სანახაყი იმღება არეთი - სულ ახლოს არის თეთრი მთები კაკასიონის, მთები, რომელმეყ, ლევენდების თქმით, რა ხანია მუღმეყ თიული და მიჯაჭველი ამირანია.

ვალაკტიონი ხშირად წუხდა იმის გამო, რომ „დაკარგული იყო გზა მოხევისი“ და ირგვლიე წყვიღადი ღამე მუფობდა (იხ. ლექსი - „ღრუბლები ჰგვანან ამღვრულ გვინებს“, 1927 წ.). ვუიქრობ, ყოველი ქართველისათვის უკომენტაროდაც ნათელია, რა სიმბოლურ-ალეგორიული ამრიყ იგულისხმება მოხევის გზის ცნებაში და რა წყვიღადმე საუბრობს პოეტი ესოდენი გულისგკვიდით.

გ. გაბიძის პოემიაში გრავიკული სიმწვაეთაა განცდილი ეროვნული ვადავგარებისა და დეგრადაციის დამღუპველი შედეგები, ახალმა ეპოქამ რომ დააგება თავს ჩვენს ქვეყანას. მაგალითად, იმ დროს, როცა საბჭოსა იდეოლოგია მთელ მსოფლიოს დაბეჯითებით უმტკიცებდა საბჭოთა კავშირში „ძმურად“ მცხოვრები ერებისა და სახელმწიფოების არნახული აყევაებისა და აღმევეების ამბავს, გ. გაბიძე ასყთ სგრიქონებს წერდა:

ია-ვარდი რომ არ არის, საღ მოყკრიფო?  
საქართველო მხოლოდ პრასა და ქინძია,  
საქართველო ერთდროს იყო სახელმწიფო,  
საქართველო ვხლა არის პროვინცია...

ასეთია, პოეტის შეფასებით, წარსულისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების საყალალო შედეგი. ვალაკტიონი თვალნათლიე ხედავდა, რომ ირგვლიე ისეთი პროცესები ვითარდებოდა, რომელთა წყალობითაც კვლებოდა, ითრგუნებოდა, დეფორმირდებოდა მარადიული ქართული სული, იღუპებოდა და სახეს კარგავდა საქართველო.

ეპოქალური სინამღვიღისადმი პოეტის ამგვარ პროტესტანტულ დამოკიდებულებას არსებითად განსამღვრავდა ის ვარემოება, რომ „გა-

დამთიელი ვადია“ თავისუფლად სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა მის სამშობლოს. „ერთდროს მძლავრ სახელმწიფოდ“ მყოფი და „ეხლა პროვინციალ“ ქცეული საქართველო უნუგემოდ გმინაყდა ამ „გადამთიელი ვადიის“ კირთებქვეშ. ამ მღგომარეობით გულშე-  
ღონებული პოეტი ტანჯვით ამოიგმინებდა:

ჩვენვე ჩენი თავი აღარ გვეყუნების,  
სული გვეხუთების. სუნთქვა გვეხუთების.

მიუხედავად იმ მკაცრი იდეოლოგიური არტახებისა, რითაც სოცია-  
ლისტური ეპოქა თავისუფალი აზრის ყოველგვარ გამოვლინებას  
ბოჭავდა, გ. ტაბიძის შემოქმედებაში, როგორც უკვე ვნახეთ, მაინც  
უდიდესი მოქალაქეობრივი გაბედულებით ისმის პროტესტის სმა. ნათ-  
ქვამის დასტურად გაეიხსენოთ კიდეც ერთი მაგალითი, რომელშიც  
საქართველოს გადაგვარება-გაბედითების ტრაგიკული მღგომარეობა  
ასეა შეფასებული:

რაა მასმე გულდამწყვეტი, მეტეხო და ღიღმის ეელო,  
მიღიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო.  
არის ხლართი რეინიგმების, არის აეგო-მოგო-ველო.  
არის ოჯახებიც, მაგრამ ეს არ არის საქართველო.

ეროვნული ტკივილის ტრაგიკულ განცდას კიდეც უფრო ამძაფრებდა  
იმის გააზრება, რომ ქვეყანაში არნახულად იყო აღმკვეებული ჯამუ-  
შობა, ღალატი, ორპირობა და სხვა ადამიანური სიმდაბლენი. „ბერი-  
ას კუდები“ ყოველ კუთხე-კუნჭულს იყენენ მოდებულნი. „ქუჩები,  
ოჯახები აიყსო ჯამუშებითო“, - მწარედ ამოიგმინებს პოეტი და და-  
უფარავად ასახელებს კიდეც ქართველი ერის მთავარ „სულის  
ამომხდომელთა“ სახელებსაც - სტალინსა და ბერიას.

გალაკტიონის პროტესტანტულ განწყობილებას. უპირველეს ყოვე-  
ლისა, იმის გაცნობიერება განაპირობებდა, ქვეყანაცა და პიროვნე-  
ბაცა ბორკილდადებული რომ გმინაყდა „გადამთიელი ვადიის“ კირ-  
თებქვეშ: „გაპქრა, სულს ისევ ღიმილით არ ეალუბლება თავისუფ-  
ლება, დახერეტილი თავისუფლება“, - ტკივილით ამოიგმინებს იგი  
ერთგან და ცრემლიანი სტრიქონებით ხატავს დაკარგული თავისუფ-  
ლების სანაცულოდ „უხილავი ბორკილებით“ შებოჭილი ქვეყნისა და  
პიროვნების სულიერ შეჭირვებას.

ეახტანვ ჯაეახაძეს პოეტის არქივიდან 1924 წელს დაწერილი ერ-  
ოსტროფიანი მაჯამაც მოჰყავს, სადაც მძაფრი ირონიითაა მხილებული  
ის ტრაგიკული შედეგები, რომლებიც სულ მალე შეიძლებოდა მოჰ  
ყოლოდა პარტიისა და ხელისუფლების მიერ საბჭოთა კავშირში ფარ-  
თო მასშტაბით გატარებულ ეროვნულ პოლიტიკას:

ეს ვალიას, ეს თედორეს, ეს ტარიელს, ეს კი მოსეს,

ჯერ ვითივლებით ქართიელებად, თუ არ ვაგვეყესკომოსუს.

ოციანი წლებიდან მოყოლებული, გ. გაბიძის პოეზიაში განსაკუთრებული ძალით ვლინდება ახალი ეპოქის წინააღმდეგ მიმართული ოპიზიციური განწყობილებანიც. 1925 წელს დაწერილ ერთ-ერთ ლექსში („დროის უარმყოფელი“). მაგალითად. პოეტი პირდაპირ ამბობს, რომ იგი „ახალი დროის უარმყოფელი“ იყო, ვისაც არაერთხელ დააყვავებინა ცხოვრებამ „ბვირფასი მხამით სავეს ფიალა“.

გალაკტიონის იმეამინდელ პოეზიაში ფართო მასშტაბები აქვს შეძენილი სულიერი დეპრესიის გამოხატვას. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ პოეტს თვითმკვლელობაც არაერთხელ უცდია. 1922 წელს კი შინაგანი უმწეობითა და მელანქოლიით შეპყრობილმა ერთიანად დაწკა და გაანადგურა თავისი ხელნაწერები. აი, როგორ გამოხატა მან ერთგან („დღეს დღეები ეცლება“, 1927 წ.) ეს სულიერი სასოწარკვეთა:

დღეს დღეები ეცლება მშვიდი და მოაეკარგე,  
გაქჟრა ის ქარიშხალი - ის სიცილიც დაეკარგე.  
ღამით რომ დასქეროდა მარტოობის სანთელი,  
ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნები დაეკარგე  
დაეწვი ხელნაწერები! სუსხი და ურუანტელი,  
იმ ელემთან არასდროს არ ეიქნები... დაეკარგე.

ამ სულიერ დეპრესიასა და სასოწარკვეთას, მართალია, მრავალი ხილული თუ უხილავი მიზეზი განაპირობებდა და მათი ბოლომდე გუსტი ახსნა-გაცნობიერება დღეს, ალბათ, შეუძლებელიცაა, მაგრამ, ვფიქრობ, არაფერს გახდის სადავოდ იმ გარემოებას, რომ პოეტის კომპარულ სულიერ განწყობილებას დიდად განსაზღვრავდა სოციალისტური ყოფის შედეგად დაპყვიდრებული ვითარებაც.

ამ განცხადებისთვის მყარ საფუძველს ქმნიან პოეტის ის ნაწარმოებები, რომლებიც თავიანთი სულისკვეთებით, განწყობილებით, ცხოვრებისეული რეალობის შეულამაზებელი წარმოსახვით მძაფრად უპირისპირდებიან საბჭოთა იდეოლოგიის მიერ გაფეციშებულ სინამდვილეს. მაგალითად, იმ დროს, როცა მთელი მსოფლიოს გასაგონად პარტია და ხელისუფლება ხმამაღლა ასხამდა ხოტბას საბჭოთა ადამიანების ბედნიერ ცხოვრებასა და უკიდევანო შრომით ენთუზიაზმს, რის შედეგადაც თითქოს „ძირფესვიანად გარდაიქმნა და საამური“ გახდა ჩვენი ყოფა, გ. გაბიძე ყოველდღიურობის ამგვარ გულისშემძვრულ სინამდვილეს ხატავს („ქუჩაზე“, 1927 წ.):

პატარა პირუტყვებითი ყყრია ბავშვები ზამირის ქუჩებში,  
პირუტყვებს რამე მინც ფარავს, ბავშვებს - არა რა.  
...ა, ქუჩაზე ეტლს მიათრეეს ფაშაგი ცხენი,

იყის იმ ცხენმაყ. რომ დახელება სიითო და თივა.  
მოხსნიან ლაჯამს და საპალნეს. მისიყემენ თოფრას  
ასე არ იყნებობს პატარა მაწანწალა. ამოწუჰქული და ეფერული  
იგი ეხლავ არის შშიერი მგელი, იგი ეხლავ არის ლაქუყა ძალი.  
სნეული ბავშვები. კატის კნეკებიყით ღამით მიყრილი  
თიოელიან ქვებზე. ოყნებობენ მყელელობაზე,

სისხლზე და იყესლზე.

ასეთი შემადრწუნებელი ფორმით გვამყნობს პოეტი გრაფიყულ  
ხეედრს „მამთრის ქუჩებში პირუტყყეებიყით დაყრილი ბავშყებისას“,  
რომლებიყ ქყეყნად დამყვიდრებული სიოყიადური უსამაროილობს უმ-  
წეო მსხვერპლად ქყეულან. ამ პატარა მაწანწალების სახით, აყგო-  
რის შეფასებით, სამომავლოდ სამოგადოებას სისხლზე, ცრემლსა და  
მყელელობაზე მეოყნებე, ცხოყრებით გაბოროტყული ადამიანები  
ეზრდებიან.

30-იან წლებში, სისხლიანი რეპრესიების აღმეყების ყამს, არის  
დაწერილი გ. გაბიძის ერთი პატარა, ორსტროფიანი ლექსი, რომე-  
ლიყ თორმეტტომეულის მესამე ტომშია დაბეყდილი, როგორყ ერთ-  
ერთი ნაწარმოების („წავიდეთ ქარხნებში, აყგეხოთ განგაში“) ყა-  
რიანტი. იმ დროს, როყა საბჭოთა იდეოლოგია მთელი მსოფლიოს  
გასავონად გაპყყიროდა სოყიალისტური ეპოქის სიღიადესა და უპი-  
რატესობაზე კაპიგალიზმთან შედარებით, ვალაკიოინი ასეთ პოე-  
ტურ ბარათს უგბაენის საბჭოეთის „მოსისხლე მტრად“ გამოყსადებულ  
ეყროპას:

გამომიგზავნე, ეყროპა, ფული, რომ შევიძინო განისამოსი,  
გამომიგზავნე, ეყროპა, ფული, რომ შევიძინო აყტომობილი.  
რომ დავიბრუნო აყტომობილი, რომ დავიბრუნო ჩემი ხარები,  
რომ აღვიდგინო ეს ეკლესია, რომ ისეე გაყხსნა კაფე-მანტანი,  
თორემ საყაა მომყლავს შიმშილი...

უფიქრობ, მათხოყრად ქყეული საბჭოთა ადამიანის ამ სასოწარ-  
კყეთილი ვედრებიდან უკომენტაროდაყ ნათლად ჩანს ის უბადრუკი  
სინამდვილე, რომელიყ ახალ ეპოქას დაუმყვიდრებია ჩყენს ქყეყანაში.

ოყიანი წლებიდან მოყოლებული ორმოყდაათიანი წლების დასას-  
რულამდე, როგორყ ცნობილია, სტალინისადმი აღვლენილმა ხოტბამ  
უჩყეულოდ ფართო მასშტაბები შეიძინა. ფაქტობრივად, არ დარჩენი-  
ლა იმხანად მოღვაწე მწერალი, რომელსაყ, ნებსით თუ იბულებით,  
ამ საყოველთაო ისტერიაში მონაწილეობა არ მიელოს. სხვაგვარად  
მამინ რომ არ შეიძლებოდა მოქყყეა, ეს ცხადია და ამაზე სიტყვის  
გაგრძელება აღბათ საჭირო არაა.

მაგრამ ვალაკიოინის შემოქმედება ამ შემთხვეყაში იმ მხრივად

გამოღვა საინტერესო. რომ პოეგის საარქივო დოკუმენტების შესწავლის შედეგად მკვლევარებმა სწორედ ამ პერიოდში დაწერილი არაერთი ანტიკალინური სასიათის ნაწარმოებიც გამოამჩქურეს. იმ მრისხანე წლებში. როცა სგალინისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ არათუ სიგყის ხმამაღლა იქმა და რაიმეს დაწერა, გაფიქრებაც კი პანიკური შიშის მარს სცემდა ადამიანს, ვალაკტიონმა ამგვარი ვაბედულებით წარმოაჩინა ამ რეჟიმისა და მისი უპირველესი შემოქმედის საგანური და დიქტატორული ბუნება:

სისხლის ლეარი აშლენი ნეგა ვინ დააყენა?  
ჭირი სხვადასხვაგვარი ნეგა ვინ მოგვაყენა?  
არე კაცთა ცხედრებით ნეგა ვინ ვადაფარა?  
ვინ წაართვა სამარე, ბნელს ვინ ვადააბარა?  
რაგომ, რისთვის, მითხარით, აქ ვინ რა დააშავა?  
მიწა რამ გააწითლა, ზეცა რამ გააშავა?  
ვინ მიმქროლი მერანი ამ გზად ვინ შეაყენა  
და აქამდე ნათელი დიდი გზა ვინ გაპყინა?  
ვინ სად ვადაასახლეს? სიბნელეე, რა დავარქვა?  
ცხრა მთას იქით. ეს ხალხი ნეგა ვინ ვადააკარგა?  
კაცი, ვისაც სიმტკიცით ვერაჟინ ვადახრიდა.  
ვინ, რომელი იუდა კაცის ხელმა დახერიგა?  
წყლული ვით მოშუშლება საამო მოშუშებით,  
ქუჩები, ოჯახები აივსო ჯამუშებით.  
ვინ არის ის, აშლენი სისხლი რომ დააქცია,  
ვინ არის, ეს ედემი უდაბნოდ რომ აქცია?  
ვინ არის ის. სამშობლო სისხლისფრად რომ მოხატა,  
ვინ არის ის. ქართველ ერს სული რომ ამოხადა?

საბედნიეროდ, ვალაკტიონს არც ეს უმწვავესი კითხვები დაუტოვებია უპასუხოდ და მან მისთვის ჩვეული პოეტური ძალმოსილებით ამ შემმარავე სისხლიანი გრაგვიდის საშინელებანიც განსვაცდევინა თავისი შემოქმედებით.

ვალაკტიონისათვის, როგორც პოეგისათვის, ერთადერთ იარაღს ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მხოლოდლა სიგყვა წარმოადგენდა და, როგორც მისი შემოქმედებიდან ნათლად ჩანს, მან ეს იარაღი რაინდული ვაბედულებითა და პირდაპირობით გამოიყენა უსამართლობისა და ძალმომრეობის სამხილებლად. იგი თავისი ოპოზიციური ნაწარმოებებით მუდამ ცდილობდა იმ უხილავი თუ ხილული ბოროტების დამსხვრევას, რითაც ბოლშევიკური იდეოლოგიის შესვეურნი თავისუფალ აზროვნებას ბოჭავდნენ და რკინის მარწუხებში აქცევდნენ.

გ. ტაბიძის ე. წ. ოპოზიციურ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით სა-



ინგერესოა პოემა „კლასობრივი ბრძოლა“ (1930-1935 წწ.), რომელშიც მძაფრი შინაჯანს ირონიითა და შენიღბული კრიტიკული თვალთახედვითაა დახასიათებული სოციალისტური ყოფის მანკიერებანი და ახალი დროების დამკვიდრების შედეგად „მოჭარბებული წითელნიღბების მთელი არმია“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კოლექტივისადმი გამოვლენილი კრიტიკულ-ირონიული დამოკიდებულება.

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ კოლექტივისადმი ავტორის ამგვარი პოზიცია იმ წლებში გამოვლინდა, როცა კოლექტიური მეურნეობების შექმნა და დამკვიდრება პარტიისა და ხელისუფლების მიერ ჩვენი გამარჯვების უმთავრეს პირობად იყო გამოცხადებული. პოემაში გამოხატული გ. გაბიძის თვალსაზრისი რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა იმეამინდელი ჩვენი ხელისუფლების იდეოლოგიას.

როცა პოემაში გამოვლენილ ავტორის კრიტიკულ პოზიციამაგა საუბარი, ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოების ძირითად გეჟსტში გამოუქვეყნებელი და ვარიანტებისა და შენიღბების განყოფილებაში შეტანილი ის ფრაგმენტია, რომელშიც პირდაპირ, ყოყუელგვარი ორაზროვნებისა და შენიღბვის გარეშეა მხილებული იმხანად ქვეყანაში აღმევეებული სისხლიანი რეპრესიები. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ამ რეპრესიების საშინელება უშუალოდ თავის თავმეც ჰქონდა გალაკტიონს გამოცდილი მეულის ორჯერ დაპატიმრებითა და შუააზიაში საბედისწერო გადასახლებით. ამ გარემოებამაც დიდად განაპირობა ის სიმძაფრე და სიმწვაყე, რითაც პოემის ეს ფრაგმენტი ხასიათდება:

მე არ ვიგყვი რამე სხვას, სასწაულზე იმან თქვას,

ვინაც გადაურჩება ათას-ცხრაას-ოცდა-რვას...

მე ვიგყვი და აი, რას: ეს ქვეყანა იმან ხრას,

ვინაც გადაურჩება ათას-ცხრაას-ოცდა-ცხრას...

არაჟურის თქმა არა მწადს, დაუმაღლოს იმან ხატს,

ვინაც გადაურჩება ათას-ცხრაას-ოცდაათს...

მე არ ვიგყვი რამე სხვას... სასწაულზე იმან თქვას,

ვინაც გადაურჩება ცხრაას-თერთმეტ-სამოც-რვას(1)...

შენ ნუ იგყვის რამეს სხვას, ვერ დაამრობ სიგყვით ზღვას,

ვისაც რა სურს, ისა თქვას, წისქვილმა კი ფქვას და ფქვას.

რა თქმა უნდა, გ. გაბიძის შემოქმედებაში კრიტიკულ-პოზიციური სულისკვეთების გამომხატველი ნაწარმოებები მხოლოდ დამოწმებული მაგალითებით არ ამოიწურება, მაგრამ, ვფიქრობ, მათზე დაყრდნობითაც ერთხელ კიდევ ნათლად დაინახავს დაინტერესებული მკითხველი, რამდენად მწვაყეა და ფართო მასშტაბების მომყველი

პოეტის მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი კრიტიკულ-ოპოზიციური განწყობა და დაპირისპირება საბჭოთა იდეოლოგიის ფუძემდებლურ პრინციპებთან

\* \* \*

საბჭოთა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ ქართველ მწერალთაგან ცალკე, საგანგებოდ, უნდა გამოვეყოს **კონსტანტინე გამსახურდია**. მიუხედავად იმისა, რომ იგი იდეოლოგიურად კომპრომისული რამდენიმე ნაწარმოების ავტორიცაა, მისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი უპირველეს ყოვლისა სოციალისტური რეჟიმის მიმართ კრიტიკულად განწყობილი მწერლის მიერაა დაწერილი და მოქალაქეობრივი გაბედულებით ამხელს იმეამინდელი იდეოლოგიის მანკიერ მხარეებს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“ (1924-1925 წწ.), რომელშიც განსაკუთრებული ყურადღების საგნადაა ქცეული ქართველი ხალხის ბრძოლა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. ეს პრობლემა რომანში თავიდანვე იმდენად შეუნიღბავად და მწვავედ იყო დასმული, რომ კ. გამსახურდია შემდგომში იძულებული გახდა რამდენადმე შეერბილებინა კიდევ იგი (აქ, უწინარეს ყოვლისა, სლანსკისთან დაკავშირებული ეპიზოდები უნდა გავიხსენოთ).

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში ძირითადად ათიანი წლების მეორე ნახევრის ყოფაა აღწერილი, მასში თავისებური ფორმით ის სისხლიანი გრაგელიც ირეკლება, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენათა შედეგად დააგყდა თავს ჩვენს ქვეყანას. კ. გამსახურდია არაორაზროვნად გვამცნობს, რომ ამ გრაგელის მთავარი შემოქმედი ძალა რუსი ბოლშევიკები იყვნენ. იმის ნათელსაყოფად, როგორ ახასიათებს მწერალი მათ ბარბაროსულ ქმედებას, გავიხსენოთ ფრაგმენტი რომანიდან: „დაგვიქციეს საქართველო ქვიშასავით ურიცხვმა მტრებმა, დაცარცვეს ჩვენი წინაპრების სალოცავები, წაგვართვეს ჩვენი წინაპრების მიწები და უცხო ნათესავი ჩამოგვითესლეს. შეგვირყვნეს ენა - ჩვენი მამაპაპის წმიდათა წმიდა, დაგვინგრიეს ოჯახი, გავვიბახეს რჯული და თავიანთი ჯარების საჯირითოდ გაიხადეს ჩვენი ქვეყანა. გვიშეელეთ, ძმებო, და გავრეკოთ რუსების ხელმწიფის ჯარები ჩვენი საქართველოს საზღვრებიდან. ავაფეთქოთ ხიდები, ყაჩაღებით დაუხუვდეთ თემშარებზე, ცეცხლში გავხეიოთ მთელი საქართველო, რადგან ჩვენი საქართველო ან ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, ან და არავის...“

არ უნდა დაგვევიწყდეს, რომ ეს სტრუქტურები 1924 წლის აგვისტოს სისხლიანი გრაგვიდის შემდეგ იწერებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო რუსული აგრესიის წინააღმდეგ პირდაპირი ვალაშქრება, რაც იმასიად უდიდეს მოქალაქეობრივ ვაბუდულებად უნდა მივიჩნიოთ.

მსგავსი ხასიათის ეპიზოდები კი რომანში საკმაოდ მრავლად ვხვდება. მწერალი თავისი ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის პირით გვამცნობს, როგორ აკავშირებდა ეროვნული გრძნობა ერთმანეთთან საქარულოდან ევროპაში გადახვეწილ ქართველებს და შეძლებისდაგვარად როგორ იბრძოდნენ ისინი „რისების ხენიწიფის-საგან“ ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად.

საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამამკვიდრებლის განზოგადებული გიპი კ. გამსახურდიამ სლანსკის პიროვნებაში განასახიერა. ერთგან ამ მოძალადე კოლონიზატორის პიროვნულ სახეს იგი ასე აღწერს: „მარმარილოს გახტმე დაწყმალალი, ყვითელ ეპოლეტებიანი მონღოლი იჯდა. ფართე, განზე გამდგარი ყვითელი ყურები ჰქონდა: ყურებიდან თალგამი შოდიოდა. თავჩაქინდრული ყვინთაფდა. ვხედავ: თავზე ჩრდილოეთის მეფის გვირგვინი აქვს, მუხლზე ერთაიანი არწივი უბის. ერთ თავზე ბავრაგიონის გვირგვინია. გვირგვინში - თამარის აღმასი!“

როგორც ვხედავთ, სლანსკის პორტრეტის ყოველი დეტალი ღრმამბროუანი სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებითაა აღბეჭდილი. რომანის მთავარი გმირი რაინდული შემართებით უპირისპირდება ბავრაგიონთა გვირგვინის ბარბაროსულად მიმგაცებულ ამ „პირსისხლიან დათვის“ და შეუვალი პირდაპირობით ეუბნება: „სლანსკი, მე და შენ ერთ სახლში ვერ დავეტყვი!“

მაგრამ გახტმე განცხრომით მჯდომარე თვალეხისსხლიანი მოძალადე ასე იოლად მოსაგერიებელი ბარბაროსი არ არის და „არყისაგან ყელგამოთუთქულ ლოთსა“ და სავარსამიძეს შორის სამკედროსასიციოცხლო ბრძოლა იმართება, რაც საბოლოოდ იმით მთავრდება, რომ არგვეთის მთავრის ხმლიანმა სავარსამიძემ ქართველთა „სისხლით გალემილ“ სლანსკის „ყელი გამოჭრა, მისი სისხლი დალია“ და ამით იძია შური ჩვენი ქვეყნის დამაქყევარ დამპყრობელზე.

1936 წელს კ. გამსახურდიამ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა მეორე რომანი - „მთვარის მოტაცება“. ნაწარმოების, გამოქვეყნებამ საბჭოთა პერიოდის ლიგურატურული კრიტიკისა და ოფიციალური ხელისუფლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. ავტორს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ნაწარმოებში საბჭოთა იდეოლოგიისათვის მიუღებელი

ფორმით იყო წარმოსახული სოციალისტური სინამდვილე. „მთივარის მოტაცების“ ამგვარმა კრიტიკამ მწერალი იძულებული გახადა გოგირთი რამ არსებითადაც კი შეეცვალა ნაწარმოების მეორე გამოცემაში (1947 წ.). სწორედ ასე კორექტირებული სახით დაიბეჭდა რომანი მომდევნო გამოცემებში და პირუანდელი ვარიანტის აღდგენა მხოლოდ 1990 წელს გახდა შესაძლებელი.

„მთივარის მოტაცების“ მეორე ვარიანტში შეგანილი სიუჟეტური კორექტივებისაგან, რომელნიც პრინციპულად ცვლიან ნაწარმოების მსოფლმხედველობრივ არსს, უწინარეს ყოვლისა, რომანის ის ეპიზოდი უნდა დავასახელოთ, სადაც კაც ზვამბაიას მკვლელობის ამბავია მოთხრობილი. განსხვავებით პირუანდელი ვარიანტისაგან, სადაც არზაყანი - ახალი ქვეყნის მშენებლობის სამსახურში იდეოლოგიური ფანატიზმით ჩაბმული კომუნისტი - თავად კლავს საკუთარ მამას, რომანის შესწორებულ გამოცემაში კაც ზვამბაიას მკვლელებად უკვე სხვები გვევლინებიან და ამ გრაგვიდასთან შვილს პირდაპირ არაფერი აქვს საერთო. ნაწარმოების სიუჟეტში შეგანილი ამგვარი შესწორება იმ იდეოლოგიური ბეწოლის შედეგი იყო, რასაც კ. გამსახურდია განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

როგორც რომანიდან კარგად ჩანს, ახალი ცხოვრების დამკვიდრების ერთ-ერთ მთავარ პირობად ხელისუფლებას სარწმუნოებრივ სიწმინდეთა წინააღმდეგ ბრძოლა გამოუცხადებია. ამიგომაც იბრძვიან არზაყანი და მისი თანამოაზრენი ესოდენი გააფთრებით „რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან“ ხალხის განსათავისუფლებლად. ამ მიზნით მათი ხელმძღვანელობით ხშირად ეწყობოდა ანტირელიგიური პროცესიები, რომლის ღროსაც ბარბაროსულად ანადგურებდნენ ეკლესიებზე ჯერებსა და ხატებს.

მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი კომკავშირლების მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ ასეთ ანტირელიგიურ აქციას: პროცესიას წინ „მწვანითა და ნემოთი შემკული მსუბუქი ავტომობილები და ცხენოსანი მილიცია“ მიუძღოდნენ. ცენტრში ანტირელიგიური ნიღბები მოჭქონდათ. საბარგო ავტომობილზე ვიღაც პარიკიანი მაჯლაჯუნა კაცი იჯდა - მჭვარგლით შემურული და „სიმინდის საშარისაგან შეხანხლული გრძელი თმა-წიკურით“ შემოსილი ებრაელების ღმერთი საბაოთი. „ეს „ღმერთი“ საკმაოდ ღიპიანი იყო, მას ძველი, გახუნებული ანაფორა ეცვა და უშველებელი ფუტბოლის ბურთი ედგა მუხლზე. ბურთი ალბათ დედამიწის ალევორიად უნდა ყოფილიყო აქ მოგანილი. „ღმერთს“ უკან მოსდევდა გაძვალგყაეუბულ ვირზე შემჯდარი „ქრისტე“ - მათ უკან მიჰყვებოდა ჯაგლაგ ჭაკზე შემჯდარი ხუცესი, 198

იყოს „ღმერთიკით“ ფაშვიანი იყო- ფეხშიშველა ბავშვების მთელი ლამქარი ეკან მისდევდა ხკეეს, დასცინოდნენ. აპამპულაუვებდნენ...“

მეორეჯან კი ახალი ცხოვრების აქტივისტთა ანტირელიგიური ბრძოლა ასეა აღწერილი: „აივსო ილორის ეკლესიის ეზო კომკაეპირლების ლანდებით. ერთმა დაუსტვინა და სამრეკლოს მიაშურეს მყისვე.“

კომკაეპირელები მოედნენ სამრეკლოს... აცოცდნენ ახალგაზრდები სამრეკლოს გეთაემე. ჯერ ილორის დიდ მარას შეშთაყალეს ჯაჭვი. რახრახით, გრუსუნით წამოვიდა ეს უზარმაზარი მუზარადი. დაეცა სამრეკლოს ქეიტიკირის ძგიდებზე, აღრიალდა დაჭრილი მდევიეით და მერმე ბუბუნით დაეცა მიწაზე.

შემდეგ მეორე გარა დაუშვეს ძირს, მეორეს მესამე და მეოთხე მოჰყვა და დილამდის ისმოდა მთელ სოფელში, თუ როგორ ღმუოდნენ, გუოდნენ, ღრიალებდნენ ილორის გარები. ისინი ბზრიალით მოქქროდნენ ჯერ ჰაერში და მერმე შემკრთალი ბღავილით, ყრიალით ეყემოდნენ მიწაზე და კიდეე ცოგა ხანს ისმოდა მათი საწყალობელი ხმა, თითქოს ათასეული წლების დანაკარგს ინაწილებენო“.

როგორც ციტირებული მაგალითებითაც ჩანს, ახალ ხელისუფლებას რელიგიური სიწმინდეების წინააღმდეგ აქტიური ორგანიზებული ბრძოლა ჰქონდა გაჩაღებული. ეს ბრძოლა იმეამინდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მმართულებად იყო ქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნად გაბატონებული იდეოლოგიური პოლიტიკა და ხელისუფლების მიერ მწერლობის ერთადერთ მისაღებ შემოქმედებით მეთოდად აღიარებული სოციალისტური რეალიზმი შემოქმედეს, განსაკუთრებით 30-50-იან წლებში, კატეგორიულად უკრძალავდა კომუნისტის ნეგატიური მხრით ჩვენებას. კ. გამსახურდიას რომანში კომუნისტური იდეოლოგიისა და ამ იდეოლოგიის მსახურთა არაერთი მანკიერებაა დიდი მოქალაქეობრივი გაბედულებით მხილებული. ეს ფაქტი მით უფრო ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კ. გამსახურდიას რომანი იმ დროს დაიწერა, როცა არსებული რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების მიმართ განხორციელებული მასობრივი რეპრესიებით მთელი იმპერია იყო შეძრწუნებული.

ამ თვალსაზრისით „მთვარის მოგაცება“ ეპოქალური სინამდვილის უკომპრომისოდ შემფასებელი წიგნია, რომელშიც შეულამაზებლად და მასშტაბურადაა აღწერილი რევოლუციის შედეგად განვითარებული ტრაგიკული მოვლენები. ქვეყანაში შექმნილი ვითარების ეს დახასიათება აეგორმა სისხლხორცეულად დაუკაეპირა რო-

მანის პერსონაჟთა ცხოვრებისეულ ხვედრს. რითაც მხატვრულ წარმოსახვას მეტი სიმართლე და დამაჯერებლობა შესძინა. ნააქვამის დასტურად თუნდაც ის წერილები კავიხსენოთ, რომლითაც უცხოეთში გადაკარგული თარაში იღებდა ოქუშში დარჩენილი მოხუცი დედისაგან: „წისქვილები და მამულები ბოლშევიკებმა წაგვართვესო... ეკლესიას ჯვარი მოხსნესო, მღვდელი კომკავშირლებმა გააკრიჭესო, წმინდა თებრონეს ძელები მონასტრიდან გარეთ გამოყარესო, მონაზვნები გამორეკეს და გვილისის აბრეშუმის ქარხანაში სამუშაოდ გააგზავნესო. დიაკონი ჭაში ჩასტაო, ამოიყვანეს და ცოლი შეირთოვო, ახლა ოქუშელი დიაკონი კოთხეაგვიის მონაზვარიშედ დადგაო და ფსალმუნების კითხვას ბალანსების შედგენა არჩიაო. მღვდელმა სევასტი ლაქერბაიამ ანაფორა გაიხადაო და აწი თავისი სიბერე ღეთის გმობით უნდა გაათრიოსო. ოქუშის ეკლესიის ხატები ყაჩაღებსაყით შეჰკრესო და გვილისის მუზეუმში გადააგზავნესო... ანუსია მონაზონმა აბორგი გაიკეთაო...“

ამ ფრაგმენტში შეულამაზებლად იხატება იმ ვითარების სურათი, რომელიც რევოლუციამ დაამკვიდრა ქვეყანაში. როგორც ვხედავთ, მწერალი ამკარად გამოვლენილი კრიტიციზმით აღწერს მოვლენებს. მართალია, ერთი შეხედვით, ეს მხოლოდღა პერსონაჟის თვალთ დანახული ვითარებაა და თავად ავტორის პოზიციად არ აღიქმება, მაგრამ სინამდვილეში ეს რომ ასე არაა და რომანის მოქმედ პირთა კრიტიკული თვალთახედვა საკუთრივ მწერლის მრწამსის გამოხატულებადაც რომ უნდა მივიჩნიოთ, მთელი ნაწარმოების სულისკვეთებიდანაც იგრძნობა ნათლად და ამკარად. რომანში დიდი ადგილი ეთმობა იმის აღწერას, როგორ „გადათელა ახალმა დროებამ სისხლი“, „გააჰამპულა მირონი“ და ბარბაროსულად ხელყო ის უწმინდესი ადამიანები, რომელთაც ხალხი საუკუნეთა მანძილზე ამკვიდრებდა.

ეპოქალური სინამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას მწერალი იმითაც აელენს, რომ გვიჩვენებს ხალხის უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების პოლიტიკისადმი. მაგალითად, ამ პოლიტიკის ფანატიკურად ერთგული ისეთი პიროვნება, როგორიც არბაყანი იყო, ამკარად გრძნობდა, „როგორი სიძულვილით შეჰყურებდნენ მას წისქვილის კარზე და თემსაბჭოში მოგროვილი გლეხები. მის დანახვაზე ჩურჩულს ასტეხდნენ, მოხუცები სახეს ჯღანავდნენ, განზე აწიგებდნენ და მზერას არიდებდნენ...“

სიყრმის მეგობრებიც კი დაემდურნენ არბაყანს, კაც გვამბაიას ნათლულები, მოყვრები და ძმად შეფიცულნიც პირმოქუშულნი

ხედებოდნენ გზებზე. და ისეთი მხეცური სიძულელით შეიძულა არზაყან ნასკეარმა სოფელმა, თითქოს გკალეაც არზაყანს გამოეცხიოყა ციდან და კოლექტივიზაციაც მის მიერ ყოფილა შემოღებული“.

როგორც ესედაეთ. თანასოფლელები ამკარად და შეუნიღბავად გამოხატავენ თაჟიანთ „მხეცურ სიძულელს“ არზაყანისადმი. ამით კ. გამსახურდია, არაპირდაპირი ფორმით. ნათლად და არაორაზროვნად ამცნობს მკიოსველს, რომ ახალი ეპოქის მიერ დამკვიდრებული სინამდვილე ხალხისათვის პრინციპულად მიუღებელია და ხელისუფლებას, ფაქტობრივად, არაჟინ თანაუგრძნობს.

ხალხის განსაკუთრებული აღშფოთებისა და გულისწყრომის საგნად მაინც კოლექტივიზაცია იქცა. როგორც რომანიდან ნათლად ჩანს, კოლექტივების შექმნის სასტიკი წინააღმდეგნი არიან არა მარტო ბობოლები და შეძლებული გლეხები, არამედ ღარიბებიც. არზაყანს ამ საქმეში მხოლოდ რამდენიმე აქტიური კომკავშირელი თუ უჭერს მხარს. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ ეს პროცესი ბევრი პარტიული მუშაის მიერ მკაცრი ძალდატანებით ხორციელდებოდა. მათგან რომანში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თავისი „ბნეული საქმეებით“ განთქმულ არენბა არლანს, რომელმაც „ქათმების კი შეაყუანინა კოლექტივში ხალხს და გარები არ დასტოვა მთელს აფხაზეთში“.

იმისათვის, რომ დაწყებული საქმე წინ წასულიყო, კოლექტივში შესელის მაგალითი ხალხს, ერთ-ერთმა პირველმა, არზაყანმა მისცა. ვინაიდან მამამისი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მან „კანონის ძალით“ კაცს „მღვასავით ოჯახი“ გაუყო და თავისი წილი ქონება კოლექტივში შეიტანა.

კ. გამსახურდიასადმი ხელისუფლებისა და ლიტერატურული კრიტიკის აგრესიულმა დამოკიდებულებამ, რომლის უმთავრეს საფუძვლად მწერლის მიმართ წაყენებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური ბრალდებანი იყვნენ ქველნი, იგი იძულებული გახადა მხატვრული წარმოსახვის ობიექტი შორეულ წარსულში გადაეტანა. ასე დაიწერა მისი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ - ქართული რომანისტიკის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუში, რომელიც ჯერ (1938-39 წლებში) ეურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა, შემდგომში კი (1939 წელს) ცალკე წიგნად მიიღო მკითხველმა.

მართალია, „დიდოსტატის მარჯვენა“ საქართველოს შორეული წარსულის - მე-11 საუკუნის 10-20-იანი წლების დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს აცოცხლებს, მაგრამ იგი არც მწერლის დრო-

ინდელი სინამდვილისგანააა ჩოწყეუეტილს და მასში აჩ ეკოქის სა-  
ჭირბოროტო საკითხებიც გარდაისახა თაქისებური ფორმით. კ. გამ-  
სახურდიაჩ თაქისი რომანსით პრაქტიკულად დაადასტურა მის მიერ  
არაერთგმის გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ისტორი-  
ით თვითმობჩნურ გატაცებას გამართლება არა აქვს და წარსული მწერ-  
ლისათვის მხოლოდლა მასალას უნდა წარმოადგენდეს თანამედრო-  
ვეობის საკითხთა ასახახად. ამ თვალსაზრისით კ. გამსახურდიას  
ისტორიულ რომანებში ბერი ისეთი პრობლემაა წამოჭრილი, რომ-  
ლებიც თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მანც სისხლხორცეულად არიან და-  
კავშირებული მწერლის დროინდელ ეპოქალურ სინამდვილესთან.

თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებზე ასეთი შემოვლი-  
ით და გადატანითი ფორმით საუბარს, უპირველეს ყოვლისა, შექმნი-  
ლი ვითარება განაპირობებდა. ქვეყნად დამკვიდრებული უმკაცრესი  
იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში სხეანაირად თაქისუფალი  
აზრის გამოთქმა შეუძლებელი იყო. ასე რომ, კ. გამსახურდიას ის-  
ტორიულ რომანებზე მსჯელობის დროს მარტოდენ წარსულით არ  
უნდა შემოვიფარგლოთ და ეს ნაწარმოები მწერლის დროინდელ სი-  
ნამდვილესთან სისხლხორცეულ კავშირ-ურთიერთობაშიც უნდა გა-  
ვიზბროთ. ს. სიგუას შეფასებით, მაგალითად, „დიდოსტატის მარჯვე-  
ნა“ „1937 წლის ტრავმის ალეგორიული გადატანაა შორეულ წარ-  
სულში, კატასტროფულ მოვლენათა მარადიული მოდელის განცდა  
და გამოხატვა, მისი წაკითხვა უძველესი ეამის ფონზე“.

ამ თვალსაზრისით რომანში, უპირველეს ყოვლისა, იმ ურთიერ-  
ობის ასახვას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც გიორგი პირ-  
ველსა და კონსტანტინე არსაკიძეს შორის არსებობს. ამ ურთიერ-  
ობის ჩვენებით კ. გამსახურდიამ უდიდესი მწერლური ძალისხმე-  
ვით დაგვანახა „განწირული ხელოვანის“ ბედი გირანულ სახელმწი-  
ფოში, რაც „იმხანად მეტად სარისკო, გაბედული და თავგანწირული  
ნაბიჯი“ იყო, ვინაიდან კონსტანტინე არსაკიძის მსატერულ სახეში  
ავტორმა გარკვეულწილად საკუთარი „მეც“ გარდასახა. ეს კი იმას  
ნიშნავდა, რომ ვინც სეკტიცხოველის ხუროთმოძღვარს მწერლის პრო-  
ტოტიპად და „შორეულ ლანდალ მიიჩნევდა“, გიორგი შეფის სახეში  
იგი „იმ ადამიანის ხატებასაც“ ადვილად ამოიკითხავდა, „ვისაც იმ-  
დროინდელი მსოფლიო სუნთქვაშეკრული, სულგანაბული, დაძაბული  
უსმენდა და მონუსხულივით შესცქეროდა“. ასე რომ, კონსტანტინე  
არსაკიძის მსატერული სახის შექმნით კ. გამსახურდიამ პიროვნების  
კულტის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მაშინ აღიმაღლა თაქისებური ფორ-



მით ხმა. როცა ამის შესახებ ქვეყანაში „კრინტიც კი არ იყო დაძრული“. ამით მან „ყველაფერი ბელის სასწორზე შეავლო მაშინ, რადგან ის შემართება და გაბედულება შეიძლებოდა აქედ და მაკად დასრულებულიყო არა მარტო მწერლის, არამედ მისი ოჯახისა და ქვეყნისათვის“ (ე. მაღრაძე).

„დიდოსტაგის მარჯვენაში“ ამკარად ჩანს მწერლის არაეროგვაროვანი მიდგომა ეკლესიისადმი. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ის შენიღბული შინაგანი ოპოზიციური დამოკიდებულებაა, რითაც კ. გამსახურდია თავისი ეპოქის ანტირელიგიურ პოლიტიკას დაუპირისპირდა. სწორედ ამ დაპირისპირების უმთავრეს გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს რომანის სიუჟეტურ საფუძვლად ქცეული ამბავი სეგეციხოველის ტაძრის მშენებლობისა. ამ შემთხვევაში შრავალმხრივ საგულისხმო და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეკლესიების მასობრივი ნგრევისა და ათეისტური იდეოლოგიური პოლიტიკის გეობის ხანაში კ. გამსახურდია თავისი ნაწარმოებით საეკლესიო მშენებლობის განმადიდებლის როლში მოგვევლინა. სეგეციხოველისადმი, როგორც ღეთაებრივი რწმენის ტაძრისადმი. აღვლენილი ხოცბა უკვე ნიშნავდა ავტორის შინაგან მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას სოციალისტური ეპოქის იდეოლოგიასთან.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სეგეციხოველის ტაძარი ქართველი კაცის ცნობიერებაში დამკვიდრებული იყო, როგორც საქართველოს ერთიანი სახელმწიფოებრიობის სიმბოლო, ჩვენი დიდი ისტორიული წარსულის ერთ-ერთი ყველაზე საამაყო ძეგლი. ამდენად, მისი განდიდება არა მარტო ღეთაებრივი რწმენისადმი ჩვენი ხალხის ტრადიციულ თაყვანისმცემლურ დამოკიდებულებას გულისხმობდა, არამედ იმავდროულად ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეის რომანტიკულ განდიდებასაც. სახელმწიფოებრიობადაკარგულ და განახლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცეულ ქვეყანაში დიდ სახელმწიფოებრივ წარსულსა და კულტურაზე ამგვარი საუბარი კი, რაც რომანტიკული ნოსტალგიით აღავსებდა ყოველი კემშარიტი პატრიოტის გულს, ბუნებრივია, ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული იდეოლოგიური ნორმების ჩარჩოებში ვერ მოთავსდებოდა და ამკარად ნიშნავდა მწერლის მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას ეპოქალურ სინამდვილესთან.

წარსული კ. გამსახურდიასათვის ამ შემთხვევაში ოპოზიციური ეროვნული თვალთახედვის შენიღბვის ფორმად იყო ქცეული. მართალია, „დიდოსტაგის მარჯვენა“ ქართველი კაცის ცნობიერებაში მე-

11 საუკუნის დასაწყისის საქართველოში მიმდინარე რთულ ისტორიულ მოვლენებს აცოცხლებდა, მაგრამ, ამასთან ერთად, რომანის უმთავრესი პათოსი და სულსიკვთება არაპირდაპირი გზით იმ საჭირობოროტო პრობლემებსაც ესმაურებოდა, რომლებსაც მწერლის დროინდელი ეპოქალური სინამდვილე სუამდა იმხანად მთელი სიმწვავეთ.

ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ მნიშვნელოვანია ის მიზანმიმართული მსგავსება-ანალოგიები, რომლებიც ბიზანტიასა და რუსეთს შორის არსებობს. ბიზანტიის კოლონიური პოლიტიკის დახასიათებით კ. გამსახურდიამ, ფაქტობრივად, საქართველოს ახალი დამპყრობელიც - რუსეთიც დაახასიათა. ერთმორწმუნეობის ნილაბს ამოფარებული ორივე აგრესორი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, თავიანთი ცბიერი პოლიტიკით საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ძირი რომ გამოეთხარათ და იგი მათი იმპერიის ნაწილად ექციათ. ამ მიზნით ისინი მოხერხებულად ცდილობდნენ გამოეყენებინათ არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოება, არამედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული შინაური მგრებიც, რომლებიც, სამწუხაროდ, არასოდეს ყოფილან საქართველოში საძებარნი. ამდენად, გიორგი პირველის ანტიბიზანტიური პოლიტიკა, არაპირდაპირ, ანტირუსულ, საერთოდ, ანტიიმპერიულ პოლიტიკადაც შეიძლება იქნეს განზოგადებულად მიჩნეული.

როგორც ცნობილია, კ. გამსახურდიას ისტორიულ ეანრთან დაკავშირებით თავისი მკვეთრად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა ჩამოყალიბებული. იგი თვლიდა, რომ არაერთი ისტორიული რომანი არ არსებობს, რომ ისტორია მხოლოდ მასალაა მწერლისათვის თანამედროვეობის მისწრაფებათა გამოსახატავად. ამგვარი თეორიის ავტორი, ბუნებრივია, დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილ რომანს მარტო გარდასული ეპოქის ასახვას არ დაუსახავდა მიზნად და მასში დასმულ პრობლემებს თანამედროვე ყოფასაც განუყოფლად დაუკავშირებდა. ეს მართლაც ასეა.

„დავით აღმაშენებელი“ საბჭოთა ეპოქის საჭირობოროტო პრობლემებთან გენეტიკურად შესისხლხორციელებული რომანია და მასში ჩვენი ისტორიული წარსულის ბევრი პრობლემა სწორედ ამ კუთხით, მკაფიოდ გამოვლენილი სიმბოლურ-ალეგორიული ფორმითაა გაამრებული.

„დავით აღმაშენებელი“, ვფიქრობ, ერთი მთავარი მიზნითაც შეიქმნა: ეს იყო მძაფრი შინაგანი პროტესტის გამოხატვა იმ პოლიტიკური პროცესებისადმი, რომლებიც იმეამად მთელს საბჭოთა იმპერიასა და მის ერთ უფლებო ნაწილად ქცეულ ფსევდო-რესპუბლიკაში -

საქართველოში აღზევებულიყო. ამ პროტესტს რამდენიმე მსიშენელოეანი ფაქტორი განსაზღვრავდა. ჯერ ერთი, თანამედროვეობაზე მართალი სიკეყის თქმა, ფაქტობრივად, შეუძლებელი გახდა. სოციალისტური რეალიზმის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც პარტიამ და ხელისუფლებამ ჩვენი მწერლობის მაგისტრალურ მიმართულებად გამოაცხადა, მწერალს ავალდებულებდა მოვლენები მკეყარად გამოვლენილი იდეოლოგიური ტენდენციურობით გამოეხატა და ხოტბა შეესხა საბჭოთა სინამდვილისათვის. ვინც ამ პრინციპს დაარღვევდა, მას უმკაცრეს რისხვასა და გულისწყრომას დაატეხდნენ ხოლმე თავს, რაც ხშირად ტრაგიკული აღსასრულითაც მთავრდებოდა.

მეორეც, „დავით აღმაშენებლის“ მონუმენტური მხატვრული სახის შემქნით კ. გამსახურდიამ ცადა „მანქურთიშმის“ გყვეობისაგან დაეხსნა ჩვენი ეროვნული ცნობიერება და იდეოლოგიური ბანგისაგან შოკირებული ქართველი კაცის გონების თვალი ჩვენი ისტორიის ყველაზე დიდი სიმადლეებისაკენ მიეყყო. ვფქრობ, მკითხველისათვის იოლი გასაგებია, იმხანად რა სარისკოც იქნებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა. იმ დროს, როცა საქართველო, როგორც ცალკე სახელმწიფო და პოლიტიკური ერთეული, მხოლოდ ნომინალურად არსებობდა და უზარმაზარი იმპერიის უმნიშვნელო ნაწილად იყო ქცეული. ჩვენი სამშობლოს ძლევა მოსილ წარსულსა და დიდ სახელმწიფოებრიობაზე წერა, რაც ქართველი კაცის გულში სხვაგვარ გრძნობებსა და მისწრაფებებს აღძრავდა, ბუნებრივია, საბჭოთა იდეოლოგიისათვის ყოველად მიუღებელი იქნებოდა.

და, რაც უფრო მთავარია, ამ რომანით კ. გამსახურდია, ფაქტობრივად, პრინციპულად და რადიკალურად გაემიჯნა იმ გზას. რომელიც, სამწუხაროდ, ასევე ჩვენი ისტორიის განუყოფელ ნაწილადაა ქცეული და რომელსაც პირობითად უნდილაძეობა შეიძლება დაეარქვათ სახელად. აქ, ამ პირობითი ცნების ქვეშ, ის ქართველები იგულისხმებიან, რომლებიც მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას, ნებსით თუ უნებლიედ, სხვის სამსახურში ხარჯავდნენ და სხვა ქვეყნების დიდების შექმნას წირავდნენ სიცოცხლეს. ისინი, ბედკრული სამშობლოსაგან ძალით თუ ნებით გადახვეწილნი, ხშირად ჩვენი მოსისხლე მტრების სამსახურში დგებოდნენ ხოლმე და თავიანთი „პატარა“ მამულის „შემბოჭველ“ მასშტაბებს გაქცეულნი სხვაგან ეძებდნენ და დროებით პოულობდნენ კიდევ საგმირო ასპარეზს. ასეთი „მანქურთი“ პიროვნებანი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, სამწუხაროდ, საძებარნი არასოდეს ყოფილან.

კ. გამსახურდია კარგად ხედავდა, რომ საბჭოთა ეპოქაში ამ მანქურთიშში და უსილაძეობამ გამოვლინების ახალი მასშტაბები შეიძინა, ინტერნაციონალიზმის სახელით მოინათლა და ჩანამდე არნახული ძალით შეუტია ყოველივე ეროვნულს. მრისხანე და უზარმაზარი საბჭოთა იმპერიის მესაჭეებად იმხანად ხომ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს ქართველი უნდილაძეები იმყოფებოდნენ, რომელთათვისაც საქართველო ამ იმპერიის ერთ-ერთი რიგითი პროვინცია იყო მხოლოდ და მეტი არაფერი. სწორედ ამგვარი იდეოლოგიას ამკვიდრებდნენ ისინი მთელს იმპერიაში და ეროვნული სამანების ბარბაროსულ მსხვერპლსა და მოშლას ინტერნაციონალიზმის სახელით ნათლავდნენ.

ასეთი ვითარება სუფევდა საქართველოში, როცა კ. გამსახურდიამ თავისი რომანით ქართველი კაცის ცნობიერებაში სულ სხვა ინტერესები გააღვივა და იგი დავით აღმაშენებელსა და ჩვენი სამშობლოს დიდ წარსულზე დააფიქრა. პრობლემის ამგვარი დასმა უკვე იყო რადიკალური დაპირისპირება ახალი ეპოქის ფუძემდებლურ იდეოლოგიურ პრინციპებთან. რაც ქართველ კაცს დიდი არჩევანის წინაშე აყენებდა. დავით აღმაშენებლობა თუ უნდილაძეობა? რომელი გზა უნდა იყოს მაგისტრალური მიმართულება ჩვენი სამომავლო თვითარსებობისა? პირველი გზის ყველაზე დიდი ნიშანსეკი დავით აღმაშენებელი იყო, მეორისა კი სტალინი, იმპაინდელი უზარმაზარი იმპერიის საჭეთმპყრობელი კაცი.

კ. გამსახურდიას რომანის უმთავრესი ღირსება, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ფარული. შინაგანი ურთიერთდაპირისპირებულობის ჩვენება მგონია. მწერალმა ძალა და ენერჯია არ დაიშურა თავისი დროის მთვლემარე ქართული ცნობიერების გამოსაღვიძებლად და დავით აღმაშენებლის ლეთაებრივი ხატის შექმნით ერთხელ კიდევ შეახსენა ქართველ კაცს, „ვისი ვორისაა“ იგი, ვინ უნდა გაიხადოს კერპად და რა გზით უნდა იაროს მარადიულად.

\* \* \*

ცხოვრებისეული სინამდვილის კრიტიკული თვალთახედვით დანახვისა და აღწერის გენდენციამ ბოლიკარზე კაკაბაძის შემოქმედებაშიც დაიჭირა მნიშვნელოვანი ადგილი. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ორიოდ ნიმუში მისი დრამატურგიიდან. დავიწყოთ კომედით „ცხოვრების ჯარა“ (1964 წ.), რომელშიც ეპოქის მანკიერებანი გაშიშვლებული ფორმითა და ფართო განზოგადებულობითაა წარმოჩენილი.

იმისათვის, რომ ნათქვამმა მეტი კონკრეტულობა შეიძინოს. მოვიშველიოთ ამ დებულების დაშლასგერებული შავალითება.

კომუდიანი დრამატურგმა კარიერისგ საქმოსანთა ფართო წრე წარმოსახა. ცხოვრების ასპარეზზე აღზევებული ეს პიროვნებანი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად განიმტკიცონ მდგომარეობა და სხვათა ნაშრომ-ნაოფლარის მითვისებით ვაისქელონ ჯიბე. ისინი, პიესის ერთ-ერთი პერსონაჟის თქმით, „ემპაქის მახით“ ერთმანეთს გადაბმულნი, ბოროტების იმ ერთიან სისტემაში არიან ჩართულნი, რომლის წარმოქმნის საფუძვლად დრამატურგი, პირველ ყოვლისა, ეპოქისეულ სინამდვილეს მიიხნევს. მწერლის ეს თვალსაზრისი არაორაზროვნად ვლინდება ნაწარმოების ბოლოს, სადაც ყველასაგან ხელნაკრავი და პატივყრილი ლოპიანე ხმამაღლა აცხადებს: „მე ვხედავ, რომ არარაობად მაქცია, ვინც თქვენზე გამაბატონა... ბევრი ტაში მახსოვს, მაგრამ თქვენისთანების ტაშზე მეტი აზრი ტყის შრიალსა აქვს... საკუთარი სიბრძნით ვინ დაიკეხნის, - ადამიანებს ატრიალებს ცხოვრების ჯარა“.

პიესაში დიდი ადგილი აქვს დამთბილი ადამიანის ფსიქოლოგიურად დამორტუენველი იმ შიშის ჩვენებას, რომელსაც იმეპაშინდელი ხელისუფლება უნერგავდა ხალხს „ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლ მავნებელთა“ „მსილებითა და გამოამკარავებით“. ოციანი და ოცდაათიანი წლების ტრაგიკულ მოვლენათა უშუალოდ მომსწრე და თვითმხილველმა მწერალმა კარვად იცოდა იმდროინდელი სისხლიანი რეპრესიების მნიშვნელობა და თავის პიესაში მოქალაქეობრივი გაბედულებით ამხილა ის მზაკვრობანი, რომლებიც ხშირად სწორედ ამგვარი ტრაგიკული დენა-აწიოკების განმაპირობებელ მიზეზებად იქცეოდნენ ხოლმე.

მაგალითად, ნაწარმოების ორი პერსონაჟი პიროვნული ანგარებით გამოწვეული ასეთი დასმენების წყალობით ხელისუფლებას ხალხის მტრებად შეურაცხავს და შორეულ ციმბირში გადაუსახლებია. ერთ-ერთი მათგანის მეუღლეს, ასევე საეჭვო პიროვნებად მიჩნეულ ქალს - ეუქუნას, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქისტოსტორე ქმრის „მავნებლური პოლიტიკური საქმიანობის მხილებით“ უპირებს ხელში ჩაგდებას. იგი, ქალის წინააღმდეგობის გამო შურისძიების ვრძნობით შეპყრობილი, ნიშნის მოგებით ამცნობს მას, რომ მისი ქმარი „ქვეყნის მტერს დაკავშირებია, სადაც იმალება და იქიდან უგზავნის ცოლს ბარათს, რომელშიც „გამანშალებულ კონტრრევოლუციას წერს და აფიცებს, რომ მას პოლიტიკურად უთანავრძნოს“, რითაც ქალსაც „პო-

ლიტიკურ დანაშაულში აგდებს“. ამგვარი უსაფუძვლო ცილისწამებით აღშფოთებული ქუქუნა ყოველივე ამას ქისტოსტორეს გამოვონილ ჭორად მიიჩნევს. რამეც შეურაცხყოფილი თავმჯდომარე არაორაბროქსად განაცხადებს: „ჭორიც რომ იყოს, თუ გაიკითხე, ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდება. ბუმს სპილოდ გადააქცევენ და ღრობე დაძიკერე, თორემ, ბოლოს, შეიძლება ბეკრიც შექმსევეწო, ქისტოსტორე, მიშველე, გადამეფარეო, მაგრამ მე გიპასუხებ: ვასიეგაკებულმა არ მიმიკარე და ლაჟში ჩაეარდნილს რომ გადაგეფარო, მეც გავისერებმეთქი. მაშინ თავის დასაბღვეყად მოწმეებსაც მოვიყვან, რომ უწესოდ ლაყბობდი“. გაოცებულ-გაოგნებული ქუქუნას შენიშვნაზე - ამას ვინ იტყვის, ვინ დავიდასტურებსო, ქისტოსტორე მშვიდად მიუგებს: „იმისთანა დამსმენებია, თევების ნალაპარაკები მოაქვთ, გუბეში თევების ნათქვამს ამოწმებენ და გაჟამე აშიშინებენ“.

ასეთი მძაფრი საგირული ფორმითაა პიესაში მხილებული ათწლეულობით დაქვიდრებული საბჭოური უშიშროების სისტემის არსი. ადამიანების ბედს სიმართლე კი არ წყვეტდა, არამედ სამართალი, რომელიც, ჩვეულებრივ, ქისტოსტორეს ნაირი ადამიანების მხარეზე იყო. სასოწარკვეთილებამდე მისული ქუქუნას კითხვაზე - „ვინ იტყვის, რომ ჩემსას ბნელი ადამიანები უნახაეთო“. ქისტოსტორე დარწმუნებით უპასუხებს: „მაგ კი არა, ქაჯის და ჭინკის მნახველებს ვიპოვი ამ სოფელშიო“.

ადამიანთა პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური შოკირების ასეთი ეპიზოდები საკმაოდ მრავლად გვხვდება ნაწარმოებში.

საბჭოთა პერიოდის არაერთმა კრიტიკოსმა პ. კაკაბაძის პიესა „ქარიშხალი“ (იგივე „ლისაბონის ტუსაღები“) ავტორის რევოლუციური მიზანსწრაფვის გამოხატულებად მიიჩნია. ერთი შეხედვით, გარეგნულად, ეს მართლაც შეიძლება ასე ეჩვენოს კაცს, მაგრამ სინამდვილეში, თუ კარგად დაუკვირდებით, პირიქით, ამკარად დაფინახავთ დრამატურგის მძაფრად პროტესტანტულ დამოკიდებულებას რევოლუციისა და, საერთოდ, ყოველგვარი ძალადობისადმი. რევოლუცია, ხალხის სტიქიური ამბოხება, პ. კაკაბაძის აზრით, ქვეყნის დამანგრეველი ძალაა, თავისუფლებისა და სამართლიანობის სახელით მოვლენილი ახალი ბოროტება, რომელიც ბარბაროსულად სპობს და ანადგურებს ყოველგვარ ფასეულობას - მაგერიალურსაც, სულიერსაც და მწეობრივსაც.

მართალია, პ. კაკაბაძემ პიესის სამოქმედო ადგილიცა და ღროც უცხოეთში, შორეულ წარსულში, გადაიტანა, მაგრამ, ჩემის აზრით, ღროისა და ადგილის ამგვარი გაუცხოების მიუხედავად, ნაწარმოების არსს, სულისკვეთებასა და მიზანსწრაფვას, ავტორისეული ჩანაფიქ-

რის ქვეტექსტსა და კრიტიკულ პათოსს, ღიდად განსაზღვრავენ უმუ-  
ალოდ ის მოვლენები, რომლებიც რევოლუციამ და საბჭოთა ხელ-  
სუფლებამ დაატყვეს თავს ჩვენს ქვეყანას.

როგორც ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, რევოლუციის შედეგად  
დამბობილი ხელისუფლების მაგივრად აღმკვებული ახალი ძალა უფ-  
რო საშიში ბოროტებაა, რომელიც დაუნდობელი ბარბაროსობით ან-  
გრევს და ანადგურებს ყველაფერს. მწერალმა ფართოდ და მას-  
შგაბურად გვიჩვენა მურისძიების საშიში გრძნობით გაბოროტებული  
ბრბოს უსიქოლოგიური განწყობა და ამით არაორაზროვანი პრო-  
ტესტანტულობით დაუპირისპირდა იმ რომანტიკულ რევოლუციურ  
ილუზიებს, რომელთაც სოციალისტური იდეოლოგია ქადაგებდა და  
აიდეალებდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ თავის შემოქმედებაში გამოვლენილი კრიტი-  
კული პათოსით გიორგი ლეონიძე საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ცნობილ  
მწერალ-ოპოზიციონერებს ვერ შეეღრება, მისი ცალკეული ნაწარმოებები  
ამ თვალსაზრისითაც ამკარად იქცევენ ყურადღებას. ეს რომ მართლაც  
ასეა, ამას ცნობილი პოემა „სამგორი“ თვალნათლივ ადასტურებს.

კერძოდ, „სამგორში“ ტრაგიკული სიმწვაებითაა დასმული საქარ-  
თველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა. ჩვენი ხალხის ის-  
ტორიული თვითარსებობის თითქმის მთელ მანძილზე მძაფრად აქ-  
ტუალური ეს პრობლემა გ. ლეონიძემ ამჯერად ვახტანგ გორგასლის  
ეპოქას დაუკავშირა და საქართველოს სამომავლო ბედს ორი დიდი  
დამპყრობლის - სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიული ინტერესების  
საბედისწერო შეჯახების გათვალისწინებით განსაჯა და გაიაზრა.

როგორია ამ ჰიდილის ასპარეზად და მსსყერპლად გამხდარი  
ქვეყნის სამომავლო ბედი, რა არჩევანი უნდა გააკეთოს მან და სა-  
დაა გამოსავალი? ამ პრობლემის გააზრება „სამგორში“ მხოლოდ  
ისტორიული ასპექტით როდია საინტერესო. მიუხედავად იმისა, რომ  
გ. ლეონიძის პოემა ისტორიული სინამდვილის ამსახველი ქმნილებაა,  
პოეტისათვის წარსული თვითმიზნად არაა ქცეული და ნაწარმოებში  
წამოჭრილი ყველა საკითხი პოეტის დროინდელ სინამდვილესაც უკა-  
შირდება არაპირდაპირ.

ამ თვალსაზრისით, გ. ლეონიძის პოემა, ჩემის აზრით, შენიღბულ-  
მეფარული ფორმით, სოციალისტური იდეოლოგიისათვის მიუღებელ  
ეროვნულ პოზიციასაც ამკარად გამოსხაგაყს. პირველ ყოვლისა, ესაა

„სამეორის“ გაცნობის შედეგად ვაჩენილი იმედგაიკრუებისა და ერიონული მარგობის მძაფრი განცდა, რასაც მრისხანე დამპყრობლის პირისპირ მარგოდმარგო შერჩენილი და სიგყვიერი დაპირებებით მოგყვებულ-გაწბილებული ქვეყნის გრაგიკული მარცხი ბადებს მკითხველის გულში. იმ დროის, როცა საბჭოთა იმპერიის ნაწილად გამსდარი საქართველოს სამომავლო პერსპექტივებს ხელისუფლება ხალხთა ინტერნაციონალურ ერთობას უკავშირებდა, გ. ლეონიძემ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან გაცოცხლებული გრაგიკული ეპიზოდის განზოგადებული გააზრებით მკითხველს კიდევ ერთხელ მოაგონა ის სამწუხარო სინამდვილე, როგორ ყალბ ილუზიად და ამაო მოიმიქცობად იქცეოდა მეგობრული თანადგომის ყოველი დაპირება სხვა ქვეყნების მხრიდან და ურიცხვ დამყრობთა შეჯახების ასპარეზად ქცეული საქართველო ყოველთვის მარგო რჩებოდა საბედისწერო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების პირისპირ.

ამით პოეტი, არაპირდაპირი ფორმით, ერთხელ კიდევ შეახსენებდა მკითხველს, რომ ერს თაყისი პრობლემები პირველ ყოველისა თვითონ უნდა გადაეწყვიტა, თავადვე ყოფილიყო საკუთარი ბედის შემოქმედი და სხვა ქვეყნების იმედი ნაკლებად ჰქონოდა.

1937-38 წლები უაღრესად მძიმე პერიოდი იყო **ლადო ასათიანის** ბიოგრაფიაში. მან, ოციოდე წლის ახალგაზრდა კაცმა, ორმაგად იწვნია იმ საშინელებათა სიმწარე, იმხანად რომ დააგყდა თავს მთელს ჩვენს ქვეყანას; მხედველობაში მაქვს ჯერ დედის დაპატიმრება, შემდეგ კი პოეტის გარიცხვა ინსტიტუტიდან კონტრრევოლუციონერობისა და მოლაყბუობის ბრალდებით. ამ გრაგიკულმა მოვლენებმა მძიმე დაღი დაასვეს პოეტის მგრძნობიარე გულს, რაც სათანადოდ გამოვლინდა კიდევ მის შემოქმედებაში.

ამ თეალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „დედისადმი“, რომლის დაბეჭდვა მხოლოდ გასულის საუკუნის 90-იან წლებში გახდა შესაძლებელი. მასში გულისშემძვრელი ფორმითაა გამოხატული შუა აზიის „ურწყულ მხარეში“ გადასახლებული მშობლის მონატრებით გამოწვეული გკივილი. ლექსში ლადო ასათიანისეული გემპერამენტითა და პოეტური სიმძაფრით იკვეთება ძალადობისა და უსამართლობის თარეშით დაქცეული და გავერანებული ქვეყნის სურათი. ამ უბედურების შემოქმედნი, პოეტის სიგყვიით, „დაუბანელი გლუხის კაცები“ არიან, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ ყოველივე წმინდასა და მნეობრივს. შემოთქმულის საილუსტრაციოდ დედისადმი გაგზავნილი ამ პოეტური ბარათიდან გავიხსენოთ შემდეგი სტრიქონები:



ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს დაუბახელმა გლეხის კაცებმა. სეტაე შენსაიო ბნელში უტიროდე. არ ეუყურებლე ქვეყნის დაქვეყას. ისტრეეა შენი საამაჟარი და არ გახხენო არ შემძლია, აღარ ვაპკივის რთელში მაყარი, ეენახში თოფებს აღარ ისკრიან. თონეში ცეცხლი აღარ ტკრიციალებს. მამამ ბელელი ელში ვაყიდა და ძველებურად არ მიფრიალებს შუკაში თეთრი ბაშილაყითა ჩვენი მარანი და საწნახელი ეფრო ძლიერმა დაიფირაუა, მამა ბუხართას მის თაედახრილი. ცეცხლში აფურთხებს და იგინება.

ასეთია ნგრევისა და გაპარტახების ეს აპოკალიფსური, სულის-შემძვრელი სურათი. ქვეყანას თითქოს ზნობრივი საყრდენი აქვს გამოცლილი და ბოროტების სათარეშო ასპარეზადაა ქცეული. ლექსში გამოხატული გრაფიკული განწყობილება ერთი ოჯახის უბედურებად კი არ განიცდება, ფართოდ განზოგადებულ მასშტაბებს მოიცავს და მთელი ეპოქის საშინელებად აღიქმება.

დაიქცა ყველა დიდი ჯალაბი, ნავაშს ჯაჭვს არეინ არ აღრნეინებს, წინათ თუ ღეინოს დაგაძალებდნენ, დღეს წყალსაჟ არეინ დაგალეინებს. დანაყრებულან ციხე-კოშკები, „მრავალეაშიერ“ არსად გეგუნებს, მე კარგად ეიცი, ძალე მოეკელები, მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.

ასეთი იყო მკაცრი სინამდვილე, გულში მოთუხთუხე გაუნელებელი ტკივილი, რომლის ხმამაღლა გამელაენების უფლება პოეტს ფაქტობრივად წართმეული ჰქონდა.

\* \* \*

გასულის საუკუნის 60-იანი წლებიდან ეპოქალური სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური წარმოსახვის ტენდენციამ ჩვენი მწერლების შემოქმედებაში წინანდელთან შედარებით მეტი მასშტაბები შეიძინა, რაც პოზიტიური შედეგი იყო სტალინური მმართველობის დასრულების შემდგომ ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა. თუმცა ზემოთქმული იმას არამც და არამც არ გულისხმობს, თითქოს ამით ქვეყნის მმართველობით სისტემაში არსებითი გარდატეხა მოხდა და ხელისუფლება აღრინდელი ცენზურულ-იდეოლოგიური შეზღუდვები შეამცირა. რასაკირელია, არა. სიგყვის თავისუფლება კელაეინდებურად რჩებოდა მკაცრი კონტროლის საგნად. თუმცა, ამისდამიუხედავად, იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლები უკან მაინც არ იხვედნენ და აქტიურად ცდილობდნენ ეპოქალური სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმოსახვას.

ცნობილმა ქართველმა პოეტმა **მურმან ლებანიძემ** ჩვენი მწერლობის მძლავრ მიზანწარაფვად ქცეული ეს ტენდენცია ერთგან ასე გამოხატა:

წინ მიიწეუს ნება-ნება, ამა სოფლის მღვმურთა წყობილება...

ევალება. პოეზიას ევალება არსებული უკმაყოფილება!

არსებული სინამდვილისადმი ამგვარი კრიტიკულ-ოპოზიციური და მოკიდებულება მ. ლებანიძის შემოქმედებისათვის იმდენად დამახასიათებელი თვისებაა, რომ პოეტი ხშირად ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვისა და შენიღბვის გარეშე ამბობდა სიმართლეს საბჭოთა პერიოდის ჩვენს ყოფაში ფართოდ დამკვიდრებულ მანკიერებებზე. მწერლობის როლისა და დანიშნულების სწორედ ამგვარმა გაგებამ მიიყვანა მ. ლებანიძე იმის აღიარებამდე, რომ მწერალი, რომელიც ხელისუფალს ჩაუჯდება ნაფი და მშობელი ხალხის წიაღს მოწყდება, საბედისწერო მარცხისთვისაა განწირული. აი, როგორ აყალიბებს იგი ამ თვალსაზრისს ლექსში „რუდაჟი იგყვის“ (1979 წ.):

არ შეგეშალოს, არ გაბრიყვედ, არ იყო ბავშვი -  
არამც და არამც არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნაფი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას მ. ლებანიძის ამგვარი კრიტიკულ-ოპოზიციური მხილების მასშტაბებსა და ხასიათზე, გავიხსენოთ კონკრეტული ნიმუშები მისი შემოქმედებიდან. აი, როგორ ამხილა პოეტმა 1970 წელს დაწერილ ლექსში - „შეგონებანი“ საბჭოთა კავშირის იმეამინდელი ხელისუფლება, რომელიც მთლიანად მსოფლიოდა ფიზიკურადაც და გონებრივადაც მიხრწნილი მოხუცებისაგან შედგებოდა:

ლამაში არ არის:  
ღონ ეუანი საყდრისთვის სელებოდეს!  
ეპისკოპოსი ბარდელში დადიოდეს!  
ბარემ ესეც ითქვას, ესეთიც ხდებოდეს,  
საშობლო ხელთ ეპურას ბერიკაცს ათიოდეს!

ეს მხილება იმდენად ცხადი და აშკარა იყო, რომ პოეტი იძულებული გახადეს ნაწარმოების თავდაპირველი ვარიანტი შემდგომ გამოცემებში სახეცვლილი ფორმით დაებეჭდა და ლექსის ნამდვილი მიზანსწრაფვის შენიღბვის მიზნით სიგყვა ბერიკაცი სიგყვა ბობოლათი შეეცვალა.

ავტორის კრიტიკული თვალთახედვა კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს ეროვნულ-პატრიოტულ პრობლემებზე მსჯელობის დროს. 60-70-იან წლებში დაწერილი ბევრი თავისი ლექსით მ. ლებანიძე აშკარად დაუპირისპირდა იმეამინდელ იდეოლოგიას და საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მომავალი იმ იდეოლოგიისათვის პრინციპულად მიუღებელი პოლემიკური თვალთახედვით გაიაზრა.

კრიტიკული მხილების ობიექტებად ხშირად ის ადამიანებიც არიან ქვეყნის, რომელთა ნილაბახილი სახე ერთ-ერთ ლექსში ასეა

დახასიათებულა: „კაცი - გაფუყული დაღის, კაცი ღრუბელივით დაღის. სპასალარის მისრა-მოსხრით, მკაცრი გამოხედვით ყადის. ანუ არის ბრძენი ყინმე, ანუ ქაგოდ არ ღირს მჭადის, ამას ეწუხ და ამას ვსტირ მე - ჩვენი მოგყუება სწადის... არცა ქვეყნის ბოსტანს ბარავს, არცა - ქვეყნის ბოსტანს ხარღნის, დღესა ყოველს ესრეთ სჩადის: ბუსტად ნახეყარმე ათის „ვოლგის“ საყარძელში ჯდება მიღმა - აბრე-მუმის ჟარღის“.

მ. ლებანიძის პოეზიაში კრიტიკულ-იუმორისტული ჟორმით ასევე ხშირად არიან მხილებულნი დიდების კვარცხლბეკებზე გარემოებათა წყალობით დაუმსახურებლად აღბეჭეული ფსევდოგალანტები. სწორედ მათს გასაფრთხილებლად აშბობს ერთგან პოეტი საკმაოდ მკაცრად და სუსხიანად:

კაცური კაცის ცხოვრება, - გზა, წიგნი სისხლით ნაფერი, -  
ხელახლა აიწონება, ხელახლა სუყველაფერი.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული მწერლობის კრიტიკულ-ოპოზიციური სულისკვეთების გამომხატველ ნაწარმოებთაგან ცალკე უნდა გამოვეყოთ მშობლიური ენის დასაცავად დაწერილი ქმნილებანი. ერთ-ერთი მათგანია **მუხრან მაჭავარიანის** ლექსი „რამია საქმე?!“ ამ ლექსით მ. მაჭავარიანი კრიტიკულად გამოხეხმაურა ნი-იან წლებში საბჭოთა კავშირში ფართოდ გავრცელებულ იმ შოყინისტურ თეორიას, რომელიც „აგავემჩინის“ სახელითაა ცნობილი და რომელიც ე. წ. „ორენოვნების“ უბადრუკ თვალსაზრისს ასხამდა ხოტბას.

პოეგმა ეს ლექსი იმათ საპასუხოდ დაწერა, „ერთს ქადაგებს ვინცა ვინ ენას“. საქართველოს ისტორიული წარსულიდან მოხმობილი არგუმენტებით იგი ერთხელ კიდევ შეგვახსენებს ჩვენი ერის მრავალჭირნახული გზის სიწმინდესა და იმ თავდაღებას, რაც დედაენის გადასარჩენად გამოავლინეს სახელოვანმა მამულიშვილებმა.

კი, მაგრამ... ღმერთი აღარაა?! ბნელა?! -  
ქართული იქნებ ვინმეს ნორჩი ჰვონია ენა?!  
ვინმემ, არცაა გასაკეირი - არც იყის იქნებ, -  
ქრისტეს შობამღე რომ შეიქმნა ქართული წიგნი.  
არა! ეს ასე რომ არ იყოს, კიდევ, - ხო, მარა! -  
ასე რომ არის?!

არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი, ცოგა  
არც იმას, - წერდნენ რა ენაზე ვაეა და შოთა!  
კრწანისის მიწად, ასინძის მიწად, ღღგორის მიწად, მარაბღის მიწად -  
განა ქართველი არაერთი იმიტომ იქცა, -  
ქართულს ნატრობდეს დღეს ქართლი სიტყეას?!  
კი, მაგრამ... ღმერთი აღარაა?! ბნელა?! -

ქართული იქნებ ვინმეს მღარე ჯგონია ეჩა?!

მ. მაჭავარიანი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თანამედროვე მწერალია, ვისც თავისი შემოქმედებითი ძოღაწვობით დიდად შეუწყო ხელი ქარაველი ხალხის გულში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთების გავლევებას. მის ლექსებში ეს სულისკვეთება, დაუოკებელი სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისკენ, ყოველგვარი ორამროვნების გარეშე, ნათლად და მძაფრადაა გამოხატული. ამიგომაც არ დაკლებია პოეტს დევნა და შევიწროება.

მუხრანის არაერთი ლექსი თავდაპირველად ხელნაწერის სახით გავრცელდა და მხოლოდ შემდგომ გახდა შესაძლებელი მათი გამოქვეყნება. სწორედ ასეთი ბედი ხვდათ წილად ლექსებს „ახლა კი დროა“ და „დღე მოიწვეს კრიალა“, რომელთა საჯარო წაკითხვის გამო, 1964 წელს, პოეტი ეურნალ „პიონერის“ რედაქტორობიდან მოხსნეს.

მ. მაჭავარიანის ლირიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს, რომელიც მამულიშვილური თვალთახედვით წარმოაჩენს ჩვენი ერის სახელოვანი შეილების ეროვნულ მისწრაფებებსაც და იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მთელმხარე უმოქმედობასაც. ეს ლექსები ერის იმეამინდელ წინამძღოლთა უმოქმედობისა და გულგრილობის სამხილებლად გამოგანილი უკომპრომისო განაჩენია. ხსენებული პოეტური ციკლისადმი ინგერესს არსებითად განსამღვრავს ის გარემოება, რომ მათი პასიურობის მხილებით ავგორმა უპირველეს ყოვლისა თავისი დროის მამულიშვილთა მოქალაქეობრივ-პატრიოტული უმოქმედობა ამხილა და იდეოლოგიური შებოჭილობის იმ მძიმე წლებში ხალხს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის მოუწოდა.

პოეტური ციკლის მნიშვნელობას განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ მასში, ფაქტობრივად, ავგორმა თავისი დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება გამოხატა. ასე რომ, ციკლისადმი ინგერესს, ჩემის აზრით, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს გარემოება განსამღვრავს.

მ. მაჭავარიანი იძულებული იყო მამინდელი ჩვენი ეროვნული ყოფის მრავალი საჭირბოროტო პრობლემა მე-19 საუკუნის 30-იანი წლების საქართველოში გადაეყანა და ამგვარი ქვეტექსტურ-ალეგორიული მინიშნებებით გამოეხატა სათქმელი. იმხანად სსეა გზა არ არსებობდა, ვინაიდან ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე არა თუ პირდაპირ წერის უფლება არ იყო ნებადართუ-

ლი. არამედ ასეთი ალევგორიზმშიც კი დიდ რისკს მოითხოვდა. საინალო ორგანოებს მხელველობიდან არც მუხრანის ამ ლექსების „იდეოლოგიური გადახრები“ გამოპარვით და ყველანაირად ცაღეს მათთვის გზის გადაკეცვა, მაგრამ, საბუნდოროდ. აქტორმა მასინს მოახერხა მათი გამოქვეყნება.

ქართველ მწერალთაგან **ნოდარ დუმბაძე** ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ვაბედა და 1937 წლის გრაგიკულ მოვლენებსა და მათ შედეგებზე მართალი სიტყვა თქვა. 50-60-იან წლებში ამის გაკეთება რაოდენ სარისკო და სახიფათო იყო, ვფიქრობ, ადვილი წარმოსადგენია მკითხველისათვის. ამით მწერალი, უნდოდა მას ეს თუ არა, შინაგანად უკვე უპირისპირდებოდა იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც არა მარტო წარსულში იყვნენ ამგვარ გრაგედიათა შემოქმედნი, არამედ იმსახნადაც რჩებოდნენ ადამიანისთვის საეგზარდამციში და დამთრგუნველი შიმის მომგვრულ დაწესებულებებად. ამისდა მიუხედავად, რეპრესიების თემა თავიდანვე იქცა ნ. დუმბაძის შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად და მასზე მწერალმა არაერთგზის გაამახვილა ყურადღება.

ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და მას პირადადაც ჰქონდა ნაკემი ამ გრაგიკული მოვლენის საშინელებანი. ამიგომაცაა, რომ მწერალი არა მარტო უბრალოდ ინტერესდება ამ პრობლემით, არამედ 1937 წლის გრაგედიამე საუბრის დროს, პირველ ყოვლისა, თითქმის ყოველთვის ავგობიოგრაფიულ მომენტებზე ამახვილებს ყურადღებას და პირადად განცდილ საშინელებებზე ესაუბრება მკითხველს.

სწორედ ასეა დანახული ეს მოვლენა „მზიან ღამეში“ (1967 წ.), რომლის მთავარი პერსონაჟის მშობლები 1937 წლის გრაგიკულ მოვლენათა მსხვერპლად ქცეული პიროვნებანი არიან.

მწერალი აღნიშნული გრაგედიის არა მარტო წარსულ პერიოტიებზე ამახვილებს ყურადღებას, არამედ იმ ადამიანის ფრაგემენტულ სახესაც ხატავს, რომელიც იმჟამადაც აქტიურად ჩადის მსგავს ბოროტმოქმედებას. სწორედ ასეთი პიროვნებაა სახელმწიფო უშიშროების მაღალჩინოსანი მუშაკი აბიბო თოდრია. როგორც ნაწარმოებიდან ხდება ცხადი, ამ გაიძვერა და მზაკვარ კაცს წარსულშიც მრავალი ცოდვა აქვს ჩადენილი და კვლავაც ბნელი საქმეების აქტიურ შემოქმედად დარჩენილა. ამის დადასტურებაა აბიბოს ჯამუშურგამცემლური საქმიანობა, რაც რომანში საკმაოდ დამაჯერებლადაა მოთსრობილი.

საბჭოური ეპოქალური სინამდვილის კრიტიკულ-ოპობიციური თეატახედვით აღქმა-წარმოსახვის გენდენცია იმხანად მოლუაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებაში. რასაკვირველია. განხილული ნაწარმოებებით არ შემოიფარვლება და ვაცილებით ფართო მასშტაბებს მოიცავს. მაგრამ დაინგერესებული მკითხველი. ვფიქრობ, ზემოთ დამოწმებული მაგალითებითაც დაუკტეებლად დარწმუნდება იმაში, რომ იდეოლოგიური დიქტატურის ბატონობის იმ მძიმე პერიოდშიც კი ჩვენი მწერლობის საუკეთესო წარმომადგენლები ქართული ლიტერატურის დიდ გრადიციებს არ მოწყვეტილან და ობიექტური სიმართლითა და მიუკერძოებლობით წარმოსახედნენ მაშინდელი ჩვენი ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებებს.

## ეკოლიტიკური რეპრესიები, რომორც საშუალება თავისუფალი აზრის დასათრგუნად

მწერლობის „მოთვინიერების“ ერთ-ერთ ფართოდ დამკვიდრებულ საშუალებად საბჭოთა ეპოქაში პოლიტიკური რეპრესიები იქცა. ამ რეპრესიების მსხვერპლს ქვეყანაში ყველა კატეგორიის ის ადამიანი წარმოადგენდა, რომლის არა მარტო პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალთახედვა იყო მიუღებელი ხელისუფლების მმართველ ორგანოებში აღმუშავებული ჩინოვნიკებისათვის, არამედ იმათიც, ვინც თუნდაც პიროვნულადაც კი იყო მათთვის არასასურველი და მიუღებელი. დაწყებული უბრალო, რიგითი ადამიანებიდან, ამგვარი რეპრესიების მსხვერპლად თავად ხელისუფლების უმაღლესი რანგის მმართველებიც კი იყვნენ საკმაოდ მრავლად ქცეულნი. პარტიული ელიტის წარმომადგენელთა ცნობიერებაში მგლური კანონები იმდენად აღმუშავებულიყო, რომ ისინი ხშირად ერთმანეთსაც არ იხილობდნენ.

ხელშეუხებელი პირი ქვეყანაში ფაქტობრივად არც კი არსებობდა. თითქმის ყველა მოქალაქე - რიგითიცა და ხელისუფალიც - პოტენციურ დამნაშავედ იყო ჩათვლილი. სახელმწიფო უშიშროების დამსკველი ორგანოების ოფიციალური თანამშრომლები და ფარული აგენტები სისტემატურად აგროვებდნენ მაკომპრომიტებელ მასალებს ყველა პიროვნებაზე. არ არსებობდა დაწესებულება, რომელზეც ამ ორგანოების წარმომადგენლები არ ყოფილიყვნენ მიმაგრებულნი. იმპერიის მასშტაბით გოგალურად მოქმედი ამ სისტემის მუშაობას პირადად აკონტროლებდა და წარმართავდა სახელმწიფოს უპირველესი ხელისუფალი. საბჭოთა კავშირში ზემოთქმული თვალსაზრისით არსებული ვითარება ერთ-ერთმა პირველმა გრიგოლ რობაქიძემ წარმოაჩინა ნილაბასდღილი სახით ცნობილი რომანით „ჩაკლული სული“ (1933 წ.).

იდეოლოგიურად და პოლიტიკურად მიუღებელი თვალთახედვის მქონე პიროვნებების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის პროცესი ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყო. როგორც უკვე ითქვა, ამ ბრძოლის მსხვერპლად მწერლებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ ქცეულნი. ხელისუფლების მესვეურები, კარგად ჰქონდათ რა გაცნობიერებული ის ამბავი, რომ მწერლის სიგყვას უდიდესი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო მოსახლეობაზე, ყოველნაირად ცდილობდნენ სოციალისტური იდეოლოგიის სამსახურში მწერლობის ჩაყენებას. იმათ მიმართ, ვინც ამ გზას არ დაადგებოდა

და ურჩობას დაიწყებდა, მკაცრ ზომებს ატარებდნენ.

გარდა იმისა, რომ მათ წინააღმდეგ მიმართულ პარტიულ-იდეოლოგიური ბრძოლის პროცესს თავად ხელისუფლების თავკაცები წარმართავენ და სხვადასხვა სახის თავყრილობებზე გამოსვლების დროს მათთვის მიუღებელი თვალთახედვის მქონე მწერლებს უმკაცრესად აკრიტიკებდნენ. ისინი მთავრობის მიერ დეკლარირებული იდეოლოგიური პრინციპების დასაცავად აქტიურად მებრძოლი ძალის ჩამოყალიბებაზეც ზრუნავდნენ დღენიადაგ. სწორედ ასეთ ძალად დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში სამწერლო ორგანიზაციის მმართველი ელიტა და პარტიულ-იდეოლოგიური პრინციპებით აღჭურვილი ფსევდოლიტერატურული კრიტიკა.

მწერალთა კავშირში გამართულ სხვადასხვა დონისა და სახის თავყრილობებზე, რომელთაც პარტიული ელიტის მესვეურებიც ძალზე ხშირად ესწრებოდნენ, ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი მწერლები უმკაცრესად აკრიტიკებდნენ და ლამის სასამართლო პროცესებს უწყობდნენ ყველა თავის კოლეგას, რომელიც ახალ იდეოლოგიას არ ემხრობოდა და რაიმე ფორმით ეწინააღმდეგებოდა.

ამგვარ შეკრებებზე განსაკუთრებული აქტიურობით ე. წ. პროლეტარული მწერლობის წარმომადგენლები და კრიტიკოსები გამოირჩეოდნენ. ა. ბაქრაძის შეფასებით. ქვეყანაში დამკვიდრებულმა სწორედ ამგვარმა ვითარებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ იმდროინდელმა ლიტერატურულმა პროცესმა დაკარგა თავისი ნამდვილი ფუნქცია და იგი ფაქტობრივად ეანდარმის როლში მოგვევლინა. „კრიტიკას დაევალა არა სხვადასხვა დარგის ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-ანალიზი, არამედ კომპარტიის ცკ-ის დადგენილებათა ძალდატანებით (კეგით) დანერგვა და ურჩი მწერლების დასჯა“ (ა. ბაქრაძე, მწერლობის მოთვინიერება, 1990 წ. გვ. 139).

პოლიტიკური რეპრესიების პროცესი ქვეყანაში ფაქტობრივად მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში მძვინვარებდა მეტ-ნაკლები სისასტიკით. ყველაზე დიდი მასშტაბები ამ გრაგიკულმა მოვლენამ სტალინური დიქტატურის ხანაში შეიძინა. თუმცა სიმწვავე და აგრესია მას არც სტალინის სიკვდილის შემდგომ მოკლებია. მართალია, იმპერიის სათავეში მოსულმა ახალმა უმაღლესმა ხელისუფალმა ნ. ხრუშჩოვმა 50-იანი წლების II ნახევარში აქტიური ბრძოლა დაიწყო სტალინისა და მისი მმართველობითი რეჟიმის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ყველაფერი პიროვნული შურისძიებით იყო განპირობებული და არა ხელისუფლებაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვის სურვილით.



ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის ნათელსაყოფად ამ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი: 1958 წელს ცნობილ რუს მწერალს - ბორის პასტერნაკს ნობელის პრემია მიანიჭეს. ამ ამბით უსაზღვროდ გახარებულმა მწერალმა სამადლობელი დეკლამაცია გაუგზავნა პრემიის მიმნიჭებელ შეკლეთის აკადემიას. „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ბ. პასტერნაკის მიერ ამ ჯილდოს მიღება იუდასათვის 30 ვერცხლის გადაცემას შეადარა. იმპერიის უპირველესმა ლიტერატურულმა ორგანომ ამით ფაქტობრივად ხელისუფლების აზრი გამოხატა, რაც საფუძველი გახდა იმისა, რომ ბ. პასტერნაკმა პრემიის მიმნიჭებელ კომიტეტს მეორე დღეს უკვე ახალი დეკლამაცია გაუგზავნა, რითაც უარი განაცხადა აღნიშნული ჯილდოს მიღებაზე.

სამწუხაროდ, ეს ამბავი ამით არ დამთავრებულა და ბ. პასტერნაკის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიამ ერთბაშად მეტად ფართო მასშტაბები შეიძინა. მწერლისათვის „ნობელის პრემიის მინიჭება სამთავრობო და ლიტერატურულ წრეებში საბჭოთა მწერლობის კომპეტენციის შელახვად ჩათვალეს და ქვეყნის საქმეებში უხემ ჩარევად მიიჩნიეს... პასტერნაკს უწოდეს „ცივი ომის“ მედროშე, აგრეთვე „საბჭოთა მწერლობის ელასოვი“ და პირდაპირ მიანიშნეს, რომ თავის ღრობე ელასოვი ჩამოხრჩობილ იქნა ვითარცა მოღალატე.

მერე ის იყო, დიდი პოეტი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს, ხოლო კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხრუშჩოვის უშუალო მითითებით გამოვიდა ცეკას პირველი მდივანი სემიჩასტნი და თქვა:

„ორმოცდაათი წლის მანძილზე ცხოვრობდა სოციალისტურ ქვეყანაში, ორმოცდაათი წლის მანძილზე იკვებებოდა იმ ხალხის პურიტ და მარილიტ, რომელიც ახალ საზოგადოებას აშენებს ძველის ნანგრევებზე... ახლა კი აიღო და ხალხს პირში მიაფურთხა. რა უნდა ვეწოდოთ ამას... მე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გახდათ ცილისწამება ღორის მიმართ. ყველამ, ვისაც საქმე ჰქონია ამ პირუტყვთან, მშვენიერად იცის, რომ ღორი არასოდეს წაბილწავს იმ ადგილს, სადაც ჭამს... ამიტომაც თუკი შევადარებთ პასტერნაკს ღორთან, მე ვიგყვი, რომ ღორიც არ ჩაიდენს იმას, რაც პასტერნაკმა ჩაიდინა“.

ამ სიტყვებს აუდიტორიის მქუხარე ტაში მოჰყვა (თ. მაღლაფერიძე, მარალი აწმყო, 2005 წ. გვ. 248).

საბჭოთა პერიოდის ისტორიული წარსულიდან მოშველიებული ამ სამწუხარო მოვლენის საფუძველზე თ. მაღლაფერიძემ საესებით მართებულად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პოლიტიკური რეპრესორების გრაფიკული პროცესი სტალინის სიკვდილიტ არ დასრულებულა

და მის შემდგომ ხანაშიც გაგრძელდა ტოტალიტარად

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას თუნდაც 1956 წლის 9 მარტის გრაგვილია და მისი შემდგომდროინდელი მასობრივი რეპრესიებიც ადასტურებენ თვალნათლივ.

როგორც ცნობილია, რეპრესირებულ მწერალთა გრაგიკულ ცხოვრებისეულ ბედზე საუბარს საბჭოთა ეპოქაში შკაცრად ჰქონდა გაბუ დადებული. ჩვენს ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში არსებითი ვარდაგების ეტაპი ამ თვალსაზრისით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დგება. მანამდე აკრძალული და ხელშეუხებელი დოკუმენტების გამომზეურებამ ბევრ მოკლენას მოჰფინა ნათელი. ახლებური კუთხით წარმოჩინდა საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები ბევრი ჩვენი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული მხარეები. ქართულ ლიტერატურას შემომემაგა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე მწერალთა არაერთი უცნობი ნაწარმოები და წერილობითი დოკუმენტი, რომლებიც უმნიშვნელოვანეს მასალებს წარმოადგენენ მათი ავტორების ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსის შესასწავლად და გასააზრებლად.

რეპრესირებულ მწერალთა გრაგიკული ბედის შესწალის საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის რევამ კვერენჩხილაძეს. ორ ნაწილად გამოცემულ მის წიგნში - „წამების გზა“ (წიგნი I, 1999 წ. წიგნი II, 2005 წ.) მდიდარ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობითაა მოთხრობილი საბჭოთა ხელისუფლების წლებში რეპრესირებული ასზე მეტი მწერლის გრაგიკული ცხოვრებისეული თავგადასავალი.

ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა დასასჯელად მიმართულ რეპრესიებს დასაბამი საქართველოს გასაბჭოების პირველი წლებიდანვე ეძლევა. რ. კვერენჩხილაძის ცნობით, „პირველი მწერალი, რომელიც ახალმა, ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ დააპატიმრა, იყო იოსებ მჭედლიშვილი (1888-1950). ეს 1921 წელს, გასაბჭოების პირველსავე ხანებში მოხდა“ (რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა, წიგნი I, 1999 წ. გვ. 6).

ამ დროიდან მოყოლებული, სოციალისტური იდეოლოგიისადმი ოპოზიციურად განწყობილ მწერალთა დევნა-შევიწროება და მათ მიმართ სხვადასხვა სახით სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მიმანმომართულად გრძელდებოდა მთელი საბჭოთა ეპოქის განმავლობაში. ამ მოკლენამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები 30-იან წლებში შეიძინა. რეპრესირებულთა შორის მრავლად იყვნენ როგორც მხაგ-

ერული სიგყვის საქვეყნოდ აღიარებული ოსტაგები. ისე ნაკლებად ცნობილი აქტორებიც. ხელისუფლება უმკაცრეს ზომებს ატარებდა ყველას მიმართ. ვისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ახალ, ბოლშევიკურ იდეოლოგიას.

რეპრესირებულ მწერალთა ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი იოსებ გრიშაშვილი იყო. მკვეთრად გამოხატული ანტისაბჭოთა შეხედულებებისა და ეროვნულ-პატრიოტული მისწრაფებების გამო იგი 1922 წელს დააპატიმრეს. პოეტის დაჭერის მიზეზი რუსთაველის თეატრში მის მიერ აღ. სუმბათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსის წაკითხვა გახდა. აი, რას წერს ამ ფაქტთან დაკავშირებით რ. კეერენჩილაძე ზემოთ მითითებულ წიგნში: „1922 წ. 3 დეკემბერს რუსთაველის თეატრში კ. მარჯანიშვილის დადგმით „ცხერის წყაროს“ წარმოდგენის დროს უცებ მოქმედება შეჩერდა და რეჟისორმა აღ. წუწუნაევამ საზოგადოებას ამცნო: სპექტაკლს ჩვენებური სახელოვანი დრამატურგი და მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუენი ესწრებაო.

დარბაზმა ოვაცია გაუმართა აღ. სუმბათაშვილს. ბუნებრივია, ვიღას გაახსენდებოდა და ი. გრიშაშვილს მოთხოვდა მსახიობისადმი მიძღვნილი ლექსის წაკითხვას. გრიშაშვილმა მისთვის ჩეუელი არგისტულობით წაიკითხა ჯერ კიდევ 1916 წელს დაწერილი, საქართველოს გმირულ წარსულზე შექმნილი, დრამის ავტორისადმი მიძღვნილი ლექსი, რომლის პატრიოტული სულისკვეთება ამჯერად უფრო მკვეთრად გაისმა და „დალაგის“ ავტორისადმი მიმართული გულმხურვალე მისალმება ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში გადაიზარდა“ (გვ. 22).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, აღნიშნული ამბის გამო ი. გრიშაშვილი მესამე დღეს დააპატიმრეს და, გარდა სხენებული ნაწარმოებისა, ბრალდებად ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ლექსის - „ქართველ ბოლშევიკებს“ (იგივე „რუსული ჩექმა“) - დაწერა და ხალხში ხელნაწერის სახით გავრცელებაც წაუყენეს. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ლექსის ანტიბოლშევიკურ და პატრიოტულ სულისკვეთებაზე, მოვიშველიებ ფრაგმენტს ნაწარმოებიდან:

მართლია, დღეს ეს ლექსი ბევრს კომუნისტს გააჯავრებს,  
მაგრამ მაინც თამამ სიგყვას მოვახსენებ ახალ მთავრებს:  
თქვენ ამბობდით: საქართველომ, რაც განდ ბევრი ვაიბრძოლოს,  
დიდ რუსეთის კომუნისტად გადიქევა მაინც ბოლოს!

ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით, ჩვენც მივიღეთ ცრემლით ცხელით,  
მაგრამ ხალხი არ შევინდობთ, რომ სხვის ხიმგით შემოხვედით.

საბელნიეროდ, საქართველოს მწერალთა კავშირის შუამდგომლობის საფუძველზე ი. ვრიშაშვილს „დანაშაული“ აპატიეს და რამდენიმე დღეში ციხიდან გაათავისუფლეს. მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ამის შემდეგ აღარ დაუჭერიათ, 20-30-იან წლებში იგი ხელისუფლებისა და პროლიტარული ლიტერატურული კრიტიკის მხრიდან მათსე რჩებოდა მკაცრი დევნისა და შევიწროების ობიექტად, რამაც უდიდესი ვნება მოუგანა მის პოეტურ შემოქმედებას.

ხელისუფლების მიერ ოციანი წლების პირველ ნახევარში განხორციელებულ რეპრესიებზე საუბრის დროს აქ ერთი, ამ ბოლო დროს ფართოდ გაერცელებული ფაქტიც მინდა გავიხსენო: 1922 წელს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თიანეთის განყოფილებას ვაჟა-ფშაველას შვილი - ლევან რამიკაშვილი დაუპატიმრებია. დაჭერის მიზეზი მისი ანტიბოლშევიკური საქმიანობა და ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ახლო მეგობრული ურთიერთობა ყოფილა. საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, იმის იმედით, რომ ვაჟას ხსოვნას სათანადო პატივს მიაგებდნენ და მის შვილს პატიმრობიდან გაათავისუფლებდნენ, ამ ამბის გამო შუამდგომლობით მიუმართავეს სათანადო ორგანოებისათვის, მაგრამ მწერლების თხოვნის პასუხად სერგო ორჯონიკიძეს ცინიკურად უთქვამს: ვაჟას შვილი კი არა, თავად ვაჟაც რომ იყოს ცოცხალი, მასაც დაეხვრეგდითო. სამწუხაროდ, ლ. რამიკაშვილისათვის ეს დაჭერა საბელისწერო მოვლენად იქცა და იგი 1923 წელს სიკვდილით დასაჯეს.

ასეთივე ბედი ერგოთ ივანე მაჩაბლისა და კიკია აბაშიძის შვილებსაც (რ. კვერენჩხილაძე, მითითებული წიგნი, გვ. 55).

\* \* \*

მთელი ცხოვრების განმავლობაში დევნილი და რეპრესირებული მწერლის მძიმე ცხოვრებით იცხოვრა კონსტანტინე გამსახურდიამაც. ეს იყო პირდაპირი შედეგი იმ ანგისოციალისტური და ნათლად გამოვლენილი ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვისა, რომელიც კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძველთა საფუძველდაა ქცეული. ახალი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ მწერალს ფაქტობრივად თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ებრძოდნენ ამ ხელისუფლების მესვეურები და ლიტერატურული კრიტიკის წარმომადგენლები.

მაგალითად, ცნობილი პროლეტარული კრიტიკოსის პ. ქიქოძის ამრით, კ. გამსახურდია „გაუსწორებელი“ მწერალია, რომელიც კვლავ

ვინდებ ურად „განავრძობს აქტიურ ბრძოლას ყოველივე პრინციპიალურად ახალის წინააღმდეგ... საერთოდ. კ. გამსახურდია... ლიკურაგურიღას გაკეთებული კაცია, ეს რაღაც მოძრაი ციგაგაა, ციგაგების კომბინაციაა“ („მნათობი“, 1929 წ., № 1, გვ. 118).

კიდევ უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდა ბ. ბუაჩიძე, რომელიც თვლიდა, რომ კ. გამსახურდია არ იყო „ჩვენი ქვეყნის და ჩვენი დროის მწერალი“, რომ მას დღითიდღე ეცლებოდა „სოციალური ნიადაგი და პაერში რჩებოდა გამოკიდებული“. ამის გამო, კრიტიკოსის შეფასებით, კ. გამსახურდია თავისი „რეაქციული იდეებით“ განწირული იყო („მნათობი“, 1930 წ., № 1, გვ. 171).

მსგავსი შეხედულებანი ბ. ბუაჩიძეს სხვაგანაც არაერთგზის გაუმეორებია. იგი კ. გამსახურდიასა და ეროვნულ პოზიციამე მდგომ სხვა მწერლებს „ერეკლე მეფის დაჩიკებულ და თხუნელის პერსპექტივის მქონე „რაინდებსა“ და „მენშევიკური სამოთხის გმირებს“ უწოდებს („პროლეტარული მწერლობა“, 1927 წ., № 3). კრიტიკოსის ამგვარი შეფასებანი კ. გამსახურდიას იალკეულ ნაწარმოებთა პარტიულ-იდეოლოგიური ტენდენციურობით გაანალიზების შედეგი იყო. აი, კიდევ ერთი მაგალითი ბ. ბუაჩიძის საბრალმდებო კრიტიკული „განსჯისა“: „უკანასკნელ სანებში ესოდენ გაზვიადებული ხმაური რომ იყო ატეხილი მისი (კ. გამსახურდიას - ა. ნ.) მოთხრობის ირგვლივ - ეს უნდა მიეწეროს იმ პროვოკაციულ და კონგრეგოლოკიონურ ღებულებებს, რომელნიც მათში იყო გაბნეული. გამსახურდიას ერთადერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები ეს „დიონისოს ღიმილია“. ის ნახევრად მემუარულია. მწერალი ამ ნაწარმოებში თითქმის ამოიწურა. ეს რომანი გაელენთილია დეკადენტური და რეაქციონური განწყობილებით. საერთოდ „ღიმილი“ სანიმუშო ნაწარმოებია მწერლობის გადაგვარების და გაურკვევლობის გზაზე მდგარ ფენისათვის“. საბოლოოდ კი, ამგვარი „ანალიზის“ საფუძველზე, დაასკენის, რომ „ვიწრო და პაგარა იდეებით იკვებება ეს მწერალი, ეს აზრები ძველთა-ძველია. საუკუნეების ნარჩენების გამომზეურებით სცილობს მწერალი ორიგინალობას“ („მნათობი“, 1930 წ., № 1, გვ. 162).

ასეთივე აზრისაა შ. რადიანიც. მისი თქმით, გრანელი-გამსახურდიები ქართული ლიტერატურის „მკედარ ადამიანებს“ წარმოადგენენ, რომელთაც ვერავითარი სული ვერ ალაღვენს“ (ეურნ, „პროლეტარული მათ“, 1925 წ., № 1). სხვაგან კი აღნიშნავს: კ. გამსახურდია „რეაქციონერ მწერალთა აქტიური წევრია“, რომელიც „მებრძოლი“ განწყობილებებით უპირისპირდება თანამედროვეობას. იგი „წარსუ-

ლი. დრომოკმეული და უკვე გარდასული ცხოვრების სიმალეებიდან უქქერის თანამედროვეობას და ყველაფერს იდეალურს წარსულში ხელაქს“ („მნათობი“, 1931 წ., № 1-2, გვ. 231).

კ. გამსახურდიას წინააღმდეგ გაჩაღებულ ამ იდეოლოგიურ ბრძოლას რომ კარგად ორგანიზებული და მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა, ეს ნათლად დასტურდება არა მარტო ცალკეულ კრიტიკოსთა მემოთ დამოწმებული ხასიათის წერილებით (მათი რაოდენობა კი 20-30-იან წლებში უამრავია), არამედ მწერლის „ნაციონალისტური“, „რეაქციონური“ და „ანგისაბჭოთა“ იდეების მამხილებელი კოლექტიური წერილებითაც და სხვადასხვა სახის ოფიციალურ შეკრებებზე გამოთქმული ბრალდებითაც.

მაგალითად, პროლეტარულ მწერალთა ერთი დიდი ჯგუფი ფრ. ნაროუშვილის, გ. ნატროშვილის, შ. შავგულიძის, გ. ლომიძის, ე. ასტვაცაგუროვის, დ. ბენაშვილის, კ. მელაძისა და შ. შენგელიას შეზადგენლობით „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებიდან (1931 წ. 3 თებერვალი) მკაცრად მოითხოვდა: „... ჩვენ დისკუსია არ უნდა გავმართოთ რეაქციონერ გამსახურდიებთან. მას არ უნდა ეძლეოდეს საშუალება საბჭოთა გრიბუნიდან კონგრეციული უციონური იდეების პროპაგანდა აწარმოოს“.

პროლეტარული კრიტიკის ამგვარ აგრესიას საფუძველს უმაგრებდა და არსებითად განსაზღვრავდა ხელისუფლების პასუხისმგებელ პირთა ანალოგიური დამოკიდებულება კ. გამსახურდიას შემოქმედებისადმი. მაგალითად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ყურულაშვილმა 1932 წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების საგანგებო ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ასეთი შეფასება მისცა მწერლის მოღვაწეობას: „გამსახურდია აუცილებლად უნდა განიგვირთოს ბოლოლოგიური ნაციონალიზმის მძიმე გვირთისაგან, თორემ უამისოდ ვერ გახდება ეპოქისათვის საჭირო მწერალი. არამცთუ მან, არამედ სხვა მწერლებმაც უნდა მოიხსნან ნაციონალიზმის მძიმე გვირთი, რომელიც ხელს უშლით მათ და რაც აუცილებლად რეაქციონური მოვლენაა. ეს გვირთი თუ არ მოიცილეთ, ისე არაფერი გამოვა, დღევანდლობისთვის საჭირო მწერალი ვერ გახდება“ („მნათობი“, 1932 წ., № 5-6, გვ. 295).

რაც უფრო ახლოვდებოდა საბედისწერო 1937 წელი, მსგავსი ხასიათის კრიტიკულ გამოსვლებს უფრო და უფრო მეტი აგრესიულობა ემატებოდა. ბუნებრივია, იმრდებოდა აგრესია კ. გამსახურდიას წინააღმდეგაც. მწერლის „ნაციონალისტური“ პოზიცია, „ანგისაბჭოთა მოღვაწეობა“ და წარსული წლების „ცოდებები“ ხელისუფლებასაც და

მისი იდეების ბრძალ გამჟღავნებელ პროლეტარულ კრიტიკასაც საამისოდ დიდ „საკბილოს“ აძლევდათ.

ყველაფერს ამას კი, როგორც ეკვი ითქვა, გონსა და მიძარბოულებას რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფალნი სძენდნენ. მაგალითად, 1937 წელს ლ. ბურიამ კ. გამსახურდიას „მორჯულების“ ასეთი „რეცეპტი გამოუწერა“: „თუ კ. გამსახურდიას სურს იყოს საბჭოთა მწერალი, იგი უნდა განთავისუფლდეს თავისი ბურჟუაზიულ-თავადაზნაურული ნაციონალისტური იდეებისა და განწყობილებებისაგან. უფრო დაუახლოვდეს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმაროს ქართველი ხალხის სამსახურს“ („ლიტ. საქართველო“, 1937 წ., 31 ივლისი).

მართალია, ბუნდური შემთხვევის წყალობით, კ. გამსახურდია გადაურჩა 30-იანი წლების სისხლიან რეპრესიებს, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისმა მოჩვენებითმა იდეოლოგიურმა კომპრომისმა და ხელისუფლების გულის მოსაგებად ვადებულმა ვარკვეულმა ლიტერატურულმა ხარკმა, მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა არც 30-იანი წლების შემგომ შეწყვეტილა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლის მასშტაბები ამ დროიდან მოყოლებული საგრძნობლად შეზღუდვად და მწერლის დიდ შემოქმედებით დამსახურებას უკვე მისი თვით ყველაზე მძაფრი მოწინააღმდეგენიც კი აღიარებდნენ. ხელისუფლებაც და ლიტერატურული კრიტიკაც დროდადრო მაინც უტყუ და ხოლმე მას ძველებური პარტიულ-იდეოლოგიური რიხითა და ავრესიულობით.

მაგალითად, ომის შემდგომ წლებში გამოცემული მისი ნოველების წიგნს გაზეთმა „კომუნისტმა“ სპეციალური სარედაქციო წერილით („ნაბიჯი უკან, ძველი პოზიციებისაკენ“) ასეთი შეფასება მისცა: „ამ წიგნის გამოცემა წარმოადგენს უხეშ პოლიტიკურ შეცდომას. ანტილენინურმა შეხედულებებმა შესაძლებლობა არ მისცეს კონსტანტინე გამსახურდიას დაენახა საბჭოთა სინამდვილე, დაუძახინჯებლად აესახა იგი თავის ნაწარმოებებში... ნოველების ავტორი ყოველგვარი ამორალიზმისა და გარყვნილების მქადაგებლად გამოდის. ამ ბოღვას საბჭოთა იდეოლოგიასთან საერთო არა აქვს რა... ეს მგრული პროპაგანდაა“. მწერლის წინააღმდეგ გაზეთის ვალაშქრებას შედეგად ის მოჰყვა, რომ წიგნი აკრძალეს და მისი მთელი გირაჟი ვაანადგურეს. ასევე „ქებაში ჩაყარეს ლითონი ანაწყობისა კონსტანტინეს მეორე ახალი წიგნისათვის, რომელიც დასაბუქლად მზადდებოდა. ერთხანს აიკრძალა პრესაში მისი სახელის ხსენებაც კი („ლიტ. სა-

ქართულთა”. 1991 წ. 8 ნომბერი).

ოფიციალური ხელის უფლებისა და კრიტიკის ასეთი დამოკიდებულება მწერალს იძულებულს ხდიდა დროდარბო ვარკვეულ კომპრომისზეც წასულიყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას თავისი პრინციპებისათვის მაინც არ უღალატია ეს. უწინარეს ყოვლისა. მის პატრიოტულ თვალთახედვაზე ითქმის. საბჭოთა პერიოდის ქართულთაგან იშვიათად თუ მდგარა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მისებრი რაინდული გაბედულებით. კ. გამსახურდიას მთელი შემოქმედება და მამულიშვილური მოღვაწეობა ამის სანიშნო მაგალითია. სისხლიანი რეპრესიების ისეთ საშინელ პერიოდშიც კი, როგორც 30-იანი წლები იყო, იგი ხმალშემართული იდგა ჩვენი ერისა და ენის დასაცავად და გმირულად ილაშქრებდა ინტერნაციონალიზმის ქერქში შენიღბული ბოლშევიკური კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, კ. გამსახურდიას „ნაციონალისტური“ და „რეაქციონური“ იდეების კრიტიკა გაციად საქართველოს მასშტაბებს და საკაუშირო პრესის ფურცლებიც მოიცვა. ასეთი თავდასხმებითა და შემოგვებით შევიწროებულმა მწერალმა 1934 წელს სპეციალური განცხადებით მამართა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, რითაც, საკუთარი შემოქმედებითი დამსახურების თვითდასასიათების შემდეგ, საკმაოდ კატეგორიულად და პრინციპულად მოითხოვდა, შემწყდარიყო მისი უმართებულო ლანძღვა-გინება: „პრესა მლანძღავს, უმართებულად მჭირდავენ. კომისია მწერალთა კავშირიდან მრისცავს. ნუთუ ასე უნდა შესვდნენ იმ კაცს, რომელიც „მოდის“ და ცარიელი ხელებით კი არ მოდის, არამედ ამდენი შრომითა და ბრძოლით. მე მივაქცევ პრეზიდიუმის ყურადღებას, რომ ყოველივე ამაში კარგა მოზრდილი დოზაა კაცთმძულვარების და უმართებულო ქვების სროლისა.

ცხადია, თუ ეს ყოველივე ასეთი გემპით წაეა. მე იძულებული ვიქნები დავეუძღე. უარეს შემთხვევაში სხვაგან გადავსახლდე“.

ხელისუფლების მესვეურთა ბრძოლა კ. გამსახურდიას წინააღმდეგ მხოლოდ სიგყვიერი პოლემიკით არ შემოიფარგლება და მწერალი 20-იან წლებში სამჯერ დაპატიმრებულიც კი იყო. კერძოდ, პირველად იგი 1922 წელს დაუჭერიათ და მოუთავსებიათ მეგების ციხეში, მეორედ 1924 წელს. 1926 წელს კი მესამედ დაიჭირეს „შპიონაჟის“ ბრალდებით და საკონცენტრაციო ბანაკში ათი წლით გადასახლება მიუსაჯეს. იგი ჯერ მოსკოვში, ლუბიანკისა და ბუტირკის ციხეებში, იჯდა, შემდეგ კი, გერმანიის სასარგებლოდ მისი „აგენტობის“ დამაგებითი „გამოძიებისა“ და „ახალ-ახალი სამხილი დოკუმენტების“ „მო-



ძიების“ შერე, ჯერ კემშისა და ლენინგრადის ციხეებში გადაიყვანეს, შემდეგ სოლოვეკის არქიპელაგის კონკლავერში. 1927 წლის დეკემბერში რეპრესირებელი შვერალი აკადემიოფობის გამო პატიმრობისაღი გაათავისუფლეს და სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს.

1926 წელს კ. გამსახურდიას დაპატიმრებას წინ უძლოდა მისი გამოსვლა საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე, სადაც მან მკაცრად გაილაშქრა საბჭოთა ხელისუფლების ანტიეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ. ვ. ბახტაძემ მწერალს ამ გამოსვლის გამო „შინაური ემიგრანტი“ უწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდგომ კ. გამსახურდია დაჭერით აღარ დაუჭერიათ, მის წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლა აშკარად თუ შენიღბულად მომავალშიც გაგრძელდა. დროდადრო ეს ბრძოლა მეტისმეტად მწვავე ხასიათსაც კი იღებდა, რისი დადასტურებაცაა 1931 წელს მწერალთა კავშირიდან გარიცხვა პოლიტიკური ბრალდებით. მწერალთა კავშირში კ. გამსახურდიას აღდგენა მოხდა 1932 წლის 23 აპრილის პარტიული დადგენილების მიღების შემდეგ. ასევე უნდა აღინიშნოს ის კრიტიკული თავდასხმებიც, რომელნიც 30-40-50-იან წლებში დროდადრო ეწყობოდა ხოლმე მის წინააღმდეგ.

ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ასეთი ფაქტი: 1946 წელს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებით დაგმო ეურნალების „ბევბდასა“ და „ლენინგრადის“ მუშაობა და იგი საბჭოთა იდოლოგიისათვის მიუღებელ გამოცემებად მიიჩნია. აღნიშნულმა დადგენილებამ იდეოლოგიური ბრძოლის ახალი ეტაპის წამოწყებას დაულო სათავე მთელს ქვეყანაში. კელაე განახლდა კრიტიკული თავდასხმები კ. გამსახურდიაზე. აიკრძალა მისი ნოველები. „დაშვებული იდეოლოგიური შეცლომების“ გამო 1948 წელს მწერალი გამოყენილიქნა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობიდან, მუეწყვიტეს გომეულების გამოცემა ქართულადაც და რუსულადაც, მკაცრად აკრიტიკებლნენ საკავშირო პრესის ფურცლებიდანაც.

ასეთ რეპრესირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა კ. გამსახურდია ორმოციანი წლების მეორე ნახევარში. ეს ის დრო იყო, როდესაც იგი ინტენსიურად მუშაობდა „დავით აღმაშენებელზე“. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველ რომანზე მუშაობის გაგრძელების უფლებას მას არავენ მისცემდა. შექმნილი მდგომარეობიდან თავდასაღწევად კომპრომისი და უკანდახევა იყო საჭირო. კ. გამსახურდიამაც გაითვალისწინა ეს ყველაფერი და 1951 წელს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული ფრაგმენტებით საზოგადოებას ამცნო, რომ საკოლმეურ-

ნყო მშენებლობის თემაზე წერდა რომანს.

\* \* \*

ის მძაფრად აგრესიული დამოკიდებულება, რომელიც ახალი ხელისუფლების მესვეურებს საქართველოს გასაბჭოების პირველი წლებიდანვე ჰქონდათ მიხეილ ჯავახიშვილისადმი, ორმა უმთავრესმა გარემოებამ განაპირობა არსებითად - მწერლის შემოქმედებაში მძლავრად გამოიკლენილმა ანგისოციალისტურმა თვალთახედვამ და აქტიურმა პარტიულ-საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ. ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ამ საქმიანობას სულ მალე მოჰყვა დამორგუნევი შედეგები. კერძოდ, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი 1923 წელს დააპატიმრეს, ორთაჭალის ციხეში ჩასვეს. სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა ამ სასჯელს. ამის შემდეგ 1937 წლამდე მ. ჯავახიშვილი მართალია დაჭერით აღარ დაუჭერიათ. მაგრამ ხელისუფლების მესვეურები და პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენლები დღენიადავ აკრიტიკებდნენ სოციალისტური იდეოლოგიისათვის პრინციპულად მიუღებელი მისი თვალთახედვის გამო. რაც დრო გადიოდა, მწერლის წინააღმდეგ დაწყებული უკომპრომისო ბრძოლა, რომლის წარმმართველები ხელისუფლების თავკაცები იყვნენ, უფრო და უფრო მძაფრდებოდა და დიდ მასშტაბებს იძენდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საამისო საფუძველს ხელისუფლებას მ. ჯავახიშვილი არა მარტო თავისი შემოქმედებით აძლევდა, არამედ აქტიური პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობითაც. ნათქვამის ნათელსაყოფად დაინგერესებული მკითხველი ბევრ უაღრესად საინტერესო ჩანაწერს ნახავს მ. ჯავახიშვილის პირად არქივში (ამასთან დაკავშირებით იხ.: ქ. ჯავახიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება, 1991 წ. აგრეთვე: მ. ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან. 1924-1935. 2005 წ.). ამ ჩანაწერებში ხშირადაა ხაზგასმით აღნიშნული, რომ მწერლის „მოღვაწეობის მთავარი მიზანი საქართველოს თავისუფლება იყო“, რომ „სოციალიზმის იდეამ განუზომელი მარალი მოუტანა საქართველოს და შემდეგშიც უკიდურეს ხიფათს უქადის“ და ა. შ.

იმისათვის, რომ მკითხველს რამდენადმე მაინც შევეუქმნა გარკვეული წარმოდგენა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისადმი 20-30-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკის რეპრესიულ დამოკიდებულების სასიათმე, დავიმოწმებ ზოგიერთ მაგალითს.

1932 წელს, აპრილში, მწერალთა კავშირში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა თათბირი პროზის საკითხებზე. მომხსენებელმა გიორგი ნატროშვილმა და კამათში გამოსულეზბმაც მკაცრად გააკრიტიკეს მ. ჯავახიშვილის შემოქმედება და არაერთი ბრალდება წაუყენეს მას. „მოგიერთები ფიქრობენ, - განაცხადა გ. ნატროშვილმა, - რომ ჯავახიშვილის შემოქმედებას რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ღირსება ახასიათებს. ეს არ არის მართალი. ჯავახიშვილი ცდილობს მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფუასიანი ხერხებით. სენსაციით, შემთხვევითი სიუჟეტებით. ჯავახიშვილის შემოქმედება არის „ბულვარშიჩინა“.

იგივე თვალსაზრისი გაიმეორა ბ. ელენგმაც. მისი შეფასებითაც, მ. ჯავახიშვილი აშკარად მოექცა მემარჯვენეთა ბანაკში და მწერალი საბჭოთა ხელისუფლების წლებში არა თუ არ განვითარდა, არამედ, პირიქით, უკან წავიდა და მას ქართული პროზის განვითარებაში არაფერი შეუტანია ახალი.

კიდევ უფრო „უკომპრომისოდ“ გაილაშქრა მ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ დ. ბენაშვილმა, რომელმაც ბრალი დასდო ბ. ელენგს მწერლისადმი „არა მარქსისტულ-ლენინურ, არაპროლეტარულ მიდგომაში“. მისი თქმით, კრიტიკოსი „მას აფასებს არა როგორც რეაქციონერ მწერალს, არამედ ისეთს, რომელსაც აქვს ცალკეული მიცდომები“. სინამდვილეში კი, როგორც „ჯავახიშვილის დღევანდელი გამოსვლაც მოწმობს, მისი გარდაქმნა არ შეიძლება“.

მ. ჯავახიშვილის რეაქციონერობასა და ახალი ხელისუფლებისადმი მტრულ პოზიციებზე საუბარი ჩვეულებრივი მოვლენაა 20-30-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაშიც და სხვადასხვა სახის შეკრებებზეც. ახალი იდეოლოგიის მსახურნი ერთსულოვნად გმობენ მწერლის მსოფლმხედველობას, მის წარსულ მოღვაწეობასაც და იმეამინდელ საქმიანობასაც, აცხადებენ მას რეაქციონერ შემოქმედად, კლასობრივ მტრად, მოღალატედ, უცხოეთის ჯაშუსად, ნაციონალისტად...

ვფიქრობ, ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად დაინახაეს მკითხველი, რა მძიმე პირობებში უხდებოდა მ. ჯავახიშვილს ცხოვრება და მოღვაწეობა. რაც უფრო ახლოვდებოდა 1937 წელი. მწერლის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება უფრო და უფრო უღმობელი ხდებოდა. მწერალთა კავშირში გამართული სხდომები, სადაც მის შემოქმედებაზე იყო მსჯელობა, ფაქტობრივად, სასამართლო სხდომებს ემსგავსებოდა, სადაც ბრალმდებლის როლში გამოსული მწერლები

ერომანეთს ეცილებოდნენ მ. ჯავახიშვილის დაკრძობა-გაქრებაში.

და აი, საბუღალტრო შედეგმა არ დააყოვნა. ის, რაც 1937 წლის მაისულში მოხდა, ლოგიკური შეჯამება იყო მ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ წლების მანძილზე თანმიმდევრული სისასტიკით ვაგარებელი პოლიტიკისა.

17 აგვისტოს მწერალთა კავშირში ჩატარებულ სხდომაზე „მეგობარმა“ მწერლებმა საბოლოოდ „ახადეს ხილაბი“ მ. ჯავახიშვილის თვალთმაქცობას და მას ფიზიკური განადგურების ემკაცრესი განაჩენი გამოუგანეს. საამისო საუქმელი უკვე დიდი ხანია იყო მომზადებული. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავისხენოთ ის დამოკიდებულება, რომელიც ქართველი კომუნისტების „ნაცად თავიკაცს“ ლავრენტი ბერიას კქონდა მ. ჯავახიშვილისადმი. მას საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამ დროისათვის მწერალი უკვე აყავს შეფასებული, როგორც ქვეყნისა და ხალხის მტერი.

სიგყვებში გამოსულმა მწერლებმა ბრალდებათა და დანაშაულობათა მთელი ნუსხა წაუყენეს მ. ჯავახიშვილს. მას ბრალს დებდნენ იმაში, რომ იგი „იყავდა ფაშისტური სისხლის თეორიას“, წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნებისა. იმეორებდა ჩვენი ქვეყნის „მტრის“ - ანდრე ჟიდის ცილისმწამებლურ გამოჩინაობებს საბჭოთა ხალხზე, იყო უცხოეთის ჯაშუში და დივერსანტი... ამას ემატებოდა ისიც, თითქოს მ. ჯავახიშვილი თავისი შემოქმედებით „ჩირქს ცხებდა და ამახინჯებდა საბჭოთა სინამდვილეს“. სხდომის მონაწილეთა აზრით, მისი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ავანტიურიზმის, თალღითობის, მაგყუარობისა და თვალთმაქცობის გამიშვებულ აპოლოგიას“ წარმოადგენდა, „ჯაყოს ხიზნებში“ „საესებით ყალბად და დამახინჯებულად იყო გამოხატული საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი წლების სამოგადოებრივი ვითარება“. კრების მონაწილეებმა მ. ჯავახიშვილს იმაშიც დადეს ბრალი, რომ მას, როგორც „კონტრრევოლუციური კლასების ლიგერატურულ აგენტს“, „შეთითხნილი“ ჰქონდა „ცილისმწამებლური პასკვილი“ - „დამპატივე“ და „მძაფრად ნაცონალისტური“ რომანი „არსენა მარაბდელი“, რომლითაც ცდილობდა მოქმედების წარსულში გადაგანით „შეენილბა თავისი შავბნელი კონტრრევოლუციონური ბუნება“; ასევე იყო დაგმობილი „ქალის გვირთიც“ - „ეს ღირსეული აპოთეოზი მისი კონტრრევოლუციონურ - მოღალატური ლიგერატურული „მოღვაწეობისა“.

ასე ბოლომდე იქნა „გამიშვებული და გამოაშკარავებული“ „ნამდვილი სახე“ „ჯაშუშურ-დივერსანტთა საზიზღარი ბანაკის“ „თვალ-

თმაქცი“ წევრისა - მ. ჯაფახიშვილისა. კრების მოხაწილეთა ერთსკლოვანი დასკენით. „მსგავს თვალთმაქც დიქერსანგების გამოძედავნება და განადგურება მხოლოდ აჯანსაღებდა საბჭოთა ლიგურატურის ფონდს“. ასე გადაწყდა მ. ჯაფახიშვილის ბედი - მისი, „როგორც ხალხის მტრის, ჯამუშისა და დიქერსანგის, გარიცხვა მწერალთა კავშირიდან და აღგვა დედამიწის ზურგიდან“.

ბუნებრივია, მ. ჯაფახიშვილი, ამ სხდომათა უმწეო მონაწილე, ყველანაირად შეეცდებოდა საბედისწერო მდგომარეობიდან თავის დახსნას. საპასუხო სიტყვებში იგი ხან უკანაყ იხეკდა, ხან პატივბას ითხოვდა, ხან კიდევ პირობას ღებდა, რომ მომავალში აუცილებლად „გამოსწორდებოდა“, მაგრამ მისი დაპირებებისა და თავის მართლებისა გაბიროგებულ ოპონენტებად ქცეულ კოლეგებს არა და არ სჯეროდათ. მაშინ გამოჭრილმა და უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნილმა მწერალმა მოკამათებისაგან მისი დანაშაულის კონკრეტული ფაქტებით დადასტურება მოითხოვა. „ამდენი ხალხია და ვეკითხები ყველას, - სასოწარკვეთილმა წამოიძახა მან ერთგან, - დამისახელებით, ვინ რა იცით? მაგრამ თუ გზარაკია საჭირო, ეს სხვა საქმეა...“.

და მოსახდენიე მოხდა! მრავალწლიან ღვენა-შევიწროებას ბოლო მოეღო და მ. ჯაფახიშვილის ცხოვრება ლოვიკურად მივიდა თავის ტრაგიკულ ფინალამდე. ამ გრაგელიის თავისებურ „შეჯამებად“ იქცა ბ. ელენგის ცნობილი წერილი „მოღალატური სიტყვა და საქმე“, რომელიც 1937 წლის 24 აგვისტოს დაიბეჭდა „ლიგურატურულ საქართველოში“. ღვარძლითა და ცინიზმით საესე ამ წერილში კრიტიკოსი კიდევ ერთხელ შეახსენებდა სამოგადოებას მ. ჯაფახიშვილის „შაებნელ“ მოღვაწეობას. „მისიელ ჯაფახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი და სამწერლო ბიოგრაფია, - წერდა ბ. ელენგი, - მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორც მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს, უსაზღვროდ გაცოფებულს პროლეტარული რევოლუციის მიღწევებისაღმი მტრობით და სიბუღვილით“. „კვაჭისებური ავანტიურისმისა და ჯაყოსებური მიტმანსების დახელოვნებული ოსტაგი მ. ჯაფახიშვილი... საოცარი სიხარბით და თვალთმაქცობით ჩაებლაუჭა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა მწერლისათვის შექმნილ ყოველგვარ პრივილეგიას და უპირატესობას. ახლა საესებით ცხადია, რომ საბჭოთა მწერლის რეპუტაცია მას სჭირდებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მოხერხებულად გაეკეთებინა კლასობრივი მტრის შაებნელი საქმე“...

მიუხედავად ამგვარი შეტევებისა და ცილისწამებისა, რისი მავა-

ლითებიც, სამწუხაროდ, საძებარი არ არის მ. ჯაფახიშვილის საბჭოური ხანის ბიოგრაფიაში. მწერალს მაინც ყოფნიდა შინაგანი ძალი თავისი ლიტერატურული პრინციპებისა და მოქალაქეობრივი ინტერესების დასაყვეად. მწერალთა კავშირში გამართულ შეკრებებზე წარმოთქმულ სიტყვებშიცა და პრესაში გამოქვეყნებულ წერილებშიც, ყველგან, სადაც საამისო შესაძლებლობა მიეცემოდა, იგი ცდილობდა აშკარა ორამროვნებით დაეგმო ის იდეოლოგიური დიქტაგურა, რაც განვითარების სასიციოცხლო სიერცეებს უხშობდა მხატვრულ სიტყვას. მაგალითად, 1929 წელს მწერალთა კავშირში გამართულ ერთ-ერთ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში მ. ჯაფახიშვილმა პირდაპირ და შეუნიღბავედ განაცხადა: „მეგობრებო, ჩემთვის უდავოა, რომ ქართულ მწერლობაში უეკველად ერთგვარი კრიზისი არსებობს. როდის დაიწყო ეს კრიზისი, ჯერ გამორკვეული არ არის. მაგრამ ფორმალურად ეს კრიზისი მაშინ დაიწყო, როდესაც გამოგვიცხადეს, რომ ქართველი მწერალი ან პროლეტარიაგის პროპაგანდისგად უნდა გადაიქცეს, ან ხელიდან კალაში გააგდოს“.

ხოლო ცოცხა უფრო აღრე, 1925 წელს, ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია: „ვინ მომცა ნება, რომ დღევანდელი ყოფაცხოვრება ისე ავწერო, როგორც ვხედავ და მესმის?!“

მესამეგან კი ასეთი რამ უწერია: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერ სწერს. როცა საგირალი აქვს, იყინის, და სადაც ეყინება, სგირის. ამიგომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩაგე. მოკვლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე აგირდება, რომ მისი ცოდვით ქეაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იგყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“.

ამგვარი შეფასებების გაკეთება სისხლიანი დიქტაგურის იმ უძნელეს წლებში რა დიდ მოქალაქეობრივ გამირობასაც წარმოადგენდა, ეს, ვფიქრობ, უკომენტაროდაც ცხადია მოვლენათა არსში გარკვეული მკითხველისათვის.

მკითხველისათვის აღვილი გასაგები იქნება, ასეთი მრწამსის მქონე მწერლის მიმართ ხელისუფლების მესვეურებსა და მათს დამქაშ კრიტიკოსებს რა დამოკიდებულებაც ექნებოდათ.

\*\*\*

პოლიტიკური რეპრესიის სამიზნედ **გალაკტიონ ტაბიძე**ცა და მისი ოჯახსიც იქცნენ. კერძოდ, ანგისაბჭოთა სულისკვეთების მქონე

პოემის - „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელკა“ დაწერისა და გამოქვეყნების გამო 1924 წელს ხელისუფლებამ ვ. ტაბიძე ხანმოკლე დროით დააპატიმრა. ეურნალ „მნათობის“ ის ნომერი კი, რომელშიც ხსენებული ნაწარმოები იყო დაბეჭდილი, მთლიანად გაანადგურა. ამ ეანდალურ აქტს შემთხვევით მხოლოდ რამდენიმე ნომერი გადაურჩა.

ამის შემდეგ გალაკტიონი მართალია, დაჭერით აღარ დაუჭკრიათ, მაგრამ ამჯერად უკვე მისი მეუღლე - ოლია ოკუჯაია გახდა რეპრესიის მსხვერპლი თავისი ვითომცდა ანგისახელშწიფოებრივი და „მაჟნებლური“ საქმიანობის გამო. თავდაპირველად იგი 1929-32 წლებში დააპატიმრეს და გადაასახლეს შუა აზიაში, მეორედ კი 1936 წელს.

გადასახლებაში მყოფი ოლია ბევრ სხვა მსჯავრდებულთან ერთად 1941 წლის 11 სექტემბერს დაუხვერეგიათ ქალაქ ორიოლის ახლოს მდებარე მეღველევის ტყეში.

რეპრესიათა მომაკვდინებელ საფრთხეს არაერთმა მამულიშვილმა ემიგრაციაში გაქცევით დააღწია თავი. ერთ-ერთი მათგანი გრიგოლ რობაქიძეც იყო. ხელისუფლების დენისაგან თავის დახსნის მიზნით მწერალი იძულებული გახდა 1931 წელს გერმანიაში წასულიყო და მთელი დარჩენილი ცხოვრება ემიგრაციაში გაეკარებინა (გარდაიცვალა 1962 წელს შვეიცარიის ქალაქ ქენევაში).

ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოქვეყნებული წერილებით გრ. რობაქიძემ ნათლად განმარტა სამშობლო ქვეყნის დატოვებისა და უცხოეთში გადახვეწის განმაპირობებელი მიზეზები. საქართველოსა და მშობელ ერზე ჟანატიკურად შეყვარებული პიროვნების მიერ ამის გაკეთება, ბუნებრივია, უძნელესი საქმე იქნებოდა, მაგრამ მწერალი იძულებული გახდა, ეს საბედისწერო ნაბიჯი მაინც ვადაეღვა.

ამ გარემოებას გრ. რობაქიძე, უპირველეს ყოვლისა, იმ მმართოველობითი რეკიმიტ ხსნის, რომელიც ბოლშევიკებმა დაამყარეს რუსეთის განახლებულ იმპერიაში. მაგალითად, 1954 წლის აგვისტო-სექტემბერში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციისათვის მიცემულ ინტერვიუებში მან საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციაში წასვლის მიზეზები შემდეგნაირად განმარტა: „საბჭოეთში ყოველი რწმენა ბებუნებრივის დადალულია ლენინის ქეძაფი სიტყვებით... ყურები გაქვს გამოჭედილი, ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიბრძვითო. ამავე დროს, ხალხს, როგორც ცოცხალ კრებულს, ბასრი დანით სახსრებს უხსნიან. ხალხის ალაგას მასსაა გამეფებული, რომელშიაც პიროვნება, ეს უღვთიურესი მოვლენა, სრულიად ითქვიფება. არაერთიანი სახე აქ არაა

და მაშასადამე, არაეითარი სახიერა“ (გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. კრებული, 1996 წ. გვ. 49).

მწერალი აღშოთიებით საებრობს იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანს ერთიანად წაართვა მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე - ღვთით ბოძებული თავისუფლება. „ვისაა თავისუფალი საბჭოეთში? - სეამს იგი კითხვას და თავადვე უპასუხებს: -არავინ... საბჭოეთში კაცს მიშის გამო მოსვენებით ვერც კი დაუძინია. ეშინია სიგმარში ბოღვით არ წამოსცდეს გულნადები აზრი რაიმე. ასეთია საბჭოეთის სამოთხე. ეს სამოთხე მივაგოვე და არა ნამღვილი სამოთხე. შეუღარებელია სამშობლო ჩვენი, მოწყვეტილი ვარ ღვთაიწას, ხოლო მორეული ფესვებით მაინც მასთან ვარ. ეს ფესვებია, უცხოეთში რომ მაყოცხლებენ“.

მიუხედავად იმისა, რომ გრ. რობაქიძე ემიგრაციაში 1931 წელს წავიდა, 1935 წლამდე მისთვის საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა არ ჩამოურთმევიათ. ეტყობა, ეს იმიტო იყო განპირობებული, რომ ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად გადაწურული სამშობლოში მწერლის დაბრუნების იმედი. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა, რომ გრ. რობაქიძე გადაწყვეტილებას აღარ შეიძვლიდა და უკან არ დაბრუნდებოდა. 1935 წელს, როდესაც ხელისუფლება საბოლოოდ დარწმუნდა ამაში, ქვეყანაში განახლებული ძალით აგორდა გრ. რობაქიძის წინააღმდეგ მიმართული გულისწყრომა. ამ თვალსაზრისით მინდა გამოეყო „კომუნისტსა“ და „მნათობში“ (№4) გამოქვეყნებული მიმართვა სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმისადმი - „არაეითარი დანდობა კლასობრივ მტერს“, რომელსაც ხელს აწერდნენ გრ. რობაქიძის უახლოესი მეგობრები და ლიგერატურული თანამოაზრენი: პ. იაშვილი, გ. გაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი და ნ. მიწიშვილი. ქვეყნად დამკვიდრებულმა უმძიმესმა პოლიტიკურმა ვითარებამ ისინი იძულებულნი გახადა, აღშოთებით დაეგმოთ მათი გულითადად მეგობრის მოქმედება და მოეთხოვათ მის მიმართ უმკაცრესი ზომების გატარება.

ეურნალ „მნათობის“ იმავე ნომერში მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებაცაა გამოქვეყნებული, სადაც ნათქვამია: „ეთხოვოს ს.ს.ს.რ. ცაკ-ის პრეზიდიუმს, რათა გრ. რობაქიძე, როგორც აშკარა მტერი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხისა, თვალთმაქცურად გადასული კონტრრევოლუციონერთა ფაშისტურ ბანაკში, გამოცხადებულ იქნას სოციალისტური სამშობლოს მოღალატე და ჩამოერთვას მას საბჭოთა მოქალაქეობა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგების განსორციელებით“.



ამ დადგენილების მიღებას მწერალთა კავშირში წინ ეძღოდა პრეზიდენტის სხდომის ჩატარება (1935 წ. 19 აპრილი საქართველოს ლესსა. ფონდი 177, ანაწერი 2. საქ. № 1), რომლის ოქმი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, როგორ წარიმართა ვრ. რობაქიძის საკითხის განხილვა.

საბოლოოდ, მწერალთა კავშირმა მთელი შემოსევა უკვე მითითებული დადგენილება ვრ. რობაქიძის, როგორც „ქვეყნის მგრის“. წინააღმდეგ უმკაცრესი ზომების გატარების შესახებ.

\* \* \*

საბჭოთა ეპოქაში პერმანენტულად მიმდინარე პოლიტიკურმა რეპრესიებმა პიკს 30-იანი წლების შუა ხანებში, კერძოდ, 1937 წელს, მიაღწიეს. იმ პერიოდის საქართველოს ბედისწერად ქცეული ამ სისხლიანი გრაგედიის პირველი ყველაზე დიდი მსხვერპლი ქართველ მწერალთაგან ბოლო იაშვილი იყო. ეს გრაგედია მოულოდნელი არ ყოფილა. იგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე, ნელ-ნელა და თანდათანობით, მზადდებოდა. მოვლენები იმგვარად ვითარდებოდა და დღითიდღე ისეთი საბედისწერო ფაქტები „ამკარაველებოდნენ“, ცხადი იყო, მეხი სულ მალე უნდა გავარდიხილიყო.

პაოლო რაინდულად მოემზადა ამ გრაგედიასთან შესახვედრად და სულიერი ენერჯის მაქსიმალური მოკრებით, ვაკეცურად, რომ იტყვიან, ერთი ნაბიჯით, დაასწრო იმ საბედისწერო განაჩენს. რითაც ხალხისა და ქვეყნის მგრად შერაცხულისთვის სასიკვდილო გყვია უნდა დაეხალათ.

ყველაფერი რომ უფრო ნათელი იყოს, მივყევთ მოვლენათა მსვლელობას.

გარდა შემოქმედებითი დისკუსიებისა, რომელთაც ბოლო ხანს უმართავენ ხოლმე პოეტს „იდეოლოგიური მანებლობის“ ვაბო, იმისთვისაც მკაცრად გუქსავდნენ და აკრიტიკებდნენ, რომ ახლო მკგობრული ურთიერთობა ჰქონდა „ხალხის გამომვლავნებულ მგრებთან“; ჯიქიასთან, ელიაევასთან, ლომინაძესთან, აღნიაშვილთან...

ვითარების არსში გასარკვევად უალრესად საინტერესოა ამასთან დაკავშირებით საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივში დაცული მასალები, კერძოდ, მწერალთა კავშირის პრეზიდენტის სხდომათა ოქმები, რომლებშიც პაოლოს მიერ „ჩადენილ მოლაღატობრივ საქმიანობაზე“ მსჯელობა.

ასეთი სხდომები კი ხშირად იმართება. ბრალდებები ბევრია; ძვე-

ლი მეგობრებიცა და თანამომრეცის კი, თითქოს პირი შეუკრავთო. ბრალმდებლებად ქვეულან, უდიდესი მგზნებარებითა და ზიზღნარევი აღშფოთებით გამობენ მწერალთა რიგებში შემოპარული „ხალხის მგრისა და დივერსანტის“ საქციელს და კაგეგორიულად უსვამენ საკითხს, თუ მართალი ხარ, გამოდი და დაგვიმტკიცეო.

და პაოლოც, სასოწარკვეთილი და პიროვნულად განადგურებული, შემფოთებული ცდილობს იმართლოს თავი ათასგეარ გამოგონილ ბრალდებაზე, მოინანიოს ჩაუდენელი დანაშაული, აღიაროს დაუშვებელი შეცდომები, ითხოვოს დრო ქვეყნისა და ხალხისათვის ეროგულების დასამტკიცებლად.

მაგრამ მისი ფიცისა და პირობისა არ სჯერათ, ეჭვდებიან მის გულწრფელობაში, პირფერობად უთელიან და „ბოლშევიკური გაბედულებით“ ხდიან ერის მოღალატის ნიღაბს; ჭაბუკობის დროიდან მოყოლებული, ყველა „შეცდომასა“ და „დანაშაულს“ უხსენებენ, როგორც „სამოგადოებრივსა და პოლიტიკურს“, ისე ლიტერატურულს. წამლაუწუმ აყვედრიან „ცისფერყანწელობას“, ხალხის ინგერესებიდან განზე დგომას, საბჭოური იდეოლოგიისადმი დაღალატს.

განსაკუთრებით მაინც ე. წ. პროლეტარული მწერლები აქტიურობენ, საბჭოთა ეპოქის ეს ყველაზე საიმედო დამცველები და მუხობგენი (ამასთან დაკავშირებით დაწერილებით ის.: ა. ნიკოლეიშვილი, პაოლო იაშვილი, ცხოვრება და შემოქმედება, 1995 წ. გვ. 36-80).

პ. იაშვილისადმი კრიტიკული დამოკიდებულების სიმწვავეს არსებითად განსაზღვრავდა საქართველოს კომპარტიის X ყრილობაზე, ჩვენი ქვეყნის პარტიული თავკაცის მიერ გაკეთებულ მოსხენებაში, ქართველ მწერალთა „მოღალატეობრივ“, საქმიანობასთან დაკავშირებით გამოთქმული დირექტიული მოსაზრებანი.

კერძოდ, ყრილობის მონაწილეთ ბერიამ ჩვეული მრისხანებით განუცხადა: „პ. იაშვილმა, რომელიც უკვე 40 წლისაა, დროა ჭკუა ისწავლოს. სიკეთე არ მოყვება მის ნაჟარდს ლომინაძიდან ჯიქიასაკენ, ჯიქიადან აღნიაშვილისაკენ, ლოლობერიძიდან ლომინაძისაკენ და ბოლოს ელიაეას კლანჭებში. ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავის მოქმედებას აგრეთვე გამსახურდია, ჯავახიშვილი, მუშიშვილი, შვეარდნაძე და კიდევ ზოგიერთები“.

ლ. ბერიას ეს განცხადება უკვე აშკარა მითითება იყო მწერალთა კავშირისათვის, ვის გამოსააშკარაებლად და სამხილბლად უნდა გაეჩაღებინათ იდეოლოგიური მუშაობა. თუმცა სამხილბელი და გამოსაძიებელი რაღა იყო! რადგან რესპუბლიკის პარტიული ლიდერი

ასე ამბობდა, ე. ი. ყველაფერი ნათელი გახლდათ. სხვა ჭეშმარიტება როგორ შეიძლებოდა არსებულიყო!

ასე თანდათანობით მზადდება საფუძველი პაოლოს გრაგვიდისათვის; და არა მარტო პაოლოსი. მწერალთა კავშირის სხლომათა ოქმებში, არცთუ იშვიათად. გვხვდება ხოლმე განწირულთა - ქვეყნისა და ხალხის მტრებად შერაცხულ მწერალთა, - დასჯილთა თუ დასასჯელად გამზადებულთა, სიები, შედგენილი ქართულ და რუსულ ენებზე. ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი სიების ჩამომწერს, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ჩაუთელია საჭიროდ, დაწერილებით აღწერა რეპრესირებულთათვის წაყენებული ბრალდებანი და შთამომავლობისათვის შემოენახა ყველა საგულსისხმო მომენტი იმ სისხლიანი დღეებისა. ბევრი რამ სამუდამოდ დაიკარგა, შავრამ რაც გადარჩა, ისინიც შემადრწუნებელ წარმოდგენას გვიქმნიან 1937 წლის გრაგიკულ მოვლენებზე.

აი, მაგალითად, ერთი ასეთი სია. შედგენილი 1937 წლის ბოლოს, რომელშიც მწერალთა კავშირიდან გარიცხული და რეპრესირებული მწერლები არიან ჩამოთვლილნი (სლხცსა, ფ. 8, აღ. 2. საქ. 45):

„1. ჯავახიშვილი მიხეილი. 2. მიწიშვილი ნიკოლოზ. 3. იაშვილი პავლე. 4. გაბიძე გიციან. 5. საყვარელიძე პავლე. 6. დემეტრადე დავით. 7. დუღუჩავა ალექსანდრე. 8. კოტეგიშვილი ვახტანგი. 9. მუშიშვილი ვიორგი. 10. ზომლეთელი (ქურიძე) ნოე. 11. ბუაჩიძე ბენიგო. 12. გოროშელიძე მალაქია. 13. ბიბინეშვილი ბარონ. 14. გვასალია მოსე. 15. კალაძე რაეფნი. 16. შატბერაშვილი ვიორგი. 17. ქიქოძე პლატონ. 18. თალაკვაძე სევასტი. 19. ბაამოვი გერცელი. 20. ქუთათელაძე პეტრე (სამსონიძე).

ქუთათისიდან: 1. ჩიანელი დია. 2. ასათიანი მამია.

აჭარიდან: 1. აბაშიძე მემელი. 2. ძიმისგარაშვილი ლაურენცია.

აფხაზეთიდან: 1. გრიგორიევი ვალერიანი. 2. პერეხუინოსი ივანე. 3. წივიტა შალვა. 4. ეხვია მაკარი. 5. მიგაფიდი ემანუელ. 6. ჭანბა სამსონ.“

სომხური სექციიდან ასევე გარიცხულ იქნა 13 კაცი.

იგივე სია რუსულ ენაზეცაა შედგენილი. მასში შეტანილი ბოვიერთი მწერლის შესახებ წაყენებული ბრალდებანიცაა აღნიშნული. მაგალითად, ვიორგი შატბერაშვილზე ნათქვამია, რომ იგი დასჯილია, როგორც ფაშისტურ შეხედულებათა გამგარებელი და კონტრრევოლუციონერი ლიტერატურაში.

დასჯილთა სიები ხშირად იცვლება და კონკრეტდება. ჩნდებიან

ახალ-ახალი გვარები. მაგალითად. 1938 წლის დამდეგს შედგენილ ახალ სიას, რომელშიც 48 კაცია, დაემატნენ: ვალერიან ლუარსაბიძე, არჩილ ჯაჯანაშვილი. ჩერმენ ბეგიშვილი... (იქვე, საქ. 80).

ღასჯილთა ამ სისხლიან სიებში სარკესავით ირეკლება ქვეყნად გამეფებული მდგომარეობის შემზარავი სურათი. აღაძიანი ხაფანგში მომწყვდეულ მსხვერპლს დამსგავსებია. საზოგადოების უმეტესი ნაწილი თითქოს მგლად ქცეულა.

არაერთიანი შენდობა და დანდობა! ყველასა და ყველაფერს იჭვითა და შიშით უცქერენ.

და შექმნილი ვითარებით სასოწარკვეთილებამდე მისული პაოლო ერთ-ერთ სხლომაზე უმწეოდ ამოიძახებს: „გამოდის, რომ ლიგურაგურაში ვყოფილქარ სრულიად მიუღებელი საქართველოს სინამდელიეში. ჩენი ცხოვრებისათვის ჩვენ („ცისფერყანწელები“ - ა. ნ.) ისეთი პირები ვყოფილქართ, რომ უნდა დავრჩეთ როგორც უარყოფითი მასალა ხელოვნების და მხატვრული მწერლობის ასახვისათვის... განა ამხ. ბერიას მოსხენებაში ასე არის გაშუქებული ცისფერყანწების საკითხი?... ამხ. ბერია პირდაპირ ამბობს, რომ ღღეს ეს ჯგუფი საბჭოთა პლატფორმაზე ღღას...“ (სლხცსა, ფ. 8. აღ. 2. საქ. 31, გვ. 22).

ეს ბოლო სიგყეები - თავის დასახსნელად ბერიას „თვალსაზრისის“ მოშველიება - რომ ის და მისი მეგობრები უკვე საბჭოთა პლატფორმაზე ღღანან - ხავსზე ჩაჭიღება იყო, შეტევაზე გადასული კოლეგების მოგერიების უკანასკნელი ცდა, რაც, სამწუხაროდ, მარცხით ღამთაერდა. პაოლოს მიზანი - დაერწმუნებინა კრების მონაწილენი, რომ ის და მისი მეგობარი „ცისფერყანწელები“ არ იყენენ „ანტი-საბჭოთა ელემენტები, გაიძვერები, ქურღები და ყაჩაღები“, ვერაფრით მოხერხდა.

რა შემზარავი და შემაძრწუნებელია ეს მასალები ღღესაც, ამღენი ხნის შემღევაც, რა თავზარღამცემი და სასოწარმკვეთი. აღვილი წარმოსაღგენია, რა ცეცხლი და გვემა იბუღებღა მაშინ პაოლოს გულში, ვისაც მარტო სიკვიღლის შავი აჩრღიღი კი არ უღრღნიღა გულს, არამუღ იმის შიშიც, რომ მისი სახელი შთამომავლობის ხსოვნაში ამ მასალების მიხეღვით უნდა შესულიყო, როგორც სახელი ქვეყნისა და ხალხის მოღაღაგისა.

„ბოროტმოქმეღთა“ და იმპერიალიზმის „ჯამუშთა“ გამოსაამკარაეებღად გაჩაღებულ ამ ბოლშევიკურ კამპანიაში, რომელიც შიშისმომგვრელ და თავზარღამცემ ფსიქომოს ამკვიღრებღა საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ისეთი პიროვნებანიც აღმოჩნღნენ, ნებსით

თუ უნებლიედ, ჩათრეულნი, რომელნიც ყოველგვარი პოლიტიკისა და ეკეთურობისაგან შორს იდგნენ. ხშირად მათაც მოუხმობდნენ ხოლმე მსგავს საძმჯაერო სხდომებზე და ავალუბდნენ თავიანთი „იორუთენელი“ აზრის გამოთქმას „გამოაშქარავებულ ხალხის მტრებზე“. და ისინიც იძულებულნი ხდებოდნენ „ემხილებინათ“, დაეკმით მათი „მოლაღატური საქმიანობა“ და ამით ვადაერჩინათ საკუთარი თავი.

თუმცა ამგვარი „მხილება“ ყოველთვის როდი იყო ვადარჩენის საიმედო ვარანგია. საძებარი როდია ისეთი შემსხვევეები, როცა დღევანდელი „მამხილებელი“ და „ბრალმდებელი“ ხეაღინდელ მსხვერ-  
**ქლად იქცეოდა.**

ამიგომაცაა ხშირ შემთხვევაში მეგისმეგად როული და თითქმის შეუძლებელიც 30-იანი წლების (ვანსაკუთრებით - 1937 წლის) გრაგიკულ მოვლენებზე მსჯელობის დროს მგყუან-მართლის ვარჩევა. საამისოდ ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები საკმარ მასალებს არ გვაწვდიან. ამ სისხლიან ოქმებში ბევრი რამ არ ასახულა საჭირო სიზუსტითა და ყოვლისმომცველობით.

ასე საბედისწეროდ ახლოვებოდა პოეტის ამქეყნური აღსასრულის გრაგიკული დღე. ამარ იყო თავდასახსნელ გზათა ყოველგვარი ძიება.

საქმეს ვერ შევლიდა ვერანაირი მონანიება და თყითმხილება. სიკვდილი ვარდაუვალად მიდგმოდა პოეტს კარზე. თუ თვითონ არ მოასწრებდა და არ მოისწრაფებდა სიცოცხლეს, ხელისუფლება ვამოუგანდა დახვრეტის ვანაჩენს, როგორც ხალხის მტერსა და მოლაღატეს.

„ლიგერატურული საქართელოს“ 1937 წლის 10 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ საქართელოს საბჭოთა მწერლების კავშირის ვამგეობის პლენუმის მისაღმებაში ბერიასაღმი წერია: „ის ვაფრთხილება, რომელიც თქვენ მე-10 ყრილობის გრიბუნდან მიეცით რამდენიმე მწერალს - პ. იაშვილს, მ. ჯაეახიშვილს, კ. ვამსახურდიას და სხვებს. აძლიერებს საბჭოთა მწერლობის მთელი კოლექტივის რეეოლუციურ სიფხიზლეს და შეურიგებლობას სოციალიზმის საქმის მტრებისადმი“. ამას მოსდევს ფიცი-მტკიცი და აღთქმა იმისა, რომ საბჭოთა მწერლები თავიანთ რიგებში არ მოითმენენ ისეთებს, რომლებიც საქმით არ დაუმტკიცებენ ქეყანას თავიანთ ერთგულებასა და უსამღვრო სიყვარულს „ჩენი დიდი სამშობლოსადმი, ლენინ-სგალინის დიადი პარტიისადმი“.

იქვე ვაბეთი იმასაც იუწყებოდა, რომ მწერალთა კავშირში ვამართულმა კრებამ დავმო დასახელებული მწერლების კონგრრევი-

ლუციური და ასტიხალხური საქმიანობა. რომ მოთხოვა მათ, გულწრფელად ელიარებინათ სიმართლე, ფარული თანაშემრომლობა კლასობრივ მტრებთან. გამოთქმული იყო გულისწყრომა იმის გამოც, რომ „დასახელებელმა მწერლებმა ჯერ კიდევ ეყრ შეძლეს დამაკმაყოფილებელი პასუხი გაეცათ მწერალთა საზოგადოების მიერ მათ წინაშე მწვავედ და მძაფრად დასმულ საკითხებზე“. ამას მოსდევს მკაცრი გაფრხილება იმის თაობაზე, რომ თუკი ეს მოღალატენი გონს ვერ მოეგებოდნენ და გულწრფელად არ მოინახიებდნენ ცოდვებს, „საბჭოთა მწერლები თავიანთ რიგებში ვერ მოითმენდნენ მათ“, როგორც ხალხის მტრების აგენტებს.

ასე დაუნდობელია ბრძოლა ბოლშევიკური იდეოლოგიური სიჯანსაღისათვის. მთელი დაგვირვით მუშაობს სისხლიანი გილიოტინა. მსხეერპლს მსხვერპლი მოსდევს. პარტიის უმაღლეს ორგანოებში, თბილისშიც და მოსკოვშიც, ბერიასა და სტალინის სახელებზე უწყევტ ნაკადად იგზავნება ერთგულების დამადასტურებელი პაგაკები.

პაოლოსადმი, საერთოდ, „ცისფერყანწელებისადმი“, წაყენებულ ბრალდებათაგან რამდენჯერმე მეორდება მათი მეგობრული სიახლოვე რუს მწერლებთან: ბალმონტთან, ბელისთან, პასტერნაკთან, ესენინთან... ამ ურთიერთობას მწერალთა კავშირში გამართულ საბრალდებო სხდომებზე ნათლავენ როგორც მათს „გადმობირებას“, მოსყიდვას, ზრუნვას საკუთარი შემოქმედების პოპულარობისთვის (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. 20 ივნისი).

საქართველოს კ (ბ) X ყრილობის შედეგების განსახილველად მოწვეული კრება მწერალთა კავშირში სამ დღეს გაგრძელდა. კრების სულისკვეთება, გარკვეულწილად, შეჯამდა „ლიტერატური საქართველოს“ სარედაქციო წერილში - „მწერალთა რიგების იდეური სიწმინდისათვის“ (1937 წ. 10 ივნისი), სადაც აღნიშნულია, რომ მოთხოვნა - გაკრიტიკებულ მწერლებს - პ. იაშვილს, მ. ჯაფახიშვილსა და კ. გამსახურდიას „გულწრფელად და სიმართლით ეთქვათ სამწერლო საზოგადოებისათვის თავიანთი კავშირის შესახებ ხალხის საზიზღარ მტრებთან - კოტრრევილუციურ გროცკისგებთან და გულწრფელად ნათელყვით, რომ ისინი მზად არიან ძირფესვიანად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და ყოფაქცევა“ - შეუსრულებელი დარჩა. რედაქციის შეფასებით, დასახელებულმა მწერლებმა ვერ გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი მათ წინაშე „მწვავედ და მძაფრად“ დასმულ კითხვებს, რის გამოც ისინი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი. „მათ კარგად უნდა ახსოვდეთო, - წერია სარედაქციო წერილში, -

რომ საბჭოთა მწერლები თავის რიგებში ვერ მოითქმენ ხალხის მგრების აგენტებს“.

მიხეილ ჯაყახიშვილის ქალიშვილი ქეთიყახი მამამისის ჩააბობზე დაყრდნობით იგონებს: ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა, როცა ბერიას პაოლო დაუბარებია და დაუვალვებია მიხეილისა და გიციანის საწინააღმდეგო ყალბი ბრალდებების დაწერა, რასაც შემდგომ მათს მამხილებელ ლოკუმენტად გამოიყენებდნენო. მაგრამ პაოლოს უარი უთქვამს. ადელი წარმოსადგენია, რა შედეგიც მოჰყვებოდა ამ უარს. პაოლო, ეგყობა, შინაგანად უკვე მზად იყო ამ შედეგისათვის. შინ მობრუნებულს სანადირო თოფი აუღია და ცოლისთვის უთქვამს, სანადიროდ მივდივარო.

ამ დროს მწერალთა კავშირში სხლომა მიმდინარეობდა და ისე და ისე ხალხის მოღალატე მწერლების საკითხს იხილავდნენ. პაოლომ ვბა მწერალთა კავშირისაკენ აიღო. სხლომა დაწყებული იყო, ის რომ დარბაზში შევიდა. მოუნახავს თავისუფალი ადგილი მამას გვერდით და სკამზე ჩამომჯდარა. მამას მისთვის ჩუმად გადაულაპარაკნია, რა იყო, რა ვითხრა ბერიამო? პაოლოს უპასუხნია, საიმისო არაფერი. ცოგა ხნის შემდეგ კი უთქვამს: მალე დავიმტკიცებთ, არც ისეთი ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათო. მამა ვერ მიხვდა პაოლოს ნათქვამს და აღარ შეეკითხა. ცოგა ხნის შემდეგ პაოლო ადგა და ოთახიდან გავიდა. ამ სხლომას დაეისო დემეტრადე თაყმჯლომარეობდა. მცირე ხნის შემდეგ, ზევითა სართულიდან საშინელი ვრიალი და თოფის გასროლის ხმა გაისმა. კრება აიშალა და შეშინებული ხალხი ზევითა სართულისაკენ გაიქცა. მამაც გაპყვა მათ. სულის შემზარავი სურათი გადაიშალა მათ თვალწინ: ბემო სართულის პაგარა დერეფანში, იატაკზე, პაოლო სისხლში მოსერილი იწვა. მან თავის თავს თვითონვე გამოუტანა განაჩენი. თავი საჯიჯენად არ მისცა არავის... ხალხი შეძრწუნებული იდგა... სამარისებურ სიჩუმეში დემეტრადის ხმა გაისმა: ამხანაგებო, ისეთი არაფერი მოხდა, წაყილდეთ, კრება გავავგრძელოთ... ეს ამბავი 22 ივლისს მოხდა“ („მნათობი“, 1989 წ. №5, გვ. 99).

ამ მოგონებაში არაფერი გადაჭარბებული რომ არ არის, ამას სხვათა ნაამბობიც ადასტურებს. თვითმკვლევლობის თავისთავად შემაძრწუნებელ ამ ფაქტს მეტ გრაგიკულ შინაარსს ისიც სძენს, რომ პაოლომ ეს საბედისწერო ნაბიჯი სწორედ იმ წუთებში გადადგა, როცა მწერალთა კავშირის პრემიდიუმის სხლომაზე მისი საბოლოო გაწირვის განაჩენი გამოჰქონდათ.

მან, რომ იცყვიან, წამით დაასწრო ამ განაჩენს და ნიშნად პრო-

გესტისა, მწერალთა სასახლის კედლები საკუთარი თავისთვის ნასროლი თოფის გრიალით შეაზანზარა. პირში ჩადებულ ლულიდან გამოგორცნილმა ტყვიამ თურმე თავის ქალა ახადა პოეგს. სისხლითა და დათხეული ტვინით შეიღება კაბინეტის ჭერი და კედლები...

აღშოთებულს ხელისუფალს სასწრაფოდ დაკრიალებულან და ყველა ღონე უხმარიათ თვითმკვლელობის კვალის გასაქრობად. მაშინვე მოუწვევიათ სახანძრო მანქანები და საგულდაგულოდ ჩამორეცხავეთ სისხლიანი ადგილები. მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ სისხლიანი ტრაგედიის ნაკვალები. თანამედროვეთა მოგონებით, საკმაოდ დიღხანს შემორჩენია მწერალთა სასახლის კედლებს.

პაოლო იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით მეგად მნიშვნელოვანი მოგონება გამოაქვეყნა ირაკლი აბაშიძემ, რომელიც ამ შემადრწუნებელი ფაქტის თვითმხილველი იყო (იხ. მისი წერილი - „მარები ოცდაათიანი წლებიდან“, „მნათობი“, 1992 წ. № 1). მკითხველს შევასხენებ მოგიერთ დეტალს ამ მოგონებიდან. იმ საბედისწერო დღეს პაოლო შუადღისას მისულა მწერალთა კავშირში, ხელში გამეთმი შეხვეული თოფი სჭერია - მისი ცნობილი ძვირფასი „ლები“. მწერალთა კავშირის ბუფეტში შეუვლია, მეტუფეტი-სათვის ვალი - შვიდი მანეთი გაუსტუმრებია და ქალაქში უთოფოდ გამობრუნებულა.

იმ დღეებში, - წერს ი. აბაშიძე, - მრავალჯერ ყოფილა გამოძახებული „უმაღლეს დაწესებულებებში და იქედან ყოველთვის უსაზღვროდ აღელვებული ბრუნდებოდა. არაყინ იცოდა, რაბე იყო იქ საუბარი რესპუბლიკის ხელმძღვანელთან. საუბარი კი, როგორც ჩანდა, იყო უკიდურესად მკაცრი და კატეგორიული“. იმ საბედისწერო საღამოს, მწერალთა კავშირში კრებაზე მიმავალ ირაკლის პაოლო ახლანდელი თავისუფლების მოედანზე, ლეონიძის ქუჩის მოსახვევში შეხვედრია. მისალმების შემდეგ „უსაზღვრო სახემეცვლილს“ უთქვამს, ცოტა რუსთაველზე გავლა მინდოდა მომესწროო“. მერე უცებ მკლავში ხელი ჩაუჭიდა და უკითხავს, ჩემთან გავლისა ხომ არ გეშინიაო... შემდეგ კი საოცრად არეულსა და აძაგძაგებულს დაუმატებია, „ყველას დაუემტკიცებ, რომ ვაქეაცი ვარო“...

მაღე ორივენი მწერალთა კავშირში წასულან იმ კრებაზე დასასწრებად. სადაც პაოლოს მოღალატეობრივი საქმიანობის საკითხი უნდა განხილულიყო. კრებას თურმე მხოლოდ მწერლები ესწრებოდნენ და „სამარისებური სიჩუბით“ ესმენდნენ ხელისუფლების წარმომადგენელს, რომელიც „პოლიტიკური სიფხიზლის“ მოღუნების გამო



ტუქსაჲდა და ჭკუას არიგებდა მათ პაოლო ეროსხანს ხერციულად მჯდარა დარბაზში. მერე სხდომიდას გამოსულა და... „სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ის ჯოჯოხეთური ქეხილი, ისეით სიძლიერისა, როგორც შემდეგ მე დიდ მსოფლიო ომში საპაქრო დაბომბვის დროს მსმენია ხოლმეო“, - დასძენს ბატონი ირაკლი აბაშიძე. ყველანა თაჲგზააბნეულნი გამოცვენილან გარეთ. ვინ საით ვარბოდა და ვინ საით. ..და ამ დროს მეორე სართულიდან კბებზე ჩამორბას დამლაგებელი ქალი ანია, წიყილ-კივილით - იაშვილი, იაშვილი!

სულ ხუთიოდე წუთში გაჩნდნენ აღმინისგრაიული დაწესებულების წარმომადგენლები და სასახლის კარებიც დაიკეტა. ისეჲე სამარისებური სიჩუმე. ახლა უფრო მეტი. ახლა უფრო სამარისებური. მხოლოდ ერთხელ გაისმა მიხეილ ჯაეახიშვილის დაგუბული ხმა:

- ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილა, გეთაყვათ! და მე მხოლოდ ახლა მოუედი ამრბე, რას ნიშნაჲდა მისი სიტყვები ნახეყარი, სულ ნახეყარი საათის წინ:

- მე დაუუმტკიცებ ყველას, რომ ვაჟკაცი ვარო!“

აჲჲე, ამაჲე მოგონებაში, ირაკლი აბაშიძე აჲჲეყნებს პაოლოს უკანასკნელ წერილებსაც ცოლ-მეილისადმი, დაწერილს იმ ტრავიკული დღის წინა დამეს, 22 ივლისს. აი, ერთ-ერთი მათგანი - წერილი მეილისადმი:

„ჩემო შვილო, ჩემო კარგო მამიკო, ჩემო სიხარული და ბედნიერებაჲ!

მედეა!

მაჲატიე,

გემუდარები, მაჲატიე ეს უდიდესი დანაშაული შენს წინაშე, მთელი ჩენი ჲეჲყნის და ხალხის წინაშე.

მთელი დამე არ მიძინია, დავჩერებოდი შენ მძინარეს, მაგრამ თავის მოკვლა უკჲე გადაწყვეტილი მქონდა და ვერც შენ გადამარჩინე.

არავის დააბრალო ჩემი სიკვდილი. გაიზრდები, დაუფიქრდები ჩემს ბედს და დარწმუნდები, რომ ჩემი სიკვდილი სჯობდა. შენ უფრო უბედური იქნებოდი, რომ დღეს თავი არ მომეკლა. გიყვარდეს დედა და ყველა ჩემი ახლობლები, ისინი არ დავგოვებენ არცერთი წუთით და რაძღენიმედ მაინც გაგიაღვილებენ ობლობას.

მეტის წერა არ შემიძლია.

მშვიდობით, მამიკო!

მედეა, მედეა, მშვიდობით!

ისწავლე, იმროპე. ყოველთვის მართალი სიტყვი, ეცადე სასახელო ქალი გამოხვიდე, ვიყვარდეს სამშობლო, მუდამ ვახსოვდეს შენი ახლობლები და შენი მამა.

შენი უსაზღვროდ მოყვარული მამა. 22.VII. 37 წ“.

ითქვა და კელაიაც უნდა ვაგიმეორო. რომ პაოლოს მიერ გადაღებული საბედისწერო ნაბიჯი წუთიერი აფექტის შედეგი არ ყოფილა. სასოწარკვეთილი პოეტი დიდი ხანია ემზადებოდა ამ ნაბიჯის გადასადგმელად. სანადირო თოფიც, საგულდაგულოდ მოვლილი და გამართული, საგანგებოდ მიიგანა და მოიმზადა მწერალთა კავშირში...

სამწუხაროდ, ბოროტების იმპერიაში პროტესტის ნიშნად დაქვებულ ამ გასროლას, რომელსაც უნდა გამოეფხიზლებინა უფსკრულისაკენ დაქანებული და ემშაკთან წილნაყარი ადამიანები, არაერთარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ჯერ კიდევ გაუცივებულ და სისხლმეუმშრალ პოეტის გვამს საბჭოთა იდეოლოგიის მსახურებმა მიზლისა და ცილისწამების ახალი რისხვა დააგებეს.

ის კი, „სერობის ეამს“ სუფრიდან გასული „ამაყი თამადა“, სისხლით მოთხვრილ წუთისოფელთან საბოლოოდ ანგარიშვასწორებული და მასთან საბედისწერო დუელში გამარჯვებულ-ამაღლებული, მარადისობის გზას დადგომოდა და ყველას დიდსულოვანი დუმილით პატიობდა ადამიანურ სულმოკლეობასა და სიმდაბლეს...

მწერალთა კავშირში პაოლოს მიერ ჩადენილი „პროვოკაციული აქტის“ დასაგმობად სასწრაფოდ იქნა მოწვეული კრება. მას ესწრებოდნენ და სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა თაობის მწერლები. მართალია, პაოლოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა თავზარი დასცა ყველა გონივრულად მოამზოვნე ადამიანს, მაგრამ ისეთი სიტუაცია იყო შექმნილი, თანაგრძნობასა და სინანულზე კრინგის დაძვრაც კი დალუპვას ნიშნავდა. ამიტომ ვერავენ ბედავდა გულში ნადების ხმა-მალლა გამოთქმას და „საყოველთაო მიზლის“ ობიექტად ქცეული მიცვალებულისადმი გამოქომაგებას.

პირიქით, როგორც ამ სხდომათა ოქმები გვაუწყებენ, ყველა ერთსულოვანი აღშფოთებით გმობს პაოლოს მიერ ჩადენილ „პროვოკაციულ აქტს“. ამ ოქმების შემდგენელს საჭიროდ არ ჩაუთვლია დაეკონკრეტებინა გამომსვლელთა ნალაპარაკევი და შთამომავლობისათვის შემოენახა თუნდაც ძუნწი ცნობებიც კი იმის შესახებ, ვინ, რომელმა გამომსვლელმა, რა თქვა, როგორი სიტყვებით გამოხატა თავისი პოზიცია და გულისნადები. ისტორია ამაზე ღუმს. იმ

სხლომათა რთული და დაძაბული ატმოსფეროს ეს საინტერესო დეტალები. ეტყობა, სამუდამოდ დაიკარგა.

აი, ერთ-ერთი ამგვარი დოკუმენტი: 1937 წლის 28 იელისს გამართული მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მე-4 ოქმი:

„მოისმინეს პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროოკაციული აქტის შესახებ“. სიტყვებით გამოვიღებ: ირ. აბაშიძე, ი. ლისაშვილი, ე. წულუკიძე, ლ. მეტრეველი, პ. საყვარელიძე, გ. ბუხნიკაშვილი, შ. რაღიანი, ა. ჭეშბაძე, ს. წვერაეა. მ. ჯაფახიშვილი, გ. ტაბიძე, ს. უელი, კ. გამსახურდია, ბ. ელენტი, ე. გაფრინდაშვილი, ს. კლდიაშვილი.

„ყველა ორაგორი ერთსულივნად სასტიკად გმობდა და კიცხავდა პაოლო იაშვილის მოღალატურ მუშაობას, საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან უშუალო კავშირსა და მათ შეუზღუდავ საქმიანობაში მონაწილეობას. შიშლითა და აღშფოთებით აღნიშნავდა პ. იაშვილის მიერ მწერალთა სასახლეში ჩადენილ პროოკაციულ აქტს - თვითმკვლელობას.

დაადგინეს - საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა მწერალთა აქტივთან ერთად, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია პ. იაშვილის მიერ ჩადენილი პროოკაციული აქტის შესახებ. აღნიშნავს:

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოფილი წევრი - პავლე იაშვილი მთელი რიგი წლების განმავლობაში საბჭოთა მწერლის ნიღაბს ამოფარებული თვალთმაქცურად აწარმოებდა მოღალატურ ჯაშუშურ მუშაობას ქართველი მშრომელი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ.

იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საბჭოთა ხალხის მოსისხლე მტრებთან, გროცკისგ-ბუსარისულ ბანდიტებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათს დივერსანტულ-მაკინებლურ მუშაობაში სისხლიანი ფაშისტების სასარგებლოდ.

და როდესაც მისი მავნებლურ-მოღალატური მუშაობა ურყევი ფაქტებით საბოლოოდ გამომჟღავნებული იქნა, მან მოინდომა გაქცეოდა საბჭოთა ხალხის რისხვას და პროლეტარულ მართლმსაჯულებას. მისი თვითმკვლელობა მწერალთა სასახლეში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის დროს, წარმოადგენს პროოკაციულ აქტს, რომელიც მიზნსა და აღშფოთებას იწვევს ყოველ პატიოსან საბჭოთა მწერლის შეგნებაში.

ქართველი საბჭოთა მწერლები მთელის სიმკაცრით ჰკიცხავენ და ჰგმობს პავლე იაშვილის მოღალატურ მუშაობას და მის სახელს განუსაზღვრელი შიშლით მოიხსენიებს ჩვენი სამშობლოს ყველა გარეწარ მოღალატეთა და გამყიდველთა სახელებთან ერთად.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა დაუნდობლად და განმანადგურებლად შეებრძოლება კლასობრივი მტრების უკანასკნელ ნაშისვრევებს ლიგურაგურის ფრონტზე და კიდევ მეტი ერთსულივნებით დარაზმავს მიულ თაეის შემოქმედებით ძალებს ლენინ-სგალინის დიადი პარტიისა და სოციალისტური აღმშენებლობის ამოცანების გარშემო.

თაემჯლომარე დ. დემეტრაძე, მდივანი ირ. ქავეარაძე“ (სლხცსა, ფ. 8. აღწ. 1. საქ. № 599, გვ. 7-8).

პ. იაშვილი პეტრე-პაელებს სასაფლაოზე დაკრძალეს. საფლავი რომ არ დაკარგულიყო, პოეტის ძმამ - მიხეილმა კუბოს სანიშნედ თურქე რკინის რელსი ჩააყოლა, საფლავს კი ნომერი გაუკეთეს ყოველგვარი წარწერის გარეშე. ჭირისუფალს არა თუ სასაფლაოს მოწყობის ნება არ მისცეს, „ხალხის მტრის“ საფლავზე მისვლაც და გლოვაც კი საკმაოდ დიდხანს ჰქონდათ აკრძალული.

ასე დასრულდა პაოლოს წინააღმდეგ გაჩაღებული მრავალწლიანი ბრძოლა, რითაც ხელისუფლებამ ერთი „საიმედო“ ნაბიჯი გადადგა „სახელმწიფოებრივი უშიშროების“ შემდგომი განმტკიცებისა და „ხალხის მტრების“ გამოაშკარაების გზაზე. ფაქტობრივად, ამ თვალსაზრისით, პაოლო პირველი ყველაზე დიდი მსხვერპლი იყო. სულ მალე, რამდენიმე კვირაში, მას სხვებიც მიყენენ და წუთისოფლის ცოდვიან კალოზე თქრიალით დაიწყო დენა ერის რჩულ მამულიშვილთა უდანაშაულო სისხლმა.

მწერალთა კაქშირში სისტემატურად იმართებოდა პრეზიდუმიის გაფართოებული სხდომები, სადაც აღშოთებულნი გმობდნენ ყოველი ახლად გამოაშკარაებული მტრის სახელს, თანაც ერთგულების ფიცით სავსე პატაკებს უგზავნიდნენ სგალინს, ბერიასა და ეოვს.

როგორც ითქვა, მწერალთა რიგების „ილეური გაჯანსაღებისათვის“ აქტიური ბრძოლის დაწყების საქმეს დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კ (ბ) X ყრილობაზე გაკეთებულმა ბერიას მოხსენებამ. და აი, გავიდა ამ „ისტორიული დღიდან“ არც თუ ისე დიდი დრო და პარტიის XI ყრილობაზე, 1938 წელს, სიამაყით ცხადდება ბერიას დირექტივების შესაბამისად ჩატარებული მწერალთა რიგების „წმენდის“ შედეგები: „საქართველოს საბჭოთა მწერლებმა თაეისი რიგები გასწმინდეს სამიზდარი გამყემლებისა და ჯამუშებისაგან - ყველა ამ ჯაეახიშვილებისაგან, მიწიშვილებისაგან, იაშვილებისაგან, ტ. ტაბიძეებისაგან და სხვა, რომლებიც წარმოადგენდნენ რა საერთაშორისო ფაშიზმის აგენტებს და მოხერხებულად ინილბავდნენ რა თაეის ნამდვილ მტრულ სახეს, დალატობდნენ საბჭოთა საქართველოს და ქართველ ხალხს“.

ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, კომუნტარი ზედმეტიაო..

მოყოლებული 1937 წლის გრაგედიდან. პ. იაშვილის. როგორც რეპრესირებული მწერლის, სახელის სხენებაჲ კი აიკრძალა. მისი პოეზია საბჭოთა ეპოქისათვის იდეოლოგიურად მიუღებლად გამოცხადდა. ასე გავრძელდა 1954 წლამდე. 1954 წელს, ქართველ მწერალთა IV ყრილობაზე, მიხეილ ჯაფახიშვილთან და გიციან ტაბიძესთან ერთად, მოხდა პაოლო იაშვილის რეაბილიტაციაჲ, რითაც დასაბამი მიეცა ისტორიული სამართლიანობის აღდგენის პროცესს.

\* \* \*

პ. იაშვილის თვითმკვლელობიდან ორ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ ხელისუფლებამ სასიკვდილო განაჩენი პაოლოს სიამის გყუპისცალად მიჩნეულ მის განუყრელ მეგობარს - ტიცთან ტაბიძესაც გამოუტანა.

1937 წლის 11 მაისს გამართულმა მწერალთა კავშირის პლენუმმა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ვანყოფინების გამგე ვ. გორდელაძე, მკაცრად გააკრიტიკა გ. ტაბიძე, მ. ჯაფახიშვილი, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი და სხვა მწერლები იმის გამო, რომ მათ შემოქმედებაში იგრძნობოდა გროცისტული ვადახევეები. „კონტრრევოლუციური გროცკიზმის შავნებლური ხელი მწერალთა კავშირსა და მის რიგებსაც მიწვდა, - თქვა ამასთან დაკავშირებით მომხსენებლმა. - ახლა ყველასათვის ცნობილია გროცისტული აგენტურის თავიდანვე არსებობა მწერლობაში, რომ გროცისტები მოკალათებულნი იყვნენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებშიც კი“ (გაბ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. 10 ივნისი).

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ოციანი წლების ჩყენს მწერლობაში არსებულ ლიტერატურულ დაჯგუფებებში გაერთიანებულ მწერლებს, რომელთა დამოკიდებულება ახალ ეპოქასთან ამგვარად შეაფასა: „მოვიდნენ თუ არა საბჭოთა ხელისუფლებასთან აღნიშნულ შიმშილ-ნარეობათა წვერები? რასაკვირველია, მოვიდნენ თავიანთი ბოლჩეებით (დარბაზში საერთო სიცილი: ნეტავი რა იყო იმ ბოლჩებში? საერთო სიცილი). მართალია, მწერალთა კავშირის კარებთან მათ დაბერტყეს ეს ბოლჩები, მაგრამ წარსულის ნაშთები შიგ მაინც დარჩა და ის დღესაც არ არის სავსებით აღმოფხვრილი“ (იქვე).

ასეთი იყო ოფიციალური ხელისუფლების პოზიცია იმ საბედისწერო წელს ჩვენი მწერლობის გამოჩენილი წარმომადგენლების შე-

მოქმედებისადმი. პოზიციას, რომელიც წლების მანძილზე ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა.

ორატორი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი თვალსაზრისი, მისი აზრით, შეეუალა არგუმენტებით დაესაბუთებინა. „არასოდეს „ციხურყანწილების“ ყოფილი წარმომადგენლები, - თქვა მან, - ურთიერთის შემოქმედებას საბჭოთა პოზიციებიდან არ გააკრიტიკებენ. ამას საესებით ადასტურებს იაშვილის, ჭაბიძისა და ვაფრინდაშვილის აქ გამოსვლა“ („ლიტერატურული საქართველო“, იქვე).

გალიოდა დრო და დაუნდობელი მრისხანების საბედისწერო მკითხვები უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ. იმდროინდელი დოკუმენტური მასალების გაცნობა ნათლად ადასტურებს, რა ვააფთრებით აბობოქრდნენ ეს ტალღები გიციანის ირგვლივ. მათი შეჩერება უკვე აღარაფერს შეეძლო.

1937 წლის 30 სექტემბერს „ლიტერატურული საქართველო“ ბეჭდავს მწერალთა კრების ანგარიშს. კრება კონგრესოლუციონერებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ჩატარებიათ. „ჩვენს რიგებში, - თქვა მიგინგის გახსნისას სანდრო ეული-ქურიძემ, - კიდევ არიან მწერლები, რომელთა კავშირი და ურთიერთობა ხალხის დაუძინებელ მტრებთან ყოველგვარ უჭევარიშეა: გ. ჭაბიძე, გ. ლეონიძე და სხვები უნდა გამოვიდნენ აქ, ჩვენი კოლექტივის წინაშე და გულწრფელად აღიარონ ყველა ის დანაშაული, რომელიც მათ ჩაადენინა ხალხის მტრებთან ამკარა მეგობრულმა ურთიერთობამ. მათ გულახდილად უნდა სთქვან, თუ რა ამოძრავებდათ მათ, როცა ისინი უკავშირდებოდნენ დღეს უკვე ხილაბახდილ მტრებს, მათ უნდა სთქვან ყველაფერი რაც იციან; ან ჩვენთან ან მათთან! - სხვა გამოსავალი არ არსებობს“.

მიგინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: იონა ვაკელი, ალექსანდრე გომიამვილი, პლატონ სამსონაძე, გერცელ ბაამოვი, იაკინთე ლისაშვილი...

დასახელებულ მწერლებს ბრალად ედებოდათ კავშირი აჭარის კონტრრევოლუციურ ჯაშუშურ-გეროროსტულ ორგანიზაციასთან. „სამშობლოს მოღალატეთა საზიზღარ ბანდას, - თქვა ს. ეულმა მიგინგზე, - განზრახული ჰქონდა გადაექცია აჭარა კაპიტალისტურ სახელმწიფოს კოლონიად. მან მიზნად დაისახა სისხლში ჩაეხრჩო აჭარის მშრომელთა თავისუფლება და ბედნიერება“.

დღეს ამ ამბებიდან უკვე საკმაოდ დროა გასული, ეს შეცდომები კი გამოაშკარავებული და დაგმობილი, მაგრამ ისტორიის ამ დრამატულ გადასარბენზე დაშვებულ სისხლიან შეცდომებს ადამიანის ხსოვ-

ნიდან ვერ ამოძირკევავ. მით უფრო მაშინ. როცა ამ შეცდომების უკან დგანან უსაფლავოდ შთენილი ისეთი დიდოსტაგები. როგორებიც მიხეილ ჯავახიშვილი. გიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი... არიან.

ყოველივე ამის დანახვა და განსჯა შედარებით იოლია დღეს, როცა დრომ მოგლეჩები დააცსრო და თავ-თავის ადგილზე დააღაგა. მაგრამ, წარმოიდგინეთ, რა ცეცხლი დატრიალდებოდა იმ წუთში გიციანის გულში, როცა ლიტერატურაში ხელმოყარული, მაგრამ დროული ვითარებით ვალაღებული, მისი ზოგიერთი კოლეგისგან ბალღამითა და ბოღმით საესე ასეთ სიტყვებს მოისმენდა: „პირდაპირ დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გამცემლებსა და მოღალატეებს ხელის შემწყობნი ჰყოლიათ ჩვენს წრეში, მწერალთა წრეში. სისხლიანი ფაშიზმის აგენტები, წყეული ჯაშუშები ჩვენს შორის გრილებდნენ, ჩვენთან მუშაობდნენ, ჩვენთან თანამშრომლობდნენ, მაგრამ ჩვენ ისინი ვერ გამოვიცანით... ამით ჩვენ საერთო საქმეს უღიღესი ზიანი მივაყენეთ.“

და ვინ იყვნენ ეს „სისხლიანი ფაშიზმის აგენტები“ და „წყეული ჯაშუშები“?

მიხეილ ჯავახიშვილი...

გიციან ტაბიძე...

პაოლო იაშვილი...

„ლიტერატურული საქართველოს“ 1937 წლის იმავე 30 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია გიორგი ნატროშვილის წერილი „პოლიტიკური ვახრწნის ჭაობში“, რომელშიც დაუნდობლადაა „მხილებული“ გ. ტაბიძე, როგორც პოეტი და პაროენება. მოვიყვანოთ ფრაგმენტი ამ სტატიიდან: „გიც. ტაბიძემ, - ამ „უმანკო გნოლმა“, ან „ნიბლია ჩიგმა“, „პირტიგველა და უყადმა ყრმამ“ მთელი წლების მანძილზე თავის პოეზიაში გადაიღო ყველაფერი ის, რაც ოდესმე დაღპა და გაიხრწნა ბურჟუაზიული ლიტერატურის ისტორიაში...“

გ. ტაბიძის ქება-დიდების საგნად მის ძველ ლექსებში გამხდარა ყოველივე ანტისაბოგადოებრივი, ამორალური, პატრიარქალური, ანტიხალხური და ანტიადამიანური ტენდენცია. რა კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ხსენებულ პოეტს თავისი შთავგონების მთავარ წყაროდ შავი მაგია მიუჩნევია. ეს ხომ რელიგიური ფანატიზმის ყველაზე უფრო ბარბაროსული სახეა“...

გ. ტაბიძემ „მიაფურთხა კაცობრიობასაც, სამშობლოსაც, პოეზიასაც და საერთოდ ყოველგვარ ჭეშმარიტ გრძნობას...“

თუმცა გ. ტაბიძე აცხადებდა, რომ „საკუთარ ძმასაც ვეღარ გა-

ეუმხელ რაც ჩაკირულა გულში ბალღამიო“, - მაგრამ მიუხედავად ამისა. ეს ბალღამი საქმოდ მკაფიოდ გამოჩნდა მის ლექსებში. ამაზე ლაპარაკობენ ყალბი სიღრმით და ყანწკლებისათვის ჩვეული მანჭვა-გრეხით დაწერილი ლექსები, რომელიც გ. გაბიძემ მიუძღვნა ფაშისგური ოხრანკის ჯამუშებს - ვრ. რობაქიძეს და პ. იაშვილს. არც ისაა შემთხვევითი, რომ გ. გაბიძე თავის ლექსებში ქება-დიდებათი იხსენიებდა ხალხის სამგზის წყეულ მტრებს, კონგრარეოლუციის ნაძირალეებს“.

იქნებ, არც ღირდეს ღროის მიერ დამცხრალი ტკივილების გაღვიძება. მაგრამ არა მგონია, ეს თვალსაზრისი სწორი იყოს. თანამედროვეობამ, მომავალმა თაობებმა, ზუსტად უნდა იცოდნენ სიძაროლე. ამ მიუგეყვებელი შეცდომებისა და დანაშაულებების მინქმალეა-მიფუჩეჩების უფლება არაეის გვაქვს. ეს ჭრილობები მუღამ ღიად და მოუშუშებლად უნდა დარჩეს ნიმუშად იმისა, რა შეუძლია ვალღებულ და ლაგამაწყეეტილ ბოროტებას. ისტორიის ეს მწარე ვაკვეთილი ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რათა მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდეს.

მივეზრუნდეთ კვლავ მოვლენათა მსელელობას.

8 ოქტომბერს შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სსლომა „კ. ჩარკეიანშა. ს. ეულმა, გ. ბუხნიკაშვილმა, ბ. ელენგმა, დ. შენგელაიამ, დ. დემეტრაძემ, პ. ჩხიკვაძემ, ს. შანშიაშვილმა და სხვებმა ურჩიეს გ. გაბიძეს გულახდილად აღიაროს ყველა ის დანაშაული, რომელიც მას ჩაადენინა ხალხის მტრებთან მჭიდრო კავშირურთიერთობამ. არც თავის წერილობით განცხადებაში და არც პრეზიდიუმზე წარმოთქმულ სიტყვაში გ. გაბიძემ არ ისურვა ეთქვა სიძაროლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა“ („ლიტერატურული საქართველო“, 1937 წ. 10 ოქტომბერი).

პრეზიდიუმმა ერთხმად დაადგინა: „ვინაიდან ყოველგვარ ეჭვგარეშეა გ. გაბიძის ახლო კავშირი ხალხის მტრებთან, ვინაიდან მას არაერთხელ მიეცა სამუღალეა ეღიარებინა თავისი დანაშაული, მაგრამ მან ეს არ ისურვა, ტიცინან გაბიძე ვაირიცხოს საბჭოთა მწერლების კავშირის რიგებიდან“.

ესაა და ეს. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ამ გადაწყვეტილებას იქვე მოჰყვა საბედისწერო განაჩენიც. ამის შემდეგ ხალხისა და სამშობლოს მტრად შერაცხული პოეტის სახელის ხსენებას რეაბილიტაციამდე, 1954 წლამდე, უმტკიცესად დაედო გაბუ.

1937 წლის გრავიკულ მოვლენებთან დაკავშირებით უღარესად საინტერესოა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრა-



ლურ სახელმწიფო არქივში (ლხცსა) დაიკული მასალების გაცნობა. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში მათქვს მწერალთა კავშირის სხდომის ოქმები. რომლებშიც მოკლედ არის აღნუსხული იმ გრაგიკული დღეების სისხლიანი მოვლენები.

სამწუხაროდ. ეს ოქმები იმის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა, რომელმა გამომსვლელმა რა თქვა ხალხის მგრად შერაცხული იმ მწერლის შესახებ, ვისთვისაც განაჩენი გამოაქვთ. ასეთი სხდომები კი თითქმის ყოველ ორ კვირაში გარდება. სხდომათა მონაწილეებად დასახლებულია იმ პერიოდის თითქმის ყველა მწერალი, რამდენიმე იმუიათი გამონაკლისის გარდა. გამომსვლელთა შორის მოხსენიებულნი არიან ისეთებიც, რომელთა სახელებიც ჩვენს წარმოსახვაში ზნეობრივი სიწმინდისა და პატიოსნების სიმბოლურ ხატებად არიან დამკვიდრებულნი... ნეგავ, როგორ განვლეს მათ ბოროტებისა და ჯოჯოხეთის სისხლიანი მორევის ბეწვის ხიდზე? რა თქვას, როგორი პომიცია დაიკავეს...

ამაზე ეს ჩანაწერები ვერავითარ პასუხს ვერ იძლევიან... მათ შემდგენელს მოვლენათა ასეთი მუსტი და კონკრეტული აღწერა საჭიროდ არ ჩაუთვლია.

ერთი რამ კი ამკარა და უეჭველია: ყოფილ პროლეტარულ მწერალთა განსაკუთრებული აქტიურობა ამ სხდომებზე. გამომსვლელთა შორის სწორედ ისინი არიან უმეტესნი. ხშირად ისინი ხსნიან ამ სხდომებს, პირველ სიტყვებსაც ისინი წარმოთქვამენ და განაჩენიც მათეულია. ეს ნათლად ეგყობა ამ ოქმების სულისკვეთებას, მიღებულ დადგენილებათა პათოსს.

და კიდევ ერთმა რაიმემ განმაცვიფრა განსაკუთრებით, ერთმა ფაქტმა, რომელიც ამოუხსნელ საიდუმლოდ დარჩა პირადად ჩემთვის: ამ სისხლიანი ოქმების ფურცლებზე თითქმის არსად არ ფიგურირებს გალაკტიონის სახელი!

როგორ მოახერხა მან, საქართველოს უპირველესმა პოეტმა, ვისაც თანამოკალმეთა შორის უამრავი მომურნე და მტერი ჰყავდა, ფარულიცა და ამკარაც, რომ ამ სისხლიანი და მურისმაძიებლური სხდომებისათვის თავი აერიდებინა?! ნეგავ სად იმყოფებოდა და რას აკეთებდა იგი 1937 წლის გაზაფხულ-გაზაფხულ-შემოდგომის პერიოდში, როცა ქართული მიწა ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო შვილების სისხლით ირწყვებოდა და ლაგამაწვევითი კაენის სული დღესასწაულობდა ქვეყანაში?

30-იანი წლების ბოლოდან. მართალია, პოლიტიკური რეპრესიების მძიმეარება რამდენადმე დაიხრა, მაგრამ ქვეყანას ახლა ახალი უღისეი უბედურება დააგყდა თავის სამამულო ომად სახელდებული მეორე მსოფლიო ომის სახით. ამ ომმა 350 000 ქართველ ეაეკაცზე მეტის სიცოცხლე შეიწირა, პროცენტულად ყველაზე მეტი რაოდენობა ე. წ. მოძმე რესპუბლიკების მოსახლეობიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეზრძოლთა უღისეი ნაწილის ამ თავგანწირვას მათი პატრიოტული გრძნობები ელო საფუძვლად, ჩვენი ხალხის ცალკეული წარმომადგენლები გერმანული ფაშიზმის მიმართ ერთგვარი იმედითაც იყვნენ განწყობილი; მათი რწმენით, იმხანად სწორედ ფაშისტური გერმანია წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც საბჭოთა იმპერიას დაამარცხებდა და საქართველოს მისი კლანჭებისგან დაისხნა. უპირველეს ყოვლისა სწორედ ეს ფაქტორი გახდა უმთავრესი საფუძველი იმ ანტისაბჭოური არალეგალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა (1941 წლის შეთქმულების ჯგუფი, „სამანულები“), რომელთა უმთავრესი მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებულობის აღდგენა იყო (ამ საკითხთან დაკავშირებით დაწერილებით ის: როსტომ ჩხეიძე, დაწყველილი თაობა (1942 წლის შეთქმულება), 1992 წ. მისივე: დაწყველილი თაობა (სამანი), 1995 წ. რევამ კვერენჩხილაძე წამების გზა, წიგნი II, 2005 წ. გვ. 160-270).

სამწუხაროდ, სხენებულ ორგანიზაციებში გაერთიანებულ ახალგაზრდა ქართველ მამულიშვილთა დიდ ნაწილს, რომელთა შორის მწერლები საკმაოდ მრავლად იმყოფებოდნენ, ხელისუფლებამ სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა (კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, ადამ ბობლიაშვილი, ლადო ბალიაური, გიორგი ქადაგიძე...), ნაწილს კი საქართველოდან გადასახლება აკმარა (კიგა ბუაჩიძე, გიორგი კალანდაძე...).

რეპრესირებული მწერლის მძიმე ცხოვრების გზა განვლო დიდმა ქართველმა რომანისგმა ჭაბუა ამირეჯიბმაც. იგი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ბიოგრაფიის მქონე პიროვნებაა ქართველ მწერალთაგან. ციხეებსა და საპატიმრო ბანაკებში მან 16 წელიწადი გაატარა, პატიმრობიდან ექვსჯერ გაიქცა, ორჯერ კი დახვრეტაც ჰქონდა მისჯილი, მაგრამ, საბედნიეროდ, გადარჩა.

თავდაპირველად მწერალი ოცდაორი წლისა დაუპატიმრებიათ პო-

ლიტიკურ ბრალდებათა ნიადაგზე. როგორც მისი და მკრმან ლებანიძის დიალოგით ირკვევა (ჭ. ამირეჯიბი, ასალი დიდი წიგნიდან, 1995 წ.), 1942 წლიდან ჭ. ამირეჯიბი არაალეგალური ანგისაბჭოთა პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი ყოფილა. პირადად მას გყეში გასული ანგისაბჭოთა რაზმებისათვის იარაღის შექენა ქქონია დაეალებული. რის გამოც პროკურორს მისი დახვეუტა მოუთხოვია, მაგრამ სასამართლო ოცდახუთწლიანი პაგიმრობის მისჯით დაქმაყოფილებულა.

ჭ. ამირეჯიბისა და მისი თანამოამრეების ბრძოლის უმთავრესი მიზანი საქართველოს დამოუქიდელობა ყოფილა. „ჩვენ გვინდოდა, - აღნიშნავს იგი მითითებულ „საუბარში“, - გვესარგებლა საბჭოთა იმპერიის მოსალოდნელი კრახით და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეიარაღებული რაზმების შექმნით დაგვემტკიცებინა მსოფლიო სამოგადობისათვის, თვით რუსეთის მოქაემირეებისათვისაც, რომ საქართველოს დამოუქიდებელი არსებობა სწყუროდა“ (დასახ. წიგნი, გვ. 34).

ციხეებსა და საპაგიმრო ბანაკებში ვაგარებულ წლებს ჭ. ამირეჯიბი ცხოვრების დიდ სკოლად მიიჩნევს და ამ პერიოდს არამც და არამც არ თვლის თავისი სიცოცხლის „სანანურ“ ხანად.

ჭ. ამირეჯიბის ბუნგარულ სულსა და ვაქეაცურ შეუპოვრობამე ნასულად მეგყველებს მისი ხშირი გაქეევიბი საპაგიმრო ბანაკებიდან. რაც შემდგომში საინგერესოდ აისახა „გორა მბორგალში“. აი, როგორ იგონებს თავად მწერალი თავისი ცხოვრების ამ ღრამატულ პერიოდს: „პირველად ჩეკისგებს ვავექეცი ვზიდან. მეორედ შამპანური ქარხნის კოლონიიდან ვავექეცი. იმ დღესვე დაპაგიმრებულა. ეხლა მილიციას ვავექეცი - ორჯერ ვავექეცი ყარავანდის ბანაკებიდან. ებ უკვე - ხუთი, ხომ?! მეექვსე ვაქეევა ვაქეევის წარუმაგებელი მცდელობა იყო ბუხგა ვანიხანში. ესე იგი, შეიძლება ითქვას, ექვს ვაქეევის ავგორი ვარ“ (იქვე, გვ. 48).

ამ ვაქეევათა შედეგად პირველი ვასამართლების დროს მისჯილი 25 წლიანი პაგიმრობის ვადა საბოლოო ჯამში 83 წლამდე ვაიზარდა. მაგრამ ამნისგისი წყალობით მწერალი 16 წლიანი გუსალობის შემდეგ ციხიდან ვათავისუფლეს.

პაგიმრობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჭ. ამირეჯიბმა საბჭოთა კავშირის მრავალი ციხე და ბანაკი მოიარა. როგორც თავად ამბობს, ამ ხნის ვანმაცლობაში „ხუთთვენახვევარზე მეგხანს იგი არც ერთ ბანაკში არ დარჩენილა და სულ აქეთ-იქით“ დაათრევენ, რადგან „მარბენალი“ ერქვა.

ხელისუფლების ბრძოლა იმ პიროვნებათა წინააღმდეგ, რომლებიც

ანგისაბჭოთა საქმიანობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილეუნი და წარმმართველები იყვნენ. არც იმპერიული მმართველობის ბოლო წლებში რომ არ დამცხრალა და შენელებულა, ამას ზვიად გამსახურდიასა და შერაბ კოსტავას ბიოგრაფიებიც თვალნათლივ ადასტურებენ. აღრინდელის მსგავსად, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მამულიშვილთა შორის აშკერადაც საკმაოდ მრავლად იყვნენ მსაგერული სიგყვის ოსტატები. კერძოდ, 1955 წელს შექმნილ არალეგალურ ანგისაბჭოთა პატრიოტულ ორგანიზაციაში, რომელსაც სახელად „გორვასლიანი“ ერქვა, ვარდა მ. გამსახურდიასა და მ. კოსტავასი, მწერალთაგან გურამ ღოჩანაშვილიცა და გურამ სხირტლაძეც შედიოდნენ.

ამ ორგანიზაციის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1956 წლის 9 მარტის ანგისახელისუფლებო გამოსვლებში. ვარვინულად თითქოსდა სტალინის დასაცავად მოწყობილი ეს მასობრივი პოლიტიკური დემონსტრაცია ფაქტობრივად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ მ. გამსახურდია და მ. კოსტავა იმხანად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები. მეთურთმეტე კლასის მოსწავლეები, იყვნენ. იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ რომანტიკული თავგანწირვით მებრძოლ ამ ფანატიკოს პატრიოტებს უკვე პქონდათ მოპოვებული საკმაოდ დიდი ავტორიტეტი.

„გორვასლიანელთა“ ამგვარ პატრიოტულ აქტიურობას ის შედეგი მოჰყვა, რომ 1956 წლის 9 დეკემბერს მ. გამსახურდია და მ. კოსტავა დააპატიმრეს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ციხეში მოათავსეს და ხუთ-ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მაგრამ მვიადის მამის - ბაგონ კონსტანტინეს აქტიური მცდელობის შედეგად და იმის ვათვალისწინებით, რომ მსჯავრდებულები არასრულწლოვანნი იყვნენ, ბრალდებულებს პატიმრობა პირობითი სასჯელით შეუცვალეს (რ. კვერენჩილაძე, წამების გზა, წიგნი II, 2005 წ. გვ. 430).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ანგისახელმწიფოებრივი საქმიანობისაგან არა თუ უკან არ დაუხევიათ, არამედ კიდევ უფრო მეტი აქტიურობით გააგრძელეს მოღვაწეობა. შედეგმაც არ დააყოვნა და ორი წლის შემდეგ, 1958 წელს, ისინი მეორედ დააპატიმრეს და ამჯერად უკვე სამწლიანი პირობითი სასჯელი განუსაზღვრეს.

1975 წელს მ. გამსახურდიას რედაქტორობით თბილისში გამოს-

ელა დაიწყო პირველმა არალეგალურმა პოლიტიკურ-ლიტერატურულმა ჟურნალმა „ოქროს საწმისი“ (გამოვიდა სულ ოთხი ნომერი. იხ.: „ოქროს საწმისი“ ქართული თეოლოგიის 30 წლისათვის. შემდგენელი და რედაქტორი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, 2006 წ.).

მ. გამსახურდიასთან ერთად, აღნიშნული ჟურნალის გამოცემაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მ. კოსტავა, ვ. რცხილაძე და იმდროინდელ ახალგაზრდა ქართველ მამულიშვილთა სხვა წარმომადგენლები. ამ „პირველი დისიდენტური ჟურნალის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული იყო როგორც იმეამინდელ მწერალთა და პოლიტიკოსთა წერილები და მხატვრული ნაწარმოებები, ისე აღრიხდელი პერიოდის მოლქაწეთა ის ნაწერები, რომელთა გამოქვეყნებაც მათი ეროვნულ-პატრიოტული და ანტიკომუნისტური სულისკვეთების გამო საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის პირობებში ფაქტობრივად ყოველად შეუძლებელი იყო.

ამ და სხვა გარემოებათა გამო მ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას 1977 წლის აპრილში უკვე მესამედ აპატიმრებენ. მათს დაპატიმრებას წინ უძღოდა მათი ანგისახელმწიფოებრივი საქმიანობის განმაქიქვბელი წერილების გამოქვეყნება პრესაში. 1977 წლის 1 აპრილს მ. გამსახურდიას შესახებ საუციალურად იმსჯელეს საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე და „ანგისაბჭოთა პროპრავანდისა და საქმიანობის“ გამო იგი ერთხმად იქნა გარიცხული მწერალთა კავშირის რიგებიდან.

ანალოგიური მიმართულებით წარიმართა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩატარებული გაფართოებული სხდომაც, რომლის მონაწილეებმაც ასევე ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება ამ ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლის - მ. გამსახურდიას ინსტიტუტიდან განთავისუფლების შესახებ. მიზეზი აქაც იგივე იყო (ხსენებულ სხდომათა საოქმო ჩანაწერები იხილეთ მითითებულ წიგნში: „ოქროს საწმისი“, 2006 წ.).

ერთწლიანი გამოძიების შემდეგ მ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას, როგორც „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფოებრივი დანაშაულის“ ჩამდენ პიროვნებებს, სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და შემდგომში ორ-ორი წლით გადასახლება მიუსაჯეს.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ჩარევითა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მ. გამსახურდია პატიმრობიდან 1979 წელს გაათავისუფლეს, მ. კოსტავა კი განკუთვნილი სამწლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ ირკუტსკის ოლქში გადაასახლეს, სადაც

პატიმრობის ვადა 1982 წელს ხუთი წლით გაეხანგრძლივეს. 1985 წელს კი კიდევ სამი წელი დაუმატეს (რ. კეერენჩხილაძე, მითითებული წიგნი, გვ. 442).

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აღმავლობის უმაღლეს ფაზაში შედის, ზ. გამსახურდიას და მ. კოსტაყაე ამ მოძრაობის ლიდერებისა და წარმმართველების როლში გვევლინებიან. 1989 წლის 9 აპრილის გრაგუდიის შეძღვევ სელისუფლებამ კვლავ ცადა მათი დაჭერა. მაგრამ საზოგადოების მძლავრი ზეწოლის გამო მან ამჯერად ამის გაკეთება უკვე ვეღარ შეძლო.

ასეთია უმთავრესი შტრიხები საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის რაინდული თავგანწირვით მებრძოლი და გმირულად დაღუპული იმ მოწამეებისა, რომელთა უდიდეს მამულიშვილურ ღვაწლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში განგებამ წარუშლელად დაუშკვიდრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი.

გარდა ზემოთ უკვე დასახელებული მწერლებისა, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში განხორციელებულ პოლიტიკურ რეპრესიათა მსხვერპლად სხვა მწერლებიც მრავლად იქნენ. ვითომცდა ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტიხალხური, ჯაშუშური და მსგავსი აბსურდული ბრალდებების საფუძველზე მათი ერთი ნაწილი დახვრიტეს, ნაწილი საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა ადგილებში, უმეტესად შუა აზიასა და ციმბირში, გადაასახლეს, დანარჩენებს კი სხვადასხვა სახის სასჯელი დაადეს. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ხელისუფლების მიერ გაგარებული ამ ვანდალური პოლიტიკის მასშტაბებზე, დაეასახელებ რეპრესირებულ მწერალთა არასრულ სიას: ნიკოლო მიწიშვილი, ვახტანგ კოტეგიშვილი, ღია ჩიანელი, გერცელ ბააზოკი, მემედ აბაშიძე, ლევან გოთუა, კიკა ბუაჩიძე, მიხეილ მანდუკელი, გივი მალულარია, ოგია პაჭკორია, ლადო სულაბერიძე, ალექსანდრე კალანდაძე, ინდო ინასარი (ნიკოლოზ ინასარიძე), ელადიმერ სიხარულიძე, გურამ სხირგლაძე და სხვები.

როგორც წინამდებარე მიმოხილვიდანაც დაინახავს დაინგერესებული მკითხველი, საბჭოთა რეჟიმის ბაგონობის პერიოდში პერმანენტულად მიმდინარე სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების მხვერპლად ასზე მეტი მწერალიც იქცა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

# გალაკტიონოლოგია – ახალი მკვნიმრული მიმართულეზა ჰართულ ლიტმრატურათმცოდნეობაში

გალაკტიონოლოგია, როგორც ახალი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი, პირველად თავად გალაკტიონმა ისმარა. ვახტანგ ჯაფახაძის „უცნობში“ (1991 წ.), როქელიც პოეტის საარქივო მასალების ხანგრძლივი და საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე დაიწერა, ეს ტერმინი საკმაოდ ხშირად გვხვდება. სხუადასხვა დროს გაკეთებულ ჩანაწერებში გალაკტიონ ტაბიძე დაბეჯითებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მისი შემოქმედების შესასწავლად და გასაანალიზებლად აუცილებელი იყო ლიტერატურათმცოდნეობაში შექმნილიყო ახალი დარგი გალაკტიონოლოგიის სახელწოდებით.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მოვიშველიებ ამონარიდებს თავად პოეტის საარქივო ჩანაწერებიდან. სხუადასხვა დროს გაკეთებული ამ ჩანაწერებით ნათლად დასტურდება, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გალაკტიონი ხსენებული დარგის დაფუძნებას. ამ შემთხვევაში ვასათვალისწინებელი ისიცაა, რომ პოეტი აღნიშნული საკითხის პრაქტიკულ მოგვარებას თითქმის ყოველთვის უკავშირებდა საკუთარი ღვაწლის წარმოსაჩენად გასამართი იუბილეების მოწყობას.

თუ არ ვცდები, ტერმინი „გალაკტიონოლოგია“ პოეტის ჩანაწერებში პირველად 1953 წელს გაჩნდა. შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად შედგენილ პოეტისეულ გეგმაში, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მას ორი საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტაც დაუსახავს მიზნად: გალაკტიონოლოგიის კაბინეტის გახსნა და ეურნალ „გალაკტიონოლოგიის“ გამოცემა (ვ. ჯაფახაძე, „უცნობი“, 1991 წ. გვ. 283). ორივე ეს იდეა, ამ დროიდან მოყოლებული, სხვაგანაც ხშირად მეორდება. ხსენებული სახელწოდების ეურნალის დაარსების სურვილს პოეტს ისიც განუმტკიცებდა, რომ 1922-23 წლებში მისი თაოსნობითა და რედაქტორობით უკვე გამოდიოდა იმ დროისათვის საკმაოდ გახმაურებული და მაღალი ლიტერატურული რეიტინგის მქონე პერიოდული გამოცემა „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალის“ სახელწოდებით.

ანალოგიური მოთხოვნები გალაკტიონმა ხუთი წლის შემდეგაც, 1958 წელსაც, გაიმეორა, ამჯერად უკვე მისი შემოქმედებითი მონაწილეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად მოსაგვა-

რებელ საქმეთა მისეულ ჩამონათვალში. აი, ეს ჩანაწერაც: „გალაკტიონისტები, გალაკტიონიზმი, გალაკტიონოლოგია, გალაკტიონოლოგები, გალაკტიონოლოგიის დაფუძნება. გალაკტიონოლოგიის საფუძვლები. გალაკტიონოლოგია № 1 (რუსულ ენაზე), გალაკტიონოლოგია № 2 (რუსულ ენაზე)“.

აღნიშნული იდეის პრაქტიკულ აღსრულებას ვ. გაბიძე რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს მისი სხვა ჩანაწერებიდანაც კარგად ჩანს. ვ. ჯაფახაძის ცნობით, „მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ეს ერთადერთი სიგეყა“ მას სამუშაო ოთახშიც ჰქონია კედელზე გაკრული. „იმახაც აშბობდა: სხვამ მოიგონაო.“

გამეთიყ გამოეყო ამ სათაურით: წიგნის პალატა გამოსცემს გაბეთს **გალაკტიონოლოგია**. ეურნალიც.

ოცნებობდა:

„ – თქვენ ერთ-ერთ საუბარში გითქვამთ, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებობს დარგი „გალაკტიონოლოგია“. არ შეიძლება მოკლეთ, სულ მოკლეთ გვეთხრაო რამ ამის შესახებ?

**ხმა დარბაზიდან:** დიალ, ძალიან გვაინტერესებს ეს საკითხი: რაა საფუძვლები გალაკტიონოლოგიის?

**შეძახილი დარბაზიდან:** გაუმარჯოს გალაკტიონოლოგიის ფუძემდებლებს!

**ხმა დარბაზიდან:** მაშასადამე, გალაკტიონოლოგია ისეთი დარგია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს მთელი მსოფლიო“ (ვ. ჯაფახაძე, მითითებული წიგნი, გვ. 617).

როგორც პოეგის საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს, იგი არა მარტო სიგეყიერად გამოითქვამდა სურეილს ზემოთ დასახელებულ საკითხთა მოგვარების თაობაზე, არამედ პრაქტიკულადაც ცდილობდა მათ მოწესრიგებას. აი, რამდენიმე ამონარიდი ნათქვამის დასტურად: „ჩვენ ვიბრძვი: „უნდა დაფუძნდეს „გალაკტიონოლოგია“. „სტამბაში მიტანილ იქნა და მაშინვე დაიბეჭდა (საოცრად სწრაფად) წარწერა საგამოყენო სტენდისათვის, ახალი ლიტერატურული მოძრაობისათვის, სახელწოდებით გალაკტიონოლოგია.“

ვაჰ! დაიწყება მალე და დამკვიდრდება ისეთი დიდი მოძრაობა, რომელიც შესძრავს კაცობრიობას.

გამეთები (დღევანდელი), ცენტრში დარჩა გალაკტიონოლოგია.

– რას ნიშნავს გალაკტიონოლოგია? – მეკითხება სტამბის გამდამხეველი ქალი, ძალიან სიმპათიური ქალი.

– რას ნიშნავს გალაკტიონოლოგია? – მეკითხებიან ასოთამწყობები.



- იწყება მაშასადამე!

დიდებული ღღეა!" (იქვე, ვვ. 617-618).

ე. ჯაყახაძემ პოეტის არქივში ლექსსაც მიაკვლია, რომელშიც ამ ახალი ლიტერატურათმცოდნეობითი დარგის შექმნასთან დაკავშირებული განცდები და ემოციები გალაკტიონს ამჯერად უკვე პოეტური ფორმით აქვს გამოხატული:

ღვომა ერთი ადვილს - კელომაა, ის შემბოჭველი იოფია!

თუ წინ წაგვიყვანს - მხოლოდ ეს გალაკტიონოლოგია.

ნუ ეტყვი ყოველ სიახლეს: დამეხსენ, მენ კი მოგიარ!

პირიქით: მაღლა აესწიოთ გალაკტიონოლოგია.

ეაშა მას, ეისაც ცოდნისთვის ძალა არ დაუზოვია:

გაბრწყინდეს მეცნიერება - გალაკტიონოლოგია.

არსებობს დარგი მრავალი, ფიზიკა, ზოოლოგია,

არსებობს დიდი, მაღალი გალაკტიონოლოგია.

ვიყვარდეს რაც ნათელია, აღმოუფხვრათ, რაც ხრიოკია,

ჩვენ დრომად მაღლა აესწიოთ გალაკტიონოლოგია

მეხრე - ტეგია სიმონა და წიწკიტელა ვოვია

მაღე გაიგებს, რაც არის გალაკტიონოლოგია.

ამბობენ: ვენა, პარიზი, იქ კიდევ ნიუორკია,

ბრწყინაეს აქ, საქართველოში, გალაკტიონოლოგია.

ჩვენ პოეზია მაღალი რომ შევისწავლოთ, დრო კია,

მარადის წინ მიგვიძღვოდეს გალაკტიონოლოგია.

როგორც შემოთ უკვე ითქვა, იმით არაერთგზის დაუმსახურებლად გალნატკენი გალაკტიონი, თანამედროვეთა მიერ მისი შემოქმედება სათანადოდ ჯერაც რომ არ იყო დაფასებული, ხშირად თავადვე ზრუნავდა ამ საქმის გამოსასწორებლად და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა საიუბილეო თარიღის ასაღნიშნავად თვითონ ადგენდა საამისოდ საჭირო ღონისძიებათა გეგმებს. ნათქვამის დასტურად მოვიშველიებ რამდენიმე ჩანაწერს პოეტის არქივიდან:

პოეტური მოღვაწეობის 35-ე წლისთავის აღნიშვნის მოთხოვნით 1943 წელს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისათვის გასაცემავნად თავად პოეტს ასეთი შინაარსის წერილი შეუდგენია:

„ა. წ. სრულდება 35 წელი სასაღბო პოეტის გალაკტიონ გაბიძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან. დაბადების 50 წლის შესრულების და სალიტ. მოღვაწეობის 35 წლისთავთან დაკავშირებით მწერალთა კავშირი აწყობს ფართო შემოქმედებით საღამოს ოპერის თეატრში.

მწერალთა კავშირი ამასთანავე შუამდგომლობს თქვენს წინაშე:

1. უდიდეს სასაღბო პოეტს გალაკტიონ გაბიძეს დაენიშნოს პერსონალური პენსია (1000) მანეთის რაოდენობით.

2. დაერქვეს თბილისის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქუჩას გალაკტიონის ქუჩის სახელწოდება.

3. დაერქვას ქ. სამგრელიას - საგალაკტიონო.

4. დაჯილდოებულ იქნას სახალხო პოეტი გ. ტაბაძე საკეთარი ავტომობილით.

5. მიეცეს რომელიმე სხვა სახლი, შესაფერი სახალხო პოეტისათვის.

6. უზრუნველყოფილ იქნას განსაკუთრებული სპეცმომსახურებით.

7. ნება მიეცეს პირველი იანვრიდან გამოსცეს ყოველკვირეული ეურნალი სახელწოდებით „გალაკტიონის ეურნალი“ (ცვირებულია ვ. ჯავახაძის წიგნიდან, გვ. 280).

მსგავსი მოთხოვნები გ. ტაბაძის საარქივო ჩანაწერებში საკმაოდ მრავლად გვხვდება, რითაც ნათლად დასტურდება ის ფაქტი, რომ ქართული ლირიკული პოეზიის ეს სწორუპოვარი ოსტატი არც მიწიერი პატივმოყვარეობისაგან ყოფილა დაზღვეული.

თუმცა მის ამგვარ მოთხოვნებს ოფიციალურ წრეებში, როგორც წესი, უყურადღებოდ გოვებდნენ ხოლმე. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გალაკტიონისათვის ხელისუფლებას მის სიცოცხლეში არა თუ მისი პოეტური გენიის საკადრისი პატივი არ მიუვია, არამედ ბევრი სრულიად უბრალო სურვილის შეუსრულებლობის გამოც ხშირად დაუწყვეტია გული. ამის დასტურად თუნდაც იმ ფაქტის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომ თავად მას სიცოცხლეში არანაირი ლიტერატურული პრემია არ ჰქონია მიღებული.

ეს ამბავი პოეტს უსაზღვროდ რომ ტკენდა გულს. ამის დამადასტურებელ მაგალითებს მკითხველი მრავლად იპოვის მის პოეზიაშიც და საარქივო ჩანაწერებშიც. მაგალითად, 1948 წელს. სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის ორმოცი წლისთავის დღეებში, გალაკტიონის ასეთი რამ ჩაუწერია: „1948 წლის 11 ოქტომბერს სრულდება 40 წელი ჩემი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლიდან. ეს ამბავი ყველამ იცის, მაგრამ თავს ისე მაჩვენებენ, თითქოს არაფერიც არ იციან. თითქოს არცაა საჭირო, რომ იცოდნენ და მაშასადამე, არ უნდათ, რომ ის დღე აღნიშნულ იქნას. არ უნდათ! - აი რაშია საქმე... არსაიდან ხმა, არსით ძახილი“.

\* \* \*

გალაკტიონ ტაბაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლა თავიდანვე, სამწერლო ასპარეზზე პოეტის გამოსვლის დროიდანვე, იქცა მწერალთა და კრიტიკოსთა ცხოველი ინტერესის საგნად. ეს ინტერესი

თანდათანობით იმდენად გაიზარდა და პოეტის შემოქმედების მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ისე ფართო მასშტაბები შეიძინა, რომ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობას ერთი სრულად ახალი ფილოლოგიური დარგაც შემოემატა გალაკტიონოლოგიის სახელწოდებით.

ათეული წლების განმავლობაში გ. ტაბიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლას არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა (ამასთან დაკავშირებით იხ: გალაკტიონ ტაბიძე. ბიბლიოგრაფია. შეადგინა ი. ლორთქიფანიძემ. 1986 წ.). ათიანი წლებიდან მოყოლებული დღემდე უამრავი რამ ითქვა და დაიწერა მასზე, როგორც პოეტურ სიჭკვის დიდოსტატზე. საბჭოთა პერიოდის ბევრი კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე პოეტის შემოქმედებას უპირველეს ყოვლისა ეპოქალური იდეოლოგიური გენდენციურობით აანალიზებდა და არაობიექტურად წარმოაჩენდა მწერლის ღვაწლსა და დამსახურებას ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ტაბიძის პოემია საბჭოთა ეპოქაშივე იქნა აღიარებული ჩვენი მწერლობის ფასდაუღებელ საუნჯედ და, პარტიულ-კლასობრივი პრინციპებით შებოჭილი იდეოლოგიზებული წერალების გვერდით, ამ პერიოდში ისეთი ნაშრომებიც საკმაოდ დაიწერა, რომლებშიც დიდი პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის არაერთი საინტერესო მხარეა მეცნიერული კეთილსინდისიერებით წარმოჩენილი. ამ თვალსაზრისით აღმავლობის ეტაპი გალაკტიონოლოგიაში 60-იანი წლებიდან იწყება.

რაც დრო გადის, ეს ინტერსი კიდევ უფრო იზრდება და ამ კუთხით მოპოვებული მეცნიერული მიღწევები უფრო საგულისხმო ხდება. იდეოლოგიური დოგმატიზმისაგან ჩვენი ამროვნების განთავისუფლებამ გ. ტაბიძის შემოქმედების ახლებური თვალთახედვით კვლევისა და გააზრებას სულ სხვა მასშტაბები შესძინა.

კრიტიკულ და სამეცნიერო ლიტერატურაში თავიდანვე იქცა განსაკუთრებული ყურადღების საგნად იმ გენეტიკურ-მემკვიდრეობით კავშირ-ურთიერთობათა წარმოჩენა, რაც გ. ტაბიძის აღრინდელ შემოქმედებასა და ქართულ კლასიკურ პოეტურ ტრადიციებს შორის არსებობს. ამ თვალსაზრისით გალაკტიონის 900-910-იანი წლების პოემიას თემატურ-შინაარსობლივადაც და პოეტიკის მხრივაც ბევრი რამ აქვს საერთო ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის, ი. ჭავჭავაძისა და სხვა ქართველ კლასიკოს პოეტთა შემოქმედებით მემკვიდრეობასთან.

კრიტიკოსთა დიდი ნაწილის მართებული შეფასებით, წინამორბედ ქართველ პოეტთაგან ყველაზე მეტ სულიერ სიახლოვეს გ. ტაბიძე პირ-

ველ ყოელისა ნ. ბარათაშვილთან ავლენს. გალაკტიონის აღრინდელ პოეზიაში თითქმის ხელმეორედ. ახალი ემოციური ძაღმოსილებითაა ვანცლილ-გაამზრებული სულიერი თბობისა და ცხოვრებისეული ამაოების ის პრობლემური საკითხები, რომლებიც ნ. ბარათაშვილის ლირიკის უმთავრესი განსჯის საგნადაა ქცეული.

გალაკტიონის პოეზიის მასტიმულირებელ წყაროებზე საუბრის დროს ქართულ ლიტერატურათმცოდნეებს მხედველობიდან არც ის შინაგანი გენეტიკური კავშირები გამოჩინიათ, რომლებიც გ. გაბიძის შემოქმედებასა და ქართული ხალხური პოეზიის უმდიდრეს საგანბურს შორის არსებობს. გალაკტიონის ლირიკის არაერთი სალექსო საბოში თუ რიგმულ-მუსიკალური მელოდია ორგანულადაა შესისხლხორცებული ხალხური პოეზიის ძირებთან. ეს რომ ამკარად ვაცნობიერებული და მიმანსწრაფული მოელენა იყო. ნათლად დასტურდება იმ გიპოლოგიური მსგაესებით, გ. გაბიძის ლირიკასა და ხალხური პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს შორის რომ შეინიშნება ამკარა სიცხადით.

გ. გაბიძის აღრინდელ შემოქმედებაზე საუბრის დროს გალაკტიონოლოგიაში განსაკუთრებული მსჯელობის საგნადაა ქცეული პოეგის პირველი წიგნი, რომელიც 1914 წელს გამოიცა ქუთაისში. წიგნს იმთავითვე უდიდესი ინტერუსით შეხვდა ლიტერატურული საბოგადობა, რისი დადასტურებაცაა მასზე გამოქვეყნებული არაერთი რეცენზია და გამოხბაურება. ყველა ერთსულოვნად აღიარებდა, რომ გალაკტიონის სახით ქართულ პოეზიას უდიდესი პერსპექტივების მქონე შემოქმედი შემომეგა. ახალგაზრდა პოეგის ლექსები მიჩნეული იყო პოეტურ გრადიციათა ღირსეულ ვაგრძელებად. კრიტიკოს-შემფასებელთა აზრით, გალაკტიონი „მსოფლიო სევდის“ გამომხატველი პოეგი იყო, „უსხად დაჯილდოვებული ღვთიურის ცეცხლით“, „მარგობის ორდენის კავალერი“, „იდუმალ ჯადოს“ მფლობელი შემოქმედი... სწორედ ასე შეაფასა ათიანი წლების ლიტერატურულმა საბოგადობამ გ. გაბიძის პირველი წიგნი. ეს შემფასებელნი კი რა დიდ მწერლურ ავტორიტეტებსაც წარმოდგენდნენ, ამაზე მათი სახელების ვახსენებაც იკმარებდა – ა. წერეთელი, ი. გომართელი, კ. აბაშიძე, ი. იმედაშვილი, ა. აბაშელი, ი. გრიშაშვილი, გ. გაბიძე...

ყოველივე ამას ასე საგანგებოდ აქ იმიგომაც ვუსვამ ხაზს, რომ მოგვიანებით არაერთმა ლიტერატურათმცოდნემ (თ. ჩხენკელი, რ. თვარაძე, მ. კვესელავა...) სრულიად სხვაგვარი შეფასება მისცა გ. გაბიძის პირველ წიგნსაც და, საერთოდ, ათიანი წლების პირველ ნახევარში გამოქვეყნებულ მის ნაწარმოებებსაც. მათი აზრით, გალაკტიონის ამ-

დროინდელი პოეზია არსებითად მხოლოდ „შევირდობის“ ნაყოფს წარმოადგენს და იგი ჩანასახოვანი ფორმით აელენს ავტორის პოეტურ შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ გ. გაბიძის ადრინდელ შემოქმედებაში, რომლის თავისებურ პოეტურ შეჯამებადაც მისი პირველი წიგნი იქცა, მართლაც ამკარად სავრძნობია ლიტერატურულ გრადაციითა ზეგაელენის კვალიცა და ნაცნობი ინტონაცია-ვანწყობილებანიც, ზემოთ გამოთქმული შეფასებანი. ვფიქრობ, მეტისმეტად მკაცრია და სინამდვილეს არ შეესაბამება. ვალაკტიონის ამდროინდელ პოეზიაზე საუბრის დროს, ჩემის ამრით. უმთავრესი ყურადღების საგანი ამგვარი ვაელენა-სიახლოვის გამოვლინებანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის პოეტური სიახლენი, რომლებიც მომავალ შემოქმედებით წარმატებათა განმსაზღვრელ საფუძვლებად იქცევიან. აქვე მხედველობიდან არამც და არამც არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ათიანი წლების პირველ ნახევარში, 1915 წლამდე, გ. გაბიძეს უკვე დაწერილი აქვს არა მარტო თავისი ლირიკის, არამედ მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ისეთი ქრესტომატიული ნიმუშები, როგორებიცაა: „მესაფლავე“, „მე და ღამე“. „სად?“, „გამოსაღმება“, „რაც უფრო შორს ხარ“, „მაღე ფერგადამლილი“. „გურიის მთები“...

არა მგონია. მართებული იყოს ამ პოეტურ შედეკრთა ავტორის ვინმეს შევირდად გამოცხადება. მიუხედავად იმისა, რომ ათიანი წლების შუა ხანებიდან ვალაკტიონის ლირიკაში მართლაც ხდება მკვეთრი თვისებრივი გარდატეხა, ეს გარემოება ზემოთ დასახელებული ლექსების ლიტერატურულ ღირსებებს მაინც ვერ ამცირებს და ისინი კვლავინდებურად რჩებიან გ. გაბიძის ლირიკის უპოპულარეს და უსაყვარლეს ნიმუშად.

თავად პოეტის შეფასებით, დასახელებული წიგნი ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე და შემდგომშიც მას არაერთი საინტერესო წერილი მიეძღვნა, ვალაკტიონის ამრით. წიგნის ლიტერატურული მნიშვნელობა სათანადოდ მაინც არ იყო შეფასებული. ამიტომაც წერდა იგი 50-იან წლებში, რომ კრებულის „სიმბატურ და გქენიკურ სიახლეთა“ კიდევ უფრო გასააზრებლად წიგნის „დეტალური გარჩევა“ იყო საჭირო (თხზ. გ. 12, გვ. 151). ავტორის თვითშეფასებით. მასში საკმაოდ მრავლად იყო შეტანილი ისეთი ლექსები, რომლებშიც „პირველად ისმის ესა თუ ის მოტივი. პირველად ცოცხლდება თემა, რაც წინად არ ყოფილა“. ნათქვამის დასტურად ვალაკტიონი კონკრე-

ტულადაც ასახელებს რამდენიმე ნაწარმოებს („მუსიკა უცარი“. „გეგრა“, „ასე ხანდახან ქალაქის ხიმაში“. „მე და ღამე“. „ტყეში“) და შენიშნავს, რომ „თვითეული ლექსი აღმოჩენილი უნდა იქნესო“

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი ქვეყლა მსჯელობის საგნად გ. ტაბიძის პოეზიაში მძაფრად გამოკლებილი სულიერი ობლობისა და მარტობის განმსაპირობებელი მიზეზების ძიება. საბჭოთა პერიოდის ბევრი კრიტიკოსი ამ ვარემოებას უპირველეს ყოვლისა იმეამინდელი იდეოლოგიური თვალთახედვით: ხსნიდა და წინა პლანზე პოეტის შემოქმედებაზე 1905 წლის რევოლუციის შემდგომდროინდელი მოვლენების თითქოსდა განმსაპირობებელ მეგაელენას წამოსწევდა. ნათქვამის დასტურად თუნდაც ის შეფასებები ვაყისხენოთ. რასაც საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული კრიტიკა აძლევდა გ. ტაბიძის პოეტურ შედეგს „მე და ღამე“. ბევრი იმდროინდელი კრიტიკოსის აზრით, „მე და ღამეში“ გამოხატული პიროვნული მარტობისა და პესიმიზმის განცდა, უწინარეს ყოვლისა, იმ მძიმე ვითარებებით იყო განპირობებული, რომელმაც რეაქციის წლებში, პირველი რევოლუციის დამარცხების შემდგომ პერიოდში, მოიცვა საზოგადოება.

მეორე კი ლექსის შინაარსს რომანტიკულ-სიმბოლისტური ლიტერატურული პრინციპებით პოეტის გაგაცებას უკავშირებდნენ.

გ. ტაბიძის სარეცენზიო ნაწარმოების იდეურ-მსოფლმხედველობრივი არსის გააზრების დროს ისინი ცალმხრივობას იჩენენ და ამკარად უელიან გვერდს იმ მთავარსა და არსებითს, რაც სინამდვილეშია ხსენებულ ლექსში გამოსატული. კერძოდ. რ. თვარაძის მართებული დაკვირვებით, „მე და ღამე“ „ეს იყო მარტობის, სულით ობლობის თემაზე შექმნილი პირველი ნაწარმოები, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძე ვაემიჯნა როგორც ასაკისმიერ ბუნდოვან განცდას, ისე წინაპართა ვაელენას და მარტოსულობა საკუთარ მსოფლმხედველობრივ ფაქტად აქცია. აქ დასრულდა მეცხრამეტე საუკუნის ხელწერა და შეიქმნა ახალი ეპოქის „სული ობოლი“, რომელმაც შემდგომ და შემდგომ, თავის მხრივ, სულ სხვა სადინარებს ვაკუვალა ვბა თვად გალაკტიონ ტაბიძის (ავრეთვე სხვა პოეტების) ლირიკაში“ (რ. თვარაძე, ვალაკტიონი, 1972 წ. გვ. 58).

პირველი წიგნის ვამოცემის შედეგ, 1915 წლიდან, გ. ტაბიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მკვეთრი ვარდაგების სრულიად ახალი ეტაპი დგება. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ პრესაში ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნდება პოეტის ლირიკული შედეგები. რომლებიც მსატვრული წარმოსახვის სტრუქტურული ბუნებითაც, შინაგანი ემოციური

მეხტითაც, რიტმულ-ვერსიფიკაციული არქიტექტონიკითაც და პოეტური სულწერითაც არსებითად ემიჯნებიან კლასიკურ ლიტერატურულ გრადიციებს.

ათიანი წლების შუა ხანებიდან გალაკტიონის პოეზიაში გამოვლენილი ეს პოეტური სიახლენი ფართოდ და ყოვლისმომცველად წარმოჩინდნენ 1919 წელს გამოცემულ წიგნში „თაყის ქალა არგისგული ყვაილებით“. თავად პოეტისავე განმარტებით, „წიგნის სახელწოდება ირონიულია... იგულისხმება თაყის ქალა (სიკვდილი), არგისგული ყვაილები (ხელოვნება), ე. ი. სიკვდილი და ხელოვნება“. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? – სვამს იქვე კითხვას გალაკტიონი და თავადაც უპასუხებს – რა თქმა უნდა, ხელოვნებამ...

წიგნის სახელწოდება, გარდა მასში ნაცვლისხმევი ღრმააბროვიანი სიმბოლურ-ალეგორული შინაარსისა და ფილოსოფიური დატვირთვისა, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი იმ უმთავრეს მხატვრულ თავისებურებაზეც მიგვანიშნებს აქცენტირებულად, რომელიც გალაკტიონის არა მარტო ამ პოეტური კრებულის, არამედ, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედების სტრუქტურულ ბუნებას განსაზღვრავს. არსებითად, ესაა სიტყვიერი არგისტიმისა და დახვეწილობის უმაღლესი გამოვლინება. ამ თვალსაზრისით „არგისგული ყვაილები“, პოეტური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე სრულქმნილი ნიმუშია ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

გ. ტაბიძის წიგნმა იმთავითვე მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება და იგი ჩვენი სულიერი ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად იქნა მიჩნეული. ამის დადასტურებაა პრესაში დასტამბული წერილები, რომელთა ავტორებიც არიან: ი. გრიშაშვილი, ხომლელი (რ. ფანცხავა), ი. გომართელი, ი. იმედაშვილი და სხვები.

„არგისგული ყვაილების“ საეტაპოდ ფუძემდებლური როლი მეოცე საუკუნის ქართული პოეტური ხელოვნების თვისებრივი განახლების საქმეში კიდევ უფრო მეტი სიყვადითა და მასშტაბურობით წარმოაჩინა განვლილმა დრომ. გალაკტიონის ეს კრებული გადაუჭარბებლად უნდა იქნას მიჩნეული ლიტერატურულ სიახლეთა პირველწარმომჩენ და დამამკვიდრებელ ყველაზე დიდ პოეტურ წიგნად მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში.

გარდა ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისა. შემოქმედებითი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაბზეც და მერეც, მოდერნისტულ-სიმბოლისტური ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპებით გატაცების წლებშიც,

გ. ტაბიძის პოეზიას გუნეტიკური შინაგანი სიახლოვე ქჷონდა უცხოურ მწერლობასთანაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის პოეტურ-შემოქმედებითი პარალელიზმები და საერთო ტენდენციები, რომელნიც გალაკტიონის ლირიკასა და ევროპელი სიმბოლისტი პოეტების პოეტურ მემკვიდრეობას შორის არსებობს. მაგალითად, გიოლოგიურად ასეთი შინაგანი სიახლოვე აშკარად იკვეთება გ. ტაბიძის პოეზიასა და ისეთი პოეტების შემოქმედებას შორის, როგორებიც არიან: პოლ ვერლენი, შარლ ბოდლერი, არტურ რემბო, სტეფან მალარმე, ალექსანდრ ბლუაი... თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე იმდენადაც კი აზვიადებს ამ მსგავსება-სიახლოვეს, გალაკტიონის ლამის მათი პოეტური სამყაროს გადამმღერებლად და მიმბაძველად წარმოსახავს.

გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი ასეთი არასწორი და ცალმხრივად ტენდენციური დამოკიდებულება განსაკუთრებით მძლავრობდა საბჭოთა პერიოდის ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნის ნაწერებში. ერთნი, იმეამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის წყალობით, თვლიდნენ, რომ გალაკტიონის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები რუსული პოეტური სამყაროთი იყო მთავონებული. მეორენი კი გალაკტიონის ევროპული, პირველ ყოვლისა კი ფრანგი სიმბოლისტი პოეტების პირდაპირ მემკვიდრედ და მათი პოეტური ტენდენციების ქართულ სინამდვილეში დამწერგველ შემოქმედად მიიჩნევდნენ.

მაგალითად, ცნობილი ცისფერყანწული პოეტი კოლაუ ნადირაძე ერთ-ერთ ინტერვიუში ასეთ რაიმეს აზრობს: „გალაკტიონი თავის თავში იყო დაჯერებული, რომ ის იყო ერთადერთი. მოწყალების თვალებით უყურებდა აკაკის, ნიკოლოზ ბარათაშვილს...

„ლურჯა ცხენები“ ბოღვია. ქრიან ბოღვები და აბდაუბდები, ჰატივცემულ ვალაკტიონ! პარვა უყვარდა! ლერმონტოვს პარაედა, ბალმონტსაც! („განთიადი“, 1988 წ. №1, გვ. 188).

გალაკტიონის პოეზიის ამგვარი შეფასება იმდენად ტენდენციურია და საფუძველს მოკლებული, რომ მასზე სერიოზული მსჯელობა ალბათ არც ღირს. მაგრამ თუ მაინც მოვიშველიე იგი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დამეფიქსირებინა ის ნიპილისტური პოზიცია, რომელიც გ. ტაბიძის შემოქმედებისადმი ზოგიერთ მის თანამედროვეს ქჷონდა. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ კ. ნადირაძის ასეთი ნიპილიზმი, უპირველს ყოვლისა, სუბიექტური მოსაზრებითა და ლიტერატურულ შეხედულებათა განსხვავებულობით იყო განპირობებული და სათანადოდ არგუმენტირებული მსჯელობის შედეგს არ წარმოადგენდა.



ალბათ არ შეეცდებით თუ ვიცყვით, რომ გალაკტიონის თანამედროვე პოეტთაგან კ. ჩადირაძე გამონაკლისი სულაც არ ყოფილა და მსგავსი პოზიცია, მეტ-ნაკლები სიმკვეთრით, სხეებსაც გააჩნდათ მათი დიდი თანამედროვის შემოქმედებისადმი.

\*\*\*

გალაკტიონოლოგიაში დღემდე რჩება მძაფრი კამათისა და აზრობა სხვადასხვაობის საგნად ვ. გაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციის პრობლემა. საპეციალისტები სშირად იმდენად განსხვავებულადაც კი სჯიან და იაზრებენ გალაკტიონის შემოქმედებითი გზის განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს, რომ ზოგ შემთხვევაში ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ მოსაზრებასაც გამოთქვამენ ხოლმე.

მაგალითად, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკაში ფართოდ იყო გავრცელებული შეხედულება ვ. გაბიძის შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფის შესახებ. ეს თვალსაზრისი ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა იმ იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელსაც თანმიმდევრულად ატარებდა ხელისუფლება ჩვენში ათეული წლების მანძილზე. პერიოდიზაციის ამგვარი სქემის უმთავრეს საფუძველს რევოლუციასთან გალაკტიონის დამოკიდებულების კლასობრივ-იდეოლოგიური პრინციპებით ახსნა და შეფასება წარმოადგენდა.

ბევრი კრიტიკოსი ვ. გაბიძის მსოფლმხედველობაში უძირითადად გარდამტეხ მიჯნად 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას მიიჩნევს. ზოგიერთების აზრით კი ეს როლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ შეასრულა. იყენენ ისეთი ლიტერატურათმცოდნეობის, რომლებიც ერთმანეთისაგან არ თიშავენ ამ მოვლენებს.

60-იანი წლებიდან მოყოლებული, გალაკტიონოლოგიაში ნელ-ნელა იწყება ათწლეულობით დამკვიდრებული ამგვარი იდეოლოგიური დოგმების მსხვერვა. ამ თვალსაზრისით ჩვენი სულიერი კულტურის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეები უპირველეს ყოვლისა იმ თაობაზეა წარმომადგენლებმა მოიგანეს და დაამკვიდრეს, რომლებიც 50-იან და 60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. მათს ნაწერებში გაბედულად იწყებს გამოვლინებას შემოქმედებითი აზროვნების თავისუფლებისაკენ მისწრაფება. ამ პროცესის მომძლავრებას დიდად შეუწყობს ხელი იდეოლოგიური თავისუფლების იმ სუსტი ნაკადის შემოჭრამაც კი, სწორედ ამ დროიდან რომ იგრძნობა ჩვენში.

როგორც ითქვა, ვ. გაბიძის შემოქმედების ორ პერიოდად დაყოფის ტრადიციული მოდელი საბჭოთა იდეოლოგიის პირდაპირი შედეგი იყო.

ახლა ძხელი საოქმელია, თავდაპირველად ვინ გამოთქვა ეს მოსამრება, ასე უარყოფდა რომ დამკვიდრდა ჩვენში 20-იანი წლებიდან მოყოლებული 60-70 -იან წლებამდე. ამ დროიდან მოყოლებული კი თანდათანობით იწყება ძველი, შამბლონური სქემების რღვევა და ეფროსი თაობის არაერთი კრიტიკოსი იცვლის ადრინდელ შეხედულებებს.

გ. გაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციის დამტკიცებელი თეორიის ავტორია აზრით, არსებითად სასიკეთო ვარაუდებსა გალაკტიონის პოეზიაში ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე ეტაპზე ხდება - „პოეტის სეკულა შეიცვალა აღფრთოვანებულ სიხარულით, სასოწარკვეთილობა - ენთუზიაზმით. წარსულის რომანტიკა, დაბნეულობა, გაურკვეველობა - რევოლუციის რომანტიკით, მტკიცე, თანმიმდევარი ნებისყოფით.

მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო ფიგურა, დიდი პოეტი - გახდა პროლეტარული რევოლუციის პირველი თანამგზავრი, შემდეგ მისი თანმიმდევარი, მტკიცე მოკავშირე“ (ბ. ბუაჩიძე, კრიტიკული წერილების კრებული, 1960 წ. გვ. 74-75).

როგორც პოეტის თანამედროვენი იგონებენ, გ. გაბიძეს თურმე ძალზე აღიზიანებდა მისი შემოქმედების პერიოდიზაციის ასეთი იდეოლოგიზებული მოდელები და არაერთხელ გამოუხატავს სიტყვიერი უკმაყოფილება ამასთან დაკავშირებით. მაგალითად, ს. ჩიქოვანს მ. კეესელავსთან საუბარში ერთხელ გაუხსენებია, გალაკტიონთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს როგორი აღშოთება გამოუთქვამს პოეტს მისი პოეზიის პერიოდიზაციის გამო.

-რისი პერიოდები, ძამიკო, რა პერიოდები, ვინ მოიგონა ეს სისულელე! - შეაწყვეტიხა მას სიტყვა გალაკტიონმა და გულმოსული გაგვეუბლა (მ. კეესელავა, პოეტური ინტერვალები, 1977, გვ. 49).

ვახტანგ ჯავახიძე კი იგონებს: გალაკტიონის „რჩეულის“ გამოსაცემად მომზადების დროს თურმე მას ხშირი შეხვედრები ჰქონია პოეტთან. „ერთხელ, - წერს „უცნობში“ ვ. ჯავახიძე, - საეჭვო თარიღების დასაზუსტებლად მიემართე. შევაგყვე, ამასაც არაერთხელ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და ყოველგვარ ვარაუდზე მეთანხმებოდა. ზოგჯერ კი ნებისმიერ წელს მკარნახობდა, თანაც ხშირად კრიტიკოსების მიერ მექანიკურად დაყოფილ პერიოდებს ითვალისწინებდა, თუმცა ყოველთვის აღიზიანებდა ეს პერიოდები:

- რა საჭიროა ეს პერიოდები! მაინც პერიოდები!

ამკარად ოციანი წლების რამდენიმე ლექსისათვის რომ ოცი წლით ადრინდელი თარიღი შემომთავაზა, დავრწმუნდი, რომ ჩემი ცდა ამაო იყო და შეკითხვებით აღარ შემიწუხებია, ქრონოლოგია ისევე დავტოვე, როგორც წარმოადგინა“ (ვ. ჯავახიძე, უცნობი“ 1991 წ. გვ. 30). რო-  
268

ჯორჯ დამოწმებული მაგალითებითაც ნათლად ჩანს, პოეტს ამკარად ეწინააღმდეგებოდა და ეარყოფდა თავისი შემოქმედების პერიოდიზაციის ზემოთ დასახელებულ გაუკუღმართებულ სექცებს, რაც მან იმითაც გამოხატა, რომ არც თუ ისე იმეათად საკუთარი ნაწარმოებების დაწერის თარიღებიც შეეცალა და გააყალბა მიზანმიმართულად. სახელდობრ, „რეეოლუსიური პათოსის“ გამომხატველი მოგვიანო პერიოდის ზოგიერთი ლექსი აღრინდელი დროით დაათარიდა. ხოლო შემოქმედებითი მოღვაწეობის ე. წ. პირველ პერიოდში დაწერილ რამდენიმე „პესიმისტურ“ ლექსს გვიანდელი თარიღი დაუსვა.

მაგალითად, როგორც ვაირკვა, ვალაკტიონის პოეტური შემოქმედების საწყის ეტაპზე (1908 წ.) დაწერილად მიჩნეული გახმაურებული ლექსი „პირველი მაისი“ სინამდვილეში ვაქცილებით გვიან, კერძოდ, 1933 წელს არის დაწერილი. ეს ფაქტი „არ არის ერთადერთი გამონაკლისი... ასეთი ჩვევა პოეტს გამოუმუშავდა იმ მძიმე წლებში, როდესაც პროლეტკულტელი კრიტიკოსები ყოველივე სუბიექტურში ანტირევოლუციურ გამოხტომებს ხედავდნენ – ვალაკტიონიც ყოველმხრივ ცდილობდა „წაეშალა“ ყოველგვარი კვალი აღრინდელი ვაგაცებისა და ამით თავისი შემოქმედებითი გზა გაეერთფეროებინა“ (ი. ლორთქიფანიძე, ვალაკტიონ ტაბიძე, 1988 წ. გვ. 47). იგივე უნდა ითქვას ლექსებზე: „გადანახული დროშები“ და „დაღვება დრო სანაგრელი“, რომლებიც მკითხველისათვის პირველად 1949-1950 წლებში გახდა ხელმისაწვდომი, ავტორმა კი მათი შექმნისა და ხელნაწერ ქურნალ „შუქში“ გამოქვეყნების თარიღად 1908 წელი დაასახელა (იქვე, გვ. 58-59).

60-იანი წლებიდან ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში თანდათანობით ჩნდება და მკვიდრება გ. ტაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციის ასალი მოდელები, რომლებიც, აღრინდელისაგან განსხვავებით, სულ სხვა პრინციპებს ეყარება.

პირველი კრიტიკოსი, რომელმაც ყველაზე პრინციპულად გაილაშქრა და დაგმო გ. ტაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციის ძველი მოდელი, რევამ თვარაძე იყო. მან 1972 წელს გამოქვეყნებულ თავის მრავალმხრივ საინტერესო წიგნში - „ლევენდა ვალაკტიონის ცხოვრებისა“ დასაბუთებულად უარყო ამ მოდელის სიყალბე და არამეცნიერულობა.

გ. ტაბიძის პოემების პერიოდებად დაყოფის გრადიციულ სქემას რ. თვარაძემ „არალიტერატურული, უმსგავსი“ უწოდა და მრავალ უმნიშვნელოვანეს არგუმენტზე დაყრდნობით ნათელყო. რომ პოეტის შემოქმედებაში ასეთი პერიოდების გამოყოფა საბჭოური იდეოლოგიური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო, ხელოვნურად, ძალდატანებით მოგონილი და რეალური ვითარებიდან მოწყვეტილი.

და მაისც, მიეხედავად ამ ზოგადი დასკვნისა, მხატვრული ოსტატობისა და ლიტერატურული ევოლუციის კუთხით კრიტიკოსი მაინც გამოიყოფს რამდენიმე მნიშვნელოვან ეგაპსა თუ პერიოდს გ. გაბიძის პოეზიაში და ამით რამდენადმე თაყვანს არღვევს მისივე შეხედლებას გ. გაბიძის შემოქმედების ორგანული მთლიანობის შესახებ.

პირველი ასეთი პერიოდი, რ. თვარაძის აზრით, დაახლოებით 1908-1914 წლებს შორისაა, „დაახლოებით იმიტომ, რომ მისივე თქმით, მსგავს საკითხებზე საუბრისას ზუსტი თარიღების დადგენა ყოვლად შეუძლებელი რამ არის“.

რ. თვარაძემ ამ პერიოდს „შევირდობის ხანა“ უწოდა. მისი მტკიცებით, ამ დროს დაწერილი ლექსები ძირითადად ლიტერატურული გრადიციების გაუღწეობაა შექმნილი და მათში „მხოლოდ აქა-იქ გამოკრთებოდნენ სულის მომავალი ზეობის, მომავალი სრულყოფის მაცნეებად თვისობრივად ახალი გიჟის ცალკეული ლექსები თუ სახეები“.

„შევირდობის ხანის“ პირობით ქრონოლოგიურ სასრულად ავგორი 1914 წელს - პოეტის პირველი წიგნის გამოცემის თარიღს - ასახელებს. რ. თვარაძის თქმით, ამ წიგნით „დასრულდა მისი შემოქმედების ერთი მონაკვეთი“. 1914 წლის კრებულს „უძალე მობყვა თვისებრივი სიახლე“ ქართულ პოეზიაში. „გამოსცდებით თუ არა 1914 წელს, მაშინვე იგრძნობთ რადაც დიდ სხვაობას: სათქმელიც სხვაა და თქმულიც სხვაგვარადაა. და თუ 1915 წლით დათარიღებული ზოგიერთი ლექსი ... განწყობილებით, სათქმელით, განსაკუთრებით კი ფორმით ასე თუ ისე კიდევ ჰგავს ძველ ლექსებს, სამაგიეროდ ამავე 1915 წელს შექმნილ ნაწარმოებთა უმრავლესობა სრულიად სხვა ბუნებისაა, ხოლო 1916 წლიდან ძველი ხელწერის კვალიც აღარსად ჩანს“.

იმ კრიტიკოსთაგან, რომელთაც ასევე პირველებმა გაილაშქრეს ვალაკიონის შემოქმედების პერიოდებად დაყოფის ძველი სქემის წინააღმდეგ, უნდა გამოვყოთ აგრეთვე თ. ჩხენკელი. გ. გაბიძის პოეზიაში გრადიციულად გამოყოფილ ორ პერიოდს თ. ჩხენკელმა „ლიტერატურისათვის უცხო არგუმენტაციით“ მიღებული მოდელი უწოდა და პოეტის შემოქმედება „პიროვნული მთლიანობით აღბეჭდილ პოეტურ ფენომენად“ მიიჩნია.

გ. გაბიძის პოეზიის პერიოდიზაციის ძველი მოდელი თუმცა უარყო, მაგრამ თ. ჩხენკელი აქ არ გაჩერებულა და თავის მხრივ მან პოეტის შემოქმედება ოთხ ძირითად პერიოდად დაყო. პირველი, კრიტიკოსის აზრით, ესაა ინერციის პერიოდი (1908-1915 წლების ლირიკა), მეორე მოდერნისტული სინთეზისა, რომელიც 1915-1928 წლებში დაწერილ ნა-

წარმოებებს მოიყავს. მესამე პერიოდი 1928 წლიდან 1935 წლამდე გრძელდება და მას ავტორი გარდაცემის ხანას უწოდებს, ხოლო ბოლო, მეოთხე ეტაპად იგი 1935-1959 წლებში შექმნილ ნაწარმოებებს გამოაცოფს და მას კლასიკური სინთეზის პერიოდს არქმევს სახელად.

როგორც ვხედავთ, რ. თეარაძეცა და თ ჩხენკელიც ათიანი წლების შუა ხანებამდე გ. ტაბიძის მიერ დაწერილ ნაწარმოებებს ისეთ ლექსებად მიიჩნევენ, რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ თუ აელენენ ვალაკტიონის შემოქმედებით ინდივიდუალობას და ისინი პოეტურ გრადიციათა ინერციითა და ზეგაყენით არიან შექმნილნი. ამ ლიტერატურულ პერიოდს კრიტიკოსები სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. ზოგი მას შევირდობის ხანას უწოდებს, ზოგი მოსამზადებელ ეტაპს, ზოგი პოეტური ვარჯიშის პერიოდს და ა. შ.

გ. ტაბიძის შემოქმედების პერიოდიზაციასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები სხვა კრიტიკოსებსაც აქვთ გამოთქმული, მაგრამ მათზე საუბარს ამჯერად აღარ ვაეაგრძელებ.

\* \* \*

გასაგები მიზეზების გამო, ვალაკტიონ ტაბიძის რევოლუციის თემაზე დაწერილი ნაწარმოებების ანალიზი საბჭოთა პერიოდის ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ცალმხრივი და გენდენციური ხასიათისა იყო. ფართოდ დამკვიდრებული თვალსაზრისის თანახმად, ვალაკტიონი რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების მგზნებარე მომღერლად იყო გამოცხადებული. მაგრამ, როგორც ირკვევა, პოეტს ამ მოვლენებისადმი ასეთი სწორხაზოვანი დამოკიდებულება არ ჰქონია და რევოლუციის მისეულ შეფასებაში საკმაოდ მძლავრობს კრიტიკული განწყობაც (ამასთან დაკავშირებით იხ: ა. ნიკოლეიშვილი, მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, V, 2005 წ. ნარკვევი - „ვალაკტიონ ტაბიძე“).

რევოლუციასთან და საბჭოთა ეპოქასთან გ. ტაბიძის რეალური დამოკიდებულების შესაცნობად, მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილ მის ნაწარმოებებთან ერთად, ფასდაუდებელი მნიშვნელობა მის იმ ქმნილებებსაც ენიჭებათ, რომელთა გამოქვეყნება მხოლოდ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი. ამ მხრივ, საერთოდ, გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით, ვალაკტიონოლოგიის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევაა. ე. ჯავახაძის ფართოდ გახმაურებული წიგნი „უცნობი“ (1991 წ.), რომელშიც ავტორის მიერ მოძიებული დიდძალი ახალი საარქივო მასალაა გამოქვეყნებული და

განსაღიჭებელი. ამ მასალების გაცნობით მკითხველისათვის კიდევ უფრო ხლევა ცხადი. ქვეყნად დაძველებული უძძიმესი იდეოლოგიური ვითარება როგორ აიძულებდა ვალაკიონს, მაქსიმალურად შეეზღუდა აზრის თავისუფლება, საკუთარ თავში ჩაეხშო პროტესტის ხმა და მხოლოდ შეფარვით გაეშლავინა თავისი ნამდვილი გულისთქმა.

როგორც ბოლო პერიოდის ვალაკიონოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, გ. ტაბიძის ოპოზიციური თვალთახედვა ყველაზე მეტად პოეტის დროინდელი ეპოქალური სინამდვილისა და ეროვნული პრობლემის გააზრების დროს ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აწმყოსა და მომავალს პოეტი თავისი ლექსებისა და პოემების ერთ ნაწილში ჩვენი სამშობლოს ბედნიერ ხანად საბჭოთა ხელისუფლებასა და რუსეთთან ერთობას მიიჩნევს, შიგადაშიგ, ამკარადაც და შენიღებულადაც, იგი მწვავე გულისტკივილით იმაზეც წუხს, რომ „დაკარგულია გზა მოხევენი“ და ეროვნული თავისუფლების ნანატრი დრო სინამდვილეში სახვალიოდ უნდა დაუდგეს ჩვენს ქვეყანას.

ვალაკიონოლოგიაში ასევე პართებულად მიექცა ყურადღება იმ ვარემოებას, რომ ავტორისეული სათქმელის ბოლომდე გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია ძირითად ტექსტსა და მის ვარიანტებს შორის არსებული ერთგვარი აზრობრივი შეუსაბამობანი, რისი დამადასტურებელი მაგალითები საკმაოდ გვხვდება გ. ტაბიძის პოეზიაში.

სამეცნიერო ლიგურატურაში ისიც სამართლიანადაა შენიშნული, რომ გ. ტაბიძე თავისი ოპოზიციური შეხედულებების შესანიღბად ხშირად მიმართავდა ხოლმე ადგილისა და მოქმედების გაუცხოებას. პოეტის ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვის დროს ვარეგნულად ავტორი ისეთ შთაბეჭდილებას ვეიქმნის, თითქოს იგი უცხოურ ვარემოში მომხდარ ამბავს აღწერდეს, სინამდვილეში კი ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარებაა კრიტიკული თვალთახედვით ასახული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პოემები, რომელთა ვარიანტებში ზოგჯერ ეს ნიღაბიც მოხსნილია და მოქმედების ადგილიც დაზუსტებული, რითაც მთლიანად გამოირიცხება ყოველგვარი დაქვეება. ერთ-ერთი მათგანია პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“, რომლის ვარიანტებში პირდაპირ და არაორაზროვნადაა ხამგასმული, რომ ნაწარმოებში აღწერილი სისხლიანი ტრაგედია საქართველოში, კერძოდ კი თბილისში დატრიალდა.

გ. ტაბიძის შემოქმედების შესწავლის დროს ამ ბოლო დროს ასევე დიდი ყურადღება ექცევა მწერლის საარქივო, დაუმთავრებულ და ბოლომდე დაუმუშავებულ მასალებს. ესენია ცალკეულ ნაწარმოებთა

ვარიანტები, დაუსრულელებელი ლექსები, პოემებისა და მოთხრობების ფრაგმენტები, ცალკეული სტროფები და სტრიქონები; დღიურები, პირადი წერილები, სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები და ა. შ.

ამ მასალებში ბევრი რამაა ისეთი, რომელიც შექნილბაი ფორმით ავლენს ავტორის ნამდვილ გულისთქმას, მის კრიტიკულ დაბოკიდებულებას ეპოქალური მოვლენებისადმი. რამეც მაშინდელი უმკაცრესი იდეოლოგიური რეჟიმის გამო მართალი სიგჳვის თქმა შეუძლებელი იყო.

გ. ტაბიძემ პოეტური სრულქმნილების ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული პოეზია. მისი პოეტური სამყაროს შესწავლას მრავალმა ლიტერატურათმცოდნემ შეაღია ძალა და ენერგია. ბევრი ითქვა და დაიწერა მასზე, როგორც მხატვრული სიგჳვის დიდოსტაგბე, რის შედეგადაც მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის არაერთი ნიუანსი იქნა მეცნიერულად გააზრებული. ამ თვალსაზრისით ვალაკტიონოლოგია არაერთი საინტერესო ნაშრომით გაამდიდრეს ნ. ტაბიძემ, ა. გაწერელიამ, ა. ხინთიბიძემ, გ. შერკვილაძემ, გ. ასათიანმა, რ. მიშველაძემ, ი. ლორთქიფანიძემ, ვ. ჯაფახაძემ, გ. ბენაშვილმა, ჯ. ლინჯილიამ, ი. კენტომვილმა, თ. დოიაშვილმა, ლ. ბრეგაძემ, ა. გომართიელმა, ი. მერაბიშვილმა, ნ. ხელაიამ, ლ. სორდიათ, მ. სარიამ და სხვა მკვლევარებმა.

გ. ტაბიძის შემოქმედების შესწავლა თვისებრივად ახალ სტადიაში შევიდა ბოლო წლებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ვალაკტიონოლოგიის ცენტრის (ხელმძღვანელი თეიმურაზ დოიაშვილი) შექმნას. ცენტრმა სისტემატური ხასიათი მისცა ვალაკტიონოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებასა და ამ კონფერენციის ამსახველი მასალების ცალკე წიგნებად გამოცემას. როგორც ამ წიგნების გაცნობა ადასტურებს, ცენტრთან დაკავშირებული მეცნიერები ახლებური თვალთახედვით განიხილავენ ვალაკტიონოლოგიის პრობლემურ საკითხებს (იხ: კრებული „ვალაკტიონოლოგია“, ტ. I, II, III, 2002-2003 წწ.).

გ. ტაბიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში ცალკე უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასთან არსებული ვალაკტიონის სემინარის მიერ (ხელმძღვანელი რევაზ მიშველაძე) გაწეული სამეცნიერო საქმიანობა. სემინარზე წაკითხულ მოხსენებებში, რომლებიც წიგნებადაც იბეჭდება, საინტერესოდაა გააზრებული გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული მხარეები (იხ: „ვალაკტიონის სემინარის დღიურები“, ტ. I, 1998 წ. ტ II 2003 წ. ტ III, 2005 წ.).

ვალაკტიონის შემოქმედების მეცნიერული კვლევა საგულისხმო აღ-

გილს იჭერს ჩვენი ქვეყნის სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში (ქუთაისი, სოხუმი, ბათუმი, თელავი ...) მოღვაწე ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომებშიც, რის დასტურადაც 2003 წლის ოქტომბერში ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გ. ტაბიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისადმი მიძღვნილი ის კონფერენციაც შეიძლება გავისხენოთ, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეულმა მეცნიერებმა მიიღეს მონაწილეობა. კონფერენციის მასალები ცალკე წიგნადაც გამოიცა („ლიტერატურული დიალოგები. I, გალაკტიონი“, 2003 წ.).

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცა გ. ტაბიძის შემოქმედების შესწავლა უცხოელ მწერალთა ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა თ. დოიაშვილის, ი. მერაბიშვილის, ი. კენჭოშვილის, ლ. ბრეგაძის, ბ. წიფურიას, რ. ბურჭულაძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომები.

გ. ტაბიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის გზაზე მოპოვებულ ზემოთ აღნიშნულ მიღწევათა მიუხედავად, ქართული პოეტური სიგყვის ამ სწორუპოვარი ოსტაგის მწერლური მემკვიდრეობის სიღრმისეული კვლევის თვალსაზრისით უმთავრესი სამუშაო მაინც სახვალლოდაა შესასრულებელი და ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრა ქართველ (და არა მარტო ქართველ) ლიტერატურათმცოდნეთა მომავალი თაბების დიდად საპასუხისმგებლო საქმედ რჩება.

\* \* \*

გალაკტიონოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად იმ გიპოლოგიური კავშირების დადგენაცა და განსაზღვრაც არის ქცეული, რომელნიც გ. ტაბიძისა და პოეტის დროინდელი თუ მისი შემდგომი ხანის ქართულ პოეზიას შორის არსებობს. გალაკტიონის კეთილსმყოფელ როლსა და გეგავლენას მეოცე საუკუნის ეროვნული პოეტური აზროვნების განვითარების საქმეში დღესდღეობით ძალზე ბევრი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე აღიარებს.

ამაში თავად გალაკტიონიც ღრმად იყო დარწმუნებული. მაგალითად, 1950 წელს იგი წერდა: „ჩემი გავლენა თანამედროვე ახალგაზრდობაზე ძალიან დიდია, არა მარტო ახალგაზრდობაზე, არამედ მთელ თანამედროვე მწერლობაზე გავრცელებული (ამას მრავალი დოკუმენტი ამტკიცებს, მრავალი კრიტიკოსი ხაზს უსვამს)“ (გ. ტაბიძე, გ. 12, 1975 წ., გვ. 147). ამ შეხედულებას კიდევ უფრო მეტი ფასი და მნიშვნელობა მიეცა გალაკტიონის ვარდაცვალების შემდეგ, რაც არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გალაკტიონის შემდგომდრო-



ინდელი ქართული პოემია ძირითადად სწორედ მისი ლიტერატურული პრინციპების ევოლუციური გაღრმავების გზით განვითარდა. ნათქვამის დასტურად მრავალი დამაჯერებელი არგუმენტის მოტანა შეიძლება. მაგალითად, მიხეილ კეესელაევს „პოეტური ინტეგრალების“ ბოლო ქვეთავში მკვლევარმა სპეციალურად წარმოადგინა თანამედროვე ქართული პოემიის თვალსაზრისით წარმომადგენელთა მოსაზრებანი შემოთქმულ საკითხთან დაკავშირებით. სრულიად განსხვავებული ლიტერატურული პრინციპების მქონე შვიდი მოქალაქე პოეტიდან ექვსმა უყოყმანოდ დაადასტურა, რომ თანამედროვე ქართული პოემიის განვითარებისათვის დამახასიათებელი ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ტენდენცია სათავეს უპირველეს ყოვლისა სწორედ გალაკტიონის პოემიაში იღებს.

რამდენადმე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა შოთა ნიშნიანიძემ. „თანამედროვე ქართული პოემიის განვითარების გზად, - წერს იგი, - გალაკტიონის გზა არ მიმაჩნია. ამ გზისკენ მატყერალი შემოქმედი წინასწარ განწირული მგონია (რადგან გალაკტიონს ვერ გადააჭარბებ)" (მ. კეესელაევა, პოეტური ინტეგრალები, 1977 წ., გვ. 659).

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად შ. ნიშნიანიძეს მოჰყავს რამდენიმე თავისებურება, რითაც, ავტორის აზრით, მისი დროის ქართული ლექსი განირჩეოდა გალაკტიონის ლექსისაგან. ესენია: „ღღვეანღღღღ ლექსი უფრო ყოფითია. და ამასთანავე მოჭარბდა ფიქრის, მკვლევარის, განსჯა-ანალიზის, ე. წ. ინტელექტუალური სიმწიფისკენ ლტოლვის ტენდენციები (ამ მხრივ საინტერესოა გ. ჭანტურიას, ო. ჭილაძის, გ. გეგეჭკორის, ბ. ხარანაულის, ემ. კვიციანიშვილის ე. წ. „ლირიკული პოემები“. ვ. ჯაფარიძის, ლ. სტურუას ლექსები)". მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები, მართლაც, უდავოდ მოიძღვარდა 60-70-იანი წლების ქართულ პოემიაში, მათი განსაკუთრებით მნიშვნელოვან მონაპოვრად გამოცხადება მაინც არ იქნებოდა სწორი, რადგანაც, გალაკტიონს რომ თავი დავანებოთ, ჩვენი საუკუნისა თუ უფრო ადრინდელი სხვა პოეტების შემოქმედებაში შ. ნიშნიანიძის მიერ ხაზგასმული თავისებურებანი მეტნაკლები სიძლიერით ადრინდელ პერიოდებში მოღვაწე პოეტების შემოქმედებაშიც იყო წარმოდგენილი.

გალაკტიონის პოემიის შეფასების დროს შ. ნიშნიანიძემ უპირველეს ყოვლისა ორი უმთავრესი კითხვა დასვა პრინციპულად: რა არის პოეტის შემოქმედებაში გამოხატული და როგორ? ამ ორი მხარის ურთიერთშედარების შედეგად გ. ტაბიძის პოემიას მან ასეთი შეფასება მისცა: „რუსთაველის შემდეგ გალაკტიონი უპირველესია, რომელმაც ყველაზე უკეთესად, ყველაზე უფრო სრულყოფილად და ვირტუო-

ბული არგისგულობით მომართა (შექმნა კიდეც) ქართული ლექსის ინსტრუმენტები. ვალაკტიონის სამეცნიერო-კლასიკური ხელოვნება შეუდარებელია" (მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალი, 1977 წ. გვ. 659).

მაგრამ ასეთივე მაღალი შეფასება არ ეძლევა გ. ტაბიძის პოემების შინაარსობრივ სამყაროს და შ. ნიშნიანიძეს მიაჩნია, რომ „აქ ვალაკტიონი ცოცხალი უფრო უფერულია, საინტერესო არაა“. ჩემის აზრით ვალაკტიონის პოემების ამგვარ შეფასებაში გამარტივებულადაა წარმოდგენილი მისი პოეტური შემოქმედების შინაარსობრივი სიღრმე და მნიშვნელობა. ვალაკტიონის ლირიკა იმიტომაც წარმოდგენს ქართული მწერლობის უპირველეს მიღწევას, რომ იგი საოცრად მომსიბვლელია თავისი ფორმით და წარმოდგენილად ღრმა შინაარსობრივი თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ფორმისა და შინაარსის ურთიერთშერწყმის ისეთ უნიკალურ ფაქტთან, რომლის მსგავსი მსოფლიო ლირიკულ პოეზიაშიც თითქმის ჩამოსათვლელია. ვალაკტიონის შემოქმედება ფორმისულ სინატიფესთან ერთად საოცარია და სწორედ პოეტური თავისი „ფიქრითაც, მედიტაციითაც, განსჯა-ანალიზითაც და ინტელექტუალური სიმწიფითაც“. ასევე უხვად იპოვის მკითხველი მის ლექსებში „რთული მეტაფორული კონსტრუქციებისა“ და „ასოციაციური ამროვნების“ ნიმუშებს.

შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც, გვხვდება ვალაკტიონის პოეზიაში „სასაუბრო ინგონაციები“ და „ერთსა და იმავე ლექსში რიგმულ-მეტრული მონაცვლეობა“, რომელიც, შ. ნიშნიანიძის აზრით, თანამედროვე ქართულ ლირიკაში განაწილდა მ. ლებანიძემ და მ. მაჭავარიანმა.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გ. ტაბიძე ერთ-ერთ აქტიურ ინიციატორად მოგვევლინა ქართულ პოეზიაში ვერლიბრის ანუ თავისუფალი ლექსის დამკვიდრების საქმეშიც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი არა მხოლოდ ლექსები, არამედ ლიტერატურული წერილებიც.

შ. ნიშნიანიძისაგან განსხვავებულ შეფასებას აძლევენ ვალაკტიონის შემდგომდროინდელი ქართული პოემების განვითარებას მ. კვესელავას მიერ მრგვალ მაგიდასთან მოხმობილი სხვა პოეტები: მ. ლებანიძე, მ. მაჭავარიანი, ო. ჭილაძე, ვ. ჯავახიძე, გ. ჭანტურია და ბ. ხარანაული. ოთარ ჭილაძე, მაგალითად, აღნიშნავს: „მე არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტ-ნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), ვალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს“ (მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალი, 1977 წ. გვ. 657). ხოლო ეახსიანე ჯავახიძე წერს:

„გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წაიჭა და მიღის ვალაკტიონის გზით. თითქოს სხვა ვაზ არც არსებობს. თითქოს ვალაკტიონმა მაქსიმალურად ამოწერა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი - ვიდრე ვირტუომ ულად მუსიკალურ სტრიქონამდე, თვით ინვერსიულ ლექსამდე“.

თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარების გზათა ასეთი დაკავშირება ვალაკტიონთან სრულებით არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ დღევანდელი ქართული ლექსი ეპიგონობის მასშტაბებს ვერ ცილდება და მის წიაღში ახალი გენდენციები არ ჩნდება. რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, როცა ამ სიახლეთა მნიშვნელობას ვაფასებთ, ამ შემთხვევაში მას ისეთი საზომებით ვუღებთ, რა კრიტერიუმებითაც უნდა მოხდეს ხოლმე საეგაპო მნიშვნელობის მქონე მსაგვრულ მიღწევათა შეფასება მწერლობაში. ვ. ჯავახიძის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „ვალაკტიონის შემდეგ ქართულ პოეზიაში თვისებრივი სიახლეების შესახებ ლაპარაკი არ შეიძლება. არ შეიძლება ლაპარაკი ისეთ დიდ სიახლეებზე, როგორც მოიგანა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთლის შემდეგ ან თვით ვალაკტიონმა აკაკისა და ვაჟას შემდეგ ჩვენი საუკუნის ყოველი კარგი პოეტი ვალაკტიონის მრავალწახნაგოვანი პოეზიის ამა თუ იმ მხარეს აგრძელებს და ავითარებს თავისებურად. ეს მხარეები თვით ვალაკტიონის მდიდრულ ლირიკაში ისე გამოკვეთილად არ ჩანს“.

მე აქ საგანგებოდ შევაჩერე ყურადღება თვითონ პოეტების იმ შეხედულებებზე, რომლებშიც ვალაკტიონის შემდეგდროინდელი ქართული პოეზიის შეფასებაა მოცემული, რადგანაც მათი დამოკიდებულება აღნიშნული პრობლემისადმი, საკუთარი პოეტური შესაძლებლობების გულწრფელი თვითანალიზი, ამ შემთხვევაში მეტს გვეტყობდა საგულისხმოს, ვიდრე ამ პროცესისადმი გარედან მაცქერალი კაცის თვალი შეამჩნევდა.

გ. ტაბიძე ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე იქცა პოეტურ მიღწევათა შემფასებელ ეგალონად და ამან პასუხისმგებლობის გრძნობის საოცარ ამალღებასთან ერთად, ძნელად გადასაღაბავი სირთულეებიც შეუქმნა ქართულ ლირიკას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს სირთულე არა მარტო ომისშემდგომი ლიტერატურული თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებით ბიებებს შეეხო, არამედ XX საუკუნის მთელ ქართულ პოეზიასაც.

# რიტმულ-ვერსიფიკაციული სიახლენი

## XX საუკუნის ქართულ პოეზიაში

რიტმულ-ვერსიფიკაციული თვალსაზრისით მეოცე საუკუნის ქართული პოეზია იმდენად მრავალფეროვანია და მდიდარი, რომ ამ სფეროში არსებულ თავისებურებათა და სიახლეთა სრულყოფილად წარმოჩენა ურთულესი საქმეა. გასულ საუკუნეში მოღვაწე სხვა ქართველი პოეტების შემოქმედებას თავი რომ დაეანებოთ, გეძმობილებულს სიმართლეში დასარწმუნებლად თუნდაც მარგო გალაკტიონ გაბიძის პოეზიაც იქნება სრულიად საკმარისი. არ გადაეაჭარბებთ, თუ ვიგყვით, რომ არა თუ მეოცე საუკუნის, არამედ მთელი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაშიც კი, ძალზე ძნელია (თუ საერთოდ შეუძლებელიც არა) ისეთი სალექსო საზომისა და რიტმული ერთეულის მოძიება, რომელიც გალაკტიონის შემოქმედებაში არ იყოს წარმოდგენილი.

ყოველივე ბემოტიქმილიდან გამომდინარე, წინამდებარე ქვეთავს ვერაყითარ შემთხვევაში ვერ ექნება იმის პრეგენზია, დაინტერესებულ მკითხველს თუნდაც არასრულადაც კი მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია ქართული ლექსის მეტად მრავალფეროვან რიტმულ-ვერსიფიკაციულ ფორმათა და სახეობათა შესახებ. ჩემი მიზანი ამ შემთხვევაში გაცილებით კონკრეტულია და ნაკლებად მასშტაბური: გასულ საუკუნეში მოღვაწე პოეტების შემოქმედებიდან მოშველიებულ მაგალითებზე დაყრდნობით, ქვემოთ შევეცდები ყურადღება გავამახვილო კლასიკურ ქართულ პოეზიაში სუსტად და ეპიზოდურად წარმოდგენილ ისეთ სალექსო ფორმაზე, როგორცაა **ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი**.

აღნიშნული საკითხით ჩემი ამგვარი დაინტერესება არსებითად განსაზღვრა იმ ფაქტმა, რომ მეოცე საუკუნის ჩვენს პოეზიაში თვისებრივად ახალმა ამ სახეობის ლექსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პოეზიის რიტმულ-ვერსიფიკაციული სამყაროს კიდევ უფრო მეტად გამდიდრება-გამრავალფეროვნების საქმეში.

ვერლიბრი ანუ თავისუფალი ლექსი ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში განსაკუთრებული ინტერესის საგნად გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იქცა. გარდა იმისა, რომ ქართულ პოეზიაში ამ სალექსო ფორმის დამკვიდრება-არდამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში იმხანად მოღვაწე მწერალთა და კრიტიკოსთა დიდი ნაწილი იღებდა მონაწილეობას, აღნიშნული მოვლენის გასაანალიზებლად ცხოველი დისკუსიებიც გაიმართა. მიუხედავად იმი-

სა, რომ ამ კამათის მოჩაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული სახელისუფალი ლექსის მომავლისადმი მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმით არ იყო განწყობილი, საკითხის პოლემიკური განსჯა-გაანალიზების შედეგად მაინც გამოიკვეთა ერთმანეთისაგან მკაფიოდ განსხვავებული სამი უმთავრესი თვალსაზრისი:

ერთი, ლიტერატურულ ტრადიციათა განსაკუთრებით პატივისმცემელი, თვლიდნენ, რომ ეს სალექსო ფორმა საერთოდ იყო მიუღებელი და შეუთავსებელი მოვლენა ჩვენი პოეტური ბუნებისათვის. მეორენი მიიჩნევდნენ, რომ ვერლიბრი ჩვენში არა თუ უკვე წარმოადგენდა მტკიცედ დამკვიდრებულ ფაქტს, არამედ მას საკმაოდ ანგარიშგასაწევი წარმატებებიც კი პქონდა მოპოვებული. ხოლო მესამენი ამ სალექსო ფორმის დამკვიდრების თუმცა პრინციპულად წინააღმდეგენი არ იყვნენ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ქართული ვერლიბრი ჯერჯერობით მხოლოდ ექსპერიმენტის დონეზე იდგა და მისი შესაძლებლობები სათანადო ძალით კვლავაც არ იყო გამოუყენილი.

როგორც ცნობილია, თავისუფალ ლექსს ანუ ვერლიბრს ისეთ სალექსო ფორმას უწოდებენ, რომლისთვისაც დამახასიათებელია გაეჟთა არათანაბარმარცვლიანობა. მაგალითად, ა. ჭილაიას განმარტებით, თავისუფალი ლექსი ურითმო ლექსის ისეთი სახეობაა, რომლის „ტერაფები, მუხლები და ტაქტები თანაზომიერი არაა“. როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ავტორს ვერლიბრის დამახასიათებელ მთავარ თვისებად ურითმობა მიაჩნია; თუმცა ქვემოთ იმასაც შენიშნავს, რომ „თავისუფალ ლექსში გამოწკლისის სახით რითმაც გვხვდება“ (ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, 1971 წ. გვ. 158).

მსგავს განმარტებას იძლევა ა. გაწერელიაც. მისი აზრით, ვერლიბრის დამახასიათებელი ნიშნებია „ტაქტების არათანაბარ-მარცვლიანობა და ზოგჯერ რითმის უქონლობაც“ (ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, 1995 წ. გვ. 306).

როგორც ვხედავთ, თავისუფალი ლექსი ისეთ პოეტურ ნაწარმოებს ეწოდება, რომლის ტაქტთა არათანაბარმარცვლიანი მეტრული სტრუქტურა რიტმულ სისტემად ჩამოყალიბებულ ამა თუ იმ კერსიფიკაციულ საზომში არ თავსდება.

ვერლიბრის ავტორთა უმრავლესობა ნაკლებადაა დაინტერესებული ლექსის ტექნიკური მხარის დახვეწა-რაფინირებით. მათთვის მთავარია არა სიკვდიური არგისტიკა და მკაცრ შინაგან კანონებს დაქვემდებარებული პოეტური ტექნიკა, არამედ აზრის თავისუფალი ფორმით გადმოცემა, რაც არსებითად განაპირობებს ნაწარ-

მოებსი ე. წ. „პრობაული ელემენტების“ საგრძნობ მოძრაულებას. ეს გესდენცია მოციუროთ ვერლიბრისტი პოეტის შექოქმელებაში იმდენადაც კი მძლავრობს, რომ იგი მათი სტილური ინდივიდუალობის წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ თვისებადაც თავისუფლად შეიძლება მიიჩნიოს კაცმა.

ქართული ვერლიბრის შესახებ მსჯელობის დროს სალიტერატურო კრიტიკაში სშირად ესმება ხაზი იმ გარეშოებას, რომ ეს სალექსო ფორმა ქართული სასულიერო ლირიკის წიაღიდანაა აღმოცენებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ თეალსაზრისს არაერთი სპეციალისტი იზიარებს, აღნიშნული საკიოხის არგუმენტირებულად განსჯაგაანალიზება და საბოლოო დასკვნების გამოტანა, ჩემის აზრით, მანინ საბომავლო საქმეა.

ა. ვაწერელიას აზრით, ქართული თავისუფალი ლექსის ისტორიას თეიმურაზ პირველის შემოქმედება უდებს სათავეს, კერძოდ, მისი ლექსი - „თამარის სახე დაეით გარეჯას“ (პირველი სტროფის გამოკლებით). ამ ხუთსტროფიანი ლექსის II-V სტროფებში მარცვალთა რაოდენობა არაეითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება და მთელი ნაწარმოები, ვარდა რამდენიმე სარითმო წყვილისა, ურითმოდაა დაწერილი. ნათქვამის ნათელსაყოფად დაეიშოწმით ფრაგმენტი ლექსიდან და სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობისთეის მეტი ყურადღების მისაქცევად, იქვე მივეუთითოთ მათში ხმოვანთა ოდენობის აღმნიშვნელი რიცხვებიც:

მენს სამებო. ერთ-არსებო. სამ ვეამიენებით ერთო. განუწყყალეებელო, (23)

ერთ ბუნებო. უშობელო და ძეო შობილო. სულო მამისაეან გამოშავალო. (26)

მოსავსა შენსა მეფესა, პაგრონს თეიმურაზს, მეოხ მეყავ. (18)

ოდეს მოხეიღე ვანკიოხეად, ქრისტე, და გამოჩნდეს მადლი, დიდება (19)

შენი და დასჯდე ცხოველთა და მეედართა მსაჯულად და განარჩევედ (19)

ცხოვართა თიკანთაგან, ნუ წარმავლენ მარცხენით კერძო, (16)

შეყოლებულსა ამას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა ბრალეულსა. (24)

თეიმურაზ პირველი გამონაკლისი არ არის და ქართული თავისუფალი ლექსის უძველეს ნიმუშებზე მსჯელობის დროს მსგავსი მაგალითები XVII-XVIII საუკუნეების სხვა ქართველი პოეტების შემოქმედებაშიც შეიძლება მოვიძიოთ. მაგალითად, ეახტანგ მეექვსის „ეახტანგური“, მამუკა ბარათაშვილის „პოროლილა ჩეჩოგოჩკას ხმა“, დ. გურამიშვილის „დავითიანის“ ბოლო ლექსის - „ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენიების“ მე-15 სტროფი.

XIX საუკუნეში აღნიშნული ვერსიფიკაციული საბომით ფაქტობრივად მხოლოდ ერთადერთი ლექსი შეიქმნა - ალექსანდრე ორბელიანის „რუსთაველს“.

ქართული ვერლიბრის ისტორიულ წანამძღვრებზე მსჯელობის

დროს საინტერესო მხედველება აქვს გამოთქმული ა. ხინიბიძეს. მხედველობაში მიაქვს ის პარალელი. რომელიც მან ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთ სპეციფიკურ სახეობას - მთიბლურსა და ქართულ თავისუფალ ლექსს შორის გააგებო ევრსიფიკაციული თვალსაზრისით. მკვლევრის აზრით, „ჩვენში ვერლიბრის მომძლავრებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა მთიბლურების შენელებულმა რიტმმა და ნარევსაზომიანობამ (ურითმობაზე რომ არაფერი ვთქვათ) შეუწყო ხელი. ვერლიბრით ხომ, უპირატესად, მთაში გაზრდილი და მთიბლურის რიტმით სმენამიჩვეული ახალგაზრდა პოეტები არიან დაინტერესებულნი“ (გაბ. „ლიტერატურული საქართველო“, 1982 წ. 26 თებ.).

ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარს შემდეგი არგუმენტები მოაქვს: მთიბლური ლექსი ძალიან უახლოვდება სასაუბრო მეტყველების რიტმს. მისთვის დამახასიათებელია სტროფებში საზომთა მონაცვლეობაც. ლექსის არც ერთი სტროფი თავიდან ბოლომდე ერთ რომელიმე საზომს არ მიჰყვება და არც საზომთა მონაცვლეობა ექვემდებარება რაიმე კანონზომიერებას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს რიტმული „უწესრიგობის“ გრძნობას.

თავისუფალი ლექსის რიტმი კაცმა გარკვეულწილად „ხმით ნაგირალევის“ რთულად შესაცნობ და შენიღბული ფორმით გამოვლენილ, ნაკლებმუსიკალურ რიტმულ ბუნებასაც შეიძლება დაუკავშიროს.

თავისუფალი ლექსის მიმართ ინტერესი ქართულ პოეზიაში განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის ათიან და ოციან წლებში. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ვალაკტიონის, გ. გაბიძის, პ. იაშვილის, ა. მირცხულავას, ს. ჩიქოვანის, გ. გრანელისა და იმ პერიოდში მოღვაწე სხვა პოეტების შემოქმედება.

ყველაზე დიდი როლი შემოთქმული თვალსაზრისით იმხანად უპირველეს ყოვლისა მაინც გ. გაბიძემ შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ვალაკტიონის მიერ შექმნილი ვერლიბრის ნიმუშები თავიანთი მხატვრული ღონით აშკარად ჩამოუყარდებიან კლასიკური ევრსიფიკაციული საზომებით დაწერილ მისივე პოეტურ შედეგებს, გ. გაბიძემ მაინც შეძლო გამხდარიყო ქართული ლექსწყობისათვის ნაკლებად ტრადიციული ამ სალექსო ფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელიც.

ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს ის გარემოებაც, რომ ვალაკტიონის პოეზიაში მისი პოეტური სტიქიის შედარებით სუსტად წარმომჩენი ეს ნაკადი იმ დროს პოულობს ყველაზე მძლავრ გამოვლინებას, როცა იგი სიტყვიერი ხელოვნების უმაღლეს მწვერვალზე იყო მყარად დამკვიდრებული - ათიანი წლების მეორე

ნახევარსა და ოციან წლებში. ასე რომ, ჩვენში ნაკლებად გრადიციული ამ სალექსო საბოძების აქტიურ ძიებამდე და ქართულ პოეზიაში მათი რეალურად დამკვიდრების ენერჯულ მცდელობამდე გ. ტაბიძე საკუთარი შემოქმედებითა შესაძლებლობების ყველაზე ეფექტური ფორმით წარმომჩენ მხაგურულ საშუალებთა მიგნების სურვილმა კი არ მიიყვანა, არამედ ეროვნული პოეტური გრადიციების ახალი რიგმულ-ვერსიფიკაციული ფორმებით გამდიდრებისკენ დაუოკებელმა სწრაფვამ. უპირველეს ყოვლისა სწორედ ამით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ კლასიკური ვერსიფიკაციული სალექსო საბოძებით შექმნილი პოეტური შედეგების გვერდით გალაკიონს ვერლიბრის ანუ თავისუფალი ლექსის ნიმუშებიც საკმაოდ მრავლად უწერია.

ნათქვამის დასტურად გავისხენოთ ლექსები: „თოვლი იყო ირიბი, ალმაყერი“, „შენ გვიანდები“, „ქალაქი სიბნელეში“, „ღრუბლები ოქროს ამურებით“, „ბავშვი გაბეთებში“, „ქუჩაზე“, „დედოფალა“, „ეს ლექსი“, „ქიმიურ საგნებთან“, „ო, დღეს შემოდგომაა“ და ა. შ. სანიმუშოდ აი, ერთი კონკრეტული მაგალითი დასახელებულ ნაწარმოებთაგან:

თოვლი იყო ირიბი, ალმაყერი.

დიკენსის გმირივით ცუცხლსანი ჩაფიქრება.

ელვარებს ღრუბული. ვუქრობ, საყაა ცუცხლ ჩამიქრება.

გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, ალმაყერი.

იფანტება თეთრი ფიქრები, იფერულება ხელნაწერი...

ნუ ჩამიქრები... და იქაც, შიგნით. სულში...

თოვლი იყო ირიბი, ალმაყერი...

ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის დამკვიდრებას გ. ტაბიძე მიზანმიმართულად რომ ცდილობდა, ამას მისი ლიტერატურული ჩანაწერებიც ადასტურებენ. „თავისუფალი ლექსის დაფუძნებისთვის, - წერდა, მაგალითად, იგი ერთგან, - დაწერილია ჩემ მიერ მთელი რიგი ნაწარმოებებისა... არ შეიძლება არევა ურთიმო ლექსისა თავისუფალ ლექსში (ვ. მაჩაბლის რაღაც მიუწვდომელი თარგმანი შექსპირისა არის ურთიმო ლექსი“ (გ. ტაბიძე, გ. 12, გვ. 178).

მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გ. ტაბიძე გამონაკლისი არ ყოფილა და ქართულ პოეზიაში ვერლიბრის სალექსო ფორმის დასამკვიდრებლად მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სხვა პოეტებმაც შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი. სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის დიდი ინტერესი, რომელსაც ამ სალექსო ფორმის მიმართ იჩენდნენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ისეთი სტილისა და მისწრაფებების მქონე პოეტები,



როგორებიც იყვნენ: გიციან გაბიძე, პაოლო იაშვილი. ვალერიან გაფრინდაშვილი, გერენსკი გრანყლია. ალიო მირცხელაქია და სხვები.

ვერლიბრის ფორმითაა. მაგალითად, დაწერილი პ. იაშვილის „წერილი დედას“, „ფარშეანგები ქალაქში“, „ეეროპა“, „პირამიდებში“ და ა. შ. განსხვავებით გ. გაბიძის თავისუფალი ლექსებისგან, რომლებიც თითქმის მთლიანად არიან მოკლებულნი რიგმულ-მუსიკალურ პარმონიასა და კეილიხმოენებას, პ. იაშვილის ამ გიპის პოეტურ ნაწარმოებებში აღნიშნული ფაქტორი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მათ სტრუქტურულ ბუნებას არსებითად განსაზღვრავს კონვენციური და თავისუფალი ლექსებისათვის დამახასიათებელი ვერსიფიკაციული ელემენტების ძალდაუტანებელი შერწყმა ერთმანეთთან, რაც ნაწარობის რიგმულ მელოდიას თავისებურ ელერადობას ანიჭებს. მაგალითად:

დედა! ინახულე  
შენ წმინდა ხახული!  
წაღი ფესშიშველი.  
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის დამე ვაათიე,  
ღმერთო, აპატიე, -  
მე თუ ვერ მიშველი -  
დედას, რომ დავინსო ჩემ სიგრძე სანთელი,  
მისთვის, რომ ჩემს გულში  
დაეუნდეს გრიგალი და კორიანტელი.

როგორც ითქვა, პ. იაშვილის ეს ლექსი მკვეთრად განირჩევა გ. გაბიძის ვერლიბრებისაგან. ამ განსხვავებულობას პირველ ყოვლისა ის ფაქტი განაპირობებს, რომ გალაკტიონის თავისუფალ ლექსებში თითქმის მთლიანადაა ნათქვამი უარი რიგმულ პარმონიებსა და რითმებზე. პ. იაშვილის ვერლიბრებში კი ეს პოეტური ელემენტები განსაკუთრებული ყურადღების საგნად არიან ქცეულნი. იმისათვის, რომ ეს განსხვავება უფრო ნათლად დავინახოთ, პაოლოს პოეზიიდან ზემოთ დამოწმებულ მაგალითს რიგმულ-მუსიკალური ელერადობის თეალსაზრისით შეუდაროთ გალაკტიონის პოეტური შემოქმედებიდან მოშველიებული თუნდაც ეს ნიმუში:

ეს იყო ოქტომბრის დამლევს,  
იმ დროს, როდესაც თვითოეული ღრუბელი  
ცაბე ვერსალსა ჰგავს.  
დაღალული მზე ვეღარ ათობს მას:  
შემოდგომაა.  
გარინდებით იღვწენ ხეები.  
ისეთი გარინდებით!  
თავისით, როგორც ცრემლი,

ხანდახან წყდებოდა უიმედო გოგის ფოიოლი,

ყვითელი, ყვითელი.

ყვითელი ქარცა მრავლდებოდა ბაღის ბილიკებზე

გ. ტაბიძის თავისუფალი ლექსებისთვის ჩკაფიოდ დამახასიათებელი ეს ანტიმუსიკალიზმი გიციან ტაბიძის ამ ფორმის პოეტური ნაწარმოებებისთვისაც აშკარად ნიშანდობლივი მოვლენაა. მაგალითად:

ექვსი წელია ვემზალები

დაეწერო ლექსი: - Dymanche.

ამას ჰქვია ლაფორგის კვირა.

ასეთი უემური კვირაც არ მახსოვს,

ზარები ქალაქშიაც არა რეკავენ -

ყველა ტაძარი შეიქმნა ფეერიული.

ეს ლექსი კიდევ თუ დღეს არ მეთქვა,

ნალექი ვულში ჩამექცეოდა.

როგორც გალაკტიონისა და გიციანის დამოწმებული მაგალითებისგან რიგმულ-მუსიკალური ელერალობით მკვეთრად განსხვავებული პაოლოს თავისუფალი ლექსებით დასტურდება, გასული საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის ისეთი ნიმუშებიც შეიქმნა, რომლებიც ასე ხელალებით არ ემიჯნებიან კლასიკურ პოეტურ ფორმებს. ამ გიძის ნაწარმოებთა ვერსიფიკაციულ თავისუფლებას გარკვეულ სიმწყობრესა და შინაგან წესრიგს კლასიკური მოწესრიგებული ლექსისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი ისეთი ელემენტების მიზანმიმართული გამოყენება სძენს, როგორებიცაა: რიგმული მუსიკალობა, რითმისა კეთილმხოვანება. ნაწარმოებში შიგადაშიგ ჩართული ამა თუ იმ სალექსო საზომს დაქვემდებარებული სტრიქონები და ა. შ. სანიმუშოდ მოვისმევილით მაგალითი პ. იაშვილის პოეზიიდან:

1915. იანვარში

პორტმა, რომელსაც ვლაზგო ჰქვია,

დიდ სიაღვარში

მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“.

ეს იყო მაშინ,

როცა სენაში

ყრიდნენ პარიზის მოქალაქენი ვერმანულ ტყვეებს...

ვიგონებ დღეებს,

როცა ეერდნენ შოადგა შანთი,

როცა დასცალეს გროკადერო

და ლუერს მოსტაყეს ლაურა-დე-დიანტი.

როგორც უკვე ითქვა, თავისუფალი ლექსის ნიმუშები საკმაოდ მრავლად გვხვდება გიციან ტაბიძის პოეზიაშიც. მაგალითად: „უემური კვი-

რა“. „მელიტას“. „ორპირის ოქროპირი“. „სემონის ფალაქანი“. „მეხამბაში, რომელიც არ იმღერება“ და სხვ.

ძირითადად სიმბოლისტური ესთეტიკით გაგაცების პერიოდში დაწერილ ამ ლექსებში ავტორისეული სათქმელი ხშირად გეჭიქურად დაუხეუწავე და ნაკლებად რაფინირებული სტრიქონებითაა გადმოცემული. თითქმის მოლიანადაა უარყოფილი რითმა, პოეტური ასოციაციები კი ალოგიკურნი და ერთმანეთთან ნაკლებად შესაბამისნი არიან.

გარდა დასახელებული ავტორებისა, ვერლიბრის ნიმუშები გასული საუკუნის 10-იან წლებში მოღვაწე სხვა ქართველმა პოეტებმაც საკმაოდ მრავლად შექმნეს. მაგრამ მათზე საუბარს ამჯერად უკვე აღარ გავაგრძელებ, რადგანაც ზემოთ ხაზგასმულ სპეციფიკურ ნიშან-თვისებათაგან მკვეთრად განსხვავებული რაიმე ასალი გენდენცია ამ ფორმით დაწერილი მათი ლექსებისთვის ფაქტობრივად დამახასიათებელი არ არის.

ქართულ პოეზიაში ვერლიბრის დამკვიდრების პროცესმა თავი განახლებული ძალით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში იჩინა. გარდა ზემოთ უკვე აღნიშნული ეროვნული პოეტური ტრადიციებისა, ამ სალექსო ფორმით იმეამინდელ ქართველ პოეტთა ერთი ნაწილის ასეთ დაინტერესებას ევროპულ და ამერიკულ პოეზიაში მიმდინარე პროცესებმაც არსებითად შეუწყვეს ხელი.

როგორც ცნობილია, ამრის პოეტური გამოხატვის უმთავრეს ფორმად ამ ქვეყნებში უპირველეს ყოვლისა სწორედ ვერლიბრია დამკვიდრებული. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ქართულ პოეზიაში აღნიშნული სალექსო ფორმის დამკვიდრების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით XX საუკუნის 70-იან წლებში გამართულ მწვავე პოლემიკას, რომელიც ფართო საზოგადოების განსჯის საგნადაც კი იქცა, ცნობილმა გერმანისტმა ნოდარ კაკაბაძემ შემდეგი შეფასება მისცა:

„ძნელი სათქმელია, 50-100 წლის შემდეგ ამ მხრივ (იგულისხმება ვერლიბრის გამო აგებული დაეა - ა. ნ.) რა მდგომარეობა იქნება, მაგრამ დღესდღეობით ევროპისათვის ეს დაეა მთლიანად, აბსოლუტურად ვერლიბრის სასარგებლოდაა გადაწყვეტილი (ხაზი ავტორისაა - ა. ნ.)... თუ მსოფლიო, უკეთ, ევროპული ლირიკის განვითარება საერთო კანონზომიერებას ექვემდებარება, მაშინ, ყოველ შემთხვევაში ერთხანს, დროებით მაინც, საქართველოშიც, ადრე თუ გვიან ვერლიბრის გაბატონებას უნდა მოველოდეთ“ („ციცკარი“, 1978, №4, გვ. 121). ნ. კაკაბაძის ამ სიტყვებში, როგორც ვხედავთ, არაორამროვნად იყო მინიშნებული განვითარების ის საერთო გენდენცია, რითაც გასული საუკუნის ევროპული პოეტური ამროვნება ხასიათდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული მწერლობა თავისი განვითარების არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა მოწვევტილი მსოფლიოში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, ისიც ამკარად ცხადია და ნათელი, რომ ჩვენს რეალობაში ამ მოვლენასა შემოჭრისა და დამკვიდრების პროცესი მათი მექანიკური იმპორტის გზით არასოდეს მომხდარა. ქართული მწერლობის ღვიძლ და სისხლხორცეულ ნაწილად მსგავსი სიახლენი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცეოდნენ, თუ ისინი ბუნებრივად აღმოჩნდებოდნენ შესისხლხორცებულნი ეროვნულ წიაღსა და გრადიციებს. არსებითი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში იმასაც აქვს, რომ შემოქმედებითი პროცესი ფაქტობრივად ქვეცნობიერად მიმდინარე ის ურთულესი მოვლენაა, რომლის განვითარების გზებისა და მიმართულებების წინასწარ დაგეგმილი გზით წარმართვა და პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია.

ეს რომ მართლაც ასეა, ამას ვერლიბრთან დაკავშირებით ქართულ რეალობაში განვითარებული მოვლენებიც ნათლად ადასტურებენ. კერძოდ, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში მიმდინარე ცხოველი პოლემიკა სულ მალე თითქმის მთლიანად მიცხრა, ამ სალექსო ფორმის მასშტაბები კი იმდენად შემცირდა, რომ თავისუფალი ლექსის მიმდევარ პოეტთა გარკვეულმა ნაწილმა შემდგომში ნაწილობრივ თავდაც თქვა უარი აღნიშნულ ვერსიფიკაციულ საზომზე და გარკვეულწილად კვლავაც კლასიკური კონვენციური ლექსისაკენ გადაიხარა (ლ. სტურუა, ბ. ხარანაული, გ. პეტრიაშვილი, თ. ბექიშვილი, მ. ებანოძე...).

XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეზიაში მიმდინარე ვერსიფიკაციულ ძიებათა შეფასებისას კანონზომიერების მსგავსი ერთი ასეთი ტენდენციაც შეიძლება გამოვკვეთოთ: უფროსი თაობის პოეტების (მათი, ვინც ომამდე გამოვიდნენ ლიგურაგურულ ასპარეზზე) აბსოლუტური უმრავლესობა უღალატოდ ერთგულებდა კლასიკური ლექსთწყობის პრინციპებს (ირ. აბაშიძე, გ. აბაშიძე, ა. მირცხულავა, კ. კალაძე, ი. ნონეშვილი კ. ნადირაძე, რ. მარგიანი...).

იმ პოეტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელნიც სამწერლო ასპარეზზე 40-იანი წლებიდან მოყოლებული 60-იანი წლების შუახანებამდე გამოდიან, თუმცა გენეტიკურად არ წყდება ეროვნული პოეზიის კლასიკურ მონაპოყარს, მაგრამ მეტ თავისუფლებას იჩენს გრადიციულ სალექსო ფორმებთან დამოკიდებულების დროს (მ. მაჭავარიანი, მ. ლებანიძე, შ. ნიშნიანიძე, ო. ჭილაძე, გ. ჭანტურია, ვ. ჯავახიძე...).

ვერსიფიკაციული თავისუფლებისაკენ სწრაფვა განსაკუთრებით ძლიერდება იმ თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში, რომ-

ლებიე პოეტურ ასპარეზზე 60-70-იან წლებში გამოდიან (ბ. ხარანაულა, ლ. სტურუა, მ. წიკლაური, ვ. ალხაიშვილი, თ. ბექიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, გ. კაპანაძე, ჯ. ფხოველი, რ. კალანდია...). მათს ლექსებში კიდევ უფრო მეტად იზრდება სწრაფვა ქართული ლექსის ვერლიბრიზაციისაკენ. ამ გენდენციის დამამკვიდრებელი ავტორების პოეტური ბუნება შემდეგნაირად გამოხატა ჯარჯი ფხოველმა ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასასრულს დაწერილ ერთ თავის ლექსში: „არ იმღერება ეს სიმღერა. ჩემი სტრიქონი არ იფარფაკებს როიალის ნათელ მინდვრებზე, არ დაპკელებს ბეჩაეს ძეხორციელი, არც გუთნის ღედა შემოსძახებს, არცა გიალი გრამალის მკვიდრი მენახირე და არც დაღლილი მგზავრი იმღერებს ამკვერებულ გზებზე მარები.“

ამ სტრიქონებში გამოთქმული მოსაზრება „სამოცდაათიანელთა“ პოეტური თაობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის ძირითად ესთეტიკურ პრინციპად შეიძლება გამოვაცხადოთ. როგორც გურამ ასათიანი აღნიშნავს ერთგან, „ბ. ხარანაულისა და მისი თანაგოლების მოსვლით ქართულ პოეზიას უკვე არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად და თითქოს სამუდამოდ ტოვებენ მეტად ძვირფასი თვისებები, უწინარეს ყოვლისა, მკაფიო რიგში და მდიდარი ეფუონიური სტრუქტურა“ („ისისკარი“, 1978 წ. №2, გვ. 109).

მიუხედავად იმისა, რომ 70-იანი წლების ჩეყნის ახალგაზრდულ პოეზიაში, რის შესახებაც ვ. ასათიანის ეს მოსაზრება გამოითქვა, გრადიციული ლექსთწყობის პრინციპებზე დაფუძნებული პოეტური ნაკადიც გამოიყოფა, კრიტიკოსმა სწორად დაინახა ის მავისტრალური მიმართულება, საითკენაც ამ თაობის წარმომადგენლებმა წარმართეს პოეტური გენდენციების განკითარება ჩვენში. იმეამინდელ ახალგაზრდა პოეტთა საგრძნობი ნაწილის სურვილის, გაათავისუფლოს ნაწარმოები გრადიციული ლექსთწყობის ჩარჩოებისაგან, ამ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელი - დალილა ბედიანიძე შემდეგნაირად გამოხატავს:

ვათავისუფლებ ოთხ სტრიქონზე ჯვარცმულ რიომებს  
და მარცელებდათვლილ სიგყვებს ლექსში ვათავისუფლებ!

ამ თავისუფლების ქვეტექსტი ადვილი ასახსნელია. ეს არის პოეტურ გრაფარეტთან და შაბლონთან დაპირისპირების მძაფრი სურვილით გაჩენილი უკმარისობის გრძნობის შედეგი. პოეტის აზრით, თითქოს მოღუნდა ის პოეტური ნერვი, რომელმაც მაცოცხლებელი ენერგიით უნდა დამუხტოს ლექსი. თითქოს სიგყვებმაც დათმეს პირველყოფილი სიწრფელი და უშუალობა:

ეს სიგყვები იმენი ჩრჩილის შვეშულია,

აღარც წონა აქვს და აღარც ფასი.  
ვინღა გითქვამს და ვინღა ჯიბიდან ჩარჩენილი  
ნამუცები ამოგიფერსხავს.

რაც შეეხებათ გასული საუკუნის დასასრულსა და ამ საუკუნის დასაწყისში სამწერლო ასპარეზზე გამოსულ პოეტებს, მათი უმეტესობა, განსხვავებით წინამორბედი პოეტური თაობის შემოთ დასახელებულ წარმომადგენელთაგან, კლასიკური კონვენციური ლექსის ერთგული უფროა, ვიდრე ვერლიბრის მიმდევარი. თუმცა მათ შორის ისეთებიც საკმაოდ არიან, რომლებიც ლექსის ამ ორი სახეობიდან უპირატესობას მეორეს ანიჭებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ვერლიბრის ბოგიერთი ნიმუში ერთი შეხედვით პროზაულ ნაწარმოებთან უფრო მეტი სიახლოვის შთაბეჭდილებას გოყებს, ვიდრე კლასიკურ მოწესრიგებულ ლექსთან, პროზასთან (თუნდაც რიგმულ პროზასთან) მათი გაიგივება მაინც არ შეიძლება. მართალია, ამ გიჟის ლექსების ვერსიფიკაციული მხარე კლასიკური სალექსო საზომებისათვის დამახასიათებელი კანონებით შებოჭილი არ არის, მაგრამ თავისუფალი ლექსის სტრუქტურა აბსოლუტურად თავისუფალი მაინც არაა და თავის მხრივ მასაც გააჩნია მისეული რიგმის წარმოქმნელი კონსტრუქცია სიჭკვითა და წინადადებათა შეკავშირება-განლაგებისა. სწორედ ამის შედეგია ის გარემოება, რომ ამ სალექსო ფორმით შექმნილი ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე მოგჯერ კლასიკური სალექსო საზომებით დაწერილი ლექსების თარგმნაზე უფრო საძნელო საქმეც კია.

როგორც შემოთ უკვე ითქვა, გასული საუკუნის ათიანი და ოციანი წლების ქართულ პოეზიაში მკვეთრად გამოხატული ვერსიფიკაციული ძიების პროცესი მომდევნო წლებში საგრძნობლად მინელდა და განახლებული ძალით მისი გააქტიურება მხოლოდ 50-იანი წლებიდან იწყება. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი პირველ ყოვლისა იმ პოეტებმა შეასრულეს, რომლებიც ამ პერიოდში გამოდიან სალიტერატურო ასპარეზზე. ქართული ლექსის რიგმულ-ვერსიფიკაციული განახლების ეს პროცესი შემდგომში 60-70-იან წლებში გამოსულმა პოეტებმაც გააღრმავეს კიდევ უფრო მეტად (ბ. ხარანაული, ლ. სტურუა, მ. წიკლაური, გ. ალხაშიშვილი, ჯ. ფხოველი, თ. ბექიშვილი, გ. პეტრიაშვილი, რ. კალანდია...).

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ქართულ პოეზიაში გამოვლენილ ვერსიფიკაციულ სიახლეებს ორი უმთავრესი მიმართულება აქვთ შექმნილი: პირველ პოეტურ ნაკადს იმ პოეტთა შემოქმედება წარმოქმნის. რომელნიც, გრადიციული სალექსო საზომების გაბედუ-

ლი რღვევის მიუხედავად, მაინც ხელშესახებად ინარჩუნებენ კლასიკურ პოეტურ შემკვდრობასთან სისხლხორცეულ კავშირს ამ თვალსაზრისით იმდროინდელ ქართველ პოეტთაგან განსაკუთრებით საინტერესო მუხრან მაჭავარიანისა და შერმან ლებანიძის შემოქმედებაა.

მეორე ნაკადის ყველაზე გამოკეთილი წარმომადგენელი 50-იანი წლების ქართულ პოეზიაში კი შოთა ჩანტლაძეა. 60-70-იან წლებში ამ გენდენციის შემდგომი გაღრმავებისა და ახალ საფეხურზე აყვანის საქმეში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ პერიოდში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ზემოთ დასახელებულმა პოეტებმა.

როგორც ითქვა, მეოცე საუკუნის 50-60-იანი წლების ქართულ პოეზიაში ევროსიფიკაციული თავისუფლების შემდგომი გაღრმავების პროცესი მნიშვნელოვანწილად დაუკავშირდა მუხრან მაჭავარიანის სახელს. ამ საღეჭსო ფორმით დაწერილი მისი ლექსების დიდი ნაწილი იმ პოეტურ ნაწარმოებთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ვერლიბრსა და კლასიკურ მოწესრიგებულ ლექსს შორის გარდამავალი ადგილი უჭირავთ. ნათქვამის ნათელსაყოფად გაეიხსენოთ ლექსები: „საბა“, „მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა“, „ჭოლა“, „საქმიანი ღორი“, „რაშია საქმე?“, „რაგომ“, „ღიალოვები წვიმაში“ და სხვა. მაგალითიად:

ასწლოვან მუხებში გამლილია მდიდარი სუფრა,

გარდაიყვალა ცნობილი თავადი ფრიდონ...

ჩინებული აღაპია!

ღატაკი ამნაური - კოწია - თავაზიანობს ნამეტანს:

- კარგოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო ავრაფინა?!

მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა -

ღიმილით ნაბით...

მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს...

კოწია - არწივი ბახტრიონის,

ავრაფინა - ვარდი შირაპის,

ვარმიყებიან ურთიერთს,

მოდგენენ ხასიათზე -

რადღი გაძღენ.

მ. მაჭავარიანის შემოქმედებაში ზემოთხაზვასმული რიტმულ-ევროსიფიკაციული თავისუფლება ყველაზე მეტად 50-60-იან წლებში დაწერილ ლექსებში იგრძნობა. 60-იანი წლების დასასრულიდან კი მის პოეზიაში ამგვარი ფორმით შექმნილი ნაწარმოებების რაოდენობა საგრძნობლად მცირდება და მუხრანის შემოქმედებითი მოღვაწეობის შემდგომი ეტაპი კლასიკურ პოეტურ გრადიციებთან უფრო მეტი დაახლოების გზით წარიმართა.

გახული საუკუნის მკორე ნახევრის ქართული პოეზიის რიგმულ-ვერსიფიკაციული მხარის განახლების საქმეში უმნიშვნელოვანესი წვლილი მურმან ლებანიძემაც შეიტანა. სტრუქტურული აღნაგობის მიხედვით მისი ლექსები პირობითად სამ კატეგორიად შეიძლება დავეყოთ: 1) კლასიკური სალექსო საზომებით შექმნილ პოეტურ ნაწარმოებებად; 2) ვერლიბრის ნიმუშებად და 3) ე. წ. საშუალო სახეობის იმ ლექსებად, რომელიც გარდამავალი ადგილი უჭირავთ პირველი და მეორე სახეობების ნაწარმოებებს შორის.

დასახელებულთაგან მ. ლებანიძე განსაკუთრებით ძლიერია პირველი და მესამე ტიპის ლექსებში. იმის გამო, რომ პირველი სახეობის ლექსი გრადიუსული ლექსთწყობის პრინციპებითაა შექმნილი, მის შესახებ ამჯერად არაფერს ვიგევი. რაც შეეხებათ მესამე ტიპის ნაწარმოებებს, მათთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ისინი კლასიკური ლექსთწყობისა და ვერლიბრის ელემენტების ერთმანეთთან შერწყმის საფუძველზე არიან შექმნილნი. მართალია, მათში გაეკთა მარცვლებრივი შედგენილობა რომელიმე სალექსო საზომს მკაცრად დაქვემდებარებული არ არის, მაგრამ ამგვარ ვერსიფიკაციულ თავისუფლებას გარკვეულ კონტროლს მაინც უწევს მუსიკალურად ელერადი რიგში. მ. ლებანიძის შემოქმედებაში ამ ფორმით დაწერილი ნაწარმოებებია: „ესპანური კანტატა“, „ფიქრები“, „ქართულის დედა“, „გვაშაყან“, „ათასი კილომეტრი თოვლში“, „ბურნუში დავიხატა. ზაბული“ და სხვ.

რაც შეეხება ვერლიბრს, ამ ტიპის ლექსებად მ. ლებანიძის პოეზიაში უნდა მივიჩნიოთ: „ახალგაზრდობას“, „პროფესორ ადამ ჩახტაურს“, „ხომ არ გეშინია პაწია დილომს?“, „ოჯახში“, „როგორც ყოყმანის და თანხმობის“, „გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას“, „ღრუბლები“ და ა. შ. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მ. ლებანიძის ლექსების კლასიფიკაცია გამოყოფილ ნიშან-თვისებათა მიხედვით გარკვეულწილად პირობითიცაა, რადგანაც ე. წ. მეორე და მესამე სახეობებს მიკუთვნებულ პოეტურ ნაწარმოებებს განმასხვავებელ ელემენტებთან ერთად საერთო ნიშან-თვისებებიც მრავლად მოეპოვებათ და მათი მკვეთრი გამიჯვნა ერთმანეთისაგან ზოგჯერ ფაქტობრივად თითქმის შეუძლებელიც კია.

ყოველვე შემოთქმულის ნათელსაყოფად მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითებს. ვერლიბრის ნიმუში:

-ხომ არ გეშინია პაწია დილომს?

· მოძოვს და მოდის, მობალახობს კალასავით,  
· გვიახლოვდება მილიონი კამეჩის დრუნჩით.



შენ ხარ მისთვის მწეასე ბალახი..

უკვე ძღვეას და

მყვ რომ შემჭამს. რაღას შეჭამს შენი ქალაქი?"

ე. წ. გარდამავალი ან ე შერეული ფორმით დაწერილი ნაწარმოების მაგალითი:

ბურნუმი დავიხატია. გაბელი,

იქვე დავისეამს მარტო.

იმ ნუშქეუმ, ფიქრში წასული

დიღეღამენი კატო..

მიხარის შენი ტრფიალი, რად არა!

ფერში მოთხერილი თითი!

მაგრამ გაფრთხილებ, არ მემეგები, პატარავ,

ძნელია მხატვრის გეირთი!

როგორც უკვე ითქვა, ქართულ პოეზიაში თავისუფალი ლექსის დამკვიდრების მიზანშეწონილობის საკითხი გასული საუკუნის 70-იან წლებში მწეავე პოლემიკის საგნად იქცა. კამათის დაწყების საფუძველი შოთა ნიშნიანიძის მიერ გაბეთ „ლიტერატურულ საქაროელოში“ 1977 წლის 6 მაისს გამოქვეყნებული წერილი - „რა იქნა ლერწამში დამალული ცეცხლი?“ გახდა. ავტორის მტკიცებით, მიუხედავად პოეტური ოსტატობის ცალკეულ სფეროებში მოპოვებული გარკვეული წარმატებებისა, იმდროინდელ ქართულ პოეზიას ის მთავარი თვისება აკლდა. რომელიც მუდამ იყო მისი სიამაყის საგანი - აკლდა ცეცხლი.

ამ „უცეცხლობის“ განმაპირობებელ მიზეზთა ძიებამ შ. ნიშნიანიძე თეთრი და თავისუფალი ლექსით ახალგაზრდა პოეტების მეტისმეტე გატაცებამდე მიიყვანა და ამ მიმართულებით განხორციელებულ ვერსიფიკაციულ ძიებებს ასეთი შეფასება მისცა: „ნორმალური მღგომარეობაა ეს? არა მგონია. რითმა-ურითმობის საკითხი სრულიად არ წყვეტს პოეზიის რანგის საკითხს. აქ სულ სხვა საშიშროებაა ჩასაფრებული. ვაითუ რითმისა და მეტრის უგულვებელყოფა სულიერი მოღუნების სიმპტომია, ვაითუ ცეცხლის ნაკლებობას ნიშნავს“.

ხსენებული წერილის საპასუხოდ 1977 წლის 20 მაისს იმავე გაბეთში დასტამბულ წერილში მამუკა წიკლაური შეეცადა სათანადო არგუმენტების მოშველიების საფუძველზე მკითხველისათვის დაესაბუთებინა, რომ ქართული პოეზიის „უცეცხლობის“ მიზეზს ვერლიბრის დამკვიდრების პროცესთან არაფერი ჰქონდა საერთო და ამ სალექსო ფორმით გატაცებული ახალგაზრდა პოეტები სულაც არ უპირისპირდებოდნენ თავიანთ წინამორბედებს. მისი მართებული ხაზგასმით, ვერლიბრი რითმიანი ლექსის „დასაჩოქებლად“ და „თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად“ როდი იწერება. იგი მხოლოდ ერთ-ერთი „ნაირსახეობათაგანია პოეზიის დიდ რუკაზე“.

მ. წიკლაურის წერილს სულ მალე მ. ნიშნიანიძის საპასუხო გამოსვლებიც მოჰყვა: „თქვენ როგორი ლექსი მოგწონთ, მკითხველო!“ („განთიადი“, 1977 წ. № 3). „პაწაწკინგელა სოფიზმები და დიდი რეალობა“ („ცისკარი“, 1978 წ. № 2). „კრიტიკის“ 1977 წლის მესამე ნომერში კი მ. წიკლაურმა დასტავა საპასუხო წერილი - „კრიტიკული ლაშქრობა უფაქტოდ“. ხსენებული პოლემიკის თავისებურ გავრძელებად იქცა „ცისკარის“ 1978 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნებული ვრცელი ანკეგა - „საუბარი პიემიზაჟ“, რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ქართული მწერლობის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

იმის გამო, რომ ბევრთ მოხსენიებული პოლემიკის დეგალური განალიზება ჩემი მსჯელობის მიზანს არ წარმოადგენს, მასზე საუბარს შეგად აღარ გაეაგრძელებ; ვიგყვი მხოლოდ იმას, რომ აღნიშნული პაექრობიდან არც თუ ისე დიდი ხნის გასვლის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, გამოქვეყნებული თავისი „ბელეგრისტული პოემებით“ („პროვოკატორი თხა“, „ორი და“-) მ. ნიშნიანიძემ უკვე თავადაც თქვა უარი ისეთ „ვერსიფიკაციულ ბარიერებზე“, როგორებიცაა რითმა და მეტრი და ეს გარემოება „პოემის საღზერების გაფართოებისაკენ სწრაფვით“ ახსნა. ასე რომ, თავისი ამ ნაწარმოებებით მ. ნიშნიანიძე თავადაც მოგვევლინა ერთ დროს მის მიერ კატეგორიულად უარყოფილი ვერლიბრის, როგორც ვერსიფიკაციული არგახებით შეუბოჭავე ეანრული სახეობის, პრაქტიკულად დამამკვიდრებლის როლში.

ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ ფრაგმენტს მ. ნიშნიანიძის პოემიდან - „ორი და“ და მის „არაპოეტურობას“ უფრო შეგად რომ გავუსვა ხაზი, დამოწმებულ მაგალითს პრობაული ტექსტის ფორმას მივყავ:

„ქვეყანა დულდა... დულდა სამოქალაქო ვნებებით. აღზევდა ლექი... დურდო... დუბელა... აღამიანებმა შეიძულეს ერთმანეთი... გეობდა განუკითხაობა, სადისტური სისასტიკე... ქვეყანაზე სიკვდილი და შიმშილი დათარეშობდა. არ იყო პური, არ იყო სინათლე, არ იყო გათბობა. ბაზარს ცეცხლი ეკიდა. აღამიანებმა დაივიწყეს სიყვარული, გადაივიწყეს ღმერთი, გადაივიწყეს მუსიკა და პოეზია. გადაივიწყეს აღამიანობა. ყველაფერი გაძვირდა, გარდა კაცის სიკვდილისა“ -

ბევრთ მოხსენიებული პოლემიკაცა და მისი ცხოველი გამოძახილიც იმჟამინდელი ლიგერატურული საზოგადოების დიდ ნაწილში არსებითად განაპირობა იმ დიდმა დაინტერესებამ, რომელსაც მაშინდელი ახალგაზრდა პოეტების უმეტესობა იჩენდა თავისუფალი ლექსის მიმართ. ბევრი მათგანი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ

მათი პიროვნული მისწრაფებების პოეტური გამოხატვის ყველაზე მეტად მისაღებ ფორმას სწორედ ვერლიბრი წარმოადგენდა. ევრსიფიკაციული თაყისუფლებისაკენ სწრაფვის ტენდენციამ ზოგიერთი მათგანის შემოქმედებაში სულ მალე იმდენად დიდი მასშტაბებიც შეიძინა, რომ მათი აღრინდელი ლექსებისთვის დამახასიათებელი კლასიკური ლექსთწყობის ელემენტები შემდგომში თითქმის მთლიანადაც კი იქნა უგულვებელყოფილი. მინდა სწორედ ამ თვალსაზრისით შევუდაროთ ერთმანეთს ბესიკ ხარანაულის პოეზიიდან მოშველიებული ეს ორი ნიმუში: ფრაგმენტი 1962 წელს დაწერილი ლექსიდან „თებერვალი, იერის ჭალები“:

ჩემს სახეს (3)

ყვითელ ფოთოლზე დახატულს, (8) (11)

შენი ალერსი უნდა, მარინე. (10)

ჩემს სახეს (3)

ყვითელ ფოთოლზე დახატულს, (8)

შენი ალერსი უნდა, მარინე. (10)

მიბრძანე რამე, (5)

ვეებერთელა (5)

ლოდები მთაზე ამატანინე (10)

მარინე... (3)

ნეტავი ახლა ჩემი იერის ფსკერზე შეძინოს (14)

და ვარსკვლავები დამეკურებდნენ მაღლა ბეჟიდან. (14)

რა ბედნიერი ვიქნებოდი. (9)

მაღლა მთვარე, (4)

მე - მდინარეში (5)

და სოფლის ბოლოს თებერვალი, (9)

შემძერალი ხეში... (5)

იწკრიალებდნენ ვარსკვლავები, (9)

მარინე, (3)

შენ ჩემი დაეინებული ფიქრი მოგიყვანს (13)

ჩემთან ამ დამეში... (6)

დამოწმებული მაგალითი, შეიძლება ითქვას, ტიპურად წარმოაჩენს ბ. ხარანაულის, როგორც იმ პერიოდის ქართველ ვერლიბრისტ პოეტთა ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, შემოქმედების აღრინდელი ნიმუშების ევრსიფიკაციულ სტრუქტურას. როგორც სალექსო სტრუქტურებისათვის გვერდით მიწერილი მარცვალთა რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრებითაც ჩანს, ვერლიბრის სალექსო პრინციპებით შექმნილი იმ ტიპის ლექსების რიგმულ-ევრსიფიკაციულ სტრუქტურას კლასიკური ლექსთწყობის ელემენტებიც განსაზღვრავენ მნიშვნელოვანწილად.

მოგვიანებით, 70-იან წლებში, დაწერილ ვერლიბრის ნიმუშებში

კი კლასიკურ ლექსოწმობასთან დაკავშირებელი ეს ელემენტები ბ. ხარანაულმა უკვე იმდენად უარყო, რომ მაიხი ნახახიცი კი აღარსად დაგოვა. ნათქვამის ნათელსაყოფად მოვიშველიებ ფრაგმენტს „კარგოფილის ამოღებიდან“:

ვახშამი აძკერადაც სენტიმენტალური გექონდა.

- „კარგი ვქენით, რომ ამოვიღეთ

და არ გადავღეთ,

წვიმები რომ დაიწყოს!.. მერე ასეთ დროს.

ვაგიჟება იცის ხოლმე

და მიწაში ჩავეილაკებოდა“.

მე დავლიე ერთი-ორი ჭიქა ჩენი არყისა

და დედაჩემს ეუმტკიცებდი,

რომ ყველაფერი კარვად მიდის,

რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და

კარგოფილს დაეთესავთ.

ის, ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი.

მისძენდა მე ჩემს ალოიაბალთას,

რალაყის თქმაც დააპირა - დიდი რალაყის.

მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა,

ის რალაყა ნერწყვის ჩააყოლა...

ბ. ხარანაულის პოეზია შემოთქმული თვალსაზრისით გამონაკლისი სულაც არ არის და მსგავსი მავალითები ე. წ. „სამოცდაათიანელთა“ პოეტური თაობის სხვა წარმომადგენლების შემოქმედებიდანაც შეიძლება მოვიშველიოთ. მაგალითი ღია სტურუას პოეზიიდან:

ყოველდღე ეიღიებე

ქალაქური, სტილიზებული მამლის ყიყილზე,

იგულისხმება, რომ მზე უკვე ამოსულია,

მაგრამ გარეთ მაინც წვიმს...

სინოტიის თეთრი ფიქალი

სეულ შრეებად ეშვება ქუჩაში,

ფერგადასულ მანქანებიდან

დამუხტული ღრუბელივით იღვრება ხალხში

და წვიმად იქსევა...

როგორც შემოთ უკვე ითქვა, „სამოცდაათიანელთა“ პოეტური თაობის წარმომადგენლების შემოქმედებაში საკმაოდ მძლავრად გამოხატულ ამ ტენდენციას საფუძველი ჩვენში ვასული საუკუნის 10-20-იან წლებში ჩაეყარა. შემდგომში ეერსიფიკაციულ ძიებათა ამ პროცესმა განახლებული ძალით თავი 50-იან წლებში იჩინა. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა უდროოდ გარდაცვლილი პოეტის - შოთა ჩანგლაძის პოეტური შემოქმედება, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 70-იან წლებში, ვახდა ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ცნობილი. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარ-

მოდგენა შეგვექმნას ნაადრევად გარდაცვლილი ამ ჩიჭიერის პოეტის თავისუფალი ლექსების სტრექტურულ ხასიათზე. მოვიშველიებ კონკრეტულ მაგალითს მისი პოეზიიდან:

ქალაქი იყო ჩვეულებრივი:  
ქუჩებით, ადამიანებით. სახლებით,  
რომლებიც ერთმანეთს დაცილებულნი იყვნენ საჭირო ლისტანციით.  
ზამთრის ღლე იღვა ქალაქში  
ღლე იყო შეუმჩნეველი,  
როგორც ტრამვაის გაჩერებასთან მდგარი ხის შემდეგ მდგარი ხე.  
არ იყო თოვლი.  
არ იყო სიცივე.  
არ იყო სითბოც.  
ქალაქი იყო ჩვეულებრივი,  
რომ ვერ იფიქრებდი ქალაქზე ვერასგვით,  
უეცრად ქალაქში მოვიდა თოვლი...

გემოთ დამოწმებულ ფრაგმენტებში, საერთოდ, მსგავსი ფორმით დაწერილ ლექსებში, ხშირად სრულიად გაუგებარი რჩება იმ პრინციპის არსი, რომლის საფუძველზეც ნაწარმოების სალექსო სტრიქონებად დანაწევრება მოხდა.

მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ფართო გავრცელება ჰპოვა ერთსა და იმავე ლექსში განსხვავებულ რიგმულ-ინტონაციურ და ვერსიფიკაციულ ფორმათა მონაცვლეობის პრინციპმა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა შ. ნიშნიანიძისა და მ. ლებანიძის ის პოეტური ნაწარმოებები, რომელთა თითქმის ყოველი სტროფი განსხვავებული სალექსო სამომებითაა დაწერილი. მაგალითი შ. ნიშნიანიძის შემოქმედებიდან:

ჭია. ფარვანა. აბრეშუმი - გადართული მეტაფორაზე,  
აი, შენი გზა - ღეთაებრივი მეტაფორაზე.  
შენ, აბრეშუმის სარკოფაგის უკედავ ბინადარს,  
ჭიათა ფარაონს, თაყვანს გცემ პირადად.  
ჰა, თუთის შტოები იჩრდილე მარაოდ!  
რა ჰქვია, ციერო, მაგ უცხო უნარს,  
მაგ უცხო სარკოფაგს?  
სიკვდილის სიკვდილით დათრგუნვა,  
უარყოფის უარყოფა?!  
სალამი აბრეშუმის ჭია,  
თუთის ფოთოლივით ჩიავ,  
სასწაულმოქმედო სულო...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია არაერთგზის აღნიშნული, მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ძალით პოულობს გამოვლინებას ეანრების ურთიერთდაახლოების გენდენ-

ციატ. სწორედ ამ მოვლენის ხათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ზოგიერთი წარმომადგენლის შექოქმელებში მიზანმიმართულადაა დარღვეული გრადიციული პოეტიკით დაკანონებული ეანრული სამანები და ადგილი აქვს ეანრობრივად გახსხეავეებული ლიტერატურული ელემენტების თავისებურ შერწყმას ერთმანეთთან. ეს პროცესი ახალი მოვლენა რომ არ არის და მისი დამადასტურებელი მაგალითები ადრეც რომ საკმაოდ მრავლად შეიქმნა, ამას მძლავრი პოეტური ტენდენციებით აღბეჭდილი ისეთი პრობაული ნაწარმოებებიც თვალნათლივ ადასტურებენ, როგორებიცაა: „ბიბლიის“ ცალკეული ეპიზოდები, იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“, „ვისრამიანი“ და ა. შ.

ქართულ პრობაში პოეტური ელემენტების შემოტანის ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა გასულ საუკუნეში. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა ე. ბარნოვის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, ნ. დუმბაძის, რ. ინანიშვილის, გ. დოჩანაშვილისა და სხვა მწერალთა შემოქმედება. ამ ტენდენციის მომძლავრებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ XX საუკუნის დასაწყისში უართოდ მკვიდრდება ისეთი ახალი ეანრული სახეობა, როგორიცაა „ლექსი პრობად“. ამ ფორმის ნაწარმოებს ხშირად იმდენად ბევრი რამ აქვს საერთო თავისუფალ ლექსთან, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ზოგჯერ შეუძლებელიც კია. ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ის ფაქტი, რომ პრობად დაწერილი ლექსების ავტორებად პრობაიკოსებთან ერთად თავად პოეტებიც ძალზე ხშირად გვეკვლინებიან ხოლმე (ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე, ტ. გრანელი...).

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიმუელით ორიოდ მაგალითი: ფრაგმენტი გიციან ტაბიძის „გამაფხულის დღესასწაულიდან“:

„მე გეტყვი ზღაპარს, უკედავ ზღაპარს სიყვარულისას, რომელსაც არა აქვს დასაწყისი და არც არასოდეს გათავდება.

მე ვნებით მოექსოვ ეთერის ზვირთებს, რომლის ყოველი შეხება მოგავონებს ჩემს სიყვარულს და ჩემს სიმღერას, გამაფხულის დღესასწაულზე დაწყებულს.

მე შენ გვლოდი ისე, როგორც საქმრო სულამითის წმინდა სარეცელს... ისმინე შეების სიმღერა!

მე ჩანცი მისთვის მომცა ცამ, რომ შენზე შემღერა...

მე ბუნებამ მისთვის მომცა მგზნებარე გელი, რომ შენ წინ დამეწვა, ფერულად მექცია.

ჩვენ შეილება ვართ ბელისწერისა და გაბაფხულის დღესასწაულზე უკვდავებისკენ მიგვაფურქის ბედი“.

ტერენტი გრანელი: „დღისით ჩვენ ერთიმეორეს აღარ ვხედავთ და არც გვინდა, რომ დღე ქუჩაზე ვიართო. ჩვენს ბნელი ღამე გვიყვარს მხოლოდ იმიტომ, რომ ფიქრები ერთმანეთს გაუკუზიაროთ. მე კი დღად მძულს ღამე უსაზღვრო, ვრცელი, როს გული სჭკნება ჭმუნვით და იარებით. და თუ დღეს მიყვარს ღამე, მხოლოდ იმიტომ, რომ მე და ის სულ ფეხით დავიარებით“.

ჩვენი საუკუნის პირველ მესამედში ამ ტიპის მინიატურები საკმაოდ მრავლად შეიქმნა. მძლავრად გამოვლენილი ლირიკულ-პოეტური განწყობილებანი იყო უთუოდ მიზეზი იმისა, რომ ამ ტიპის ნაწარმოებებს მათი ავტორები პროზად დაწერილი ლექსის სახელით ნათლავდნენ.

პოეტურობის ხარისხის გაძლიერების მიზნით მოგიერთმა მწერალმა ასეთ მინიატურებს მეტრული მხარეც მოუწესრიგა. ამ თეალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურები, რომლებიც მოგჯერ ამა თუ იმ კლასიკური სალექსო საზომითაა დაწერილი (ათმარცვლიანი, რეამარცვლიანი...). ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანოთ მაგალითი მწერლის შემოქმედებიდან და მეტი სიცხადისათვის მივყუთ მას ლექსის ფორმა:

თუმცა ისრებით დამცხრილე უმაღ  
და გულის კენესა სულსა მიხუთავს,  
შენზე ცუდს მაინც ვერაფერს ვიგყუო,  
კიდევაც ვაქებ და ვიმღერ კიდევ.  
ნეტარებისა ერთი წამისთვის  
ღრუბლით შემოსე ჩემი მყობადი,  
მაგრამ ყვაილებს ჩუმაღ გიგზაუნი,  
თუმც შეხედვითაც, თურმე, მათ აჭკნობ.  
წინათვე მითხარ, შურს ვიძიებო -  
რისთვის ან ვისთვის - ვერ გამიგია!  
მაგრამ ვლოყულობ შენის ხატის წინ  
და მითი მარტო ბედნიერი ვარ...

რიტმულ-ვერსიფიკაციული თეალსაზრისით ამგვარად მოწესრიგებული და კლასიკურ სალექსო მეტრულ საზომებს დაქვემდებარებული პროზაული ნაწარმოებები შექმნეს აგრეთვე ვასილ ბარნოვიმა და კონსტანტინე გამსახურდიამ. მათს რომანებში, მაგალითად, ბევრი ადვილი ათი და თოთხმეტმარცვლიანი სალექსო საზომებითაა დაწერილი.

გასული საუკუნის ქართულ პოეზიაში ცალკე უნდა გამოიყოს მოგიერთი პოეტის გატაცება ე. წ. „გრაფიკული ლირიკით“. კერძოდ: მ.

ფოცხიშვილი. ე. ჯაფარიძე. გ. ჭანტია. ო. ჭილაძე. ვ. ალხაიშვილი. რ. კალანდია და სხვა პოეტებმა ისეთი ნაწარმოებები შექმნეს, რომელთა გრაფიკული გამოსახვის ფორმა საკმაოდ თავისებური. მაგალითად, ო. ჭილაძეს აქვს პოემა „აღამიანი გამეთის სვეტში“, რომელსაც ავტორმა გრაფიკული გამოსახვის თვალსაზრისით საგამეთო სტატიის ფორმა მისცა.

ე. ჯაფარიძემ კი ცალკე ციკლი შექმნა „გრაფიკული ლირიკის“ სახელწოდებით, სადაც ასეთი ფორმით დაწერილ ლექსებს მოუყარა თავი. სანიმუშოდ მოვიყვან ერთ მაგალითს:

ა  
ეა  
შენე  
პირამიდა,  
დიღზე დიდი  
პირამიდა, ახლა  
ველარ გამოვლივარ  
პირამიდის სპირალიდან.  
რად მინდოდა პირამიდა, დიღზე  
დიდი პირამიდა, შუა კედელს ეჯახები,  
მე კი განაპირა მინდა. მგეო. დედამიწასავეთ  
განათიე პირამიდა, ვბა მასწავლე, მენტან მოვალ  
დიდი შესაწირაყისა. ვისაც უნდა, იმას ქონდეს დიღზე დიდი  
პირამიდა. - აღარ მინდა უკედევა, - აღარც პირამიდა მინდა.

ამ ლექსში, გარდა გრაფიკული გამოსახვისა, უჩვეულო და განსაკუთრებული არაფერია. ნაწარმოების გრაფიკული თავისებურება (ლექსს გარეგნული გამოსახვის თვალსაზრისით პირამიდის ფორმა აქვს მიცემული) მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება, თუ მას დაბეჭდილს ვნახავთ. მოსმენით კი იგი ჩვეულებრივი რითმიანი რვაპარცელიანი ლექსია.

ასეთია გასული საუკუნის ქართულ პოეზიაში რიგმულ-ვერსიფიკაციული თვალსაზრისით გამოვლენილი მოგიერთი არსებითი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლექსთწყობის განახლების პროცესი აღნიშნული პერიოდის ჩვენს მწერლობაში გაცილებით ფართო მასშტაბების მომცეელი მოვლენაა და იგი მხოლოდ აღნიშნული ტენდენციებით არ შემოიფარგლება, ეფიქრობ, დაინტერესებულ მკითხველს ჩემ მიერ ყურადღებაშიქცეული საკითხებითაც შეექმნება ნათელი წარმოდგენა იმ უმნიშვნელოვანეს სიახლეებზე, რითაც ქართული პოეტური აზროვნების განვითარების ეს ახალი ეტაპი გამოირჩევა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.



# მიმგრანტ მშვირალთა როლისა და ადგილისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიაში

ბევრი სხვა ერისაგან განსხვავებით, ქართველი კაცი მშობლიურ მიწა-წყალს ისტორიულად იმდენად იყო შესისხლხორცებული, რომ მისგან დაშორებით ცხოვრება ფაქტობრივად ვერც კი წარმოედგინა. ამიტომაც იყო, რომ მისთვის სამშობლოსაგან განშორება გრაგედითა შორის ყველაზე დიდ გრაგედიას წარმოადგენდა და გარდა ზოგიერთი თავზე ხელაღებული ავანტიურისგისა, საკუთარ ქვეყანას პიროვნული ბედნიერების საძიებლად იგი თავისი ნებით ძნელად თუ გოვებდა.

უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მიზეზით ვერ შეიქმნა მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორები მსოფლიოში. მართალია, რამდენიმე ქვეყანაში ქართველებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები კი ჩამოყალიბდა (თურქეთი, ირანი, საფრანგეთი...), მაგრამ ეს, უწინარეს ყოვლისა, ისტორიული აებელობის სავალალო შედეგი იყო და არა საკუთარი ნებით მასობრივი გადასახლება უცხო მიწაზე. გარდა იმისა, რომ ამგვარი კოლონიების შექმნა ძირითადად დამპყრობთა მიერ ქართველების საკუთარი ქვეყნიდან ბარბაროსული აყრისა და იძულებით გადასახლების შედეგი იყო (მაგალითად, ფერეიდანში), ჩენი სამშობლოს ამა თუ იმ მხარის უცხო სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად ქცევა უფრო ხშირად მისი დაპყრობამიგაცების გზით ხდებოდა (მაგალითად, გაო-კლარჯეთი, საინგილო...).

მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩენი თანამემამულენი კვლავინდებურად რჩებოდნენ ისტორიულად ქართული მიწის მკვიდრ მოსახლეებად, დამპყრობი ქვეყნის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა მათი ეროვნული ცნობიერების დათირგუნვასა და გადარჯულებას. სამწუხაროდ, ასეთ მცდელობებს უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ამ პოლიტიკის შედეგად ჩენი ბევრი თანამემამულე მოწყდა მშობლიურ ფესვებს. უწინარესად სწორედ ამ გარემოებად განაპირობა ის ფაქტი, რომ რაოდენობრივი სიმრავლის მიუხედავად ამ კუთხეთა მკვიდრმა ქართველობამ სამშობლოსაგან მათი მოწყვეტის შემდგომ პერიოდში თითქმის ვერაფერი შექმნა ქართული კულტურისა და სულიერებისათვის ფასეული.

ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის როლი, რომელიც ქართულმა ემიგრაციამ შეასრულა ჩენი ქვეყნის ისტორიაში. საქართველოდან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ნია-

დაგზე ევროპის ქვეყნებში ქართველთა მრავალრიცხოვანი მიგრაციები ეპარუელეს ყოელისა იმ საბუდისწერიო მოუღუნებით იყო განპირობებული, რომელთაც არსებითად განსაზღვრეს ჩენი სამშობლოს ისტორიული განვითარების მავისგრაღერი მიმართულება. ეს მოუღუნებია: შუფუ-პოიგ არჩილისა და მისი გარემოცვის დამკვიდრება მოსკოვში XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში, 1724 წელს ვახგანგ მეექვსის გამგზავრება რუსეთში თავისი მრავალრიცხოვანი აშალით, რომლის შემადგენლობაში იმეამინდელი ქართული ინტელექტუალური ელიგის საუკეთესო წარმომადგენლები შედიოდნენ, 1801 წლის მანიფესტის ხელმოწერისა და ამოქმედების შემდგომ ბაგრატიონთა სამეფო გეარისა და ქართველ წარჩინებულთა ერთი ნაწილის რუსეთში გადასახლება, 1832 წლის შეთქმულება, 1921 წლის თებერვალ-მარგის გრაგედია, ქართიელ პატრიოგთა 1924 წლის აჯანყება, მეორე მსოფლიო ომი... ამ მოუღუნებმა და მათმა გრაგეკულმა შეღეგებმა ბევრი ჩენი თანამემამულე გასადეს იძულებული, საკუთარი მიწიდან აყრილიყო და სხვა ქვეყნის ხიზანი გამხდარიყო. ეს იყო სიცოცხლის ფიზიკური შენარჩუნებისა და გადარჩენის ერთადერთი გზა.

ასე აღმოჩნდა ქართველი ხალხის არაერთი ნიჭიერი წარმომადგენელი სამშობლოს მოწყვეტილი და უცხო ქვეყნის ბინადარი. მიუხედავად იმისა, რომ არაერთმა მათგანმა საკმაო წარმატებებიც მოიპოვა და მაგერიალური სიმღიდრეც შექმნა, ისინი სიცოცხლის ბოლომდე დარჩნენ სულით ეულ მამულიშვილებად და მათი ოცნების მუღმივი და უმთავრესი საგანი სამშობლოში დაბრუნება იყო.

მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი ქართველობის გრაგეკული ცხოვრებისეული ხვედრის გააზრების დროს აქ გრიგოლ აბაშიძის ერთი მშვენიერი ლექსიც მინდა მოვიგონო – „მამელუკების გახსენება ეგვიპტეში“. მძაფრი ეროვნული ტკივილით გაუღენთილ ამ ლექსში გრ. აბაშიძემ ნათლად გამოუღენილი ამრობრივი სწორხაზოვნებით დაუპირისპირა ერთმანეთს ისტორიული ავბედობის ხანაში მამაპაპური მიწიდან მგრის მიერ მოგაცებულ და მონათა ბაზრებზე გაყიდულ ქართველთა და საკუთარი ნება-სურვილითა გადარჯულებულ ავანგიურისგთა ცხოვრებისეული ბედი. შორეულ ეგვიპტეში გურისგად ჩასული პოეტი კიდევ უფრო მძაფრად გრძნობს ჩენი ეროვნული ისტორიის ამ ღიდ გრადეგიას და „სამშობლოს ჯაყრით გულგამოჭმულ“ ქართველ მამელუკებს, რომელთაც „არც ურჯულობა, არც გადახვეწა თავისი ნებით არ უკისრიათ“, ის ქართველი ავანგიურის-

ტყები დაუპირისპირა. „ვინც თვით ინდომა მამულუკობა და თვით ირ-  
ჩია ყიზილბაშობა“. მათი ამგეარი საქციელით აღსუთებელი პოე-  
ტის გულისწყრომა ლექსში ასეა გამოხატული:

წყველა და კრულა მათ გზას შევგზიანს.  
ვინც სამშობლოზე მახეილგაწვილმა  
მამულს მტრის ურდო შემოასია  
და საქართველოს სისხლი აწვიმა.  
ძვირად დავეჯდა ვისი გაცნობაც,  
ვინც დედის საულავს ხნაედა სახენელით  
ჯანდაბას მათი დიდი კაცობა,  
ჯანდაბას მათი დიდი სახელიც!

სამწუხაროდ, ლექსის თემად ქცეული ტკივილი მწარე ისტორიული  
რეალობის შედეგს წარმოადგენს და ასეთ ქარსველთა სახელები, მარ-  
თალია, მრავლად არა, მაგრამ საკმაოდ შემოგვინახა ჩვენმა წარსულმა.

ქართული ემიგრანტული მწერლობის პირველ წარმომადგენლად  
პირობითად XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის  
დასაწყისში მოღვაწე ცნობილი მეფე და პოეტი - არჩილი შეიძლება  
მივიჩნიოთ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება უპირველეს ყოვლისა  
იმ ფაქტმა განაპირობა, რომ თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებითი  
მოღვაწეობით იგი ამ საქმის ფაქტობრივი სათაგის დამდებია ჩვენ-  
ში. მართალია, უცხოეთში მანამდეც არაერთ ქართველს უცხოვრია  
და უმოღვაწია, მაგრამ ამ თვალსაზრისით არჩილის როლის გამორჩეუ-  
ლობას ის გარემოება განსაზღვრავს, რომ პოლიტიკურ-სახელმწი-  
ფოებრივ ნიადაგზე სამშობლოდან იძულებით გადახეწილი ამ სვე-  
ტამწარებული მამულიშვილის ნაკვალევს მასთან ერთად და შემდეგ-  
შიც იმდენად ბევრი ქართველი გაჰყვა, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ,  
ამ პროცესმა საკმაოდ ფართო მასშტაბები შეიძინა. თუ აღვინდელ  
საუკუნეებში (ქრისტიანობის გაერცელების დროიდან) ჩვენი ქვეყნი-  
დან ქართველ მოღვაწეთა მიგრაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქ-  
ტორს ძირითადად საღვთისმსახურებლო და სამწიგნობრო-საგანმანათ-  
ლებლო საქმიანობა წარმოადგენდა, XVIII საუკუნიდან ეს პროცესი იმ  
პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა მოვლენებმა განსაზღვრეს არსებითად,  
რომლებმაც საბედისწერო როლი შეასრულეს იმდროინდელი და შემ-  
დგომი საუკუნეების საქართველოს ისტორიაში.

ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დამლილ-დაქუცმაცებულმა  
ჩვენმა ქვეყანამ, რომელიც ირანისა და თურქეთის გამუდმებული  
აგრესიის ობიექტად იყო ქცეული, ეროვნული და სახელმწიფოებრი-  
ვი თვითარსებობის შესანარჩულებლად იმედის თვალი დასაველეთ

ევროპასა და რუსეთს შიამყრო. სამწეხაროდ. ქართველ პოლიტიკოსთა ეს იმედი მხოლოდღა ილუზიური რწმენის ნაყოფი ვამოდვა და რეალურად მას თითქმის არაუითარი სასიკეთო შედეგი არ მოუგანია საქაროველოსთვის. უფრო მეტიც, პოლიტიკურ ახპარეზმზე რუსეთის გამორჩენით ჩვენს ქვეყანას ფაქტობრივად ახალი დამპყრობელი მოველინა, რომელიც ირანზე და თურქეთზე არანაკლები აგრესიით ცდილობდა საქართველოს დამყრობა-დამონებას. ძველი აგრესორებისაგან განსხვავებით, რუსეთის დამყრობლური პოლიტიკა ერთმორწმუნეობის საბურველით იმდენად იყო შენიღბული, რომ ჩვენი მეფეებისა და პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მისი ნამღვილი არსი საკმაოდ დიდხანს იყო შეუცნობელი.

თუ ირანისა და თურქეთის საჭეთმყრობელები ყველანაირად ცდილობდნენ ქართველ ხელისუფალთა გულის მოგებას და საქართველოს მისაკუთრებას მათი მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებად სახაენდნენ, რუსეთთან დაკავშირებით ვითარება სრულიად განსხვავებული იყო. კერძოდ, ქართველი მეფეები და დიდგვაროვნები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რუსეთის საქეფო კარის მესვეურთა გული რომ მოეგოთ, საქართველოსადმი ინგერესი გაკლვივებინათ და ჩვენი ქვეყანა მათი მფარველობის ქვეშ შეეყვანათ. მათ ამ მიზანსწრაფვას საფუძვლად უპირველეს ყოვლისა ჩვენი ხალხების სარწმუნოებრივი ერთობა ელო.

მიუხედავად იმისა, რომ იმპერიული ამბიციებით მუდმივად შეყრობილმა რუსმა სახელმწიფო მესვეურებმა საქართველოს გეოპოლიტიკური როლი და მნიშვნელობა შესანიშნავად იცოდნენ, თაედაპირველად ჩვენი ქვეყნის მისასაკუთრებლად იმხანად ისინი არც აქტიურ ძალადობრივ პოლიტიკას ატარებდნენ და არც დიპლომატიურს. ეს ვარემოება იმით კი არ იყო განპირობებული, რომ მათ საქართველოსა და სამხრეთით მდებარე სხვა ქვეყნების დამყრობა არ აინგერესებდათ, არამედ იმ საერთაშორისო ვითარებით, რომელიც იმეამინდელ მსოფლიოში არსებობდა. რუსეთის იმპერიულ-სახელმწიფოებრივი ინგერესები იმხანად უფრო სხვა კუთხითი იყო მიმართული და ირანთან და თურქეთთან ისედაც ვართულეებული მღვომარეობის კიდეე უფრო მეტად ვართულება მაშინ მას ხელს არ აძლევდა. საქართველოს მისაკუთრების პრეგენზიის ღიად და ცხადად აღიარება კი ამ ქვეყნებთან მის ურთიერთობას კიდეე უფრო მეტად დაძაბავდა და გაამწეავებდა. საამისოდ ხელსაყრელი დროის დადგომა იყო საჭირო.

სამწეხაროდ, ასეთი დროე მალე დადვა და 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით რუსეთმა ჩვენი ქვეყანა უკვე ოფიციალურად

აქცია მისი სახელმწიფოებრივი სიერის შემადგენელ ნაწილად.

ყველაფერ ამას ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ საქართველოს ისტორიაში საბუდისწეროდ განვითარებული სწორედ ეს გლობალური მოვლენები გახდნენ საფუძველი ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში, უპირველეს ყოვლისა კი რუსეთში, ქართულ მამულიშვილთა არც თუ მცირე ნაწილის ემიგრაციისა. პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ გარემოებათა გამო ემიგრანტული ქართველების უმეტესობა ჩვენი ერის სახელოვანი შვილები იყვნენ, მეფეები და სამეფო კარის წარმომადგენლები, დიდგვაროვნები, ცნობილი მწერლები და მწიგნობრები. უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი მოღვაწეობით იწყება რუსეთში ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორია, მათ შორის ქართული ემიგრანტული მწერლობისაც.

\* \* \*

რუსეთში ქართველთა კოლონიის დამკვიდრებას სათავე ფაქტობრივად XVII საუკუნეში დაედო. ზოგიერთი ამ მოვლენის დამწყებად თეიმურაზ პირველის (1589-1663 წწ.) შეილიშვილს - ერეკლეს მიიჩნევს. მაგალითად, ლევან შენაბღე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერს: „მოსკოვის ქართული კოლონიის აღმოცენება დაკავშირებულია თეიმურაზ პირველის შეილიშვილის - ერეკლე დავითის ძის სახელთან. ეს უკანასკნელი მოსკოვის სამეფო კარზე გაგზავნილი პირველი ქართველი ბატონიშვილია" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 96, 1963 წ. გვ. 185).

ქრონოლოგიურად ეს თუმცა მართლაც ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ იმხანად ქართულ დასახლებას მოსკოვში არც რაოდენობრივი თვალსაზრისით შეუძენია დიდი მასშტაბები და მით უფრო არც კულტურულ-შემოქმედებითი და პოლიტიკური საქმიანობის მხრივ. ამ პროცესის აქტიური დაწყება მოგვიანებით მოხდა - არჩილისა და მისი თანმხლები ქართველების მოსკოვში დამკვიდრებით.

სანგრძლივი და აქტიური მცდელობის შემდეგ მოსკოვს ჯერ არჩილის შვილები ესტუმრნენ. ისინი თერგისა და ასტრახანის გაელით მოსკოვში 1684 წლის ბაფხულში ჩავიდნენ, მომდევნო წლის დეკემბერში კი მათ უკვე არჩილიც შეუერთდა. მოსკოვში ჩასული ქართველი მეფე ბეიმით მიიღეს კრემლში. „მეფის სავალ მთელ გზაზე ჩამწკრივებული იყვნენ მეთოფენი. მიღებაზე მეფეს მიაცილებდნენ სათათბიროს წვერი თ. შახოვსკი და მდივანი ი. კაზარინოვი. არჩილი ეტლით შეედა კრემლში, რაც პატივად ითვლებოდა. მას ცხენებით მიაცილებდნენ ამაღის წვერები. ქართველებს წინ მიუძღოდათ სა-

ზეიმოდ მორთული მოსკოვის ქართული ახალშენის უწყებათა მოხელეები" (ფ. სიხარულაძე, მოსკოვის ქართული ახალშენის ისტორიიდან. 1991 წ. გვ. 37).

სამწუხაროდ, ვერც არჩილი და ვერც მისი თანმხლები პირები მამის გაფიქრებითაც კი ვერ გაიფიქრებდნენ იმას, რომ მოსკოვში მათი სტუმრობა მხოლოდ დროებითი პოვლენა არ იქნებოდა და ამ საბიჯის გადადგმით ისინი ფაქტობრივად სამუდამოდ წყდებოდნენ მშობლიურ ქვეყანას.

რუსეთის სამეფო კარის მესვეურებმა, თავიდან სელმწიფით დაწყებული, არჩილი და მისი მემკვიდრენი უდიდესი პატივისცემით მიიღეს, ცალკე სასახლე გამოუყვეს, რეგულარული ფულადი ანაზღაურება დაუნიშნეს და მაღალი არისტოკრატიული ცხოვრებისათვის ყოველგვარი პირობები შეუქმნეს. არჩილის შვილებთან, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ბატონიშვილთან, ძალზე დაახლოებულმა პეტრე პირველმა არჩილის ოჯახს მოსკოვის ახლოს, სოფელ ვსესვიაგსკოვში (ქართულ ემიგრანტთა სახელდებით, ვსესეწკა, სესენწკა) სამკვიდრო მამულებიცა და დონის მონასტერიც გამოუყო. ამ დროიდან დაწყებული, XVIII საუკუნის რუსეთში უპირველეს ყოვლისა სწორედ ვსესვიაგსკოე გახდა ქართული კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი კერა.

არჩილის სიცოცხლეში იქ გაჩაღებული აქტიური შემოქმედებითი, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მასშტაბები კიდევ უფრო მეტად გაიზარდა მოსკოვში ვახტანგ მეექვსისა და მისი ამაღლის წევრების ჩასვლითა და დამკვიდრებით. დონის ქართული მონასტერი კი ქართველ მამულიშვილთა საძვალედ იქცა. სწორედ აქ არიან დასაფლავებულები ჩვენი ერის ისეთი დიდი შვილები, როგორებიც არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი და სხვები იყვნენ.

არჩილის მიერ მოსკოვში გაკეთებულ დიდ ქართულ საქმეთაგან უპირველეს ყოვლისა სტამბის დაარსება უნდა გამოიყოს. ხანგრძლივი და ენერგიული მცდელობის შედეგად მან წარმატებით შეძლო ამ დიდი ხნის ოცნების რეალური აღსრულება და 1705 წელს „დავითნის“ გამოცემით რუსეთის იმპერიაში, საქართველოსთან შედარებით ოთხი წლით ადრე, ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვას დაუდო სათავე.

აქვე უნდა აღინიშნოს ის აქტიური შემოქმედებითი და კულტურულ-სამეცნიერო საქმიანობაც, რომელსაც არჩილი და მისი ქართული გარემოცვის წევრები ეწეოდნენ მეტად აქტიურად და ენერგიულად.

ეს საქმიანობა კიდევ უფრო მასშტაბური გახდა 1724 წლიდან, მოსკოვში ვახტანგ მეექვსის მრავალრიცხოვანი ამაღლის ჩასვლისა

და დამკვიდრების შემდეგ, ჩვენი ქვეყნიდან იმდროინდელი საქართველოს ინტელექტუალურ ძალთა საუკეთესო წარმომადგენლების ამგვარი მასობრივი მიგრაციით (სპეციალისტთა გამოიანგარიშებით, ვახტანგის ამალაში მთლიანად 1286 სრულასაკოვანი ადამიანი შედიოდა. იხ. ფ. სისარულიძის მითითებული წიგნი, გვ. 63) ვახტანგმა უდიდესი ზიანი მიაყენა ქართულ პოლიტიკას, მწერლობას, მეცნიერებას, საერთოდ, ქართული სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროს. მართალია, იძულებით ემიგრანტებად ქცეული ჩვენი ერის საუკეთესო შვილები ლტოლვილობაშიც აქტიურ ინტელექტუალურ საქმიანობას ეწეოდნენ, მაგრამ ამით მათი წასვლის შედეგად გამოწვეული დანაკარგის სრულყოფილად ანაზღაურება, ბუნებრივია, მაინც ვერაფრით მოხდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩვენმა ქვეყანამ რუსეთში ხსენებულ მამულიშვილთა გადასახლებით არა მარტო ისინი დაკარგა ფიზიკურად, არამედ მათი შთამომავლობაც.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, რუსეთში ქართული კოლონიების გაჩენას დადებითი მხარეებიც უსათუოდ ჰქონდა. კერძოდ, ისინი ქართული კულტურის იმ დიდ ცენტრებად იყვნენ ქცეულნი, რომელთა წარმომადგენლებიც არა მარტო „აღმავლობის ვზამვე მყოფი რუსეთის დიდ მწერლებსა და მეცნიერებს ეცნობოდნენ, არამედ ამასთანავე რუსეთის მეშვეობით ეზიარებოდნენ დასაყლესი ევროპის დიდ ცივილიზაციას“ (რ. ბარამიძე, არჩილ ბაგრატიონი, 1983 წ. გვ. 43).

მსგავს შეფასებებს მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში (სანკტ-პეტერბურგში, ასტრახანში, ნოვგოროდში, კრემენჩუგში, მოზლოკში...) შექმნილ ქართული კულტურის კერებს სხვა ქართველი მეცნიერებიც ხშირად აძლევდნენ. ობიექტურად თუ ვიგყვით, ამ შეფასებებში გადაჭარბებული და გენდენციურ-კონიუნქტურული არაფერია, რადგანაც ამ ქართულმა კოლონიებმა მართლაც შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი ეროვნული მწერლობის, მეცნიერებისა და სულიერი კულტურის განვითარების საქმეში.

სამწუხაროდ, საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო რუსეთში ქართველთა მიგრაციის პროცესი XVIII საუკუნეში თითქმის პერმანენტულ ხასიათს ღებულობს, რის შედეგადაც იქაურ ქართველთა რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. ქართველ ემიგრანტთა არაერთი წარმომადგენელი რუსეთის სამეფო კართან და რუს დიდგვაროვნებთან იმდენადაც კი იყო დაახლოებული, რომ მათ მეტად საპასუხისმგებლო საქმეთა მესვეურობაც ჰქონდათ დაკისრებული. მაგალითად, არჩილის შვილი ალექსანდრე პეტრე პირველმა რუსეთის არმიის გენერალ-ფელდცეხმაისტერად დანიშნა, ხოლო ვახუშტი ბაგ-

რატიონი მოსკოვის ენივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო.

XVIII საუკუნის რუსეთში ემიგრირებულმა ქართველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული სულიერი კულტურისა და მეცნიერული აზროვნების ისტორიაში, მათ შორის მწერლობაშიც. გარდა შემოქმედებითი ნიჭით შაღღმოსილი პიროვნებებისა, ამ საქმით ისეთებიც იყვნენ გატაცებულნი, რომელთაც საამისოდ სათანადო უნარი ნაკლებად გააჩნდათ. ეს ვარემოება იმით იყო განპირობებული, რომ ამ გზით ისინი სამშობლოსაგან სიმორით გაჩენილი ნოსტალგიის გაქარვებას ცდილობდნენ.

რუსეთში იმხანად მოღვაწე იმ მწერალთაგან, რომელთა შემოქმედება ყველაზე მეტად გამოხატავს ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სულიერ განცდებსა და ეროვნულ მისწრაფებებს, უსათუოდ უნდა დავასახელოთ: არჩილი, დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, დიმიტრი ბაგრატიონი, ონანა ქობულაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ფაკლენიშვილი, დავით ბატონიშვილი. გიორგი ავალიშვილი, მამუკა გურამიშვილი და სხვები. საკმაოდ შრავლად არიან ისეთებიც, რომელთა მწერლური წარმატებების შესახებ მხოლოდ ზოგადი ცნობები გვაქვს და მათი ნაწარმოებები ჩვენამდე მოღწეული არ არის.

ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ვინმე ჯავახიშვილი, რომელიც თურმე იმდენად ძლიერ პოეტს წარმოადგენდა, რომ მოსკოვში ვახტანგის კარზე გამართულ პოეტურ პაექრობებში ზოგჯერ თვით დავით გურამიშვილსაც კი უწევდა მეტოქეობას. აი, რას წერს ამის შესახებ თავად დავით გურამიშვილი:

ჯავახიშვილს გაშალექსეს, მოშიარეს ჩემებრ ცუდსა,  
პირად მჭლესა, განად ხმელსა ვით ნუერიანს ხესა მრუდსა,  
რაც მე უთხრი, მას მიაჩნდის ვით ნარეცხლა უკან კუდსა,  
ბევრჯელ ასე იმწვიგანის, კოტეით ძირს დასყემდის ქუდსა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ემიგრანტ მწერალთა შემოქმედების ბევრი ნიმუში დაკარგულია და ჩვენამდე არაა მოღწეული, მათი გადარჩენილი ნაწილის მეშვეობით მკითხველს მაინც ექმნება წარმოდგენა იმაზე, რა საკითხებით იყვნენ ისინი ძირითადად გატაცებულ-დაინტერესებული. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მათ სათქმელსა და მიზანსწრაფვას უპირველეს ყოვლისა ქართული თემატიკა, ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებით აქტიური დაინტერესება, განსაზღვრავს არსებითად. რუსულ სიერცეში, რუსულ ყოფით და კულტურულ გარემოში, ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად, ისინი უწინარეს ყოვლისა მაინც ქართული გარემოთი ცხოვრობენ და



სულდგმულობენ. ძირითადად ქართული ლიტერატურული გრადიციის ბეგაულების ქვეშ არიან მოქცეულნი და ყველაფერს საქართველოსთვის. ქართველი მკითხველისათვის. წერენ და აკეთებენ.

რუსეთში ქართველთა მიგრაციის პროცესის მასშტაბებიც და ხასიათიც არსებითად იცვლება 1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის დროიდან. თუ მანამდე ქართველ მეფეთა, ბატონიშვილთა და დიდებულთა სწრაფვას ამ ქვეყნისაკენ ერთმორწმუნე მფარველ-მოკავშირის მოპოვების იშედი განაპირობებდა, ამ დროიდან მოყოლებული ეს ყველაფერი ილუზიად იქცა და ჩვენი ერის დიდმა შვილებმა თავიდანვე დაინახეს რუსეთის, როგორც ახალი აგრესორი სახელმწიფოს, ნამდვილი სახე.

ქართველი ხალხი იმთავითვე რომ აღდგა დაკარგული თავისუფლების კვლავ მოსაპოვებლად და რუსული ბატონობისაგან ქვეყნის გამოსახსნელად, ეს XIX საუკუნის დასაწყისშივე პერმანენტულად განხორციელებული ანტირუსული აჯანყებებითაც და შეთქმულებებითაც არაორამროვნად მტკიცდება. ამის დასტურად აქ თუნდაც იმ მოვლენების გახსენებაც იქნება საკმარისი, რომლებიც 1802, 1804, 1811-12, 1819, 1832, 1841, 1857... წლებში განვითარდა საქართველოში. სამწუხაროდ, რუსეთის კილონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ ამ გამოსვლებს შედეგად ის მოჰყვა, რომ ბევრი ქართველი მამულიშვილი, რომელთა შორის მწერლებიც მრავლად იყვნენ, რუსეთის სხვადასხვა გუბერნიაში გადაასახლეს.

გადასახლებულებში ბაგრაგიონთა სამეფო კარის წარმომადგენლებიც იყვნენ, რითაც რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა ძირშივე ჩაეკლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. ყველა პიროვნებას, რომელიც საამისოდ რაიმეს გაკეთებას დააპირებდა, იგი მკაცრად სჯიდა და უპირისპირდებოდა.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის პირველ მესამედში მომხდარმა წარუმატებელმა აჯანყებებმა და 1832 წლის შეთქმულების დამარცხებამ ჩვენი ერის დიდ ნაწილს ეროვნული სექეპტიციზმის გრძნობა გაუჩინა და რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩააყენა.

ამ დროიდან მოყოლებული მათ ეროვნულ ცნობიერებაში იმდენად მკვეთრი და რადიკალური გარდატეხა ხდება, რომ ქართველი არისტოკრატიის არაერთ წარმომადგენელს საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავალი ურუსეთოდ უკვე ვეღარც კი წარმოედგინა. ამიტომაც იყო, რომ ისინი ჩვენი ერის წინაშე მდგარი სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტის გზებს მხოლოდ რუსეთთან თანაცხოვ-

რებით თვლიდნენ შესაძლებლად და წინაპრებისაგან განსხვავებით, თავი-  
ანთ მოქალაქეობრივ მოქალაქეობად ახლა რუსეთის იმპერიის ძლიერების  
განსამტკიცებლად ბრძოლას მიიჩნევდნენ. რავინდ უცნაურიც არ უნდა  
მოგვეჩვენოს. ბევრი მათგანისათვის რუსული სახელმწიფოს ინტერესთა  
სადარაჯოზე თავგანწირვით დგომა უპირველეს ყოვლისა მათი ეროვნულ-  
პატრიოტული მისწრაფებებით იყო ხაერსახევი.

ასე შეეკალა დრომ და ახალმა ისტორიულმა რეალობამ იმქამინდე-  
ლი ბევრი ქართველის ეროვნული ცნობიერება და 1832 წლის შეთ-  
ქმულების დამარცხების შემდეგ განსაკუთრებული ძალით წარმართულმა  
ამ გრაფიკულმა მოვლენამ მე-19 საუკუნის არაერთი მწერლის ცხოვრებაზე  
და შემოქმედებაზე მოახდინა მძლავრი გეგავლენა.

რუსეთთან საქართველოს შეერთების უმთავრეს სიკეთედ XIX და  
XX საუკუნეების ბევრი მოღვაწე იმას მიიჩნევდა, რომ ქართველ  
ხალხს ამ მოვლენის შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა  
მიეცა. მაგრამ იყო კი სინამდვილეში ეს მართლაც ასე? რამდენად  
უსისხლო და უმსხვერპლო გამოდგა ჩვენი ერისთვის რუსეთთან  
თანაცხოვრების პერიოდი და ახალმა ყოფამ მშვიდობიანობის  
თვალსაზრისით საქართველოს რა რეალური შედეგები მოუტანა?

ამ კითხვებისათვის ზუსტი პასუხის გასაცემად აქ აკაკი ბაქრაძის  
ის შეფასება მინდა გავისხენო, რომელიც მან რუსეთთან საქართვე-  
ლოს შეერთების შემდეგდროინდელი ქართველი ხალხის ცხოვრებას  
მისცა: „... ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ თითქმის ათი  
წელიწადი ებრძოდა იმიერსაქართველოს მეფე სოლომონ მეორე რუსე-  
თის არმიას 1801-10 წლებში. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში  
საქართველოში აჯანყება იყო 1804, 1812, 1841 წლებში. მოეწყო  
შეთქმულება 1832 წელს.

განა ეს ქარქაშში ხმალჩაგებული ერის ცხოვრებაა?

... 1801 წლიდან საქართველო მონაწილეობდა ყველა ომში, რომელიც  
რუსეთს ჰქონია წინა ამიასა, ევროპასა და შორეულ აღმოსავლეთში.

... ნუთუ რუსეთის იმპერიისათვის თავდადების ამ განწყობილებას  
შეიძლება ქარქაშში ხმალჩაგებულობა ვუწოდოთ?

ასე რომ, ქართველ ხალხს ხმალი ქარქაშში არ ჩაუგია და მშვი-  
დად არც მეცხრამეტე საუკუნეში უცხოვრია და არც მეოცეში. იგი ყველა  
ქარიშხალს პირდაპირ ხედებოდა" (ა. ბაქრაძე, რწმენა, 1990 წ. გვ. 123-126).

როგორც ითქვა. ქართველი არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნა-  
წილის შემტყებლურმა დამოკიდებულებამ რუსული მმართველობისად-  
მი განსაკუთრებით ფართო მასშტაბები 1832 წლის შეთქმულების და-  
მარცხების შემდეგ შეიძინა. შეთქმულების ბევრი მონაწილე საბოლოო-  
308

ოდ დარწმუნდა იმაში, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას უკვე აზრი აღარ ჰქონდა. ამიგომაც იყო, რომ ისინი ან იმპერიის სამსახურში დგებიან და ამ გზით ცდილობენ ეროვნული ინტერესების დაცვას, ანდა საერთოდ გოვებენ აქტიური ცხოვრების ასპარეზს.

იყვნენ ისეთებიც, რომლებიც თავიანთი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად მხოლოდ პიროვნულ ინტერესებს ისახავდნენ და ერსა და სამშობლოზე ნაკლებად ფიქრობდნენ. სამწუხაროდ, ქართველი არისტოკრატის ერთი, მცირე ნაწილი საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდანვე დაადგა ნებაყოფილობითი გარუსების გზას. ეროვნული ცნობიერების ამგვარმა დეგრადაციამ XIX საუკუნის პირველ ნახევარში იმდენად დიდი მასშტაბებიც კი შეიძინა, რომ ქართველი არისტოკრატის არაერთი წარმომადგენელი გვარს რუსულ ყაიდაზე იკეთებდა, შვილებს რუსულად ზრდიდა და ამ გზით, ნებსით და უნებლიედ, თავადვე უწყობდა ხელს ეროვნული ასიმილაციის პროცესის შემდგომ გაძლიერებას.

რუსეთში გადასახლებულ ქართველ არისტოკრატთა ერთმა ნაწილმა ეს ქვეყანა თავის ახალ სამშობლოდ მიიჩნია და მისთვის თავგანწირვა სიცოცხლის უზენაეს მიზანსწრაფვადაც კი დაისახა. ამ თვალსაზრისით მრავალმხრივ დამაფიქრებელია ის სიტყვები, რომლებიც ბაგრატიონთა სამეფო გვარის ერთ-ერთ სახელგანთქმულ წარმომადგენელს - პეტრე ბაგრატიონს წარმოუთქვამს 1812 წელს, მოსკოვის დაკვის დროს, ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ: „მშვიდობით, ჩემო მეგობარო. მე ველარ მნახავ, ვკვლები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარღისაგან“.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ბაგრატიონთა გვარის ამ მამაც წარმომადგენელს ეს სიტყვები ბაგრატიონთა სამეფო გასტისა და მშობელი ქვეყნის დაკარგვამ კი არ ათქმევინა, არამედ ახლად შეძენილი „დიდი სამშობლოს“ სიყვარულისა და ერთგულების გრძნობამ.

ყოველივე ზემოთქმულზე აქ იმიგომაც გავამახვილე ყურადღება, რომ ქართული მწერლობა მუდამ და ყოველთვის იღვა ამ მოკლენათა ცენტრში. გარდა იმისა, რომ XIX საუკუნის ჩვენი მწერლების შემოქმედების უმთავრესი თემა ეროვნული პრობლემა იყო, ისინი თავიანთი პრაქტიკული ცხოვრებითაც აქტიურად იღვწოდნენ ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარი საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად.

სამწუხაროდ, რაც დრო გადიოდა, ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად გატარებული რუსიფიკაციის ეს პროცესი უფრო და უფრო

ფართო მასშტაბებს იძენდა. რის დასტურადაც მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიშველიოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან.

XVIII საუკუნისაგან განსხვავებით. XIX საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობა მეტისმეტად სუსტია და იგი ფაქტობრივად ორი თვალსაჩინო წარმომადგენლის შემოქმედებითი მოღვაწეობით შემოიფარგლება სოლომონ დოდაშვილითა და სოლომონ რაჭმაძით. ისინი რუსეთის იძულებით ბინადრებად 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობის გამო იქნენ. რაც შეეხებათ ჩვენი მწერლობის სხვა წარმომადგენლებს, თავიანთი ცხოვრებითაც და შემოქმედებითაც ბევრ მათგანს თუმცა აქტიური სიახლოვე ჰქონდა რუსეთთან და რუსულ კულტურასთან, მაგრამ. ჩვენდა საბედნიეროდ, ისინი ემიგრანტ მწერლებად არ ქცეულან და მთელი მათი ცხოვრება და შემოქმედება მხოლოდ საკუთარ სამშობლოსთან აღმოჩნდა შეზღვილ-შესისხლხორცებული.

\* \* \*

ქართული ემიგრაციის ისტორიაში მკვეთრი ვარდაგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ხდება. 1921 წლის თებერვალ-მარტის გრაგიკულ მოვლენათა შედეგად, რასაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელშორე ანექსია მოყვა, ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო და თავი ევროპისა და ამერიკისათვის შეეფარებინა. 1921 წელს დაწყებულმა ამ პროცესმა კიდევ უფრო მასშტაბები შეიძინა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისა და მეორე მსოფლიო ომის შედეგად.

თუ აღრე ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილისათვის უმთავრეს საცხოვრებელ ადგილად რუსეთი იყო ქცეული, ახლა ჩვენი ქვეყნიდან ეროვნულ-პოლიტიკურ საფუძველზე ლტოლვილმა ქართველობამ თავი ევროპის ქვეყნებს, ძირითადად საფრანგეთს, შეაფარა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში კი შედარებით ფართო მასშტაბებს იძენს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ამ კონტინენტის სხვა ქვეყნებში ქართველთა მიგრაცია.

ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობის ძირითადი სფერო პარტიულ-საზოგადოებრივი და მეცნიერულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მათი ამ მოღვაწეობის შესასწავლად ბევრი რამ გაკეთდა, უფრო მეტი მაინც სამომავლოდაა გასაკეთებელი. ეს, უპირველეს ყოვლისა, მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული კულტურის შესწავლაზე ითქმის.

ამ პერიოდის ქართველ ემიგრანტთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერჯერობით, სამწახაროდ, კვლავ უცნობია ჩვენი საზოგადოებისათვის და მის შესასწავლად მხოლოდ ბოლო წლებში იღვმება საგულისხმო ნაბიჯები. ამ თვალსაზრისით უდიდესი დამსახურება მიუძღვის ცნობილ მკვლევარს გურამ შარაძეს. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის შედეგად მან მოიპოვა და საქართველოში ჩამოიტანა ქართველი ემიგრანტების ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებული უამრავი დოკუმენტური მასალა, წიგნი, ჟურნალი და გაზეთი, რომელთაც თავი მოუყარა მის მიერვე შექმნილ ქართული ემიგრაციის მუზეუმში. ცალკე, საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს ფართოდ გახმაურებული მისი სამგომეული „უცხოეთის ცის ქვეშ“ და „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ რეაგომეული, რომლებშიც ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა მოღვაწეობაა გაანალიზებული.

როგორც ითქვა, მეოცე საუკუნის ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა უმეტესობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებს შეეხიზნა. საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, პოლონეთი, თურქეთი, აშშ, არგენტინა – აი, ძირითადად, ის სახელმწიფოები, სადაც ემიგრანტული ქართველობის დიდი ნაწილი ცხოვრობდა და ცხოვრობს. ამ ქვეყანათაგან განსაკუთრებით მაინც საფრანგეთი უნდა გამოიყოს, სადაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და ჩვენი სამშობლოდან გადარჩენის მიზნით გატანილმა ეროვნულმა საგანძურმა დაიდეს ბინა.

1922 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ინიციატივით ემიგრაციაში მყოფმა ხელისუფლებამ „გადაწყვიტა პარიზთან ახლოს ყეიდა მცირე მამული, რომელიც თავშესაფარი იქნებოდა ქართველი პოლიტიკური ემიგრაციისათვის და საქართველოს განთავისუფლების შემდეგ საქართველოს საკუთრებად დარჩებოდა. სწორედ ამ მიზნით იქნა შეძენილი სოფელ ლევილში მიწის ნაკვეთი დაახლოებით ხუთი ჰექტარის ოდენობით, შუა საუკუნეების შატო ანუ სასახლე, სამეურნეო შენობები, ავეჯი, ინვენტარი და სხვა ქონება, რომელსაც ლევილის ქართული კერა ეწოდა (გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, III, 1993 წ. გვ. 430)“. ასე იქცა ლევილის ქართული მამული ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისათვის პატარა საქართველოდ, მათ მეორე სამშობლოდ, სადაც არაერთ მნიშვნელოვან ეროვნულ საქმეს მიეცა დასაბამი.

იქვე გაიხსნა ქართული სასაფლაო, რომელიც მსოფლიოს სხვადსხვა

ქვეყანაში გაფანტული ქართველობისათვის მშობლიური მიწის სანაცვლო ძეგლთმესალაგად მოგვეყენება.

სამწუხაროდ, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსხვავებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მქონე პარტიებსა და ჯგუფებში აღმოჩნდნენ დაქსაქსულნი და მათმა ასეთმა პარტიულმა განთიშულობამ, არც თუ იშვიათად, მათ პიროვნულ ურთიერთობებზეც მოახდინა არასასურველი ზეგავლენა. ცხადია, ისედაც მცირერიცხოვან ქართულ ემიგრაციას ეს გარემოება კიდევ უფრო ასუსტებდა, რის შედეგადაც „იკარგებოდა მილიანი ეროვნული მიზანი“. ეს ფაქტი ბევრ ჩვენს თანამემამულეს აშუოთებდა. მაგრამ მათ აქტიურ მსჯელობას, „ეროვნული გაერთიანების სახელით პოლიტიკურ პარტიებს შორის მოსპობილიყო დესპოტიზმი“ და მის სანაცვლოდ, „უქმალესი პატრიოტიზმით განმსჭვალულთ, ბეპარტიული და ბეკლასობრივი იდეოლოგია“ გაეხადათ თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს საშოქმელო პრინციპად, სამწუხაროდ, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია (ბუენ ვიორგაძე -- თეთრი ვიორგის დროშა, გამ. „თეთრი ვიორგი“, პარიზი, 1930 წ. გვ. 23).

ასე რომ, ქართულმა ემიგრაციამ, ამგვარი პარტიულ-მსოფლმხედველობრივი დაქსაქსულობის გამო, ბოლომდე ვერ გამოავლინა თავისი ეროვნული ენერჯია. ქართულ ემიგრაციაში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარების შესაფასებლად მეტად მნიშვნელოვანია ის მიმართვა, რომელიც 1952 წელს ნოე ჟორდანიას გაუგზავნია „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკის საბჭოსადმი“. ნ. ჟორდანიას თქმით, „ეს არის პირველი დარაზმულობა ქართველი ემიგრაციის დამოუკიდებელი სამშობლოს აღსადგენად. საჭიროა, -- წერს იგი, -- ამ ნიადაგზე შეერთდეს მთელი ჩვენი ემიგრაცია საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, ეუროპაში მყოფი ქართველი ემიგრაცია ჯგუფობრივ დაქსაქსული და დანაწილებულია. შეიძლება თქვენ ითაოთ ამ დაბნეული ხალხის თავის მოყრა და გაერთიანება. მიზანი ერთია, დროშა საერთო, არ მუსმის, რა აპირდაპირებს ჩვენს თანამემამულეთ ერთიმეორის წინააღმდეგ“ (ციტირებულია გ. შარაძის წიგნიდან „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. II, 1993 წ. გვ. 261).

ქართული ემიგრაციის პარტიულ დაქსაქსულობასა და ურთიერთდაპირისპირებულობაზე ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელიც. მაგალითად, აი, რას წერს ერთგან იგი ამასთან დაკავშირებით: „გულის ჭიის“ ანუ „პარტიის ჭიის“ გახარება, შური და მტრობა, ჩვენს გულში დაბუღებულნი, იგივე საზიზღარნი გრძნობანი არიან, რომელ-

თაც ქართველ ბოლშევიკებს საქართველო დააკარგვინეს და ნულა ვემსგავსებით მათ. ეინაიდან თუ წემპე ჩყენი ემიგრაციის ცხოყრებისა არ გაიწმინდა, სხვა ბოლშევიკებად ჩყეს მოვეილინებით ჩყენს უბედერ ქვეყანას. თუ ოდესმე მას თავისუფლება ეღირსა" („თეთრი გიორგი“. 1930 წ. გვ. 33). მ. წერუთელი შემუოთებით საუბრობს იმაზე, რომ უზნეობისა და სირეგვის უფსკრულში ვადაჩეხვაძე ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი და „ის მყრალი წუძე, რომელმც ემიგრაცია ცურავღა, პარტიულ ფანატიკოსთავან იყო შექმნილი“.

მაგრამ, მიუხედავად ამგვარი პარტიული ვათიშულობისა, უროთ-ერთშულლისა და დაპირისპირებისა, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა მშობლიური მიწის მადლს ნაბიარები ყოველი ქართველი ემიგრანტის გულში მაინც ელინდება როპანტიკული გზნებით. აი, როგორი ნაღელიანი იუმორით გამოსხაგავს ამ გრძნობის სიმძაფრესა და ყოელის მომცველობას ერთ-ერთი ემიგრანტი ქართველი – ნიყფორე ქათამაძე თავის მოთხრობაში „გრიპი“: „16 წლის ემიგრანტული სტაჟი მაქეს. დღისით, თეალებგახელილი, ემიგრაციაში ეცსოვრობ: ღამით, თვალედახუჭული, საქართველოში. პლიუსი და მინუსი ხომ ერთმანეთს აბათილებს? მაშასადამე, მე ემიგრანტი არცა ვარ. უფრო მკაფიოდ რომ ვამოვხაგო ჩემი აბრი: – მე 16 წლის განმავლობაში თურმე არაფერი ეყოფილვარ და, ეინ იყის, კიღე რამღენი ხანი უნღა ეიყო არაფერი“ (ეურნ. „ქართლოსი“, პარიში, 1937 წ. № 2-3, გვ. 23).

საბჭოთა საქართველოსავან განსხვავებით, საღაც იღეოლოგიური აბროენების დიქტაგურის მძვინვარების ვამო მაქსიმალურად იყო შეზღუდული აბროენების თავისუფლება, ქართველი ემიგრანტები ხშირად პრინციპულად განსხვავებული თვალთახედვითაც კი სჯიღენ და იაბრებღენ საქართველოს მომავალს და ერთმანეთს შორის მეტად მძაფრი და უკომპრომისო პოღემიკა ქქონღათ ვამართული. ამ პაეჭრობის ვამოდახიღს აშკარად და თვალნათღიე იგრძნობს კაცი იმ ქართულ პერიოდულ ვამოცემათა უბრალ ვაცნობითაც, რომელთაც ემიგრაციაში მყოფი ქართველები სყემღენ და სყემენ სხვადასხვავარი პერიოდულობით 20-იანი წლებიღან მოყოლებული დღემღე.

ოციანი წლებიღან მოყოლებული, ევროპის, ამერიკისა და აზიის სხვადასხვა ქვეყნებში, უპირეღეს ყოელისა კი საფრანგეთში, უამრავი დასახელების ქართული ვამეთი, ეურნალი და წიგნი ვამოვიღა. მიუხედავად იმისა, რომ მათი უდიღესი ნაწილი არალიტერატურულ ვამოცემას წარმოადგენს. მათში ემიგრაციაში მოღვაწე ჩყენი მწერლების მხატვრული ნაწარმოებებიც ხშირად იბეჭღება, რაც ქართუ-

ლი ემიგრანტული მწერლობის განვითარებასა და პოპულარიზაციას არსებითად უწყობდა ხელს. უცხოეთში გამოცემული ქართული ჟურნალ-გაზეთების უდიდეს როლსა და მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ეახლეს ისტორიაში დაინტერესებული მკითხველი იმ მასალების გაცნობითაც კარგად შეძლებს, რომლებიც გურამ შარაძის მიერ გამოცემულ „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ რეაგომეულშია (2001-2005 წწ.) გამოქვეყნებული. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ქართული ემიგრანტული პრესის მასშტაბებსა და ხასიათზე, ქვემოთ კონკრეტულად გაეხსენებ იმ პერიოდულ ორგანოებს, რომლებიც XX საუკუნის I ნახევარში გამოიცა უცხოეთის სხვადასხვა ქალაქში:

გაზეთები:

„საქართველო“ (1903-1905 წწ.), პარიზი, რედაქტორები: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი, თედო სახოკია.

„ქართული გაზეთი“ (1916-1918 წწ.), ბერლინი, რედაქტორი გიორგი კერესელიძე.

„ახალი საქართველო“ (1924-1926 წწ.), პარიზი-ბერლინი, რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

„თეირი გიორგი“ (1926-1939 წწ.), პარიზი-ბერლინი, რედაქტორები: ლეო კერესელიძე, მიხაკო წერეთელი, ვიქტორ ნობაძე.

„მამულიშვილი“ (1926-1928 წწ.), პარიზი, რედაქტორი რევაზ გაბაშვილი.

„დამოუკიდებელი საქართველო“ (1926-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორები: იოსებ გობეჩია, გრიგოლ ურაგაძე, სამსონ ფირცხალავა.

„საქართველო“ (1929-1938 წწ.), პარიზი, რედაქტორი გიორგი გვაზავა.

„მუმარადი“ (1937-1938 წწ.), პარიზი, რედაქტორი ინდო ინასარი (ნიკოლოზ ინასარიძე).

„ბრძოლის ხმა“ (1929-1940 წწ.), პარიზი, რედაქტორები: დავით შარაშიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე.

„კლდე“ (1934-1936 წწ.), ბერლინი, რედაქტორი შალვა ქარუმიძე.

„მომავალი“ (1934-1938 წწ.), პარიზი, რედაქტორი ალექსანდრე მანველიშვილი.

ჟურნალები:

„თაყვისუფალი საქართველო“ (1913-1914 წწ.), ენევა, რედაქტორები: ლეო და გიორგი კერესელიძეები, პეტრე სურგულაძე.

„თაყვისუფალი საქართველო“ (1921-1922 წწ.), სტამბოლი-პარიზი.

„სამშობლოსათვის“ (1925 წ.), პარიზი, რედაქტორი სპირიდონ კელია.

„ბრძოლა“ (1925-1928 წწ.), პარიზი, რედაქტორი დავით შარაშიძე.



„სახალხო საქმე“ (1926-1935 წწ.), პარიზი, რედაქტორი სამსონ ფირცხალაია.

„საქართველო მოამბე“ (1923 წ.). ბერლინი. რედაქტორი რაფიელ ინგილო-ივანიცი.

„ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი“ (1927-1931 წწ.), პარიზი, რედაქტორი მიხეილ ხუნდაძე.

„ახალი ივერია“ (1927-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორები: ე. ჯიბლაძე, დ. სინჯიკაშვილი, ს. ჭირაქაძე, ალ. ცომაია.

„კაეკასიონი“ (1929-1932 წწ.), პარიზი, რედაქტორები: ვიქტორ ნომაძე, ისიდორე მანჭკავა.

„მხედარი“ (1929-1937 წწ.), პარიზი, რედაქტორები: პროკოფი აბულაძე, ვიგალი უგრეხელიძე.

„სამშობლო“ (1929-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორები: ალექსანდრე ასათიანი, ელისე პაგარიძე.

„ადამიანოსანი“ (1930-1932 წწ.), პარიზი, რედაქტორი ინდო ინასარი (ნიკოლოზ ინასარიძე).

„ჯვარი ვაზისა“ (1931-1934 წწ.), პარიზი, რედაქტორი გრიგოლ ფერაძე.

„საქართველოს გუმაგი“ (1932-1936 წწ.), პარიზი, რედაქტორი სპირიდონ კელია.

„ორნატი“ (1934-1935 წწ.), პარიზი, რედაქტორები: ე. ნომაძე, ი. მანჭკავა, ე. პაპაია.

„სოციალისტური აზრი“ (1934-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორი მირიან მელუა.

„ეროვნული გაერთიანება“ (1937 წ.), პარიზი, რედაქტორი ლუკა ყაზაიშვილი.

„ქართლოსი“ (1937-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორი ვიქტორ ნომაძე.

„კაეკასია“ (1938-1939 წწ.), პარიზი, რედაქტორები: იოსებ გეარამაძე, დავით საღირაშვილი.

„ბედი ქართლისა“ (1948-1964 წწ.), პარიზი, რედაქტორი კალისტრატე სალია.

სამწუხაროდ, ქართველი ემიგრანტების შთამომავლობაში ზემოთ არაერთგზის ხაზგასმული ეროვნულ-ინტელექტუალური აქტიურობა საგრძნობლად მიცხრა და მინელდა. ისინი არა თუ მათი მამებისა და ბაბუებისათვის დამახასიათებელი პარტიული ალტკინებით აღარ არიან ჩაბმულნი ქართული საქმის სამსახურში, არამედ არაერთმა მათგანმა ქართული ენაც კი არ იცის. ასე რომ, 20-იან და 40-იან წლებში ემიგრირებულ ქართველთა ფიზიკური რაოდენობის თანდათანობით შემცირებასთან ერთად მნიშვნელოვანწილად მცირდება ქართულ

ლიასპორათა ეროვნულ-ინტელექტუალური ხვედრითი როლი ჩვენი კულტურის ისტორიაში. ეს თუნდაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ წინა ათწლეულებისაგან განსხვავებით, 90-იანი წლებიდან უცხოეთში შედარებით იშვიათად ისტაბლება ქართული წიგნები და პერიოდული გამოცემები

ამ თვალსაზრისით რამდენიმე განსხვავებელი მდგომარეობაა ისრაელში, სადაც 70-იანი წლებიდან მოყოლებული მრავალი ქართულენოვანი გამოცემა გამოდის, რაც უწინარესად ჩვენი ქვეყნიდან რეპატრირებული ქართველი ებრაელების დამსახურებაა. ეს, პირველ ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს მოწყვეტილი და უცხო გარემოში მოხვედრილი, თავიანთ გულისთქმას ისინი ყველაზე მეტად მათთვის მშობლიური ქართული ენით გამოხატავენ.

გემოთქმული თვალსაზრისით უფრო იმედის მომცემი ჩანს თურქეთში, რუსეთში, ამერბაიჯანსა და ირანში კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა ეროვნული პერსპექტივა. თუ ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა და მშობლიურ ენობრივ სივრცესთან მათი დაბრუნების პროცესი მეტი აქტიურობით წარიმართება, ქართულ ინტელექტუალურ სამყაროს მათი სახით უდიდესი ენერჯია შეემატება. საბედნიეროდ, ბოლო ხანს მოვლენები იმგვარად ვითარდება, რომ ეს პერსპექტივა, ჩემის ვარაუდით, უსაფუძვლო ოცნების საგანს არ წარმოადგენს. დღესდღეობით მსოფლიო მასშტაბით დაჩქარებული ტემპით მიმდინარე ინტეგრაციული პროცესების პარალელურად ეროვნული ცნობიერების გამოღვიძებისა და აქტიური თვითდამკვიდრებისაკენ ენერჯიული სწრაფვაც ხომ აშკარა რეალობაა.

როგორც ითქვა, უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნებისა და პერიოდიკის უდიდესი ნაწილი ჯერჯერობით კვლავაც უცნობია და ინტერესებულ პირთათვის. მაგრამ იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვისაა ხელმისაწვდომი, რამდენადაც გარკვეული წარმოდგენა ქართულ ემიგრანტულ მწერლობაზე მაინც შეიძლება რომ შეგვექმნეს.

მართალია, მეოცე საუკუნის ემიგრანტ ქართველთა შორის საკმაოდ ბევრი იყო გაგაცებული მწერლობით, მაგრამ, როგორც მათი ნაწერების გაცნობა ცხადყოფს, მათგან დიდი ლიტერატურული ნიჭით მაღლცხებული შემოქმედი მსოლოდ რამდენიმე პიროვნება ყოფილა. მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, გრივოლ რობაქიძე უნდა დავასახელოთ, რომლის შემოქმედებამ არა მარტო ქართული ლიტერა-

გურული საზოგადოების ფართო აღიარება მოიპოვა, არამედ უცხოელთა დიდი მოწონებას დაიმსახურა.

გარდა ვრ. რობაქიძისა, უცხოეთში მოღვაწე ქართველ მწერალთაგან ასევე უნდა გავიხსენოთ აკაკი ჰაპავა, სიმონ ბურევიანი, გიორგი ყიფიანი, შალვა ამირეჯიბი, გიორგი გამყრელიძე, გრიგოლ დიასამიძე, გივი კობახიძე, გიორგი ლოლუა, ალექსანდრე ჭვიშივილი და სხვ. მეგ-ნაკლები ლიტერატურული ღირებულების მქონე მათი ლექსები, პროზაული ნაწარმოებები და კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები ხშირად იბეჭდებოდა ქართული ემიგრანტული პრესის ფურცლებზე და გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

როგორც ვხედავთ, დასასულებულ მწერალთა შორის ისეთებიც საკმაოდ მრავლად არიან, რომლებიც ემიგრაციაში წასვლამდე აქტიურ შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ. უცხოეთში ცხოვრების პერიოდში მათი შემოქმედების თითქმის ერთადერთ თემად ეროვნულ-პატრიოტული პრობლემა იქცა. ასე რომ, ემიგრანტ ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ფართოდ და მასშტაბურად წარმოჩინდა ჩვენი თანამემამულეების გულისთქმა და საწუხ-საგოდებელი.

საბჭოთა საქართველოში მოღვაწე მწერლებისაგან განსხვავებით, ქართველ ემიგრანტთა მხატვრული სიგყვა ცენზურის არგახებით არ იყო შეზღუდული და შეუზღუდავი გულწრფელობით გამოხატავს ავტორთა ნამდვილ გულისთქმას. მიუხედავად იმისა, რომ მათეულ შეფასებებსა და ნააზრევში ზოგიერთი რამ შეიძლება ტენდენციურად გვეჩვენოს და არაობიექტურად, ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ისაა, რომ ისინი თავისუფლად, იდეოლოგიური შეზღუდვების გარეშე, სჯიან და აანალიზებენ მოვლენებს. ქართული ემიგრანტული ინტელექტუალური მემკვიდრეობისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ იგი ყველა იმ მიმართულებასა და მსოფლმხედველობრივ ნაკადს წარმოაჩენს ფართო სპექტრითა და ყოველმხომცველობით, რითაც მეოცე საუკუნის ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობა ხასიათდებოდა.

ემიგრანტული ქართული მწერლობა ამ მთლიანობის ერთ-ერთი ორგანული შემადგენელი ნაწილია, რომლის სიღრმისეული შესწავლის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნეს მეოცე საუკუნის ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების უმთავრეს გზებსა და ტენდენციებზე.

**ESSAYS FROM THE HISTORY OF TWENTIETH CENTURY  
GEORGIAN LITERATURE, VII**

**Resume**

In this volume (First Volume – published in 1994, Second Volume - in 1997, Third Volume - in 2000, the Fourth Volume - in 2003 and the Five Volume - in 2005) the author analyzed and estimated in a new approach many exceptionally important questions on the base of rich materials.

Research questions in the Soviet period of the history of literature, often wholly differently in that period of our thinking, distinctly typical ideological tendency, were discussed and analyzed.

By means of concrete examples, from the creative works of the 20<sup>th</sup> century, Georgian writers are presented and adequately estimated the main tendencies, which essentially define the feature of our literature of our time.

In the first chapter of the book - “The First Chronological Boundary of the 20<sup>th</sup> Century Georgian Literature,” is expressed a new opinion in the scientific literature according this Georgian literature first chronological boundary of this period, on the base of critical discussion of this above mentioned questioned is considered the 900s, conditionally, 1908, when Galaktion Tabidze came in his writing field. To prove this consideration, besides G. Tabidze’s poetry, researcher will find many exceptionally important arguments in the creative works of those writers, who came in their writing field 900s of the last century. (N. Lortkipanidze, G. Robakidze, M. Javakhishvili, I. Grishashvili, A. Abasheli...)

In this book is separately reviewed the literature in the period of restoration Georgian State independence. (1918-1921) For this purpose is analyzed the works of famous writers period, and it makes clear what important role Georgian writers fulfilled in the period of restoration Georgia’s independence and for its further strengthening.

On the base of rich material in this work special attention is paid to that aggressive dependence which was shown by Georgian Social Democrats in the first-half of the 20<sup>th</sup> century towards Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli

Differently from Georgian patriots, whose main aim of their living and working was to settle national problems. Georgian Social Democrats considered fighting against class injustice the main purpose for their party. Class-party point of view is strengthened in their every day activities so greatly that from the first days of their work they opposed without compromise to everybody, who did anything to defend the national interests.

On this point of view firstly the most unacceptable person for them was I. Chavchavadze. For Georgian Social Democrats controversy on a point of principle was that great national program, which Ilia and his like-minded persons imagined as perspective way for the development of our country. On the basis of this circumstance began fighting against I. Chavchavadze, which Social Democrats began in the 90-s of the 20-th century and was finished by Tsisamuri tragedy. Though this shameful fighting wasn't finished by our nation's confessor's killing and it was continued later actively.

Renewing and developing process of the 20-th Georgian literature is connected with those events which took place in Europe literature of that time. This period became a new stage for our literature for Europeanization, generally, for rapprochement to the world literature process.

This event, which began in early centuries, and I. Chavchavadze named it as Europeanize, the writers who came in their writing field in the beginning of the 20<sup>th</sup> century gave it wide scales. Namely, modern – advanced branches which were strengthened in Europe literature for many of them became the main form of showing their creative possibilities and individuality.

The Georgian literature was “spreading on Europe radius” (Titsian Tabidze's words) the Georgian literature played, that many Georgian writers got education from different European countries and they knew European literature not only from books, but also they had personal relationships with the author who created these novelties. (N. Lortkipanidze, K. Gamsakhurdia, G. Robakidze, L. Kiacheli, M. Javakhishvili, P. Iashvili...).

Unfortunately, this strong tendency, namely, relationship with Europe world, and which is typical for the first period of the 20<sup>th</sup> century literature (and not only literature), after Georgia became Soviet Republic, weakens and the novelty of Europe culture very often again come to us through Russia.

In spite of bringing and strengthening modern tendency that was based at the boundary of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries by our writers (V. Barnov, Sh. Aragvispireli, Sh. Dadiani, Ch. Lomtadze...) this event didn't become the main directions of their literary work and the fundamental change is connected with the writers' names who came in their writing field 900-910 (N. Lortkipanidze, G. Robakidze, L. Kiacheli, K. Gamsakhurdia, G. Tabidze, P. Kakabadze, V. Gaprindashvili, T. Tabidze, P. Iashvili, G. Leonidze, S. Kldiashvili...).

That strong tendency, which is directed for approach European literature, and which is appeared in the creative work of writers in the first period of the last century helped the foundation of new directions and groupings in the Georgian literature.

In order to make a clear imagination for readers, about the Georgian literature of that period in the book is analyzed the principles and creative peculiarities.

In the period of the Soviet power political and ideological dictatorship which existed in the country swaddled the free development of literature and submitted to the party principles. The government organs established systematic and the strongest control on the events which was going in literature according Communist Party instructions and resolutions and they didn't leave without response any fact which was politically and ideologically not acceptable of the existed regime.

To show clearly, what negative role fulfilled that politics in the history of Georgian literature in the Soviet Period, are given many examples from the creation of writers of that period.

Ideological politics of the Soviet government essentially defined sharply negative dependence, what leaders of the Soviet government and their demands defender writers, and the critics showed towards classic writers and their creative works in the 20-30s of the last century. This dependence had such broad scales, that descriptive materials, unfortunately, strengthened so much that it became the main direction in nowadays literary life.

Fighting against classical literary inheritance took especially violent character in the second part of the 20s and at the beginning of the 30s Many writers of that time (and not only writers) fought selflessly against the achievement of classic literature and they announced it as an incompatible reactionary event for the revolutionary ideology.

In spite of ideological dictatorship, strengthened in the country, our writers working in the Soviet epoch however managed to say a real word and showed in their writings in a critical opposite outlook negative events, which was characteristic of that time. To prove this there are many concrete examples from the creative works of the writers working at that time.

In the book special attention is paid to the estimation of that great creative contribution, which Galaktion Tabidze made in the history of the 20<sup>th</sup> century literature.

The scientific research of his creation led to developing of a new branch of literary studies called Galaktionology. In order to imagine clearly the main point of the above mentioned scientific branch is analyzed concretely G. Tabidze's works research existing situation.

Separate discussing themes are the rhythmic-version novelties shown in the 20<sup>th</sup> century Georgian poetry.

In the last chapter of the book on the base of rich material is analyzed and estimated the emigrant Georgian writers' creative contribution in the history of the Georgian literature.

## **ОЧЕРКИ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ДВАДЦАТОГО ВЕКА, VII**

В данной книге литературных очерков (первая книга была издана в 1994 году, вторая - в 1997 году, третья - в 2000 году, четвертая - в 2003 году, пятая и шестая книги - в 2005 году) на основе богатого фактического материала проанализировано и по-новому освещено много значительнейших вопросов из истории грузинской литературы XX века.

Исследуемые вопросы в советском литературоведении часто рассматривались совершенно с различных позиций, со свойственной для нашего мышления того периода идеологической тенденциозностью. На основе конкретных примеров, целенаправленно отобранных из творчества грузинских писателей XX века, показаны и оригинально оценены важнейшие тенденции, которые определяют характер и сущность нашей литературы того периода.

В первой главе книги - "Начальный хронологический рубеж грузинской литературы двадцатого века" - на основе критического анализа существующих в научной литературе взглядов по данному вопросу представлена новая точка зрения, согласно которой начальным хронологическим рубежом грузинской литературы данного периода, в отличие от прежних взглядов, признаются уже 900-ые годы, условно - 1908 год - время появления на поэтической арене Галактиона Табидзе. Для подтверждения данной точки зрения, помимо поэзии Г. Табидзе, исследователь также сможет найти множество весьма важных аргументов в творчестве тех писателей, которые начали свою писательскую деятельность в 900-х годах прошлого века (Н. Лордкипанидзе, Г. Робакидзе, М. Джавахишвили, И. Гришашвили, А. Абашели...)

В книге объектом специального исследования является художественная литература периода восстановления государственной независимости Грузии (1918-1921гг.) С этой целью конкретно анализируются как известные, так и опубликованные в тогдашней

322



прессе менее известные произведения писателей, в результате чего выявлена та важнейшая роль, которую грузинские писатели сыграли в деле восстановления и дальнейшего укрепления государственной независимости Грузии.

На основе богатого фактического материала в работе большое внимание уделяется показу того агрессивного отношения, которое проявляли к Илье Чавчавадзе и Акакию Церетели социал-демократы в первой трети XX века.

В отличие от патриотов Грузии, важнейшей целью жизни и деятельности которых было решение национальных проблем, грузинские социал-демократы в качестве основной перспективы своей партийной деятельности считали борьбу с классовой несправедливостью. Классово-партийное мировоззрение заняло такое большое место в их повседневной деятельности, что сразу же после их активного появления на общественно-политической арене они бескомпромиссно противостояли всем, кто предпринимал что-либо в защиту национальных интересов.

В этом смысле наиболее непримлемой личностью для них являлся И. Чавчавадзе. Для грузинских социал-демократов принципиально неприемлема была та большая национальная программа, которую Илья Чавчавадзе и его единомышленники предлагали в качестве перспективного пути развития нашей страны. В первую очередь, именно это обстоятельство стало основанием для той беспощадной борьбы против И. Чавчавадзе, которую развернули социал-демократы в 90-х годах XX века и которую завершили трагедией в Цицамури. Хотя эта позорная борьба не закончилась коварным убийством духовного отца нашего народа; она активно продолжалась и в последующие годы.

Процесс обновления и развития грузинской литературы XX века теснейшим образом связан с явлениями, имевшими в то время место в европейской литературе. Этот период для нашей литературы фактически стал совершенно новым этапом европеизации, и вообще, этапом большего сближения с процессами, происходившими в мировой литературе. Этому процессу, начавшемуся гораздо раньше и названному И. Чавчавадзе европеизмом, писатели, вступившие на литературное поприще в начале XX века, придали еще большие масштабы. В частности, утвердившиеся в европейской литературе

модернистские авангардистские направления для многих из них стали важнейшей формой проявления их творческих возможностей и писательской индивидуальности.

Важнейшую роль в европеизации грузинской литературы сыграло также то, что многие тогдашние писатели получили образование в различных европейских странах и знакомы были с европейскими литературными новшествами того времени не только по книгам, а имели личные связи с авторами этих нововведений (Н. Лордкипанидзе, К. Гамсахурдия, Г.Робакидзе, Л. Киачли, М. Джавахишвили, П. Яшвили...).

К сожалению, та мощная тенденция прямых и теснейших связей с европейским миром, которой характеризовалась наша литература первых двух десятилетий XX века, после установления советской власти несколько ослабла, и новости европейской культуры в большинстве случаев к нам проникали через Россию.

Несмотря на то, что основы процесса распространения модернистских тенденций в нашей литературе века были заложены писателями, выступившими на литературное поприще на рубеже XX-XIX вв. (В. Барнови, Ш. Арагвиспирели, Ш. Дадиани, Ч. Ломтатидзе...).

Эта мощная тенденция наибольшего сближения с европейским литературным миром, появившаяся в творчестве писателей, начавших свою деятельность в начале прошлого века, способствовала созданию и утверждению новых направлений и группировок в грузинской литературной среде.

Для того, чтобы у читателя создалось более ясное представление о существовавшем с этой точки зрения положении, в книге проанализированы главнейшие художественно-эстетические принципы и творческие особенности существовавших в то время литературных группировок.

Утвердившаяся в стране в советский период политическая и идеологическая диктатура наложила на свободное развитие литературы железные цепи, подчинив его партийным принципам. Посредством директив и постановлений, принимаемых единолично правящей государством силой - Коммунистической партией - правящие органы власти устанавливали систематический и

стражайший контроль над происходящими в литературе процессами. не оставляя без реал ирования ни один факт, неприемлемый с точки зрения политики и идеологии существовавшего режима.

Для того, чтобы показать какую отрицательную роль сыграла эта политика в истории грузинской литературы, в книге приводится множество конкретных примеров из творчества писателей того периода.

Проводимая советской властью идеологическая политика определила то негативное отношение, которое проявляли представители новой власти, а также писатели и критики, следующие их требованиям, к классикам грузинской литературы и их наследию в 20-30-х годах прошлого века. Это отношение имело такие большие масштабы, что материалы, отражающие его, к сожалению утвердились в качестве одного из главнейших направлений тогдашней нашей литературы.

Борьба против классического наследия особенно обострилась во второй половине двадцатых и начале тридцатых годов. Многие литераторы (и не только литераторы) того времени решительно боролись против достижений классической литературы и объявляли ее реакционным явлением, совершенно не соотносимым с революционной идеологией. Фактически это была борьба не только за мировоззренческую гегемонию, но и за литературную диктатуру, борьба, которая часто носила весьма организованный и целенаправленный характер и которую часто вели многие случайные лица, вооруженные идеологическими принципами новой эпохи.

Несмотря на утвердившуюся в стране диктатуру, нашим писателям все же удавалось говорить правду и во многих своих произведениях с критической, оппозиционной позиции показывать характерные для эпохальной действительности того времени негативные явления. Для иллюстрации сказанного в книге приведено множество конкретных примеров из творчества грузинских писателей того времени.

В книге особое внимание уделяется оценке того огромного творческого вклада, который внес в историю грузинской литературы века Галактион Табидзе. Научное исследование его творчества приняло такие широкие масштабы, что в грузинской филологии в последнее время появилась еще одна область - галактионоведение.


Для того, чтобы у читателя создалось ясное представление о сути данной дисциплины, в работе конкретно анализируется положение, существующее в настоящее время с точки зрения изучения творчества Г. Табилзе.

Отдельно обсуждаются ритмико-версификационные новшества, выявленные в грузинской поэзии XX века.

В последней главе книги на основе богатого фактического материала дается анализ и оценка творческого вклада грузинских писателей - эмигрантов в историю грузинской литературы.

# შინაარსი

მეოცა საუკუნის ქართული მწერლობის საწყისი ქრონოლოგიური მიჯნა .....	3
ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ქართველი სოსილ-ღემთკრებები .....	16
მოდერნიზმულ-ავანგარდისტული ტენდენციები XX საუკუნის ქართულ მწერალთა შემოქმედებაში .....	44
ლიბერატორული დაჯგუფებანი XX საუკუნის ათიანი და ოცისანი წლების ქართულ მწერლობაში .....	77
ხელისუფლების ბრძოლა „მწერლობის მოსათვისინიერებლად“ .....	114
კლასიკოს მწერლებთან დამოკიდებულების გოგინათი საკითხი XX საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოში .....	154
ეპოქალური სინამდვილის კრიტიკულ-ოპონიტიური ასახვა საბჭოთა პერიოდის ქართულ მწერალთა შემოქმედებაში .....	170
ეპოქიკური რეპრეზენტები, როგორც საშუალება თავისუფალი აზრის დასათრგუნად .....	217
ბალახტიონოლოგია - ახალი მემკვიდრული მიმართულება ქართულ ლიბერატორულ-დემოკრატიულობაში .....	257
რიტმულ-ვერსიფიკაციული სიასლენი XX საუკუნის ქართულ ეპოეზიაში .....	278
ეგიპტოლოგია მწერალთა როლისა და ავტორისათვის ქართული ლიბერატორის ისტორიაში .....	299
რეჟიუმე ინტელისურ ენაზე .....	318
რეჟიუმე რუსულ ენაზე .....	322



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0128, ი. შავსავაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09. 8(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)